გივი სომხიშვილი

სიკეთე ომდინ ნუმილოვლში

გივი სომხიშვილი

სიკვდილი ცოდვილ წუთისოფელი

თბილისი
2012

მიძღვნა გივი სომხიშვილს

ვერ შეგაშინა წუთისოფლის
ოხოშღრიალმა,
რა არ გაჩვენა ულაშარითლო
ბედმა-ღვიალმა.
ვერ დაგაჩოქეს — ვერ ჩაგიქრეს
თვალში შერჩხლები
და ელვის აშაყად შენი სიტყვა,
შენი ლექსები...

ქიზიყის შუხავ,
გულშაგარო და შუბლშზიანო,
შეხე ნათლება,
ღვისკრის ზარი რეგორ
ხშიანობს!!!

შენი თეშურ ჩალაბაშვილი

რედაქტორი: თემურ ქორიძე

მხატვრები: ტარიელ გარიშვილი
ვახტანგ ბაცაცაშვილი

დამკაბადონებელი: ილია თიღილაური

დალოცვილია სიმართლე

„კაცი უთუოდ ფიქრისათვის არის შექმნილი. ესაა მთელი მისი ღირსება და დანიშნულება; უპირველესი მოვალეობა კი ისაა, რომ კეთილგონივრულად იფიქროს“. პასკალის ეს თვალსაზრისი ეჭვს ნამდვილად არ იწვევს. მართლაც, ცოცხალ არსებათა შორის მხოლოდ ადამიანს შესწევს ფიქრის უნარი, მაგრამ „კეთილგონივრული ფიქრი“ უკვე ჩვენი არსებობის უფრო მაღალ დანიშნულებაზე მიგვანიშნებს. კეთილგონიერება, რაზეც პასკალი საუბრობს, ადამიანური სიბრძნის და სიქველის საფუძველთა საფუძველია, მისი ყოფიერების მორალურ-ფსიქოლოგიური განსაზღვრულობა და ცხოვრებისეული არჩევანია.

წინამდებარე კრებული, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ კუთხით აღძრავს მკითხველის ინტერესს. გივი სომხიშვილი, როგორც მწერალი და მოქალაქე, თავად განასახიერებს კეთილგონივრულად მოფიქრალ ადამიანს. საგულისხმოა, რომ მისი მოთხრობების დიდი ნაწილი საპყრობილეებში იწერებოდა. ავტორმა თავის თავზე გამოსცადა უსამართლო დევნისა და უკანონობის სისასტიკე. ასეთ ვითარებაში კეთილგონიერების გზიდან არ გადახვევა კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ჭეშმარიტი ფასეულობებისადმი მწერლის განუხრელი ერთგულების მთელ მომხიბვლელობას. მრავალწლიანი რეპრესიების მიუხედავად, გივი სომხიშვილი, როგორც პოეტი იტყოდა, – „ამ ცხოვრებას კაცად შერჩა ბოლომდე“ და მსგავსი შინაგანი სიმტკიცით თავისი პერსონაჟებიც გამსჭვალა. „არაკაცობის კაცობით მკურნალი“, „უთქმელი ნიკა“, „ძმა ძმისთვისაო“, „ცუგა“ და სხვა მოთხრობები ადამიანური ხასიათების მრავალფეროვან

პანორამას წარმოაჩენს. ავტორი ღრმა ნდობას უცხადებს ამ მრავალფეროვნებას და სჯერა, რომ „ადამიანს არ შეუძლია იარსებოს რაღაც დაუნგრეველისადმი მტკიცე რწმენის გარეშე“ (კაფკა). ავტორი გვიჩვენებს, რომ ეს „დაუნგრეველი“ საწყისი ხშირად ძნელი მოსახელთებელია, დაფარული და მიჩქმალულია, მაგრამ მისი არსებობა ეჭვქვეშ არ უნდა დავაყენოთ. „დალოცვილია სიმართლე, ძლიერი და მამაცია მისი მატარებელი კაცი“, – ასეთია მწერლის ჰუმანისტური პოზიცია. მას სწამს, რომ სიმართლის შეგრძნება ენერგიითა და სიმტკიცით აღავსებს ადამიანს, გააძლებინებს და წუთისოფლის შემოტევებისგან შეუვალს გახდის მის ბუნებას, ანუ როგორც ჰემინგუეი იტყოდა, „ადამიანი შეიძლება მოჰკლან, მაგრამ მისი დამარცხება შეუძლებელია...“ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი მწერლის მსგავსი განწყობილება არამც და არამც ბრმა რწმენას დ ფატალურ შეხედულებებს არ ემყარება. ნებისმიერი სისტემის თუ ტოტალიტარული გარემოს პირობებში, მართალია, ყველას არა, მაგრამ შინაგანი სიმტკიცით გამორჩეულ პიროვნებას ნამდვილად შეუძლია „ადამიანდ დარჩენა“, შეუძლია შეინარჩუნოს და შემდეგ სხვებისთვის სამაგალითო გახადოს ადამიანად ყოფნის სევდაც და სიხარულიც.

გივი სომხიშვილს არ იტაცებს რთული და დახლართული სიუჟეტების თხზვა. მისი ყურადღების ცენტრში ყოველთვის ადამიანი და ადამიანური ყოფით აღბეჭდილი სინამდვილე ექცევა. სწორედ ამ სინამდვილეში პოულობს იგი თავისი პერსონაჟების ცოცხალ ხასიათებს, პოულობს იმას, რის შემჩნევასაც ნამდვილი მწერლის „თვალი გულისა და გონებისა“ სჭირდება.

ეს კი ისეთი ნიჭია, რომელსაც მხოლოდ ჭეშმარიტ მწერალს უბოძებს უფალი. ამიტომ მკითხველს შეუძლია მშვიდად შეუდგეს წინამდებარე წიგნის კითხვას: თქვენს წინაშე სწორედ ასეთი მწერალი დგას!

თემურ ქორიძე.

უთქმელი ნიკა

შემოდგომის მზე მის შესახვედრად წამომართულ ცივგომბორის ქედს უახლოვდებოდა. ორღობეებში ცივი ნიავწანწალა დასეირნობდა. გვიანი შემოდგომის სუსხის ძალა განსაკუთრებით საღამოთი იგრძნობოდა.

სმენა ნახირიდან დაბრუნებული ძროხების ბღავილით და ადამიანების შეძახილებით გაივსო. ამ ხმაურს ძაღლის ყეფაც უერთდებოდა და ერთიან, ჯანმრთელ, ჯანმაგარ, სისხლსავსე შემოდგომის სოფლის საღამოს სიმფონიას აგვირისტებდა.

ნიკა ეზოში კუნძზე იჯდა. მაგარ, დიდი ხნის ხმარებისაგან გაპრიალებულ შვინდის ჯოხს დროგამოშვებით მიწას ურტყამდა; მძიმედ ჩაფიქრებულიყო.

ძროხამ კუტიკარი თავით შეაღო, ეზოში შევიდა და თითქოს ნიკას მიესალმაო, დაიზმუვლა.

ნიკა გამოერკვა, მაღლა აიხედა, ძროხას უაზრო მზერა მიაბყრო, ცოტახანს უყურა; საქათმიდან ქათმების კაკანი ისმოდა.

ძროხას უყურებდა, მაგრამ მას ვერ ხედავდა, ფიქრებით სადღაც შორს, წარსულის გაცრეცილ მოგონებებში ტრიალებდა.

იმთავითვე წყნარი იყო და უთქმელი, ხარივით მუშა და ხარივით ჯანიანი; თანატოლებში სამართლიანი და სიტყვაძუნწი. ტრაბახი არ უყვარდა, ვერ იტანდა თავის გამოჩენის მცდელობას, შრომობდა თავაუღებლად და ყველაზე მაღალ სიამოვნებასაც ამაში პოულობდა.

თავისთვის ყველაფერი ჰქონდა. ალბათ ამიტომ ერთხელ კულაკობა დააბრალეს, მისი ასი სული ცხვარი ებევრათ, სულ ჩამოართვეს, შავ სიაში შეიტანეს და გადასახლება დაუპირეს იქ, სადაც მობრუნება არავის ეწერა. მერე რომელიღაც ბრძანებამ თუ განკარგულებამ მოუსწრო, არ გადაასახლეს, მაგრამ



მუქთახორა და უსაქმური დათება, რომელიც თავისი სიღარიბის წყალობით საბჭოს თავმჯდომარედ გაძვრა, წყალს არ უწმინდავებდა, ნაკულაკარია, ნდობა არ გამოვუცხადოთო.

ბოლოს მაინც ასე თუ ისე ჩაწყნარდა ვნებათაღელვა. დათება საბჭოდან გამოაბრძანეს, კოლმეურნეობაში მუშაობა ეზარებოდა, რაც სხვისი ქონების კონფისკაციით მიითვისა, ისაც მიყიდ-მოყიდა და ბოლოს ისევ ღარიბ-ღატაკად დარჩა.

— რა დროც არ უნდა მოვიდეს, მშრომელი კაცი მუდამ საჭიროა და ცხოვრებითაც ის აჯობებს ზარმაცსა და უქნარას, — ამბობდა ნიკა. ამ ახალ დროებას თავი ბევრმა ფუქსავატმა შეაფარა, მაგრამ ნელ-ნელა სუყველას მოუწევს დათებას ხვედრიო.

ერთხელ კოლმეურნეობის თავმჯდომარეობაც შესთავაზეს. კი-

ნაღამ გული გაუსკდა, დამავალეთ რაც შემიძლია, გავაკეთებ, თავმჯდომარეობა რა ჩემი საქმეაო; გადაწყვეტით თქვა და მეტი აღარც შეუწუხებიათ.

სამაგიეროდ მისი თანატოლი და ზარმაცობით ცნობილი პართენა გაიქაჩა, მე ვიქნები თავმჯდომარედ, ყველაფერი კარგად ვიცი და საქმესაც სასიკეთო ხელს დავატყობო. მაშინ მათ სოფელში ათი კოლმეურნეობა მაინც იყო, ყველა უბანი თავისთვის იკრიბებოდა; ბოლოს პართენა მაინც აირჩიეს თავმჯდომარედ, ჩააბარეს ბეჭედი და ახლა შენ იციო, უთხრეს.

პართენამ ბეჭედი ქამარზე პრეჟით მიიბა; სულ თან დაჰქონდა, ლოგინშიც არ იშორებდა. წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ ორი ასო ისწავლა პ. კ. (პართენა კოჭლამაზაშვილი). იმისი სახე უნდა გენახა, როცა რამე დოკუმენტზე თავის ბატისფრჩხილურ პ. კ.-ს დააწერდა, მერე ამაყად შეიხსნიდა, რამდენიმეჯერ ძალუმად დააორთქლებდა მთელი შესაძლებლობით გაღებული პირით, მძლავრად მოიქნევდა ბეჭდიან ხელს, ქაღალდს დაარტყამდა, უჰ-ო დააყოლებდა, ირგვლივ მყოფთ გადახედავდა ისე, თითქოს დიდი ტვირთი მოიცილაო; საგულდაგულოდ მიიბამდა ქამარზე, ცხვირსახოცში გაახვევდა, ჯიბეში ჩაიდებდა, — ეგრეა, ძმაო, ეგრე, თავმჯდომარეობა დიდი ჯაფაა, — იტყოდა და ბოლთას ფართო ნაბიჯით დაარტყამდა.

ბოლოს პართენას ისეთი ბეჭდომანია შეეყარა, რომ მისი წყალობით თავი ყველაფრის მცოდნე ეგონა. ერთხელ რაიონში პოლიტინფორმაციას დაესწრო, პირველად რუქა იქ ნახა. პოლიტიკურ რუქაზე საბჭოთა კავშირის წითელ ფერზე ყველაფერი გასაგებიაო, თქვა; მთელი მსოფლიო უნდა გაწითლდესო. „რა იოლი ყოფილა რუქა“, უკან დაბრუნებისას პართენა გზაში ფიქრობდა.

სადღაც ფიზიკური რუქა იშოვა და კოლმეურნეობის კანტორაში გააკრა. ერთხელ ყველა შეკრიბა, პოლიტინფორმაცია უნდა ჩაგიტაროთო. ბეჭდის დარტყმის მორიგი ცერემონიის შემდეგ, რუქას მიუბრუნდა, ხალხს ამაყად გადახედა და ბატონკაცურად დაიწყო: — ამხანაგებო, მარტო მუშაობა ხომ არ არის, ხანდახან წიგნიც უნდა წავიკითხოთ ხოლმე. აი, მე მიყურეთ,

— პართენამ ჯიბიდან ბეჭედი ამოიღო, ცხვირსახოცი შემოხსნა, მაღლა ასწია, — ხედავთ? რამხელა შრომას ვეწევი, რამდენი რამე ვიცი! პართენამ ბეჭედი ცხვირსახოცში ისევ შეახვია და ჯიბეში ჩაიდო. — მაგრამ მაინც ვცდილობ, რომ მეტი ვიცოდე; მსოფლიო პროლეტარიატს ასე სჭირდება, მაშ! აი, თუნდაც, — პართენამ რუქას შეხედა, ცოტა დაიბნა, რაიონში ნანახი საბჭოთა კავშირი ერთიანი და მასიური იყო, აქ კი წითელი ლაქები აქა-იქ გაფანტულიყო, ზოგან კი ზოლებად იყო გაჭიმული; უცებ მოიფიქრა: — ხომ ხედავთ, რაც წითელია ჩვენა ვართ, — პართენამ მაღლობებზე აათამაშა თავისი დაკოჟრილი თითები. — უნდა ვეცადოთ, რომ მწვანეები, — ხელი მოუსვა დაბლობებს, ზღვებსა და ყინულოვან ოკეანეს, — ლურჯები და თეთრები სულ გავაწითლოთ, — კიდევ მიუსვ-მოუსვა ხელი რუქას, მერე ტაში შემოჰკრა, კიტელი ჩამოიბერტყა. — მაშ, ეგრეა დღესდღეობით საქმე! თქვა და თავისი ლექცია ამით დაამთავრა.

ზოგს გაუკვირდა, პართენა როგორი განათლებული გამხდარაო; უმრავლესობა დამცინავ ღიმილს ძლივს იკავებდა, საწყალი პართენა თავმჯდომარეობამ სულ გამოაშტერაო, ფიქრობდნენ და კანტორას ჩაფიქრებულები ტოვებდნენ. ის დრო არ იყო, ხმამაღლა ეთქვათ, რაც გულში ქონდათ, გამორიცხული არ იყო პართენას სისულელეზე კრიტიკული შენიშვნა კოლექტივიზაციის მტრობად მოჩვენებოდა ვინმეს, ეს თამამი ხალხი მტრად გამოეცხადებინათ და სიცოცხლის ფასად დაესვათ მისთვის პართენას პოლიტინფორმაცია.

ბოლოს, ეტყობა, რაიონში მოსწყინდათ პართენას რევოლუციური იდეები, იქაც გამოიჩინა თავი ღრუბლებში ბოდიალით და ერთ მშვენიერ დღეს, მაყვლიანი ყამირის გასატეხად მთელი კოლექტივი რომ გამოსულიყო, საარჩევნო კრება მოიწვიეს. რაიონიდან ჩამოსულმა კაცმა, იმათი სოფლელი, მუშფაკდამთავრებული, ტიტიკო, პართენას მაგიერ თავმჯდომარედ წარუდგინათ.

პართენამ არად ჩააგდო, არც ხალხის თანხმობა, არც რაიონიდან მოსული ამხანაგის ახსნა-განმარტება, პირდაპირ ეკვეთა ტიტიკოს და საყვედურებით აავსო:

— რა გინდა, ბიჭო, თვალი რაღა მაინც და მაინც მე დამად-

გი! ეს კოლექტივი მე ჩემთვის ჩამოვაყალიბე! წადი, ჩემო ძმაო, თავმჯდომარეობა თუ ეგრე გინდა, შენ კიდევ შენი კოლექტივი დაარსე; ხალხი ამ ქვეყანაზე ცოტაა?! — ტიტიკო გაკვირვებული უყურებდა პართენას და ხმას არ იღებდა.

რაიონის კაცი ჯერ ჯავრობდა, პართენას ტუქსავდა, არწმუნებდა. პართენამ ტიტიკოს ახალი კოლექტივის ჩამოყალიბება რომ შესთავაზა, მაშინ ვეღარ მოითმინა და სიცილი აუტყდა.

ჯერი ბეჭდის გადაცემაზე მიდგა.

პართენამ ეს ტრაგედია ვეღარ აიტანა.

— ბეჭედს არავის დავანებებ! — ყვიროდა. — ბეჭედი ჩემი ოფლითა და ცოდნით მაქვს მოპოვებული!

რამდენი ეხვეწნენ, ემუდარნენ, არაფერი გამოვიდა; პართენა კოლექტივის თავმჯდომარეობას ძალათი ისაკუთრებდა და აღარავის სცნობდა. ეგონა, თუ ბეჭედს დაიტოვებდა, მისი განთავისუფლება შეუძლებელი შეიქმნებოდა; ჰოდა, პართენაც არაფრის გულისათვის არ თმობდა მას.

ნიკა წყნარად იჯდა კუნძზე და მთელ ორომტრიალს მოწმესავით უყურებდა. უკვირდა, პართენა თავმჯდომარეობას რატომ ებღაუჯებოდა. ერთად გაიზარდნენ, კარგად იცნობდა, სხვაზე მეტი არც შრომაში და არც ჭკუის ხმარებაში არ იყო, პირიქით, ცუღლუტობაში ბადალი არ ჰყავდა. თავმჯდომარეობა ასე რატომ გაუტკბა? ნეტავი მასში რა ნახა? განა არ ურჩევნია, ნიკასავით გამართოს ურემი და კოლექტივს იმით ემსახუროს, თავმჯდომარეობა კი განსწავლულ ტიტიკოს გადაულოცოს, — ფიქრობდა ნიკა და პართენას ჭირვეულობის სათავეს ვერ პოულობდა.

— ბეჭედს არავის არ დაგითმობთ! — პართენა ყვიროდა, ხალხის შუაში იდგა და ხელებს იქნევდა.

— ვისაც კოლექტივის თავმჯდომარეობა გინდათ, წადით და თქვენთვის ჩამოაყალიბეთ, ეს კოლექტივი მე ჩემთვის მინდა! — პართენა არ ცხრებოდა.

ნიკას მოთმინების ფიალა აევსო, კუნძიდან ადგა, შარვალი ჩამოიბერტყა და პართენას დინჯად მიუახლოვდა.

— პართენ, ვინ მოგცა კოლექტივი? რომ გაიძახი, ჩემთვის

ჩამოვაყალიბე, ჩემთვის მინდაო, მე აღარ მეკითხები, ვისთვის მინდა ეს კოლექტივი? შე მამაცხონებულო, ათამდე დათვლა არ იცი, წერაში კიდევ მარტო პ. კ. გიშველის? მთლად რომ დაგაკარგვინა მაგ თავმჯდომარეობამ იგრეც ერთი მუჭა ჭკუა, შენ თავს ვერ ატყობ? ბეჭედი ეხლავე ამოიღე, თორემ ეგ უვარგისი გოგრა კაკალზე მიგინაყე! — ნიკამ პართენას ისე გადაუტრიალა თვალები, რომ ხმა მაშინვე ჩააკმედინა.

ნიკა უთქმელი კაცი იყო, ზედმეტი სიტყვა კი არა, ბევრ სათქმელსაც დუმილით ხვდებოდა ხოლმე. მართალი და კეთილი კაცი სოფელში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა; მის იშვიათად ნათქვამ სიტყვას წონა და მადლი არ აკლდა.

თითქოს ნიკას სიტვყას ელოდებოდნენო, პართენას ყველამ ერთხმად შეუტია:

— შე უდღეურო, კოლექტივი ვინ მოგცა! რა გვჭირდა შენი ჩამოსაყალიბებელი, რომ მიგვისაკუთრე; შენ რა მეორე ჩოლოყაშვილი ხარ?! — აყაყანდნენ და პართენაზე მიიწიეს.

პართენა მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო; განზე გავიდა, ბეჭედს პრეჟი შეხსნა, ხელში შეათამაშა და ხმამაღლა დაიძახა:

— რადგან ეგრეა, აღარც მე და აღარც თქვენ! — ბეჭედი მოიქნია და იქვე ფართოდ დაჯაგულ მაყვლის ბარდში ჩააგდო, მერე მობრუნდა და სოფლისაკენ ძუნძულით წავიდა.

მაყვლის ბარდში მთელი კოლექტივი ბეჭედს საღამომდე ეძებდა.

სულ გადაკაფეს და მიწასთან მოასწორეს, იპოვეს ბეჭედი და ტიტიკოს საზეიმოდ მიართვეს.

პართენა კი, რომელსაც გაგიჟებამდე ცოტაღა აკლდა, სინამდვილეს დაუბრუნდა; ურემი გამართა და სიბერემდე სახრე არ გაუგდია ხელიდან; მის მიერ დედამიწის გაწითლების თეორია კი სოფელში ანეკდოტად დარჩა...

ნიკა ფიქრებიდან ძროხის ზმუილმა გამოარკვია, რომელიც საძროხესთან მიყრილ ბალახს მადიანად შეექცეოდა; დროდადრო თავს მაღლა აიღებდა, ცოტა ხანს ასე გაჩერდებოდა, დაიზმუვლებდა, მერე კი ისევ ბალახით გამოივსებდა პირს. ნიკა ძროხას უაზროდ დააკვირდა.

— ნეტა რაღა უნდა, ბალახი ხომ უყრია, ჭამოს და მიხედოს

თავის თავს, საძროხის კარიც ღია არის, — თავისთვის ჩაილაპარაკა და ისევ ღრმა ფიქრებში ჩაიძირა.

საწყალი თებრო ახლა ცოცხალი რომ იყოს ნიკას დაუცაცხანებდა: „ადე, კაცო, რა გარინდებული ზიხარ, ცოტა მიტოკ-მოტოკ-დი!“

რაც მეუღლე მოუკვდა, ისედაც უთქმელი ნიკა მთლად გულჩათხრობილი გახდა. მთელი სიცოცხლე ცხოვრების ჭაპანს საყვარელ მეუღლესთან ერთად ექაჩებოდა. ათასი ზრუნვით და წინააღმდეგობით გადატვირთულ ცხოვრებას, ხან თითქოს თავდაღმართი შეხვდათო, შვებით ამოასუნთქებდათ მუდამ დაძაბული და შრომისმოყვარე წუთისოფელი.

ტკბილი ოჯახი ჰქონდათ, ორი ქალიშვილი გაზარდეს, ორივე გაათხოვეს; ბედთან საყვედური არ ეთქმოდათ, სიძეები შრომისმოყვარე ვაჟკაცები გამოადგათ.

ნიკა და თებრო სახლში მარტო დარჩნენ, ოჯახი კარგად ჰქონდათ აწყობილი, თავისთვის ქვაცა ჰქონდათ და კაკალიც. ზეიმის დღე კი მაშინ უდგებოდათ, როცა რომელიმე სიძე ესტუმრებოდათ. ნიკა ნაფერები კახურით სავსე ქვევრს ახდიდა თავს, ღვინოს დიდი წმინდა მინის ჭიქით ამოიღებდა, ჯერ შორიდან გახედავდა, მერე ნელ-ნელა დალევდა, სიამოვნებისაგან გაიღიმებდა და ღვინით დაცვარულ ულვაშს მუჭით მოიწმენდავდა, „იფ, იფ, რა ღვინოა! ეს დალოცვილი როგორ ცეკვავს, ჭიქაში სულ წინწკლებს ისვრის, რა სჯობია ამით მოლხენას!“ სიძეს სუფრასთან გვერდით მიისვამდა და მადლიანი კახურის ცეცხლით გაითბობდა მდორე სიცოცხლეს.

ნიკა ბედნიერი იყო, ათასჭირგამოვლილ ცხოვრების დაისის წლებს თებროსთან ერთად ტკბილად მიჰყვებოდა. მის შეგნებაში თავისი განუყრელი თებრო ისე ჩასახლებულიყო, თითქოს ეს ორი არსება ერთი იყო; უერთმანეთოდ სიცოცხლე ვერ წარმოედგინათ...

მაგრამ ის მაინც მოხდა, რის წარმოდგენა ნიკას ფიქრადაც არ შეეძლო: თებრო უცებ ავად გახდა და ერთ თვეში გარდაიცვალა. მეხი დაეცა, დარჩა ნიკა კენტად. თებროს დაკრძალვის შემდეგ, როცა ყველა თავის სახლში წავიდა და ნიკა პირველად

მარტო დარჩა, საშინელი სიცარიელე იგრძნო; ადგილს ვეღარა პოულობდა, ეზოში დაწრიალებდა, გამოსავალი რომ ვერ ნახა, კარგა დაღლილი მაშინ ამ კუნძზე დაჯდა, ახლა რომ ზის და ფიქრებს მიეცა, თებროსთან გატარებული დღეები გაიხსენა; ბევრი ტკბილი მოგონება მის ხსოვნას მოეფერა და გაყინული გული გაუთბო.

ნიკა მარტო დარჩა, გაუქრა სიცოცხლის ინტერესი; ცხოვრებას ინსტინქტის ძალით მიჰყვებოდა. ძველებურად შვილების სტუმრობის დროს გამოცოცხლდებოდა ხოლმე; მოილხენდა, გაიხარებდა, რომ წავიდოდნენ მძიმე ფიქრებში ისევ ჩაიძირებოდა; თავის დაკენტებულ უღელს ასე ექაჩებოდა...

ნიკა კუნძზე შეიშმუშნა, სიცივე იგრძნო, მიწაში ჩაზრდილ მუშტისხელა ქვას წვალება დაუწყო, ამოაგდო, მერე ჯოხი მიარტყა და ღობისაკენ გააგორა.

ისევ ფიქრებს გაუყვა: თებრო ახალი დაკრძალული ყავდა. ნიკამ ვენახი დაკრიფა, ორ ტონამდე ღვინის მარანში ჩააბარა, ერთი ამდენი კი მოიტოვა თავისთვის დასაწურად; უყვარდა მადლიანი კახურით სიბერისგან გამდორებული სიცოცხლის გათბობა, თანაც თებროს ორმოცი ჰქონდა გადასახდელი, აბა, ღვინის საყიდლად ხომ არ წავიდოდა, როცა საუცხოო ვენახი ჰქონდა და მასავით მადლიანი ღვინის დაყენება სოფელში ბევრს არ შეეძლო.

ცხენის ორთვალით სახლში ყურძენს ეზიდებოდა, ამ საქმეს დღისით მორჩებოდა, საღამოთი კი დაწურვას დაიწყებდა. სამი დიდი, ყურძნით გავსებული გოდორი ორთვალაზე დაედო და სახლისაკენ ნელა მიერეკებოდა. სოფლის ბოლოს გააჩერეს. აკაციის ჩრდილში საბჭოს თავმჯდომარე, ორი მათი სოფლელი აქტივისტი, ერთი მილიციონერი და სამი კიდევ ვიღაც უცნობი კაცი შეკრებილიყვნენ; ნიკას თავისთან მოუხმეს.

— სად მიგაქვს, კაცო, ყურძენი?! — უხეშად შეეკითხა ერთი უცნობთაგანი, რომელიც ეტყობოდა, ყველაზე უფროსი იყო.

ნიკას ეს უხეში ტონი არ მოეწონა, ცივად შეხედა, ცოტა დააყოვნა და შუბლშეკრულმა უპასუხა:

— სად მიმაქვს? სახლში, სხვაგან სად უნდა მიმქონდეს?!

— შენ რა მარნის გზა დაგავიწყდა?!

— მარანში მიმაქვს სწორედ!

— მე სახელმწიფო მარანზე გეკითხები! — ხმას აუწია უცნობმა.

— სახელმწიფო მარანში ორი ტონა მივიტანე! — ნიკამ გამომწვევი ტონით უპასუხა.

— ესაც უნდა მიიტანო! საკუთარ მარანში ერთი მარცვალიც არ უნდა დაიწუროს! გაიგე?! — უცნობმა ხმას აუწია.

— ვითომ რატომაო!

— იმიტომ, რომ გეგმას უჭირს და აუცილებლად უნდა შესრულდეს!

— შე დალოცვილო, იქნება იმ შენ გეგმაზე ძალიან მე მიჭირს, რატო არ მეკითხები?! თუ არა და, ორი ტონა იმ გეგმისთვის უკვე ჩაბარებული მაქვს, მორჩა და გათავდა! — ნიკა თავისი ცხენისაკენ გაემართა.

— მოიცა! თუ ნებით არ წახვალ, ძალათი წაგაბრძანებთ! მოდი, ადგილიდან ფეხი არ მოაცვლევინო! — მილიციელს უბრძანა.

ნიკა გაბრაზდა და საბჭოს თავმჯდომარეს მიეჭრა:

— რა გინდათ, კაცო, ერთი გამაგებინე! მითხარი, ორი ტონა ჩააბარეო. ხომ ჩავაბარე, ახლა გეგმას უჭირს და კიდევ უნდა ჩააბაროო, ეგრე, როგორც მეგეპრიანებათ, იგრე უკრავთ, რაღა! ერთი ის ქაღალდი მაჩვენეთ, რომელი კანონის ძალით თხოულობთ! გეგმას უჭირსო, ჰოდა, იმას მიადექით, ვინც იმ თქვენ გეგმას გაუჭირვა, ჩემთან რა გინდათ! ვენახის მოვლას რომ ვიწყებ, მეცა მაქვს ჩემი გეგმა; რამდენი უნდა ჩავაბარო სახელმწიფოს და რამდენი ჩემთვის მოვიხმარო, რამდენი მოყვარეს და მოკეთეს გავუგზავნო. ვენახის მადლიც მაგაშია და შვილივით იმიტომ ვუვლი, რომ სიბერეში სუფრაზე თითო ჭიქით დავილოცო. თქვენ გაჭირვებულ გეგმას მე რას ვუშველი, სადაც გეგმა უნდა გაკეთდეს, ვენახს შალაფა გიჭამთ; კოკით გეღვრებათ და გინდათ ნიკას ერთი წვეთით იმ თქვენ გაჭირვებულ გეგმას უშველოთ?! ვენახი რაღად მინდა, წალდს გავუგდებ და ერთიანად გავჩეხავ; ამ ყურძენს კიედვ თქვენ თვალწინ გზაზე გადმოვყრი

და ფეხით გადავუვლი! — ნიკამ ხელში სახრე ნერვიულად აათამაშა.

— გადაყრი და იქ მიგაბრძანებთ, სადაც ადგილი არის! — უცნობი დაემუქრა.

ნიკა ბრაზისაგან აენთო, ცხვარივით უწყინარი და ჩუმი კაცი გაცეცხლდა, უცნობზე გაიწია.

— ვის მიაბრძანებ, შე მაწოვარო! — სახრე აღმართა და ბევრი აღარ აკლდა, რომ მისთვის ყურებში გადაეშხუვლებინა.

საბჭოს თავმჯდომარე შუაში დროზე ჩაუდგათ. მან იცოდა, რომ ნიკა დამცირებას არავის არ აპატიებდა, ვინც არ უნდა ყოვილიყო? არადა სოფლელები მის დაჩაგვრას არ მოუწონებდნენ.

— აქეთ მოდექ, ნიკა ძია, დაწყნარდი! — ხელი წაავლო და გვერდზე გაიყვანა.

— დაწყნარდეს კი არა, მაგას ახლავე ამოვაყოფინებ მილიციაში თავს! — უცნობი არ ცხრებოდა.

ნიკამ იმის მუქარას ყური აღარ ათხოვა და საბჭოს თავმჯდომარეს მიუბრუნდა:

— რა გინდათ, შვილო, ორი ტონა ხომ ჩაგაბარე, შენც ეგ არ დამავალე? ან ის რა კანონის ძალით იყო თუ, მთხოვე და მეც შეგისრულე; ეხლა რაღას მედავებით?! გამიშვით ჩემ გზაზე, ერთი იმ უბედური დედაკაცის ორმოცი გადავიხადო და მემრე ყველაფერი თქვენი სანაცვლო იყოს!

— მე რა ვქნა, ნიკა ძია, რაიონიდან ახალი დავალება მივიღეთ, გეგმა ვერ სრულდება და... — თავმჯდომარემ თავი ჩაღუნა.

— ბიჭო, უმაღლესი განათლება კი გაქვს, მაგრამ რატომ ვერა ხვდები, რომ მომავალ წელს იმ ორ ტონასაც დამიკარგავ, შვილოსა! გრამს არ ჩავაბარებ, იგრე ნაწილ-ნაწილ გავანიავებ, რომ აქ გუგულებივით ჩამომჯდრებმა ერთი მარცვალიც ვერ ნახოთ!

— არ ჩააბარებთ და კისრიდან ამოგაცლით, კისრიდან! — აყვირდა უცნობი.

— კისრიდან მამაშენს ამოაცალე, ეგრე გაუზრდელი რომ გა-

უზრდიხარ! – უყვირა ნიკამ.

– ვის უბედავ! იცი ვინა ვარ?! ტყავს გაგაძრობ! – გაცეცხლდა უცნობი.

– ვის გააძრობ ტყავს, შე მათხოვარო! შარაზე ხელგამოწვდილი დგეხარ, რომ არ გაძლევენ, ყაჩაღობას იშველიებ; რა, ქვეყანამ სახურავი დაკარგა?! – არ დაუთმო ნიკამ.

– გაიგეთ? ყაჩაღებიო! ეხლავე მილიციაში აიყვა და კამერაში ჩააგდე! იქ ასწავლიან ჭკუას! – უცნობმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო.

– თუ ყაჩაღი არა ხარ, მიჩვენე, რომელი კანონის ძალით არ მაძლევ უფლებას, ჩემი ყურძენი სახლში წავიღო! – ნიკა არ ცხრებოდა.

– წაიყვა! წაიყვა! – უცნობმა მილიციელს ხელი უჯიკავა, – მეტი სალაპარაკო არა მაქვს. არიან ხალხი, რომელთაც შეუძლიათ ყველაფერი მაგის დონეზე გაარკვიონ.

მილიციელი ნიკასთან მივიდა და ხელი მოჰკიდა.

– აბა გამომყე! – უბრძანა და თავისკენ მოქაჩა.

– გადაიკარგე აქედან! – ნიკამ სახრე ისევ შემართა.

საქმეში ისევ საბჭოს თავმჯდომარე ჩაერია და ნიკა გვერდზე გაიყვანა.

– ვინ არის ეგ რქიანი? გამაგებინე მაინც! – ნიკამ თავმჯდომარეს ჰკითხა.

– რქიანი კი არა, რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგეა! – თავმჯდომარემ მოკრძალებით აუხსნა.

– ვაი, ბრანი იმ განყოფილებას! ჯერ აქ რასა შვერბა, იქ რას იზამს! მე მაგის განყოფილება სულაც არა ვარ, რატომ ვერა ხვდება ეგ უთაური?! – ნიკამ ხმამაღლა დაიბუხუნა.

– წაიყვა! წაიყვა! აქედან მოაშორე! – განყოფილების გამგემ ისევ უბრძანა მილიციელს.

იმან ნიკასთან მისვლა ვეღარ გაბედა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და გაჩერდა. ორწყალშუა იყო, თავის ბედს სწყევლიდა, რაღა ამ გადარეულის ჯგუფში მოვხვდიო.

საბჭოს თავმჯდომარემ ნიკა აკაციის ქვეშ მოწყობილ სკამზე დასვა და გვერდით მოუჯდა. რა ეღონა, ვერ მოეფიქრებინა;

ნიკას ცოლის ორმოცისათვის ღვინო სჭირდებოდა, თანაც მისი ხასიათი იცოდა, რადგან საქმე აქამდის მივიდა, სიცოცხლის ფასად ერთ მტევანს არ დასთმობდა.

მართალია, არავითარი კანონი არ ითვალისწინებდა ყურძნის ჩაბარებას, ნებაყოფლობის გარეშე, კერძო სექტორიდან ძალათი თხოულობდნენ სახელმწიფოზე ყურძნის ჩაბარებას. საბჭოს თავმჯდომარის თხოვნაზე ყველა გამოეხმაურა, ახლა კი თავის სახლისათვის კრეფდნენ და ამის უფლებასაც აღარ აძლევდნენ რაიონის ხელმძღვანელები. ძალის გამოყენებით ყველას სახელმწიფო მარანში ერეკებოდნენ. „საბოლოოდ გამიტყდება ავტორიტეტი, ამის შემდეგ ვიღა დამიჯერებს!“ ფიქრობდა საბჭოს თავმჯდომარე და თავის უმწეო მდგომარეობიდან გამოსავალი ვერ მოეძებნა.

საორგანიზაციო განყოფილების გამგე აკაციის ჩრდილში ბოლთასა სცემდა და გაცოფებული იმუქრებოდა:

— დედას გიტირებთ! სახლში ერთ მარცვალს ვერ წაიღებთ! სუყველას ვირის აბანოში შეგყრით!

საბჭოს თავმჯდომარე და ჯგუფის სხვა წევრები პირში წყალჩაგუბებულივით იყვნენ და განყოფილების გამგის ბობოქრობას დუმილით თვალს ადევნებდნენ.

გამწარებული ნიკა სკამზე იჯდა, მიწას ჩასჩერებოდა, ამ უსიამოვნო ინციდენტის ფაქტი ტვინს უბურღავდა.

დუმილი კარგა ხანს გაგრძელდა. უხერხულობიდან გამოსავალი არ ჩანდა, სიწყნარეს დროდადრო განყოფილების გამგის ბობოქრობა არღვევდა...

გზაზე „კოლხოზნიკი“ გამოჩნდა, გვერდზე გადავიდა და აკაციის ახლოს გაჩერდა. ნიკამ აიხედა, მძღოლი შეათვალიერა. ის მანქანიდან ჩამოვიდა და შარვალი ჩამოიბერტყა. მაღალი, მხარბეჭიანი, მოხდენილი ვაჟკაცი კეთილად იღიმებოდა. ყველანი წამოიშალნენ.

— გამარჯობა თქვენი! — მიესალმათ და თხრილზე გადმოხტა.

— თემურის გაუმარჯოს! — ხმაურით შემოეხვივნენ.

თემურმა ყველას ჩამოართვა ხელი — ნიკასაც და თავაზიანად უთხრა:

— გამარჯობა, ბიძაჩემო!

— ღმერთმა გაგიმარჯოს, შვილო! — ნიკამ უპასუხა და გულში სასიამოვნო სითბო იგრძნო.

თემურმა დაინახა, რომ ნიკა სკამზე იჯდა და მისი მოსვლის შემდეგ ადგა, ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— დაბრძანდით, ბიძაჩემო, — სკამზე დასვა და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

— ხომ კარგი რთველი გქონდა? — ისე შეეკითხა, რომ, ეტყობა, მიხვდა, ორთავლა ამ კაცისა უნდა იყოსო.

ნიკამ პასუხი არ გასცა.

— კარგი რთველი ჰქონდა, თემურ, სოფელში ერთ-ერთი დამსახურებული მშრომელი კაცია ნიკა ხუციშვილი, — საბჭოს თავმჯდომარემ ყველას დაასწრო, ეშინოდა განყოფილების გამგემ საქმე არ გააფუჭოსო.

— აბა, მაშ, ერთმანეთს ვიცნობდეთ! — თემურმა ხელი გაუწოდა, თუ მოვიცალეთ, შემოგივლით და ზვარს დაგილოცავთ, ასე არ არის? — საბჭოს თავმჯდომარეს ღიმილით შეხედა.

—ასეა, ასე, თემურ! — საბჭოს თავმჯდომარე გამოცოცხლდა.

— მაგის ღვინო ვის რად უნდა! სისხლი გაგვითეთრა, ყურძენს არ გვაბარებს; კარგი კაცი კი არა, დასაჭერია! — განყოფილების გამგემ ნიკა დაახასიათა.

ნიკას ხმა არ ამოუღია, სათქმელი საბჭოს თავმჯდომარემ თქვა:

— პატივცემულო თემურ, ორი ტონა ჩაგვაბარა, ერთი კვირაა რაც მეულლე დამარხა, უნდა, რომ მისი ორმოცისათვის ნაწილი ყურძნისა დაწუროს, ხომ იცი ჩვენებური გლეხი თადარიგიანია.

— რისგან გარდაიცვალა თქვენი მეულლე, ნიკა ძია? — თემური თანაგრძნობით შეეკითხა, თითქოს ყურძნის ჩაბარებაზე პრეტენზიები სულ არ გაუგონიაო.

— რა ვიცი, შვილო, სიბერეში ყველა წვრილმანი ადამიანს წერად ექცევა ხოლმე; საწყალს სიცხე მისცა და... — ნიკა ბოღმა ყველში მოაწვა, სიტყვის თქმა ვეღარ შეძლო.

თემურმა მხარზე მოჰკიდა ხელი.

— გამაგრდი, ნიკა ძია! ძნელია საყვარელი მეუღლის დაკარგვა, მაგრამ რას იზამ, მუხთალია წუთისოფეოლი; შვილები ხომ გყავს?

— მყავს, ორი გოგო, გათხოვილები არიან, კარგი ოჯახები აქვთ, — უპასუხა ნიკამ.

— აი, შვილები და შვილიშვილები შეგიმსუბუქებენ მწუხარებას.

— ისინი ცალკე არიან, შვილო, თვეში ერთხელ ძლივს შემემეხმიან ხოლმე; მეც ხანდახან ვნახულობ, მაგრამ მაინც მარტო ვარ.

— მაგ ყურძნის ღვინოს რომ დააყენებ, ზოგჯერ ჩვენც გესტუმრებით და შეგიმსუბუქდება მწუხარება, — თემური წამოდგა.

— ყურძენს სახლში ვერ წაიღებს, ღვინის ქარხანაში უნდა ჩაბაროს. ასეთია სიმონ პეტროვიჩის დავალება! — განყოფილების გამგე წინ წამოდგა და თემურს კადნიერად მიახალა.

— სიმონ პეტროვიჩს მხოლოდ კანონებით შეუძლია ილაპარაკოს, არავის არა აქვს უფლება, კოლმეურნე გლეხს წაართვა ის, რაც თავისი ოფლით საკარმიდამო ნაკვეთში მოუყვანია! უფლება კი არა, ამის ჩამდენი პირდაპირ დანაშაულზე მიდის! — თემურმა თვალებიდან ნაპერწკლები დააკვესა.

— რომ მაგზავნიდა, სიმონ პეტროვიჩმა სწორედ ესე დამავალა, ვნახავ და ამას ყველაფერს ზუსტად მოვახსენებ; არა მგონია, რომ ვინმეს ეს საქციელი მოუწონოს!

— ჩემი საქციელი საერთო საქმის სიყვარულიდან გამომდინარეა, მე არ ვიცი, სიმონ პეტროვიჩმა რა დაგავალათ, მაგრამ კაცს თავი იმიტომ აბია, რომ საღად იაზროვნოს და იმ საქმეს ზიანი არ მიაყენოს, რომელსაც ემსახურება! გამიგე?! — თემური აღარა ხუმრობდა, ავაზასავით იყო მოზიდული.

განყოფილების გამგე მოიბუზა და განზე გაჩერდა.

— აგაშენა ღმერთმა! — მილიციელმა შვებით ამოისუნთქა.

— ნახვამდის, ნიკა ძია, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ! შენი შვილიშვილების ქორწილებს უნდა დაესწრო! — ნიკას ხელი ჩამოართვა და მანქანისაკენ წავიდა.

— ღმერთმა გაგახაროს, შვილო თემურ! — ნიკამ უკან გული-

დან ამოგლეჯილი სიტყვები დაადევნა.

— კარგად იყავით! — თემურმა ადგილზე დარჩენილებს ხელი დაუქნია და მანქანა დაძრა.

ნიკა გაქვავებული იდგა, ადგილიდან არ იძვროდა; თემურთან საუბრით მონუსხული იყო.

— მაგან სულ ესე იცის, იმიტომაც არის, რომ სიმონ პეტროვიჩი ვერ იტანს; ეხლა ამ ამბავს რომ მოვახსენებ, მერე ნახოს, რა დღეს დააყრის! — გაბრაზებულმა განყოფილების გამგემ დაიმუქრა.

— თემურს არ აკლია უფროსების რისხვა, მაგრამ ვაჟკაცია და იმიტომაც უყვარს დიდსა და პატარას! — საბჭოს თავმჯდომარემ თავისი სიმპატიები არ დაფარა.

— ვაჟკაცია, აბა რა, მე აქ სისხლსა ვღვრი თითო მარცვალი ყურძნისათვის, ეგ კი, თითქოს თავის ზვარში იყოს მოწეული, ისე ატანს სახლში, — ღვარძლი და უკმაყოფილება მუქარაარეულ დასმენაში აურია განყოფილების გამგემ.

— არ გეწყინოს, მაგრამ ვისი ყურძნის მარცვლებზე ღვრი სისხლს?! ადრე რაც დავალება მომეცით, ყველამ შემისრულა, ეხლა დგეხართ და მარცვალიც არ გინდათ, რომ სახლში გაატანოთ? რიღას თავმჯდომარე ვარ მე, აქ მაინც არ ვიდგე; მატყუარა ვარ და სხვა არაფერი! ვუთხარი, დავალება შეასრულეთ და მერე კაცის შვილი ხმას აღარ გაგცემთ მეთქი, პატიოსნად შეასრულეს ჩემი თხოვნა, ეხლა ყაჩაღივით ვდგევარ და მარცვალს აღარ ვატან სახლში, ვის რაღაში სჭირდება ჩემნაირი თავმჯდომარე?! თემურს ვენაცვალე! მაგის გამზრდელის ჭირიმე, რომ ამ გაჭირვებისაგან მიხსნა! მე, აქ გამჩერებელი აღარა ვარ, რაც გინდათ ის გიქნიათ, მეყო ამდენი დამცირება! — საბჭოს თავმჯდომარე გზისკენ წავიდა.

ნიკა გამოეკიდა, მკლავში მოჰკიდა ხელი და თავისკენ შეაბრუნა.

— შენ გახარებას, ერთი მითხარი, ეგ „კოლხოზნიკის“ მძღოლი, თემურა რა კაცია?

— ეგ ის კაცია, ქართულ მიწას ღირსეული რომ ყავს გაზრდილი; სხვის ხელში გაბერწებული სიმართლე მაგასთან იძლე-

ვა ნაყოფს ისე, როგორც დღეს მოხდა. ნიკა ძია, ეგ ის კაცია, სიმართლისათვის არავითარ უამინდობას რომ არ უშინდება! — საბჭოს თავმჯდომარემ ნათქვამს მთელი მოზღვავებული გრძნობები ჩააქსოვა.

— მაგ სიტყვებს შეგახსენებ! — განყოფილების გამგე დაემუქრა.

—სადაც გინდა შემახსენო, ყველგან ამას გავიმეორებ! — თავმჯდომარემ სიტყვა შეუბრუნა...

მიერეკებოდა ცხენს ნიკა და თან თავისთვის ბუტბუტებდა:

— ეს ღვთისნიერი კაცი ვინ იყო, კაცო, დალოცვილმა რა დროზე მოგვისწრო, თორემ ვინ იცის, ის გადარეული რა სისულელეს ჩაიდენდა; არც მე დავუთმობდი და გამიმწარებდა ისედაც გამწარებულ სიბერეს! ეს რა იყო კაცო, როგორი გაზრდილი იყო! მაგისმა დედამ უნდა დაიკვეხოს, შვილი!

იმ საღამოს ნიკამ თემურის სადღეგრძელო პირველად დალია და სანამ არ გამოთვრა სულ „ვახ კაცო!“ და „ჰაი დედასა!“ იძახა...

ნიკა შეიშმუშნა. ცივი საღამო იყო, მზე ჩადიოდა, ის კი კარგა ხანია კუნძზე გაუნძრევლად იჯდა და თავის მოგონებებში დაბორიალობდა.

ეზოს თვალი გადაავლო. ძროხა იქვე ბალახის გვერდით დაწოლილიყო და იცოხნებოდა. ეტყობა ქათმებს საქათმეში შესვლა დაეზარათ, ზოგი უკვე მოკალათებულიყო ლეღვის ხეზე, ზოგი მაღლა იყურებოდა, მოხერხებულ ადგილს ეძებდნენ ტოტზე შესახტომად.

— ეს საოხროები, ერთი დღე რომ არ მიაქციოს კაცმა ყურადღება გაველურდებიან,— ნიკამ ჩაილაპარაკა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა, ისევ თავის ფიქრებს მიუბრუნდა.

იმ ამბის შემდეგ თემური არ უნახია, თავის ყვეოლდღიურ საქმიანობაში გაერთო, ზოგჯერ, როცა გაახსენდებოდა, ხმამაღლა ჩაილაპარაკებდა ხოლმე:

— ჰაი, დედასა, რა ვაჟკაცია, კაცო!

ნიკა ისე შეეჩვია მარტოობას, რომ თითქოს ნაღველიც დაუმსუბუქდა, მუხლშეუხრელად შრომობდა, ხშირად იტყოდა ხოლმე: — შევარცხვინე ისე გლეხი, რომელიც საწოლში მეორე

გვერდზე გადაბრუნდეს, როგორც გაეღვიძება, მაშინვე უნდა ადგეს და საქმეს მოჰკიდოს ხელი.

შრომა იყო მისი გართობის საგანი და სულიერი საზრდო, ამიტომ მარტოობის მწარე სინამდვილეს ისე მძაფრად ვეღარ გრძნობდა.

ნიკას უმცროსი გოგო მეზობელ სოფელში ყავდა გათხოვილი. სიძე ტრაქტორზე მუშაობდა; ნიკას გოგოც ოჯახის ერთგული და მუყაითი იყო, ცხოვრება კარგად ააწყეს. ორი ბავშვი შეეძინათ. ნიკა დროდადრო მიაკითხავდათ ხოლმე, ერთი ღამე დარჩებოდა, შვილიშვილების ალერსით დატკბებოდა და მეორე დღეს ისევ თავისი სახლის გზას დაადგებოდა. თავს ბედნიერად გრძნობდა, შვილები რომ კარგად ყავდა დაბინავებული. და, აი, ერთ დღეს ნიკას ამბავი მოუტანეს, შენ უმცროს გოგოს, დარიკოს, ნაადრევი მშობიარობა დაეწყო, საავადმყოფოში წაიყვანეს, სიძე მინდორშია, ჯერ არ გაუგია, მდგომარეობა კი კარგი არ უნდა იყოსო.

— ვაიმე, შვილო! — ნიკამ თავში შემოიკრა ხელები, ჯიბეში შავი დღისათვის შემონახული ფული ჩაიდო და საავადმყოფოში წასასვლელად გაემზადა. ვიღაცის ძველი „ჟიგული“ დაიქირავა და ისე ჩქარა ატარებინა, რომ მანქანის პატრონსაც უკვირდა, ჩემ „ჟიგულს“ რამდენი შესძლებიაო.

საავადმყოფოს კარებთან მნახველები შეკრებილიყვნენ, კარზემდეგი შიგ შერჩევით უშვებდათ. ნიკა პირდაპირ მიადგა და შესვლა დააპირა; კარზემდეგი გადაეღობა.

— გამიშვი, სამშობიაროში ჩემი შვილი წევს, მინდა გავიგო, როგორ არის, — სთხოვა ნიკამ.

— ყველას ვიღაცა უწევს, სანამ მთავარი ექიმის ნებართვა არ იქნება, ვერ გაგიშვებ! — კარზემდეგმა გადაწყვეტით უთხრა და ნიკას მკერდზე მიაწვა, — მიდექი გვერდზე, ხალხი გაატარე! — ცივად უთხრა და ერთი დიდი ჯგუფი გაატარა; ყველა ხელში რიგრიგობით მანეთაინს უდებდა.

ნიკამ ჯიბეები მოიჩხრიკა, სამმანეთიანზე ნაკლები არა ჰქონდა, ხელში მომუჭა, კარებისაკენ პირდაპირ წავიდა, როგორც სხვებზე დაინახა, მანაც იმ მეთოდით ჩაუდო მუჭაში ფული.

კაცმა მაშინვე გაატარა, მერე ფულს დახედა, სამმანეთიანი რომ დაინახა, გაუხარდა, ნიკას გამოეკიდა.

— სამშობიარო მესამე სართულზეა, თუ რამე დაგჭირდეს, მთავარი ექიმი პირველ სართულზეა კაბინეტში, — ამით მან ზედმეტი ორი მანეთის ვალი მოიხადა და ისევ კარებს მიუბრუნდა.

ნიკა კიბეს აუყვა. აი, თურმე რა ყოფილა მთავარი ექიმის ნებართვა, ფიქრობდა და დამძიმებული ხასიათით მაღლა ადიოდა.

— შვილო, სამშობიაროში დარიკო ხუციშვილი მოუყვანიათ, იმისი მამა ვარ, როგორ არი, გამაგებინეთ! — სართულის ტალანში მოფუსფუსე ახალგაზრდა გოგოს უთხრა. იმან მაღალ, პომადიან ქალთან მიიყვანა.

— ექიმო, ხუციშვილის მამაა, შვილის ამბავი აინტერესებს, — ნიკა წარუდგინა.

— ბატონო, ესე როგორ შეიძლება, ქალი უპატრონოდ მიატოვეთ! არავინ არა ყავს მომკითხავი! — ექიმმა საყვედურები სხვაპასხუპით დააყარა.

— მე სხვა სოფელში ვცხოვრობ, შვილო, როგორც გავიგე, მაშინვე წამოვედი, — გაცეცხლებული ექიმის წინაშე თავი იმართლა.

— იცით, რომ პატრონები აქ ღამეებს ათევენ! თქვენ კი ბედის ანაბარად მიატოვეთ, ეგრე შეიძლება?! — ექიმი არ ცხრებოდა.

მისი გაუთავებელი საყვედურები ნიკას არ მოეწონა.

— მე გინდა აქ ვყოფილიყავი, რას ვუშველიდი, რამე რომ შემძლებოდა, თქვენთან კი არა, მშობიარეს ჩემთან მოიყვანდნენ! ბედის ანაბარად რაზეა, აბა, თქვენ ვინა ხართ?! მე იმიტომ მოვედი, რომ როგორ არის გავიგო!

— გაიგე, ბატონო, ძალიან მძიმე დღეშია! ბავშვი გადავარჩინეთ, მაგრამ დედას სისხლის მოწამვლის ნიშნები აქვს, წამლები თუ დროზე არ მიაშველეთ, შეიძლება მდგომარეობა სავალალო გახდეს.

— ხელს რაღა გიშლით, წამალი მიეცით!

— ხელს ის გვიშლის, რომ წამალი არა გვაქვს? დრო კი

აღარ ითმენს, გასაგებია?!

— ვაიმე, შვილო! რა ვქნა გენაცვალე, მასწავლე! — შეშფოთებული ნიკა ექიმს შეეხვეწა.

— წამალი დღესვე უნდა იშოვოთ, თუ ვერ მოახერხეთ, ხვალ შეიძლება გვიან იყოს.

— სად შეიძლება მაგ წამლის შოვნა? რამდენიც გინდა ღირდეს, არ დავეძებ, ვიყიდი! — შეეხვეწა.

— რაიონის აფთიაქში იკითხეთ, მაგრამ მეეჭვება, რომ ჰქონდეთ, სასწრაფოდ თბილისში გადამყიდველებთან უნდა წახვიდეთ, — ექიმმა ნიკას თავი დაანება და ხალათიან გოგოს მიუბრუნდა.

— ექიმო, ამბობს, მე აბორტი ტასიკოსთან უნდა გავიკეთო, დღეს იმიტომ მოვედი, რომ მისი მორიგეობა მეგონაო, — გოგომ მოახსენა.

— ტასიკოს ისაც ეყოფა, რო ჩემს მორიგეობაში აბორტებს აკეთებს და ჩემ წილ ფულს იჯიბავს; თანაც ხალხს თავის მორიგეობაზე იბარებს. მაინც და მაინც ჩემთან უნდა შეიყარონ უპატრონოები, მუქთად რომ უნდა აბორტიც და მშობიარობაც! — ექიმმა ნიკას საყვედურნარევი მზერა მიანათა.

— რამდენი არის, შვილო, საჭირო, ეხლავე გადავიხდი, — ნიკამ ხელი ჯიბეში ჩაიყო და ფულის შეკვრა ამოიღო.

— ჯერ არაფერი არ გინდა, წადი, წამალი იშოვე, მერე ვნახოთ, — ექიმმა საუბრის ტონი დაარბილა.

ნიკა მოუფიქრებლად გამობრუნდა, ბებრულად აჩქარდა, მერე უცებ რაღაცა მოიფიქრა და ექიმთან მივიდა.

— შვილო, რომელი წამალი ვიშოვნო? — ჰკითხა;

— ცეპორინი, ან სიგმომიცინი! — ექიმმა მკვახედ უპასუხა.

ნიკა გაბრუნდა, სანამ კარებთან მივიდოდა, ორივე წამლის სახელი დაავიწყდა, ისევ მივიდა ექიმთან.

— შვილო, გენაცვალე, ქაღალდის ნაგლეჯზე დამიწერე ეგ ცირინი თუ ნამიცი, თორემ დამავიწყდება და დავიღუპები.

ექიმს პირველად გაეღიმა, ორივე წამლის სახელი ქაღალდზე დაუწერა; ისეთი ირონიული ღიმილით მიაწოდა, თითქოს ფიქრობდა, შენ არაფრის მშოვნელი არა ხარო...

ნიკა რაიონის აფთიაქის გამგესთან შევიდა. მაგიდასთან გახუნებულპერანგიანი, შუახნის, ბრაზიანი გამომეტყველების კაცი იჯდა.

— გამარჯობა შენი! — მიესალმე ნიკა.

— გაგიმარჯოს! — ბოხმა ხმამ ცოტა მოგვიანებით უპასუხა.

— აი, ეს წამლები მინდა, ძალიან მიჭირს, შვილი საავადმყოფოში მიწევს, შენი ჭირიმე, არ გამაწბილო! — ნიკამ ქაღლდი მუჭით მიაწოდა.

აფთიაქის გამგემ წაიკითხა და შუბლი შეიკრა. ნიკა ამისი სახის გამომეტყველებას სასოებით აკვირდებოდა; შუბლის შეკვრა ცუდად ენიშნა.

— შენი ჭირიმე, არ დამღუპო, რამე უნდა მამიხერხო! — როგორც შეეძლო შეეხვეწა.

— ბიძაჩემო, ეს წამლები ჩვენ არ გვაქვს, გინდა გვქონდეს, ექიმის რეცეპტის გარეშე ვერ მოგცემთ; თანაც საავადმყოფოში მყოფ ავადმყოფისათვის წამლის გაცემის უფლება არა გვაქვს; მათ აქვთ თავიანთი აფთიაქი, იქიდან უნდა მოგცენ წამალი. — ქაღალდის ნაგლეჯი თანაგრძნობით დაუბრუნა.

— დღის ბოლომდის თუ წამალი ვერ ვიშოვე, დემეღუპება შვილი, — ნიკამ თავში შემოიკრა ხელები.

— რით არის ავად? — შეეკითხა აფთიაქის გამგე.

— ორი შვილის დედამ მესამე შობა, ამბობენ, ძალიან მძიმედ არისო; რა მეშველება, სუყველანი დაიღუპებიან, მაგას რომ რამე მოუვიდეს! — ნიკას ყელში ბოღმის ბურთი გაეჭედა.

— წადი, ბიძა ჩემო, ეცადე, იქნებ იშოვო, მე კი თქვენ შვილს აუცილებლად ვინახულებ, — აფთიაქის გამგე ფეხზე წამოდგა და ნიკა კარებამდე გააცილა.

გაფითრებული ნიკა აფთიაქის წინ იდგა. ვერაფერი მოეფიქრებინა რა ეღონა, სად წასულიყო, ვისთვის მიემართა, დახმარება ვისთვის ეთხოვა. ცხოვრება სულ მიწასთან ჭიდილში გაატარა, ამგვარი ხლაფორთისა არაფერი გაეგებოდა; თავისი უსუსრობის შეგნება უფრო აღიზიანებდა.

— ბიძია, ცუდად ხომ არ ხარ? — ერთი ახალგაზრდა გოგო შეეკითხა, — ძალიან ცუდი ფერი გაქვთ.

მას სხვებიც შეუერთდნენ.

— წამოდით, ცოტა ხანს სკამზე ჩამოჯექით, კაპლს მოგიტანთ, — იმ გოგომ ხელი მოჰკიდა.

— ეხ, შვილო, კაპლი კი არა, სამი ფიცარი მინდა, რომ დავისვენო! — ნიკამ ამოიგმინა.

— რა მოხდა, შე კაი კაცო, რა გული გაგიტეხია! — საუბარში შავებში ჩაცმული შუახნის ქალი ჩაერია.

— რაღა რა მოხდა, საავადმყოფოში შვილი მიკვდება, წამალი კი ვერ მიშოვნია; რა წყალში ჩავვარდე, არ ვიცი!

— საწყალი! — ვიღაცამ ჩაილაპარაკა.

— ამას რად მისცემენ, ექნებათ ბობოლებისათვის შენახული! — ვიღაცა ქალი ცხარობდა.

— ბიძია, რაიკომში მიდი, იქნება, ისინი დაგეხმარონ, — ურჩია ახალგაზრდა გოგომ.

— სად არის შვილო ეგ რაიკომი?

— აგერ, — გოგომ ხელით ანიშნა, თეთრ სამსართულიან შენობაზე.

ნიკა რაიკომისაკენ ისე გაექანა, მადოლობის თქმაც კი არ გახსენებია. წყალწაღებულმა ხავსი დაინახა და ხელის ჩაჭიდება სცადა.

მესამე სართულზე კითხვა-კითხვით ავიდა. ტალანის ბოლოში გაჩერებულ სამი ქალისაკენ გაემართა.

— რაიკომი აქ არის, შვილო? — იკითხა.

— ჰო, ეს არის რაიკომი, — უპასუხეს.

— სადა ვნახამ? — კვლავ იკითხა.

— ვისი ნახვა გინდა, ძია? — წინ წამოდგა მშვენიერი ახალგაზრდა ქალი.

— რაიკომის, შვილო, — თვითდაჯერებულად უპასუხა ნიკამ.

ქალებს გაეღიმათ.

— რაიკომი ბევრი თანამშრომელია, თქვენ ვინ გითხრეს, ვინა ნახეო? — აუხსნა ახალგაზრდა ქალმა.

— გოგო მყავს საავადმყოფოში, ძალიან მძიმედ არის; წამლის მიცემა რომ შეუძლია, ის კაცი მინდა, შვილო.

ქალებს ისევ გაეღიმათ.

მერე ერთმანეთთან ჩურჩული დაიწყეს.

— საწყალს ეტყობა ძალიან უჭირს ვისთან მივიყვანოთ, რომ მიეხმაროს?

— ქეთინო, განყოფილების გამგესთან მიიყვა, — ურჩია ერთმა.

ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც ქეთინო ერქვა, ტუჩი ასწია, მაგრამ ნიკას მაინც უთხრა:

— აბა, წამობრძანდით, ერთ კაცთან მიგიყვანთ, ვნახოთ, იქნებ გიშველოთ რამე, — ერთი კაბინეტის კარებთან მიიყვანა. — აი, აქ შედით, ყველაფერი აუხსენით, იქნებ დაგეხმაროთ, — უთხრა და ისევ ქალებისაკენ გაბრუნდა.

ნიკამ კარები მოწიწებით გააღო და ოთახში შევიდა.

არეულად ქაღალდებდაყრილ მაგიდასთან კაცი იჯდა და რაღაცას წერდა. კარების გაღების ხმაზე თავი მაღლა აიღო, დაელოდა სანამ შემოსული კარებს დახურავდა და მკვახედ ჰკითხა:

— რისთვის მოსულხარ?

— შვილო, წამალი მინდა, ავადმყოფისათვის, — რამდენადაც შეეძლო მოკრძალებით უთხრა.

— შენ იცი, სად მოხვედი? შენობაში რომ შემოხვედი, ვერ წაიკითხე, რაიკომიო? კაცი დაბერებულხარ და აქამდე ვერ გაიგე, რომ წამალი აფთიაქში იყიდება?! — ქაღალდების იქით მჯდარი კაცი ბობოქრობდა.

უცებ ნიკას თითქოს დენმა დაარტყაო, შეხტა, „ბიჭოს, ეს ხომ ის კაცია ყურძენს რომ მართმევდა და მემრე დაჭერა მომინდომა! აქ რამ შემოგიყვანა შე დალოცვილო, შენა!“ გარეთ ისე გამოვიდა, ხმა არ ამოუღია; მიხურა კარები და გულიანად მიაფურთხა.

— თფუჰ! აბა აქ ყოფილა საგიჟეთი! — ჩაილაპარაკა და ის იყო წასვლა დააპირა, რომ ის ქალი, ქეთინო, დაადგა თავზე.

— რაო, რა გითხრა? — თანაგრძნობით ჰკითხა.

— რა დაგიშავე, შვილო, მაგ ცოფიანთან რომ მიმიყვანე, მე ჩემი ჭირი არ მეყოფა?! — უსაყვედურა.

ქეთინო სირცხვილისაგან გაწითლდა. უცებ რაღაცა მოიფიქ-

რა, ნიკას ხელი მოჰკიდა და თითქოს დანაშაულის გამოსყიდვა უნდაო, უთხრა:

— წამოდი, ძია, ისეთ კაცთან მიგიყვან, რომ რამეს აუცილებლად მოგიხერხებს.

— ეგრე, შენი ჭირიმე, შენი გამჩენის ჭირიმე! — იმედმიცემული ნიკა ქეთინოს გაყვა. „კიდევ კარგი არ მიცნო, იმ წყეულმა, თორემ ნამდვილად დააჭერინებდა ჩემ თავს. ეგ ჭირიღა მინდოდა?“ — ფიქრობდა ქეთინოს გვერდით მიმავალი ნიკა.

ქეთინომ ერთი კაბინეტის კარები შეაღო.

— შეიძლება? — იკითხა.

— შემობრძანდით! — ნიკას მამაკაცის ხმა შემოესმა. ქეთინო შევიდა და ნიკაც შეიყვანა.

პირდაპირ მაგიდასთან მჯდარი მამაკაცი ადგა, მათკენ გაემართა.

— პატივცემულო, თემურ, ეს კაცი ძალიან გაჭირვებულია, გვაპატიეთ და ისევ თქვენ შეგაწუხეთ, — ქეთინომ მოკრძალებით უთხრა.

— ვეცდებით, ქეთინო, რაც შეგვიძლია. გამარჯობა, ძია კაცო! — ნიკას ხელი გაუწოდა.

ნიკამ თემური იცნო და გული კინაღამ ბუდიდან გადმოუვარდა, ისე აუძგერდა.

თემურმა ჩვეული ღიმილით ჩამოართვა ხელი და სახეზე დააკვირდა.

— მოიცა, მოიცა! — ნიკას ხელი მაგრად ეჭირა, — თქვენ ნიკა ძია არა ხართ? — ნიკას პასუხს აღარ დაელოდა, სახეზე სიამოვნების ღიმილი გაებადრა. — ნიკა ძიას გაუმარჯოს! — ხმამაღლა დაიძახა, მარცხენა ხელი მოხვია და მკერდში ჩაიკრა.

— ნიკა ვარ, თემურ, ნიკა! — ამოილუღლუღა ნიკამ და თვალები მოუცრემლიანდა.

თემურის მკერდიდან თავი არ აუღია, ცრემლები უჩუმრა მოიწმინდა.

— ნიკა ძია, ღვინო ხომ არ დაგიძმარდა? მე კი გიმტყუნე, ერთხელ არ შეგეშველე დალევაში! — თემურმა სიცილით უთხრა და ნიკა სკამზე დასვა.

ამ შეხვედრით გაკვირვებული ქეთინო ერთ ადგილზე გაჩერდა, მერე მოტრიალდა და სიამოვნების ღიმილთან ერთად გავიდა.

— ცოტა ხანს მაპატიე, ნიკა ძია, ამ ამხანაგებს გავისუტმრებ და მერე ჩვენი საქმე გავაგრძელოთ, — უთხრა და თავის სკამისაკენ წავიდა, ტელეფონის ყურმილი აიღო.

„ჩვენი საქმე გავაგრძელოთ“, ნიკას გულზე რაღაც თბილად მოხვდა. თემურმა არ იცის, რა მიჭირს, რომ გაიგებს, მთელ რაიონს ფეხზე დააყენებს; ნიკას თემური რაღაც ძალიან ახლობლად ყავდა წარმოდგენილი. მე მძღოლი მეგონა, ეს კი რამხელა კაცი ყოფილა; ეს ბოროტი განყოფილების გამგეს რომ ეძახიან, როგორ გააჩუმა, ეტყობა იმაზე დიდი კაცია. თემურის უშუალობით გამთბარი ნიკა წყნარად იჯდა და მძიმე ტვირთი, შვილის ავადმყოფობას რომ ახლდა თან, ისეთი ძალით აღარ აწვებოდა; ეჭვიც აღარ ეპარებოდა, რომ ახლა აღარაფერი გაუჭირდებოდა.

ოთახს მოავლო თვალი, ახლა დაინახა, რომ იქ მის გარდა ორი სხვა სტუმარიც იყო: შავებში ჩაცმული გამხდარი მოხუცი ქალი და სახედამწვარი ცალხელა ყავარჯნიანი კაცი.

— სატყეოს უფროსი მინდა, — თემურმა ყურმილში ვიღაცას უთხრა.

— ზაქრო, შენა ხარ? გამარჯობა! როგორა გაქვს ზამთრისათვის შეშის დამზადების საქმე?.. ბილეთებს ყიდი?.. სამამუმლო ომის მონაწილეებსა და ინვალიდებს ხომ აძლევთ... მოდიან და თვითონ მიაქვთ?.. ეგ არ გევალება?.. გული რასა გკარნახობს, გულს არ უყვარს ტრაფარეტით მუშაობა; ცოტა გრძნობაც უნდა მოვიხმაროთ. აქ ჩემთან არის მართა მახარობლიშვილი, ხვალ შეშა უნდა მივუტანოთ, ოთხი შვილი და ქმარი დაკარგა ომში, შევარცხვინე, ვინც მართა ბაბოს ესე გაუჭირვა!.. კარგი, რახან ესეა, ბილეთს მე ვიღებ; ხვალ დღის მეორე ნახევარში მე და შენ წავალთ და მართა ბაბოს შეშას დავუმზადებთ, შევთანხმდით?.. მე აღარა ვარ საჭირო?.. კარგი მაშინ თუ ნებას მომცემ, მართა ბაბოს შენი სახელით შევპირდები, რომ ხვალ საღამოს შეშას მიუტანთ!.. გამდლობთ, ზაქრო! კარგად იყავი!

თემურმა ღილაკს თითი დააჭირა, ცოტა ხნის შემდეგ გოგო შემოვიდა.

— ტუხაშვილი თუ არ წასულა, სთხოვე, ჩემთან შემოვიდეს, — უთხრა თემურმა და ყურმილი აიღო.

— სობესის გამგე მინდა, — უთხრა ტელეფონის მავთულის მეორე ბოლოში ვიღაცას.

— რაიკომშია? — თემურმა ყურმილი დადო.

ოთახში მაღალი, გამხდარი შავტუხა ბიჭი შემოვიდა.

— დათო, მართა ბაბოს, ხომ იცნობ? — ჰკითხა თემურმა.

— როგორ არა მართა ბაბო ჩვენი სიამაყეა! — უპასუხა დათომ.

— მგონი სოფელში მიდიოდი.

— კი, სწორედ კიბიდან მომაბრუნეს.

— თუ არ შეწუხდები, მართა ბაბო სოფელში წაიყვანე, — თემური ადგა, შავებიან მოხუც ქალთან მივიდა, ხელი მოჰკიდა და ფეხზე ააყენა.

— აბა, კარგად იყავ, მართა ბაბო, ხვალ საღამოთი აუცილებლად გამოგივლი და ვნახავ, როგორ შეშას მოგიტანენ.

— ეხ, ჩემი შვილების დამკარგავს, ან შეშა და ან სიცოცხლე რად მინდა, მაგრამ მგონია, მე რომ ბუხარში ცეცხლი მინთია, იმათ სულებს შვებას ვაძლევ მეთქი, — მოხუცმა ცრემლები მოიწმინდა. — დიდი მადლობა, თემურ, შენა ხარ ჩემი იმედი, აგრემც ღმერთი გაგახარებს!

თემურმა მართა ბაბო გარეთ გააცილა და სობესის გამგესთან ერთად შემოვიდა კაბინეტში.

— ამ კაცს იცნობ? — სახედამწვარ ხეიბართან მიიყვანა.

— არა! — გაკვირვებით უპასუხა მან.

— სამჯერ გამოუძახიათ, გამოჯანმრთელდი და კატეგორია უნდა შეგიცვალოთო; ადრეც იყო ჩემთან და სულ უფრო უარესად არის; ნუთუ ამას შენი ინსპექტორები ვერ ამჩნევენ? — საყვედურით უთხრა თემურმა.

— არ ვიცი, რაშია საქმე, გავერკვევით პატივცემულო თემურ! — აწრიალდა სობესის გამგე.

— როცა ამგვარი ადამიანების ნატკენ გულში ზოგიერთი ბიუროკრატი მუშაკი თავისი ცივი დებულებებით დაბორიალობს, ცუდი არ იქნება მის ადგილას თავისი თავი წარმოიდგინოს. ნუ

ვუღალატებთ ადამიანურ გრძნობებს, თორემ ჩვენც ბერვჯერ მოგვხვდება, თუ ჯერ არ მოგვხვედრია, გამრავლებულ გადაგვარებულთა უსამართლო და გაუხეშებულ გრძნობათა სუსხი, — თემური გულის სითბოს აყოლებდა ყოველ სიტყვას.

— წამობრძანდით ბატონო! — სობესის გამგე ხეიბართან მივიდა. — გავარკვევთ რაშია საქმე და ამ კაცს უკმაყოფილოს არ დავტოვებთ.

სახედამწვარი კაცი წვალებით ადგა, ყავარჯენს დაეყრდნო.

— დიდი მადლობა, თემურ! — დამწვარი ტუჩებიდან სიტყვები ძლივს გამოცრა და სობესის გამგეს გაყვა.

თემურმა თავისი სკამი დატოვა და ნიკას გვერდით დაჯდა.

— აბა, მომიყევი, ნიკა ძია, როგორა ხარ, რა გაგჭირებია?

— თემურ, შვილო, გასაჭირი ნამდვილად ძალიან დიდი მაქვს, საავადმყოფოში შვილი მიკვდება და წამალი ვერ მიშოვია!

— აბა, დაწვრილებით მომიყევი, რაშია საქმე?

ნიკამ ყველაფერი მოუყვა, ისაც უთხრა, რომ აფთიაქის გამგესთან იყო და ვერც იმან უშოვა.

თემურმა ყურმილი აიღო, ვიღაცას დაურეკა.

— დიმიტრი ხარ? გამარჯობა! ერთ მშრომელ კაცს შვილი ყავს ავად, სამი შვილის დედა, სავადმყოფოდან წამლები დაუვალებიათ, რა ვქნათ?.. შენთანაც იყო?.. საავადმყოფოში აპირებდი გადასვლას?.. თემური ცოტახანს დაფიქრდა, მერე რაღაც გადაწყვიტა, — დიმიტრი, იცი რა, მე გადაუდებელი საქმე მაქვს, მაგრამ თუ ეხლავე გამონახავ დროს, მოდი ერთად წავიდეთ, იქნებ არც ისე მძიმე მდგომარეობაა, როგორც დაუხატიათ.. ახლავე გამოვდივართ, — თემურმა ყურმილი დადო და ფეხზე წამოდგა.

— წავიდეთ, ნიკა ძია, თქვენი შვილი ვნახოთ და იქვე მოვიფიქროთ, რის დახმარება შეგვიძლია. — თემურმა ნიკას ხელი მოხვია და ასე გამოვიდნენ გარეთ.

— ნახევარ საათში დავბრუნდები, — გოგოს დაუბარა და ორივე დაეშვნენ კიბეზე.

დიმიტრი უკვე დაბლა ელოდებოდათ. ნიკა მძღოლის გვერდით მოეწყო, მანქანა საავადმყოფოსკენ დაიძრა.

— როგორ მიგაჩნია, დიმიტრი, ავადმყოფის პატრონის ეგრე შეწუხება შეიძლება? ნუთუ დღეს იმის საშუალება არა გვაქვს, რომ ამ პატიოსან კაცს და მის მსგავსებს მკურნალობის იმედი ჰქონდეთ?! — თემური მის გვერდით მჯდომ დიმიტრის მიუბრუნდა.

— ეხ, რა გიპასუხო, თემურ, ბევრს ვაშავებთ ჩვენი პირადი კეთილდღეობის ხათრით, ის კი გვავიწყდება, რომ ამგვარ კეთილდღეობას ამ მოხუცის და სხვა მრავალი პატიოსანი ადამიანის ცრემლის სუნი უდის. საავადმყოფოს აფთიაქში ყველა სახის წამალი აქვთ, რა საჭიროა ამ გლეხის შეწუხება! ამან რა იცის, სად იშოვოს, ვინ იცის გადამყიდველებთან მამასისხლად ნაყიდი წამალი შეიძლება არც ვარგოდეს...

სამივე მთავარ ექიმის კაბინეტში ისხდნენ.

— ასეა, ბატონო, ყველა ავადმყოფის პატრონს ჰალუცინაციები აქვს, წამალს არ აძლევენო, კარგად არ უვლიანო, საწოლები არ ვარგაო, უსუფთაობააო, დალოცვილებს რაც თავის სახლში არ უნახავთ, აქა თხოულობენ იმას! აბა, რა უნდა ვილაპარაკო, როცა ამ ასაკის კაციც საჩივარზე დადგება! — მთავარმა ექიმმა ნიკასკენ გაიშვირა ხელი.

— არავის არ უჩივლია, საწყალი შეწუხებული იყო და დახმარება ჩვენ გვთხოვა; ეგრეა, ბატონო, როცა ზოგიერთი ადამიანი თავის მოვალეობას საეჭვოდ ასრულებს, სხვებს ათმაგი ენერგია ეხარჯებათ მისი გამოსწორებისათვის. ნურც ასე გაგაღიზიანებთ სამართლიანი მოთხოვნა! ზერელედ შევიხედოთ თქვენ ნაქებ ობიექტზე და ნახავთ, ზედაპირზე რამდენი ნაკლოვანება ტივტივებს; სიღრმეში რა ამბავია ამას აღარ ვამბობ! — თემურმა შუბლი შეიკრა.

— წავიდეთ, ვნახოთ! — მთავარი ექიმი აღელვებული წამოდგა.

ტალანში უსუფთაობას თან მისი დამახასიათებელი სუნი ახლდა; ავადმყოფის მნახველები სავსე და უკვე დაცლილი ჩანთებით მიდი-მოდიოდნენ. პალატებში იმდენი ჭრელაჭრულა ხალხი შედიოდა და გამოდიოდა, რომ საავადმყოფო კი არა, რომელიმე წარმოების კანტორა ეგონებოდა მნახველს. მთავარი ექიმი ვერაფერს ამჩნევდა, პირდაპირ გინეკოლოგიური განყოფილებისაკენ მიდიოდა.

ფართო ჰოლში მაგიდასთან ექთანი იჯდა.

— ტასიკო მოვიდეს! — უბრძანა მთავარმა ექიმმა და ისაც სირბილით წავიდა მის დასაძახებლად.

თემური ფანჯარასთან მივიდა, ეზოში იყურებოდა, ეტყობოდა რაღაც არასასიამოვნო ფიქრები აწვალებდა. დიმიტრი კედელთან სკამზე ჩამოჯდა და ნიკა მოისვა გვერდით.

მთავარი ექიმი ადგილზე ცქმუტავდა, მალმალე ღრმად ამოიქშინებდა ხოლმე, თითქოს ვიღაცას უბრაზდებოდა; მის საქციელს ფარული მუქარა ახლდა.

ექიმი გამოჩნდა, ნიკამ იცნო, ის იყო, წამალი რომ დაავალა, ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა, სახეზე შეშფოთება და უკმაყოფილობა ეხატა.

— როგორ არის, ქალო, ამ კაცის შვილი?! — უხეშად ჰკითხა მთავარმა ექიმმა.

— მძიმე მშობიარობა ჰქონდა, გამოკეთდება, ალბათ, — სულმოუთქმელად უპასუხა.

თემური მობრუნდა, სახეზე ჩვეული ღიმილი შეჰყინოდა.

— რა წამლები სთხოვე ამ კაცს, ქვეყანა რომ შეყარა! — ხმას აუწია მთავარმა ექიმმა.

— მალე რომ მორჩენილიყო, ვუთხარი, თუ იშოვნიდა ცეპორინს... — ექიმს ხმა ჩაუწყდა, მერე უცებ აფეთქდა: — მარტო ჩივილზე და დაბეზღებაზე არიან, ამის შემდეგ ნახონ იმ ქალბატონს რა დღეში ჩავაგდებ! ამათ ადამიანური მოქცევა არ ესმით!

— რატომ ბრაზობთ, ქალბატონო? — დინჯად უთხრა თემურმა, — ავადმყოფს, რომლის სიცოცხლე საფრთხეშია, არა მგონია მუქარამ უმკურნალოს! ცეპორინი თუ გაქვთ საავადმყოფოში? — იმავე ტონით ჰკითხა.

— რომ გვქონოდა, ბატონო, მაგ კაცს კი არ დავავალებდი! — მან საგრძნობლად უხეში ტონით უპასუხა.

— დიმიტრი, მე მგონი, მთავარი ექიმი წინააღმდეგი არ იქნება, თუ ამათ აფთიაქში რაიმე ამ წამლის მსგავსს მოძებნით, — სთხოვა თემურმა.

— წავიდეს, ბატონო, ნახოს! — გაცხარდა მთავარი ექიმი.

დიმიტრი უსიტყვოდ წავიდა.

— ნუ ღელავთ, ჩვენ აქ საჩხუბრად არ მოვსულვართ; შემოგიარეთ მხოლოდ იმისათვის, რომ ერთი პატიოსანი მშრომელი კაცის შვილის, სამი შვილის დედის, გადარჩენაში და მკურნალობაში მოგეხმაროთ, — ირონია არ აკლდა თემურის სიტყვას.

— ჩვენ მკურნალობის საქმეში დახმარებას არ ვსაჭიროებთ! კარგად ვართმევთ თავს დაკისრებულ მოვალეობას; ტყუილად არ გვაქებს სიმონ პეტროვიჩი, ამას წინათ აქტივის კრებაზე შემთხვევით არ დაგვასახელა მოწინავეთა შორის; აი, ვინა ვართ ჩვენ! — მთავარი ექიმი გაიჯგიმა.

— სიმონ პეტროვიჩის შექება უფრო მეტი პასუხისმგებლობის წინაშე გაყენებთ და ის ავანსია, რომელიც თქვენგან იმ შექების დონემდე ამაღლებას მოითხოვს! — თემურის სახეს დამცინავი ღიმილი არ მოსცილებია.

— სიმონ პეტროვიჩს არაფერი არ ეშლება, ამაში შემიძლია თამამად, ვისაც გნებავთ, იმას შევეკამათო! — მთავარმა ექიმმა ხმა აიმაღლა.

— სიმონ პეტროვიჩი არ ვიცი, აი, თქვენ რომ გეშლებათ ამაში კი ეჭვი აღარ მეპარება! — თემურის თვალებში ბრაზის ნაპერწკალი აკიაფდა.

— მაინც რა გვეშლება?! — მთავარმა ექიმმა პოზიციები არ დათმო.

— საავადმყოფოში უდისციპლინობა და ანტისანიტარია რომ არის ეს ჩვენ დღეს ერთად მოვიხილეთ; ავადმყოფებს წამლებს რომ არ აძლევთ და ეშმაკმა იცის, თქვენ წამლებს რას უშვრებით, ეს ყველამ იცის; ამ კაცის ამბავი პირველი არ არის. რაიონში მშობიარობამ იკლო, გთხოვეთ, რომ ახალგაზრდა დედებს ჩაუტაროთ საუბარი აბორტის მავნეობის შესახებ, თქვენთან კი პირიქით ხდება. ეხლა გამახსენდა, ტასიკო ექიმი თქვენ ბრძანდებით, არა? — ექიმს მიუბრუნდა, პასუხს აღარ დაელოდა და გააგრძელა: — ამას წინათ ერთი ჩვენი კარგად ცნობილი ახალგაზრდა კაცის მეუღლე იყო აქ ავადმყოფის სანახავად, ფეხმძიმედ არის, ტასიკო ექიმს ენახა და კინაღამ ძალათი გაუკეთა აბორტი: ვიცი, სხვის მორიგეობის დროს მოხვალ, რაღა

იმათ გაგიკეთონ აბოროტი, მე აქ არ ვარო. ამ ამბავმა ისეთი სერიოზული სახე მიიღო, რომ ატირებული ქალი ქმარს მიადგა. იცით, თუ არა, ბავშვის მოუთმენლად მომლოდინე მამა ძლივს დავაწყნარეთ?! იქნებ თქვათ, რომ ეს სიმართლე არ არის. თუ ტასიკოს ეყოფა გამბედაობა და ამას უარყოფს, ვაფრთხილებ, რომ ამ საკითხს სერიოზული მსჯელობის საგნად გავხდი! იყო თუ არა ასე! როგორც ვიცი, იმ ქალის ქმარი სახლშიც მოგივარდათ, — თემური ტასიკოს მიუბრუნდა პასუხის მოლოდინში.

ქალმა თავი ჩაღუნა, სახე ყურებამდე გაუწითლდა.

მთავარმა ექიმმა რაღაც ჩაიბურტყუნა, ტასიკოს კი არა, უფრო თემურის მისამართით იყო.

დიმიტრი გამოჩნდა, გვერდით საავადმყოფოს აფთიაქის გამგე მოჰყვებოდა.

— ცეპორინი ვნახეთ? — დიმიტრიმ საზეიმოდ თქვა და ნიკას თვალი ჩაუკრა.

მთავარი ექიმი და ტასიკო ცივწყალგადასხმულივით იდგნენ.

თემურს არაფერი უთქვია, წასასვლელად მოემზადა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მერე უცებ მოტრიალდა:

— ამ კაცის შვილს პირადად თქვენ გაბარებთ, ტასიკო, მიხედეთ ისე, როგორც ნამდვილ ექიმს შეშვენის, თუ გავიგეთ, რომ რამე დააკელით, ან უდიერად მოეპყარით, მაშინ... — წინადადება აღარ დაამთავრა. — ნიკა ძია, ჩვენთან წამოდი, დარწმუნებული იყავი, თქვენ შვილს არაფერი გაუჭირდება; შვილიშვილის ძეობა არ გამოგვაპარო, — ნათქვამს თემურმა ჩვეული საღი, ალალი ღიმილი დააყოლა.

ტასიკო გამოეკიდა:

— ბატონო თემურ, დამიჯერეთ, ჩემი საკუთარი დასავით მოვუვლი, — პირმოთნეთ უთხრა.

— მაშინ წინასწარ დიდ მადლობას მოგახსენებთ! — თემურმა სახეგაბადრულ ტასიკოს ხელი ჩამოართვა. — კარგად ბრძანდებოდეთ! — გამოემშვიდობა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო თემურ! — გაიხარა ტასიკომ.

თემური მთავარ ექიმსაც გამოემშვიდობა და კიბეზე სწრაფად

დაეშვა; დიმიტრი და ნიკა ძლივს ეწეოდნენ.

— მაგან თავისი თავხედობა არ მოიშალა, ყველას თვალებში ეჩხირება, იმიტომაც გულზე არ ახატია სიმონ პეტროვიჩს. მოიცადოს, ყველაფერს მოვახსენებ; ბოლოსდაბოლოს როდემდის აპატიებს, არავის არ სცნობს, მოიცადოს! — დაემუქრა მთავარი ექიმი და ტასიკოსთან ერთად სამშობიაროში შევიდა...

— ვახ, რა ბიჭი იყო, კაცო! — ამოიგმინა ნიკამ და ფიქრებიდან ისევ გამოერკვა.

ბინდმა იმძლავრა.

საგრძნობლად ციოდა.

ნიკა ადგა, მარნისაკენ წავიდა.

— ვახ, რა ბიჭი იყო, კაცო! — თითქოს ვიღაცას ელაპარაკებაო, რამდენიმეჯერ ხმამაღლა გაიმეორა.

ერთ ქვევრთან ჩაიმუხლა.

— ეხ! როგორ მინდოდა ეს დალოცვლილი თემურისათვის ამეხადნა! — ამოიოხრა და მიწის მოცილება დაიწყო.

სახურავი ახადა. ჩაისფრად ჩამუქებულ ღვინოში ჭიქა ჩაყო და მიატარ-მოატარა. ზედაპირზე ნაპერწკლები აცეკვდა, თითქოს უხაროდათ, რომ ამდენი ხნის ტყვეობის შემდეგ გაიხსენეს. ჭიქა ამოიღო და სინათლეზე გახედა.

— აფსუს, შენი ღირსი დამლევი რომ ვეღარ მოგიყვანე, შე დალოცვილო! — ნათქვამს გული ამოაყოლა და ჭიქა ტუჩებთან მიიტანა.

ნახევრად დალია, ჭიქა იქვე პატარა სკამზე დადგა და ულვაშები მუჭით მოიწურა.

— მოდი, თემურ, თითო ჭიქა დავლიოთ, — ჩაილაპარაკა და თითქოს თემური აქ ყოფილიყოს, უცებ აფუსფუსდა.

ქვევრში ხელადა ჩაყო...

გარეთ, კუნძთან პატარა, დაბალი მაგიდა იდგა, კუნძზე ნიკა იჯდა, მოპირდაპირე მხარეს სამფეხა სკამი იდგა. ხელადით ღვინო, ორი ღვინის ჭიქა, შოთის პური და ყველი ეწყო მაგიდაზე. ორივე ჭიქა გაავსო.

— დავიწყოთ არა? — ჩაილაპარაკა, ჭიქა აიღო, მეორე ჭიქას დაარტყა. — შენი მსგავსი შვილები უმრავლოს მამულს, თემურ!

— სულმოუთქმელად გამოცალა, ჭიქა დადგა და პური გატეხა; ერთი ლუკმა ძლივს გაღეჭა, ჭამა არ უნდოდა, შვებას მხოლოდ ღვინოში გრძნობდა.

კუნძზე გასწორდა, ზურგით კედელს მიეყრდნო და ისევ ფიქრებში გაიბლანდა:

— ეხ, დალოცვილმა, გადამირჩინა მაშინ შვილიც და იმისი მშვენივრად გამართული ოჯახიც! — ჩაილაპარაკა და ისევ ფიქრებს მიეცა: ხუთი დღის წინ ნიკას მეზობელ ბიჭს, დათოს, უბედურება შეემთხვა: მინდორში ხნავდა, მარტო იყო, ტრაქტორისთვის გუთანი უნდა აეხსნა, მარტოხელას გაუჭირდა, ბოლოს, როცა უკვე მოახერხა ახსნა, ტრაქტორი დაგორდა და გუთანზე მიაჭყლიტა. ცოცხალმკვდარი აიყვანეს საავადმყოფოში; ერთიანად დაჟეჟილი და დამტვრეულის გადარჩენის იმედი ძალიან მცირე იყო.

დათოს ბაბოს თერთმეტი თვის გოგო გულში ჩაეხუტებინა და თითქოს წინ მკვდარი ედო, ისე მოსთქვამდა. დათოს ცოლი და დედა კი, როგორც ეს ამბავი გაიგეს, საავადმყოფოში წავიდნენ და აღარ დაბრუნებულან.

გული უკვნესოდა ნიკას, ბოლოს ვეღარ მოითმინა და მოხუცს მიაკითხა.

— დავიღუპეთ, ნიკავ! ჩვენი დათო, ჩვენი თვალის სინათლე აღარა გვყავს! ვაიმე, ჩემო დაობლებულო, მაყვალა გოგო! ვაიმე, დაქცეულო სახლკარო! — გულამოსკვნით ტიროდა ელდისაგან ძალაგამოცლილი მოხუცი.

— ეგრე რათა ტირიხარ, ბაბალე, უფალმა არ გიწყინოს! ბიჭი ცოცხალია შენ კი უკვე გამაიგლოვე! — ნიკა დაწყნარებას ეცადა.

— რაღა ცოცხალია, ნიკავ, გონზე აღარ არისო, ვაი, მოგიკვდეს, ბაბო, შვილოოო!!! ახლა კიდევ რაღაცა წამლები ყოფილა საჭირო, ჩემი ბიჭი დარბის ვერ უშრვნია, ვაი! ვაი! ვაი! — მარცხენა ხელი მუხლებში წაიშინა, მარჯვენათი კი პატარა მაყვალას გულში იხუტებდა. — რატო უწინ მე არ მოვკვდი შვილოოო! შენ უნდა მეგეყარნა ჩემთვის მიწა, შვილოოო!!! ამ დღეს რათ მამასწარი შვილოოო!!! — მოსთქვამდა მწუხარებისაგან და

თავის უსუსურობის შეგნებით გონდაბნეული მოხუცი.

— დაწყნარდი, ბაბალე, დაწყნარდი! აი, ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება! დაწყნარდი, დაწყნარდი! — პასუხს აღარ დაელოდა და გულდათუთქული გარეთ გამოვიდა.

— ნეტავ ღმერთმა გისმინოს, ნიკავ! — უკან მიჰყვა ბაბალეს მისუსტებული ტირილის ხმა.

ნიკას თავისი გოგოს მშობიარობის ამბავი გაახსენდა.

— ვაიმე, შვილო დათო! სად უნდა იშოვოს მამაშენმა წამალი; მე მაშინ ბედმა გამიღიმა. ვინ იცის, რა მოხდეს, ეხლა ყოველი წუთი ძირფასია! — ნიკა აწრიალდა, რაღაცა მოიფიქრა და მტკიცე გადაწყვეტილებით სოფლის შარაზე გავიდა.

წყაროსთან ვიღაცა „მოსკვიჩს“ რეცხავდა. ნიკა ბებრული ფასფასით მასთან მივიდა:

— რომელი ხარ, შვილო? — ჰკითხა შარვალდაკაპიწებულ ახალგაზრდას.

— დომენტას ბიჭი ვარ, ნიკა პაპა, ჯიქურაანთი, — უპასუხა ბიჭმა.

— შვილო, მანქანა ხომ გამართული გაქვს?

— გამართული კი არა მერცხალია, ნიკა პაპა, მერცხალი! ეხლა გავრეცხავ და ხალხის დასაპატიჟებლად უნდა წავიდე; ორ კვირაში ქორწილი მაქვს! — ჯიქურაანთ გვარი გამგრძელებელმა ნიკა პაპას ამაყად ახარა.

— ღმერთმა გაგამრავლოს და სულ ბედნიერად გატაროს, შვილო! — დალოცა ნიკამ და გზისკენ დაბრუნდა.

— ვაიმე, შვილო დათო! — ხმამაღლა ჩაილაპარაკა და მოსახვევისაკენ დაიწყო ყურება.

ბიჭი მიხვდა, რომ მოხუცს რაღაცა უჭირდა, სათლი დააგდო და მასთან მიირბინა.

— რაშია საქმე, ნიკა პაპა, ხომ არაფერში გჭირდები? თუ რამეა საჭირო დამავალე, ნუ მომერიდები!

— დათო ძალიან მძიმედა ყოფილა, შვილო, აი, ტრაქტორმა რომ დაამტვრია, საავადმყოფოში ასვლა მინდოდა, იქნება რამეში მივხმარებოდი; ძალიან საჩქაროა, შეიძლება ხვალე გვიან იყოს! — ნიკამ ნათქვამს გული თან ამოაყოლა.

— ჩემი თავი მოგიკვდეს, ნიკა პაპა! ოღონდ დათოს რამე ეშველოს, ქორწილს გაზაფხულისათვის გადავდებ! — ბიჭმა საჩქაროდ ჩაყარა საბარგულში მანქანის გასარეცხად საჭირო წვრილმანი და მაშინვე ნიკა თავისი „მერცხალათი“ რაიონის საავადმყოფოსაკენ გააქროლა.

საავადმყოფოში ნიკამ დათოს მამა ნახა, ამბავი ჰკითხა.

— ცუდად არის, ნიკა ძია, საქმე! ქირურგმა სამი ოპერაცია გაუკეთა, ხალხს როგორ დავემდურო, მთელი ტრაქტორისტები აქ იყვნენ, სისხლი ყველამ გადაუსხა; ეხლა პატარა იმედი გაჩნდა, მაგრამ რაღაცა წამლები დამავალეს, ეს ოხერი, ვერსად ვერ ვიშოვნე; იქნება მობრუნებული საქმე ისევ უკუღმა დატრიალდეს! — დათოს მამა ცრემლებს ყლაპავდა.

— აბა, ერთი მითხარი რომელი წამლებია, მეც ჩემ წილად ვეცადო! — უთხრა ნიკამ.

— აი, ეს არის, — მან ქაღალდი მიაჩეჩა ნიკას ხელში.

— აქ დამიცადე, თუ სიკეთეა, მე მალე მოვბრუნდები, — ნიკამ ქაღალდი გამოართვა და მანქანისაკენ წავიდა...

თემურის კაბინეტის კარებს მოკრძალებით მიაწვა, ვერ გააღო, მერე უფრო მძლავრად ეცადა, კარი დაკეტილი იყო. შეწუხდა, ვაი თუ დღეს არ გამოჩნდესო, გაიფიქრა. ტალანში რამდენიმეჯერ გაიარ-გამოიარა; ცოტახნით მოცდა გადაწყვიტა, კიბესთან მივიდა და მოაჯირს მიეყუდა. ქვევიდან ქალი ამოდიოდა. ქეთინო იცნო, ცოტა იმედი მიეცა, სულ ზევით ამოსვლა აღარ აცალა, კიბეზე მიეგება.

— შვილო, თემური მინდა, სადა ვნახავ? — შეეკითხა.

— ეხ, ბიძა, თემურის ვეღარა ნახავ! — ნაღვლიანად უპასუხა ქალმა.

ნიკას გული უსიამოვნო მოლოდინში შეუტოკდა.

— რატო, შვილო! რა მოუვიდა? — წამოიძახა შეშფოთებულმა.

— აღარ არის, ბიძა, თემური! ქეთინომ თავი ვეღარ შეიკავა და თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა.

— ვააიმეეე, შვილო, თემურ! — ნიკამ დაჭრილი ვეფხვივით დაიღრიალა და მუხლმოკვეთილი კედელს მიეყუდა.

კიბეზე სვენ-სვენებით მოხუცი ქალი ამოდიოდა, მანაც

ჰკითხა:

— შვილო, თემური არ მოვა? ის არის ჩემი მშველელი, თორემ ამ ზამთარს უშეშობით გავიყინები! — მოიჩივლა.

ქეთინომ ცრემლები მოიწმინდა და ტირილნარევი ხმით უთხრა:

— თქვენ კი არა, დეიდა, რამდენ გაჭირვებულს მოაკლდა თემურის ხელი; ეხლა მის სამ შვილსაც უჭირს ცივი ზამთარი! — ქეთინოს ცრემლები ისევ ჩამოსცვივდა.

— ვიშ, გოგო! რა მოხდა? იმისი ცუდი არ გამაგონო, შვილო! მე თუნდა მისი ჭირის სანაცვლო ვიყო! — შეიცხადა ქალმა.

ნიკა ისევ კედელზე იყო მიყუდებული.

— მანქანით კლდეზე გადაიჩეხა; ბევრს არ მოსწონდა მისი საქციელი, ქვეყნის მალამო იყო, — ქეთინომ მეტის თქმა ვეღარ მოახერხა და ქვითინით გასცილდათ.

— რაო, თემური მოკვდაო?! ეს რა მესმის, ხალხო! — მოხუცმა ქალმა ორივე ხელი მუხლებში წაიშინა. — ეს რა გავიგე, თურმე უგულო უნდა იყო, რომ არ ჩაგიქრეს სინათლე თვალებში, სიკეთით ამ ქვეყანაზე ბოლომდე ვის გაუხარია! ვაიმე, შვილო თემურ! ვაი! ვაი! ვაი! — ქალი ვიშვიშით ჩაუყვა კიბეებს.

ნიკა გონზე ძლივს მოვიდა, კედელს მოსცილდა და იქვე სკამზე ჩამოჯდა. ცოტა ხანს ასე იყო გაშტერებული, თითქოს თავი დაუცარიელდაო, არაფერზე აღარ ფიქრობდა. მერე რაღაც გაახსენდა, ფეხზე წამოდგა.

— ნეტა ფეხი მამტეხოდა და ეს ამბავი არ გემეგო! — ხმამაღლა ჩაილაპარაკა. ერთი სურვილი ჰქონდა, სწრაფად წასულიყო სოფელში და სიკვდილამდე აქეთკენ პირი აღარ ექნა, მაგრამ ბაბალეს გულის გამაპობელი მოთქმა და დათოს მამა გაახსენდა, რომელიც, ალბათ, საავადმყოფოს კარებთან იდგა და სასოებით ელოდა მის მოსვლას. თავი შეიმაგრა და კიბეზე სვენ-სვენებით ჩავიდა. აფთიაქისკენ გაემართა, ახლა დიმიტრი იყო მისი ერთადერთი იმედი; ვაითუ ისაც ვერ ვნახო! — გიაფიქრა და ტვინის რომელიღაც უჯრედი აეწვა.

ოთახის კარები რომ გააღო, დიმიტრი მაგიდასთან თავჩაღუნული იჯდა და რაღაცას წერდა. ნიკა ისე შევიდა და კარები

მიიხურა, დიმიტრის მაღლა თავი არ აუღია.

— გამარჯობა, დიმიტრი შვილო! — ნიკამ ისე წყნარად უთხრა, თითქოს ეშინია, აზრები არ დავუბნიოო.

დიმიტრიმ დაღლილი თვალები შეანათა, ფეხზე წამოდგა, — გამარჯობა, ძია კაცო! — უთხრა და უზარმაზარი ხელი გაუწოდა.

— დიმიტრი, მაპატიე, შვილო, რომ გაწუხებ, მაგრამ, აბა რა ვქნა, მართალ კაცად მეგულები და გითამამდები, შვილო! — ნიკამ ნათქვამს გული ამოაყოლა.

დიმიტრი იდგა და ხმას არ იღებდა.

— ტრაქტორისტი კვდება, შვილო, კაი მშრომელი ბიჭია, ეს წამლები უშველისო, თქვეს, — ქაღალდი გაუწოდა.

დიმიტრი დააკვირდა, მერე ვიღაც ქალი გამოიძახა, ქაღალდი გადასცა და უთხრა:

— რომელი წამლებიც გვაქვს, შემოიტანე, — სკამზე დაჯდა.

— დაბრძანდი, ძია კაცო, ჩვენ რაც გვაქვს შემოიტანენ, დანარჩენზე მე და შენ ერთად მოვიფიქროთ, — უთხრა და რაღაცის წერა გააგრძელა.

ნიკა ცოტა ხანს ჩუმად იჯდა, კედელზე ჩამოკიდებულ რაიონის აფთიაქების განლაგების რუქას აკვირდებოდა, მერე თითქოს ეშინია სიჩუმის დარღვევისაო, დაბალ ხმაზე თქვა: — შვილო, დიმიტრი, თემური როგორ დაიღუპა?

დიმიტრიმ თავი მაღლა აიღო, ნიკამ ახლა დაინახა, რომ თვალები ერთიანად ჩაწითლებული ჰქონდა უძილობისაგან თუ...

— კლდეზე გადაიჩეხა, ბიძა ჩემო, თუ ჩვენ მიწას ნამდვილი ადამიანი გაუზრდია, ერთი მათგანი თემურიც არის. ავკაცობა, თვალთმაქცობა, უნამუსობა, მუხთლობა, საქმისა და ხალხის ორგულობა არავისათვის უპატიებია; იყო ნამუსის და პატიოსნების, კაცთმოყვარების განსახიერება, აი, მე რაც ვიცი იმის შესახებ. ოღონდ ამ ქვეყანას ეშველოს, თემური ყველას ჭირის სანაცვლო იყოს! — დიმიტრი ღელავდა, ოთახში სიარული დაიწყო.

— აფსუს, შვილო თემურ, ვერაგმა ბედისწერამ წაგაქცია?! — ამოიგმინა ნიკამ.

— არა, ძია კაცო! თემური არ წაიქცა, ის თავის პოსტზე

ბოლო წუთამდე ვაჟკაცურად იდგა; ვერ გადაღუნეს, ვერ დააჩოქეს, ვერ გაამუხთლეს!

ოთახში ქალი შემოვიდა.

— ესენი ჩვენ გვაქვს, ზოგი საავადმყოფოში უნდა ჰქონდეთ, — წამლები და ქაღალდი დიმიტრის მიაწოდა.

დიმიტრი ჩაფიქრდა.

ქალი ოთახიდან გავიდა.

— იმ ტრაქტორისტის გადარჩენა მარტო შენი ვალი არ არის, მეც მეკუთვნის გავიღო ჩემი წვლილი, — დიმიტრი ფეხზე წამოდგა.

— ეხლა საავადმყოფოში წავიდეთ, ზოგს იქ ვიშოვით და იმ ბიჭსაც რაღაცით მივეხმარებით!..

დათოს მამა საავადმყოფოს კარებთან დახვდათ.

ნიკამ დიმიტრის გააცნო.

— როგორ არის ბიჭი? — ჰკითხა დიმიტრიმ.

— ძალიან ცუდად, მაგრამ წამლებს თუ იშოვით, გადარჩებაო, მითხრეს...

დიმიტრი საავადმყოფოში შევიდა და ორი საათის განმავლობაში აღარ გამოჩენილა. ბოლოს ნიკას საავადმყოფოს კარებთან შეხვდა.

— აბა, ძია კაცო, ნახვამდის! სოფელში უთხარი, რომ ეს ტრაქტორისტი, — დათო, — სახელი მიაშველა ნიკამ, — დათო გადარჩება-თქო!

დიმიტრიმ დათოს მამას ხელი წაავლო და საავადმყოფოში შეიყვანა...

მანქანიდან რომ გადმოვიდა, ნიკას ბაბალეს მოთქმის ხმა ისევ მოესმა. ცოტა ხანს თავის ალაყაფის კარებთან გაჩერდა, ეზოში შესვლას აპირებდა, მერე უცებ გადაიფიქრა, მოტრიალდა და დათოს სახლისაკენ წავიდა.

ბაბალე ბავშვს აძინებდა და იავნანის მაგიერ ტიროდა:

— შე უდროოდ დაობლებულო, მაყვალავ, იგრე გაიზრდები, მამის სითბო ვერ უნდა გაიგო! ვაი მე უბედურს! ნეტა სად იყო ჩემთვის სიკვდილი! ცას ჩამოვბერდი მე წყეული, შვილო დათოოო! — ბაბალემ კარებში ნიკა დაინახა და ტირილის გაგ-

რძელება ვეღარ გაბედა, — ვაი, მე უბედურს! — ამოიგმინა და გაჩუმდა.

— ცოდვას რათა კისრულობ, ბაბალე! საავადმყოფოდან ეხლა მოვდივარ, დათო ძალიან კარგად არის, წამლებიც უშოვნიათ; ორ კვირაში ბიჭი სახლში მოგივა, მემრე აღარ შაგრცხვება, წინასწარ რომ გამაიგლოვე კაცი?! — უსაყვედურა ნიკამ.

— შენ პირს შაქარი, ნიკავ! ღმერთმა გაგახაროს! — ბაბალე სკამიდან ძლივს წამოდგა. — მართალს ამბობ, კაცო?! — წამოიძახა.

— იქ ვიყავი-მეთქი, ხომ გითხარი! ტირილის ხმა აღარ გამაგონო! ღვთის გულისათვის, იგრეც დამძიმებული მაქვს გული; თუ მაინცადა მაინც გეტირება, ცოტა ხანს მაიცა, მე მოვკვდები და რაც ცრემლი დაგრჩა იქ დაღვარე! — ნიკა კარებიდანვე გაბრუნდა, გულზე მართლაც საშინელ სიმძიმეს გრძნობდა.

— ეგ რა თქვა, ქა! რაღაცა ნორმალურად ვერ იყო, უნდა მოვკვდეო, თფუ ეშმაკო! ღმერთო მააბრუნე სააქაოსკენ, ეგ უბედური! — თქვა და ისევ აკვანს მიუჯდა, გადაარწო, ბავშვს ახლა უკვე იმედით სავსე იავნანას უმღეროდა...

უკვე კარგად დაბნელებულიყო. ნიკას პატარა მაგიდაზე დიდი კელაპტარი დაედგა, მისი შუქი სუსტ სიოზე ცეკვავდა და ნიკას სუფრის მეორე წევრის მაგივრობას უწევდა.

— შენ გაგიმარჯოს, შვილო თემურ! ჰაი, დედასა! გაგიმარჯოს მეთქი, შვილო! — ნიკამ მეორე ჭიქას თავისი დაარტყა, ჭიქა შექანდა, ძალუმად გადაიხარა, ღვინო მაგიდას გადაესხვა, ჭიქამ იტორტმანა, წაქცევას ძლივს გადაურჩა; ბოლოს მაინც ფეხზე დადგა, — ეგრე, შვილო თემურ! ეგრე, შვილო! ჰაი დედასა! — ნიკამ უკვე მესამედ დალია სადღეგრძელო, ყველა თემურს ეძღვნებოდა...

ხელადა დაიცალა, ნიკამ მარცხენა ხელში კელაპტარი აიღო, მარჯვენაში — ხელადა და მარნისაკენ რაცრაცით წავიდა...

ქვევრის პირას ჩამუხლებული დიდხანს დარჩა, ბოლოს როგორც იყო ადგა და თან ხელადა აიყოლა...

შუაღამე კარგა გადასული იყო, ღამის სიმყუდროვეში შორს ისმოდა ნაღვინევი ნიკას გრძნობამორეული სადღეგრძელოები:

— შენ გაგიმარჯოს, შვილო თემურ! ჰაი დედასა! გაგიმარჯოს მეთქი, შვილოოო!...

გათენებული იყო, რომ საავადმყოფოდან მომავალმა დათოს მამამ, სანამ თავის სახლში მივიდოდა, ჯერ ნიკას ჭიშკარი შეაღო, გახარებული იყო.

ნიკა კუნძზე იჯდა. პატარა მაგიდაზე ხელადა, ერთი ჭიქა, ყველი და პური დაინახა.

— ბიჭოს, ნიკა ძიავ, რა დილაადრიან გაგიშლია პურმარილი! — პასუხს აღარ დაელოდა და გააგრძელა: — ის დალოცვლილი, რა ღვთისნიერი კაცი მაიყვანე, ყველა წამალი ხომ იშოვნა და იშოვნა, მთელი ღამე დათოს თავი არ დაანება; ვიღაცა თავის ნაცნობი ექიმი მაიყვანა, მოკლედ, უსათუოდ გადარჩება და ჩვეულებრივად საღსალამათი დაგიბრუნდებაო, დილას დათო კიდეც დემელაპარაკა; მეც წამოვედი, რომ ი ბებერსა და ბავშვს მივხედო. ხვალე ჩემ დედაკაცსაც წამოვიყვან, რძალი კი ცოტახანს დარჩეს, არა უშავს რა, მაყვალას ჩემი ცოლიც მოუვლის, — ასე ლაპარაკით დაადგა ნიკას თავზე.

კელაპტარი სულ დამწვარიყო.

ჭიქაში სანახევროდ იდგა ღვინო, ხელადა წაქცეულიყო.

ნიკა ზურგით კედელს მიყრდნობოდა, ხელები დაბლა ჩამოეშვა, მარჯვენა ხელში ცარიელი ჭიქა ეჭირა, გაშტერებული აღმოსავლეთს მისჩერებოდა, თითქოს მზის ამოსვლას ელოდებაო.

— რატომ აგრე ზიხარ, ნიკა ძიავ, საით იყურები, კაცო, მე ვერ მხედამ?

— ნიკა ისევ ისე უძრავად იყო.

— ნიკა ძიავ! — ხმამაღლა ჩასძახა დათოს მამამ და გულში საშინელების შეგრძნებამ გაიფართხალა. მხრებში წაავლო ხელი და შეანჯღრია; ნიკას ჭიქა გაუვარდა ხელიდან, ქვას დაეცა და დაიმსხვრა.

— ნიკა ძიავ!!! — გლოვის ზარივით დარეკა დათოს მამის ხმამ და ელდანაკრავი კაცი ქვითინით ზედ დაემხო.

სუკის დილეგი.
1984 წელი.

არაკაცობის კაცობით მკურნალი

საღამოვდებოდა. მზე ჩასასვლელად სხივებს კეცავდა. შრომით დაღლილი კაცი თავის ოჯახში მიიჩქაროდა. რა ბედნიერი იქნებოდა ადამიანი მხოლოდ სიკეთის და სიყვარულის მეუფებაში ჯანსაღი შემოქმედებითი შრომით რომ ევლო ამქვეყნიურ გაწამაწიაში. მეტი რა უნდა ზომიერ ადამიანს, რომელსაც ბევრის მოხვეჭის გაუმაძღრობა და სხვის უბედურებაზე თავისი კეთილდღეობის დაშენების ავადმყოფობა არ აწუხებს. მაგრამ რას ვიზამთ, როცა ყოველივე ზემოთ თქმული ოცნების ილუზიებს ათბობს მხოლოდ, სინამდვილეს კი სატანის მიერ მოწამლული სიცოცხლის დღეები აშფოთებენ.

აგერ, კოლონია – არაკაცთა მიერ გამრუდებული ცხოვრების მსხვერპლთა თავშესაფარი. მუხთლისგან სასიკეთოს ვერაფერს მოითხოვ, რამეთუ მისი არსებობა უბედურებათა თესვა-მომრავლებას ემსახურება. საშიშია სატანის სამსახურში ჩამდგარი ადამიანი, თავის ირგვლივ მხოლოდ უბედურების შხამს რომ აფრქვევს. აშკარად მოსულ მტერთან ბრძოლა უფრო იოლია, რაგინდ ძლიერიც არ უნდა იყოს, ვიდრე მტერი მოყვარე რომ გგონია; მის უხსენებლობას მხოლოდ მაშინ გაიგებ, როცა დაგშხამავს. ჰოდა, კოლონია სავსე იყო დაშხამულ დამშხამავებით. ყველაზე ძნელი ასატანი კი ის არის, როცა უპატიოსნოთა და ბილწთა მსხვერპლი ადამიანი უსამართლობის ბრჭყალებში, ძალადობასთან ბრძოლაში თავისი უძლურების შეგნებით კოლონიაში დაათრევს ნაწამებ სულ-ხორცს; გარეთ კი გამარჯვებული უსამართლობა ხარხარებს.

სამუშაოდან დაბრუნებული რაზმეულები დაიშალნენ და შავად ჩაცმული, შავბნელი ფიქრების მსხვერპლი პატიმრების ნაწილი ბარაკებმა შთანთქეს; სხვები ჯერ გარეთ დაყიალობდნენ.

აკაციის ხესთან მოწყობილ ძელსკამთან ძაღლი ჩაცუცქული-

ყო. სამნი მოვიდნენ სკამზე ჩამოსაჯდომად;

— ჰაგა, შე უპატრონო! — ერთმა ძაღლს წიხლი ჩააზილა.

არ დაუწკმუტუნია, არც შეუყეფია, გვერდზე გადახტა, თავდამსხმელს უკმაყოფილო მზერა ესროლა და ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა. კაცი არ მოეშვა, ქვის ძებნა დაიწყო, ვერ იპოვა; აკაციას ტოტი შეახლიჩა და ესროლა. ძაღლი არ გაქცეულა, ამ აგრესიას არ შეუშფოთებია, ეტყობა უპატრონო ძაღლთა იმ კატიეგორიას არ ეკუთვნოდა ქუჩაში გდებას ძაღლური სიამაყის გრძნობა არარაობად რომ უქცევია. მოქნეულ წიხლზე და ნასროლ ქვაზე არ რეაგირებდა. რაც შეეძლო ყველას ერიდებოდა, მაგრამ რა ექნა, კოლონიაში მოტანებულს ქეცი და სიბერე ერთდროულად მოსძალებოდა; დამცირების სიმწარე კი ამ ადამიანების მიერ მოგონილ ჯოჯოხეთში არავის ინდობდა.

შემოსასვლელ კარებში შუა ხნის, მკვრივი აგებულების კაცი შემოვიდა, თმაში ძალუმად ჭაღარაშერეული თვალთაგან სიკეთის საამო სხივს აფრქვევდა.

— იუზგარ! — პატიმარს დაუძახა, მძიმედ დაღონებული ბებერ ვერხვს რომ მიყუდებოდა. — ნუ დარდობ, საქმე კარგად არის, შენი მეულლე გამოჯანმრთელებულია, ბავშვებსაც არაფერი უჭირთ. ცოტაოდენი ფული ვუშოვნე, ხელს მოინაცვლებენ, მალე შენც გახვალ და უფალი წყალობას არ მოგაკლებთ; აი წერილი მოგიტანე.

— შენ გენაცვალე, ზურიკო! კიდევ კარგი რომ ამ ბოროტების სამყაროში შენი მსგავსები კიდევ არიან, თორემ რა გააძლებინებდა ამდენ გამხეცებულთა მიერ დაკბენილ სიცოცხლეს! — გახარებულმა წერილი გამოართვა და ბედნიერი ღიმილით შეუდგა კითხვას.

პატიმრები გარეთ რომ დაბორიალობდნენ ზურიკოსკენ წავიდნენ. საშვით კოლონიის გარეთ ობიექტზე მუშაობის უფლება რამდენიმე პატიმარს ჰქონდა; ზურიკო ერთი იმათთაგანი იყო. პატიმრებისთვის გარედან შემოჰქონდა ახლობლების მიერ გამოგზავნილი ფული, წერილები, საჩუქრები და საშვის დაკარგვის რისკით კოლონიაში მომწყვდეულ პატიმრებს უანგაროდ ემსახურებოდა.

ძაღლი შემოსასვლელ კარებისკენ წავიდა, შეგროვილ ხალხთან ახლოს მისვლას მოერიდა, შორიახლოს ჩაცუცქდა და მათ ფუსფუსს ყურადღებით აკვირდებოდა. ვინც შემოგზავნილი ფული თუ სხვა რამ მიიღო, თავის გზაზე წავიდა; ნელ-ნელა იშლებოდნენ. ერთმა ძაღლს ახლოს ჩაუარა, შეხედა, არ მოეწონა, ბეწვი ალაგ-ალაგ გასცვენოდა, სიბერისაგან ტყლაპად ქცეული ტყავი დაჭმუჭნოდა, თვალების ქუთუთოებთან და დრუნჩთან უბალნო ტყავი გასწითლებოდა.

— რასა ჰგავს, ეს ოხერი! — ძაღლს წიხლი ამოჰკრა. ძაღლმა კბილები დაკრიჭა და ბოროტად დაიღრინა. კაცი განზე გახტა. ახლა რამე საგნის ძებნა დაიწყო. ძაღლი ადგილიდან არ დაძრულა; კბილებდაღრჭენილი თავდასხმას უშფოთველად ელოდა.

— რა დაგიშავა, ბიჭო, არ გრცხვენია?! ამ საცოდავს თავისი გაჭირვება ყელამდე აქვს, მოფერების მაგიერია?! — ზურიკომ პატიმარი დატუქსა და ძაღლს მიუბრუნდა, რომელიც ისევ კბილებდაღრჭენილი ჩაცუცქულიყო. ძაღლს თვალებში ჩახედა, თანაგრძნობის სითბო ჩაუღვარა უგულობით, სიძულვილით, ბოროტებით და ვერაგობით გაწამებულ სულში.

ძაღლი შეუცდომლად სცნობს უფლისმიერი სიკეთით ნაკურთხ ადამიანებს, რომლებიც ასე იშვიათად არიან ამ ბოროტებით მოწამლულ ბრბოში, და განსაკუთრებულ ნდობას ამჟღავნებენ მათ მიმართ. ალბათ, სწორედ ამგვარ ადამიანად შეიცნო ძაღლმა ზურა, კბილები დამალა და ნდობით დააკვირდა.

— რაო, ცუგა, დაგიბრიყვეს? რა ვუყოთ, ადამიანი ვეღარ უძლებს ამდენ უკუღმართობას და თვითონაც ბოროტდება, — მიუახლოვდა და მის წინ ჩაიმუხლა.

ძაღლმა თავი მაღლა ასწია, თვალებში მიაჩერდა, მოფერების სითბო იგრძნო და ერთგულების ნიშნად კუდი აათამაშა.

ზურამ ჩანთიდან პური ამოიღო, არ დაუგდო, მიაწოდა. ძაღლმა ფრთხილად გამოართვა, დინჯად შეჭამა, თითქოს ეუბნებოდა, არა მშია, მაგრამ შენი ხათრით ვჭამო. ზურამ თავზე ხელი გადაუსვა.

სასწაული მოხდა თუ რა, დღემდე სულ წიხლით, ქვითა და ჯოხით უმასპინძლდებოდნენ, ეს კი პურს აჭმევს და მოუვლე-

ლობით ბალანაშლილ თავზე ხელს უსვამს. უსაზღვროდ ნასიამოვნებმა ძაღლმა თავი მუხლზე დაადო და ერთგულებაჩამდგარი მადლიერი თვალებით შეხედა. რა პატარა მანძილი ყოფილა ბოროტებიდან სიკეთემიდე, საკმარისია ადამიანს სიყვარული ახლდეს თან ამქვეყნიურ უბედურების ეკლიან სინამდვილეში. მაგრამ ყველას არ შეუძლია გაუძლოს სატანური ბოროტებით სიკეთეზე ნადირობის განცხრომის ჯადოს, რომელსაც სინდისის ფეთქვის დამუნჯება, ადამიანის გამხეცება, სულის დაკნინება და ხორცის განებივრების პირუტყვული ლტოლვა ახლავს თან.

ზურამ ძაღლს ერთგულებით და მადლიერების გრძნობით გამთბარ თვალებში ჩახედა, შვება იგრძნო, მოეფერა; რამხელა ბედნიერებაა სიკეთის, თანაგრძნობის და სიყვარულის მაგიური სიამოვნების განცდა, რომლითაც უფალს მხოლოდ თავისი რჩეულები დაუჯილდოვებია. იქნებ, ზურაც იმ რჩეულთაგანი იყო ასე მშვიდად სიზიფეს ლოდივით რომ აგორებდა კოლონიის საშინელი უსამართლობით დამძიმებულ ტვირთს.

ამ ძაღლმა თავისი ბავშვობის ერთი ეპიზოდი გაახსენა: ოჯახში სწორედ ამ ცუგასავით ბებერი ძაღლი ჰყავთდათ, მერკურას ეძახოდნენ. საწყალი ბოლოს ისე დაუძლურდა, ყეფის დროს მუხლები ეკვეთებოდა და იქცეოდა. ხშირად იწვა ძილად მივარდნილი, არადა არაჩვეულებრივად მგრძნობიერი და გონიერი იყო.

ერთხელ ბაბომ უთხრა: — შვილო, მერკურა დაბერდა, არაფრის თავი აღარ აქვს, ბაწრით წაიყვა, სოფლის ბოლოს ხეზე მიაბი და ბიჭებმა ჩაქოლონო.

ძაღლმა თითქოს ბებოს განაჩენი გაიგოო, ცრემლიანი თვალები ჯერ ბაბოს მიაბრყო, მერე ზურას მიაჩერდა, თითქოს ამბობდა: — რა დავაშავე, ასეთი სასტიკი განაჩენი რომ გამომიტანეთო.

თითქოს ამის პასუხიაო, ბაბომ თავისი განაჩენის დასაბუთება დაიწყო: — ამ ძაღლს აღარაფრის თავი აღარ აქვს, მარტო გდია და სძინავს, საკუთარი თავიც კი ველარ დაუძრავს; ამან სახლს როგორ უნდა უყარაულოსო.

ძაღლი მიხვდა, რომ ეს საუბარი მისთვის ფრიად არასასია-

მოვნო უნდა ყოფილიყო. ზურამ მის მზერას ვეღარ გაუძლო და თავი დაბლა დახარა.

მათი სახლის ახლოს, ხევს გაღმა კარგად ტანაშოლტილი სიმინდის ყანა იყო. იმ საღამოს მერკურამ მოზრდილი ტარო მოიტანა და ბაბოს ფეხებთან დაუდო, თან ისე შეხედა, თითქოს ეუბნებოდა: — ნახე, მეც შემიძლია რაღაც, მთლად გასაწირი არა ვარო.

ამის შემდეგ მერკურას ბაბოსთვის ყოველ საღამოს თითო ტარო მოჰქონდა. ამან მაინც ვერ უშველა საწყალს, ბაბოს განაჩენი საბოლოო გამოდგა.

ერთ დღეს ზურას ბაწარშებმული მერკურა სოფლის ბოლოს ჩასაქოლად გაატანა. მან ძაღლი ხეზე მიაბა და განზე გაჩერდა, დანარჩენი საქმე სოფლის ბიჭებმა გააკეთეს. ერთხელ გაიხედა ძაღლისკენ და მის თვალებში იმდენი ხვეწნა-მუდარა, ერთგულება და ბოლოს ამ უმადურობისთვის მწარე სინანული ამოიკითხა, რომ გული დაეთუთქა. მის შემდეგ ეს გრძნობა არ ასვენებდა; ამ მოურჩენელ სულის ჭრილობას კი ყველა გაჭირვებულის დახმარებით აყუჩებდა.

მძიმე დღეებიც აჩვენა სუსხიანმა და დაუნობელმა ამქვეყნიურობამ. ოცდაჩვიდმეტში მამა დაუპატიმრეს. ვიღაც ბოროტი კაცის ყალბი დასმენა ოჯახის და სიცოცხლის მოტრფიალე მამას დახვრეტად ექცა. დედაც დაუპატიმრეს და ეს კეთილშობილი ოჯახის სიკეთის განსახიერება ბიჭი ქუჩაში აღმოჩნდა. შიოდა, სციოდა, მშობლების სითბო აკლდა; ხედავდა ბედნიერ ბავშვებს, მაგრამ არ გაბოროტებულა, სიძულვილი და შური არასდროს უგრძვნია. მოუპარავს კიდეც მხოლოდ იმიტომ, რომ შიმშილს არ დაეტორა. გაჭირვებულის, სუსტის დახმარება და მხარში ამოდგომა ხომ მისი ცხოვრების მიზანი იყო; დაუნდობელი ამქვეყნიურობა კი შხამსა და სამსალას არ აკლებდა. ისეთ საქმეზე დააპატიმრეს, სხვა ბედის ნებიერ მამიკოს ბიჭს მოსწრებულ ხუმრობად რომ ჩაუთვლიდნენ და პირმოთნე კანონის დამცველები სახლამდე თავზე ხელის სმით მიაცილებდნენ.

— უსამართლობა და ძალადობა იმთავიდანვე თან დაჰყოლია ჩვენს დაბადებას. პირველყოფილი ადამიანიდან ძლიერი სუსტით

იკვებება. ადამიანიც ამ ბუნების შვილია და ჯუნგლის კანონით ცხოვრობს მანამდე, სანამ ღვთიური აზროვნება ყოველგვარ ამქვეყნიურ მანკიერებაზე მაღლა არ დააყენებს და უფლისმიერი სიკეთით აღჭურვილი ადამიანთა ცხოვრებას სამართლიანი ბედნიერების სამოთხედ არ აქცევს. მაგრამ ეს როდის იქნება?

კაცობრიობა როდის ამაღლდება ამ შეგნებამდე? ამაღლდება კი? თუ სატანის მიერ მოწამლული ამქვეყნიური გაწამაწია ისე მიეყინება დედამიწას მზის ჩაქრობის შემდეგ, რომ ადამიანის ტვინის შესაძლებლობა სიკეთედ ვერ ექცევა თვითონვე მას. ახლა კი ვინც სიყვარულით და სიკეთით არის შემკობილი ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში ტანჯვისათვის არის განწირული, — იტყოდა ხოლმე.

არასრულწლოვან, მშობლების ზრუნვაწართმეულ ბიჭს ახლა კოლონიის ძალადობის და უსამართლობის სამსალით კვებავდნენ. მიუხედავად ამისა ვერ გააბოროტეს, მხეცად და ნადირად ვერ აქციეს; კაცთმოყვარეობის ცეცხლი ვერ ჩაუქრეს, რაც ამ ბოროტებად ნაგებ ცივილიზაციაში მხოლოდ ერთეულებს ამშვენებს.

კოლონიიდან გამოსვლის შემდეგ სწავლა გააგრძელა და საკმაოდ წარმატებულადაც. სკოლა დაამთავრა და ერთდროულად ორ ინსტიტუტში აბარებდა, თავის დაზღვევის მიზნით, რამეთუ იცოდა ობიექტურობას მოკლებულ გამომცდელთა მახინაციები. მომხვეჭელთა ობობების ქსელი ცოდნით გაარღვია, ორივეგან ჩაირიცხა. უპირატესობა ერთს მიანიჭა და ყველა საგანს წარმატებით აბარებდა, მაგრამ საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი მარქსიზმს ვერაფერს უგებდა. ლექტორს ქვეყანა მიუგზავნა: — შენი ჭირიმე, უმაგისოდაც კარგი ინჟინერი გამოვალ და პრობლემად ნუ მიქცევ მაგ ფილოსოფიაში კოჭლობასო. ლექტორმა თავი გამოიდო, მე დაგიმტკიცებ, რაც შემიძლიაო. მეხუთედ რომ გადიოდა გამოცდაზე, ნერვები ველარ მოთოკა და უკადრებელი ჰკადრა: — ვინც მარქსს მისდევთ, თქვენ იცოდეთ ეგ საღვთო რჯული, მე საინჟინრო საქმეში მაგის უცოდინრობა ხელს არ შემიშლისო. ამით ლექტორი სასტიკად გაანაწყენა. მარქსიზმი საღვთო რჯულს შეადარაო. ამას როგორ აპატიებდა და გალანძღა. ზურას კი ხურდის დაბრუნება კვლავ სატანის დაცინვად ექა.

ისევ სასამართლო და ისევ კოლონიის სიბინძურეში ფართხალი. სასჯელი მოიხადა და სწავლის გაგრძელება სცადა, მაგრამ მარქსიზმის მთელი კათედრა აუჯანყდა, ამას ინსტიტუტში არ მოვუშვებთო.

სასწაული მაინც მოხდა. ამ ბოროტებით დამძიმებულ ქვეყანაში პარტიის ცეკას მდივანი — ნიკიტა ხრუშჩოვი უზარმაზარ სახელმწიფოს ისე დააჯირითებდა წალმა-უკუღმა დაბნეულ პირმოთნე ფუნქციონერებს თავბრუ ჰქონდა დახვეული პარტიის გენერალური მიმართულების ძებნაში. არყით დაბუჟებულ ხრუშჩოვს კი ქართველთა გადასახლება აბოდებდა და ჯერჯერობით სიფხიზლის დროს რეალური ჭეშმარიტება აყოვნებდა საქართველოში უბედურების დატრიალების საბოლოო გადაწყვეტილებიდან. ისე კი მის მიერ ნჯღრევით შეწუხებულ ქვეყანას სიურპრიზები არ აკლდა. ახლაც ბიჭვინთაში დასვენების დროს ნაარყალ-ნაბახუსარი დაცვას გაეპარა და შორტებშემოცმული ქვეყნის თავკაცი ფიჭვნარს შეერია.

უცებ წინ ვიღაც კაცი გადაუდგა, ხელები მაღლა აღმართა და შეღაღადა: — მიშველე, ნიკიტა სერგეევიჩ, მტანჯავენ, მაწვალებენ; სამუშაოს არ მაძლევენ ნაციხარი ხარო. ისეთი რა შევცოდე, განა მე საბჭოთა კავშირის მოქალაქე არ ვარ?!

— ხარ, როგორ არ ხარ, თანაც ღირსეული და თავდადებული! — ბახუსის ბურანში მყოფი ნიკიტა კაცს გადაეხვია.

სწორედ ამ მომენტში იპოვეს მისი გაქრობით თავზარდაცემულმა დაცვის მუშაკებმა.

— ასე გადაგვიღეთ სურათი. დაე, ყველამ იცოდეს, ნაპატიმრალი ჩემი მეგობარია! — ბრძანა იმ კაცთან გადახვეულმა ხრუშჩოვმა.

მალე ეს სურათი გაზეთებში გამოქვეყნდა და პარტიის ხაზი გაირკვა: ყურადღება და პატივი ყოფილ პატიმრებს!

პარტიული მაღალჩინოსნები დაფაცურდნენ ამ ახალი თაოსნობის გამოსახმაურებლად. ნაპატიმრალ ადამიანებს ეძებდნენ, ეფერებოდნენ, სურვილს უსრულებდნენ. მერე თათბირებზე და პლენუმებზე კონკრეტული მაგალითებით მოჰქონდათ თავი თუ როგორ გამოეხმაურნენ ხრუშჩოვის ბრძნულ წამოწყებას. ხრუშჩოვს კი გამოფხიზლების შემდეგ აღარც ახსოვდა ბახუსის ტყვე-

ობაში იმ კაცთან ჩახუტება.

მარქსიზმის ლექტორი და მთელი მისი კათედრა აქამდე ზურას აღდგენას პოლიტიკურ დანაშაულს რომ უთანაბრებდნენ, ახლა ხრუშჩოვის და პარტიის ერთგულების დასამტკიცებლად მის აღსადგენად თავი გამოიდეს. დოგმების ტყვეობაში მყოფი პარტიის თავკცისადმი უპრეტენზიო, პირმოთნე მორჩილება და ზნედაცემულთა მოჩვენებითობა ზურას ამჯერად სიკეთედ ექცა; ინსტიტუტში აღადგინეს და სატანამ ცოტა ხნით მოასვენა.

განგების ძალის სწამდა, იმისიც ღრმად სჯეროდა, რომ უფალმა ადამიანი მხოლოდ სიკეთისათვის შექმნა და ბოროტება სატანის ოინბაზობაა მხოლოდ, რაც ბოლოს უფლის მსახვრალ ხელთან მიიყვანს სატანის დუდუკზე მოცეკვავეთ.

ბიჭვინთაში პრაქტიკაზე მყოფი ზურა ერთ უცნაურ ამბავს შეესწრო: ზღვაზე დასვენებას და ნებივრობას მიჩვეული ხრუშჩოვი ნაძვნარში გორაობდა, შორტებშემოცმული დიდი მუზმუზელა მუცლის ფონზე გაკნაჭულ ფეხებს იქნევდა თანამედროვე კომუნისტების თავკაცად გამძვრალი ცინობერი. უცებ შენიშნა, რომ ერთი მეტად კოხტა ტანაშოლტილი ნაძვი ხმებოდა. კარგად დააკვირდა, ზოგ ტოტს ფერი შეცვლოდა, ზოგი უკვე გახმობის ზღვარზე იყო. დასვენების უსაქმურობაში გასართობი გამოუჩნდა, ნაძვის გადასარჩენად მთელი საბჭოთა კავშირის მეცნიერ-ენტომოლოგები მოიწვია. მთელი კვირა დღე და ღამე ნაძვს უტრიალეს. ნაძვის გადარჩენის მეთოდებზე უნდოდათ პირველებს მოეხსენებინათ და სათანადო ჯილდოც მიეღოთ, მაგრამ ამ ავადმყოფობას ვერაფერი გაუგეს. პრაქტიკაზე მყოფი ზურაც მათ შორის ტრიალებდა და მეცნიერთა სასოწარკვეთილ გაწამაწიას თანაგრძნობით შესცქეროდა. ხრუშჩოვი კი ცოფს ყრიდა და ნაძვის გახმობის შემთხვევაში ყველას თავის გახმობით იმუქრებოდა.

ამ დროს მოსკოვში გამოიძახეს. თითის ქნევით წავიდა, იცოდეთ, თუ ნაძვი არ გადაგირჩენიათ, თავი ჯოჯოხეთში იგულეთო.

შეწუხებული მეცნიერები ნაძვს თავს ურტყამდნენ და თავბედს იწყევლიდნენ; ნაძვი კი ნელ-ნელა უკან-უკან მიდიოდა.

უცებ მოსკოვიდან გადმოსცეს, ნიკიტა ხრუშჩოვი გადააყე-

ნესო. გახარებული მეცნიერები ორი დღე-ღამე ზეიმობდნენ და სულ დაავიწყდათ ცოტა ხნის წინ როგორი საფრთხის წინ იდგნენ. ზეიმით რომ დაიღალნენ, მაშინ გაახსენდათ გახმობის ზღვარზე მისული ნაძვი და მის სანახავად ახლა უკვე საზეიმო განწყობილებით გასწიეს, რათა თავიანთი მძიმე განცდების სიმწარე ნაძვის გამხმარი ტოტებისათვის შეეტოვებინათ. ნანახით გაოცებულები დარჩნენ, სიცოცხლით სავსე ნაძვი მწვანედ ხასხასებდა. ძლივს დარწმუნდნენ, რომ ეს ცაში ლაღად აჭრილი ნაძვი სწორედ ის იყო, რამდენიმე დღის წინ გახმობის ბრჭყალებს რომ ჰყავდა შებოჭილი.

რა მოხდა? ამის ახსნა მეცნიერებმა ვერ შეძლეს. ნათელმხილველს თუ დავუჯერებთ, ნაძვი საქართველოს დაუძინებელი მტრის, ხრუშჩოვის დამხობამ გადაარჩინა, რამეთუ მისი საშინელი ვერაგობის შხამი ახმობდაო.

ვისაც განგების ძალის სჯერა, ირწმუნებს, იმ უხილავი სამყაროს არსებობას, რომლის კანონებს და განკითხვის სუსხს ადამიანის გონება ვერ სწვდება. განგება იყო თუ სხვა რაიმე ძალა საქართველოს დიდი მტრის ჩამოცილება გაუხარდა და ამით ნაძვში დაბუდებულმა ქართველთა გულშემატკივარმა ღვთაებამ შვებით ამოისუნთქა, ყოველდღიურად ხრუშჩოვის ნებიერი გორაობა სიცოცხლეს რომ უმოკლებდა. — იტყოდა ხოლმე ზურა. მთელი თავისი ცხოვრება სიკეთის მოტრფიალე ვაჟკაცს ღრმად სწამდა ბოროტის ძლევა კეთილის მიერ. ეს სასწაული, რაც საქართველოზე და ქართველ ხალხზე უფლის მფარველობას ადასტურებს, ძრწოლად და შიშის მთქნარებად უნდა ექცეს ყველა შინაურ და გარეულ მტერსო.

ზურა კი თავის სავალ გზას კაცთმოყვარებით კეცავდა. არც სატანა ისვენებდა და მისგან შეცდენილი ადამიანების ხელით სწამლავდა ისედაც მოკლე წუთისოფელს. ხელისუფლების ლაქია ძალოვანი ორგანოს მუშაკები კი არ ისვენებდნენ, მახეს უგებდნენ; არასაიმედო პიროვნებად მიჩნეულს ნორმალური ცხოვრების საშუალებას უსპობდნენ. ახლაც ვიღაც მჟავის გამყიდველი დაიჭირეს, თავიანთი ბინძური მეთოდებით დაამუშავეს, თქვი, რომ ეს ყველაფერი ზურამ შთაგაგონაო და ისე, როგორც

თვითმფრინავის გამტაცებლებს უდანაშაულო მოძღვარი მიაწერეს, აზრზე რომ არ იყო რა ხდებოდა; ზურა დაიჭირეს და გრძელვადიანი სასჯელი აჰკიდეს.

ბევრი ეცადნენ, იწვალეს, იარაკაცეს, მაგრამ ზურას სულს ბოროტება, ღვარძლი და შური ვერ გააკარეს; სიკეთე ვრ შეუბღალეს. არც იმაზე გაბოროტებულა, ვისი ცილისწამებითაც დააპატიმრეს. რას იზამ. უბედურია ცოდვის ტვირთის ქვეშო. ბოროტების მკურნალი სიკეთეა და თუ ყოველთვის არ ხერხდება იმიტომ, რომ სატანაზე სულმიყიდულ ადამიანებს ამქვეყნიური განცხრომა იმქვეყნიურ ჯოჯოხეთზე გაუცვლიათო.

ფიქრებში გართული დიდხანს, ეფერებოდა ბედის უკუღმართობით გაწამებულ ძაღლს, რომელიც ძაღლური ინსტიქტით ამდენ გაბოროტებულებში შეუცდომლად სცნობდა სიყვარულით და სიკეთით ნაკურთხ ადამიანს და ლაქუცად დნებოდა.

მდორე და უსიცოცხლო კოლონიურ ცხოვრებას დაცვა ძაღლების თანხლებით ამოწმებდა. ღობეს გარს უვლიდნენ, პატიმარი რომ არ გაპაროდათ. ქრონიკულად მოშიმშილე ძაღლები პატიმრებზე უკეთეს დღეში არ იყვნენ. ერთმა ხვადმა ძაღლმა, ტარზანას რომ ეძახოდნენ, იმათ რეჟიმს ვეღარ გაუძლო, ჯაჭვი გაგლიჯა და გარეთ გაიჭრა; მის თავისუფლების სიყვარულს ძალამაც შეუწყო ხელი, თორე რამდენი სუსტი ითმენდა მონის საზარელ ხვედრს.

ტარზანა ვერაფრით ვერ დაიჭირეს. ის კი კოლონიიდან შორს არ წასულა, მაგრამ ახლოს არავის არ იკარებდა, საჭმელს ტყეში როგორ შოულობდა, არავინ იცოდა, ერთი კია, ეს თავმოყვარე ძაღლი ნაგავში ქექვას არაფრით არ კადრულობდა. მის დანახვაზე დაცვის მუშაკები თავიანთ ჯიხურებში იმალებოდნენ. უხეში მობრყობით განაწყენებულ ძაღლს ადამიანებზე ნდობა დაჰკარგვოდა და ყველას ერიდებოდა. ერთხელ საღამოს ზურა კოლონიაში რომ ბრუნდებოდა, ვიწრო და გრძელ შესასვლელში ჩაცუცქული ტარზანა დახვდა; გვერდის აქცევა შეუძლებელი იყო. შეშინებას და დაფრთხობას კი ზურა არ იცნობდა. ნელი ნაბიჯით წავიდა ტარზანასაკენ. ძაღლი ნიანგისხელა ყბას ენით ილოკავდა. ერთმანეთს შეხედეს. ძაღლი ცნობისმოყვარედ



აკვირდებოდა.

— რა ხდება, ტარზან, რად მოგიწყენია, მარტოობა გაგიჭირდა? — ზურა ლაპარაკით მიუახლოვდა.

ძაღლი ისეთი თვალებით შეჰყურებდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდაო.

— მესმის, ვგრძნობ, ტარზან, მაგ ყოფას, რა ვუყოთ, შენ თავისუფალი მაინც ხარ, — ამ გულთბილ საუბარს ძაღლი როგორც საინტერესო ლექციას ბეჯითი სტუდენტი ისე ისმენდა.

ასე მიუახლოვდა. გაჭირვებით შეიძლებოდა გვერდის ავლა. ძაღლი კვლავ დიდი ინტერესით აკვირდებოდა. ზურა მის პირდაპირ გაჩერდა.

— ხომ არ დავძმაკაცებულიყავით, ტარზან? — ღიმილით უთხრა.

ძაღლმა კუდი მხიარულად აათამაშა და რაღაცის მომლოდინე მზერა მიაბრყო. ზურამ ხელი გადაუსვა, ძაღლს ესიამოვნა და ზედ მიეკრა.

— ახლა ჩვენი გაცნობა აღვნიშნოთ, — ზურამ ჩანთიდან ძეხვი

ამოიღო, შუაზე გადატეხა, ერთი ნახევარი ძაღლს მიაწოდა, რომელმაც დიდი მოწიწებით გამოართვა. მეორე ნახევარი თვითონ გაკბიჩა, თავმოყვარე ძაღლს დამცირებულად რომ არ ეგრძნო თავი. მეორე და მესამე ძეხვიც შემოეხარჯათ ამ ახლადგაცნობილთა მეგობრულ სუფრაზე.

— ნახვამდის, ტარზან, ხვალ კიდევ შეგხვდები, — ზურამ თავზე ხელი გადაუსვა და წასვლა დააპირა. ახლა დაინახა შემოსასვლელთან შეჯგუფებული ზედამხედველები.

— მოაშორე ეგ ძაღლი მაიდან, თორე შემოსვლა ვერ გაგვიბედნია, — შეეხვეწნენ.

— წამოდი, ტარზან, გარეთ გავიდეთ, აქ შენისთანების ადგილი არ არის, — უთხრა ძაღლს და კისერზე ხელი წაავლო; ისიც მორჩილად გაჰყვა.

ძაღლი ზედამხედველებს რომ მიუახლოვდა, ისე დაიღრინა, რომ შეშინებულები ფხაჭა-გლეჯით შეცვივდნენ ჯიხურში.

მეორე დღეს ტარზანა შესასვლელთან დახვდა და კოლონიის გარეთ მოწყობილ თავის სამუშაო ობიექტამდე მიაცილა. ასე გრძელდებოდა მათი მეგობრობა.

ერთ დღეს ტარზანამ ორი ლეკვი მოუყვანა და ფეხებთან დაუსვა. თვითონ იქვე ჩაცუცქდა, მოწყენილი თვალებით მიაჩერდა, თითქოს ეუბნებოდა: უპატრონოები არიან, შეიფარე, თორემ დაიხოცებიანო.

ზურამ ცუგაც გამოიყვანა კოლონიიდან. ლეკვები გაიზარდნენ. ტარზანას შიშით ზედამხედველები ახლოს ვერ ეკარებოდნენ.

მალე ზურას განთავისუფლების დრო დადგა.

ტარზანა იქვე მეღორეობის ფერმაში მოაწყო დარაჯად, სადაც მის თავმოყვარეობას არაფერი არ ემუქრებოდა. ცუგა და ლეკვები თავის მეგობარ სასადილოს გამგეს ჩააბარა იმ გარანტიით, რომ არაფერს გაუჭირვებდა.

თვითონ კი დინჯად შეერია მუხთლობით და ვერაგობით მოწამლულ ცხოვრებას. სადაც ბოროტებას სიკეთით, არაკაცობას კაცობით განკურნება სჭირდებოდა.

2002 წელი.

ძმა ძმისთვისაო

სოფლის ნახირმა ალაზნის არხის ჩალიანი ნაპირი ამოათავა, ბეტონის ბოგირი რქენითა და მიწოლ-მოწოლით გადალახა და ფართო რიყიანზე ბღავილითა და ღობეებში გამოჩრილი მწვანე, მსუყე ბალახის ძოვით შეერია სოფლის ორღობეს.

ორი გუდაგადაკიდებული მენახირე ძროხებს პატრონის სახლებისაკენ ერეკებოდა. ნახირში დიდხან ნამსახურები მენახირის დაუხმარებლად დინჯად, ცოხნითა და ზმუილით, შეუცდომლად და სიხარულით მიიჩქაროდნენ შეჩვეული ბინისაკენ, სადაც ჩვილი ხბო ელოდებოდათ. სულ სხვა იყო რამდენიმე დღის წინ ნახირში შეგდებულთა საქციელი, რომლებმაც დამკვიდრებული ჩვევისა არა იცოდნენ რა. მენახირეებს დიდი ჯაფა, სახრის ტრიალი, წინ და უკან გაქცევ-გამოქცევა, დაბნეული პირუტყვის სასურველი ეზოსაკენ შემობრუნება, ერთმანეთის საყვედურები და ვინ იცის, კიდევ რა სჭირდებოდათ, რომ შეუჩვეველი საქონელი პატრონისათვის ჩაებარებინათ.

ამგვარი ჯახირისა და ვაივაგლახის შემდეგ, ერთმა მენახირემ, რომელიღაც ქუჩის კარი შეაღო და სახლის პატრონს შესძახა:

— ფარნაოზ, გარეთ გამოიხედე, კაცო, შენი ძმის — ამირანის ძროხა ძლივს მოვიყვანეთ, დააბინავე, თუ ძმა ხარ!

აივანზე ფარნაოზის ცოლი, თებრო, გადმოდგა დოინჯშემოყრილი და მენახირეებს კაპასი, უკმაყოფილო მზერა მიაპყრო.

ჯოხმომარჯვებული ფარნაოზი მარნიდან გამოვარდა და ისედაც დამფრთხალ პირუტყვს ისე გადაუჭირა ბეჭებში, რომ საწყალი რქებით დაეტაკა კუტიკარს, გაგლიჯა, გაშმაგებით შევარდა გაფანტულ ნახირში და დანარჩენებიც დააფრთხო.

— ამოგიწყდეს პატრონი! — მიაძახა ფარნაოზმა და ჩამოგდებული კარების შეკეთებას შეუდგა.

— რა მოგივიდა, შე მუდრეგო, გაგიჟდი?! — შეუტია იქვე ახლოს მდგარმა მენახირემ, — ჯერ ფურის ცემა ვინ გაიგონა?! ახლა კიდევ, შენი ძმისაა, შე თვალებდასაბრმავებელო!

— თვალებდასაბრმავებელი და ოხერი შენ ხარ! მე თუ მინდოდა, მეყოლებოდა! ვიღაცა მუდრეგის ძროხას ჩემს ეზოში რომ ერეკები, მე აქ რა, მაგ გათახსირებულების მსახური ვარ?! — ბრაზისაგან დუჟი მოადგა პირზე ფარნაოზს.

— წამო, ქარუმ, წამო! გაანებე თავი, ნახირი არ დაგვეფანტოს, ხომ ხედავ, ცოფნაჭამსა ჰგავს, — გადმოსძახა მეორე მენახირემ. ქარუმამაც ჩაიქნია ხელი, ერთი მაგრად მიაფურთხა ფარნაოზს და დამფრთხალი პირუტყვის დასამორჩილებლად ძუნძულით გასწია...

ფარნაოზი და ამირანი მამისეულ სახლში ცხოვრობდნენ. კარგა მოზრდილი ბინა და კარ-მიდამო შუაზე გაიყვეს, საზღვარზე ღობე გაავლეს, მოხერხებულ ადგილზე სამეზობლო კარები დაატანეს.

ჯერ ფარნაოზმა იქორწინა, რამდენიმე ხნის შემდეგ ამირანსა სთხოვა: ნახევარ მეტრზე ღობე შენსკენ გადავწიოთ, მარანი მინდა ჩავდგა და მჭირდებაო.

ამირანს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

მალე ამირანმაც შეირთო ცოლი.

ერთ მშვენიერ დღეს ფარნაოზმა ძმას ბაღჩის ბოლოს კარგად მოზრდილი ნაკვეთის ჩამოჭრა მოსთხოვა: „საღორე უნდა გავაკეთო, თავისი გასადევარითო“. აქ კი შეიცხადა ამირანის ცოლმა და ადრე მოჭრილი ნახევარი მეტრი ეზოც შეახსენა.

დამძიმდა ურთიერთობა. პირველად ერთმანეთს ებუტებოდნენ და ლაპარაკს გაურბოდნენ. მერე თანდათან კინკლაობა და ბუზღუნი დაიწყეს.

ერთ მშვენიერ დღეს თებრომ ამირანის ქათამი თავის ეზოში დაიჭირა, ყინწი წააგლიჯა და ისე გადაუგდო, თან მიაყოლა:

— შე პატრონამოსაწყვეტო, რა ძალიან იწევ ჩვენს ეზოში! მაგათ ერთი გოჯი მიწა არ ემეტებათ, ქათმებიც ჩვენს ეზოში უნდათ გამოზარდონ?

ამირანის ცოლმა, ქსენიამ, აღარ დააყოვნა, ხელმოკლე ჯოხს წამოავლო ხელი, დაერია ფარნაოზის ქათმებს, რომლებიც ბლომად დასეირნობდნენ მის ეზოში და, მოკლე ხანში, სამი მენჯებმომტვრეული ქათამი გადაუგდო ხურდად.

თებროს ფარნაოზი წამოეშველა, ქსენიას — ამირანი და და-

იწყო დიდი ლანძღვა-გინება, გაწევ-გამოწევა, თავის მართლება და მოწინააღმდეგის „წანახედის“ გამომზეურება.

— შე გათახსირებულო, კახპავ! ოჯახში შემოსაშვები კი არა, საბარდელოში გასაგზავნი ხარ! — შეამკო ფარნაოზმა რძალი.

— კახპა და ბარდელის კლიენტი შენი ცოლია, შენი დედა!.. — აღრიალდა ამირანი.

— ყოჩაღ ბიჭო, ის დედაჩემი შენი დედა აღარ არი?! — შეახსენა ფარნაოზმა.

— შენ წილ დედას გაგინებ, შე დაბადებაძაღლო! — კვლავ შეაგინა გაცოფებულმა ამირანმა.

— თოფი! თოფი! ეხლავე ძაღლივით მოგკლავ შე არგასაზრდელო! — თოფისთვის სახლში შევარდა ფარნაოზი, მას წივილით მიჰყვა თებრო.

— თოფზე თუ არი, აბა ეხლა მე მიყურე! — ამირანი შევარდა სახლში თოფის ასაღებად; მასაც ქსენია წივილ-კივილით გამოუდგა.

დიდხანს ძიძგილაობდნენ თოფშემართული ძმები ცოლებთან, ერთმანეთის ამოსაწყვეტად მიიწევდნენ, სანამ მეზობლები არ შეიჭრნენ ორივეს ეზოში და გვიანობამდე მათ დაშოშმინებას არ შეალიეს თავიანთი დრო და ენერგია.

მეორე დღეს ფარნაოზმა გააუქმა სამეზობლო კარი და ყრუდ ამოქოლა. ამის შემდეგ ეს მოქიშპე ძმები ერთმანეთს პირში ლუკმას უთვლიდნენ და ერთიმეორისათვის სუფთა ჰაერიც კი შურდათ. მოსაკლავად არ ინდობდნენ ერთმანეთს და, ყოველდღე, ქალების წვრილ თუ მსხვილ კინკლაობას, მამაკაცების გაბრაზებული გინება და გაწევ-გამოწევა აგვირგვინრებდა ხოლმე..

მენახირემ ძროხა რამდენიმე მეზობლის ორღობეში გაატარა და ამირანის ქუჩას მიაყენა.

კარების რემონტით გართული ფარნაოზი გაიმართა წელში, — ამოგიწყდეს პატრონი! — მიაძახა ამირანის ეზოში შესულ ძროხას და მერე თავისი საქმე განაგრძო.

— ამოსაწყვეტები და მიწაში ჩასაყრელები თქვენა ხართ! — აწიწინდა ქსენია.

ამირანს ხმა არ ამოუღია, დედაკაცს პირზე მიაფარა ხელი და შინ ძალით შეათრია.

— თუ კიდევ აუძრახდები მაგათ, ჩემი ხელით დაგახრჩობ! — დაემუქრა ცოლს, — დავიღალე კაცი ამდენი ჩხუბით, ავდგები და სხვაგან გადავსახლდები, ეს სახლი კი თავში იხალოს ფარნაოზმა!..

ამ დღის შემდეგ ამირანის ცოლი — ქსენია, აღარაფრად აგდებდა თებროს ინტრიგებს. ცოლ-ქმარი აინუნშიც აღარ აგდებდნენ გაავებული ფარნაოზისა და თებროს შემოტევას, როგორც კი ისინი ჩხუბს წამოიწებდნენ, — ამირანი და ქსენია შინ შედიოდნენ და კარებს მიხურავდნენ ხოლმე. ამან უფრო გააცოფა ძმა-რძალი, — არა, ისეთი რამე უნდა მოვუწყო, რომ მთლად დავღუპო ეგენი! — დაიქადნა ფარნაოზმა.

— ახია მაგათზე, ახი! — კვერს უკრავდა თებრო.

ისე კი არც ერთმა არ იცოდა, როგორ უნდა დაეღუპათ.

ფარნაოზი სოფლის ვეტფერშალი იყო, ამირანი — სამშენებლო ორგანიზაციაში სამუშაოთა მწარმოებლად მუშაობდა.

ფარნაოზმა ბევრი იფიქრა, რა ექნა, ბოლოს გადაწყვიტა, ძმაზე უსახელო წერილი დაეწერა და შიგ ათასი რაღაც-რაღაცეები მოეხსენებინა, როცა შეამოწმებენ, რამეს აუცილებლად ნახავენო, გულს ინუგეშებდა ფარნაოზი.

ახალი შებინდებული იყო, სოფელს ნისლი შემოსეოდა და ყველაფერი დუმილსა და უძრაობაში შთაენთქა. ირგვლივ რძისფერი უსასრულობა ბატონობდა და სამყაროც თითქოს ნისლის კედელს იქით თავდებოდა. ტენით გაჟღენთილ ჰაერს, წყლის უწვრილესი ნაწილაკებით დაეპყრო მიდამო და ერთი შეხედვით, უძრაობა დაემკვიდრებინა.

ფარნაოზი ოთახში იჯდა და გარინდებული მიშტერებოდა დაცვარულ ფანჯარას. გულში ბოროტების ქვა აგორებოდა, ზვავის ძალა მოეკრიბა და წლობით ნაფერებ სიკეთეს შთანთქვას და გაცამტვერებას უპირებდა. წარსული ძმური სიყვარულის დაკარგვის რაღაც სინანულის გრძნობა მაინც აწვალებდა, მაგრამ ახლა ბოროტების სამყაროში ჩაფლულიყო და, თვითონაც დაბრმავებული, მხოლოდ ავზე ფიქრობდა; რაღაცა ძალა იყო საჭირო, სიკეთის სხივი — პატარა, სუსტი, პეპელასავით აფარფატებული, წინ რომ გადასდგომოდა ამ გრიგალივით გამძვინ-

ვარებულ ბოროტებას, რომელიც შეძლებდა აბობოქრებული სულის დაწყნარებას, გულის რომელიღაც კუნჭულში დანაშაულად ქცეული სიავის სამუდამოდ ჩაკეტვას, რათა მისგან გახსენების მწარე სინანულიღა დარჩენილიყო. ახლა კი იჯდა ფარნაოზი და, მთელი თავისი არსებით, უგუნურობად ქცეული დაუნდობლობის სამყაროს შეჰკედლებოდა.

ოთახის კარი ფრთხილად გაიღო და, რაღაცით აღფრთოვანებული, თებრო ეშმაკური ღიმილით სახეალეწილი ეახლა ფარნაოზს.

— ეხლა სადღა წაგვივა ეგ კისერმოსატეხი! — პირზე ხელი მიიფარა, ფარნაოზის ყურთან მიიწია და ჩურჩულით განაგრძო, — ერთი მანქანა ნაქურდალი ფიცარი მოიტანა,შინ უჩუმრა ცლიან, შოფერი და კიდევ ვიღაცა ერთი კაცი ეხმარება.

— რას ამბობ, მართლა? — შეიცხადა ფარნაოზმა. უჩუმრა გამოძვრა აივანზე, კედელს აეკრა და დიდხანს უცქერდა ამირანს, როგორი გაწამაწიით ცლიდა ფიცრით დატვირთულ მანქანას...

— წამოდით, ბიჭებო, თითო ლუკმა შევჭამოთ, მთელი დღე მშივრები ვართ; ღვინოც არა მაქვს ურიგო, — თქვა ხმამაღლა ამირანმა, კიდევ დაილაპარაკა რაღაცა, მაგრამ ფარნაოზის ყურს ვეღარ მისწვდა, თორემ სულ გაუფუჭდებოდა ხასიათი.

ბიჭებს დიდი პატიჟი არ დასჭირებიათ, დაიბანეს ხელები და მძიმე ჩექმების ბრახუნით შელაგდნენ ოთახში, სადაც ქმენია სახელდახელო სუფრას შლიდა.

— ახლაკი ჩემს ხელთა ხართ! სად წამიხვალ შენი ნაქურდალი ფიცრით, — ფარნაოზმა მანქანის ნომერიც საგულდაგულოდ დაიხსომა.

დიდხანს იდგა აივანზე, ხვალინდელ გეგმებს აწყობდა, ვისთან მისულიყო და როგორ დაესმინა ძმა, რომ თვითონ არ გამხელილიყო. ამირანის სახლიდან ღვინით გაჟღენთილმა, საღმა და ალალმა მრავალჟამიერმა ბუდიდან ახლად აფრენილი მერცხლის ბახალასავით გაინავარდა ეზოში, ბაღებს, ვენახებს გადაევლო.

— ზოგი ხვალისთვისაც შემოიტოვეთ! — ნიშნით მოგებით დაიქადნა ფარნაოზმა და ოთახის კარი გაბრაზებით მიიჯახუნა...

ფარნაოზმა სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომა-

რის მოსაცდელის კარი შეაღო, სამი კაცი იჯდა და რიგს ელოდებოდა. გველნაკბენივით გამოვარდა უკან, ვითომ სხვათაშორის შეიხედა; არ უნდოდა, მისი აქ მოსვლა ვინმეს შეენიშნა.

დიდხანს იბორიალა ტალანში, კარგა დრო გავიდა. კიდევ შეიხედა მოსაცდელში, ახლა მარტო მდივანი ქალიღა იჯდა.

— თავმჯდომარე ადგილზეა? — იკითხა.

— კი, ადგილზეა.

— მარტოა?

— მარტოა.

— შეიძლება შევიდე?

— მიბრძანდით.

ფარნაოზმა მოკრძალებით შეაღო კარი და მოჭარბებული მოწიწებით შესვლის ნებართვა ითხოვა. თანხმობა რომ მიიღო, შევიდა და სკამზე ჩამოჯდა.

— იცით, თქვენთან რამ მომიყვანა? — დაიწყო ფარნაოზმა.

— არ ვიცი.

არ მოელოდა ამგვარ პასუხს, ცოტა კიდეც დაიბნა, ბოლოს თავს ძალა დაატანა და განაგრძო:

— ერთადერთი კაცი მეგულებით, რომელსაც შეიძლება საიდუმლო ანდო და არ გაგცეს.

— რა საიდუმლოა ისეთი, რომელიც მხოლოდ ჩემთვის გემეტება? — ღიმილით გადაურბინა სახეზე თავმჯდომარეს.

— ერთ დანაშაულზე უნდა მოგითხრით, ოღონდ, მე რომ გითხარით, არავინ უნდა იცოდეს; საქმე სახელმწიფო ქონების ქურდობას ეხება.

— თუ ასეა, ბრძანეთ, თქვენი სურვილი შესრულებული იქნება! — დაინტერესდა თავმჯდომარე.

ფარნაოზმა სკამი ახლოს მიაცურა და ჩურჩულით დაიწყო. თავმჯდომარემ შეაჩერა:

— ჩვეულებრივ ილაპარაკე, არავინ გაიგებს.

— ჩვენს სოფელში, წუხელ, ერთმა კაცმა ერთი მანქანა მოპარული ფიცარი მოიტანა და თავის ეზოში დააწყო, ეხლავე იქ რომ წახვიდეთ, ნახავთ.

— ვინ არის? სად მუშაობს? საიდან მოიპარა? — თავმჯდომა-

რემ კალამი და ქაღალდი მოიმარჯვა.

— ამირან ხარებაშვილია, სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

— შენი მოგვარე ყოფილა (თავმჯდომარე ფარნაოზს ადრეც იცნობდა).

— ჩემი ძმაა, სისხლი გამიშრო, ახლა მაგანა ნახოს სისხლის გაშრობა როგორია! — მუქარით ჩაილაპარაკა ფარნაოზმა.

თავმჯდომარეს კალამი ხელში გაუშეშდა.

— რამ გაიძულა, ფარნაოზ, ძმას ასე რომ აბეზღებ? სახელმწიფო ქონების დატაცება გაწუხებს, თუ პირადი ინტერესი გაქვს?

— თუნდაც მთელი ტრესტი შეეჭამა, რაში მენაღვლება, მაგრამ ერთი მტკაველი მიწის გულისათვის ძმას მოსაკლავად დამდევს. ეზოში ვეღარ გავსულვარ, ცოლიც ერთი აშაქარი ვინმე ყავს, მოკლედ, კარგი წამალი მოვუნახე.

— ჰოოო, ეს კი აღარ გეკადრება, ჩემო ფარნაოზ! — კალამი მაგიდაზე დადო თავმჯდომარემ.

ფარნაოზს ბრაზი ახჩობდა.

— თქვენ თუ არ შეამოწმებთ, ეხლავე მილიციაში მივალ და ისინი დაადგამენ ამ საქმეს თავს!

— წახვალ, ნამდვილად წახვალ, შენ ისეთ ეშმაკზე ზიხარ, წახვალ! მაგრამ ბოროტების გზაზე რომ დგახარ, ამას კი ყველა გაიგებს!

— ეს როგორ გავიგოთ? — შეშფოთდა.

— როგორ და ისე, რომ ეხლავე წავალ შენი ძმის შესამოწმებლად, თანაც საჯაროდ განვაცხადებ, რომ ფარნაოზმა შეგვატყობინა-მეთქი.

— ყელი უნდა გამომჭრათ? სოფელში თავი როგორღა გამოვყო, ძმის მოღალატემ?

— არავის რომ არ გაეგო და შენი ძმა ისე დაგვეჭირა, სინდისი არ შეგაწუხებდა?

ფარნაოზს შუბლზე ცივი ოფლის წვეთებმა გამოჟონეს. დიდხანს იჯდა ასე ტყვიანაკრავივით. თავმჯდომარეც ხელს არ უშლიდა, თავისთვის რაღაცას წერდა.

— როგორ მოვიქცე? მირჩიე მაინც, — ძლივს ამოღერღა ფარნაოზმა.

— აი, ეს მოგიხდა! — გაუხარდა თავმჯდომარეს, — წადი ახლა, შეურიგდი ძმას, ერთ კვირაში თქვენს შორის წარსული ჩხუბის კვალიც აღარ დარჩეს, სამაგალითო ძმაობა თუ გექნებათ, ეს ამბავი მხოლოდ ჩვენ შორის დარჩება; რაც შეეხება ფიცარს, მაგ საკითხს გავარკვევთ.

— შენი ჭირიმე, ვითომ არაფერი მითქვამს, მაპატიე, და ნურც შეამოწმებთ, რაც მითხარი ყველაფერს შევასრულებ, ოღონდ ძმას ნუ დამიღუპავთ! — ფარნაოზმა ნამდვილი ძმური ჯიგარი დაატანა ამ თხოვნას.

თავმჯდომარეს სიამოვნებით გაეღიმა.

— წადი, ფარნაოზ, სიტყვას კი ნურც ერთი ნუ გავტეხავთ! — ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამოართვა და დაბნეული ფარნაოზი კარებამდე მიაცილა.

თავმჯდომარე ტელეფონთან მივიდა და სამშენებლო სამმართველოს უფროსს დაურეკა.

— როგორ არის საქმე, დიმიტრი, სამშენებლო-სამონტაჟო სამშაოების გეგმებს ასრულებთ?

— გვიჭირს, ძალიან გვიჭირს, მინდვრის გზებზე მანქანები ვეღარ გადიან, ეფლობიან, მასალები ობიექტებზე ვეღარ მიგვიტანია, — შეშფოთება იგრძნობოდა დიმიტრის ხმაში.

თავმჯდომარე პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— რა კაცია, ეგ თქვენი ამირან ხარებაშვილი? სამუშაოთა მწარმოებლად რომ მუშაობს.

— კარგი მუშაკია, დაკისრებულ მოვალეობას უძღვება.

— იცი, რომ ერთი მანქანა ფიცარი თავის ეზოში ჩამოცალა გუშინ? შენ კიდევ ამბობ, კარგი კაციაო, — წყენა შეეპარა თავმჯდომარეს ხმაში.

— ვიცი, როგორ არ ვიცი, ობიექტამდე, როგორც მოგახსენეთ, მანქანები ვერ მიდიან. სანამ გზა გაიხსნება, თავის ეზოში ჩამოცალა, ამ დილით ჩემთან იყო და შენახვის აქტიც მაჩვენა, — დიმიტრის ქვეცნობიერი მადლობის გრძნობა დაეუფლა ამირანზე, რომელმაც ერთი საათის წინ ყველაფერი დაწვრილებით

მოახსენა, მას კი საშუალება მიეცა ასე ოპერატიულად ზუსტი პასუხი გაეცა კონტროლის თავჯდომარისათვის.

— აგაშენა ღმერთმა! — გაუხარდა თავჯდომარეს. — დიდი მადლობა, დიმიტრი, მაღარიჩი ჩემზე იყოს. პასუხს აღარ დაელოდა, ყურმილი დადო, სავარძელში ჩაეშვა და შვებით ამოისუნთქა.

დიმიტრის ყურმილი დიდხანს ეჭირა ხელში, გაოცებული დაჰყურებდა, ბოლოს მხრები აიჩეჩა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— უცნაური ხალხია, ფიცარი ეზოში არც კი ჩამოულაგებიათ და იმან უკვე იცის, ახლა „მადლობაო“, პირდაპირ საკვირველებაა, — კიდევ აიჩეჩა მხრები და თავისი საქმიანობა გააგრძელა.

* * *

ფარნაოზმა დინჯად შეაღო ქუჩის კარი და ეზოში ისეთი გრძნობით შევიდა, თითქოს დიდი ტვირთი მოიხსნაო. სახეზე სიკეთის ღიმილი უთამაშებდა, ამირანის ეზოს სიყვარულით გახედა, კაცად ახლა ვიქეციო, ჩაილაპარაკა და მარნისაკენ წავიდა. თებრო ფასფასით გამოუდგა უკან. ფარნაოზმა ყურადღება არ მიაქცია, კარგად იცოდა, ცოლს ცნობისმოყვარეობის ჟინი ახრჩობდა, სანამ ახალ ამბავს გაიგებდა. განგებ შევიდა მარანში და თებროც მიჰყვა.

— რა ქენი, კაცო, მალე მოვლენ? ხომ ამოგვყრიან მაგათ ჯავრს? — სეტყვასავით დააყარა ქალმა.

ფარნაოზმა არც აცივა, არც აცხელა, კაბის საყელოში სწვდა თებროს და მაგრად შეანჯღრია, ქალს ფერი ეცვალა, მოიკუნტა.

— დედაკაცო! ჩემი ძმა და რძალი დაუშაქრავი ენით თუ მოგიხსენებია, იცოდე, ჩემი ხელით გამოგჭრი ყელს, გაიგე?! — შეუბღვირა ფარნაოზმა.

ქალი შეპასუხებას აპირებდა, მაგრამ ქმარს სახეში შეხედა და ელდა ეცა, აფთარი უმზერდა ქმრის თვალებიდან და საკმარისი იყო პატარა შეცდომა, რომ შეიძლება გაუგონარი ამბავი დატრიალებულიყო.

— გავიგე, კაცო, გავიგე, აბა, არ გავიგე? — შიშნაჭამი მწარე ღიმილით თქვა ქალმა.

— ჰოდა, რახან გაიგე, წადი, ქათამი დაკალი, საღამოზე ჩვენთან გადმოვიპატიჟოთ ჩემი ძმა და რძალი, — დაუყვავა ფარნაოზმა და დედაკაცს ხელი შეუშვა.

თებრო ქათმის დასაჭერად გაიქცა, თანაც ბუტბუტებდა: — ვიშ, ქა, ნეტა რა ბუზმა უკბინა, რომ კაცი სუმთლად შეიცვალა, იქნება ეგრე სჯობდეს, — ინუგეშა თავი და ჩასუქებულ დედალს გამოეკიდა.

ფარნაოზმა ჩაქუჩი და გაზი აიღო და სამეზობლო კარის აღდგენას შეუდგა.

ქსენიამ, როგორც კი დაინახა ფარნაოზი კარებს ეჭიდებაო, ეგონა მორიგ ჩხუბს აპირებსო, შეძვრა ოთახში და გარეთ აღარ გამოუხედია.

ამირანი რომ დაბრუნდა, ფარნაოზს კარის აღდგენა დამთავრებული ჰქონდა და ახლა მის სწორად დახურვის საკითხს აგვარებდა. ამირანს გაუკვირდა, ცერად გახედა ძმას და ჩუმად გასწია სახლისაკენ, ნეტა რას აპირებსო, გაიფიქრა.

— ამირან, კაცო, — დაუძახა ფარნაოზმა, — მოდი ერთი ნახე, კარები როგორ გავმართე.

ამირანი ფრთხილად მიუახლოვდა, ფარნაოზი კარებს ღიმილით აწვალებდა.

— მოგწონს? — შეეკითხა.

— რა უჭირს, კარგია.

— ეს სპეციალურად გავმართე, ძროხამ აქეთ იაროს, სხვისი ეზოების მოვლა უჭირს, — მზრუნველად თქვა ფარნაოზმა.

ამირანმა ყურებს არ დაუჯერა.

— ჰო, რა ბოტივით გაჩერდი, ამაზე უნდა იაროს ძროხამ-მეთქი, გაიგე? ან ეს ღობე რად გვინდა ამის პატრონი გაქრა, რა გვაქვს გასაყოფი, ძმები არა ვართ?!

— ოხ! შენი ჭირიმე, შენი! — ამოიღრიალა ამირანმა და ძმა ისე ჩაიკრა გულში, კინაღამ დაახრჩო.

ორი ძმა ეხვეოდა ერთმანეთს და ლოყებზე ცხარე ცრემლები ჩამოსდიოდათ. ეს ცრემლები სიყვარულისა და მწარე სინანულისა იყო, მაგრამ ბედნიერების ღიმილი ისე ღრმად ჩაბეჭდოდათ სახეზე, რომ ვერავითარი ძალა ვეღარ მოაცილებდათ.

ცოლებიც გამოსულიყვნენ, ქმრების მაყურებლები იქვე თავთავიანთი მხრიდან ბოძს მიყუდებოდნენ და მოვარდნილ ცრემლებს ხილაბანდის წვერით იწმენდდნენ.

რა დიდი ბოროტება იყო აგორებული ორ ღვიძლ ძმას შორის, როგორ ზეიმობდა უმეცრება უგუნური მძვინვარების სტიქიაში. რა დიდი ძალა ჰქონია სიკეთის პატარა ნაპერწკალს, რომლისკენაც ერთმანეთის მოსასპობად შემართული ძმები გულის კარნახით მთელი არსებით ილტვოდნენ.

— წამო, ფარნაოზ, ქვევრის პირას დავლოცოთ დღევანდელი დღე, — შეიპატიჟა ფარნაოზი ამირანმა.

— ჩემთან გაშლილი სუფრა გველოდება, ხვალ კი ქვევრის პირას მოვილხინოთ.

ოთხივენი შემოუსხდნენ სუფრას და ამდენი ხნის დავიდარაბაში შემონახულ სიყვარულს თავი ველარ დაუჭირეს, ერთმანეთის მეტი სალოცავი აღარავინა ჰყავდათ. ბოროტების მძიმე ტვირთი მოიცილეს და ისე ლაღად გრძნობდნენ თავს, მათზე ბედნიერი აღარავინ ეგონათ. კარგად გაუგეს სიმწარეს გემო და ამიერიდან სიკვდილამდე სულ ერთმანეთის ბედნიერებაზე ზრუნვაში იქნებოდნენ. ისე დაათენდათ თავზე, ვერც კი გაიგეს.

ამირანი ახალი ჩაძინებული იყო, მანქანამ რომ მიაყვირა მის ქუჩას.

— ამირან! — დაუძახა მძღოლმა.

— ჩუმად, ბიჭო, არ გააღვიძო! ახალი ჩაძინებულია, — გამოეხმაურა ფარნაოზი.

— მაშ, რა ვქნა, ფიცარი უნდა წავიღო ობიექტზე, მარტომ როგორ დავუდო? — შეწუხდა მძღოლი.

— მე აქ არა ვარ?! წაგეხმარები, — ფარნაოზმა ფიცარს დაავლო ხელი.

ოთახში ამირანს მშვიდი ძილით ეძინა.

გარეთ კი ფარნაოზი შოფერს უბრაზდებოდა, ფიცრებს ხმაურით ნუ ჰყრი, ბიჭი არ გააღვიძოო...

სუკის დილეგი.
1985 წელი.

ცუგა

დილაბნელზე ადგომას რა სჯობს. მამლებს გადაძახილი თითქმის უკვე დამთავრებული აქვთ. აქა-იქ თუ წამოიყივლებს სხვა მამლების ხმაურზე გაღვიძებული ძილისგუდა ყვინჩილა. სამაგიეროდ შაშვებს ისეთი საუბარი გაუმართავთ, რომ გული დაგწყდება, მათ საამო გადამღერების მოსმენას ზოგჯერ ძილი რომ ამჯობინე და ბუნების ამ დამატკბობელ ზეიმის მიღმა დარჩი. აგერ, გულყვითელაც ჩაება მომღერალთა ამ გაბაასებაში. ყველა გალობს, თავისი შესაძლებლობით ზეიმით ხვდება მზის ამოსვლის საამო მოლოდინს. სიცოცხლის გაღვიძება და ფრინველთა ეს ორკესტრი რაღაც ზებუნებრივი სიხარულით გავსებს და სიკეთის მძლავრი აღმავლობით სპობს თუ სადმე ღვარძლი, შური, ეგოიზმი და ყოველგვარი ბოროტება ღამის ფრთას შეფარებული კბილებს აღრჭენს.

დილით საამური სიგრილეა. ცაზე ვარსკვლავები ჯერ არ ჩამქრალან. აქა-იქ ღრუბლის თხელი ფთილა მოკრძალებით მიცურავს სინათლეშეპარებულ ცაზე. მალე მზე დაეპატრონება სივრცეს, მიწის პირს თონესავით გაახურებს და ამ საცოდავი ღრუბლების ხსენებასაც გააქრობს. ამიტომ ვენახში მზეს უნდა შეასწრო და მთელი დღის ანგარიშზე იმუშაო, სანამ მზის სხივები გაცოფდებიან. მაშინ კი ჩრდილში წამოწოლილი მოთმინებით დაელოდები დასავლეთისკენ გადაგორებული მზის სხივების დაბლაგვებას.

ახლა ვენახში ვარ და ვაზთან პაექრობით დროს წარსულზე ფიქრით ვადნობ. მუხთალია წლების სიმრავლე და ისეთი მძიმეა, რომ ცხვირით მიწას გახვნევინებს. ადრე პაპაჩემი მეტყოდა ხოლმე, ყველაზე მძიმე გამრავლებული წლებიაო. მე მეცინებოდა, რამეთუ წლების სიმრავლის სიმძიმეს ვერ ვგრძნობდი, ჩემს მიერ მოგროვლი თორმეტიოდე წელი ბუმბულივით მსუბუქი რომ მეჩვენებოდა.

პაპაჩემი ვენახს ცხენის გუთნით ხნავდა. მე აღვირი მეჭირა ხელში და წინ მივუძღოდი; წლებით დამძიმებული პაპა თანდათან გუთანს ვეღარ ერეოდა. ახლა ის მიუძღოდა ცხენს და გუთანი მე გადმომაბარა. ვენახს დინჯად სხლავდა. რქას კვირტს დაუთვლიდა, გადაზომავდა, გაასუფთავებდა, ვაზს ძირიდან ზედმეტ ქერქს შეაცლიდა, შიგ პარაზიტები და მავნე მწერები ბუდობენო. კარგად შემოწმების შემდეგ უნაყოფო და ზედმეტ ნაზარდს მოაცილებდა. მე ხშირად მაძლევდა შენიშვნას, როცა სიჩქარით ნაყოფიან ან საჭირო რქას შევაჭრიდი. მუხლები სტკიოდა, ვაზთან თუ ჩაიმუხლებდა, ადგომაში წვალობდა. პატარა სკამი დაჰქონდა თან, დადგამდა, ჩამოჯდებოდა და დინჯად ისე გააკოხტავებდა, გაკრეჭდა, გაასუფთავებდა, როგორც კარგი დალაქი ბანჯგვლიან თავს. მე კი გრიგალივით გავურბენდი ხოლმე პლანებს და პაპაჩემი ეხ, ოხის ხვნეშით ასწორებდა ჩემს ნაკვალევზე დარჩენილ ხარვეზებს.

მუხთალი წლები კი თავის საქმეს აკეთებდნენ. დრო ამ წუთისოფელში სტუმრობას თაფლად და განცხრომად არავის შეარგებს. ადამიანი კი, რაგინდ დამძიმებულიც არ იყოს წლების სიმრავლით, მაინც ეჭიდება ამქვეყნიურ გაწამაწიაში ფართხალს, რადგან არ იცის, აქედან ჩაყვინთული, როგორ სამყაროში ამოყვინთავს, ან, საერთოდ, ამოყვინთავს კი და არ გაქრება როგორც უცებ აბრიალებული ბუხრის კვამლი.

ჩინგიზ-ხანი გამახსენდა, უზარმაზარი სახანოს მბრძანებელი სიცოცხლეს სასოწარკვეთით ებღაუჭებოდა, ძლიერების ზენიტზე მყოფმა გამრავლებული წლების, რომელთა სიმძიმე მიწისკენ ექაჩებოდა, ჩამოფერთხვა მოინდომა და მაშინდელი მსოფლიოს სწავლულები მოიწვია უკვდავების წამლის დასამზადებლად. მათ შორის ზოგი შარლატანი გამოდგა და ჩინგიზ-ხანმა უკვდავების წამალი პირველად მათ დაალევინა, მერე თავი მოჰკვეთა, აბა თუ გაცოცხლდებითო. მხოლოდ ჩინელმა სწავლულმა ჩან-ჩუნმა უთხრა სიმართლე: ბევრი წამალი არსებობს დაავდებებთან საბრძოლველად და ადამიანის გასაკაჟებლად, მაგრამ უკვდავების წამალი არ არსებობსო, და გადარჩა ცოცხალი. დალოცვილია სიმართლე, ძლიერი და მამაცია მისი მატარებელი კაცი.

გამიმრავლდა წლები და ვაზთან თუ ჩავიმუხლე, ადგომა სპორტული წარმატება მგონია. ადამიანი კი, როგორც არ უნდა დაჩაჩანაკდეს და სიცოცხლეს ზედმეტ ტვირთად ექცეს, მაინც ეჭიდება მას, როგორც წაყლწაღებული ჩალას, რომელიც ნელ-ნელა წყალში იძირება. დრო კი უწყალოა და ისე დაგტვირთავს წლების სიმრავლით, რომ მიწას ფორთხვით ჩაგახუტებს და მომდევნო რიგში ჩამდგარ წლებს შენს საფლავზე გადაავჯირითებს, რომლებთანაც შენ აღარაფერი გესაქმება. არც მოსვლა გკითხეს ამქვეყნად და არც წასვლას შეგეკითხებიან თუ სიცოცხლე ისე არ გაგიმწარდა, რომ ამ წუთისოფლის გაწამაწიას შენ თვითონ არ გაექეცი.

ჩინგიზ-ხანს გამარჯვებულს და უზარმაზარი ქვეყნების მბრძანებელს ამქვეყნის მიტოვება და ბნელით მოცულ გაურკვევლობაში გადაბარგება რომ არ უნდოდა, გასაგებია. რა იცი, რა კანონები მოქმედებს იმქვეყრნად. ხომ შეიძლება მთლად ისე არ იყოს, როგორც ჩვენი სულიერი მამა მოძღვრები გვიჩიჩინებენ.

ამას წინათ ჩემი ძვირფასი ადამიანი გარდაიცვალა. დაკრძალვის შემდეგ ეკლესიაში მისი სულის საცხონებელი წირვა უნდა ჩატარებულიყო ყოველ კვირას. ერთ ამგვარ წირვას მეც დავესწარ. მღვდელმა წინასწარ პატარა საუბარი ჩაგვიტარა, რათა იმსაიქიოს კანონების ზედაპირული ცოდნა მაინც გვქონოდა: გარდაცვლილი სული პირველად სამოთხეში მიჰყავთ და იქაურობის გაცნობის შემდეგ აუცილებლად ჯოჯოხეთში გადაჰყავთ. იქიდან ჯოჯოხეთის მესვეურები სულებს უკან აღარ უშვებენ. ჰოდა, ჩვენ ამ ყოველკვირეული მისი სულის საცხონებელი წირვით უნდა დავიხსნათ ჯოჯოხეთიდანო. ჩვენ თითო წირვაზე ას ლარს ვიღებთ, მაგრამ თქვენ ანგარიშს გიწევთ და სამოცდაათად შევასრულებთ წირვასო. შეკითხვა დამებადა, თუ იმ სულების გაჭირვებამ არ მომასვენა მათ ჭირისუფალს ჯოჯოხეთიდან გამოსახსნელად ფული რომ არ ჰქონდა, რა ეშველებათ იმ სულებს ჯოჯოხეთიდან ავი სულები უკან რომ აღარ უშვებენ. დავიჯერო, იმსაიქიოს სამსჯავრო ამქვეყნის სასამართლოს ჰგავს, გირაოს თუ გადაუხდი, გიშვებენ, უფულო კაცს კი საკანში აყურყუტებენ. რატომღაც ეს ინდულგენციებით მათხოვრობას

მაგონებს და უფალმა აქ თუ ვერ მოაგვარა გაჭირვებულების ამქვეყნიური უკუღმართობიდან ხსნა, იქ მაინც რაღა უჭირს, რომ უფულოები, უქონელნი და უცოდველნი სამოცდაათლარიანი წირვის გარეშე დაიხსნას ჯოჯოხეთიდან მეთქი. მღვდელი გაიბუტა და ამის შემდეგ სულის გამოსახსნელ დანარჩენ წირვებზე ახლობლების მიერ ამეკრძალა დასწრება, შენი მიზეზით ძვირფასი ადამიანის სული, რომელმაც ესოდენ გატკინა გული, ჯოჯოხეთში არ ჩარჩესო.

ძველ ბერძნულ მითოლოგიაშიც გვარიანად იყო გამჯდარი მოქრთამის კულტი, როცა გარდაცვლილს ფულს ატანდნენ სულეთში მდინარე სტიქსზე გადასვლაში მენავე ქარონისათვის მისაცემად. ისე კი საინტერესოა, ქარონს ის ფული რომელ დუქანში უნდა დაეხარჯა სტომაქის მწვადით ან ქაბაბით გამოსავსებათ. ის სულები კი, რომელთაც ფული არ გაატანეს, ალბათ სტიქსში ცურვით გავიდნენ. იმათზე ფიქრი კი არ მასვენებს, ვისაც არც ფული გაატანეს და არც ცურვა იცოდნენ, ალბათ, დღემდე სტიქსის გამოღმა ლტოლვილებად შემორჩნენ სულეთის ცივილიზაციას და ჰუმანიტარული დახმარებით არსებობენ, რომლის გამოღმა გადმოსატანად იგივე ქარონი ნისიად არ გაირჯება.

ყოველივე ამის გაგების შემდეგ რა გასაკვირია, რომ ადამიანს სიკვდილი არ უნდოდეს, თუნდაც იმიტომ, რომ ჯოჯოხეთიდან გამოსახსნელი ფული ჭირისუფალს არ ჰქონდეს, ან მისი გამოსხნა დაავიწყდეს, ხომ შერჩება ეშმაკებს ჯოჯოხეთში. არადა, ეშმაკებსაც ხომ აქვთ ეშმაკობა, სულის ჯოჯოხეთიდან გამოხსნის მსურველებს სწორედ იმ მომენტში დასვამენ ქესეტად და მოგჭამა ჭირი შენმა ამქვეყნიურმა ღვთიურმა ცხოვრებამ. სად წახვალ, ვისთან იჩივლებ, როცა თანამედროვე იზოლატორივით ჯოჯოხეთიდან ცხვირს არ გამოგაყოფინებენ.

რატომღაც იმქვეყნიურ ამბებში ღრმად ჩახედულმა მღვდელმა დღევანდელი სამართალდამცვი ორგანოები თავიანთი სასჯელაღმსრულებელი სისტემით იმქვეყნიურს მიამსგავსა. მიწიერმა ჭუჭყმა, ეტყობა, სულეთშიც გაჟონა მღვდლად გაჟონილ ჭუჭყიან ბაგეთა ბოდვით. ასე რომ ყოფილიყო, ჩინგიზ-ხანი სულ და-

ფაზურნით გამოცხადდებოდა ჯოჯოხეთში, რამეთუ მისი სულის გამოსახსნელად ურდოში არც ფული გაუჭირდებოდათ და მათ ქვეშემრდომ მილიონობით ადამიანებს სულ უფალო შეიწყალეს აძახებდნენ. ჩინგიზ-ხანი კი როგორც შარლატან სწავლულებს უკვდავების წამლის დალევაში არ ენდო, ეტყობა, არც იმქვეყნიურ ჯოჯოხეთიდან მისი სულის დასახსნელ წირვასაც არ ენდობოდა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ უზარმაზარი ქვეყნის მფლობელს უცნობ სულეთში გადაბარგება არ უნდოდა. ხომ შეიძლება განუსაზღვრელი ძალაუფლებით განებივრებული სული ვინმე მის მონად ნამყოფი სულის მეჯინიბედ დანიშნონ. ეს კიდევ არაფერი, ამოდენა ცოდვების მტვირთველი ბატკნად, გოშიად, ან ლოკოკინად რომ დააბრუნონ უკან, სადაც მისი შიშით კანკალებდნენ.

ძალაუფლება ისე რყვნის ადამიანს, რომ მისი დაკარგვის შიში ყველაზე დაუნდობელ მხეცად აქცევს. სანამ ძალას ფლობს თავი წუთისოფლის მსახვრელ ხელზე ამაღლებული ჰგონია და დაუსჯელობის გრძნობის ტყვე იქნევს განუკითხაობის მახვილს; გაუმაძღრობის ჭირით დაავადებული კოღო თვითონ დედამიწის გადაყლაპვას ცდილობს, ეს მიწის პროდუქტი არარაობა.

ვინც კი ძალა იგრძნო, მაშინვე სხვების დაბრყობა, ძარცვა და ჟლეტა მოისურვა. კიროსი ვერ გაძღა მეზობელი ხალხების დაპყრობა-ძარცვით, ბოლოს სისხლით სავსე გუდაში ჩადეს, ახლა მაინც გაიჭყირპები სისხლის სმითო. ნაპოლეონს მთელი ევროპა რომ არ ყოფნოდა, წმინდა ელენეს კუნძულზე ქეციანი სხეულის ფხანით მოგვდა. გიტლერი მსოფლიო გადაყლაპვას რომ ცდილობდა, მისი ცხედრის დასაწვავად ბენზინი ძლივს იშოვეს; სამარის ჭიის სტომაქვს არც ის გადაურჩა, დიდების მწვერვალზე მჯდარი რომ შეეწირა წუთისოფლის მსახვრელ ხელს.

დედამიწა მასზე მცხოვრებ ყველა სულიერი არსებისათვის იგივე ზომის დარჩა, ადამიანისათვის კი სულ უფროდაუფრო პატარავდება. ადრე თუ ამერიკის აღმოჩენა სასწაული იყო და იქამდე აფრიანი ხომალდებით მიცურვას თვეები სჭირდებოდა, ახლა ვაშინგტონში გამომთვრალი ამერიკელები ნაბახუსევზე

ხაშს თბილისში მიირთმევენ. ფული, გამდიდრება, ბევრის შოვნა და მისაკუთრება ადამიანთა გაუმაძღრობის ავადმყოფობის სიმპტომებია. თავისი ჰგონია ის, რასაც ხვალ და ზეგ მისი ხარბი სხეული მტვრად და მიწად დააკვდება, რათა ახლა სხვა მისმა მსგავსმა ამ წუთისოფლის სირცხვილმა მიისაკუთროს.

რაც სჭირდება, იმაზე მეტის მოხვეჭას ადამიანი კაცობრიობის ყველაზე სამარცხვინო ჩვევებთან მივყავართ. უზნეობა, გარყვნილება, სქესობრივი აღვირახსნილობა — გაუკუღმართება, შური, ღვარძლი, ეგოიზმი, დაუნდობლობა, სიძულვილი, ადამიანის სულში ბოროტების პარპაში, თუ კიდევ დარჩა რაიმე სიბინძურე გაუმაძღრობის და ზედმეტი მოხვეჭის პროდუქტია, რასაც კაცობრიობის მოსპობა შეუძლია, თუ პროგრესულმა აზროვნებამ არ შეაკავა ეს საშინელი სენი, რომელიც მხოლოდ ადამიანთა მოდგმას ემუქრება გადაშენებით, თორე დედამიწაზე სიცოცხლე კვლავ გაგრძელდება ამ უფლისმიერი მოაზროვნე არსებათა გარეშე, რომელთაც შეუძლიათ ამქვეყნიურობის ბედნიერებად ქცევა, თუ ყველა მანკიერებას დაძლევენ და სიყვარულს გაიხდიან ბედნიერებისაკენ მიმავალ გზად. ჯერ კი გაუმაძღრობა ზეობს ამ ცოდვით გადატვირთულ დედამიწაზე. ერთმა ჭკუადაკეტილმა მილიონერმა მთვარეზე ნაკვეთის შეძენა მოისურვა. ხედავთ? დედამიწა აღარ ყოფნით ამ სამარის ჭიის ანტრიკოტებს. კაცობრიობა კი ჯიუტად, ნაბიჯ-ნაბიჯ მაინც მიიწევს ადამიანთა ამქვეყნიურობის ბედნიერებად ქცევისაკენ. აქ კი განუწყვეტელი ბრძოლაა და ერთმანეთის დაჩაგვრა, დაბეჩავება-მოსპობით საკუთარი კუჭის ამოყორვაზე გაწამაწიაა.

მხოლოდ ერთი არესაა კალიფორნიის ყურეში მცხოვრები ვერტიმენტიფერები არავის და არაფერს არ ჭამენ, არც პირი აქვთ და არც ანალური ხვრელი, ცოცხლობენ ორგანიზმში არსებულ ბაქტერიებით. ისინი ერთადერთი არსებანი არიან სხვის შეჭმაზე რომ არ არის დამყარებული მათი ამქვეყნიურობა. სხვები, დაწყებული პაწია მწერებიდან, ლომებით და ზვიგენებით გათავებული სხვების შეჭმაზე და ძალადობაზეა დამყარებული მათი არსებობა. ზოგს შხამი აქვს, ზოგს — ბრჭყალი და კბილი; ამაზონკის უგორს — ელექტროენერგია მსხვერპლი დასა-

ქამანდებლად და თავის დასაცავად; ამრიგად, მთელ დედამიწაზე განუწყვეტელი ომია. კალმახი მტაცებელია თავისზე მცირე კალმახებსაც არ ინდობს; სამეფო კობრა გველებით იკვებება; დედალი ჩოქიკალია სქესობრივი აქტის დროს მამალს ჭამს; დედალ ობობას მამალმა თუ არ გაასწრო მოკვლა არ ასცდება; ადამიანზე ძლიერ კი არცერთი არსება არ მტრობს თავის მსგავსს. თუ ადამიანს მოსპობა და გადაშენება უწერია, ამის ჩამდენი მხოლოდ ადამიანი იქნება. რამდენი ომი და მასთან დაკავშირებული ხოცვა-ჟლეტვა ახსოვს კაცობრიობას. ვთქვათ, წარსული დაუნდობლობა განვითარების დაბალი დონის ბრალი იყო, ომები, უსამართლო ხოცვა-ჟლეტვა ახლაც გრძელდება; როცა უფრო განვითარების მაღალ დონეზე ადის კაცობრიობა, მით უფრო იხვეწება, ძლიერდება და მრავალფეროვანი ხდება ადამიანის მიერ ადამიანის მოსპობის ხელოვნება. ხიროსიმაში ადამიანის გაჟუჟვის მსგავსად რომელი მხეცი შეძლებდა ასე ხვავრიელად თავის მსგავსების ამოწყვეტას?!

ადამიანს რაც უნდა ბევრი ჰქონდეს, მაინც მეტი და მეტი უნდა, თუ ამას ძალაუფლებაც ახლავს, მაშინ ხომ მთლად გადაირევა. სხვების დამორჩილება, მეტის და მეტის მოხვეჭა, ტერიტორიების დაბრყობისაკენ ლტოლვა არ ასვენებს. დაკარგავს ძალას და ეს დაუნდობელი საკუთარ ტყავში შეკეტავს თავის ამბიციებს, ღუნღულა კატასავით უზნევარი და მორჩილი ხდება, თავზე ხელის გადასმაზე რომ კრუსუნებს; თუ პატარა პურის ნაჭერსაც მიუგდებ, მაშინ ხომ ლაქუცად იქცევა.

ლათინებმა ეტრუსკების ბატონობას დააღწიეს თავი და ახლა თვითონ ექცნენ სხვებს უბედურებად. თითქმის მთელი მაშინდელი მსოფლიო დაიბყრეს, ხალხი დაიმონეს, გლადიატორების სისხლით მორწყეს უამრავი არენა თავიანთ გასართობად. განებივრდნენ, უზრუნველობაში და გარყვნილობაში აფართხალდნენ. სქესობრივმა თავაშვებულობამ მოიცვა მდიდართა ფენა და ყველას მოედო. შედეგად თავზე დაემხოთ ერთ დროს მსოფლიო იმპერია. ვანდალებმა დაიბრყეს, გაძარცვეს, გააუპატიურეს, სისხლი ადინეს და დაამცირეს. ამათ კიდევ ვანდალებს ხვეწნა დაუწყეს, ცოტა ხანს გვაცლეთ ღმერთის დღეობა უნდა

აღვნიშნოთო. სიმდიდრემ, უზნეობამ, აღვირახსნილმა ცხოვრებამ ადამიანები გარყვნა, დაამდაბლა და თავმოყვარეობა დააკარგვინა. შედეგად აღიგავნენ პირისაგან მიწისა.

ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა, თავს დემოკრატიულს რომ უწოდებენ და მის დამცველებად შეითხუპნეს ნადირის სიფათი, ეს არაფერი, ბევრმა გულუბრყვილომ დაიჯერა, როცა იმათ ფსევდოდემოკრატიას არავინ უკრიტიკებს. ჰოდა ისინიც თამაშობენ ცალ კარში. პედერასტების და ლესბოსელების განებივრება; ერთსქესიან არსებათა ქორწინება; სექსუალური აღვირახსნილობის პროპაგანდა თურმე დემოკრატიის ყველაზე მაღალი საფეხურია. ადამიანთა სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა კი სოციალისტური აზროვნების გადმონაშთი ყოფილა. ვინც მეტს მოიხვეჭს, გმირიც და ვაჟკაციც ის არის. ვინც ხელისუფლებაშია ყველა სიკეთე იმისია. აბა მაშ როგორ, დემოკრატიაა, როგორც გინდა ისე ძარცვე შენი ხალხი და ქვეყანა თუ მოხვეჭის და ცხოველური გაუმძღრობის შარაგზაზე ხარ დამდგარი. ჰოდა, შეყო ამ მრავალტანჯულმა ქართველმა ხალხმა დემოკრატიად წოდებულ ბურჟუაზიულ ჯუნგლების წეწვა-გლეჯაში თავი.

თუ ერის მოსპობა გინდა უზნეობა, გარყვნილობა, სექსუალური გაუკუღმართება და აღვირახსნილობა; უფროსი თაობის შეურაცხყოფა; მოხვეჭის გაუმაძღრობა ჩაუნერგე და მოკეთე შეაძულე; თუ რაიმე გამომრჩა, გარყვნილი და გადაგვარებული ცხოვრება არავითარ სიბინძურეს არ დატოვებს თავისი მყრალი ამქვეყნიურობის მოსაპირკეთებლად რომ გამოიყენოს. ბურჟუაზიული გარყვნილი დემოკრატიაც ამ გახრწნილი საზოგადოებრივი ფორმაციის გედის სიმღერას მღერის. ისე როგორ უნდა დაბეჩავდეს კეთილშობილი საზოგადოებრივი აზროვნება, რომ ეს სიბინძურე მოითმინოს?!

რუსეთის იმპერიაში მომხდარმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო მონარქი და ნახევრად ფეოდალური კაპიტალიზმი შეცვალა სოციალიზმით, რომლის შემდგომ კომუნიზმს გვპირდებოდნენ. შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკათა კავშირი საერთო სავალუტო სისტემით, ჯარით, იდეოლოგიით და ხალხთა კეთილდღეობაზე ზრუნვის რწმენით.

საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრობა სამაგალითო იყო და რესპუბლიკათა მცხოვრებნი მთელ საბჭოთა კავშირში თავისუფლად გრძნობდნენ თავს და ყოველივე ამის საფუძველი იყო რუსი ხალხი. ამ უძლიერესმა სახელმწიფომ დაამტკიცა, რომ სოციალიზმი კაცობრიობის მომავალია. მაგრამ შემდგომში კომუნისტმა ტაკიმასხრებმა ყოველივე ეს სიკეთე არარობად აქციეს და, აგერ, სახეზეა საბჭოთა კავშირში რესტავრირებული უაღრესად მახინჯი კაპიტალიზმი, რომელსაც ახლა საბაზრო ეკონომიკა, ბურჟუებს ბიზნესმენები, მიწათმფლობელებს ფერმერები უწოდეს და ამ სიცრუით თითქმის ფეოდალიზმამდე ჩაყირავდნენ. საშინელი რბევა და გაპარტახება განიცადა ამ უძლიერესმა ქვეყანამ. იდეოლოგია, რომელიც ხალხთა შორის ძმობას, მეგობრობას და თანასწორობას ქადაგებდა, ნაციონალურმა აღზევებამ შეცვალა და დაიწყო ერებს შორის შუღლი და მტრობა. ყველამ თავი ვიღაცის მიერ დაჩაგრულად ჩათვალა და დაერივნენ ერთმანეთს დამოუკიდებლობის მოთხოვნით. ვის ვინ ყავდა დაჩაგრული და დაბეჩავებული თვითონ ირჩევდნენ. სეპარატიზმის ბაცილამ ყველაზე ძლიერ საქართველოში გაიდგა ფესვები. დამოუკიდებლობის მოთხოვნით ყოველგვარ სოციალურ კეთილდღეობას დაერივნენ და მოსპეს მთელი სახალხო მეურნეობა. ღვარძლმა, სიძულვილმა და უმადურობამ ქართველი ხალხი ღვთის ანაბარად დატოვა; ამ ბოროტების შემომქმედებმა კი დაიტაცეს სახალხო ქონება. რაც დრო გადიოდა, ბოროტების მთესველი ერთი მუჭა არამზადები უსაშველოდ გამდიდრდნენ; გაძარცული და უმუშევრად დარჩენილი ხალხი ლუკმა პურის საშოვნელად საზღვარგარეთ გაფრთხა. სიყვარულს და მადლიერების გრძნობას კი შეეძლო საქართველო ბედნერების ქვეყნად ექცია.

საბჭოთა კავშირი კი 1953 წლიდან იშლებოდა და ამას ეწირებოდა იქ მცხოვრებ ადამიანთა კეთილდღეობა. ახლად შექმნილ სოციალისტურ წყობილებას სისტემატიური ზრუნვა, შემოქმედებითი მიდგომა, სახელმწიფოს სრულყოფა და ხალხთა კეთილდღეობისათვის ზრუნვის მექანიზმის თანამედროვეობასთან შეგუებული განახლება სჭირდებოდა; დოგმებით მართვა სახელმ-

წიფოს, რომელსაც ხალხზე ზრუნვის პრეტენზია აქვს, არ გამოადგება. არადა სტალინის სიკვდილის შემდეგ უნიჭო, დემაგოგი, ავყია დეგენერატები მოექნენ ხელისუფლების სათავეში. ქვეყნის ნელ-ნელა რღვევა დაიწყო თავდაჯერებული ყეყეჩი ხრუშჩოვის მიერ და დაამთავრა თავტყირპიანმა ბედოვლათმა. შედეგად საბჭოთა კავშირის ხალხები გათიშვის, ურთიერთ უნდობლობის და დუხჭირი ცხოვრების დოლაბებში მოექცნენ. განებივრებულმა ცხოვრებამ სიფხიზლე მოადუნა. ადამიანებს კი ეგონათ არსებულზე უკეთესი ცხოვრება მოვიდოდა და აჰყვნენ გათიშვის, ნაციონალური დამოუკიდებლობის დემაგოგიურ ბოდვას, რითაც კარგად მოითბო ხელი ბურჟუაზიულმა ავანტიურამ.

ახლა ამერიკის შეერთებული შტატები მოევლინა მსოფლიოს დემოკრატიის ნიღაბაფარებულ თანამედროვე რომის იმპერიად. ასე დემოკრატიის დაცვის ლოზუნგით დათარეშობს და, თუ სჭირდება, სისხლისმსმელ ტირანს მონათვლავს დემოკრატიისათვის თავდადებულ წმინდანად. მსოფლიოს ყველა კუთხეში სწვდება მისი საცეცები, სანამ ფხიზელი გონება არ დაეუფლება კაცობრიობას და საცეცებს ისე დაუმოკლებს, რომ საკუთარ ცხვირს მისწვდეს მხოლოდ.

საქართველოში ვისაც სამშობლოს კეთილდღეობა ქონების დაგროვებაზე გადაუცვლია, ამერიკელთა დახმარებით ძალით და მოტყუებით გამძვრალან ხელისუფლების სათავეში. ჰოდა, სანამ დაბეჩავებული ხალხი გაერთიანდება და ძალას მოიკრებს, მიდის აღვირახსნილი ძარცვა.

ათას წელზე ცოტა მეტ ხანს იარსება რომის იმპერიამ და მიაბარა სული დროთა უკვდავებას. ახლა ამერიკის შეერთებული შტატებია გაპაპაჯორებული და კუნთების თამაშით აყაჩაღებს ქვეყნებს. დემოკრატიისთვის მებრძოლის ნიღაბჩამოფარებული ძალადობის და ძარცვის დემონთა სამსახურშია.

ოცდამეერთე საუკუნეში დიდად ცივილიზებულად ვთვლით თავს და გვაქვს საერთაშორისო კანონმდებლობა, რომელიც ისე, როგორც ძველი რომის და შუა საუკუნეების დროს ძლიერის სამსახურშია. სერბიას თავზე ბომბების სეტყვა დააყარეს თავის ძირძველი ტერიტორიის ჩამოცილების საშუალებას რომ არ

აძლევდა იქ ჩასახლებულ ალბანელებს. მერე გენოციდისა და ხოცვა-ჟლეტის ბრალდებით სერბიის პრეზიდენტი — მილოშევიჩი დააპატიმრეს და ციხეში გარდაიცვალა.

ამერიკის პრეზიდენტმა ბუშმა მსოფლიო შეაწრიალა, ერაყში ატომურ ბომბს ამზადებენ, თან ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღიც აქვთო, თავს დაესხა ვითომ მსოფლიოს გადასარჩენად. ერაყის პრეზიდენტი — სადამ ჰუსეინი ჩამოახრჩეს, ცოლ-შვილი ამოუწყვიტეს. გაირკვა, რომ ატომური ბომბის კი არა, ფილთა თოფის დამზადება არ შესძლებიათ. ბუში კი ჩამოჯდა ერაყში და თავის ნებას კარნახობს ერაყელ ხალხს, რომელიც ბრძოლას არ წყვეტს და იქ ახლაც გრძელდება სისხლის ღვრა. ბუშს კი პასუხს არავინ არ სთხოვს, რატომ მოაწყო ეს ხოცვა-ჟლეტა. მილოშევიჩი დამნაშავე იყო თავისი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას რომ იცავდა, ბუში მართალია საზარელი სისხლისღვრა რომ ატეხა ცილისმწამებლური საბაბით. სასაცილოა თანამედროვე მსოფლიო სამართალი, რომელიც, როგორც ადრე, აშკარად ძლიერის სამსახურშია. დათარეშობს ამერიკა სანამ ძლიერია, ბოლოს კი რომის იმპერიის ბედი არ ასცდება, სადაც ამდენი ერთსქესიანი ქორწინებებია. ლესბოსელები და პედერასტები კი ქვეყნის ხელმძღვანელ პოსტებზე მუშაობენ და ამაყობენ თავიანთი სქესობრივი სიბილწით, რითაც რომის აგონიის სამარცხვინო, გახრწნილ პერიოდს მოგაგონებენ.

წყარო გამახსენდა, ხევში წყნარად, უშფოთველად, მშვიდად და ფრთხილად რომ მოედინება და მუშტისხელა ქვების მთლიანად დასველებას ვერ ახერხებს. თუ შიგ ფეხი ჩადგი, გაჩერდება, შეყოვნდება, ტერფზე ზევიდან გადასვლას ვერ შეძლებს, სადმე პატარა ხვრელს მოძებნის, შიგ გაძვრება და გააგრძელებს თავის მოკრძალებულ დინებას. სუსტია და არავის არ ედავება. ცდილობს წყნარად იყოს, გაძვრეს-გამოძვრეს, რომ სადმე პატარა გუბეში არ ამყრალდეს. არც ხევის პირას აყუდებული კლდეების და მიმოფანტული ლოდების მტრობა არ აქვს, პირიქით, ისე მიიპარება, თითქოს ეშინია, გზაზე არ გადამეღობონო. ახლა ნახეთ კოკისპირული წვიმებით გამძლავრებული როგორი დაუნდობელი და ბოროტია. უზარმაზარი ხევი გაცოფებულ-აჯაგრუ-

ლი, მღვრიე ნაკადით გავსებული ქუხს და ბობოქრობს. აქამდე კლდეს მორცხვად რომ ემალებოდა, მძლავრად ეტაკება უზარმაზარ ლოდებს გლეჯს მკერდიდან, საზარელი ხმით დააკვნესებს, ერთმანეთზე დატაკებით, ჯახანით და ღრიალით მიაგორებს თავქვე. ნაპირიდან გადასული ხეებს ძირიანად თხრის და თავის გაბოროტებულ ტალღებზე წამოკიდებულთ მიათრევს სადღაც შლამში და ტალახში დასაფლობად. ქუხს, ყეფს, ყველაფერს ულრენს, რაც კი გზაზე შეხვდება; სასტიკი და დაუნდობელია, სანამ ძალა არ დაელევა. ბოლოს დაჩიავებული, დაპატარავებული მცირე კენჭების ქვეშ შეძვრება, რომ არავინ არ შენიშნოს და გაცოფების მიზეზი არ ჰკითხოს, ან ამ ხევს საერთოდ არ მოაშოროს, მცირე მილში არ შეაყოფინოს თავი და არ ატაროს ხან ბოსტნის მოსარწყავად, ხან კი ჭუჭყიანი საცვლების გასარეცხად. ეგრეა, ბატონო ამერიკავ, ეგ ცოფად ქცეული სიძლიერე სამყაროს ყველა კუთხეში, ვითომ დემოკრატიის დასაცავად რომ გაგლეჯინებს შენთვის არასასურველ ქვეყნებს, ერთხელაც დაგეფუშება. ეგრე იყვნენ რომაელებიც, ქვეყნის დასალიერი რომ არ ყოფნიდათ და ბოლოს რომიც აღარ შერჩათ და ვანდალებს ულოკავდნენ ტურტლიან ფეხებს. გაფრთხილდი, თორე შენ შეიძლება ალოკვის თავიც აღარ გქონდეს!

ფიქრებში გავიბლანდე და ასე იოლად გავიდა დრო. მზემ მაღლა აიწია და მისმა სხივებმაც სასიამოვნო მოფერება მწარე კბენაზე გადაცვალეს. დაცხა. ახლა ფრთხილად ჩემო წლებგამრავლებულო ამქვეყნიურობავ, თორე მზეს გაჯიუტებული ადამიანი არ უყვარს, ისე დაგარტყამს, რომ მიქელ-გაბრიელს ჩაგახუტებს.

პლანებიდან გამოვედი და ნუშის ხის ჭრელ ჩრდილში გაჩერებულ ჩემ წლებით დამძიმებულ „ჟიგულთან“ მივედი. სალონი ცხენის სისხლის მწოველ ბორებს გაევსოთ და საქარე მინას ბზუილით ასკდებოდნენ. რა უნდოდათ, რისთვის მოგროვდნენ აქ? საკბილოს ძებნაში ავტომობილი მათთვის ხაფანგია. ფანჯრიდან შესულები საქარე მინის მხრიდან ცდილობდნენ გასვლას და სხვა მხრიდან გაფრენა ვერ მოეხერხებინათ; არადა ვყელა მინა ჩაწეულია. შევყურებ საცოდავ სისხლის მწოვ არსებთა

ფაფხურს და რატომღაც წელანდელი ფიქრი გამახსენდა, უნებურად გამეღიმა. ახლა ამათ შორის რომელიმე თუ იქნება ჩინგიზ-ხანი, თემურ-ლენგი, ინკვიზიტორი ტომაზო ტორკვემადა, დომიციანე ან კომოდუსი, თუნდაც ჰიმლერი. მათმა ბზუილმა შემაწუხა, ხელი ავწიე ერთი ყველაზე აბეზარის მინაზე მისაჭყლეტად. — გაჩერდი! — ჩემი ფიქრის გორგალის რომელიღაც უჯრედმა შემაჩერა. — ვთქვათ, თემურ-ლენგი გაჭყლიტე, ან რომელიმე ინკვიზიტორი ეპისკოპოსი, იმათი სული მაშინვე გამოცხადდება უფალთან, სასჯელი მოგვიხსენიო. გაანებე თავი, მაგათ სიცივე მოუღებს ბოლოს. — მანამდე უნდა წოვონ სისხლი პატიოსან ცხოველებს? — შევედავე ჩემს ოპონენტს. — შენ რამდენიმე მაგნაირის გასრესვით ვერ შეაჩერებ პარაზიტების მიერ სისხლის წოვის პროცესს. ის გირჩევნია, ბუზები მოიშორო, ოფლის სუნზე მთვრალი კაცებივით რომ გაბეზრებენ თავს.

ხელი გაშმაგებით ავიქნიე, ბუზები დროებით მომეშვნენ, რათა მერე ისევ დამიფრთხონ დასვენების მყუდროება. რას იზამ, ყველა თავის არსებობის ხუსტურებს ემსახურება. ბუზი, კოღო, ობობა, თუნდაც ეს ლამაზი ჭიამაია ყველა სხვის დაქამანდებაზე და სისხლის მოწოვაზე როგორ მომართა განგებამ. რა სწორი ნათქვამია: ყველა მწერი ბზუის, ფუტკართან კი ყველა ტყუის. შრომობს ფუტკარი, მცენარეს ეხმარება ნაყოფის გამობმაში, არავის არ აწუხებს, განგებამ ცოტა შხამითაც მოამარაგა, ვინც შეგაწუხებს, გაამწარეო, მაგრამ რა შეაკავებს ამდენ მუქთა მჭამელთა გაუმაძღრობას, თაფლი რომ უყვართ და თვითონ მისი დამზადება არ ხელეწიფებათ. ასევეა მგელი, რა მისი ბრალია, ცხვარზე და სხვა უამრავ ცხოველზე რომ ნადირობს; არსებობა ხომ უნდა. კბილები, ყბა და კუჭი სწორედ ამ საქმისთვის მოუწყო განგებამ. რა ქნას, ბალახს ის ვერ მოძოვს და კენკრას ვერ მოაგროვებს. ვერც განგებას შეედავები, ერთმანეთის ჭამა-ყლაპვაზე, ომზე და უბედურებაზე რატომ მოაწყე ამქვეყნად სულიერის მოვლინებაო. კაცია და გუნება, იქნება ის კიდევ ამით ერთობა, როგორც რომაელები გლადიატორების სისხლის თხევით. ადამიანი კი ყველა სულიერზე ძლიერია და ის დომინირებს ამ პლანეტაზე. ჰოდა, ძალადობით გამწარებულ სიცოცხ-

ლეს მხოლოდ მას შეუძლია მოუპოვოს სიმშვიდე, წესრიგი დაამყაროს პლანეტაზე. პირველ რიგში კი ადამიანი ადამიანისთვის ძმად, მეგობრად, სიკეთედ, ბედნიერებად, სიყვარულად უნდა იქცეს თუ არ უნდა, რომ ღვარძლმა, შურმა, ბოროტებამ და ურთიერთ მტრობამ დინოზავრებივით გადააშენოს, თორე დედამიწა უმისოდაც იარსებებს, მაგრამ ადამიანის მსგავს უფლისმიერ მოაზროვნე არსებას შეიძლება ველარასოდეს ეღირსოს.

ფიქრის ძაფი გამიწყდა. გზისკენ გავიხედე, პატარა ენაგადმოგდებული, დასიცხული ძაღლი ჩემსკენ მოძუნძულებდა.

— ცუგა, ცუგა! — დავუძახე;

კუდის ქიცინით მომიახლოვდა. ძაღლი ინსტინქტით გრძნობს მის წინ სიკეთეა თუ ბოროტება.

— გწყურია, ცუგა? — დავუყვავე. კუდი ნდობით გააქიცინა. ბოთლი ავიღე. რაში ჩავუსხა წყალი, მანქანის თვლებს არცერთი კალპაკი აღარ შერჩა. „პანამა“ მოვიხადე, მთელი ბოთლი წყალი შიგ ჩავასხი და ახლოს მივუცურე. ის ფრთხილად მიუახლოვდა. ძლიერმა წყურვლმა თავისი გაიტანა, წყლის თქვლეფა დაიწყო. სმის დროს მხოლოდ ერთხელ შემომხედა, ალბათ იფიქრა, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო. დარწმუნდა, რომ საშიში არაფერი იყო და წყურვილი ბოლომდე მოიკლა. კმაყოფილმა შემომხედა და მადლობის ნიშნად კუდი გააქიცინა.

— ალბათ, გშია, მაგრამ რა გაჭამო, ცუგა, საჭმელი რომ არაფერი მაქვს, — დამნაშავესავით ჩავილაპარაკე და დავწყევლე ჩემი ჩვევა, მხოლოდ წყალი მიმაქვს ხოლმე სამუშაოდ როცა მივდივარ. არ ვჭამ, რომ არ დავმძიმდე და მუშაობა არ დამეზაროს.

ძაღლი მომიახლოვდა და ფეხზე დამადო თავი. — ცუგა, ცუგა! — მოვეფერე, ხელი გადავუსვი; სიამოვნებისაგან გაილურსა.

კარგა ხანს ვეფერე, ძალიან მორჩილი და მგრძნობიარე ძაღლი გამოდგა. მომეჩვია. წასასვლელად სამზადისს შევუდექი. ძაღლმა ჩემს ირგვლივ თამაში დაიწყო. მანქანაში ჩავჯექი და კარები მივიხურე. უკანა ფეხებზე შედგა და ისე ცდილობდა კაბინაში შემოხედვას.

— რა ვქნა, ცუგა, ვერაფერი გაჭამე, არადა ვერ წაგიყვან, რა-

ვიცი, ვისი ხარ, იქნებ პატრონი გეძებს, — გავიფიქრე და ერთი შემთხვევა გამახსენდა: ნადირობიდან მინდვრის გზით სახლში ვბრუნდებოდით. ბინდდებოდა. გზის პირას, ბორცვზე დაღლილი და ენაგადმოგდებული კურცხალი იდგა და აქეთ-იქით იყურებოდა. ტრიალ მინდორში ადამიანის ჭაჭანება არ ჩანდა. მანქანა გავაჩერე. როგორც კარები გავაღე, ძაღლი გამოიქცა და სალონში შეძვრა; სიხარულით აწკმუტუნდა, კუდის ქიცინით გვილოკავდა ხელებს. აშკარა იყო, ჭკვიანი და ნაფერები ძაღლი ნადირობით გაერთო და პატრონი დაკარგა. მარტო დარჩენილი ძაღლი ღამე მინდორს არ შევატოვე და წამოვიყვანე. უაღრესად ჭკვიანი ძაღლი მთელი თვე დარჩა ჩემთან. თურმე მისმა პატრონმა გამწარებულ ძებნაში მინდვრები და ტყე-ღრე მოიარა. ბოლოს გაიგო, რომ ჩემთან იყო და მისი ნახვით ძალიან გაიხარა, მერე კი საყვედურებით ამიკლო, მოპარვა გინდოდა და იმიტომ წამოიყვანე, თორე ძაღლს იმ დღესვე ვიპოვიდიო. არადა მე ყველგან განვაცხადე უპატრონო ძაღლის შესახებ.

ცხოვრებამ მიმართულება შეიცვალა და ახლა, როცა ადამიანი ადამიანისათვის მგლად იქცა, სიყვარული, კაცთმოყვარეობა შეიძლება თავის ტკივილად გექცეს. ამას წინათ ქალაქში ავტობუსს ველოდებოდი. იქვე მრავალი წვრილმანჩამოკონწიალებული ადამიანები მიმოდიოდნენ და იქ მყოფთ თავიანთ საქონელს ხელში სჩრიდნენ. ერთი ქალი დადიოდა ცელოფანის პარკში ჩაწყობილი ლიმნებით. — შვიდი ცალი ერთ ლარად! — იძახოდა, მაგრამ მწვანე ლიმონი არ ეყიდებოდა.

ჩემი ავტობუსი კი გაუსაძლისად აგვიანებდა. ხმა დაირხა, ხელისუფლებამ რომელიღაც პიარ შეკრებაზე თავისი მომხრეები გადაიყვანა და ჯერ არავინ იცის, ავტობუსები როდის გამონთავისუფლდებიანო. მე მაინც ჯიუტად ვიცდიდი. ლიმონის გამყიდველმა რამდენიმეჯერ შემომთავაზა მწვანე ლიმონი, პროტრომბინის უებარი წამალიაო. — არ მინდა, ქალბატონო, პროტრომბინს არ ვუჩივი, — ვუპასუხე. ისიც უკმაყოფილოდ მომცილდა და ამხელა ბრბოში აღმა-დაღმა სიარულს აგრძელებდა თავისი ცნობილი ძახილით. დრო გავიდა. საწყალი დაიღალა, ხმა ჩაეხრინწა, ფეხებს ძლივას ადგამდა. ვერც ერთი ლიმონი ვერ გაყიდა.

ახლა კი არ დადიოდა, ფეხებს ფლარტუნით მოათრევდა. კიდევ ჩამიარა და ცნობილი მოწოდება ძლივს ამოიკნავლა. ძალიან შემეცოდა.

— რამდენი ლარის ლიმონი გექნება, ქალბატონო? — შევეკითხე.

— ეხ, სულ ხუთი ლარის არის, მაგრამ ერთიც ვერ გავყიდე და ამ წვალებაში ამომხდება სული, — მოიჩივლა.

ჯიბეები მოვიჩხრიკე და როგორც იყო ხუთი ლარი მომიგროვდა.

— ქალბატონო, ლიმონს სულ მე ვიყიდი! — საზეიმოდ მოვახსენე.

გაკვირვებულმა შემომხედა. ხმა არ ამოუღია, ჩანთა მოიხსნა და შიგთავსი ცელოფანის პარკში ჩაალაგა; ზუსტად ოცდათხუთმეტი აღმოჩნდა. მე ისეთი გამომეტყველებით გამოვართვი პარკი, როგორც შეიძლება ჰქონდეს კაცს ძალიან გაჭირვებულ ადამიანს რომ მიეხმარა.

ქალმა ჩემი ჯიბეების ჩხრეკით შეგროვებული ხუთი ლარი გამომართვა და უკმაყოფილოდ გაოცებული მზერით მიმატოვა. მე კი ვიდექი მწვანე პარკით ხელში და ბედნიერად ვიღიმებოდი. უცებ ქალის ბრაზით შენელებული ხმა შემომესმა, იქით მივიხედე. ლიმონის გამყიდველი ქალი ჩემსკენ იშვერდა ხელს და ვიღაცას ეუბნებოდა: — როგორ გათახსირდა ზოგიერთი, მთელი დღე გავიტანჯე, ფეხები დამაწყდა, რატო ორმოცჯერ არ ავუარ-ჩავუარე, რომ დატკბა ჩემი წვალებით, მერე იყიდა, რაც მქონდა. აბა, ახლა მაგას ადამიანი ჰქვია?! — ქალი წიწინებდა და ობივატელი უცხო ფრინველივით მომჩერებოდა.

— ქალბატონო, თქვენ მაგ უმადურობით იმას აკეთებთ, რომ გაჭირვებულს აღარავინ უთანაგრძნოს, — ვუთახრი. ლიმონის პაკი იქვე ხის ძირში დავდე და სახლში ფეხით წავედი, რამეთუ ჯიბეში მგზავრობის ფული აღარ შემრჩენოდა.

ახლა კი რძით შეშინებულმა დოს შევუბერე, ძაღლის წაყვანიდან თავი შევიკავე. მანქანა დავძარი. ის კი კარგა ხანს მომდევდა, მერე გაჩერდა და სანამ თვალს არ მივეფარე ჩემსკენ იყურებოდა.

ცუგამ საფიქრალი გამიჩინა. ნეტავ რა ეშველება ასე უყურადღებოდ მიტოვებულს? კარგად მოვლილი და გაწვრთნილი ძაღლი ჩანს, შეიძლება პატრონმა დაკარგა და ახლა ეძებს, ან შეიძლება თვითონ გაუშვა მინდორში რაიმე უარყოფითი თვისების გამო: კვერცხებს ჭამს, მეზობლის წიწილებს იპარავს, ან ეშმაკმა იცის, დღევანდელ უკუღმართ ცხოვრებაში რა პრობლემა გაუჩნდა. ის კი ცხადია, ცუგა უპატრონოდ გაზრდილი ძაღლი არ არის, ადამიანთან ახლოს ყოფნა და მყუდრო ბინა ენატრება. ხვალ საჭმელს წავუღებ და თუ იქ დამხვდა, აღარ შევრცხვები.

ამ ფიქრით მივადექი ჩემი ეზოს ჭიშკარს. კარები გავაღე თუ არა თარსო ყეფით შემომეგება. უცხოს სხვა ნოტზე უყეფს. შინაურს — სხვაზე, საქონელი თუ შემოვიდა ეზოში, განსხვავებულად უყეფს და ძაღლს სხვა ხმაზე ედავება. მოკლედ, თარსომ საზეიმოდ მიმიღო.

ის იყო კარები გავაღე და მანქანიდან გადმოვედი, თარსომ მარჯვენა ფეხი ასწია და უკანა საბურავზე მიაშარდა; ამით დაამთავრა საზეიმო დახვედრის ბოლო მოქმედება. ეგონა, რომ დიდად მასიამოვნა, წინა თათები გაჭიმა, ცხვირი ზედ დადო, უკანა ფეხებით ისევ მდგარი რევერანსით აღნიშნა ჩემი თაყვანისცემა.

— ეს რა ქენი, თარსო?! — გავბრაზდი და საბურავთან მივიყვანე. ის გაკვირვებული მომჩერებოდა, თითქოს მეუბნებოდა, არ უნდა მექნაო?

— არ შეიძლება, ეს ცუდი საქციელია! — გავუწყერ. — ადრეც შეგნიშნე, მაგრამ ფაქტზე ვერ წაგასწარ. ახლა გაფრთხილებ, თუ კიდევ ჩაგიდენია ყურებს აგიწევ! — თითი დავუქნიე. თარსო მოიბუზა და უფრო მკაცრი დატუქსვის მოლოდინში სახლის კუთხეში მიჯდა.

— კარგი, კარგი, შევრიგდეთ, ოღონდ ამის შემდეგ მსგავსი რამ არ ჩაიდინო, — დავუყვავე. ის კი ისეთი ყურადღებით მისმენდა, ვიფიქრე, შეიძლება დამელაპარაკოს-მეთქი.

რაკი დარწმუნდა, რომ აღარ ვუწყრებოდი, გახარებულმა შემომყეფა და მხიარულად შემომირბინა. მორჩა, ამის შემდეგ თარსოს საბურავი აღარ დაუსველებია...

მეორე დღეს საჭმელი მოვიმარაგე, წყლის დასალევად ჯამიც ჩავდგი მანქანაში და დილაბნელზე უკვე ვენახში ვიყავი. ცუგას ბევრი ვეძახე, მაგრამ არსად არ ჩანდა.

სანამ მაგრად დაცხებოდა ვიმუშავე და ახლა ჩრდილში შეყენებულ მანქანასთან ვისვენებდი. სადღაც, ცის სიღრმეში გაუჩინარებული ტოროლის ხმა ისმოდა. ყვავები და კაჭკაჭები კი არ ისვენებდნენ, დამჩხაოდნენ, არ სიამოვნებდათ ჩემი აქ ყოფნა, მანქანიდან გადმოღებული ჩანთის გაჩხრეკაში ხელს ვუშლიდი. უცებ მეზობელი ზაქარას ღრიალი შემომესმა: – შე ოხერო, მაწანწალავ, პური მომპარე, დაგიჭერ და ამ ჯოხით გაგიხეთქავ თავს! – ზედ მრავალსართულიანი გინებაც დააყოლა. ზაქარა ისევ ღრიალებდა, რომ ბილიკზე ცუგა გამოჩნდა, შეშინებული ჩემსკენ მორბოდა.

– ცუგა, ცუგა! – დავუძახე. კუდის ქიცინით მომიახლოვდა, მოვეფერე, ხელი გადაუსვი. ძაღლი დაწყნარდა და მომეკრო. ამ დროს ზაქარა დიდი ჯოხის ქნევით გამოვარდა პლანებიდან.

– საით გაიქცა ის მაწანწალა! – ღრიალებდა და იქაურობას

ჩხრეკავდა, ცუგას ეძებდა.

ძაღლს ხელი დავავლე და საბარგულში ჩავსვი. ისე მორჩილად შემომხედა, თითქოს უნდოდა ეთქვა, დროზე დამმალე, იმ კაცმა არ დამიჭიოსო; მაშინვე დაწვა, თავი თათებზე დაიდო და გაილურსა; საბარგულს სახურავი დავახურე.

ზაქარა ცოტრა ხანს გაჩერდა, მომაშტერდა, თითქოს თავის თავს რაღაცას ედავებქოდა, მერე ჩემსკენ წამოვიდა.

— აქეთ ხომ არ გამოურბენია? — რაღაც ორაზროვნად მკითხა, თან საბარგულს მიაჩერდა.

— რამ შეგაშინა, ზაქარ, ვის, ან რას უნდა გამოერბინა? — მეც ირონიული ღიმილით ვკითხე.

— ძაღლია ოხერი, პურის ნაჭერი მომპარა; უნდა მოვძებნო და ამ კეტით მივასიკვდილო! — აღრიალდა.

— იმ ერთიციცქნა ძაღლზე კეტით რომ იწევ, სამაგისო რა დაგიშავა? მთლიანი შოთი ხომ არ მოგპარა, პატარა ნაჭერზე სახრით გამოდგომოდი, — სიცილი ამიტყდა.

— რას იცინი, სასაცილოს რას ხედავ?! — გაბრაზდა.

— ზაქარ, ამას წინათ ყვავებმა და კაჭკაჭებმა მთელი დღის საგზლიდან ცარიელი რომ დაგსვეს, რატო იმათზე არ ბრაზობ, ახლაც რომ დაგჩხავიან თავზე?! — ახლა უკვე მე შევიკარ შუბლი.

— ამდენ ყვავებს და კაჭკაჭებს მე რა უნდა დავაკლო, — ზაქარამ კეტი მიწაზე დააბჯინა და ზდ დაეყრდნო; ჩემმა ნათქვამმა კი ცოტა ჩააფიქრა.

— ის საწყალი ძაღლი რადგან ერთია და მისი დასჯა შეგიძლია, იმიტომ ხარ ეგრე გულზე კაჭკაჭისგან და ყვავებისგან დაშინებული? ძაღლი ადამიანის მეგობარია, ვიღაცამ ან დაკარგა, ან უგულო ოხერმა აქეთ წამოიყვანა და გაუშვა. შენ კიდევ მოსაკლავად მისდევ ერთი ლუკმა პურის გამო; ვითომ თვითონ მიგიგდია და შეგიფარებია, — კიდევ რაღაცის თქმას ვაპირებდი, ზაქარამ აღარ დამაცადა: — მაიცა, მაცია! მგონი მართალს მეუბნები, — მითხრა.

— მგონი მართალს კი არა, ჭეშმარიტებას გეუბნები. ეს ოხერი სიძულვილი დაბალ ღობეზე იწევს, რამეთუ აღმართზე ვერ

ადის წყალივით. უხეირო კაცი გარეთ სხვას რომ ვერაფერს დააკლებს, ცოლზე ათხევს ბოღმას. ისე კი სჯობია ღვარძლის ჭურჭელი კაცმა მუდამ ძირგავარდნილი ატაროს და წვეთი არ დაიტოვოს, რამეთუ მისი ზიდვა სულსა და ხორცს აკნინებს, — მანქანის კარი გავაღე და კალათი გადმოვიღე. ყვავებს კი ეგონათ ჩანთაში მექნებოდა საჭმელი და იმიტომ დამჩხაოდნენ ესოდენ ენერგიულად, —მოდი, პატარაზე შევნაყრდეთ, შენ ხომ იმ მუშტისხელა ძაღლმა შეგიჭამა, რაც გქონდა, — ღიმილით ვუთხარ.

— ეგრეც არ არის საქმე. ახლავე მოვალ; ეტყობა ამ ოხერმა ცხოვრებამ გამაბოროტა, — ზაქარა მიძუნძულებდა და თან ლაპარაკობდა.

მალე თავისი ორთვალა მოაყენა ნუშის ხესთან და ჭალზე მიმაგრებული გოგროხიდან საჭმელები ამოალაგა. ბალახზე გავშალეთ ჩვენი სუფრა. ზაქარამ კოკურით ღვინო დადგა და პატარა რქის ჭიქა ამოიღო გოგროხიდან. ღვინო დაისხა და მომაწოდა: — მოდი, შენ თქვი რამე იგეთი, რომ ამ დამძიმებულ სულზე მალამოდ მომეცხოს, — მთხოვა.

— რა ვთქვა, ზაქარ, ამ ბოლოს დროს, თუ ადრეც ეგრე იყო, სადღეგრძელოების თქმაში მაგრები ვართ, საქმეში კი კუდამოძუებული, წუნკალო ძაღლი ჩვენზე გულადი და პირდაპირია; კიდევ ვთქვა? — შევეკითხე.

— რა ვიცი, დარჩაღა რამე? — დაბნეულმა მიპასუხა.

— დარჩა, როგორ არა, როგორც ჩვენმა სასიქადულო მწერალმა თქვა, ფურთხის ღირსი ვართ.

— რათა, კაცო, ეგრე წავხდით?

— რაც ახლა ვთქვი, სწორე არ არის?

— სწორეა, მაგრამ ჩვენ რა შეგვიძლია?

— ჰოდა, თუ სწორეა, ამაზე უარესი რაღა უნდა მომხდარიყო, ძაღლი რომ ერთ ლუკმა პურს მოგვტაცებს, მოსაკლავად დავდევთ, მთელი ქვეყანა გაყიდეს, გაძარცვეს, გააჩუქეს, დააქციეს; ყველა სიწმინგდე წაგვიბილწეს; ქართულ ენას ებრძვიან; ჩვენს წარსულს გვილანძღავენ, ეროვნულ საამაყო ტრადიციებს მოსპობით ემუქრებიან, ჩვენ კი ლუკმა პურის ძიების გაწამაწიაში

უგრძნობელ, შეშინებულ, მორჩილ ფარას დავემსგავსეთ და მოთმინებით შევყურებთ, როგორ გვისპობენ წინაპრების ოფლით, სისხლით და უთანასწორო ბრძოლებით დღემდე მოტანილ სამშობლოს და არა გვრცხვენია, რომ იმ გმირი წინაპრების შთამომავლები გვქვია. საწყლები ამგვარი დაბეჩავებული ბრბოს ღირსი იყვნენ?! ძაღლს ვერევით, პატარა და სუსტი რომ არის. ამ არამზადებს კი ვიტანთ ქვეყანას რომ ანადგურებენ, ხმას ვერ ვიღებთ, რადგან საკუთარ არარაობად ქცეულ ამქვეყნრიურობას ვუფრთხილდებით და ველოდებით ვიღაცას, რომ ეს ოხრები მოგვაშოროს. სხვა შენი ნარის მოსაგლეჯად კი არ მოვა, კულტურულ მცენარეს გაგინადგურებს და ნარს დაგიტოვებს, რამეთუ იმას ფეხებზე ჰკიდია შენი გასაჭირი. ამიტომ ვამბობ: სუფრასთან სადღეგრძელოს თქმაში და კუჭის ამოყორვაში გმირები ვართ, ცხოვრებაში — ვირები და გვირტყამენ კიდეც სახრეს.

— ვაა, რა სწორეს ამბობ, მეც ეგ არ მიკვირს. ჩვენი ისტორია სულ ბრძოლები და სისხლის ღვრაა. რამდენი უბედურების მომსწრეა ჩვენი არსებობა და ახლა რაღამ დაგვაბეჩავა, რამ?! მაიტა ეგ რქა, სადღეგრძელოს თქმის გარეშე უნდა დავლიო.

მე უთქმელად გამოვცალე და მივაწოდე.

ზაქარამ დაისხა და გადაჰკრა. — ამ ცხოვრების დედა ვატირე! — დააყოლა. საჭმელისათვის პირი არ დაუკარებია. — ბიჭო, ეგრე ვართ ჩვენ ჩვენს ნაჭუჭში ჩაკეტილები და გათითოკაცებულები, რომ აღარაფრის ჯავრი აღარა გვაქვს, გარდა საკუთარი თავის გადარჩენისა, რადგან იგრე გაჭირდა, რომ ერთი ზედმეტი მოძრაობაც საკმარისია ჩასაძირად, — კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა.

— კამპანიას გაუმარჯოს! — მეზობლები, ვეტექიმი დომენტი და აგრონომი პართენა ისე მოგვადგნენ, საუბარში გართულებმა ვერც კი შევნიშნეთ.

— რა პურმარილი გაგიმართავთ ამ გაგანია სიცხეში. ქვეყანა წყალს მიაქვს და რა გეპურმარილებათ. ორი ქვა უნრდა გეჭიროთ და თავში ირტყამდეთ, — შენიშვნა მოგვცეს.

— რაღაც თქვენს ხელში ქვებს ვერა ვხედამ, — ღიმილით შეეპასუხათ ზაქარა.

— რაიმე ორკაციანი ოპოზიციური პარტიის ჩამოყალიბებას ხომ არ აპირებთ, ხელისუფლება და სოროსი რომ აფინანსებს და ამ წყალწაღებულ ქვეყანაში ოპოზიციური კომფორტული ნავით დაცურავენ, — ირონიულად თქვა პართენამ.

— აქ პურის ჭამა როგორ ეკადრება ხელისუფლების ჯიბის ოპოზიციას, რესტორნებში გრიალებენ. ვენახში და ხალხთან მაშინ მივლენ, არჩევნებზე სიცრუის ფაღარათშეყრილები რომ დარბიან, — აუხსნა დომენტიმ.

— ორთვალაზე კუნძები მიწყვია, ჩამოიღეთ და დასხედით; ჩვენ აქ ენას ვიფხანთ მხოლოდ, — ამით დაამშვიდა ისინი ზაქარამ, რომ ოპოზიციურ მარიონეტთა ორკაციანი პარტიის შესაქმნელად არ ვისხედით აქ.

— ეხ, იგრე აირია ცხოვრება, რომ მეურნეობის უკეთ მოწყობაზე ფიქრიც აღარ დაგვიტოვეს, რადგან აღარც მეურნეობა გვაქს და სოფელიც გვეშლება. ყველა პოლიტიკაზე ალბათ იმიტომ ვსაუბრობთ, რომ ამ ხელისუფლების ვირთხებმა მთლად ძვალმანიანად არ გაგვყიდონ, — დომენტიმ ლაპარაკით ჩამოიღო კუნძები და ორივე ჩვენს გვერდით ჩამოსხდნენ.

— ღვინო გადაჰკარით, ოღონდ სადღეგრძელოს გარეშე, რადგან სადღეგრძელოს თქმაში ლომები ვართ, საქმეში კი, — ზაქარამ მე შემომხედა, ეგონა ვეტყოდი საქმეში რანი ვიყავით, რაკი მე ხმა არ ამოვიღე, თვითონვე დაუმატა: — საქმეში კიდევ წუნკალი ძაღლი ჩვენზე გულადია, — რქა დომენტის მიაწოდა.

— ვა, რა მაგრად თქვი, შენით მაიგონე, თუ ვინმე მოგეხმარა? — დომენტიმ რქა გამოართვა, — მაინც გაგვიმარჯოს! — გამოცალა და პართენას მიაწოდა.

პართენას რქა ხელში ეჭირა და ხმას არ იღებდა. ბოლოს დაიწყო: — სადღეგრძელო რომ თქვა, საქმეც უნდა მოგდევდეს საამისოდ. ქვეყნის და ხალხის მძარცველების ხელშია სადავეები და მიგვერეკებიან კიდეც უბედურებაში. მაღალ თანამდებობაზე გამძვრალმა შარლატანებმა საქართველოდან რქები და ჩლიქებიც აღარ დატოვეს. ეგენი ის პარაზიტები არიან ხალხის ძარცვით რომ სუქდებიან. როგორც ვაშლიდან თავამოყოფილი მატლი სხვა არაფერზე არ ფიქრობენ, გარდა თავისი უძღები

კუჭის ამოყორვისა. მაგათ არც სამშობლო სწამთ, არც ერი და არც ეროვნული ტრადიციების სიყვარული აშფოთებთ. პარლამენტარები სამარცხვინო კანონების მარტო თავიანთ მოსარგებად რომ ამტკიცებენ, სახელმწიფო მოხელეები და ამ ხელისუფლების ცურზე მოჭიდებული ყველა პარაზიტი, ოპოზიციურად მონათლული ჯიბის პარტიების ჩათვლით დღეს საქართველოს ისედაც გამშრალ სისხლს რომ სწოვენ, გოდებად არ ექცევათ ამქვეყნრად პარპაში?! — პართენამ ისე შემომხედა, თითქოს ჩემზე იყო დამოკიდებქული იმათ მიერ გამშრალი სისხლის წოვის გოდებად ქცევა. მე თავჩაქინდრული ვიჯექი. რაკი ხმა არ ამოვიღე, მან გააგრძელა: — კაცი იხრჩობოდა და ღმერთიო, მიშველეო. იძახოდა, ხელები გაატოკე და გიშველიო, უპასუხა ღმერთმა. რა გვეშველება, ვიძახით და ხელების გატოკება არ გვინდა; ვინ გაირჯება შენს მაგიერ, თუ იცი?! ვიღაც გადამთიელი შეყლაპვას რომ გიპირებს, ის დაგილაგებს აფუტკნულ ოჯახს? ვინც ხალხის კეთილდღეობაზე უნდა ზრუნავდეს, მოხვეჭაზე, ძარცვაზე, ვერაგობაზე, ღალატზე და მამაძაღლობაზე დგას, თავის უბადრუკ სიცოცხლეს ღორივით კუჭის ამოყორვას ახმარენ. ეს იმიტომ ხდება, რომ ვინც ღალატის გზაზე იარა, პასუხს არავინ სთხოვს. მოღალატეების ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს! — დაამთავრა თავისი გამოსვლა პართენამ.

— დაწყნარდი, ნერვიულობით საქმეს ვერ გამოასწორებ, ისე კი კარგი სადღეგრძელო გამოგივიდა წუთისოფლის უკუღმართობის სამკურანლოდ, — მოუწონა ნათქვამი ზაქარამ.

— თქვენ გაგიმარჯოთ, ოხრებს და მამაძაღლებს კი არა! — პართენამ რქა გამოცალა და ლაპარაკი გააგრძელა: — ეს ვენახები კოლექტივისა რომ იყო, ხომ გახსოვთ. ახლა რასა გავს, დაკნინებული, დაჩიავებული და გავერანებული. გული მიკვდება, როგორი კეთილმოწყობილი ბინები იყო. მაგიდები, სკამები, ბიბლიოთეკა, ტელევიზია, რადიო, წყარო და მშენივრად მოვლილი ქვევრების მარანი; ხალხი მუშაობის შემდეგ მხიარულად ისვენებდა. ავტობუსით დადიოდნენ სამუშაოდ, ექთანიც გვერდით ყავდათ. ღვინოც ჰქონდათ, ყურძენიც და ყველა სიკეთე. ახლა ერთი მუჭა ხორბალი არ მაქვს, ქათმებს რომ მივუყარო. მაშინ

კი კოლმეურნეობიდან გვეხვეწებოდნენ, ხორბალი გაიტათ, ბეღელში ადგილი აღარა გვაქვს ახალი რომ დავყაროთო. ახლა მიწებიც და ვენახებიც იმათია სპეკულიანტობით და თაღლითობით რომ იშოვეს ფული და ყვოელგვარ სიმუხთლეს კადრულობენ; ხალხს მიწათმფლობელებად და ფერმერებად რომ მოევლინენ. ბრიგადის ბინები საძირკველთანაა გასწორებული, წყარო დამშრალია, მარანში კი ქვევრებიც კი დაამტკვრიეს. ახლა პარლამენტში ვიღაც ვითომ ოპოზიციონერი ცალტვინა მარიონეტი სოციალიზმის დროინდელი ყველა სიკეთის განადგურებას ითხოვს და ყველა მხარს უჭერს. ამათ რა შეუქმნიათ. ჯერ კიდევ მაშინდელს ანგრევენ და ყიდიან. მიგორავს ეს ცხოვრება ბატონ-ყმობის განუკითხაობისაკენ, რომელსაც ასე თავგამოდებით აქებს მოხვეჭაზე დახარბებული ხელისუფლება, სიტყვის შემბრუნებელიც არავინ ყავთ და თამაშობენ ეგრე ცალ კარში. ვითომ ოპოზიციიდან უყეფენ ისე, როგორც ლეშზე დასეულ აფთრებს ტურები, ცოტა ჩვენც დაგვიტოვეთო. ესენიც უყრიან კბილის საჩიჩქნ ლეშს და ასე ერთმანეთთან ძიძგილში ჭამენ ქვეყანას, სანამ ძვლებიდან მოსაგლეჯი ხორცი კიდევ ეგულებათ. ჩვენ კი სულის ღაფვით მაინც ვცოცხლობთ, თუ ეს სიცოცხლეა. ფეოდალიზმის დროსაც და მათზე ადრეც ცხოვრობდნენ. ვაი, ასეთ არსებობას ოცდამეერთე საუკუნეში ყმის და მათხოვრის უღელი რომ გადგას. ყველაზე სასაცილო კი ის არის, რომ ყოველივე ეს დემოკრატიის ტრაბახის აკომპანიმენტით ხორციელდება. ადამიანმა ვერ მოიშალა პირველყოფილობიდან თანდაყოლილი ურთიერთძარცვის, ჩაგვრის და დამონების ჩვევა, რომელიც კაცობრიობას ყველაზე საშინელ მტრად ჰქცევია და თუ გადაშენდება, მხოლოდ ადამიანის ხელით მოხდება, რადგან თავის ცოდნის და ენერგიის უზარმაზარ შესაძლებლობას ურთიერთ მოსპობის სულ უფროდაუფრო სრულყოფილი იარაღის შექმნას ახმარს, — პართენამ ამოიოხრა და მუხლზე დაირტყა ხელი.

— ყელი გამიშრა, სამოც წელს გადავაბიჯე და ამგვარ რამეებზე არც კი მიფიქრია. კოკურაში წყალი მიდგა, მაგრამ ისეთი დუბელაა არ დაილევა, — მოიჩივლა ზაქარამ.

— ეგ წყალი ჩრდილოეთში ცივი იქნებოდა, კვლავ იქ მოხვდება და გაცივდება. ხან წყაროს შეუერთდება, ან ვინ იცის, რომელ მყრალ ტუალეტშია ნამყოფი, — განუმარტა დომენტი ვეტექიმმა.

ზაქარა ისედაც უხალისოდ აპირებდა ორიოდ ყლუპის დალევას, ახლა კი ზიზღით მოიცალა კოკურა ტუჩებიდან.

— რას ამბობ, კაცო, ამ წყალს ტუალეტში რა უნდოდა?! — შეშფოთებულმა შეხედა.

— რაც დედამიწა არსებობს, როგორც ამბობენ, ოთხი მილიარდი წლისა უნდა იყოს, წყალი არ მომატებია და დედამიწაზე მუდმივ წრებრუნვაშია. ხან ჩრდილოეთშია გაყინული, ხან ეკვატორთანაა გაცხელებული; ხან წყაროშია, ხან ტბაში, ხან კი რომელიმე ცხოველის ორგანიზმის შემადგენელი ნაწილია; ხან ჭაობშია, ხან ტუალეტში, ხან სად და ხან სად. ჰოდა, გამორიცხული არ არის დინოზავრის შარდის ბუშტშიც იყოს ნამყოფი, ან — პაპუასის ნაკელში. მაშ რა გეგონა, ბუნება შენთვის სპეციალურად შეუბღალავ წყაროს წყალს ინახავს? — ზაქარას შევხედე კოკურით ხელში ქანდაკებასავით გაშეშებული, თვალებდაჭყეტილი დაბნეულად იყურებოდა. — მარტო წყალი კი არა, — დომენტი თავის ლექციას აგრძელებდა: — რასაც ვჭამთ და რითაც ჩვენი სხეული შედგება ეს ნივთიერებებიც მუდმივ წრებურნვაშია. მიწაში მცენარის თესლი რომ იზრდება, სხეულს შეიძენს, აყვავდება, საიდან არის ეს? მცენარისათვის კარგი საკვებია ნაკელი, რომელსაც ცხოველი, ჩვენი ჩათვლით, ყოველდღე გამოყოფს, იმავე მცენარის ნაყოფის თავისი კუჭით გადამუშავების შემდეგ. მცენარისათვის, რომლის ნაყოფს ჩვენ მივირთმევთ, ყველაზე კარგი საკვები ჩვენი გახრწნილი სხეულიდან მიწაში გადასული ნივთიერებებია. ნახე, რა გამოდის? ჩვენ მცენარის ნაყოფს მივირთმევთ და ბოლოს იმავე მიწად ვიქცევით, რომლისგანაც მცენარე ჩვენს მიერ მიტოვებული სხეულის ნივთიერებებით იკვებება და ახალ ნაყოფს ისხამს, რათა სხვა ჩვენნაირმა შეჭამოს და ასე გაუთავებლად წრებრუნვაშია დედამიწის ცოცხალი ბუნება და მისი დროებითი სტუმრების მიეთ-მოეთი, — დომენტიმ დაამთავრა თავისი მონოლოგი.

— ეხ, დომენტ, შორს წახვედი, კაცობრიობის პრობლემებში გაიბლანდე და ჩვენი უბედურება გავიწყდება. სოფელს აგრონომი, ვეტექიმი და სხვა სპეციალისტები აღარ სჭირდება, ყველაფერი პირველყოფილ დონეზე დავიდა. ვენახის შხამქიმიკატების შემოტანა შარლატანების ხელთაა და მიდის კიდეც ვენახი ამოგდებისაკენ, — ოხვრით თქვა პართენამ.

— რომ ვთქვა, რა გამოვა, გათითოკაცებულები ველოდებით ამ ბიუჯეტის ვირთხა ხელისუფლების ახალ-ახალ სიმუხთლეს. ყველა სოფლში ვეტსამკურნალო შენობები გაყიდეს. ამ გაბითურებულ ხალხს პირველყოფილ განუკითხაობაში და სიბნელეში მიათრევენ, რათა უფრო წარმატებულად იავკაცონ, — დაასკვნა დომენტიმ.

— ამ უბედურებისაკენ მანამდე ვიგორებთ, სანამ ხალხი არ მოგონდება და მუმლივით დასეულ პარაზიტ ხელისუფალთა ბანედას არ შემოიფერთხავს და თავის ადგილს არ მიუჩენს. მე და შენ კი ვეღარაფერს ვერ შევცვლით, ამ ღალატის ყბაში აფართხალებულ წუთისოფელში, — პართენამ ოხვრა დაატანა თავის ნათქვამს.

კარგა ხანს მდუმარედ ვისხედით მძიმე ფიქრებში გაბლანდულები.

— დაცხა, — ვთქვი და შუბლიდან ოფლი მოვიწმინდე, — ამ წვეთებსაც ალბათ მოვლილი აქვთ მთელი მსოფლიო, — ჩავილაპარაკე.

— ისე კი, კარგია, ჩემმა მზემ, მაგნაირებზე ადამიანმა საერთოდ არ იფიქროს, ან სულაც არ უნდა იცოდე. ახლა რამდენჯერაც წყალს დავლევ, სულ ის უნდა მახსოვდეს, დინოზავრის შარდის ბუშტში, ან სხვა უარესში ხომ არ არის ნამყოფი-მეთქი, — დაასკვნა ზაქარამ.

— ბევრის ცოდნას ამბობ, ჩემო ზაქარ, ბევრი არაფერი ვიცით. თუ რაიმე ახალი გამოვიგონეთ, ყველაფერი ადამიანის მოსასპობად გამოვიყენეთ, — შევუსწორე ნათქვამი.

— რათა, კაცო, ავტომობილი, მატარებელი, რადიო, ტელევიზია, კიდევ რამდენი რამეა წინაპარს რომ გაუკვირდება, — ზაქარამ ამაყად გადმომხედა როგორც კაცობრიობის მიღწევათა

დამცველმა ურწმუნო თომას. — ყველაფერი შესწავლილი და ადამიანის სამსახურშია ჩაყენებული. ნეტა ამის შემდეგ რაღა უნდათ, დაჯდნენ და იცხოვრონ მშვიდად, — დაასკვნა.

— მშვიდობით ცხოვრებაში მეც გეთანხმები, ჩემო ზაქარ, — თავი დაუქნია დომენტიმ, — მაგრამ რაც ახალი გამოვიგონეთ, ყველაფერი ადამიანის მოსასპობად შევატრიალეთ და განვავითარეთ. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს სიგიჟე ასეთ აქტიურ ფორმაში შეგვრჩეს. ადამიანი რაც უფრო ცივილიზებული ხდება, მისი მანკიერებანი ასევე იხვეწება და ვითარდება. ვერაფრით ვერ მივიდა მისი შეგნება იქამდის, რომ ამქვეყნად სტუმრობა გაელვებაა, რომლის შემდეგ ისევ მიწად უნდა იქცეს. როგორც მოდის, ისე მიდის მის მიერ ცოდვებით დაგროვილი და მოხვეჭილი არარაობის გარეშე. რაც უფრო გაუმაძღარია მომხვეჭელი, მით უფრო სასაცილოა მისი მიეთ-მოეთი.

— შემთხვევით სტუმრობა რაზეა?! — შეედავა ზაქარა.

— შემთხვევითია, აბა რა, იცი, საიდან მოდიხარ? შენი უძველესი წინაპრი ტიტველი რომ დაშლიგინებდა ტყე-ღრეში, იმ ძალიან შორეულ წარსულში, ბიზონი რომ დატაკებოდა, შენი არსებობის ჯაჭვიც გაწყდებოდა, აღარ გაჩნდებოდა სულიერი, რომელიც შენი პაპის პაპას შექმნიდა. ჰოდა, ფაფუ ზაქარას ამქვეყნად მოვლინებას. საკმარისია ამ ჯაჭვის რომელიმე რგოლი გაწყვეტილიყო, რომ ზაქარა აღარ მოევლინებოდა ამ ცოდვით გაპოხილ წუთისოფელს, — დაასკვნა დომენტიმ.

— არც იმ საწყალ ძაღლს გამოეკიდებოდა მოსაკლავად, — ღიმილით ვთქვი.

— ვახ, რა შემთხვევით ვართ ამქვეყნად მოვლენილი. სხვა გინდა არაფერი, ჩვენი წინაპარი ჯერ კიდევ უცოლშვილო ომში რომ მოეკლათ, გაწყდა სიცოცხლის ჯაჭვი, აღარ ვიქნებოდი, — გაუკვირდა ზაქარას.

— შენ არ იქნებოდი, სხვა იქნებოდა, მაგრამ რა გარანტიაა, რომ ის შენზე მშვიდობიანი იქნებოდა და ძაღლს მოსაკლავად არ გამოუდგებოდა, — გამეცინა.

— კარგი რა, ხომ არ მომიკლავს. არ მეპატიება? განა არ ვიცი, ბაგაჟნიკში რომ დამალე. ამოიყვა, უნდა შევირიგო. მე რომ

მივიდე, დაფრთხება საწყალი. ცხელა, ბაგაჟნიკში შეწუხდება, ცოდოა, — მზრუნველი კაცის ტონით მითხრა.

საბარგული ავხადე. ცუგა მაშინვე წამოხტა. ხელში ავიყვანე და სუფრისკენ წავედი. ზაქარას დანახვაზე ცუგა შეშფოთდა. ზაქარამ შაშხის ნაჭერი მიაწოდა, ცუგამ მოწიწებით წაავლო პირი და დამშვიდდა. ძაღლი დავსვი, მან ხორცის ნაჭრის ჭამა დაიწყო. ზაქარამ კიდევ მიაწოდა.

— ეგრე ზაქარ, აჭამე, რომ შეგეჩვიოს, — ვურჩიე. ისიც თუ რამე იყო ჩვენს მოკრძალებულ სუფრაზე არ ზოგავდა.

ახლა ცუგა ოჯახის წევრად გრძნობდა თავს, იქვე ჩაცუცქდა და მხიარულად აქიცინებდა კუდს.

— ნახე რა ახლოს ყოვილან ერთმანეთთან ბოროტება და სიკეთე. რამხელა სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს ურთიერთ პატივისცემა, ნდობა და სიყვარული. ღვარძლი, ბოროტება, მტრობა და დაუნდობლობა ადამიანის სხეულს წამლავს და ანადგურებს, მის სულიერ გახრწნაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, — რომის დიქტატორი — კორნელიუს სულა გავიხსენე: — აბანოში განცხრომით მყოფს. თუმცა რა განცხრომაა დასეულ ტილებს ვერაფრით რომ ვერ იშორებდა, ამბავი მოუტანეს, შენზე თქვა, ვალს არ გადავიხდი, რადგან სულა მალე მოკვდებაო. ისე გაბრაზდა, სულ ცოფს ყრიდა. ის მოვალეც მალე გამოჩნდა. აქვე მოახრჩეთო, სულამ ღრიალით ბრძანა. არანორმალურად ყვიროდა, პირიდან დუჟი გადმოსდიოდა გაცოფებულს. ბოროტების ამ დაძაბულობას ორგანიზმმა ვეღარ გაუძლო, რომელიღაც ძარღვი გაუწყდა და იქვე მოკვდა. ასეა, ღვარძლი, მტრობა, ყოვლივე ბოროტი თვისება ადამიანის ორგანიზმში გამოყოფს მავნე ნივთიერებას, რომელიც აკნინებს მას და ბოლოს უღებს. ამიტომ ყველა ადამიანი, ბოროტია თუ კეთილი, თავისი თავისთვის არის, რამეთუ მის მიერ ჩადენილი საქციელი მასვე უბრუნდება ბოროტებით თუ სიკეთით, — დავამთავრე ჩემი სათქმელი და ღვინო დავისხი.

ამ ხნის განმავლობაში ზაქარა და ცუგა უკვე დაძმობილდნენ. მოფერებით ნასიამოვნები ძაღლი ამაყად დასეირნობდა.

ჩვენ კი საუბარი გავაგრძელეთ. სათქმელი ბევრი გვქონდა

და ვიფხანდით უკულმართი ცხოვრებით შეწუხებულ გულს. დაისისაკენ გადახრილი სიცოცხლე მყუდრო ცხოვრებას ითხოვდა. ჩვენ კი გაუსაძლისი ყოფის მორევში ვფართხალებდით. სოციალიზმის სიკეთენაზიარებნი ამ ველურ ყოფაში მგლის შესაჭმელად დატოვებულ გამხდარ და დაფეხვილ თოხლებივით ჩვენ სავალალო ყოფის დასასრულს ველოდებოდით. ვიხსენებდით იმ უკულმართობას, რაც ბოლო დროს თავტყირპიანი გორბაჩოვის და მისი მსგავსი ბედოვლათების მიერ ქვეყანას დაემართა და ადამიანი ადამიანისთვის მგლად იქცა. ამ ველურ ცხოვრებაში ცხიმდაგროვილი უცხოეთის ლაქია არამზადები კი ლანძღავდნენ იმ ცხოვრებას და სიტყვის შემბრუნებელი არავინ ჰყავდათ, სანამ ხალხში სოციალური თანასწორობის სურვილი ვულკანივით არ იფეთქებდა.

შებინდდა. ზაქარამ ძაღლი აიყვანა და ხელი გადაუსვა.

— ახლა ჩემი იქნები, ცუგა, არავის არ დავანებებ შენ თავს. დროზე დამაწყნარეს, თორე მთელი დღე ამ ძაღლზე ბრაზობა არ მომასვენებდა, სულ ჯოხის დარტყმაზე და მის მისიკვდილებაზე ვიფიქრებდი. ახლა ვგრძნობ, რამხელა შვებაა ადამიანისათვის სიკეთის და სიყვარულის ბოროტებაზე გამარჯვება, — თქვა ზაქარამ და რქაში ღვინო დაისხა: — ამით გაუმარჯოს ამქვეყნად სიყვარულით და სიკეთით ცხოვრებას! — უცებ გადაჰკრა, რქა ბალახზე დააგდო და ცუგა მკერდში ჩაიკრა.

15 ნოემბერი 2010 წელი

თებრო მოიტაცეს!..

გიგა სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან ერთი კვირის დაბრუნებული იყო.

ეს დღეები სულ ქეიფში და გადაპატიჟ-გადმოპატიჟებაში გაატარა. ნათესავები და მეზობლები ერთმანეთს ეცილებოდნენ გიგას დაბრუნების საზეიმოდ აღნიშვნაში.

წითელწყაროში კაცი არ იყო, გიგაზე თბილი სიტყვის თქმა რომ დაზარებოდა. პირიქით, ისე უყვარდა დიდსა თუ პატარას, თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ ამოისვამდნენ. ახლა გაიგეს, ჯარიდან დაბრუნებულაო და ყველას სურდა ენახა ეს ცოცხალი, ცელქი და მორჩილი ბიჭი როგორ გამოიყურებოდა სამხედრო ფორმაში, თანაც მამაპაპურად დაელოცათ.

ვერ იქნა და ვერ გაეშვა გიგა ამდენ მნახველს, ერთი სული ჰქონდა, გამოსულიყო ქალაქში სამხედრო ფორმაში გამოწკეპილი, მეგობრებთან ერთად ცენტრალურ ქუჩაზე გაჩერებულიყო და მერე თავისი გულის სწორი მოენახულებინა...

გიგა მაღალი, ცოტა მხრებში მოხრილი, ნაზი და შოლტივით მოქნილი ბიჭი იყო. საგანგებოდ მორგებული სამხედრო ფორმა ეცვა. გიმნასტურაზე მეორე კლასის მძღოლის ნიშანი უბრწყინავდა. გალიფე ისე კოხტად ჰქონდა მოჭიმული და გაწკრიალებულ ჩექმებს ისე მსუბუქად ადგამდა, გეგონებოდათ, საცეკვაოდ მიდისო.

ქუჩაში გამოვიდა, ცოტა ხანს გაჩერდა და გამვლელ-გამომვლელს დაუწყო თვალიერება. მალე მისალმებითა და მოკითხვით შეწუხებული, იქვე კლუბის წინ ბაღში შევიდა, სკამზე ჩამოჯდა, სილაში მოფუსფუსე ბავშვებს დაუწყო ყურება.

მისი მეზობელი თემური გამოჩნდა. სამი წლის ბავშვისათვის წაევლო ხელი და ბაღში დაასეირნებდა.

— გიგას გაუმარჯოს! — შორიდანვე დაუძახა და მისკენ გასწია.

გიგა ფეხზე წამოდგა, ერთმანეთს გადაეხვივნენ. თემურმა ბავშვი სათამაშოდ გაუშვა, თვითონ გიგას გვერდით ჩამოჯდა.

— გუშინ სად დაიკარგე?! — უსაყვედურა გიგამ, — დამახრჩეს სმით. დღეს გამოვიპარე, მეშინია, კიდევ არ მომიწიოს დალევა.

თემური გიგაზე უფროსი, ჯარიდან კარგა ხნის დაბრუნებული და ოჯახს მოკიდებული ვაჟკაცი იყო; ასაკის მიუხედავად, გიგასთან მეგობრობდა.

— სადა მქონდა ტვინი, ჯარიდან ჩამოსვლისთანავე რომ ჩამოვირქვი გვირგვინი?! მაშინ ძალიან მიხაროდა, ახლა ბევრს ვნანობ, მაგრამ რაღა დროსია. გუშინდელი პურ-მარილი ცალკე დამაკარგვინეს, მაგათი დავალების შესრულებას გადავყევი, დღეს, კიდევ ბავშვი ამკიდეს, თვითონ ქალების დღეობაზე წავიდნენ.

არა, ძმაო, შენ მაინც ისწავლე ჭკუა, სანამ თავისუფალი ხარ, ისეირნე, დრო ატარე, თორემ აგერ, — ხელი გაიშვირა სილაში მობღუნავე შვილისაკენ, — მაგათი მსახური გახდები, შმვიდობით ძმაბიჭებო და დროსტარებავ!

— რა შვილი ამბობ მაგას, შენნაირი უდარდელი კაცისათვის სულ ერთი არ არის, ცოლი ეყოლება თუ არა?! — ღიმილით უთხრა გიგამ და წამოზრდილ ღიპზე ხელი დაარტყა.

თემური პურმარილის კაცი იყო, ოღონდ ქეიფი ეხსენებინათ, ხანძარი რომ გასჩენოდა სახლს, თავს დაანებებდა და საქეიფოდ წავიდოდა.

— ბოდბეში მინდა წავიდე, მამიდაჩემთან, რაც ჩამოვედი, არ მინახია, ხომ გახსოვს, როგორი პურ-მარილი იცის. წამო, დღეს ვიქეიფოთ, ხვალ კი უკანვე გამოვბრუნდებით, თანაც იქაურ გოგოებს დავათვალიერებდი, — შემპარავად გაიღიმა გიგამ.

— იქაური გოგოებისა რა მოგახსენო, არა მგონია მამიდაშენის ჯავრი გქონდეს, თებროსკენ მიგიწევს გული და ვერ გამიგია, მე რაღათ მიმათრევ? წადი, ძმაო, ჩემი საფიქრალ-საზრუნავი ისედაც ბევრი მაქვს!..

— მაშ მარტო მიშვებ იმ სვავებთან? არ იცი, რომ ისე დამათრობენ, თებროს სანახავად აღარ ვივარგებ.

— ასე ვარ დაღუპული, ჩემ ცოლს რომ ჰკითხო, გეტყვის,

ლოთი ქმარი მყავსო. რამდენ შენნაირ გზააბნეულს უნდა მივეხმარო ამ ჩემი ჩასახეთქი მუცლით?! – თემურმა ღიპზე დაირტყა ხელი და გაიღიმა.

– მოკლედ, ბევრი ლაპარაკის დრო არ არის, დაუტოვე ვინმეს ბავშვი და წავიდეთ!..

თემურმა ხელი ჩაიქნია, რა გაეწყობაო. ბავშვი მეზობლის ქალს შეატოვა. თან დაუბარა: ძალიან საჩქარო საქმე გამომიჩნდა და შეიძლება ამაღამ შინ ვერ მივიდეო.

ერთ საათში გიგას და თემურს სატვირთო „გაზიკი“ ბოდბისაკენ მიაქროლებდა.

* * *

– მამიდა გენაცვალოს! – წინსაფარის ბერტყვით და ქოთქოთით შეეგება გიგას მამიდა.

მალე მათ ეზოში მეზობლები შეგროვდნენ, თხუთმეტამდე ქალი და კაცი იქნებოდა, გიგას ყველა იცნობდა და გულთბილად ესალმებოდნენ.

გიგა ქურდულად მამიდის მეზობლის, დათას ეზოსკენ იყურებოდა, თავისი გულის სწორის – თებროს დანახვა უნდოდა. შეკითხვებზე დაბნეულ პასუხს იძლეოდა.

მის ამგვარ მდგომარეობას მარტო თემური ხვდებოდა და თავშეკავებით იღიმებოდა.

თებრო კი ღობის კუთხეში ბროწეულის ბუჩქს ამოფარებული, გულის კანკალით ათვალიერებდა დეიდა კატოს ეზოში შეყრილ ხალხს. ერთი სული ჰქონდა, მიჭრილიყო მათთან, გიგას გადახვეოდა, მერე ხელი მოეკიდნა და სოფლის ბოლოს, ხევის პირას მწვანე მდელოსაკენ გაეტაცნა.

დიდხანს არ გაგრძელებულა ალიაქოთი. ეზოში ხმაურით შემოიჭრა კატო მამიდას ქმარი, შაქრო. გიგას ვაჟკაცურად ჩამოართვა ხელი, მერე მიიზიდა და მკერდში ჩაიკრა.

– დედაკაცო, რა დაბნეული დგეხარ! ეხლავე გაშალე სუფრა! მანამდე კი ქვევრის პირზე გავუსინჯავთ ღვინოს ჭაშნიკს. – შაქრომ ყველა მარანში შეიპატიჟა.

სწრაფად მოხადა თავი, თიხა და პრკეც კი არ მოაცილა.

დოქს დაავლო ხელი, ქვევრში ჩააყურყუმელავა, ღვინოში გაზუნ-ზლული დოქითა და ყანწით ეზოში გამოვარდა, იქ მარტო გიგა, თემური და ორი სხვა ახალგაზრდა კაცი დაინახა, დანარჩენებს გაპარვა მოესწროთ. შაქრომ მათ მრავალსართულიანი „ლოცვა“ დაადევნა...

სანამ ყანწს გაავსებდა და პირველ სადღეგრძელოს იტყოდა, ღობეზე მისმა მეგობარმა და მეზობელმა, მასავით გადარეულმა დათამ გადმოალაჯა.

დათა მხრებგაშლილი, მაღალი, მოქნილი და მოძრავი კაცი იყო. ისეთი ხშირი და სქელი თმა ჰქონდა, თითქოს დაბადების შემდეგ ერთი ღერიც არ ჩამოვარდნიაო. ხშირ გადაბმულ წარ-ბებს ქვეშ ჩამალული, დიდრონი, ლამაზი თვალები ყოველთვის ბრაზიანად იყურებოდნენ. სოფელში განთქმული კალატოზი სპი-ლოსავით ჯანიანი იყო. მისი გარეგნობის მიუხედავად, ძალიან კეთილი და მშვიდი, შაქროს თუ არ დაუძახებდა, პურს არ ჭამდა.

თითქოს დათას ნაკლს ავსებსო, შაქრო მუდამ მოუსვენარი, გამომწვევი, შარიანი და პურმარილის დროს ახალ-ახალი ხრი-კების ავტორი იყო.

დათა პირდაპირ ბიჭებისაკენ წავიდა...

— მაიცა, შაქრო! უჩემოდ ყელზე დაგადგება ჩემი ხელით დაწურული ღვინო, ვაჰ! გიგა ჩამოსულა, კაცო, გიგას გაუმარ-ჯოს! — მოეხვია, მაღლა აიტაცა და გულში ჩაიკრა გაოგნებუ-ლი ბიჭი.

— გაუშვი ხელი! შე დათვო, ნუ დაახრჩე! ჯარიდან იმიტომ კი არ ჩამოვიდა, შენისთანა ბეჰემოთმა იმსხვერპლოს! — გაბრა-ზებით უთხრა შაქრომ და ყანწი მიაჩეჩა.

დათამ ყანწი ჩამოართვა, ნაბიჯი უკან გადადგა, ბიჭები შეათ-ვალიერა და დაიწყო:

— შენ ჩამოსვლას გაუმარჯოს, გიგავ! შენ თუ არა, წუწკი ბიძაშენი ამ მირონივით ღვინოს დააძმარებდა. — დათამ ყანწი სულმოუთქმელად დაცალა.

— აგაშენოს! — მიაძახა შაქრომ და ახლად შევსებული ყანწი გიგას ძმაკაცს, თემურს მიაწოდა.

— არა, მე არა, ბიჭებმა დალიონ! — შეშფოთდა თემური.

— შენ რა, ბიჭი არა ხარ? — ირონიულად უთხრა შაქრომ და ყანწი ხელში შეაჩეჩა.

თემურმა ყანწი დაცალა. ულვაშები მუჭით მოიწმინდა, ეტყობა, ღვინო მოეწონა. — ამას ყანწით კი არა, კასრით დავლევდი, — თქვა და სხეულში სითბოჩაღვრილმა მოკრძალებაც დაცლილ ყანწს გაატანა.

— ყველამ ბოლომდე დაცალოს! — თავი გამოიდო თემურმა. — თან სადღეგრძელოს შემდეგ სიმღერაც უნდა ვთქვათ!

არეულობით ისარგებლა გიგამ, გვერდზე გავიდა, მამიდას გაუბა საუბარი და პირველი ყანწი როგორც იყო აიცილა.

მერე ეზო შეათვალიერა, როგორც კი სხვათა ყურადღებას გაექცა, მაშინვე დათას ეზოსკენ გაიხედა. იმ ადგილას გაუსწორდა, სადაც თებრო იყო ბროწეულის ბუჩქს მოფარებული.

ღობეს მიუახლოვდა, კარგად დააკვირდა, ბროწეულის ტოტები შეირხა, კაბა გამოჩნდა, გიგას გული ლამის ბუდიდან ამოუვარდა.

ბროწეულის ბუჩქთან მაღალი, თეძოსრული და მკერდგალაღებული, ჯანღონით სავსე, სიყვარულის მოლოდინში მიბნედილი თებრო იდგა.

მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. გიგას ფეხი აერია, წაბარბქაცდა, ღობის სარს წაავლო ხელი და გაქვავდა. ენა ვერ დაიმორჩილა, სიტყვა ვერა თქვა.

წინ მისი დაუოკებელი ოცნების საგანი ედგა და სიყვარულის ალმოდებული, მასაც თავისი ცეცხლითა სწვავდა.

— მაშ შენა ხარ, თებრო? — ამოილუღლუღა გიგამ.

— როგორ გამოცვლილხარ, გიგა! დავაჟკაცებულხარ! როგორ გიხდება სამხედრო ფორმა!- — სიყვარულის დამათრობელი ნექტარნარევი ეშხით თქვა თებრომ.

შაქრომ შორიდან მოჰკრა თვალი გიგას და თებროს. დათას მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— უყურე დათა, მალე მოგტაცებს შენ ლამაზ თებროს ჩემი ცოლის ძმისწული, ვენაცვალე, ჯერ არ მოსულა და გოგო გადარია! ხა-ხა-ხა! — გულიანად ახარხარდა შაქრო.

— ბიჭო, გიგავ, გაანებე მაგ გოგოს თავი, ქორწილზე ხვალ მოვილაპარაკოთ! ახლა წამოდი, სუფრა გელოდება! თუ გინდა თებროც წამაიყვანე, მაგის მამა უკვე თანახმაა! — დაუძახა და დათას მიუბრუნდა, — ნახე, ბიჭო, რა მშვენიერი წყვილია!

— დაანებოს ჩემ გოგოს თავი, თორემ მაგ შენ გიგას და შენც იცი რას გიზამთ?.. — გაბრაზდა დათა.

გიგა დაძახილზე გველნაკბენივით შეხტა, თებროსთვის აღარ შეუხედავს, ისე გამობრუნდა უკან; თან გონებაში შაქროს ლანძღავდა.

— გიგა! — მოესმა თებროს ხმა. ბიჭი მობრუნდა, თებრო იქვე იდგა. — საღამოზე გელოდები, იცოდე, — ხმადაბლა მიაძახა და სირბილით შინისაკენ გაიქცა.

გიგამ ხმა ვერ ამოიღო, ჩქარი ნაბიჯით გასწია მოქეიფეებისაკენ.

სტუმრები შაქრომ სუფრასთან მიიპატიჟა. გიგას გარდა უპუროდ გადაკრული ყანწების წყალობით ყველა შეზარხოშებული იყო.

— თამადა, პირობის თანახმად, თემური იქნება! — ასწია ჭიქა შაქრომ. — თემურს გაუმარჯოს! კარგი დრო გაგვატარებინოს?! — ჭიქა ბოლომდე დაცალა მასპინძელმა.

თემურმა თამადობა უპრეტენზიოდ მიიღო, მადლობა მოიხადა და პირველი ჭიქით ოჯახის დღეგრძელობისა შესვა.

ლხინი გაგრძელდა. სადღეგრძელომ ყველა ზომის სასმისები მოინადირა...

გიგა ბევრს ეცადა თავი დაეძვრინა დიდი სასმისებიდან, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ახლა ღვინისაგან გაბრუჟული, სიყვარულს ეფიცებოდა დათას.

— დათა ძია, იცი, როგორ მიყვარხარ? თქვენცა და თქვენი ოჯახის ყველა წევრი. ცუდი არაფერი იფიქრო, დათა ძია, შაქრო ძია სულ ტყუილებს ამბობდა, მე თებროზე ცუდი არაფერი მიფიქრია, ისე, ვნახე და...

— უთხარი ბიჭო, რომ შენი თებრო მიყვარს-თქო და ამაღამვე ჯვარს დაგწერს, რა ენა მაიმტვრიე! — უჯავრდებოდა შაქრო.

— ბიჭო, რა გაუჭირე საქმე, ხომ გაიგონე, კაცი ამბობს,

ცუდი არაფერი გამიფიქრებიაო, ძალაზე ხარ?! – შეეპასუხა ღიმილით დათა.

გიგას სირცხვილის სიწითლემ გადაჰკრა.

– სწორეს გეუბნება ბიჭი, აბა რა ცუდია, შენი გოგოს დანიშვნა უნდა, თუ არ გაატან, მოიტაცებს და ეგ იქნება! – სიცილით დაარტყა მხარზე ხელი შაქრომ დათას.

– არა, დათა ძია, არ დაიჯერო, ყველაფერი ტყუილია! – ძლივს ამოღერღა გიგამ.

– ხომ გესმის, შაქრო, ტყუილიაო, თუ კიდევ რამე გითქვამს ჩემი თებროს შესახებ, ვიღაცას წიწილივით წავაცლი თავს და ის იქნება, – გაბრაზდა დათა.

– აი, შე უნდილო, შენა, რა გოგო დამიკარგე, ეხლა უყარე კაკალი დათას, აღარაფერი გეშველება, ეგ ისეთი ღვთის გლახაა, თუ არ მოიტაცე გოგოს აღარ გაგატანს. – კვლავ გაიხუმრა შექრომ.

– გაანებე მაგ ბიჭს თავი, ხომ ხედავ, ბატკანივით უზნევარია. – ღიმილით თქვა დათამ, – მაგას ცოლი არ უნდა, შენ რა სატანასავით შეუჩნდი.

– ბიჭო, როდემდე უნდა იარო უცოლოდ?! – ჩაერია საუბარში მამიდა.

– რა ეჩქარება, დედაკაცო, ვერა ხედავ, ბიჭი ცარიელა ძვალი და ტყავია, – გამოესარჩლა გიგას შაქრო. – ხომ მთლად წავა ხელიდან, თუ ერთი ჯანიანი გოგო შეხვდა, ჰა!

– მაიცა, ქა, შენც ერთი! მე რომ გამოგყევი, იგრე იყავი გამოთავებული, ნაწუწნი კანფეტივითა, ჩემი დამსახურება არ არის, რომ ფერმის ბულასავით კისერი ვერ მოგიტრიალებია?! ჰოდა, გიგაც ცოლის ხელში უფრო მომაგრდება!.. – დაასკვნა მამიდამ და აკეცილი წინსაფარის კალთიდან ახლადმოკრეფილი შუშა კიტრები ამოალაგა.

– ნუ გეშინია, ჩემო კატო, არც შენ გაკლია გათხოვების სიკეთე, იგრე გასქელდი, კარებში გვერდ-გვერდ შამოდიხარ; ქორწინებისდროინდელი ორსაწოლიან ტახტზე აღარ ეტევი, მე კი ძაღლივით ხის ტახტზე ვგდივარ, – ვეღარ დამალა გასაჭირი შაქრომ.

— ხა-ხა-ხა!.. — აროხროხდა დათა, — მეც არ მეგონა შაქროს ყოველ დილით გვერდები შეხვეული რადა აქვს-მეთქი?! — დათას სიცილში ლუკმა გადასცდა სასულეში და ხველა აუტყდა.

— ღვინო დააყოლე, დათვო, ღვინო! — დრო იხელთა ცოტა არ იყოს ნაწყენმა შაქრომ, — აბა, მაგდენი არ უნდა იცოდე, რომ ჯერ გამოტენილი ყბები გამოანთავისუფლო და მემრე ილაპარაკო და იცინო?!

— აბა, სსსიწყნარე იყოს! — აბლუკუნდა თამადა. დათას და შაქროს მეცადინეობას თავისი გაეტანა, თემური ენას ძლივს იმორჩილებდა.

— მმმოდი, დიდი გრძნობითა და სსიყვარულობით ის კეთილი მეზობლები ვადღეგრძელოთ, ვისაც... — თემურს დაასლოკინა, ტუჩები დაუსველდა, ნერწყვი გადაყლაპა, შუბლზე ოფლის წვეთმა გამოჟონა...

— ოოვეე! ეტყობა გულის არევას აპირებს, ჩქარა ტაშტი მიაშველეთ, თორემ დაგვსვრის! — აღფრთოვანდა დათა.

— მმმეე, მმოკლედ ის უნდა მმეთქვა, რომ ჩვენი დედმამიშვილები კარგად გვყავდნენ, — როგორც იქნა გააგრძელა თამადამ.

— დალიე, გენაცვალე, დალიე! თორემ ახლა წინაპრებზე არ გადახვიდე, — ხუმრობის გუნებაზე დადგა შაქროც.

სუფრა გამხიარულდა!

თამადა ვერ მიხვდა, რას ამბობდნენ, ის უკვე მთლად ბურანში იყო.

მის წინ ისხდნენ სამთავიანი დათა და შაქრო, გიგას დააკვირდა, მასაც სამი თავი ჰქონდა, თავს ძალა დაატანა და თავების რაოდენობა ორამდე შემცირდა.

სუფრის წევრებს გაფართოებული თვალებით შეხედა, ერთთავიანი ვერავინ დაინახა, უფრო მეტიც, ერთის მხრებზე მეორის თავი ჩანდა და მხრების გასწვრივი მოძრაობდა, — დასწყევლოს ეშმაკმა, — ჩაილაპარაკა და მარცხენა ხელით ღვინის ბოთლის ძებნა დაიწყო.

— გადავავსოთ ჭიქები! — წაილუღლუღა და, თანაც ხელს ისე აფათურებდა სუფრაზე, როგორც ბნელ ოთახში მაგიდაზე ასანთს ეძებს ხოლმე კაცი.

ბოთლს ხელი მოარტყა, გადააქცია, თეფშზე დაეცა და დაამსხვრია.

— შაგარგოს! ბედნიერების ნიშანია! — წამოიძახა შაქრომ და ბოთლი ააყენა.

— ეგრე დალიე, გადავსებული გაწყენს, — შეეშველა დათა.

— მოკლედ, წინაპრებს გგაუმარჯოს! — ძლივს დააბოლოვა თემურმა, სანამ პირთან მიიტანა, — ესე მტერი დაგეცალოთ! — ჩაილაპარაკა და ნელ-ნელა გამოცალა სასმისი. მაგრამ ჭიქა ტუჩებიდან ვერ მოიცილა, უკანვე შეავსო, ღვინო ტუჩების ორივე მხარეს ჩამოეღვარა, ჩაუყვა ნიკაპს, გასცდა ყელს და გაქათქათებული პერანგის საყელოში გაუჩინარდა.

ახლა კი აღარ ხუმრობდა თემური, ღვინო ყელში ჰქონდა მომდგარი და ამოფრქვევას ლამობდა.

— ჩქარა, გავიტანოთ, თორემ გასკდება, ეს ოხერი! — გაიხარა დათამ.

წამოიშალნენ, თემურს ხმაურით შეესივნენ და ტახტზე გაშოტეს, რომელსაც უკვე აღარაფერი ესმოდა, ღრმა ძილს მისცემოდა და მადიანად ხვრინავდა.

— ესეც ესე, ჩემო გიგა, ხარივით მსმელი ძმაკაცი გყოლია, ხა-ხა-ხაა!!! — გადაიხარხარა შაქრომ.

— ხა-ხა-ხაა!! — ახარხარდა ყველა.

მაგრამ ღვინოს არც მათთვის დაეყენებინა კარგი დღე. ვერავინ შენიშნა, რომ გიგა მათ შორის აღარ იყო.

— ისე ცუდი არ იქნებოდა, ჩემო დათა, შენი თებრო ჩვენი გიგასთვის რომ მიგეთხოვებინა, ჰა, რას იტყვი, ხო კარგი ბიჭია?! გოგოც მშვენიერია. აბა, დამირტყი ხელი! — გაუწოდა მარჯვენა შაქრომ დათას, იმან კი ხელი აუკრა და მოიღუშა.

— როგორ მიბედავ, შე უნამუსო, მაგის თქმას, განა არ იცი, რომ შენი გაქუცული გიგა, ჩემი გოგოს შესაფერი არ არის?!

— თუ გინდა დავნაძლევდეთ, ეხლა შენი თებრო, სადმე ბაღჩის ბოლოს ეყოლება განაპირებული, — დაიკვეხა გიგას ვაჟკაცობა შაქრომ.

— თუ ეგრეა, მივდივარ და დოლის გოჭივით შემოვაწყვეტავ ბოძზე შენ ნაქებ გიგას და სულ დავუკარგავ არშიყობის ხასი-

ათს, მაგ მამა...

— აბა, აბა, დაჯექი! — დაეჭიდა უკვე ფეხზე ამდგარ დათას შაქრო და თამადის შეწყვეტილი წინაპრების სადღეგრძელოს ვახტანგურად შესმა შესთავაზა.

შესვეს ვახტანგურად და მერე ერთმანეთი ძმურად გადაკოცნეს.

* * *

სუფრაზე არეულობით ისარგებლა გიგამ და ოთახიდან შეუმჩნევლად გაიძურწა, ღობეს გადაევლო, დათას ბოსტანში ლობიოს ნათესში გაიბლანდა.

გაფხვიერებულ მიწაში ეფლობოდა და გამოდებულ ლობიოს ბუჩქებს თელავდა.

ფეხი რაღაცას წამოკრა, წინ წაქანდა, მეორე ფეხის მონაცვლება ვერ მოასწრო და ახლად მორწყულ კიტრის ნათესში პირქვე გაიშხლართა.

დათვის ბოკვერივით გადაგორდა და ტალახში ამოსვრილი მცენარის ყლორტები ფოთლიან ნაყოფიანად თან აიყოლა. სახეზე სისველე იგრძნო, ხელი მოისვა და მოცხობილი ტალახი კარგად შეიზილა.

გარეთ, სახლის ფანჯარასთან, სკამზე თებრო იჯდა. ქეიფის ხმაური აქამდე აღწევდა.

უსმენდა ამ ღრიანცელს და გულში რაღაც არნახული სითბო ეღვრებოდა. ხმები იმდენად გარკვევით ისმოდა, რომ არჩევდა მათ პატრონს და ამ ხმებში გიგას ხმის გამოცნობას ლამობდა.

ოცნებაში წასული ესაუბრებოდა სატრფოს. სამი წელი არ ენახა გიგა. სამი წელი უგზავნიდა წერილებს და ერთგულებას ეფიცებოდა. პასუხებს კი გიგას მამიდასთან მიღებულ წერილებში ეძებდა.

კარგად იცოდნენ მამიდამ და შაქრომ მათი სიყვარულის ამბავი. ამიტომ იყო დათას რომ პირდაპირ შეუტია, თებრო გააყოლე გიგასო.

არც დათა იყო წინააღმდეგი, მაგრამ ტრადიციულად, როგორც ქალის მამა, ჯიუტობდა, გულში კი გიგა უკვე სიძესავით უყვარდა.

თებრო ოცნებით გიგას ესაუბრებოდა. ბევრი ჰქონდა სათქმელი და არ იცოდა, პირველად რით დაეწყო. ისე იყო ჩაფლული სასიამოვნო ფიქრებში, რომ ბოსტანში ბღლარძუნის ხმა არ გაუგია.

გიგა სახლის კედელთან მივიდა, ფიქრში ჩაფლულ ქალიშვილს მიეპარა, ხელში სტაცა ხელი, — ჩემო თებრო! — უჩვეულო ხმით ამოიხრიალა.

თებრო უცებ შეტრიალდა გიგასაკენ, ამ ტალახში ამოსვრილი მოლანდების დანახვაზე, რომელიც ხელზე ეჭიდებოდა, კინაღამ ჭკუაზე შეიშალა. ყრუ კივილი აღმოხდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაკავებული ხელი გაიქნია; მოლანდება თავით მიწაში ჩაემხო. თვითონ შიშისაგან პირზე ხელები აიფარა. სიჩუმე ჩამოვარდა.

თებრო კი იდგა პირზეხელაფარებული და განძრევა ვერ გაებედა.

უცებ დაბლიდან ხმა მოესმა:

— თებრო, ჩემო თებრო!

ყურებს არ დაუჯერა, გიგას ხმა იცნო, სხეულში ათასი თბილი ისარი შეეჭრა და გაიშალა.

— თებრო, ჩემო თებრო! — აჩრდილი გახოხდა და თებროს ფეხებზე მოეხვია.

ახლა კი დარწმუნდა თებრო, რომ ეს არსება გიგა იყო. ხელი წაავლო, ფეხზე წამოაყენა, დაბნეულ თვალებში ჩახედა და მის ტალახიან მკერდში ჩარგო თავი.

გიგამ ხელები მოხვია, თავი მაღლა აუწია და ანთებული კოცნით სამი წლის უნახავი შეყვარებული სიტკბოების მორევში გადაისროლა, თვითონაც თან ჩაჰყვა.

— შენ გენაცვალე, თებრო, ჩემო სიცოცხლევ! — ჩურჩულებდა გიგა.

— აღარ მოგშორდები, დავიღალე ლოდინით, უშენობა აღარ შემიძლია, გიგავ, გენაცვალე!.. — თებრო გიგას გარდა ვეღარაფერს ხედავდა.

— არ გაუშვათ, თოფი უნდა დავცე, ეხლავე შევალ შინ და დედას ვუტირებ! — ყვირილით შევარდა დათა შინ.

გიგა უცებ გამოფხიზლდა, — ხვალ საღამოს სოფლის ბოლოს ეკლესიასთან მოდი! — მიაძახა თებროს და თავქუდმოგლეჯილი გადაევლო ღობეს...

* * *

შუადღე კარგა ხნის გადასული იყო, გიგამ რომ გაიღვიძა. საწოლთან სკამზე გაწმენდილი და დაუთოებული ტანსაცმელი გადაეკიდა მამიდას. გუშინდელი ამბების შთაბეჭდილებებით დამძიმებული ადგა, სარკეში ჩაიხედა, სახეზე ტალახი შეხმობოდა, ხელებიც დასვრილი ჰქონდა.

ეზოში გავიდა, პირსაბანთან კარგა ხანს იბანდა ხელ-პირს, ოთახში შევიდა, სკამზე გადაკიდებულ ტანისამოსს სიამოვნებით გადახედა. კოპწიად გამოეწყო და სარკის წინ გაიარ-გამოიარა; ესიამოვნა ღამის კვალი რომ აღარ ემჩნეოდა.

ისევ ეზოში გავიდა. ირგვლივ სიჩუმე იდგა.

მარნისაკენ გაუხვია, იქიდან ხმადაბალი საუბარი მოესმა, კარი შეაღო, ზღურბლზე გაჩერდა.

ქვევრის პირთან თემური და შაქრო დაბალ კასრზე გაშლილ სუფრას შემოსხდომოდნენ.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — დაიძახა შაქრომ და აწეული ჭიქა თემურს მიუჭახუნა.

— გიგას სადღეგრძელო იყოს, ჩემო თემურ, ვაჟკაცია, წუხელ ბულდოზერივით უმუშავნია, ბლომად მიწა აქვს ნათხარი, გაუმარჯოს! — თქვა და ჭიქა გამოცალა.

თემურმა ვერ გაიგო შაქროს ნათქვამი, გაუმარჯოსო თქვა და ჭიქა გამოცალა.

— მოდი, ბიჭო, დაჯექი, რა ასასივით გაჩერებულხარ კარებში! — უთხრა შაქრომ და სკამი მიუმარჯვა.

გიგა დაჯდა, პური გატეხა, ოხრახუში მოკეცა, მარილში ჩააწო და პურს დააყოლა.

— ბიჭო, წუხელ რა ნაომარი მოხვედი, რამე ცუდი ხომ არ შეამთხვიე იმ გოგოს?! — ეცა ახლად შემოსული მამიდა გიგას.

— შეეშვი, დედაკაცო, თავიანთი საქმისა თვითონ იციან, — გააჩერა მეუღლე შაქრომ, — აი, მალე ჯვარს დაიწერენ და მე-

რე გინდა იომონ და გინდა იჭიდაონ. შენ ეგ მითხარი, დათა რატომ არ მოვიდა?

— დილას ადრე გასულა სახლიდან და დაუბარებია, საღამოს მოვალო, არც კი უთქვამს სად წავიდა, — თქვა მამიდამ და საყვედურებით შეხედა გიგას.

გიგას ალმურმა გადაჰკრა სახეზე, გაახსენდა დათას წუხანდელი ყვირილი: „თოფი უნდა დავცეო“ და გუნება გაუფუჭდა.

— ის დალოცვილი, სად მირბოდა? დარჩენილიყო ქორწილზე მოგველეპარაკნა, — საყვედურით თქვა შაქრომ.

— რის ქორწილი, ქა, ნახე ერთი, ნაწყენი არ იყოს! — ისევ შეიცხადა მამიდამ.

—არა უშავს, ყველაფერი მოგვარდება, მოვა და თუ რამე აწყენინა გიგამ შევარიგებ! — ჭიქაში ღვინო დაასხა და თემურს მიაწოდა. — იცოდე, იგეთი სადღეგრძელო უნდა ვთქვა, რომ ლიცლიცა უნდა დაილიოს.

გიგამ დრო იხელთა და გარეთ გავიდა.

— გიგავ! მოდი, ბიჭო, შენ დასალევს არავინ დალევს! — შაქრომ გიგას ჭიქა პირამდე გაავსო. — ეს ბიჭი რა გამოუქნელი მოზვერივით დარბის, თუ დროზე არ დაინიშნა, ცუდად არის მაგისი საქმე, — ჩაიცინა, ჭიქა აიღო და გიგას თამადობით ყველა შეყვარებული ადღეგძელა...

* * *

დანგრეული ეკლესიის ეზოში მწვანე ხასხასა ბალახი ბიბინებდა. გაბზარული ქვიტკირის კედელში ჩაჭედილ აკაკის ხეს ტოტები გაეშალა, კედლიდან გადმოხრილიყო და მდელოზე გართხმულ თავისავე ჩრდილს ზემოდან დაჰყურებდა.

ირგვლივ კედლიდან ჩამოცვენილი ქვები და ბათქაშის ნამტვრევები მიმოფანტულიყო.

გიგა ბალახზე ივჯდა და წკეპლას მიწას ურტყამდა. ნაპრალიდან მიწისფერი ხვლიკი ფხიზლად მოცოცავდა, წკეპლის მოქნევაზე კი მკვირცხლად გაუჩინარდა ნაპრალში. ცოტახნის შემდეგ კიდევ გამოყო თავი, გიგას დააკვირდა, თითქოს ფიქრობდა, ნეტავ რამ მოიყვანა ამხელა არსება აქაო, თანაც გასაქცე-

ვად მზად იყო.

გიგამ წკეპლა გადაუშხივლა მწვანე ბალახით შემკობილ მიწას, ხვლიკი უმალ გაუჩინარდა ნაპრალში, რათა შემდეგ ისევ გამოჩენილიყო.

აკაკის ჩრდილმა მთელი მოლი გადაიარა, მას უკან კედლის მასიური შავი ჩრდილი მოჰყვა და ეზოდან მზე სრულიად განდევნა.

მზე დასავლეთის მთებით დაკბილულ ჰორიზონტს მიუახლოვდა და ჩასასვლელად გაემზადა.

ფრთხილი ფეხის ხმა მოისმა, გიგა წამოდგა, კედელს მოეფარა და, როგორც უნდა გამოჩენილიყო, გადახტა, ხელები გაშალა, უნდა მოხვეოდა...

— ვაი, დედაა, მიშველეთ! — აყვირდა შეშინებული ბიჭი.

გიგას მოულოდნელობისაგან ხელები იმავე პოზაში დარჩა.

— რა გაყვირებს, მგელი ხომ არ დაინახე?! — გაუბრაზდა გიგა.

— რა ვიცი, ისე უცებ გადმოხტი, მგელიც მეგონა და უარესიც...

— აქ რას დადიხარ? გასართობი სხვაგან ვერაფერი ნახე? — გაბრაზებით შეეკითხა გიგა, თანაც აგრძნობინა მოუსვი აქედანო.

— თხას ვეძებ, გასართობი კი ეტყობა შენ სხვა ვერაფერი გინახია! — უთხრა ბიჭმა და მოკურცხლა. თან უკან იყურებოდა, ხომ არ მომდევსო.

გიგამ ფეხები დაუბრაგუნა, ბიჭმა სირბილს უმატა და ფერდობს მიეფარა.

გიგა ისევ იქით იყურებოდა, რომ მხარზე ნაზად ხელის შეხება იგრძნო. უცებ მოტრიალდა, თებრო იდგა და იღიმებოდა.

— რა გული გაუხეთქე იმ ბალღს, ეს ეკლესიაც უკვე დაისაკუთრე?

— აბა, რა მექნა, საუბარი რომ გამება, იქნება აღარ წასულიყო და შენთან რომ ვენახე, ხომ სოფელს შეყრიდა!

— რისა გეშინია, ვერ გამიგია, დასამალად თუ გაქვს საქმე, მეორედ აღარ შეგვხვდები! მე არავისი არ მერიდება, მიყვარხარ

და ჯვარი უნდა დავიწეროთ! ხომ ესეა, გიგავ?

— ეგრეა, შენი ჭირიმე! — გიგამ საკოცნელად გაიწია, თებრომ ხელი მიადო მკერდზე და ახლოს არ მიუშვა.

— შენ ეს მითხარი, ქორწილი როდის გვექნება?

— თუნდაც ხვალვე! — ვეღარ მოითმინა გიგამ, ხელი მოიცილა, აღარც თებრო გაუძალიანდა და ერთმანეთს ჩაეხვივნენ. დიდი ხნის ალერსმონატრებულები იდგნენ ასე ჩახუტებულნი და ერთმანეთის გულისცემას უგდებდნენ ყურს.

ბოლოს, როგორც იყო, დაცხრნენ, მოლზე ჩამოსხდნენ და ერთმანეთს ნაწყენებივით დაუწყეს ყურება, თითქოს რაღაც დანაშაული ჩაიდინესო.

— მაინც, რა იყო, წუხელ მამაშენი თოფით მოკვლას რომ მიპირებდა, ისეთი რა დავაშავე?! — საყვედურით უთხრა თებროს გიგამ.

თებრომ დიდხანს გულიანად იცინა, ძლივს მოითქვა სული და გაკვირვებულ გიგას თვალებში ჩახედა, ისევ აუვარდა სიცილი...

— თურმე ეზოში მეზობლის ძაღლი შემოსულა, მამაჩემისათვის დაულრენია, ის კიდევ გაბრაზებულა, ჩემ სახლში აღარ მიშვებსო, იმიტომ იძახოდა არ გაუშვათ, თოფი უნდა დავცეო.

— ხა-ხა-ხა!.. ახლა გიგას აუვარდა სიცილი, მოლზე გადაგორდა და გულიანად იხარხარა, თვალებზე ცრემლები მოადგა.

— მაშ, მამაშენი ჩემზე ნაწყენი აღარ არის? — სიხარულით ჰკითხა თებროს.

— ეტყობა, ძალიანაც ნაწყენია, წუხელ მთელი ღამე, სანამ დაიძინებდა, იძახოდა: მე მაგას გოგოს არ გავატან, კარგი ბიჭები არიან ეგეც და მაგისი ბიძაც, როგორ მოიტაცებენ, მაგასაც ვნახავო; მეც სულ მუშტებს მიტრიალებდა. დილას ადრე გაიღვიძა, დედამ, ეტყობა, ყველაფერი უამბო, რასაც ამბობდა, წავიდა და შინ აღარ მობრუნებულა.

გიგა ჩაფიქრდა, მერე თავი მაღლა აიღო, თებროს შეხედა და ეშმაკურად გაუღიმა.

— თებრო, იქნებ მოტაცება უფრო უპრიანი იყოს? ჰა, გოგო, ორ დღეში აქ ვიქნები და...

— მეც ეგრე მგონია, მაგათ ლოლიაობას მოტაცება მირჩევნია! — დაასკვნა თებრომ.

მოლზე ჩამომსხდრები გეგმის შედგენას შეუდგნენ.

* * *

ვალოდია ტრუბკინს თავისი მამის „პობედის“ კაპოტი აეხადა და კარბურატორს ამაგრებდა. ღია საბარგულში უწესრიგოდ ეყარა მანქანის საბურავი, ორი კამერა და ხელსაწყოები.

როგორც იყო მორჩა კარბურატორის საქმეს, მანქანაში ჩაჯდა და ძრავის ამუშავება სცადა. ძრავმა ერთი ორი ამოიგმინა და გაჩერდა.

— თფუჰ! — გაბრაზებულმა ხელი დაარტყა საჭეს, მანქანიდან გადმოვიდა თუ არა, გიგა და თემური დაინახა, ისინი დაუძახებლად შევიდნენ ეზოში და პირდაპირ ვალოდიასაკენ გამოსწიეს.

— ოჰ! თქვენი ჩირიმე! ნატვრასავიტ არ მოხვედიტ, — გაშალა ვალოდიამ ამოსვრილი ხელები და მეგობრებს გადაეხვია.

— ეს ოხერი, მანკანა ვერ დავკოკე, ერთი მოაცეკიტ, გარაჟიდან გამოვიკვანო, მერე სადაც მეტკვიტ, იქ გასეირნება! — შეპირდათ გახარებული ვალოდია.

— ჯერ რა დროს მანქანის გამოგორებაა, გიგა ჯარიდან რომ ჩამოვიდა, ხომ არ გინახავს?! — შეახსენა თემურმა.

— შენ ამას უკურე, კაცო, ჩვენ მტელი დგე ვკეიპობდიტ, მაშინ სად იკავი? იგეტი გვინო იკო, უჰ! — ვალოდიამ პირთან მიიტანა მომუჭული თითები და აკოცა, გიგას გაუღიმა და თვალი ჩაუკრა.

— აბა, მაშინ მანქანა გამოვაგოროთ და მერე საქმეზე ვილაპარაკოთ, — თქვა თემურმა და გარაჟში შევიდა.

მანქანა გარეთ გამოაგორეს. მერე ვალოდია საჭესთან დასვეს, თვითონ უკანიდან მიაწვნენ, გააქანეს, ვალოდიამ სიჩქარე ჩართო, ძრავამ რამდენჯერმე ამოახველა და თუხთუხი ატეხა.

— არ ჩააქრო! — მიაძახეს ბიჭებმა და მანქანას უკან გამოეკიდნენ.

მანქანა გაჩერდა, ბიჭები შიგ ჩასხდნენ. ორივე უკანა კარები ერთდროულად მოიხურეს, მანქანა ნელა დაიძრა, მერე სიჩქარეს უმატა და უკან მტვრის კორიანტელის კუდი აითრია.

— სადაც გინდატ იქ ცავიდეტ, დგეს მე გეპატიჟებიტ. თუ გინდატ „ლეტნიკში“ ვიკეიფოტ! — დაიწყო ვალოდიამ.

— დღეს ქორწილში გეპატიჟებით, მაგრამ სანამ ქორწილი იქნება, ქალი უნდა მოგვატაცებინო! — შეაწყვეტინა ლაპარაკი თემურმა.

ვალოდიამ ყურს არ დაუჯერა. მანქანა გააჩერა, ძრავა არ გამოურთავს, სავარძლის საზურგეზე გადმოწვა და თემურს შეეკითხა:

— რა ტკვი?

— რა და, გიგასთვის ქალი უნდა მოვიტაცოთ!

— რატო უნდა მოვიტაცოტ, ვინც გამოგვკვება, ის წამოვიკვანოტ! გიგას უარს ვინ ეტკვის?!

— არა, გიგას ის უყვარს და სხვა არ უნდა!

— ვახ, კალს უნდა?

— უნდა თუ არა, უნდა მოვიტაცოთ, თუ მეგობარი ხარ, გამოგვყევი!

— მოიცა, კაცო, ვიპიკროტ, კურდობა რატ გვინდა?! ცამოდი, გიგა, იგეტი გოგოები გაჩვენო, აი, — ცერი თითი უჩვენა გიგას, — გინდ ტმაზე აარჩიე, გინდა ტვალზე, მკერდზე, ფეხზე, რა ვიცი, მოკლედ, გოგოები ერტმანეტზე უკეტესები არიან.

— შენ იარე, გიგასთან მივიდეთ, პატარა პური ვჭამოთ, დანარჩენი იქ ვთქვათ!

ვალოდიამ მანქანა მოატრიალა და გიგას სახლისაკენ გაათოხარიკა...

მოხარშული დედალი, ცხელი შოთის პურები, ყველი, მწვანილი, დოქით ღვინო და გრაფინით არაყი იდგა სუფრაზე. ბიჭები უხმოდ შეექცეოდნენ.

გიგამ დოქი აიღო და ჭიქებში ღვინო დაასხა.

— მე ასი გრამი არაკი დამისხი, — მოითხოვა ვალოდიამ.

— მაშინ ყველამ არაყი დავლიოთ, — მხარი დაუჭირა თემურმა.

— ჩვენი საქმის გამარჯვებისა იყოს! — მიუჭახუნეს ერთმანეთს ჭიქები გიგამ და თემურმა.

— იკოს! — თქვა ვალოდიამ და არაყი გადაჰკრა.

— თითო კიდევ დავლიოთ და წავიდეთ! — ბრძანა თემურმა და ჭიქები გაავსო.

— სად უნდა ცავიდეტ? — იკითხა ვალოდიამ.

— ბოდბეში, ქალი იქაურია, — იყო პასუხი.

— ის ქალი უნდა მოვიპაროტ?

— მოვიპაროთ კი არა, მოვიტაცოთ!

— მოიტა ერთი ასი გრამიც და კალი კი არა, ტუნდა კამეჩი მოვიპაროტ, — გული მიეცა ვალოდიას.

რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანა ბოდბისკენ მიქროდა.

ვალოდია კი გზაში ვიშვიშებდა:

— კალს მოპარვა რატ უნდა, კაცო, როცა რამდენიც გინდა იმდენია, ტავისიტ რომ ცამოვლენ...

* * *

ბოდბის მაღაზიასთან ათიოდე ბიჭი ჩამომჯდარიყო კიბეზე და რაღაცაზე ცხარედ კამათობდნენ.

— სხვა ადგილი ვერ ნახეთ, კიბეზე რომ არ დასხდეთ?! — ახლავე ადექით აქედან, — დაუცაცხანა შუახნის ქალმა, რომელიც მაღაზიაში რაღაცის საყიდლად მოსულიყო.

ბიჭები ახლა მაღაზიის გვერდით, დიდ ქვაზე ჩამოსხდნენ, ზოგიც ფეხზე იდგა და ასე უქმ საუბარში კლავდნენ დროს.

გზის პირას „პობედა“ გაჩერდა. მძღოლმა მანქანა მოაბრუნა, თავდაღმართზე დააყენა და ძრავი გამორთო.

— სტარტერზე დააყენა, — გაჭორეს ბიჭებმა.

მანქანის ორივე კარი გაიღო, მაგრამ იქიდან არავინ გადმოსულა.

— ეტყობა, დასცხათ, ნიავდებიან, — კვლავ გაიხუმრეს ბიჭებმა.

ზემოდან თებრო გამოჩნდა, ხელში პატარა ბოხჩა ეჭირა.

როცა მოახლოვდა, გიგა მანქანიდან გადმოვიდა, წინ გადაუდგა და თავაზიანად მიესალმა. მერე ხელი გაუწოდა.

— წამოდი თებრო, დაჯექი მანქანაში, წავიდეთ! — თებრომ ხელი აუკრა და განზე გაიწია.

— რა მოგივიდა, გოგო, ნაწყენი ხომ არა ხარ? — შეეკითხა გიგა.

— ეგრე არა, მომიტაცე! არ გესმის? მომიტაცე! — გაუმეორა თებრომ.

გიგა მიხვდა, გაეღიმა, თემურს დაუძახა, ჩამოდიო. მერე ორი-

ვემ წაავლეს ხელი თებროს და მანქანისაკენ ძალით გაათრიეს.

მანქანაში რომ სვამდნენ, თებრომ ერთი დაიწივლა „მიშველეთო“, ბიჭებიც სასწრაფოდ ჩასხდნენ, უცებ მოიხურეს კარები და მანქანაც დაგორდა, ერთი ამოახველა, შეძაგძადა, ძრავა ამუშავდა და სვლას უმატა.

მაღაზიასთან მსხდარი ბიჭები გაშტერებული უყურებდნენ, როგორ გადაუდგა გიგა თებროს, მაგრამ ვერ გარკვეულიყვნენ, რა ხდებოდა. როცა თემურიც გადმოვიდა და ორივემ თებრო მანქანაში შეათრიეს, ყველანი ფეხზე წამოხტნენ. თებროს დაძახებაზე „მიშველეთო“ ადგილს მოსწყდნენ და დაგორებულ მანქანას გამოეკიდნენ.

— ხელი გაუშვი! დედას გიტირებთ!.. — ყვირილით მისცვივდნენ ბიჭები მანქანას, ის იყო კარებს უნდა სცემოდნენ, რომ ძრავი ჩაირთო, მანქანამ სიჩქარეს უმატა და აყვირებული ბიჭები უკან მოიტოვა.

— თებრო მოიტაცეს!.. — თოფივით გავარდა სოფელში.

— ჩქარა, მანქანა! მანქანა, ჩქარა! — ყვიროდნენ ბიჭები და მუშტებს იქნევდნენ.

შაქრო და დათა ეზოში ისხდნენ, კუნძზე გაეშალათ პურ-მარილი და შეექცეოდნენ.

— თებრო მოიტაცეს! — ამ ყვირილმა მოქეიფეებამდეც მიაღწია.

ორივე გველნაკბენივით წამოხტა და ყვირილით გამოვარდნენ ქუჩაში. დათამ მოასწრო და ღობიდან სარი მოგლიჯა, შაქროს კეტისთვის დაევლო ხელი.

— დედას ვუტირებ, ცოცხალს არ გავუშვებ! — ღრიალებდა შაქრო.

— საით წავიდნენ, საით?! — გაიძახოდა დათა და სარს ატრიალებდა.

— მაგათ ხელში ჩემი მტერი ჩავარდეს, ცოცხალს არ გაუშვებენ იმ უბედურებს! — ისმოდა აქეთ-იქიდან.

— ვინ იყვნენ? საით წავიდნენ? იმათი დედა... — პირზე დუჟმორეული იგინებოდა შაქრო, — ვინ დაინახა? არ გესმით?

ერთი ბიჭი მივიდა მათთან, მას სხვებიც მიყვნენ, პირველმა

დაიწყო, სხვები არ აცლიდნენ, ბოლოს მაინც მოახერხეს ამბის მოყოლა.

— „პობედა“ იყო, ორი ბიჭი გადმოვიდა, ერთი სამხედრო იყო, თებროს ჩაავლეს ხელი და მანქანაში შეათრიეს, თებრომ დაიძახა „მიშველეთო“.

— თქვენ სად იყავით მაშინ? — გაცოფებულმა იყვირა შაქრომ.

— ჩვენც იქვე ვიდექით, მაღაზიასთან.

— ოხ, თქვენი დედა... როგორ გაატანეთ ქალი, თქვენი... — აღრიალდნენ შაქრო და დათა და ბიჭებს ჯოხებით დაერივნენ; ისინი შეშინებული გაიფანტნენ.

— შაქრო ძია, სამხედრო შენი თუქურმიშელი ცოლის ძმისწული გიგა იყო, — მიაძახა შორიდან ერთმა ბიჭმა, თან გარბოდა.

— შაქრომ თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ჯოხი დაუშვა და ჩუმად, ულვაშებში გაეღიმა, — ოხ, შე მამაძაღლო! შეხედე, როგორი გული ჰქონია?! — ჩაილაპარაკა.

ხალხს ოთხი თოფიანი და სამი ცხენიანი კაცი შეუერთდა.

— გამოვუდგეთ, შორს ვერ წავიდოდნენ! — ყვიროდა ვიღაცა.

დათა ისევ ბობოქრობდა, წინ გავარდა თავისი მარგილით.

— ძვალ-რბილს გავუერთიანებ, დედას ვუტირებ! — ღრიალებდა და თან გარბოდა.

სოფლის ზევით აღმართზე მანქანა გამოჩნდა, — ისინი არიან, — აყვირდნენ ბიჭები.

— გაუჩერდათ! გაუჩერდათ! ჩქარა, დავეწიოთ! — ყვიროდნენ ერთხმად.

წინ დათა მირბოდა, უკან ოციოდე ჯანმაგარი ვაჟკაცი თოფებით და კეტებით შეიარაღებული მისდევდნენ.

აღმართის თხემთან გაჩერებულ მანქანას უკანიდან ორი ბიჭი აწვებოდა, რამდენიმე მეტრიღა იყო დარჩენილი, მერე თავდაღმართზე გადავიდოდნენ და...

ხმაური ახლოვდებოდა. თუ ესე გაგრძელდებოდა, ბრბო უეჭველად დაეწეოდა მანქანას. შაქრო წინ წავიდა, დათას ხელში წაავლო ხელი და გააჩერა, მერე ხალხს შეუძახა:

— მოიცათ, ხალხო! ეგრე ყვირილით რომ მივდივართ, გული ხომ არ უნდა გავუხეთქოთ იმ ახალგაზრდებს?! მოიცათ! მოვიფიქროთ, ავწონ-დავწონოთ.

— რა უნდა ავწონ-დავწონოთ, გამიშვი ერთი მივულეწ-მოვულეწო ეგ მანქანა და იმ თავხედებსაც ჭკუა ვასწავლო! — ღრიალებდა დათა.

— უნდა ასწავლო, მაშ რა, — აწყნარებდა შაქრო, თან ხელს არ უშვებდა, დანარჩენებსაც გზას უღობავდა, წინ წასვლის უფლებას არავის აძლევდა.

დათა მაინც ბობოქრობდა, მანქანისაკენ იწევდა. — მოიცა, ბიჭო, ნუ ჩაუმწარებ იმ ბალღებს ქორწილს! — უჩურჩულა შაქრომ.

— ვის ბალღებს? — შეეკითხა დათა.

— ვისა და გიგას და თებროს, მოიცადე წავიდნენ და ჩვენც მაყრიონით უკან მივყვეთ! — ღიმილით უთხრა შაქრომ.

— ოხ, თქვენი დედა!.. — წაიბურტყუნა დათამ და ტუჩებზე ღიმილი აუთამაშდა.

მდევარი ადგილზე ყაყანებდა, მანქანას კი ის დარჩენილი, ორი მეტრის დაძლევა უჭირდა; ვერ ერეოდნენ მანქანას თემური და გიგა, შუბლზე ხვითქი გადასდიოდათ, ფეხებით მიწას ფხოჩნიდნენ, თან უკან იყურებოდნენ; მდგომარეობა ძალზე უიმედო იყო.

ვალოდია საჭეს ჩასჭიდებოდა და კანკალით ამბობდა:

— გაგვტკეპავენ, უბედურად გაგვტეპავენ!..

მდევრები ადგილზე დგომით დაიღალნენ, ყაყანს უმატეს.

მანქანის კარი გაიღო, იქიდან თებრო გადმოვიდა.

— გაიქეცი! გაიქეცი! — ეძახდნენ მდევრები.

— შენ მანდ ყბებს მოუჭირე! — შეუღრინა ერთ „გულშემატკივარ“ ახალგაზრდას შაქრომ.

თებრომ გახსნილ კარებს ხელი წაავლო და მანქანას მხრით მიაწვა, მანქანა ადგილიდან დაიძრა. ბრბოს ერთდროული შვების შეძახილი აღმოხდა. ვიღაცა უკანა რიგებში იცინოდა.

მანქანა თავდაღმართზე გადავიდა და გაუჩინარდა.

— აბა, გამოვუდგეთ! — გააქტიურდა შაქრო.

მალე ერთი ,,გაზიკი'' და ორი მსუბუქი ავტომობილი მოემატათ.

— თოფიანები სატვირთო მანქანაზე, დანარჩენებმა ჯოხები გადაყარეთ! მუშტებითაც მოვერევით, ჩასხედით მანქანებში და გამოვუდგეთ! — ბრძანებას იძლეოდა შაქრო.

გიგა, თებრო, თემური და ვალოდია გიგას სახლში შევიდნენ, როცა ქუჩაში თოფის სროლა და ხმაური ატყდა.

მომხდურთ გიგას მამა გაეგება და — მოყვრებს გაუმარჯოსო! — დაიძახა.

დილამდე თოფის სროლის, დოლ-გარმონის ხმა და არეული მრავალჟამიერი არ შეწყვეტილა თუქურმიშაში.

1961 წელი.

დაღლარა და ყბაჩო

ბარაქიანი შემოდგომა ტოტებდამძიმებული ხილით დატვირთული დაუფლებოდა ქიზიყელთა კარმიდამოს. მთელი წლის ოფლმოწურული ჯაფის ფასად მოწეული მოსავალი გულს უხარებდა დღენიადაგ მიწასთან ჭიდილში დაქანცულ გლეხს.

მთელი სოფელი, მოხუცი თუ ბავშვი, ქალი თუ კაცი მოსავლის დაბინავებაზე მუშაობდა. სოფელში ხალხის ხმაური დილაბნელზე იწყებოდა და შემდეგ მინდორში გადაინაცვლებდა. საღამოთი შინ მობრუნებული ხალხი ისევ უბრუნებდა სიცოცხლეს სოფელს.

საღამო იყო, უბნის ბიჭები სოფლის თავში, წყაროს პირას მდგარ კაკლის ჩრდილში შეკრებილიყვნენ და გაცხოველებული კაკლაობა გაეჩაღებინათ. ყველას თავისი კუთვნილი კაკალი გვერდით ჰქონდა დახვავებული.

იქვე ახლოს, ორმილა წყაროსთან მოწყობილ დიდ ნავში გოგო-ბიჭები ჭუყმპალაობდნენ.

დროდადრო მეზობელი სოფლის გლეხები დატვირთული სახედრებით, ან ცხენის ორთვალათი გამოჩნდებოდნენ, წყალთან შეჩერდებოდნენ, წყურვილს მოიკლავდნენ, მერე ოფლით დამწვარ სახეს გაიგრილებდნენ და ისევ გაუდგებოდნენ გზას.

კაკლის მოთამაშე ბიჭებში დიდი ჩოჩქოლი იდგა, ყველაზე აბეზარი, დაღლარას რომ ეძახოდნენ, აგებდა და წამდაუწუმ შარზე გადადიოდა, მაგრამ არც ბიჭები უთმობდნენ და მალე დაღლარას უბე დაუცარიელეს.

— ყაბჩო, მამეცი შენი კაკალი, რაცა გაქვს! — დაღლარამ შეუბღვირა მის გვერდით ატუზულ ბიჭს.

— მეღა? — შეშინებულის პროტესტი იგრძნობოდა ყბაჩოს ხმაში.

— შენ — კაჭკაჭის ბოლო! — ყბაჩოს პასუხს არ დაელოდა

და მის გვერდზე დაგროვებული კაკალი ორივე ხელით თავისკენ მიიხვეტა.

— მე რითღა ვითამაშო? — ყბაჩოს მოუწყლიანდა თვალები.

— საქმეს გამოგიძებნი, წადი, აგერ, ნავთან ცხენი რომ აბია ორთვალაში, ლაჯებში შეუყავი ხელი და ერთი მუჭა ბუზალაკი გამოაცალე! — უბრძანა.

— მე რათ უნდა წავიდე? — შეეპასუხა ყბაჩო.

— წადი, თორემ დაგილილავე ცხვირ-პირი! — დაემუქრა შეშინებულ ყბაჩოს დაღლარა, მერე წამოდგა, ხელი სტაცა, წყაროსაკენ მიატრიალა, თან ზურგში უბიძგა; ყბაჩომ ფეხი გადადგა თუ არა, უკანიდან ერთი მაგარი ჭიტლაყიც უთავაზა.

— რა გინდა, რა? ხომ მივდივარ! — ბოღმაშერეული ხმით ამოიგმინა ყბაჩომ.

— არა ხარ მართალი, დაღლარ, მაგ ბიჭის ეგრე დაჩაგვრა, იცოდე, არ შეგრჩება! — გააფრთხილეს ბიჭებმა.

— თქვენ თქვენს თავს მოუარეთ! ჩემი საქმისა მე ვიცი, უყმოდ ცხოვრება არ მეჭაშნიკება! — დაიტარაბახა დაღლარამ და კაკალი გააგორა.

— ის დროც მოვა, რომ გიხილავ კუდამოძუებულს, — შეუტია პატარა ტანის, სუსტმა ბიჭმა, ლაზარემ — ვინ ამომაძუებინებს, შენა? ყბაში რომ გაგცხობ, ამ ხეზე განცხადებასავით გაგაკრავ! — მარჯვენა ხელი მოღუნა და გასარტყმელად გაემზადა დაღლარა.

— ყბაჩო ხომ არა გგონივარ?! მაგ გოგრასავით თავს ქვით დაჟეჟილ წენგოიან კაკალს დაგიმსგავსებ! — ლაზარე წამოხტა და დაღლარას მიეჭრა, ყბაჩოსთვის წართმეული კაკლის გროვას წიხლი წაუკრა და აქეთ იქით გაუფანტა.

ბიჭებმა ჩხუბი აღარ დააცალეს, თავთავიანთ ადგილებზე დაბრუნეს და თამაში განაგრძეს.

ნირწამხდარმა დაღლარამ კაკლები შეაგროვა და თამაში გააგრძელა.

მალე ყბაჩო მოვიდა მარჯვენა მუჭაში ცხენისთვის გამოცლილი ბუზალაკები ეჭირა.

— ამას რა ვუყო? — შეეკითხა დაღლარას.

— ჯერ ეგრე გეჭიროს, როცა საჭირო იქნება გეტყვი! — უბრძანა დაღლარამ და თამაში გააგრძელა.

ყბაჩო იდგა მოკუმშული მუჭით და მოთმინებით ელოდებოდა დაღლარას ბრძანებას.

— ბიჭო, ყბაჩო, მაგ მუჭს მაგრა ნუ უჭერ, ბუზალაკები არ გაგუდო! — გაეხუმრნენ ბიჭები. ერთბაშად ყველამ გულიანად გადაიხარხარა;

წყაროსთან, მეზობელი სოფლის დედაკაცებმა ატმით და მსხლით სავსე გოდრებგადაკიდებული სახედრები მორეკეს წყლის დასალევად, თვითონაც კარგად დასიცხულებმა, ცივი წყლით მოიკლეს წყურვილი.

— აბა, ბიჭებო, ეხლა ყბაჩოს ჯერიც დადგა, წადი, ყბაჩო და ეგ ბუზალაკები უჩუმრა შეუსხი, აგერ იმ ვირს, ატმის სავსე გოდრები რომ ჰკიდია, ოღონდ ფრთხილად, ქალებმა არ დაგინახონ! — უბრძანა ყბაჩოს დაღლარამ.

ბიჭები წამოიშალნენ და სეირის საყურებლად ნავისკენ გადაინაცვლეს, სადაც სახედრები წყალს სვამდნენ.

ყბაჩომ სახედრებს გვერდზე გაუარა და მიზანში ამოღებულ სახედარს უკნიდან ლაჯებში ბუზალაკები შეაყარა.

გაგიჟდა საწყალი პირუტყვი, ტლინკები ყარა, იხტუნა ადგილზე, ამითაც რომ ვერ მოიცილა აბეზარი ბუზალაკები, დაიწყო სირბილი და თავმობმული გოდრებიდან, დაშაქრული ატმები გზაზე გადმოცვივდა. ბიჭებსაც ეს უნდოდათ, ელვის სისწრაფით წამოკრიფეს ატმები და, დედაკაცების წყევლა და მუქარა დადევნებულები, ფერდობს შეესივნენ, ზევით ავიდნრენ და კაკლის ჩრდილში ჩამოსხდნენ.

ყველას თავზესაყრელი ჰქონდა ხილი, მაგრამ ეს ეშმაკური ოინი სიხარულით გაიზიარეს. აქებდნენ ბიჭები დაღლარას ჩანაფიქრს და ისედაც ყოყოჩი ბიჭი, მთლად გადარიეს.

— აბა, ყბაჩო, რამდენი ატამი შეგვხვდა? — მოსთხოვა ანგარიში ყმას.

— სამი.

— ორი მე მომეცი! — და სანამ ყბაჩო აზრზე მოვიდოდა, დაღლარამ ატმები აართვა.

ლუკმა ყელში გაეჩხირა ყბაჩოს, თვალებზე ცრემლი მოადგა, ნახევრად შეჭმული ატმიანი ხელი ჰაერში გაუჩერდა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ გაბედა, მობუზული ჩამოჯდა კაკლის ფესვზე.

სოფელში ერთი ცხოვრებაში გზააბნეული, მარტოხელა კაცი ცხოვრობდა, ლუკა ერქვა, მაგრამ მისი ნამდვილი სახელი აღარავის ახსოვდა, ყველა „მეცნიერას“ ეძახოდა. ლუკა ზომაზე მეტად განათლებული კაცი იყო სოფლელების თვალში, ამბობდნენ, ორი ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, საწყალს, ამდენი სწავლის შედეგად ტვინი გადაეწვაო და საღი აზროვნება მხოლოდ რამდენიმე წუთს შეეძლო, მერე კი აბდაუბდა ბოდვად გადაიქცეოდა ხოლმე.

იცოდნენ ლუკას ეს თვისება და, როგორც აზრს აურევდა ხოლმე, მსმენელები მაშინვე ამბობდნენ, საწყალმა უკვე აადუღაო.

ბიჭებთან ყოფნა და თავისი ლექციების წაკითხვა უყვარდა ლუკას, ბიჭებიც სიამოვნებით ირთობდნენ თავს მასთან ყოფნით, ამიტომ მათ შორის კარგი ურთიერთობა იყო დამყარებული, უფრო მეტიც, ლუკას, რაღაც თავისებური, მაგიური გავლენა ჰქონდა ბიჭებზე. სანამ მისი საუბარი ტვინის ადუღების ზღვრამდე მივიდოდა, ბიჭებს ყოველთვის უჯდებოდათ ჭკუაში.

ბიჭები სახედრების ოპერაციას რომ ატარებდნენ, ლუკა კაკლის ჩრდილში მოკალათებულიყო და ღრმა ოცნებაში ჩაფლული გაჰყურებდა ალაზნის ველს.

— შარაგზის ყაჩაღობა, კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე, სხვადასხვა ძალით აწუხებდა ადამიანს, ხალხში მხოლოდ ზიზღსა და სიძულვილს იმსახურებდა, ხოლო იმას, რასაც ადამიანის გულში სიყვარულის ფესვი არა აქვს გადგმული, განწირულია დასაღუპავად! — თავისთვის, მაგრამ ყველას გასაგონად დუდუნებდა ლუკა. დარცხვენილმა ბიჭებმა ატმები დამნაშავესავით დააწყვეს მიწაზე და საყვედურით სავსე თვალები მიაპყრეს დაღლარას.

ქვემოთ, წყაროსთან დედაკაცები ისევ ვიშვიშებდნენ, კაკლის ქვეშ კი ონავრები ზეიმობდნენ.

— კარგი, ქა, მოეშვი მაგ წყევლას, ე, მართლა არ გამართლ-

დეს, მერე რაღა გეშველება?! – შეეხმიანა აღელვებულ ქალს, წყლის წასაღებად, დიდი კოკით მოსული დედაკაცი.

– ვიშ, ქა, ჩემი წყევლა, ლოცვად მიუვათ, მაგ სიცოცხლით სავსე ბიჭებს! – რომ ეთხოვათ, უფრო მეტს არ გავატანდი?! – ღმერთმა შეგარგოთ, შვილებო! – დაილოცა დაზარალებული დედაკაცი და ძლივს დაწყნარებულ სახედარს საპალნის შესწორება დაუწყო.

– შეგარგოთ, შვილებო, შეგარგოთ!– ერთხმად ჩაილაპარაკეს ქალებმა და გააგრძელეს ოფლით დამწვარი სახის გაგრილება.

კაკლის ქვეშ კი დაღლარა ზეიმობდა, ყბაჩოს ახალ დავალებას უმზადებდა, თანაც ბიჭებთან თავი მოჰქონდა, ნახეთ, როგორი ძალა მაქვს, ჩემს დავალებას ყბაჩო უსიტყვოდ ასრულებსო.

– აბა, ყბაჩო, შინ გაიქეცი, ნიტრა და ჭიქა წამოიღე, წყალი მომწყურდა, ცივი წყალი დამალევინე! – ჩაილაპარაკა ისე, რომ თავი მაღლა არ აუღია.

ბიჭები გაშრნენ, ყველა დუმდა, აინტერესებდათ, რა მოხდებოდა.

ყბაჩო ყოყმანობდა. ფეხმორთხმით მჯდარმა დაღლარამ მაღლა აიხედა.

– წელანდელი ჭიტლაყი ხომ არ მოგენატრა?! – შეუღრინა ყბაჩოს. ეს მუქარა საკმარისი გამოდგა, რომ ყბაჩო ძუნძულით შინისაკენ წასულიყო.

ბიჭებმა უკმაყოფილოდ ამოიგმინეს.

– დაუნდობელი რომის იმპერია ხარ, მონებით გაუმაძღარო, დაღლარ! დაინგრევი, დაიფუშები, თვითონ მონების მოყვარული, მონად იქცევი! მერე გაიგებ, რა ძნელია უღელი მონისა, ვის შერჩენია ავკაცობა? ვის შერჩენია სხვისი ოფლი და წამება? არავის! რაც უფრო დიდ ბოროტებას ჩაიდენ, იმდენად მკაცრად გაზღვევინებენ! რაც სხვისთვის გინდა, იცოდე, ზუსტად ის მოგიბრუნდება ორმაგად! შენს მიერ დათესილი თესლის გემოს გაორკეცებული ძალით რომ იგემებ, მაშინ ინატრებ, რატომ სიტკბო და სიკეთე არ დავთესეო, მაგრამ გვიან იქნება, რადგან წარსულს ვეღარ დააბრუნებ. ამიტომ არსებობს კაცობრიობის

ცხოვრების დიდი გაკვეთილი, რომ ყველამ იფიქროს დათესილს აუცილებლად მოამკევინებენ, რა გინდ მწარეც უნდა იყოს მისი მომკა; სისლიანი ხელებით გაგახსნევინებენ ბასრი ეკლებით შემოსილ, ბალღამივით მწარე ნაყოფს და სულ სათითაოდ მიგართმევინებენ. მაშინ კი გვიან იქნება თითზე კბენანი. დათესვის წინ უნდა იფიქრო იმაზე, რომ მისი მომკა მხოლოდ შენ მოგიწევს და მისი მწარე თუ ტკბილი ნაყოფი მხოლოდ დამთესის წილია და მასში არავინ შეგეცილება, — ლუკა-მეცნიერა ფეხზე ამდგარიყო, ხელები მაღლა აღეპყრო და ამ სიტყვებს ლოცვასავით აგვირისტებდა. ყველა თავის ადგილზე გაშეშებულიყო, მონუსხულივით შეჰყურებდა ადამიანს, რომელსაც თავისი თავისა და გადამწვარი გონების მეტი არაფერი გააჩნდა. საწყალს ქოშინი აუვარდა, მუხლებზე დაეცა, მიწას ორივე ხელით დაეყრდნო, ახლა თითქმის სახით ეხებოდა მიწას და ჩუმად დუდუნებდა: — დაინგრა მსოფლიოს წურბელა, დაიქცა, მიწასთან გასწორდა, მაგრამ რა, ახლა ის გახდა მონა თავისი მონების, ვერ ამოიძირკვა ჩაგვრა, ვერ მოკვდა ადამიანის შეგნებაში ადამიანის დამონება, ჭკუა ვერც გუშინდელმა მონამ ისწავლა, ძალა რომ მოიკრიბა, იგივე უღელი ახლა სხვას დაადგა; ღმერთო ჩემო, რა მოსპობს ადამიანის ტვინში ასე ძლიერად ჩაჭედილ მავნე ბაქტერიას?! დადგა ამ ბაქტერიის მოხრჩობის დრო, ჩვენ გვეშველა, მაგრამ მსოფლიოს როდის მისწვდება დიდი ადამიანების მიერ დამზადებული კეთილი ვაქცინა. როდის?!

დაღლილი და ფერდაკარგული ლუკა კაკლის ფესვზე იჯდა. ბიჭები ხმას არ იღებდნენ. დაღლარას ნაწყენი ღიმილი უთამაშებდა სახეზე.

ფერდობზე ყბაჩო ამოდიოდა, ხელში წყლით სავსე დოქი ეჭირა. ყდველამ მას მიაბჯინა მდუმარე მზერა. იცოდნენ, წყლის მოტანა, კვლავ, რაღაც ახალ ვნებათღელვას გამოიწვევდა.

ყბაჩო პირდაპირ დაღლარასთან მივიდა და ჭიქაში წყალი დაასხა, მარჯვენა ხელში დოქი ეჭირა, მარცხენით ჭიქა გაუწოდა.

დაღლარამ წიხლი აუკრა და წყალი ზედ შეასხა. ყბაჩო დაიბნა, ვერ მიხვდა, რა მოხდა.

— ახლიდან დაასხი! — უბრძანა დაღლარამ.

ყბაჩომ ჭიქა განმეორებით შეავსო და გაუწოდა, დაღლარამ გამოცალა, კიდევ ერთხელ შეავსებინა, გამოცალა და ჭიქა მიწაზე დააგდო.

— ეხლა უკანვე წაიღე! — უბრძანა და, ნასიამოვნები, ზურგზე გადაწვა.

ყბაჩოს თვალები ცრემლებით აევსო, ასლოკინებდა და ხმა ვერ ამოეღო, სიტყვის შებრუნებისა ეშინოდა, ალბათ შეპირებული პანღური აკრთობდა, არადა შეხედულებით დაღლარაზე კუნთმაგარი და ძლიერი ჩანდა.

ყველა მდუმარედ უყურებდა ამ სურათს. საწყალი „მეცნიერა“ გაფართოებული, საოცნებო მოლოდინჩაგუბებული თვალებით მიშტერებოდა ორივეს.

საოცნებო მოლოდინი კი სხვა მხრიდან გაუმართლდა „მეცნიერას“. ლაზარე დინჯად ადგა ფეხზე, მტვრიანი შარვალი გაიბერტყა და დაღლარასთან მივიდა. სუსტი, გამხდარი, ცოტათი გაყვითლებული, ავადმყოფური ფერი ჰქონდა, მაგრამ თვალებში სიცოცხლისა და სიამაყის ცეცხლი უთამაშებდა. გადატანილ ავადმყოფობას ცოტა ფიზიკურად დაეჩაგრა, მაგრამ მასზე ჯანმაგარი ბიჭები აუგად სიტყვას ვერ აკადრებდნენ ხოლმე. ძლიერი ნებისყოფა და სიმართლის სიყვარული ისე ღვიოდა ამ ბიჭის გულში, რომ, არა მარტო პირად, სხვის დაჩაგვრასაც ვერ იტანდა და ხშირად ამის გამო უსიამოვნებას გადაეყრებოდა ხოლმე.

ლაზარე დაღლარას თავზე დაადგა და მარჯვენა ფეხში მსუბუქად უთავაზა.

— ადე! ცხვირი უნდა გაგინაყო! — აუღელვებლად თქვა ლაზარემ.

— შენ უნდა გამინაყო ცხვირი? შე ჭირიანო! — დაღლარა წამოჯდა.

ლაზარემ მეორე წიხლი უფრო მაგრად უთავაზა. დაღლარა წამოხტა, ლაზარემ არ დააცალა და შიგ სახეში გაარტყა გაბედულად მოქნეული სილა. დაღლარამ რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოუქნია მუშტი, ლაზარე გვერდზე გადაიხარა, დარტყმა

აიცდინა, დაღლარა დაბარბაცდა და კინაღამ წაიქცა. ლაზარემ ახლა მარცხენა მუშტი დაატაკა სახეში; კარგა ხანი იჩხუბეს, დაღლარას უპირატესობა თანდათან გამოიკვეთა, აშკარად დაჯაბნა ლაზარე. ბიჭებმა გააშველეს მოჩხუბრები, დაღლარა მარტო იდგა, ლაზარე გაცოფებით იწევდა, ორი ბიჭი ძლივს იჭერდა.

მოგებული ორთაბრძოლის მიუხედავად, დაღლარას შიშის ჭია შეპაროდა, ნეტა ლაზარე არ გაუშვან ბიჭებმაო, ნატრობდა; ცხვირდასისხლიანებულ ლაზარეს კი ორი ბიჭი წყაროსკენ მიათრევდა...

— საფუძვლიანად შეირყა მონობის იმპერია, შეზანზარდა რომის ბურჯები, დიდი დრო აღარ დარჩა, დამხობილს ვიხილავთ ქვეყნების დამამხობელს, ხალხების დამმონებელს, მუდმივი არაფერია, მით უმეტეს, უსამართლობის მუდმივობა ვინ გაიგონა?! ზეიმი გვექნება, მალე ვიზეიმებთ რომის დამხობას. შეიჭრებიან, დაანგრევენ, დააქცევენ, ნამუსს აჰხდიან, დაიმონებენ, დააჩოქებენ. აჰაუუ! ისმის უამრავი ცხენების ფეხთა თქარათქური, დიდი ისტორიული მოვლენის მომსწრე გავხდებით!..

დიდხანს ქადაგებდა საწყალი „მეცნიერა“. მისი გადაღლილი აზროვნება იმ მდგომარეობაში იყო, სოფლელები რომ ამბობდნენ „აადუღაო“. ქანცგამოლეული, პირზე დუჟმორეული დაენარცხა მიწას და გორაობა დაიწყო.

გუნებაწამხდარი ბიჭები წასასვლელად აიშალნენ. ყბაჩო ყეყეჩივით იდგა და ხელში უხერხულად ათამაშებდა დოქს. მასთან ერთი ბიჭი მივიდა, დოროთეს რომ ეძახოდნენ, ჩუმი, წყნარი, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამდა, ხარის ჯანი ჰქონდა, მაგრამ არც ერთხელ არ უფიქრია ეს უპირატესობა სხვის დასაჩაგრად გამოეყენებინა, გამოართვა ყბაჩოს დოქი და ბევრის მომსწრე კაკლის ძირს შეამსხვრია.

* * *

კვირა დღე იყო. დუქნებთან, მოედანზე, სადაც სამჭედლო, სახელოსნო და საპარიკმახერო იყო მოთავსებული, ბევრი ხალხი შეგროვილიყო. გლეხები სხვადასხვა ამბავზე საუბრით ირთობდნენ თავს.

ცალკე, დიდ თეთრ ქვასთან ბიჭები შეკრებილიყვნენ და კოჭაობა გაემართათ; სხვები ქვაზე ჩამომსხდარიყვნენ და გაუთავებლად კამათობდნენ.

ლუკა „მეცნიერაც“ იქ იყო, თავისი ჩვეულებისამებრ წყნარად იჯდა და კაცი ვერ გაიგებდა, ბიჭებს უგდებდა ყურს, თუ თავის აბნეული ოცნების ლაბირინთში დაბორიალობდა.

დაღლარა თეთრ ქვაზე იჯდა ყოჩივით, კარგ გუნებაზე იყო და გაუთავებლად ოხუნჯობდა.

— ყბაჩო სადა გყავს, დაღლარ? — შეეკითხა ერთი მოსაუბრე.

— ის დღეს აქ ვერ მოვა, გუშინ ჩემი დავალება არ შეასრულა და, როგორც მოვა, გატყეპა არ ასცდება...

ბიჭებმა ყურები ცქვიტეს, კარგა ხანია ყბაჩოს აქეზებდნენ, დაღლარას შებედე, შენ უფრო ღონიერი ხარო, მაგრამ ვერ გააბედინეს ერთხელ შეპარებული შიშის დაძლევა, თუმცა, აშკარად ეტყობოდა ყბაჩოს, ერთი პატარა ბიძგიღა იყო საჭირო და ჩხუბი გარდაუვალი იქნებოდა, ჩხუბი კი არა, დაჩაგრულის ამბოხი.

ყბაჩო შინ იყო და, დაღლარას მუქარის შიშით, გარეთ ვერ გამოდიოდა.

ბიჭებმა ორი წარმომადგენელი გაუგზავნეს, არწმუნებდნენ: — გამოდი, ნუ გეშინია, თუ გაგარტყა, შენც გაარტყი, რა გინდა, თუ დაგჯაბნა, მოგეშველებითო, — ბოლოს, როგორც იყო, დაიყოლიეს შეფიქრიანებული ყბაჩო და, ისიც ორივე ბიჭის თანხლებით, თავშეყრის ადგილზე გამოცხადდა.

ყბაჩო მოკამათე ბიჭების ჯგუფთან გაჩერდა. უცებ ყველა დადუმდა, ჰაერი თითქოს დაიმუხტა და დაქუხების მოლოდინში ყველა სმენად გადაიქცა.

დაღლარა ქვაზე ჩუმად იჯდა, არავითარ აგრესიულობას არ ამჟღავნებდა. საჭირო იყო პატარა ბიძგი, თორემ ამდენი ჯაფით მომზადებული ყბაჩოს ამბოხი ჩაქრებოდა, შეიძლება, ისევ ძველებურ დინებას გაჰყოლოდა.

— დაღლარ, რომ ტრაბახობდი ყბაჩო ვერ გამოვაო, ვერ იცანი? აგე, სადა დგას, — შეახსენა დოროთემ, თითქოს დაღლარას

ვერ დაენახოს.

ეს ნაპერწკალი საკმარისი გამოდგა, რომ აემუშავებინა შეგუბებული ვნებათღელვა.

— აქა დგას და ეხლავე ვუჩვენებ სეირს! — დაღლარა წამოხტა და ყბაჩოს წინ აისვეტა.

— ეს გუშინდელი ურჩობისათვის! — დაღლარამ ყბაჩოს ყურის ძირში გაბედულად გააწნა სილა. ხურდის დაბრუნებას გადაჩვეული უკან აპირებდა გამობრუნებას, რომ ყბაჩოს მუშტი მოხვდა სახეში, დაბარბაცდა და ბიჭების ფეხებთან მთელი სიგრძით გაიშხლართა.

ცამოწმენდილზე მეხის გავარდნგას ჰგავდა ეს ამბავი, ყველამ ერთხმად აღფრთოვანებით წამოიძახა:

— ყოჩაღ, ყბაჩო!

დაღლარა წამოხტა და ყბაჩოს დაეტაკა, მაგრამ ეს ის ყბაჩო აღარ იყო, ამდენი ხნის შეგუბებულ შეურაცხყოფას გზა მიეცა და ცდილობდა სუყველაფრისთვის ერთად ეზღვევინებინა.

ჩხუბი დიდხანს გაგრძელდა, არავინ ცდილობდა მათ გაშველებას. ყბაჩო აშკარად ერეოდა დაღლარას. ბოლოს ჩხუბი კი არა, დაღლარას საჯარო გასილაქებას დაემგვანა ეს ორთაბრძოლა.

დაღლარა ფეხზე ძლივს დგებოდა, როგორც გაიმართებოდა, ყბაჩოს სილა მოხვდებოდა სახეში და ისევ ჩაიმუხლებოდა. ბიჭებს დიდხანს არ უნდოდათ მათი გაზავება, მაგრამ უფროსებმა მოუსწრეს და ჩხუბის წამქეზებლებს ყურები აუქაჩეს.

— მოვესწარ! დიდ ისტორიულ მოვლენას მოვესწარ! მოხდა ის, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო, მუდმივი ამ ქვეყნად არაფერია, — არც ბატონობა და არც მონობა. დაინგრა, დაიქცა რომის იმპერია, თავისივე მონების ფეხის მტვერი გახდა, ახლა ყველა დამრბევისა და მოთარეშის ძარცვის ასპარეზად იქცევა. მორჩა, გათავდა, მისი ბატონობა დაემხო, დაემართა ის, რაც ყველა მოძალადეს ემართება. აჰააუუ! მოდიან, ცხენებით, შუბებით, წვერმოუპარსავი ვანდალები, აუუუ! ისინი უარეს ბოროტებას ჩაიდენენ, ისინი დაიმონებენ სხვებს, აუუუუ! — ლუკა-„მეცნიერას“ დუჟი მოადგა პირზე, ხელებს იქნევდა და გაუგებარ სიტყვებს ისროდა.

— აუდუღდა საწყალს ტვინი, — ამბობდნენრ გლეხები, მერე ხელი მოჰკიდეს, ბიჭების ჯგუფს მოაცილეს, გვერდით ხის სკამზე ჩამოსვეს და ჩვეული საუბარი გააგრძელეს.

ლუკა წყნარად იჯდა და თავის ადუღებულ გონებაში იხარშებოდა.

* * *

მიიწურა შემოდგომა, აცივდა, ყველამ დააბინავა თავისი ჭირნახული. ზამთრის შესახვედრად მომზადებულ სოფელში, დაძაბული შრომის შემდეგ, ცხოვრება მდორედ მიედინებოდა.

ნაყოფშემოძარცულ ხის ტოტებში ახლა ქარი დაწანწალებდა და იტაცებდა სიცივისაგან ყუნწდაბუჟებულ ფოთლებს. ჯერ მაღლა შეათამაშებდა, დაატრიალებდა, თავბრუს დაახვევდა, ხის ტოტს მიაწყდებოდა, დაიზუზუნებდა, დაემუქრებოდა და, თვითონაც გზააბნეული, უმისამართოდ გააქროლებდა დედის ძუძუდან მოგლეჯილ ფოთლებს.

ცივი ქარი ყველა სულიერს მყუდრო თავშესაფრისაკენ ერეკებოდა. მოდიოდა ზამთარი, მაგრამ სანამ პირადად მოვიდოდა, ბუნების დასარბევად ცივი ქარი გამოეგზავნა, რათა თბილი ზაფხულის ნარჩენები აღეგავა პირისაგან მიწისა.

ქარიც გულმოდგინე მოურავივით დაწანწალებდა და ღალას მთელი სიმკაცრით კრეფდა.

ავი ამინდის მიუხედავად, სოფლელები ჩვევას არ ღალატობდნენ, თბილად ჩაცმულები კლუბის ეზოში შეგროვილიყვნენ და კინოს მოლოდინში ათასგვარი ამბის მოყოლით თუ მოსმენით ერთობოდნენ.

ბიჭებიც რამდენიმე საათით ადრე ნელნელა შეგროვდნენ კლუბის ფართო მოსაცდელ ოთახში. მალე ლუკა „მეცნიერაც“ მობანცალდა, უპატრონობას, ძაღლუმადურად გდებას და მომძლავრებულ სიცივეს თავისი კვალი დაეტყო; ათას ჭირგამოვლილ პალტოში გახვეულიყო წელში მოხრილი, ფერდაკარგული, ფეხების დუნე თრევით მოვიდა ბიჭებთან და ქარს მოფარებით კედელს მიეყუდა.

— „მეცნიერავ“, ცუდად ხომ არა ხარ? — შეეკითხა ლაზარე.

— არა, დიდი უსამართლობა ვნახე, ერთ გულად მამალს, ათამდე დონდლო, უტვინო და ლაჩარი ინდაური სცემდა. არ ეყო საწყალს ძალა ამდენი უხეში უმეცრების წინააღმდეგ საბრძოლველად. — ლუკას თვალებში სისხლი მოაწვა, ჩვეულებრივი ხელების კანკალი აუვარდა, ხმას აუწია, — აიკლეს საქართველო უსინდისოდ, ლაჩრულად, გაძარცვეს ეს მკვირცხლი, ყოჩაღი, მოქნილი, შეუპოვარი მეომარი. რა ექნა? არ ეყო ძალა, ათას დონდლო უგუნურობას ვერ გააწვდინა თავისი მახვილი. დაჩაგრეს, დაგლიჯეს, გაწეწეს! იქ ვიდექი მე უბედური, ვერ მივეშველე, უფლება არ მქონდა, რომ მივშველებოდი, იმიტომ, რომ მაშინ ჯერ არ ვიყავი დაბადებული; თორემ იმ ინდაურებს!.. — სიტყვა გაუწყდა ლუკას, ხელები აიფარა თვალებზე და ჭირისუფალივით აქვითინდა.

ბიჭები გარს შემოეხვივნენ, დაამშვიდეს, ოთახში შეიყვანგეს, სკამზე დასვეს, თვითონაც მის ირგვლივ გაჩერდნენ და, როგორც ერთი, თავიანთ მძიმე ფიქრებში ჩაიძირნენ.

ლუკას ამბავი ყველამ კარგად იცოდა, მაგრამ ვინ გაბედავდა მისთვის მცირედი შეურაცხყოფა მიეყენებინა, პირიქით, სკოლის მასწავლებელს არ სცემდნენ ისეთ პატივს, როგორც მას. ლუკას ყველა გაბრაზება, აღელვება, თუ ქადაგად დაცემა, რაიმე უსამართლობასთან იყო დაკავშირებული, ბიჭებს თავისი გადაღლილი გონებით ბევრი რამ კარგი ასწავლა, ყველა სიკეთისა და სიმართლისაკენ მოაბრუნა და სამართლიანობის აქტიური დაცვა შთააგონა.

ახლა იდგნენ ბიჭები და თავიანთ ტვინგადამწვარ კერპს უხმოდ ეფერებოდნენ.

კლუბის დიდ ოთახში თვითდაჯერებული, გაამპარტავნებული და გაჯგიმული ყბაჩო შემოვიდა. ბიჭებმა ცერად გახედეს და უკმაყოფილო მზერა ერთმანეთს ესროლეს.

— უპალტოოდ რად დადიხარ, ყბაჩო, სიცივისა არ გეშინია? — შეაპარა კითხვა დოროთემ.

— მე არც სიცივისა მეშინია და არც არავისი — ეხლა ყმა მომივა და პალტოს მოვატანინებ, — დაიტრაბახა ყბაჩომ.

ლუკა გამოფხიზლდა, ყბაჩოს ლურსმანივით ჩაასო თავისი

გამჭოლი მზერა, მაგრამ ის ყბაჩოს კი არ უყურებდა, სულ სხვაგან წასულს სისხლიანი ამბების ქარტეხილში დაბორიალობდა, ოხრავდა და ხელებს იქნევდა.

ოთახში მობუზული დაღლარა შემოვიდა. სადღა იყო ძველებურად ამაყი, მბრძანებელი, გათავხედებული და სხვის გამქილიკებელი დაღლარა. პირველი ჩხუბის შემდეგ, ყბაჩომ სამჯერ თუ ოთხჯერ კიდევ გატყიპა და ახლა მთლიანად დამორჩილებული იმაზე მძიმე უღელს ათრევდა, ვიდრე ერთ დროს, ყბაჩოს ათრევინებდა.

— გაიქეცი ჩვენსა და პალტო წამომიღე! — უბრძანა ყბაჩომ. დაღლარამ ძლივს აითრია წელი, ბიჭებს დარცხვენით გადახედა, მაგრამ ყბაჩოს შემართულ მუშტს რომ შეხედა, კარებისაკენ წალასლასდა; ყბაჩომ კი, ალბათ თავისი გავლენის გასამტკიცებლად, მსუბუქი ჭიტლაყით მაინც დაავჯილდოვა. ბოღმისაგან გაგუდულმა დაღლარამ კარები მიიხურა. ლუკა ძველებურად მიშტერებოდა ყბაჩოს და რაღაცას ლოცვისმაგვარს დუდუნებდა.

— ხომ არა სჯობდა, ბიჭებო, ეს უდღეური ისევ დაღლარას ყმად გდებულიყო? — შეეკითხა დოროთე ბიჭებს.

— ამის ტვინში ავი სული ჩასახლდა, ალბათ, აბა ხელი მოიტა, — კუკურიმ, რომელიც ჯანითა და სიკეთით დოროთეს არ ჩამოუვარდებოდა, ყბაჩოს მარცხენა საფეთქელზე მიაჭირა ხელი, მარჯვენა საფეთქელზე დოროთემ მიადო თავისი დათვის ტორი, ბიჭები წინიდან და უკანიდან ამაგრებდნენ ყბაჩოს, რომ არ დასხლეტოდათ და ორი მძლავრი ხელი ყბაჩოს თავს გირაგივით აწვებოდა. თვალები გადმოკარკლა და ყვირილი დაიწყო, ხელები ააფართხუნა, ძალა იგრძნო გაბრაზებული თანასოფლელისა, ისიც იგრძნო, რომ ძალით ვერ გაეშვებოდათ და ახლა ხვეწნა დაიწყო.

— გაუშვით, ქარი ამოიღოს. დანარჩენი ავი სულები ცოტა ხნის შემიდეგ გამოუბერტყოთ, — დოროთემ ხელი შეუშვა. ყველა თავის ადგილზე დაბრუნდა.

გაოგნებული ყბაჩო შუა ოთახში იდგა, თვალებში ისევ აწვებოდა სისხლი, საფეთქლებს ბაგა-ბუგი გაუდიოდა.

— ეს მათხოვარი, გუშინ გადაიგდო მონობის უღელი, ჩვენ

რომ არა, დღესაც დაღლარას ყმა იქნებოდა, ახლა თვითონ არ მოინდომა სხვისი დამონება?! როცა ყოველგვარი უსამართლობის მტერი უნდა ყოფილიყო! — მუქარანარევი უკმაყოფილობა გადმოანთხია დოროთემ.

— ამ ჭირიანის გულისათვის, მეც გამინაყეს ცხვირი, — სინანულით გაიხსენა წარსული ამბავი ლაზარემ.

— სხვას თუ ვერა, შენ მაინც მოგინაყავ მაგ ცხვირს განმეორებით! — გაიწია გონზე მოსულმა ყბაჩომ ლაზარეზე.

— ვის გაუნაყავ, შე ღორის ტილო! — კრაზანასავით ეცა ლაზარე ყბაჩოს.

ბიჭებმა ლაზარე სასწრაფოდ განზე გაიყვანეს.

— მოიცა ბიჭო, ჯერ პალტო მოუტანონ, დრო საკმაო გვაქვს, — დაამშვიდა იგი კუკურიმ.

დაღლარამ პალტო მოუტანა და ნირწამხდარ ყბაჩოს მიაწოდა.

— მაგრე არა, შენი ხელით ჩააცვი! — უბრძანა დოროთემ.

დაღლარამ პალტო გაუშალა და ყბაჩომ ორივე ხელი გაუყარა სახელოებში.

— კარგად მოგერგო? — ირონიულად შეეკითხა კუკური.

ამასობაში ერთი ბიჭი მიეპარა ყბაჩოს უკანიდან და ჩაცუცქდა.

კუკურიმ პალტოს საყელოზე ხელი წაავლო, ისე თითქოს უსწორებსო, მერე მოწყვეტით ჰკრა ხელი, უკან გადაქანებულმა ყბაჩომ ფეხი წამოჰკრა ჩაკუნტულ ბიჭს, ზურგისაკენ გადაკოტრიალდა და იატაკზე მოადინა ზღართანი. წამოხტა და კუკურისაკენ გაქანდა. ახლა სხვამ დაუდო ფეხი და კუკურის წინ გაიშხლართა. წამოხტა, ფეხის დამდებს გაუქანდა, მაგრამ სხვამ ჰკრა ხელი, მეორემ ჭიტლაყი მიაყოლა, მესამემ ისევ ფეხი დაუდო და ყბაჩო ისევ ბურთივით გაგორდა იატაკზე. ისევ წამოხტა, მაგრამ წრეში შეგდებული უკვე ვეღარ იგებდა ვინ ხელს კრავდა, ვინ წიხლს, ვინ ფეხს უდებდა; ხან იატაკზე გორაობდა, ხან წრეში დაბარბაცებდა, ჭიტლაყებსა და მუჯლუგუნებს იხვეჭდა. ბოლოს მთლად მტვერში ამოგანგლული, არაქათგაცლილ-გასავათებული ძლივსღა იდგა წრეში, სასოწარკვეთილმა ხელები თვალებზე აიფარა.

— აბა, ახლა ბერაში გავატაროთ, ბიჭებო, და ავი სულები

სულ გამოვუბერტყოთ ტვინიდან! – დაიძახა კუკურიმ.

ბიჭები ორ რიგად მოეწყვნენ, ოთახის შუაგულიდან კარებამდე, ყბაჩო შუაში გაატარეს, ყველამ თავში და ზურგში წაუთაქა და თითო წიხლი მიაყოლა უკანიდან. ბოლო წყვილმა ძალუმი ჭიტლაყით და ხელის კვრით გაისროლა კლუბის ეზოში და ისიც მთელი სიგრძით გაიშოტა კინოს სანახავად მოსული ხალხის წინ.

უკან რომ მობრუნდნენ, ოთახის კუთხეში, მუხლებზე დამხობილი ლუკა დაინახეს, სახე და ხელები აღეპყრო მაღლა და აღფრთოვანებული გარკვევით და სხაპასხუპით ამბობდა:

– დაემხო! მონობა დაემხო! რა არის იმაზე დიდი ბედნიერება, იყო სამართლიანობის არმიის მებრძოლი?! მოვესწარ! ამ ბედნიერ დღეს მოვესწარ, მორჩა! დაემხო! დაიმსხვრა ჩაგვრა და უსამართლობა, თავისუფლების არმიის აღლუმია, დიდება თქვენ, სამართლიანობისათვის თავდადებულო მეომრებო! – ლუკა ადგა, ახლა ხელებს იქნევდა ისე, როგორც ტრიბუნაზე მდგომი სარდალი.

ბიჭებმა დააწყნარეს, ხელი მოჰკიდეს და ფრთხილად დასვეს სკამზე თავის უძირო ოცნებებს გაკიდებული ლუკა.

ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილი დაღლარა მადლობის ცრემლებს იწმენდდა, გრძნობამორეულს, მუშტისოდენა ბურთი გასჩროდა ყელში.

1966 წელი.

პირველი ნისია

მოქნეული წერაქვი მიწაში ჩაჭედილ, მოზრდილ ქვას მოხვდა, წივილით ასხლტა და კედელში მაგრად ჩაერჭო. ნაპერწკლები მარაოსავით გაიშალნენ, გარშემო მიმოიფანტნენ...

— ცოფსა ჰყრის მიწა, არც მას გაუხარდა არტემას სიკვდილი! — თქვა მესაფლავემ და წერაქვი ძირს დააგდო.

— ეეჰ, ეფრემ, კარგი კაცი ნუ მოკვდება, თორემ, მიწაში მიბარებაზე დიდი პატივი რა არის განსვენებულისათვის?!

— ამოდი, ახლა მე მოვჩიჩქნი ცოტას, — ხელი გაუწოდა ნახევრად გათხრილი საფლავის თავზე მდგარმა კაცმა ეფრემას და მაღლა ამოიყვანა.

— ცოტა ხანს ჩამოვსხდეთ, ზაქრო, ჯერ ათი საათიც არ არის და ნახევარი საფლავი უკვე ამოთხრილი გვაქვს, თორმეტამდე დამთავრებული გვექნება, — უთხრა ეფრემამ მეგობარს და მიწაყრილზე ჩამოჯდა.

ნელმა სიომ დაჰბერა, ტყიდან ასკილისა და ველური ბალახების სურნელი მოიტანა, ახლად ამოთხრილ მიწისა და დაღვრილი ოფლის სუნს შეუერთდა. პირგაღებულ საფლავში ჩაიხედა, სიცოცხლის სურნელება შიგ ჩაბერტყა და ისევ ხეთა ტოტებში გაიხლართა.

იქვე, ახლოს, აშოლტილი ნაძვების კენწეროები ნელა ირხეოდნენ, თითქოს ტოტებში გზააბნეულ ნიავს თავის მწუხარებაზე ედუდუნებოდნენ.

მზემ ზევით აიწია და სხივები ჩაგზავნა ყბაღია საფლავში. მათაც კედლებზე გაითამაშეს, მერე მხრებგაშლილ ცაცხვის ტოტებზე შეისვენეს, თითქოს ამბავი იკითხეს — „ვინ მოკვდაო“.

— კაცი მოკვდა, კაცური კაცი, — მოწყენილი გალობით შეეხმიანა ეულად მჯდარი სკვინჩა. სხივები ცოტა ხანს კიდევ დარჩნენ ცაცხვის ფოთლებზე, მერე უზარმაზარ, თეთრ ღრუბლებზე ამხედრდნენ და მზესთან ამბის მისატანად გაუჩინარდნენ.

მესაფლავეებს საუზმე მოუტანეს...

— ბოთლით ღვინო და ორი ჭიქა ამოიღე, შვილო, სხვა არაფერი გვინდა, — თქვა მოღუშულმა ზაქრომ და საჭმელის მომტან ბიჭს ღვინით სავსე ბოთლი გამოართვა, ორივე ჭიქა შეავსო.

— შენ არ დალევ? — ჰკითხა ბიჭს.

— არა, მე არ მინდა, თონესთან დავლიე შესანდობარი, — თქვა ბიჭმა და წასასვლელად მოემზადა.

— მაიცა, შვილო, თითო ჭიქას დავლევთ ჩვენც და ეგ კალათი უკანვე წაიღე, — უთხრა ეფრემამ და ჭიქა ასწია.

— მსუბუქი იყოს ჩვენს მიერ გათხრილი სამარის მიწა შენთვის, ჩემო არტემ. სიკეთისთვის იყავ გაჩენილი და, ალბათ, სამოთხის გამგებელი გელოდება. დალოცვილი იყოს იმქვეყნიური შენი სამყოფელი! აქ კი, შენი ნათელი, უპრეტენზიო, უხმაურო და სიკეთით აღსავსე ცხოვრების მაგალითი კიდევ ბევრ ბორო-

ტებას დაუვსებს თვალებს,– ეფრემამ ღვინო ცოტათი მოსვა და დანარჩენი მიწაზე დააქცია.

– მთელი ჩემი ცხოვრება საფლავებსა ვთხრი და, ვინ ჩამოთვლის, რამდენჯერ მტკენია გული, კეთილი კაცის საფლავის გათხრისას, – დინჯად დაიწყო ზაქრომ, – მთელი შენი ცხოვრება, ჩემო არტემ, უბრალო კაცის ცხოვრება იყო; შენმა ყოველდღიურმა მარცვალ-მარცვალ ნათესმა კაცურმა კაცობამ ბუმბერაზად გაქცია. ეხ, ჩემო არტემ, რამდენი კაცი დამიმარხავს, რომელთაც ათასჯერ მეტი მიულიათ ამ წუთისოფლიდან, რაც მათ სჭირდებოდათ. გაუძარცვავთ ეს ქვეყანა და ისე მისდგომიან იმ ქვეყანას, რომ ამქვეყნად ღალატისა და სირცხვილის გახსენების მეტი არაფერი დაუტოვებიათ. აყრი ამგვარ კაცს მიწას და ფიქრობ, რომ კიდევ ერთი ავკაცობის თესლი გალაყდა. შენ კი ყველა სიკეთესთან ერთად იბადებოდი, რომელსაც დაუღალავად და მიუკერძოებლად თესავდი. აბა, რას დაგაკლებს ერთი ცოდვილი სიკვდილი, როცა შენ ათასჯერ და მეტჯერ ხარ დაბადებული! რბილი და მსუბუქი იყოს მშობლიური მიწა შენთვის! – ზაქრომ ჭიქას მიწაზე წაუქცია თავი, ბოთლში დარჩენილი ღვინოც იქვე მიმოღვარა და ბიჭს გაუწოდა.

მერე დინჯად შეებნენ ქვითკირივით მაგარ მიწას და, სანამ სულ არ დაამთავრეს თხრა, აღარ დაუსვენიათ...

პატარა ქალაქი თავის საყვარელ ადამიანს ასაფლავებდა. დიდი და პატარა მისდევდა კუბოს; პროცესიის ბოლოში კი სასულე ორკესტრი სამგლოვიარო მუსიკას აგუგუნებდა.

კუბო ციმციმ მიჰქონდათ, ხალხი ერთმანეთს ეცილებოდა მის აწევაში. ყველას უნდოდა თავისი წვლილი შეეტანა პატიოსანი ადამიანის დაკრძალვაში.

მიჰქონდათ ნამუსიანი კაცის კუბო და მიჰყვებოდა უამრავი, ჭრელაჭრულა ხალხი. სასულე ორკესტრის დოლის მონოტონური ბრახუნი ახსენებდათ, რომ ისინიც სიკვდილის შვილები იყვნენ და, ერთ დღეს, მათაც მოუხდებოდათ ცოცხლად დარჩენილების ამგვარი შეწუხება.

კუბოს ისეთებიც მიჰყვებოდნენ, ვისაც რაც ერგებოდა ამქვეყნიდან, ასჯერ და მეტჯერ მოეკონტნათ, მოეოხრებინათ და ამას

კვლავაც აგრძელებდნენ.

მიდიოდნენ ძვირფასად ჩაცმული, გაბღენძილი ბატონკაცები და მათი მდგომარეობის მიუხედავად, პატიოსანი კაცის თვალში, ისინი უკვე, რამდენჯერმე მკვდრები იყვნენ. ერთიღა რჩებოდა — მიწის ქვეშ ამოფარება! მიდიოდნენ და უყურებდნენ უამრავი ხალხის ხელში ბუმბულივით ატაცებულ კუბოს. ბოლოს მიქელ-გაბრიელს ჩაბარდებოდნენ მრავალჯერ მკვდრები, კიდევ ერთი გალაყებული თესლის დასამიწებლად.

ნელა ჩაუშვეს კუბო სამარეში...

ნიჩაბი არ უხმარიათ, ხალხმა მუჭით ამოავსო საყვარელი ადამიანის სამუდამო სამყოფელი.

ყველა წავიდ-წამოვიდა. მარტო ეფრემა და ზაქრო დარჩნენ საფლავთან; გულმოდგინედ მოასწორეს მიწა, თითო ჭიქა ღვინო კიდევ წაუქციეს და რამდენიმე წუთს გაირინდნენ.

უბრალო ჯვარზე გაკეთებული წარწერა ამცნობდა, რომ აქ განისვენებდა ადამიანი, რომელიც დაიბადა და შემდეგ გარდაიცვალა. ის კი არ ეწერა, რომ ერთხელ კი არა, თავისი სიცოცხლის მანძილზე მის მიერ ჩადენილ კეთილ საქმეებთან ერთად იბადებოდა და იბადებოდა; სიკვდილმა მხოლოდ პირველ დაბადებას გაუსწორა ანგარიში...

იდგნენ ეფრემა და ზაქრო არტემის საფლავთან და სადა ჯვრის ფონზე გაჰყურებდნენ სასაფლაოს. საფლავებს ჭირისუფლების ჯიბის სისქე უფრო ეტყობოდა, ვიდრე ხალხის წინაშე მათი დამსახურება.

— რა ვქნათ ახლა? — დაარღვია დუმილი ზაქრომ.

— ქელეხში არ წავალთ! რესტორანში გავიაროთ და თითო ბოთლი დავლიოთ. დალოცვილი არტემა ცოცხლად ვადღეგრძელოთ! — დასძინა ეფრემამ.

— აი, ღმერთმა აგაშენა! მეც ზუსტად ეგრე ვფიქრობდი. — უთხრა ზაქრომ.

გზაზე ჯიბეები მოიჩხრიკეს, ოცდაერთი მანეთი აღმოაჩნდათ. — გვეყოფა, — ჩაილაპარაკეს და მეორე სართულის კიბეს აუყვნენ.

რესტორნის გრძელი აივანი ალაზნის ველს გადაჰყურებდა. შორს კავკასიონის მთების მწვერვალებს აქა-იქ თოვლი კი-

დევ შემორჩენოდა. ალაზნის ველი მრავალფეროვნად იწონებდა თავს. ჭალების მწვანე კედელს, ალაზნის მღვრიე ფერის, დაკლაკნილი ზოლი მიუყვებოდა...

— ეტყობა მთაში გაწვიმდა, ალაზანი ადიდებული ჩანს, — თავისთვის ჩაილაპარაკა ზაქრომ.

— ღმერთო! ერთი ჭიქა ღვინო, ლუკმა პურისა და აქედან გახედვის მადლი ნუ მოგვიშალოს, — ლოცვასავით ჩაიდუდუნა ეფრემამ.

აივანზე სულ ორი მაგიდა იყო დაკავებული. ეფრემა და ზაქრო შუა ადგილს მდგარ მაგიდას მიუსხდნენ. მალე ოფიციანტი შურიკაც დაადგათ თავზე.

— რას მიბრძანებთ, კეთილო ხალხო? — სიყვარულით იკითხა შურიკამ.

— ბრძანება რა ჩვენი ხელობაა, შურიკ, ამ ბოლო დროს ცოტა მეხსიერება გღალატობს, ჩვენი მულამი კარგად მოგეხსენება. აჰა, ეს ოცდაერთი მანეთი, სანამ გვეყოფა, ჩვენთვის ვიჭუკჭუკებთ, როცა გათავდება, გვითხარი, ადექით და წადით-თქო და ჩვენც მადლობას გეტყვით, — ეფრემამ შურიკას ფული მუჭაში ჩაუდო...

— ცოცხლად გაუმარჯოს არტემას! კურთხეულ იყოს იმისი სახელი! — ერთად თქვეს და ერთადაც დალიეს.

მეორე ჭიქა მაშინვე შეავსეს, პურიც გატეხეს, მწვანილიც დააყოლეს.

— როგორც წესი, ჩემო ეფრემ, დღეს თამადა არ გვეყოლება.

— მაგას, რაღა თქმა უნდა, ვისაც როგორი სადღეგრძელო მოედება ჯიგარზე, ის დალიოს, — თქვა ეფრემამ და ჭიქა აიღო.

— მოდი, ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი: ამ ჭიქით, არტემას თამადობით, იმ კაცს გაუმარჯოს, ვინც თავის ცხოვრებაში სიკეთეს ურიგებს ადამიანებს და იმის სანაცვლოდ გასამრჯელოს არა თხოულობს; ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ სხვამაც სხვას სიკეთე გაუკეთოს!

— ამინ! აგაშენა ღმერთმა! —ჭიქა მიუჭახუნა ზაქრომ ეფრემას და ორივემ ბოლომდე გამოცალეს.

ტკბილად საუბრობდა ორი მეგობარი. ღვინით იყუჩებდნენ ცხოვრებისაგან მიყენებულ ტკივილებს.

— აი, ეს ორი ბოთლი კიდევ და თქვენმა ფულმაც თავი დაგიკრათ, — ბოთლები მაგიდაზე დააწყო და ორი გამოცლილი ბოთლი აიღო შურიკამ.

— მეტის დალევა აღარც გვინდოდა, მაგრამ რახან მოგვიტანე, რა გაეწყობა, კარგი სადღეგრძელოებიც ბლომად დაგვრჩა, — თავისთვის ჩაილაპარაკა ზაქრომ...

უკვე ადგომას აპირებდნენ, რომ ეფრემა აივნის კუთხესთან მჯდარ ორ კაცს დაკვირვებით დააცქერდა.

— რა მოგივიდა, კაცო?! ადე, წავიდეთ, ახლა ცოტა ბაღში წავისაუბროთ და მერე სახლებშიც პირნათლად მივალთ.

— მაიცა, ზაქრო, მაიცა! — ხელით გააჩერა ეფრემამ, მერე შურიკას დაუძახა და ისიც მალე მივიდა.

— შურიკ, აგერ კუთხეში მაგიდასთან ორი კაცი რომ ზის, იმათ ორი ბოთლი ღვინო და ერთი მოხარშული ქათამი მიართვი, ოღონდ, ჩვენ რომ წავალთ, მაშინ, თანაც უთხარი: ეს იმ კაცებთან გამომატანეს, ვინც სიკეთეს თესავს და გასამრჯელოს არა თხოულობს-თქო.

შურიკა ადგილიდან არ დაძრულა.

— გასაგებია, შურიკ, მებუფეტე სარდიონს უთხარი, ეფრემამ ნისიად გთხოვა-თქო, ორ დღეში მივუტან!

შურიკა სწრაფად წავიდა. ეფრემა და ზაქრო ნელა ადგნენ და დიდ დარბაზში გავიდნენ.

მალე მიცემული შეკვეთით დატვირთული სინით გაიარა შურიკამ და იმ ორ კაცს, დანაბარებთან ერთად მიართვა.

ეფრემა და ზაქრო საუბრით მიდიოდნენ. შურიკა წამოეწია და დასცილდათ. ეფრემამ დაადევნა:

— მადლობა უთხარ სარდიონს!

შურიკა უცებ შეჩერდა და მოტრიალდა:

— სარდიონი მადლობის ღირსი არ არის, ეფრემა ძია, არ უნდა მეთქვა, მაგრამ რახან ეგრეა, იცოდეთ, იმ ნისიაზე უარი თქვა, ნაღდი გამოუშვანო; ძალიანა გთხოვთ, ის მირთმეული ღვინო და ქათამი ჩემ ანგარიშზე იყოს, — თქვა შურიკამ.

— არა უშავს რა, შვილო, მაგას კიდევ თავისი ამფსონები ჰყავს, — ჩაილაპარაკეს ორივემ და დინჯად განაგრძეს გზა.

მათ დანახვაზე სარდიონმა დანა დადო, ბოლოკს რომ სთლიდა, ხელები ჭუჭყისაგან გაშავებულ, ოდესღაც თეთრი ხალათით დაფარულ ღიპზე წაისვა და ორივეს მიაძახა:

— ხვალე ვისა მარხავთ, ხოჭოებო? ავანსად ერთი საფლავი მეც გამითხარეთ, რა ვიცი, როდის დაიხოცოთ და საფლავის გამთხრელი კაცი აღარ იყოს, მე რაღა მეშველება?! — უგემურად ხითხითებდა სარდიონი.

— როცა უნდა მოკვდე, სარდიონა მამაძაღლო, კაცის ხელით გათხრილ საფლავში ჩაწოლის ღირსი მაინც არ იქნები, ექსკავატორით გათხრილი და ბულდოზერით მიყრილი მიწის ღირსია შენი ბინძური მძორი! — გაიწია ზაქრომ სარდიონისაკენ, ეფრპემამ დაიჭირა.

— წამო, კაცო, მაგის სუნზე გული ხომ არ გინდა ამარევინო?! — ძიძგილით წავიდნენ და გაოგნებული სარდიონი თავის ჭუჭყიან დახლთან დატოვეს...

სკამზე ჩამოსხდნენ. ორივე სარდიონთან კინკლაობის შთაბეჭდილების ქვეშ იყვნენ და დიდხანს ვერ მოეგნენ გონს; ბოლოს ისევ ზაქრომ დაიწყო:

— აღარ მეტყვი, კაცო, ვის გაუგზავნე შენი პირველი ნისიით ღვინო?! — ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა ზაქროს.

— აღარ გეტყვი კი არა, ეხლა ვინმეს რომ არ მოვუყვე ის ამბავი, რაც შემემთხვა, ჯავრი მამკლამს! მოგიყვები და, იქნება ეს ტვირთიც მომეხსნას:

— შარშანწინ, შემოდგომაზე დედაჩემი რომ მოკვდა, აქ, ჩვენთან, კარგი ღვინო ვერ ვიშოვნე, გადავწყვიტე კარდენახიდან ამომეტანა. ჩემი მეზობლის-ნოდარის მანქანით მივადექი სარდიონას, კასრი ვთხოვე. სარდაფში ათამდე ცარიელი კასრი ჰქონდა, ალბათ წლები იქნებოდა გასული, ღვინო არა მდგარიყო შიგ. სარდიონამ კასრი ოც მანეთად მაქირავა, მე და ნოდარა მთელი დღე მოვუნდით მის რემონტსა და გაჟღენთვას. საღამო ხანს კარდენახში ჩავედით, პირველ შემხვედრ კაცს ჩემი ამბავი ვუამბე და ვთხოვე, წესიერი კაცი მიესწავლებინა, რომ ნაღდი ღვინო მოეყიდა. იმანაც მითხრა: სოფელში ერთი კაცია, ძალიან კარგი ღვინო აქვს, მაგრამ არ ვიცი, გაყიდის თუ არაო.

გამოგვყვა ის კაცი, ერთ ქუჩას მივადექით.

— მოსე, სტუმრები მოგიყვანეო, — დაუძახა ჩვენმა მეგზურმა მასპინძელს. როცა მოსე გამოვიდა, ის თავის გზას დაადგა.

მოსესაც ვუამბე ჩემი ამბავი, ცოტა ყოყმანი დაეტყო, მაგრამ შინ შეგვიპატიჟა, ცოლს მარანში კარგი პურმარილი გააშლევინა, ქვევრს თავი ახადა და პირველ სადღეგრძელოდ დედაჩემის შესანდობარი დალია. მემრე მითხრა: რა გიყო, ძმაო, გასაყიდი ღვინო ნამდვილად არა მაქვს, მაგრამ, რახან მოხვედი და ასეთი მდგომარეობაში ხარ, ჩემი თავი გენაცვალოსო.

ცოტა ხნის შემდეგ მკითხა: რამდენი ლიტრის ჭურჭელი გაქვსო, ორას ლიტრიანი კასრი მაქვს-მეთქი. ცოტა კიდევ დავლიოთ და კასრი მემრე გავავსოთო.

კასრი რომ გავავსეთ, უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი, ფასის კითხვა ვერ გავბედე, რამდენი გადავიხადო-მეთქი.

ასე ვიყავი კარგა ხანს გათოთხარებული, რომ მასპინძელმა ჭიქები შეავსო და კეთილი მგზავრობა გვისურვა, თანაც დასძინა: ეს ღვინო ჩემ წილად იყოს დედაშენის დაკრძალვაზეო. არავითარ შემთხვევაში-მეთქი და ჯიბეზე გავიკარ ხელი. გამაჩერა, ნუ გეშინია, ვალში არ დარჩები, შენ კიდევ სხვას გაუკეთე სიკეთე და ბარი-ბარს ვიქნებითო, მე გავძალიანდი, მაგრამ ფული არაფრით არ გადამახდევინა, ღვინის გაყიდვას არ ვაპირებო. აფორიაქებული, დაბნეული და ადამიანების სიყვარულით ანთებული გამომაცილა სახლიდან.

— მარცხნივ, მხარბეჭიანი, დიდულვაშა კაცი რომ იჯდა, ის იყო სწორედ და მის დანახვაზე ადრინდელმა მღელვარებამ კიდევ მომაკითხა. ღმერთმა დღეგრძელობა ნუ მოაკლოს მაგას და მაგის ნაშიერს! — დაამთავრა ამბავი ეფრემამ.

კიდევ დიდხანს ისხდნენ მეგობრები დაცარიელებულ ბაღში. საკუთარ ფიქრებში ჩაფლულებს ლაპარაკის სურვილი აღარა ჰქონდათ. ძაღლების ყეფაზე გამოფხიზლდნენ. ადგნენ, ერთმანეთს დაემშვიდობნენ და თავ-თავიანთ სახლებისაკენ უხმოდ გასწიეს...

1983 წელი.

იმედი

გარეშე სამყაროდან მთლიანად გათიშული ზვიადი დაღვრემილი მიაბიჯებდა მარჯანიშვილის ქუჩაზე.

ვერაფერს ვერ აღიქვამდა. თითქოს ამ ზღვა ხალხში მარტო ის მიდიოდა, ზოგი ეჯახებოდა, ზოგს ის ეჯახებოდა, საყვედურებს მდუმარედ ღებულობდა, დუმილით განაგრძობდა გზას. თავში დატრიალებული ფიქრების გასაღები ვერ მოეძებნა.

ორი დღეა ერთადერთი და საავადმყოფოში დააწვინა. დედა სოფელში იყო. დახმარება უჭირდა. თვითონ მეორე კურსის სტუდენტს სტიპენდიის გარეშე არავითარი შემოსავალი არ ჰქონდა. დის ბედი აწუხებდა, ისიც მეექვსე კურსის სტუდენტი იყო, ახლა ავად გახდა სჭირდებოდა წამლები, მკურნალი ექიმის ნახვა, დანიშნული დიეტის მიხედვით საჭმელების მომზადება და ყოველდღიური ყურადღების მიქცევა.

კაპიკიც არ გააჩნდა, არც იმის იმედი ჰქონდა, რომ ახლო მომავალში იშოვიდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს გზაზე დიდი უფსკრული შემოხვდა, უკან გამობრუნება არ შეიძლებოდა, წინ კი... გამოსავალი ვერ მოეძებნა. სტუდქალაქში ეჩქარებოდა, მაგრამ ერთი თვისება დაჰყვა, ავტობუსში უბილეთოდ შეეძლო ემგზავრა მაშინ, როდესაც ჯიბეში ფული ჰქონდა. ახლა კი, როცა ავტობუსის ბილეთის ფულიც არ გააჩნდა, უბილეთოდ მგზავრობა ვერ გაებედა. ვინ იცის, იქნებ კონდუქტორი აეკიატებოდა და ბილეთის აღებას დააძალებდა, მაშინ რაღა ექნა?..

მიდიოდა ისე, რომ თითქოს არც ის არსებობდა, სხვისთვის და არც სხვები — მისთვის. გათიშული იყო გარე სამყაროდან და მთლიანად ჩაძირული თავისი გაჭირვების ზღვაში.

ახლა რომ შემთხვევით, მას მანქანა დაეჯახოს და მოკლას, მაშინ რა ეშველება მის დას? ამის გახსენებაზე გააჟრჟოლა. საწყალი დედა, რომელსაც სოფელში ისედაც უჭირდა, ქალაქში ჩა-

მოსვლასაც ვერ მოახერხებდა, დას კი მის მეტი პატრონი არ ჰყავდა. კვლავ შეაკრთო ამის გახსენებამ, ხელი გაიქნია, თითქოს საზარელი აზრის მოცილება უნდაო. თავის თავს გაუწყრა. ახლა აღარაფერზე ფიქრობდა. მიდიოდა ისე, რომ სხეულის სიმძიმეს სულაც არ გრძნობდა, სიცარიელე იყო ირგვლივ, არარაობა იყო თვითონაც. მიხმარებაზე იმედგაცრუებულს ოკეანეში დაკარგული ნავივით არსად ნავთსაყუდელის იმედი არ ჰქონდა, ქვეცნობიერად გრძნობდა ამ ნავის ერთ მშვენიერ დღეს ჩაძირვას.

უნივერმაღთან ტროლეიბუსი გაჩერდა, ბევრი ხალხი ელოდებოდა. უკანა კარი გაიღო თუ არა, ახალგაზრდა ქალი ჩამოხტა კივილით: — მიშველეთ, მოკვლას მიპირებენ! — ხალხი მოშორდა, ის ქალი კი ხალხისკენ იწევდა, შველას სთხოვდა. ყველა ისე გაურბოდა მას, თითქოს კეთროვანი ყოფილიყო.

ტროლეიბუსიდან სამი ახალგაზრდა კაცი ჩამოვიდა. იქავე ჭადართან გაჩერდნენ და ყველას თვალებს უბრიალებდნენ, ვინც ამ ქალთან გაჩერებოდა, ან დაელაპარაკებოდა. — მიშველეთ, ხალხი არა ხართ? მომეხმარეთ! მომკლავენ! — ისმოდა ქალის სასოწარკვეთილი ძახილი. ქალს ყველა გაურბოდა და ახლოს არ უჩერდებოდა. ვისთანაც მივიდა, ყველამ შიშით ზურგი შეაქცია, ტროლეიბუსში აღარც კი ასულან, ისე გაეცალნენ იქაურობას. ამხელა ზღვახალხის წინაშე ადამიანი სამი გათავხედებული ხულიგნის ხახაში რჩებოდა.

ორი ზორბა ვაჟკაცი საუბრით მოდიოდა, საწყალი ქალი მათთან მიიჭრა, შველა სთხოვა: — ვაჟკაცები არა ხართ? ქალი გეხვეწებით, სახლამდე მიმაცილეთ! — ერთ მათგანს ხელში ჩაეჭიდა და აღარ უშვებდა. საწყალი გონების დაკარგვამდე იყო შეშინებული.

— ქალბატონო, ნუ ღელავთ, წამობრძანდით! — ხელი მოჰკიდეს ქალს და წასვლა დააპირეს.

სამიდან ერთი მიეჭრა მათ და უთხრა:

— ჯიგრებო, თუ არ გინდათ, რომ ნაწლავები წინ დაგილაგოთ, ახლავე მოსცილდით ამ დედაკაცს! მაგის მაგიერ თქვენ არ გაგვიხდეთ გასატყავებელი.

„ვაჟკაცები“ ისე ჩქარა წავიდნენ, რომ გაქცევას უფრო ჰგავ-

და მათი საქციელი, უკნიდან კი ქალის მუდარა და გოდება მიაცილებდათ.

ქუჩა დაცარიელდა. ტროტუარზე იდგა სასოწარკვეთილი ქალი, შემწეობაზე იმედდაკარგული, ხელები უღონოდ ჩამოსვცვივნოდა, თმა გაშლოდა, მუხლებში თითქოს ოდნავ მოღუნული იყო. ადამიანებისაგან განწირული, ბედს შერიგებული ელოდებოდა, როდის დაავლებდნენ ხელს, სადღაც წაიყვანდნენ და როგორც მიმინოები ბელურას, ისე დაგლეჯდნენ.

ამ სცენას ზვიადი შორიდან ხედავდა, სვლა არ შეუნელებია, არც რაიმე ემოცია არ გამოუხატია, სხვებივით ქუჩის მეორე მხარეზე არ გადასულა უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით, ერთხელ არჩეული სვლით შევიდა ქალის „სამფლობელოში“.

მაღალი, ზომაზე ძალიან გამხდარი, მაგრამ ფიზიკურად სრულყოფილი, მოქნიმლი ახალგაზრდის დანახვაზე ქალს იმედის სხივი ჩაუდგა. ზვიადს მიეჭრა ორივე ხელები მოხვია, მერე მუხლებში ჩაუვარდა:

— ვაჟკაცი არა ხარ? მომკლავენ, ნუ ჩამაგდებ მაგ სისხლისმსმელების ხელში, სახლამდე მიმაცილე, შენი ჭირიმე! — ემუდარებოდა ქალი.

ზვიადმა ქალი წამოაყენა, დაამშვიდა, ხელი გაუყარა, გაუღიმა: — წამობრძანდით, ქალბატონო, — უთხრა.

ჯერ ფეხიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ მხარზე ვიღაცის ხელი იგრძნო, მობრუნდა, ერთი ხულიგანი თავხედურად წამოსდგომოდა თავზე, დამცინავად იღიმებოდა, ორნი კი შორიახლოდან თანაუგრძნობდნენ:

— ახლავე დაიკარგე აქედან! თორემ შენს ხორცს ყორანებს შევაჭმევ, — დაემუქრა უცნობი.

ქალი მიეკრა ზვიადს, იმის შიშით, რომ ეს საბოლოო იმედიც არ დაეკარგა, ორივე ხელი ჩასჭიდა ხელზე. ახლა იგი იმ ბატკანს ჰგავდა, რომელსაც ცხვრის ძაღლი გამოექომაგა და კბილებდაკრეჭილ მგლებს არ უშვებდა მასთან.

ზვიადს თავისი და გაახსენდა, ერთი საათიც არ იყო გასული, რაც საავადმყოფოში მოინახულა, მისი სუსტი გამხდარი ხელები წარმოუდგა თვალწინ. ვაი, თუ ის იყოს ამ დღეში და

არავინ დაეხმაროს, საფეთქლებზე სისხლი მოაწვა, მაღლა აიხედა, ის თავხედი ისევ ისე იღიმებოდა. ისე მძლავრად ჰკრა მარჯვენა ხელი, რომ მომხდურმა თავი ვერ შეიკავა, უკან გადაქანდა და დანარჩენი ორის ხელების დახმარებით გადარჩა ტროტუარზე გაშხლართვას. სამივე სახტად დარჩა. შორიდან მაცქერალმა ხალხმაც შვებით ამოისუნთქა. გაუკვირდათ მგლებს, რომ ამდენ ცხვარში ქოფაკის სუნი იგრძნეს.

— წავიდეთ, ქალბატონო, ნუღა დავიგვიანებთ, მეც მეჩქარება, — უთხრა ზვიადმა და ისე გასწიეს ხელმკლავგაყრილებმა, თითქოს თეატრიდან ახალი გამოსულები ყოფილიყვნენ.

— სად წაგვიხვალ, ძაღლის ლეკვო, შენს სისხლს დავლევთ! — და მრავალსართულიანი გინებით მიაცილებდათ რამდენიმე ნაბიჯის მოცილებით შეურაცხყოფილი სამი გათავხედებული ხულიგანი.

— საწყალი ბიჭი, მოკლავენ ალბათ, მაგის საშველი არ არის! — ისმოდა ბრბოში, რომელიც შიშით კარგა მოცილებით შეგროვილიყო და ახლა ყაყანით იშლებოდა.

მრავალსართულიანი სახლის ეზოს სადარბაზო შესასვლელთან ქალი შეჩერდა: — აი, იქ ვცხოვრობ, — თვქა, ზვიადს ხელი შეუშვა, მადლობაც არ უთქვია, სულმოუთქმელად აირბინა კიბეზე. ფეხის ხმა ჯერ მინელდა, მერე კარების დახურვის ხმა გაისმა და ყველაფერი მიწყნარდა.

ზვიადი მობრუნდა, მის წინ სამი თავხედი კაცი იდგა. რა ქნას? სადარბაზოს მეორე მხარზე აქვს გასასვლელი, — შევიდეს და იქიდან გაიპაროს, გაიქცევა და ესენი სირბილში მას ვერ აჯობებენ.

იყო მეორე გამოსავალი, ასულიყო სადარბაზოში, დაეკაკუნებინა რომლიმე კარებზე და თავშესაფარი ეთხოვა, შეხვეწებოდა, მოკვლას მიპირებენ და მიშველეთო. განმეორდებოდა სცენა ისეთი, როგორიც ამ ცოტა ხნის წინ მოიხილა.

არა, ზვიადი სულ სხვა ბუნების ახალგაზრდა იყო, ის უმალ სიკვდილს ამჯობინებდა, ვიდრე ეს ორი გამოსავალი ეკადრა. ჯიქურ გასწია კაცებისაკენ, თითქოს ვინმე შემთხვევითი პიროვნებები ყოფილიყვნენ. წინ გადაუდგნენ, ერთი დანას ათამაშებდა ხელში:

— ეხლა გაიხადე, ჯიგარო, ტიტველს უნდა მოგაჭრათ თავი! — უთხრა იმან ხელის კვრა რომ ჰქონდა მიღებული.

— გამატარეთ! — წინ გაიწია ზვიადმა.

— წადი, შენი! — ყურის ძირში მოხვდა პირველი მუშტი. დაბარბაცდა, არ წაქცეულა, გაიმართა და ხურდათ კბილებში დააჯახა სამაგიერო, დამხდური მიწაზე გაიშხლართა.

ყველაფერი აირია, სამი ურტყამდა ერთს, არც ერთი რჩებოდა ვალში, იმ სამს არ ჰქონდა საზეიმო მდგომარეობა, ზვიადის დარტყმებს ყველას სახეზე კვალი დაეტოვებინა. ბრძოლა მაინც უთანასწორო იყო, — სამის მხრიდან დანაც იღებდა მონაწილეობას.

ხმაურზე ზოგმა თავი გამოყო ფანჯრიდან სეირის საყურებლად. მერე ვიღაც-ვიღაცა დამრიგებლებიც გამოჩნდნენ, ცნობისმოყვარეები ფანჯრებს მოაცილეს, კისერიც უტეხიათო, თქვეს და ფანჯრები მიიხურეს. ჩხუბი დიდხანს გაგრძელდა, ქვეყანამ გაიგო, არავინ ცდილა ჩარეულიყო, ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა...

ზვიადი ღობის კედელზე იყო მიყუდებული, ორივე ხელი გვერდზე ჰქონდა მიდებული, თითებს შორის სისხლი მოთქრიალებდა. პერანგი სულმთლად შემოხეული ჰქონდა, რამდენიმე ადგილზე დანის ნაკვალევიდან სისხლი მოჟონავდა.

არ ახსოვს, რამდენი ხანი გავიდა. ფეხის გადადგმა სცადა, მუხლი არ დაემორჩილა. თავს ძალა დაატანა, თავბრუ დაესხა, ისევ კედელს მიეყუდა. თავს ძლივს იმაგრებდა.

უცებ ფიქრები შემოეჯარა, რამდენიმე საათის წინ ცხოვრების გაჭირვებიდან გამოსავალი ვერ მოეძებნა, ახლაც გამოუვალ მდგომარეობაში იყო, თუ გატოკდებოდა წაიქცეოდა და ველარც ადგებოდა, „ნუთუ დამთავრდა სიცოცხლე?“ — გაიფიქრა. და გაახსენდა, შეაჟრჟოლა, შეეშინდა წელანდელი საზარელი ფიქრი რომ უცხადდებოდა. თვალებში აბლაბუდები გაებლანდა, შენობებმა ფორმა დაკარგეს, ყველაფერი ნისლში გაეხვია.

გონს მალე მოვიდა, მაგრამ ბურანიც არ ანებებდა თავს. თავზე ჭაღარა კაცი წარმოადგა.

— სად წაგიყვანო, შვილო, მითხარი მისამართი ნათესავებისა,

რომ გავაფრთხილო, — ეუბნებოდა სათნო სახის მამაკაცი. რა უთხრას? ვინა ჰყავს გულისდამწველი? დედა და თვითონ არიან მხოლოდ.

მამაკაცი მხარში შეუდგა და მანქანისაკენ წაიყვანა. ზვიადმა კიდევ ერთხელ გადაჩხრიკა მიბინდული გონება.

უკანა საჯდომზე მოეწყვნენ. ჭაღარა კაცმა მკერდზე მიიკრა ზვიადი, პერანგი მასაც მთლად გაესისხლა. კითხვანარევი თვალებით ჩახედა ზვიადს სახეში:

— შვილო, ხომ ხარ ვაჟკაცურად?! ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება!

— სტუდქალაქში წამიყვანეთ, ბიძა ჩემო, მექანიზაციის ფაკულტეტის ჯგუფხელი მიშა იკითხეთ, ზვიადმა გრძნობა დაკარგა...

გონს რომ მოვიდა, პირველად ოთახის ფანჯრები გაარჩია, საწოლში იწვა. ვერ გაიხსენა, აქ საიდან მოხვდა, ამგვარ ფანჯრებიან ოთახში ჯერ არ სძინებია. ჩაფიქრდა, ვერაფრით გაიხსენა, სად იყო, არც არავინ იყო, რომ შეკითხებოდა; წამოდგომა სცადა. ტანი ვერ აზიდა, თითქოს საწოლზე დაელურსმათ. გაიბრძოლა და ოთახის ფანჯრები ისევ უძირო ბურანში ჩაიძირნენ.

არ ახსოვს, რამდენი დრო გავიდა. რაღაც უფორმო სხეული გაარჩია. თავს ძალა დააატანა, დააკვირდა, უფორმო სხეულმა ადამიანის სახე მიიღო.

— მიშა! — ამოილუღლუღა ზვიადმა.

— მიშა ვარ, ზვიად, მიშა, ხომ მიცანი! — ჩასძახა მიშამ.

— გიცანი, — კვლავ შეერია ბურანი უსასრულობაში.

მიხეილი ზვიადის ჯგუფელი იყო, ასაკით მასზე კარგად უფროსი, სამამულო ომის მონაწილე. ახალგაზრდობის წლები ფრონტზე ჰქონდა გატარებული, მონაწილე იყო სტალინგრადის ბრძოლების. ოჯახსა და სწავლას გვიან მოჰკიდებოდა, მაგრამ აქაც ისეთი ვაჟკაცური, მართალი, გულმოდგინე და ბეჯითი იყო, როგორც ომში.

ჯგუფში ყველა ხასიათის ახალგაზრდები იყვნენ, ბევრი მშობლების ზრუნვით განებივრებულები, ისინი როგორც წესი, ზარმაცობდნენ და დროს უქმ ქეიფსა და დროსტარებაში ფლანგავ-

დნენ. იყვნენ უზრუნველყოფილებიც, მაგრამ ბეჯითები. ბევრი სტუდენტი იყო, რომლებსაც უჭირდათ, მაგრამ ზვიადისნაირი მდგომარეობა არავის არ ჰქონდა. მიშა ყველაზე ზრუნავდა, სუყველას ჭირის მალამო იყო. ნებივრები ზოგჯერ ამის გამო მიშას გაქილიკებას ცდილობდნენ. სწორედ მაშინ ატყდებოდა მათ მისი ფოლადისებური ხასიათიდან გამომდინარე რისხვა.

ბევრს უყვარდა წუწუნი თავის მდგომარებაზე, ბევრიც ტრაბახობდა, ზოგი პატარა წინააღმდეგობაზე სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა, ზოგიც პატარა წარმატების გამო მოზღვავებულ ემოციებს ზღვად ღვრიდა.

იყო ერთი, ზვიადი, რომელსაც ყოველთვის უჭირდა, გარდა სწავლისა. სხვის ტრაბახზე თავისთვის ჩუმად იცოდა გაღიმება, — წუწუნზე კი შუბლს შეიკრავდა და ისე აგრძელებდა მუშაობას. აი, ეს იყო მისი ემოციები.

მიშამ კარგად იცოდა, როგორ გაჭირვებაში უხდებოდა ზვიადს სწავლა. ფულით უნდოდა დახმარება, მაგრამ კარგად იცოდა, რომ ზვიადი ამგვარად მანეთსაც არ აიღებდა. რჩებოდა მორალური მხარდაჭერა, რომლითაც მუდამ მის გვერდით იყო.

მიშას ზვიადისათვის მოყოლილი ჰქონდა თავისი ცხოვრებიდან ერთ-ერთი მძიმე მომენტი, როდესაც სწორედ მორალურმა მხარდაჭერამ გადაარჩინა:

სტალინგრადის ფრონტზე გერმანელებმა მიშას ნაწილი ვოლგის პირას მიმწყვდიეს და მდინარეში გადაყრას უქადდნენ. რაც დაჭრილები იყვნენ, მდინარის პირას მოაქუჩეს. ძლივს უმკლავდებოდნენ მტერს, ელოდებოდნენ ტრანსპორტს, რომ დაჭრილები გადაეყვანათ.

ტრანსპორტი გერმანელებმა ნაპირთან ჩაძირეს. მიშას ტრანსპორტიდან ერთი მეზღვაური, არკადი პახომოვი დაუძმაკაცდა. მიშაც დაიჭრა. გერმანელები ნაპირისაკენ გამოიჭრნენ. უკვე დაერივნენ დაჭრილებს და უწყალოდ ხოცავდნენ.

— მიშა, ცურვა იცი? — ჰკითხა არკადიმ.

— ვიცი.

— მაშ, ვოლგა უნდა გადავცუროთ.

— ?

— ნუ გეშინია! ჭრილობას მაგრად შეგიკრავ, არ შეგიშლის. არკადი პახომოვმა მიშას ჭრილობა შეუხვია, ისე, რომ წყალში ცურვის დროს არ გახსნოდა. მიშა ბათუმელი იყო, ცურვა სანაქებო იცოდა, მაგრამ დაჭრილმა ზღვისხელა ვოლგას რომ გახედა, მიხვდა, მისი გადამცურავი არ იყო.

გერმანელები დაჭრილებს ხოცავდნენ, მალე მათამდეც მიაღწევდნენ.

— ნუ გეშინია, მე ისეთი ცურვა ვიცი, რომ შენც გაგიყვან, — უთხრა მიშას და სტაცა ხელი, უნდოდა აეყენებინა.

არკადი პახომოვი ორი-სამი მეტრით წინ მიდიოდა.

— წადი, არკადი, მე შენც დაგღუპავ, — უთხრა მიშამ, პისტოლეტი აიღო ხელში, ისევ ჩემი ტყვიით მოვიკლავ თავს.

არაფრით არ დაგტოვებ, თუ დახრჩობაა, ერთად დავიხრჩოთ, თუ მაინც არ გამომყვები, მეც შენს გვერდით მოვიკლავ თავს!

მიშამ შეხედა არკადის, იგიც მსუბუქად იყო დაჭრილი. სისხლის დაკარგვისა და დაღლილობის კვალი აშკარად ეტყობოდა. ისიც იგრძნობოდა, რომ მიშას გარეშე წყალში არ შევიდოდა და მის გვერდით მოიკლავდა თავს, ეს ერთ საათზე ცოტა მეტ ხანს გაცნობილი ადამიანი.

არკადის დახმარებით წამოდგა და ორივე შეერივნენ ვოლგის ზვირთებს.

არკადი პახომოვი ორი სამი მეტრით წინ მიცურავდა, თან მიშას ამხნევებდა, არ ჩამორჩეო. შუა დინებამდე რომ მიაღწიეს, გერმანელები ნაპირთან მივიდნენ და სროლა აუტეხეს. მიშას ძალა სულ გამოცლოდა. — აღარ შემიძლია, — გასძახა არკადის.

— ნუ გეშინია, მიშა, მოცურდი ჩემამდის, მე წაგიყვან, — შეეხმიანა არკადი თანაც მოუცადა.

მიშამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, რაღაც სამიოდე მეტრის გადასალახად, მერე არკადი უშველიდა. მერე გაიგო, მან, არკადის შველა კი არა, თვითონაც უკანასკნელ ძალას იკრებდა, არ ჩაძირულიყო. ასე ნელნელა იცურეს ნაპირამდე აი, ეს სამი მეტრი და არკადის იმედი გახდა ის მაგიური ძალა, რომლმაც მთლად ძალაგამოლეულ მიშას, ვოლგა გადააცურინა და სიკვდილს გადაარჩინა.

ზვიადისათვის ხშირად შეუხსენებია მიშას: — ჩემო ზვიად, შეუპოვარი და რკინასავით ბიჭი ხარ, მაგრამ, იქნება შენც გჭირდება ცხოვრების ზოგიერთ მორევთან არკადი პახომოვის მსგავსი ადამიანი.

ზვიადს კრიზისი არ განელებოდა, მაგრამ გონზე ჩვეულებრივად იყო. სასთუმალთან მიშა ეჯდა. ხმადაბლა ესაუბრებოდა.

— მიცანი ზვიად?

— გიცანი, მიხეილ, ბატონო.

— ხომ არაფერი გინდა?

— ...?

— შენი და ვინახულეთ, ძალიან კარგად არის.

ზვიადს თვალები გაუბრწყინდა, საბნის ქვეშიდან მარჯვენა ხელი ძლივს გამოაცურა, მიშას ხელი მოძებნა, მადლობის ნიშნად მაგრად მოუჭირა და თვალებიდან ცრემლები ჩამოუგორდა.

— სადა ვარ, მიშა?

სტუდქალაქის საავადმყოფოში.

ზვიადს ისევ მოეძალა სისუსტე, თვალთ დაუბნელდა, მიშას სილუეტი ისევ ბურანში გაუჩინარდა.

საწოლთან თეთრხალათიანი ადამიანები შეიკრიბნენ, გარეთ კი თანაკურსელები ელოდებოდნენ მიშას ცნობას ზვიადის ჯანმრთელობის შესახებ.

— ბიჭებო, სისხლი კიდევ გახდა საჭირო, — გადმოსძახათ მიშამ. ექიმთან რიგი გაიმართა. ზვიადისთვის სისხლის გაღებაში ერთმანეთს ეცილებოდნენ.

ზვიადს მაღალი ტემპერატურა ჰქონდა, მაგრამ ისე მომჯობინდა, რომ საუბარში შეეძლო. ექიმებმაც მისცეს უფლება მიშასთან ესაუბრა. დანარჩენ თანაკურსელებს პალატაში არ უშვებდნენ.

სამი დღის განმავლობაში მიშა ზვიადს არ მოსცილებია, ბიჭები ფეხზე დააყენა და რაც კი შეეძლოთ, თავს არ ზოგავდნენ მის გადასარჩენად. ცნობისმოყვარეობა, თუ იმის სურვილი ზვიადისთვის შური ეძიათ, არც-ერთს არ ასვენებდა. იმ ჭაღარა კაცისაგან იცოდნენ, რომ ვიღაც სამ ხულიგანს ვაჟკაცურად ებრძოდაო. ის კი არ იცოდნენ, რის გამო მოუვიდათ ჩხუბი. ყველას

სჯეროდა ზვიადის ხასიათის, უბრალოდ არავის არ დაჩაგრავდა და არც არავის შეარჩენდა თავხედობას. ეს სწამდათ, მაგრამ ერთი სული ჰქონდათ, დაწვრილებით გაეგოთ, რა მოხდა.

— დედაშენს არ გავაგებინეთ, აი, კარგად რომ გახდები მაშინ კი ყველაფერს მოუყვები! — გაბრაზება ეტყობოდა მიშას ხმაში.

— კარგად მოქცეულხართ, საწყალი, ისედაც გამწარებულია ჩემს ხელში. ისე კი, ჩემო მიშა, სამარცხვინო არაფერი ჩამიდენია მგონი?! — გაჭირვებით დაამთავრა თავისი სიტყვა ზვიადმა.

მიშას მოთმინება აღარ ყოფნიდა, სურდა, დროზე გაეგო რა მოხდა.

— თუ შეძლებ, ზვიად, იქნება მომიყვე, რა მოხდა, იქნებ საჭირო არის, რომ იმ თავხედებს სამაგიერო მივუზღოთ? — მიშას ხმაში ზვიადის სიყვარულით გამოწვეული შურისძიების სურვილი რეკდა.

ზვიადმა წყალი მოითხოვა. ცოტა მოსვა. მერე თვალები დახუჭა და გაირინდა, თითქოს მომხდარი ამბის დეტალებს აღადგენსო. ნელა. სვენებ-სვენებით დაიწყო, ხშირად ჩერდებოდა და სულის მოთქმის შემდეგ ისევ აგრძელებდა ამბის თხრობას. დაამთავრა, დაიღალა ზედმეტი განცდით, თუ ვერ აიტანა ამდენი დატვირთვა, ისევ ცუდად გახდა. მიშამ ექიმი გამოიძახა, სიცხე კვლავ მაღალი ჰქონდა. ეტყობა, კრიზისი გრძელდებოდა.

არ ახსოვს, რამდენ ხანს იყო ასე, გონს რომ მოვიდა, მიშა ისევ საწოლთან იჯდა და მისი მაჯა, ეჭირა ხელში.

— ახლა უკვე კარგადა ხარ! — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მიშამ.

— არა, მიშა, მგონია ვკვდები, — ზვიადის ხმაში ბზარი შეპარულიყო.

— მე ნუგეშის მოცემა სულაც არ მინდა, შეიძლება მართლაც მოკვდე, მაგრამ სწორედ ახლა მინდა შევამოწმო შენი ვაჟკაცობა, ერთი კითხვა მაქვს შენთან, ზვიად, — მიშას ხმაში ფოლადის სიმი აჟღერდა. თანაც, უკვე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ზვიადი საბოლოოდ გამოსტაცეს სიკვდილს და რაიმე

გამოცდის წინაშე დაყენება, მის სიცოცხლეს საფრთხეს აღარ შეუქმნიდა.

— გისმენ, — ზვიადი მიხვდა, რომ ეს არ იქნებოდა ჩვეულებრივი კითხვა.

— ეხლა შენ ძალიან ცუდადა ხარ, უკან რომ დაბრუნდეს დრო და, აი სწორედ ის მომენტი განმეორდეს, როდესაც ის ქალი გაცილებას გეხვეწებოდა, რას იზამდი? ხომ არ გაიმეორებდი იმ ორი ვაჟკაცის და სხვათა საქციელს?! შენ საღ-სალამათი დარჩებოდი, ის ქალი კი თუნდაც ეშმაკს წაუღია! — მიშას შუბლზე ოფლმა გამოჟონა, ეტყობოდა, ზვიადის კაცური სინდისის გამოცდის წარმატებით ჩაბარების დიდი სურვილი ჰქონდა, ამავე დროს წარუმატებლობის ეშინოდა.

ზვიადს თვალწინ წარმოუდგა ნახული და განცდილი. მართლაც და რა უნდოდა, იქ იმაზე კარგი ვაჟკაცები ბევრნი იყვნენ, იმაზე ღონიერნიც და, შეიძლება, პატიოსანი გულის პატრონნიც, მაგრამ არავის გამოუდვია თავი. ახლა ისინი ჯანმრთელნი და ბედნიერნი არიან, ზვიადი კი, ცხოვრებიდან ისედაც დაჩაგრული, საწოლზე მიჯაჭვული ებრძვის სიკვდილს.

ყველაზე მეტი მიზეზი მას ჰქონდა, რომ არ მიექცია ყურადღება, რაც ირგვლივ ხდებოდა. არც არავინ იქნებოდა ნაცნობი, რომ მისი ლაჩრული საქციელი სხვებისთვისაც ცნობილი გამხდარიყო. აგერ, სწორედ ამ კითხვას აძლევდა მიშა, დრო იყო ჭკუა ესწავლა და ცხოვრების გაკვეთილი შემდგომში მაინც გამოეყენებინა. ზვიადი პასუხს აგვიანებდა.

მიშას შუბიდან მოსწყდა ოფლის წვეთი და ლოყაზე ჩამოუგორდა. მღელვარებას ვერ იკავებდა, ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლი მოიწმინდა. კარგად დაჭმუჭნა და ჯიბეში ჩაიტენა. ხელებს ადგილი ვერ მოუძებნა, თითების ტკაცუნი დაიწყო.

ზვიადის სახეზე რაღაც ცვლილება შენიშნა, შეეშინდა, ვაითუ, პასუხი არა კაცური გამოდგესო, ველარ მოითმინა მან დაასწრო:

— ბიჭო, არ წახდე, თავი არ შეირცხვინო! შენ სიკვდილს თვალებში ჩახედე და წარბი არ შეგიხრია, ადამიანურმა სისუსტემ არ დაგძლიოს და კაცური რწმენა არ შეიბღალო, შენ ბედ-

ნიერი ხარ, რომ ამგვარი საქციელის ჩადენა შეგიძლია.

— ზვიადს სუსტად გაეღიმა, მერე დინჯად დაიწყო:

— შეკითხვა მართლაც მაცდუნებელი იყო, არ გეგონოს, იმიტომ დავაგვიანე პასუხი, რომ ვყოყმანობდი, რა მეპასუხა: — მე თვალწინ დამიდგა ის, რაც მოხდა, ჩემს თავს კიდევ გავესაუბრე, ჩემო მიშა, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მე სხვანაირად მოქცევა არ შემიძლია. არ ვიცი, ცოცხალი გადავრჩები თუ არა, მაგრამ ახლა რომ ვიდგე არჩევანის წინაშე, იგივეს გავიმეორებდი უყოყმანოდ და დაუფიქრებლად, თუნდაც მოვკვდე ერთი წუთითაც არ ვნანობ, პირიქით, რა იქნებოდა ჩემი ცხოვრება, მე რომ სხვასავით ყურადღება არ მიმექცია მისი ვედრებისათვის, მთელი სიცოცხლის მანძილზე ხომ არ მომასვენებდა სინდისი და გაწამებული ვიქნებოდი, ახლა კი უბედნიერესი კაცი ვარ, რომ არაკაცობის მძიმე და აუტანელი ტვირთი არა მკიდია ზურგზე, — ზვიადმა დაამთავრა.

მიშამ შვებით ამოისუნთქა, გაიღიმა, თმაზე ნაზად გადაუსვა ხელი, თვალებში უბედნიერესი კაცის სხივი უთამაშებდა.

— ასეც მეგონა, მე შენგან სხვანაირ პასუხს არც მოველოდი, მაგრამ ეშმაკსაც წაუღია შიში იმისა, ვაი თუ გატყდეს მეთქი, გულს მიკორტნიდა. ალალი იყოს დედის რძე შენზე, ალალი იყოს ბუნების ყველა მადლი, რაც კი ადამიანისათვის მასვე გაუჩენია!

ზვიადი დუმდა.

მიშამ მოზღვავებულ გრძნობებს ველარ გაუძლო, ადგა, გაიარ-გამოიარა, მერე მივიდა ზვიადის საწოლთან, არ ჩამომჯდარა, თითქოს ხმამაღლა ოცნებობდა ისე დაიწყო ლაპარაკი:

— იცი, ზვიად, შენნაირი კაცების გზაზე არ შეიძლება რომ ეკალი არ იყოს, ცხოვრებაში ბევრჯერ დალევ სიმწრის ფიალას, მაგრამ ერთი კი გწამდეს: ამ დალოცვილ დედამიწის ზურგზე არიან არკადი პახომოვის მსგავსი ადამიანური ადამიანები, რომ გაჭირვების დროს ხელი გამოგიწოდონ და დახრჩობას გადაგარჩინონ.

ზვიადი ფიქრებს შეერია. მიშაც ხომ ერთ-ერთი იმათგანი იყო.

ზვიადმა სიმსუბუქე იგრძნო, სიმღერა მოუნდა.

დიდ კონკურსში გამარჯვებული აბიტურიენტის სიხარული, ზვიადის ახლანდელ სიხარულთან არაფერი იყო. მან კაცური კაცობის გამოცდაში მიიღო ფრიადი და თუ თავის ცხოვრებას ასე გააგრძელებდა, კაცურ კაცად დარჩებოდა. აი, ეს ახარებდა მას. ემზადებოდა ამგვარად შეხვედროდა მომავალს. წინ კი ბობოქარი ცხოვრება ელოდებოდა...

პალატის ფანჯრები გააღეს. ჩიტების ჭიკჭიკი გრილ ჰაერთან ერთად შემოიჭრა ოთახში, ზვიადს მიუალერსა და სიცოცხლის გამარჯვება მიულოცა.

1959 წელი.

ტურა ქურდი

— წადი, კაცო, ვენახში გაიარე, პამიდორი დამწიფდებოდა, უკვე მესამე დღეა იქ არ ვყოფილვართ.

— დამაცა, დედაკაცო, ცოტა მუხლებიდან ქარი ამოვიღო, ძალიან დავიღალე, ცხენიც შააწუხეს ბორებმა; ეხლა მოუნდა მაინცდამაინც ბრიგადირს პამიდორისათვის სარის დამზადება, ამ პაპანაქება სიცხეში; ტყეში პირდაპირ ბული ტრიალებს.

— თქვენც რაღა შუადღისას მოგინდათ მუშაობა?!

— მანამ ბრიგადის წევრები მოგროვდბოდნენ, მზეც დაგვადგა თავზე. ორ-ორი კონა მოვჭერით და გაგვძვრა სიქა; ბორა ხო ძაღლივით იკბინება ამ სიცხეში.

— მაშ დღეს აღარ წახვალ ვენახში?

— მა შინ რა უნდა ვაკეთო, დედაკაცო, ცოტას შავისვენებთ მე და ცხენი, რა უჭირს, შებინდებამდე მაინც მოვასწრებ ყველაფრის ნახვას.

— ეგე, მზეც ჩადის, რაღა დარჩა!

— მეც დიდი დრო კი არა მჭირდება, ე ოფლიან პერანგს გამოვიცვლი და... შენც ხომ არ წამოხვალ?

— მე რაღა მინდა იქ, მარტო გეშინია?!

— რა დაგემართა, დედაკაცო, ადრე კოფოდან არ ჩამოდიოდი, მარტო არსად მგზავნიდი, რა გული გაგიგრილდა, სიბერე ხომ არ შეგეპარა?

— სიბერე ვისაც შეეპარა, ვიცი მე; იგრე ბანგდალეულივითა გძინავს-ხოლმე, თოფი რო დაგიცალონ, მაინც ვერ გაიღვიძებ.

— კარგი, კარგი, ეგრეა?! ამ ბოლო დროს მართლა მაგარი მუშაობა მიწევდა და იმიტომაც მიწყრები არა!

— შენი თავის მზემ მუშაობა გიწევდა, ერთი ჭიქა ღვინო გყოფნის თავის მომძინარებაში ხომ ჩემპიონი ხარ!

— შეგახსენებ, მართავ, იცოდე!

— ალილო და ხვალეო, წადი პამიდორს მიხედო გირჩევნია, ჩემთან ტრაბახი რად გინდა, გიცნობ რა შვილიც ხარ.

— მართავ!

— დაგწყევლა ჭირმა რა ბღლარძუნი აგიტყდა, შე სამიწევ! — გაუწყრა ცოლი ცაცია ვანოს, რომელიც ამ საუბრით გაღიზიანებული გაეთმაშა და უადგილო ადგილას მოსდო ხელი.

— მოგბეზრდი არა? მაშინ პირდაპირ ვენახში წავედი.

— გაგიჟდი?! წამოდი, ეგ სველი პერანგი გამაიცვალე, მართლა განა გადასაგდებად მინდიხარ, რა!

— ეგრე გამიფრთხილდი, თორემ, ჩემზე უკეთეს ცაცია ვანოს ვეღარ იშოვნი, იცოდე.

— ი ი იმე, შე დასაწვაო, დაბერდი და ჭკუა ისევ საეშმაკოდა გაქვს მოწყობილი!

— დავბერდი, მაშ, მოდი ერთი ჩაგბღუჯო! — ვანომ დედაკაცს სტაცა ხელი.

— ჰაი ვანო! — დაიძახა ვიღაცამ.

— შე დასაწვაო, რამ გადაგრია, სახალხოდ თავი გინდა მოგვეჭრას!

— ჩემ ეზოში, ჩემ დედაკაცს გევებღლაძუნო, ვისი რა საქმეა.

— ვანო, არ გესმის, კაცო! — უფრო ხმამაღლა აყვირდა ვიღაცა ქუჩაში.

— კიკინაანთ პეტოს ხმაა, ნეტა რა უნდა?

— შამო, პეტო, რა შორიდან იძახი! — შეეხმიანა ვანო.

ალაყაფს კარში პატარა ტანის კაფანდარა კაცი გამოჩნდა. ნაბდის დაკონკილი ქუდი ზედ შუბლზე ეხურა, ისე, რომ მხოლოდ წარბები უჩანდა. წვრილი თვალები მოუსვენრად მიურბოდა აქეთ-იქით, ულვაში მხოლოდ ნესტოების ჩამოსწვრივ დაეტოვებინა; შორიდან ცხვირმოუხოცავის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

— რაო, კიკინ, რაზე შაწუხებულხარ ამ საღამოს მადლზე?

— ვენახიდან მოვდივარ, კაცო, რამდენი ხანია ოციოდე თალამი დამრჩა და იქნება შენი ცხენი და ორთვალა მათხოვო, ხელათ ამოვიტანდი.

— ეხლა გინდა ამაიტანო?

— ჰო, ეხლავე წავალ.

— აგაშენა ღმერთმა, მეც ვენახში მივდივარ და გამამყევი, იმ წალამსაც ამოგიტან.

— შენ იქ რაღა გინდა, კაცო, ამბავს მე ვერ მოგიტან?

— ამბის მოტანა რა ბედენაა, ჩემ პამიდვრებს დავხედამ და ეგ წალამიც წამოვიღოთ, ჰამაც შეგეშველები.

— ეჰ! — პეტომ უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი.

— რა იყო, კაცო, რა არ მოგწონს, ჩემი გვერდით გაყლა გეთაკილება თუ!

— არა, რაღაცა გამახსენდა, ეხლა ნამდვილად არა მცალია, ერთი კაცი მყავს სანახავი, რომ არ შევხვდე არ იქნება.

— რაღა ჩემ წამოსვლაზე გაგახსენდა, ის კაცი, აღარ მოვდივარ, წაიყვა ცხენი.

— მართლა?

— ჰო, მართლა.

— რა ვიცი, კაცო, გავიხუმრე, ერთ საათში მოგიყვან ისევ.

— ის კაცი რო გყავს სანახავი?

— არაუშავს, მაიცდის.

ვანომ ცხენი ორთვალაში შეაბა, აღვირში მოჰკიდა ხელი და ალაყაფის კარებისაკენ გაუძღვა.

— დაჯექი, კიკინ, — მიიპატიჟა სტუმარი და თვითონაც კოფოზე ჩამოჯდა.

— რასა შვრები, კაცო?!

— მოდი, შემომიჯექი კოფოზე, ერთ საათში შენი წალამი შინ გექნება.

— ი ი იჰ! — ისევ ჩაიქნია ხელი პეტომ.

— ბიჭო, შენ რა გემართება

— არ მინდა, ძმაო, შენი არაფერი, დამადლებული არ შემერგება.

— რა არის დამადლებული, შე დალოცვილო, წალმის ამოტანა გინდა? წამოდი და ამოვიტანოთ, ამაზე კარგი სიტყვა რაღა გინდა?

— კაცო, მე იქიდან სხვაგან უნდა გავიარო და...

— სადაც გინდა, იქ გავიაროთ, ვინ თავმკვდარი დაგზარდეს;

მოდი დაჯექი.

— არა, არა, სხვა დროს იყოს, ისევ იმ კაცის ნახვა მირჩევნია, — კიკინა პეტომ შუბლზე ქუდი შეისწორა და გაბუტულივით გაბრუნდა.

— ორთვალისათვის რომ მოდიოდი, ის კაცი მაშინ არ გაგახსენდა?

— მასხარად მიგდებ, არა?! კარგი, კარგი, დაგიხსომებ ამას!

— ბიჭო, დღეს საჭმელს ლენცოფა ხომ არ შააყოლე, რასა ფხუკიანობ! — ვფხუკიანობ, არა?! ვიცოდი ხელს რომ არ გამიმართავდი! ჩემთავად ამის შემდეგ შენთან რამის სათხოვნელად მომსვლელიც! — კიკინა პეტომ ძველი ქუდი მოიხადა და მიწაზე დაანარცხა. აღარ აუღია, უქუდოდ წავიდა.

— თუ მაგ ნაგავს ეგრე იოლად მაიშორებდი, ადრე მოსულიყავი ორთვალის სათხოვნელად, ხვალ სამადლოდ ახალს გიყიდი, ფხუკიანო! — მიაძახა ვანომ და ცხენს შოლტი გაუტყლაშუნა.

— მაიცა, მაიცა, მეც დაგჭირდები როდესმე! არ ცხრებოდა კიკინა პეტო.

— დაიკარგე შე უვარგისო, თავად არ იცი რა გინდა; კიკინა კი არა აბდაუბდა უნდა გერქვას! — ვალში არ დარჩა ვანო. ორთვალაზე წამოდგა და ცხენი თავდაღმართში დააოთხა.

— რა კარგია, დავაღწიე თავი! — ჩაილაპარაკა კიკინა პეტომ და ქუდის ასაღებად მიბრუნდა.

ვანოს ცოლი ალაყაფის კარებს ხურავდა.

— ნეტავ რად გინდა, ვანო, მანდ თავზე დასახური რაღაა, — ურჩია ქუდის მაძიებელს.

— შენი კაცი შამპირდა, აი, ახალს რომ მამიტანს, ამას მაშინ გადავაგდებ.

— შინ ახალი ქუდები გვაქვს, მაგრამ შენ იმისი რაში გამოგადგება, ყურებიანად ჩაიკარგები.

— შენ გამაიტა, არა უშავს რა, დააღრჩოს დიდმა ლუკმამ ძაღლი.

— ვანო ამოვა და თვითონ მოგცემს.

— კრიჟანებო! დამწვრებო! ქუდი კი არა, ზამთარში თოვლს ვერ დაგაღწევთ კაცი.

— წადი, კიკინ, ეტყობა დღეს მარცხენა ფეხზე ხარ ამდგარი; გაიარ-გამაიარე, იქნება ვინმემ დაგიზილოს გვერდები, თუ არა და ვანოს დახმარება არ დამჭირდება, კარგად მიცნობ.

— ცოლი და ქმარი ეგრე ერთნაირები როგორ შაიყარენით, სულ მკალვებზე რომ იყურებით; მიდი, გამაიტა ქუდი, მე შენთან სადაო რა მაქვს.

— ვანო ამოვა ვენახიდან და ის მოგცემს.

— ან მამცემს, ან არა.

— ნუ გეშინია, ჩათვალე, რომ უკვე ახალი ქუდი გაქვს, ეს კიდევ ძაღლებს გადაუგდე, — ამის თქმაზე დედაკაცმა კიკინა პეტოს ქუდი გამოგლიჯა ხელიდან და ღობის იქით გადაუგდო, — იქ ჩვენი ბოღვერა გაწეწამს, თუმცა გასაწეწი რაღა იყო.

— რა ქენი, მართავ, დამღუპე?! ქუდი კაცის ნამუსი რომ არის არ იცი?!

— რომ ვიცი, იმიტომ გეუბნები, შე ოხერო, ახალი ქუდი დაიხურე მეთქი.

— გამაიტა, დედაკაცო, ის ახალი ქუდი, თორემ ეგრე თავშიშველა სად წავიდე, ვინ რას მეტყვის!

— კარგი, რახან ვანოს მობრუნებამდე არ იცდი, მოგაშავებ! — მართა შინ შევიდა.

— აჰა, დაიხურე! ოღონდ იფრთხილე, შიგ არ დაიკარგო, — გადაუგდო ქუდი გახარებულ კიკინა პეტოს.

იმან ჰაერშივე დაიჭირა.

— აი, მესმის ქუდი! — გახარებულმა რამდენჯერმე შეატრიალ-შემოატრიალა და ორივე ხელით ჩამოიფხატა თავზე. ყურებიანად ჩაიამალა შიგ, წარბებიც აღარ უჩანდა!

— ეგე, გეხუროს ეხლა, შუბლზე ჩამოფხატვა აღარ დაგჭირდება.

— ეხ რა ნაბადი გაუფუჭებიათ! აქედან ორი თავისუფლად გამომივიდოდა, — ამოიწუწუნა კიკინა პეტომ...

ვანომ არხის ბოგირზე გადააატარა თავისი ორთვალა და ნაყოფით ტოტებდამძიმებულ ატმის რიგს გაუყვა. ვენახებს შორის ვიწრო გზა იყო დატოვებული. ვანოს გადმოკიდებული ტოტები ხვდებოდა თავზე და იძულებული იყო, მალმალე დახრილიყო.

ჩაათავა ვიწრო გასავლელი, მარცხნივ მოუხვია, ახლა მარჯვნივ გზას ფართო თხრილი მიუყვებოდა, მარცხნიდან კი ისევ ნაყოფით დახუნძლული ტოტები დაჰყურებდნენ.

— დალოცვლილი წელიწადია, ხეხილს ტოტები ემტვრევა, რამდენი დაისხა კაცო! — ჩაილაპარაკა ვანომ.

— თავის ნაკვეთს მიუახლოვდა, გზაზე ჩამოცვენილი ატამი ნაბადივით იყო გაფენილი. ვიღაცას ორთვალათი გადაევლო ზედ და სადაც მოხვედროდა, დაშაქრული, ლოყაწითელი ატმები დაეჭყლიტა.

— აბა, ამის ჩამდენს ნამუსი აქვს?! — ეწყინა ვანოს, ცხენი შეაჩერა, ორთვალადან ჩამოვიდა. — ეტყობა ლაზარემ ჩემსავით ვერ მოიცალა, თორემ ამდენ ატამს ეგრე როგორ გააფუჭებდა; ეხლა ის დროა, სამდღეში ერთხელ მაინც უნდა მოაკითხოს კაცმა აქაურობას, თორემ დალპება მშვენიერი ხილი. — ვანომ ატმის აკრეფა დაიწყო, მთელი გზა გაწმინდა და იქავე, ღობის კუთხეში მდგარ ქოხში დააქუჩა. — აუ, აქაც რა ბევრი ყრია! იმის დედაკაცს უნდა გავაგებინო, თორემ სულ დაულპებათ; ნეტა რა დაემართათ, ხომ არაფერი უჭირთ? — ახლა ცხენს წინ გაუძღვა და ისე შევიდა თავის ნაკვეთში. ვენახის გვერდით ათი მეასედი თავისუფალი ადგილი ჰქონდა, ყველაფერი მოჰყავდა იქ, წიწაკა, ბადრიჯანი, კიტრი, უფრო მეტი კი პამიდორი გადაერგო.

კიკინა პეტოს მის გვერდით ჰქონდა ვენახი, რომელიც მოუვლელობისაგან ბალახში იყო გახვეული; თავისუფალი ნაკვეთიც დაუმუშავებელი დაეტოვებინა, რამდენიმე კვალი ხახვის ჩათესვა მოეხერხებინა, მაგრამ ისიც აბრეშუმას და ბალახს მთლიანად დაეფარა.

ვანომ დიდი კაკლის ჩრდილში გააჩერა ორთვალა, ცხენს აღვირი აჰყარა და ბალახზე მიუშვა. ვენახს მშრომელი კაცის ხელი ეტყობოდა, საპატარძლოდ გამზადებული ქალივით იყო მორთული; სიამოვნებას ჰგვრიდა ვანოს თავისი ნაფერები ვენახის დათვალიერება. ტახტის თავზე გადაიარა, საბოსტნე ნაკვეთში შევიდა; თვალს ახარებდა გალაღებული პამიდვრის, ბადრიჯნისა და წიწაკის ნახვა. ახლოს მივიდა, ვერც ერთი მწიფე ნაყოფი

ვერ იპოვა. გულმოდგინედ შეამოწმა ყველა ძირი, ოდნავ შეწითლებული პამიდვრებიც კი დაეკრიფა ვიღაცას.

— უყურე შენ! — დღევანდელი ნამუშევარია, თორემ ეს ამოდენა მწვანე ნაყოფი შემღვრევას როგორ ვერ მოასწრებდა, — ჩაილაპარაკა ვანომ. — ბეჯითად უმუშავნია იმ უნამუსოს, ჩემთვის ერთი სასალათეც კი არ დაუტოვებია; თფუჰ! ზოგსაც კაცი ჰქვია, რაღა! ხელი ჩაიქნია და ბუტბუტით გამობრუნდა. — მუქთად ვიარე, მაგრამ იმ ფხუკიან პეტოს მაინც ავუტან წალამს.

ცხენი ღობის ძირას ლორთქო ბალახს მადიანად ბდღვნიდა. ვანომ აღვირში მოკიდა ხელი, ორთვალას კიკინა პეტოს წალამთან მიყვანა უნდოდა, ცხენი არ დაემორჩილა, მსუყე ბალახს მიეძალა, თითქოს ეუბნებოდა, ცოტა ხანს მაცალე, ნახე რა გემრიელი ბალახია, ამას მოვრჩები და მერე სადაც გინდა, იქ წავიდეთო.

— გეტკბილა? — აღვირს ხელი შეუშვა, ბალახს დახედა, —დალოცვილი, მართლა რა ერბოსავით არი, ლამის მეც მოვძოვო, — ჩაილაპარაკა და უცხენოდ წავიდა წალმის დასათვალიერებლად.

— გაზაფხულს აქეთ მანდ უყრია, ალბათ ბალახშია გახვეული, თალამს ვერ ააგლეჯამს ალბათ კაცი, — ასე ლაპარაკით მივიდა კიკინა პეტოს მიფერდებული ქოხის გვერდით დაყრილ წალამთან.

ერთ თალამს, რომელიც თუთის წნელით იყო შეკრული, დაავლო ხელი, ადვილად აჰყვა.

— ბიჭოს, ახლად გადალაგებულსა ჰგავს, — ჩაილაპარაკა და მეორეს დასწვდა, ისიც გადადო გვერდზე და თვალები გაუფართოვდა, პამიდვრის მოზრდილი გროვა იყო შენიღბული წალმის საფარქვეშ.

— აი, თურმე რატო არ უნდოდა, გამოვყოლოდი კიკინა შობელძაღლს! ეგრე ბეჯითად თავის ნაკვეთში რო ემუშავნა, ჩემზე მეტი ექნებოდა ყველაფერი, მაგრამ ხელმრუდობა ურჩევნია და რა ქნას.

კიდევ ააცალა რამმდენიმე თალამი და მთელი სიცხადით წარმოუდგა კიკინა პეტოს ნამოქმედარი.

— უყურე, კაცო! მწვანეებიც არ დაუკრეფნია?! ეტყობა მწნილის ჩადებას აპირებს. როდის დავუშალე საჭმელად ან სამწნილედ დაკრეფა, რაზე გაკიწა ამოდენა პამიდორი, ეგ ამის მომვლელია?! რა ვქნა ახლა, როგორ წავიღო წალამი? რომ მივუტანო, მიხვდება, პამიდორს ნახავდაო, არა და უხერხულია, ცარიელი როგორ წავიდე? სანახავი მყავს კაციო, რა კარგად მაიფიქრა! ახლა შარი ამიტეხა, ორთვალის თხოვება არ გინდაო, კიდევ კარგი არ წამოვიდა, თორემ ხომ დავიწვებოდი სირცხვილით. იმას რა უჭირს, ნამუსი ჩამორეცხილი აქვს. რა ვქნა ახლა? ხვალ დილით უნდა წავიდე ფერმაში, თორემ ორთვალას მე თვითონ მივუყვანდი, წალამი ამოიტა-მეთქი. არა, ეხლავე თუ არ წავუღე გაფუჭდება.

ვანომ ორთვალა წალამთან მიაყენა, ძარაზე მწვანე ბალახი დაფინა, ზედ რბილად დააწყო დამალული პამიდორი, მერე ათიოდე თალამი ჭალებზე ჩამოაცვა, პამიდორი რომ არ დაეჭყლიტა, კარგად დაუდო რაც წალამი იყო და სოფლისაკენ გასწია.

პირდაპირ პეტოს სახლს მიადგა.

— კიკინ! ჰაი კიკინ! გამო გარეთ! — დაუძახა მშვიდად.

პეტომ წალამდადებული ორთვალა რომ დაინახა, პირკატა ეცა, მიხვდა, ყველაფერი გამიგოო და ფერწასული თავის მართლებისთვის მოემზადა; თავის მართლება კი არა, მზად იყო ვანოს ფეხებში ჩავარდნოდა და შეწყალება ეთხოვნა.

— კიკინ, წალამი ამოგიტანე, ჩამოცალე და ჩემსკენ გადმოაგორე ორთვალა, დანარჩენისთვის კიდე სხვა დროს გათხოვებ, — ვანო პასუხს აღარ დაელოდა, გამოტრიალდა და დინჯად წავიდა.

პეტომ ხელის კანკალით ააძრო რამდენიმე წალამი ჭალს და უცებ გაშეშდა, ორთვალა ჭალებზე მიმაგრებულ ფიცრებამდე პამიდვრით იყო სავსე.

— ეს რა არის, კაცო, ნეტა ამით რისი თქმა უნდა? რა ვქნა ახლა, გადავუტანო და ვუთხრა, პამიდორი დაგრჩენია-მეთქი, არ გამოვა. თუ ჩემია შენ წალამში რა უნდოდაო, მეტყვის და შეიძლება კიდეც სახრე მიგრილოს ბეჭებში. არადა რას მიპირებს, ნეტა? რა ვქნა? ისევ ჩამოვცლი და ორთვალას მივუტან, ვითომ

არაფერი არ მომხდარა, ვნახოთ რას მეტყვის.

ვანოს ალაყაფის კარი ღია იყო, პეტომ ორთვალა ეზოში შეიტანა და ისე გამოიპარა, ხმა არ ამოუღია, ეშინოდა ვანო არ შემხვდესო.

მეორე დილით ადრე აპირებდა პეტო მინდორში გასვლას, მაგრამ როგორც კი სოფლის შარაზე გავიდა, ვანოს გადაეყარა, ორთვალა გაეჩერებინა და ცხენს მოსართავს უსწორებდა. პეტოს უნდოდა უჩუმრად აეარა გვერდი საქმით გართული ვანოსათვის, რამდენიმე ნაბიჯით გასცდა კიდეც და თავი სამშვიდობოზე ეგონა, რომ ვანოს ხმამ ადგილზე გააქვავა:

— კიკინ, რა ჰქენი, ის კაცი ნახე, ეგრე რომ გეჩქარებოდა?

— ჰო, ვნახე, — ანგარიშმიუცემლად უპასუხა პეტომ.

— რაო, რა მინდაო?

— არაფერი, ისე.

— ისე კი არა, არ გითხრა, როცა ცაცია ვანოს პამიდორს



მოიპარავ, მაშინვე წაიღე შინ, თორემ წალამში თუ დამალავ, შეიძლება დალპესო?

პეტო ენაჩაყლაპული იდგა.

— არც ის გითხრა, რომ თუ ეს შემთხვევა შენთვის გაკვეთილად არ იქცევა, სხვა დროს ცაცია ვანო მაგ „ტაჭკის“ ღერძივით გაწვრილებულ კისერში გტაცებს ხელს და დოლის გოჭივით შემოგაწყვეტავს იმ კაკლის ხეზეო? — ვანომ დაამთავრა საქმე, წინა ჭალს მოეჭიდა და ორთვალას შეახტა.

— აჩუ! — შეუძახა ცხენს და ისიც ადგილიდან დაიძრა. პეტოს რომ გაუსწორდა, შოლტი ლაზათიანად გაატყლაშუნა და ცხენი დააოთხა.

პეტოს ზურგი ისე აეწვა, თითქოს შოლტი მისთვის გადაეჭირებინოს.

— ჩაგისკდა მუცელი, ეხლა მაინც არ მაიშლი სხვის ღობე-ყორეში ცხვირის შეყოფას?! გეყო პეტო ხელმრუდობა, კაცურად იშრომე, ისწავლე სირცხვილი, თორემ ვისაც ნამუსი დაუკარგავს, დოლისგოჭივით არ ასცდენია კაკალზე შემოწყვეტება.

— ახლა რაღა დროსია და გაისად იგრე უნდა დავამუშაო ჩემი ნაკვეთი, ცაცია ვანოს ერთი-ორად გადავუხადო, რაც ვაზარალე, აი, ნახავთ! — მიიღო გადაწყვეტილება და ისეთი ამაყი და ბედნიერი ეჩვენა თავისი თავი აღარ მგონია, ეს უპირატესობა გაეცვალა ქურდის ჩაჩანაკ უსირხვილობაზე.

1965 წელი.

სამაგიეროს მოლოდინში

— არა, ეგ მე ნამდვილად არ დამინდობს, ეძებდა საკბილოს და იპოვა კიდეც, დამღუპავს! — ჩაილაპარაკა და პატარა მაგიდაზე დადგმულ ტელეფონს გადახედა. „ნეტა ვინ შევაწუხო და მივუგზავნო, რომ არ გამიმეტოს, ვის სიტყვას დაუჯერებს? ისეთი თავისნათქვამა იყო, რომ არა მგონია, ვისიმე სიტყვა შაისმინოს! ვაიმე, კაცო, ნამდვილად გამწირავს!“ — გაიფიქრა და ისევ ტელეფონს გადახედა. თითქოს ამ უიმედობიდან თავის დაღწევის რჩევას მისგან მიიღებსო. ტელეფონის ყურმილის აღება ვერ გადაწყვიტა, იმიტომ კი არა, ვინმესი ერიდებოდა, უბრალოდ არ იცოდა, ვისთვის მიემართა და შველა ეთხოვა; იჯდა კაბინეტში კოლმეურნეობის თავმჯდომარე სურენა ჭრელაშვილი და თავის დამძიმებულ ფიქრებს ებრძოდა. კაბინეტი აღარ ეჩემებოდა, მისი სივიწროვე ახრჩობდა; გალიაში დამწყვდეული ჩიტივით ფართხალებდა. მოზრდილი კაბინეტის ტყავის კარების გაღებისა ეშინოდა, ტელეფონის ზარის დარეკვასაც უფრთხოდა; სმენად იყო ქცეული, გარედან შემოსული ხმაური აღიზიანებდა. „არა, არაფრით არ დამინდობს, მაინც როგორ მიამიტად ჩავუვარდი ხელში; სხვა ვინც გინდა ყოფილიყო, მოვუვლიდი, ეგ საქვეყნოდ გამომაჭენებს და მომჭრის თავს. ვის მივმართო, ვის დაუჯერებს?! ადრეც მიდეგა იყო, ახლა ხომ მთლად გაუარესდებოდა: საკუთარი პეპლები ჰყავს და იმათ კარნახზე დადის, ეგ ვის მოუსმენს! თანაც ჩემი სული იგდო ხელში და...“ ფიქრი გაუწყდა. კაბინეტის კარი გაიღო და მანქანის მძღოლმა შემოყო თავი:

— ერთი საათით გარაჟში გადავირბენ, კარბურატორს გავაწმენდინებ, ცოტა ურევს და... — სურენა გაშტერებული მისჩერებოდა და ხმას არ იღებდა.

რაკი მძღოლმა პასუხი ვერ მიიღო, უხმოდ გაბრუნება ეუხერ-

ხულა, კაბინეტის კარები მიხურა და იქვე კედელთან გაჩერდა.

„... ნეტა ვინ შეიძლება რომ სთხოვოს?“ – გადაბა ფიქრი, ჯემალ ასანიშვილი და ის მეგობრები არიან, იმან რომ სთხოვოს?“ რაღაც იმედის სხივი გაუკრთა თავში.

„რა ყეყეჩივით იყურება ეს ოხერი“, – გაიფიქრა მძღოლმა, – „როდემდის უნდა ვიდგე ეგრე იატაკის ჯოხივით აყუდებული! ავდგები და გავალ, ეგ იგრეა რაღაცით დარეტიანებული, თავს მოვიჭრი თუ გაახსენდეს ჩემი აქ ყოფნა; წავალ გარაჟში და თუ მისაყვედურა, ვეტყვი, შენ არ გამიშვი-მეთქი“, დაასკვნა და ის იყო, გაბრუნებას აპირებდა, რომ სურენამ ენა ამოიდგა:

– ჯემალ ასანიშვილი ხომ არ ტრიალებს მანდ სადმე?

– დილასა ვნახე, მერე თვალი აღარ მომიკრავს.

– შე ოხერო! დილას ხომ მეცა ვნახე, – იწყინა პასუხი სურენამ. საათზე დაიხედა, – თერთმეტის ნახევარია, – ჩაილაპარაკა, – სადღა დაიჭერს ეხლა იმას კაცი?!

– მევენახეობის მეექვსე ბრიგადირს ეუბნებოდა, შაბიამნის ხსნარი მე უნდა დავაყენო, უჩემოდ არ გაბედოთ შეწამლაო; დილიდანვე იქ იქნება ნამდვილად.

– გავარდი და ეხლავე აქ მომგვარე!

– კარბურატორი ცოტა ურევს, იქნება მანამდე შემეკეთებინა.

– მე აგირევ შენა! ნახევარ საათში აქ იყოს, მერე თავში ქვა გიხლია!..

– რაო, რა გითხრა, მივდივართ გარაჟში? – ჰკითხა მისაღებში დაყუდებულმა დისპეტჩერმა.

– არა, ჯემალ ასანიშვილი მოძებნეო.

– მერე არ უთხარი, კარბურატორი მირევსო?

– ვუთხარი, აბა მაშ რისთვის შევედი!

– მერე, მაგ კარბურატორით როგორ უნდა მოძებნო?

– გაბრაზდა, მე აგირევ შენაო, წადი, ასანიშვილი მოძებნე და მერე ქვა იხალეო თავში.

– კიდევ კარგი, აგური არ გითხრა.

– რატომ?

– არ იშოვება, ჩვენი სააგურე გაჩერებულია და მეზობლებმა სამი მანქანა ცარიელი გამოგვიგზავნეს, ვერ გასესხებთ, ჩვენთ-

ვისაც არა გვყოფნისო.

— ჰო, შეიძლება არ ეყოთ, თუ იმათი თავმჯდომარე აგურის ხლას ავალებთ თავში.

— მომჭირნე კი არის ჩვენი თავმჯდომარე, მაგრამ პროგრესი მაინც საჭიროა.

— რაში მაგალითად?

— აი, რომ ეთქვა, სიმკარს დაეტაკე თავითო, უფრო ახლებური გამოუვიდოდა, თანაც ბევრი წვალება არ დაგჭირდებოდა ქვის აწევა-დაწევაში, ვინ იცის, რა ზომისა შეგხვდებოდა.

— მოგცლია შენც ერთი! დილით საგზურებს დაწერ და მერე მთელი დღე ლაქლაქებ, ახლა მე მკითხე, კარბურატორს თუ ნაკვეთში ეძგერა ინფარქტი, რა დღეში ჩავვარდები!

— არაფერია, ცოტა ადრე იხლი ქვას თავში; ყოველ შემთხვევაში, იქ შეიძლება არ იყოს, აქედან გაიყოლე, მე აგირჩევ კარგ მოზრდილს და მაგარს, მაგრამ იმედი არა მაქვს გაუძლოს შენ თუჯის თავს. გარაჟისკენ არ გადამატარებ?

— გესმის? — მძღოლმა შუბლზე მჯიღი მიიკაკუნა, — დუმ, დუმ! — პირით დაიძახა, — თუჯის თავს რა უნდა გააგებინო.

— კარგი, კარგი, კიდევ მომთხოვე ათი საგზური ერთად და მთელი თვისას ერთხელ ჩამაბარებ; თითო წვეთ ბენზინს გიანგარიშებ; საგზურსაც ყოველდღე შეგიმოწმებ, ერთს არ მოგცემ ზედმეტს.

— მომცემ კი არა, სიმკარს არ დაეტაკები თავით! — უთხრა მძღოლმა და სირბილით წავიდა.

— უყურეთ რა ხელად დანერგა რაციონალური წინადადება! — გაიკვირვა დისპეტჩერმა და ღიმილით ჩაუყვა კიბეს...

სურენას შუბლზე სიმწრის ოფლმა დაასხა, უკვე სამოც წელს მიღწეული კაცია და ჯერ ესეთი შეცდომა არ ჩაუდენია; ეშმაკი შეაჯდა მხარზე და სწორედ იმის ლუკმა გახდა, ვისიც ეშინოდა, თანაც სულ იმის ძაგებაში იყო და ხშირად ამბობდა, ფეხებზე მკიდია მაგისი კონტროლიო. მართლაც ეკიდა ფეხებზე, აბა, რას დაუშავებდა რაიონის სახალხო კონტროლის თავმჯდომარე, როცა საიმისოდ არ იხდიდა საქმეს; ამდენი წელი იმუშავა, დღე და ღამე სულ იმის ფიქრში იყო, როგორ დაეცვა

სახალხო ქონება ორფეხა ვირთხებისაგან; ვაი იმისი ბრალი, ვისაც მოატანდა თუნდაც უმნიშვნელო რამ რომ წაეღო უნებართვაოდ. რასაც ის სწორად თვლიდა, თუ მის საწინააღმდეგოდ მოიმოქმედებდნენ რაიმეს, თავზე მეხად ატყდებოდა ყველას.

შიშის ზარს სცემდა დიდსა და პატარას, არ იცოდა დანდობა და შეწყალება; მუდამ შუბლშეკრული დადიოდა, ამის გამო ასაკთან შედარებით მეტი ნაოჭებიც გაუჩნდა შუბლზე. არა, ის გაღიმებული არავის უნახავს, ოფიციალური იყო სამსახურში, ოჯახში და მგონი მეუღლის სარეცელშიც. ემსახურებოდა მინდობილ საქმეს, რომელსაც თავისი ერთფეროვანი სიცოცხლის თხუთმეტი წელი შესწირა.

ღრმად სწამდა და სჯეროდა, რომ შეუდარებელი ხელმძღვანელი იყო, მას დროთა განმავლობაში პირმოთნეთა მიერ ჩაწვეთებული შექების გესლიც შველოდა, შველოდა კი არა, სწორედ ეს იყო საწამლავი, თანდათან რომ სულ შეუბოჭა გონება და უცვლელი თავმჯდომარის ობიანი ნაჭუჭის ტყვეობაში მოაქცია. რა ეშველება კოლმეურნეობას უჩემოდ, კაცი არ არის, რომ თავმჯდომარეობა შეძლოს!.. ამას ჯერ თავისთვის ფიქრობდა ხოლმე, მერე კი ისე ირწმუნა და გათამამდა, ხმამაღლა დაიწყო ამ შეშფოთების გამოთქმა; ბოლოს უკვე საერთო კრებაზეც თქვა და, ზოგს თუ რაღაც კიდევ სჯეროდა, უფრო ნათელი გონების ადამიანთა თვალში ჩიავდებოდა და სინანულის გრძნობას, იწვევდა. ასე იყო თუ ისე, თავი უცვლელ-უბერებელი ეგონა. ამიტომაც იყო, რომ ყველას ზევიდან ბატონკაცურად დაჰყურებდა. ამხანაგზე და მეგობარზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, სხვა კოლმეურნეობების თავმჯდომარეებსაც კი რაღაც უპირატესობის მქონე კაცის ფაფხურით ხვდებოდა. არა, მისი მსგავსი, ტოლი და სწორი ჯერ არ დაბადებულიყო ამ სოფელში, რაიონშიც ძნელად მოიძებნებოდა.

უცებ შეუჩნდა შიშის ჭია და მთელი ამდენი ხნის ნაგები ილუზიის კოშკი თითქმის მთლად ეშლებოდა. თავისი გოროზი სიამაყე თუ მშრალი, დაუსაბუთებელი და უმიზნო სიმკაცრე უხუნდებოდა და ახლადფეხადგმული საღი სინამდვილის ზეგავლენით გაქრობას ლამობდა. მთელი თავისი ცხოვრების წლები

თვალთა თუ გამძაფრებული ფიქრების წინ მიქროდა და რასაც ადრე სრულიად მართებულად თვლიდა, ახლა რაღაც სინანულის გრძნობას და არასასიამოვნო ჟრჟოლას ჰგვრიდა.

— ნამდვილად შემეშალა, ეშმაკის გზაზე დავდექი, ადრე ხომ არ ჩამიდენია ამგვარი რამ! ცოტა ბოლო დროს შევაჩვიე ხელი პატარ-პატარა უკუღმართობას; შინ ხორბალი, ქერი და სიმინდი მიმიტანია ტომრებით პირუტყვის საჭმელად, ან ჩემთვის რა მოხდა, ეს ხომ არ დააქცევდა კოლმეურნეობას?! ბოლო დროს უკვე ტონობით დავყარე კალოზე შემოსავალში აუღებელი ქერი და ნელ-ნელა ვაპირებდი გაყიდვას, მეტი მოვინდომე და ეგე! შევცდი, განა შეიძლება ამის გამო ჩემი გამოცდილების კაცის გადაგდება?! ოღონდ ეხლა ამ საქმეს გადავრჩე და, მარცვალი რა არის, მარცვალს არ გავეკარები ხელმრუდედ; მაგრამ ვის უნრდა გავაგებინო? იმ ლაწირაკს, რომელსაც ჩემი სისხლი სწყურია და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორმე მავნოს! ჩემი დაღუპვით ხომ უფრო მეტ ზიანს მიაყენებს საერთო საქმეს. ეხლა რომ ვინმემ გამომიძახოს და მითხრას, ცუდად მოქცეულხარ, გაპატიებთ და შემდეგში ასეთი შეცდომა აღარ მოგივიდესო, ხომ ერთი ათად ვიქცევი, საერთო საქმეს დავადნები და მხოლოდ მისი აყვავებისთვის ვიზრუნებ. ეხ, ეს რომ გამიგოს კაცის გულია საჭირო; მე ამას ჩავიდენდი? არა, ძმაო, არა, ბოროტები და დაუნდობლები არიან, ვითომ საქმეს აკეთებენ, რაღაც პატარა შეცდომაზე ხალხს უფსკრულში უბიძგებენ და სამუდამოდ უკარგავენ რწმენას; ჩემზე უნდა იყოს და... „განა შენ კი დაგინდვია ვინმე! მხოლოდ დასჯა და დაჭერა გეკერა პირზე, საქმითაც ხომ პირდაპირ დესპოტი იყავი. რა დაგიშავა ფუტკარაანთ ზალამ, ციხეში რომ ამოაყოფინე თავი?!“ — ჩაესმა იდუმალი ხმა და შეაჟრჟოლა. ვინ იყო, ნეტავ? საკუთარი გულისთქმა ედავებოდა სურენას.

ფუტკარაანთ ზალა გაახსენდა, შუბლზე ისევ ცივმა ოფლმა დაასხა.

ივლისის ცხელი საღამო იდგა. სოფლის ბოლოში მოწყობილ საველე კალოს ფარდულში მთელი დღის შრომით დაღლილი კაცები შეკრებილიყვნენ.

— კარგი, ბარაქიანი მოსავალი კი მოგვივიდა, მაგრამ მოგვწყვიტა წელი ამ დალოცვილმა, გაწმენდას ვერ ვასწრებთ.

— ოღონდ იყოს და მუშაობას ავიტანთ.

— ატანით ავიტანთ, მაგრამ ერთი კოჭლი ცხვარი რომ დაეკლათ და გვექეიფნა, არ გვაწყენდა ნამდვილად.

— მოსავლის აღების დამთავრებისას მოზვრის დაკვლა ჰქონია გადაწყვეტილი ჩვენს თავმჯდომარეს.

— ეგ ისედაც იქნება, მაგრამ მანამდე სული ხომ არ უნდა ამოგვძვრეს, კაცო!

— კარგი შენც ერთი, რა გვაკლია, ოღონდ ჭამა შევძლოთ და სახლები აქვე არა გვაქვს, ყურის ძირში?!

— ბიჭო, მარტო ჭამა ხომ არ არის, ეხლა თითო ჭიქა ღვინო რომ გადაგვეკრა და ჩვენი ბარაქიანი მოსავალი გვედღეგრძელებინა, ამით რა დაშავდებოდა? შე კაი კაცო, ჰექტარზე ოცდათორმეტი ცენტნერი კარგა ხანია არ მახსოვს, რომ მოგვეწია.

— ფათრეკიაანთ მიტომ გუშინ გახსნა ახალი ქვევრი, თურმე იგეთია, როგორც დევის სისხლი, პირდაპირ ჯანში მიდის.

— ვინა ნახა?

— ერთი ჭიქის დალევა მომიწია.

— რამდენადა ყიდის?

— ხორბალზე სცვლის თურმე.

— წონას წონაზე არ მოგვცემს?

— სხვას არა, მაგრამ ჩვენ გამოგვატანს.

— ჰოდა, აგაშენა ღმერთმა, ამ საღამოს დასალევი გვიშოვია. რა უჭირს, ამხელა ხვავებს ნახევარი ტომარა რომ მოაკლდეს, თანაც ისევ ჩვენთვის არ გვინდა?

— ჩვენთვის გვინდა, აბა რა, არაფერიც არ უჭირს, ვინ რა უნდა თქვას, ეხლავე გავგზავნოთ კაცი ფათრეკაანთ მიტოსთან.

— ვინ წავა?

— ფუტკარაანთ ზალა წავიდეს, მაგაზე ახალგაზრდა არავინ არის, თანაც მორჩილი ბიჭია. — გადაწყვიტეს ერთხმად.

ფუტკარაანთ ზალა ობოლი ბიჭი იყო, მამა ომში დაეღუპა, დედაც კარგა ხანს ავადმყოფობდა; ერთი წლის წინ დაასაფლავეს. ბაბო და პაპა დარჩა და იმათთან ცხოვრობდა. დაუზარელი

ბიჭი დღე და ღამ კოლმეურნეობაში იყო, მისი ხელი არ გაჩერდებოდა, ყველას უყვარდა; ჰოდა, ახლაც გადაკვრის საღერღელაშლილებმა მას დაავალეს ფათრეკაანთ მიტოსთან ტომრით ხორბლის წაღება და ღვინოზე გადაცვლა.

— უთხარი, თავისივე ჭურჭლით გამოგატანოს, არ დაგიკარგამთ-თქო, — დააბარეს...ის იყო ტომარა გადაკიდებული ზალა სოფლის ორღობეში უნდა შესულიყო, რომ თავმჯდომარე — სურენა ჭრელაშვილი შემოხვდა.

ტომარა მოიხსნა, მიწაზე დადო და ღიმილით მიესალმა:

— გამარჯობა, ძია სურენ!

არ უყვარდა სურენას, როცა მისალმებას უბედავდნენ; თვითონ შუბლშეკრული დადიოდა, თავსაც არავის დაუქნევდა. უხმოდ ჩავლას აპირებდა, მაგრამ ამ მისალმებამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო; სალამზე პასუხი არ გაუცია, ისე, სხვათაშორის გადაუგდო სიტყვა: — რას დადიხარ, ბიჭო, ამ შებინდებისას! — და გზის გაგრძელებას აპირებდა, არც პასუხს მოელოდა.

მაგრამ ზალამ ალალი გულით წამოიწყო:

— კალოდან მოვდივარ, ძია სურენ, კაცები დაიღალნენ და მიტოსთან ხორბალი გამატანეს, ღვინოში გაუცვალეო.

— რაო, რაო! — ღრიალით მოუბრუნდა სურენა.

— ხორბალი მიმაქვს, ღვინოში უნდა გადავცვალო მიტოსთან და კალოზე წავიღო, — გულწრფელად უპასუხა ზალამ.

სურენა მაშინვე ტომარას ეცა, პირი გადაუწია და მარცვალი ხელში მოსრისა.

— უყურე ამ გაოხრებულს, კალოდან მოუპარია! მე შენ გიჩვენებ სეირს!

— არ მომიპარია, ძია სურენ, კალოდან გამომატანეს, ღვინოზე გადაცვალეო.

— მე შენ გადაგიცვლი! მაიცა, მაიცა! აიკიდე და გამომყე! — უბრძანა შეშინებულ ბიჭს.

მალე კოლმეურნეობის კანტორაში უბნის რწმუნებული გამოიძახა, აქტი შეუდგინა და ზალა რაიონის მილიციაში გაგზავნა. არავისმა თხოვნამ არ გაჭრა სურენაზე; მთელი კალოს ხალხი ეწვია: ოღონდ ეგ ბიჭი გამოაშვებინე და ათმაგი ენერგიით ვიმუ-

შავებთ, შენ მზეს ვილოცებთო. ვერც ზალას ბებოსა და პაპის ცხარე ცრემლებმა მოულბეს გული, დააჭერინა ბიჭი, ეს სხვებსაც დაუკარგავს ქურდობის მადასო.

დაუნდობელი და შეუვალი იყო სურენა თავმჯდომარე, მაგრამ ახლა?

იმ ამბის გახსენებამ სინანულის გაუყუჩებელი ტკივილი მოჰგვარა.

„რა აუცილებელი იყო იმ ბიჭის ციხეში ჩასმა, განა ამით ასარგებლე კოლექტივი? თუ ერთი კარგი მუშა ახალგაზრდა დაუკარგე და თანაც მთელი ხალხის გულისწყრომა დაიმსახურე. გამოვიდა ზალა ციხიდან, მაგრამ მას შემდეგ კოლექტივს სათოფეზე აღარ ეკარება; ვითომ არა ნანობ?“ – აჩურჩულდა იდუმალი ხმა. სურენამ ხელი აიქნია, თითქოს აბეზარ ბუზს იშორებსო. ხმა დადუმდა, თუმცა რაღაცის თქმას კიდევ აპირებდა. აღარ უნდოდა რამეზე ეფიქრა, მაგრამ შემოჩენილივით მოეძალნენ არასასიამოვნო მოგონებები, რამდენი არ სცადა, ვერაფრით მოიცილა, იძულებული გახდა სიმწრის ოფლის წმენდით მათ კვალზე ეარა.

ტიტიკო მეურმე დაუდგა თვალწინ, იმასაც ხომ ალესინა ციხე და მეძროხეობის მწყემსი თურმანაც ზედ მიაყოლა.

ტიტიკო არხის პირას ჩალას ჭრიდა, კამეჩების ბინის გადასახურად ეზიდებოდნენ. სურენამ მანქანა გააჩერა, წყალი სწყურებოდა, საკოკესთან მივიდა და ამ დროს დაინახა ურემზე დაფენილ ბალახზე სამი კვერი ძროხის ყველი იდო.

– საიდანა გაქვს ეს, ტიტიკო? – შეეხმიანა მეურმეს.

– რა, ურემი? კოლექტივისაა. ყველი ჩემია, მეძროხეებს ერთი ურემი შეშა მივუტანე და მწყემსმა თურმანამ გამომატანა.

– ვისი გამოგატანა, თუ იცი!

– ეგ თურმანას ეცოდინება.

– თურმანაზე უკეთ მე ვიცი, ორივენი ქურდები ხართ და კოლექტივის ქონების გამნიავებლები! – აყვირდა სურენა.

მოკლედ, ტიტიკომ და თურმანამ ზალას ბედი გაიზიარეს.

„ეხ, სურენ, განა შენ კი არ წაგიღია შინ ძროხის ყველი, სამი კვერი რა არის, მაგრამ ვინ გიანგარიშა!.. ჰოდა, რაკი არა-

ვინ მოგდავებია, იმიტომ სხვაზე პატიოსანი ხარ? ან რადგან თავმჯდომარე გქვია, შენთვის ყველაფერი დაშვებულია? განა ტიტიკო და თურმანა რომ დაიჭირეს სამი კვერი ყველისათვის, იმის ერთი კვირის წინ გუდებით არ მოგიტანეს შენ, ცხვრის ყველი? ძროხისას ხომ ანგარიში არა აქვს; მაშ, რათ გაწირე ის საცოდავი ხალხი ესე უწყალოდ?! რა, შენ არ იყავი მოვალე, რომ თურმანასთვის ბინაზე შეშა მიგეტანინებინა? რა ქნა, შინ ხომ არ წაიღო ის შეშა, ბინაში არ დარჩა? რათა გგონია, რომ შენ სულ სხვა, განსაკუთრებული პიროვნება ხარ, რომელიც წესდებით გათვალისწინებულ ნორმებზე მაღლა დგას!“ — აბეზარი იდუმალი ხმა არ ასვენებდა, უწამლავდა ისედაც მოწამლულ გუნებას.

— აღარ მინდა, აღარ! — ხმამაღლა დაიძახა და ისევ აიქნია ხელი შავი ფიქრების მოსაცილებლად. შავი ფიქრები კი არა, სინდისის სამსჯავროს წინ იდგა და მონანიების ღადარში იწვოდა, იღვენთებოდა.

„თუნდაც მძღოლი — ლადო მინდორაშვილი ძველი ბოგირი რომ ჩაენგრა, ძლივას გადარჩა ცოცხალი, შენ კი დააჭერინე, ახალი მანქანა დამინგრიაო, განა იმ ბოგირზე გადასვლა შენ არ დაავალე, ან რამდენჯერ გითხრა, შეკეთებაა საჭიროო. რამდენს გეხვეწა ლადო, მანქანას ჩემი სახსრებით აღვადგენო, შეაგდე ქვა და შეუშვირე თავი, ლადო ციხეში გაგზავნე, კოლექტივს კი დანგრეული მანქანა დარჩა. ვინ დაგინდვია, ვინ! ერთი კაცი მაინც მითხარი. განა თვითონ გურამ კოჭლამაზაშვილს არ დასდევდი დასაჭერად, მაგრამ ვერაფერი მოუხერხე! რაღა გინდა ახლა, ვისგან მოელი შენდობას?! ვერ ეღირსები, ვერა!“ — არ ისვენებდა იდუმალი ხმა.

— უუუჰჰჰ! — ამოიხვნეშა სურენამ და ახლა ორივე ხელი აიქნრია.

ტელეფონის წკრიალმა გამოაფხიზლა. შეხტა. უცებ აიღო ყურმილი, ცოტა ხნის წინ ეშინოდა მისი, ახლა კი შვებად მიიღო ტელეფონის შეხმიანება, სულის შემხუთავ ფიქრებს გაეშვა და შვებით ამოისუნთქა.

— სურენ ნესტორიჩი ბრძანდებით? — გაისმა ყურმილში.

კინაღამ დამბლა დაეცა, უცებ პასუხი ვერ მოახერხა: — მმმე ვარ, გურამს ვენაცვალე... — ისე თქვა, თითქოს პირში ცხელი კარტოფილი უდევსო.

— ამ დღეებში ხომ არ მოგიხდებათ რაიონში ამოსვლა?

„ეშმაკის ფეხი ხარ, შე გველის წიწილავ, განა არ ვიცი მაგ თავაზიანი სიტყვების უკან რა იმალება?! ალბათც უკვე მომზადებული გაქვს ჩემთვის ყველაფერი, გურამ კოჭლამაზაშვილო, მაგრამ რა ვქნა, რაც არი არი, არც მე დამიკვლია შენთვის ცდა, ვაი დედასა, როგორ დამიძვერი! ეხლა ერთს ათად მიქცევ, აბა მაშ რას იზამ. მე ვიყო შენ ადგილას, მაგ თავაზიან სიტყვებსაც არ გაღირსებდი“, — გაიფიქრა და მოთაფლული სიტყვებით უპასუხა:

— გურამს ვენაცვალე, თუ საჭიროა, ახლავე მანდ გავჩნდები!

— საჩქარო არ არის, ისე კი თუ დროზე შემოივლით...

— რა არის, კაცო, რამე ცუდი ხომ არაფერი მომხდარა?

— როგორ გითხრა, როცა მობრძანდებით, გაიგებთ; ყოველ შემთხვევაში, არც თუ სასიამოვნოა თქვენთვის.

სურენას ისევ დაასხა სიმწრის ოფლმა და მუხლებში ჟრუანტელმა ჩაუარა. კიდევ კარგი რომ იჯდა.

— ახლავე რომ ამოვიდე?

— თქვენი ნებაა, მე დღეს საღამომდე ადგილზე ვარ.

— მოვდივარ!

— აბა, მაშინ ნახვამდის, — მოსაუბრემ ყურმილი დადო.

— უხ შენი! — ტელეფონს მუშტი მოუღერა და ყურმილი მთელი ძალით დაახეთქა.

რა ვქნა? მოვდივარ-მეთქი, რომ შევპირდი, რის იმედი უნდა ვიქონიო? ყველაფერი იცის, ერთი თითის გატოკება და ჩემი ბუმბული უქაროდ აფრიალდება ცაში. რა ვქნა, რისი იმედით წავიდე?!

სავარძელში გადაესვენა და ჭერს მიაშტერდა, ახლა აღარაფერზე ფიქრობდა, უსაზღვრო სიცარიელე იყო მის გონებაში; ერთფეროვანი, უაზრო, უმიზნო უფერულობა. ამდენმა განცდებმა დაღალეს. თვალები ეხილა, არ ეძინა, მაგრამ არც ეღვიძა, იყო ამგვარ ყოფნა არ ყოფნაში და თუ ვინმე ეტყოდა, ყოვე-

ლივე რაც მოხდა, სიზმარი იყოო, სალოცავ ხატად აისვენებდა გულზე.

კარები გაიღო. გამოერკვა. სავარძელში შესწორდა. კაბინეტში შუა ტანის შავგვრემანი, ზანგივით გაშავებული, თმახუჭუჭა ახალგაზრდა შემოვიდა.

— მე მეძებდით? მძღოლმა ჰაიჰარად ამომიყვანა, უფროსს საჩქაროდ სჭირდებიო, — მაგიდას უახლოვდებოდა და თან ლაპარაკობდა.

— ჰო, რა ვიცი, რჩევა მინდოდა მეკითხა... შაბიამნის ხსნარს აყენებდი არა? ერთი საკითხია გასამართი და... რამდენი საქმე მაქვს, ეს ოხერი ამინდიც კრიჭაში გვიდგას, — მიკიბმოკიბა აზრები ჯერ კიდევ უწონობის მდგომარეობიდან გამოუსვლელმა სურენამ.

— ზედიზედ გაწვიმდა, ცოტა სეტყვაც წამოურია, თორემ რაღა დროს წამლობა იყო, ჭრაქზე მაინც საშიშია და თავის დაზღვევაა საჭირო.

— კარგია, კარგი! ხომ არ გინდა რაიონში გავიაროთ, რამდენი ხანია გურამი არ გინახავს, ძველი მეგობრები ხართ, გაისაუბრეთ და ერთ-ორ საათში ისევ უკან გამოვბრუნდებით.

„ნეტა რა ჭიამ უკბინა“, — გაიფიქრა ჯემალ ასანიშვილმა, — „ფხაჭაგლეჯით წამომიყვანა ამისმა მძღოლმა, დასეტყვილი ნაკვეთებისათვის შაბიამნის ხსნარის შემზადებაც არ დამაცადა, ეხლა კიდევ მეუბნება, რაიონში გავისეირნოთ, გურამი ნახე, გაესაუბრეო, მაგის დროა?! ან როდიდან გახდა ესეთი ყურადღებიანი, გურამი ჭირის დღესავით ეჯავრება და რადგან ჩემი მეგობარია, შარსა და საყვედურებს არ მილევს“.

ჯემალ ასანიშვილი და გურამ კოჭლამაზაშვილი ტოლები იყვნენ, ერთად დაამთავრეს საშუალო სკოლა, ერთდროულად შევიდნენ უმაღლეს სასწავლებელში, ჯემალი აგრონომი გახდა, გურამი — ზოოტექნიკოსი და ორივემ სწავლის დამთავრებისთანავე კოლმეურნეობაში დაიწყეს მუშაობა. ჯემალი მორჩილი, დამთმობი და თავმჯდომარის ყველა დავალების სიტყვაშეუბრუნებლად შემსრულებელი იყო, თუნდაც არასწორი და აგროტექნიკურად გაუმართლებელი ყოფილიყო; ეტყოდა კიდეც სურენას,

ეგრე არ შეიძლებაო, მაგრამ იცოდა, ვერაფერს შეასმენდა, პირიქით, მისი რისხვა მეხივით დაატყდებოდა: — რა იცი, რაღაცა წაგიკითხავს წიგნებში და გგონია ბრძენი ხარ, ცხოვრებაზე წარმოდგენა არა გაქვს; მე ამოდენა პრაქტიკული გამოცდილება შევიძინე, აგრონომზეც მეტი ვიცი, ზოოტექნიკოსზეც და ყველაზე, თუ სოფლის მეურნეობაში რამე მეცნიერება არისო. მორჩილი ხასიათი ჰქონდა ჯემალს, არ იცოდა შედავება, თუმცა დარწმუნებული იყო თავმჯდომარის ჯიუტ ახირებას სიკეთის მოტანა არ შეეძლო. ყოველთვის მასთან უნაყოფო დავას, ხელის ჩაქნევას არჩევდა ხოლმე; ამიტომაც იფერებდა სურენა გურამის განუყრელ მეგობარს, თორემ იმისი სიძულვილით აქამდე მოიშორებდა. არა და გურამი სულ განსხვავებული ხასიათისა იყო: პირდაპირ მთქმელი და შეუპოვარი, სურენას ხშირად ედავებოდა.

მამაპაპურად მეცხოველეობის მართვა აღარ გამოდიოდა, გურამი ახალი, პროგრესული მეთოდების დანერგვას მოითხოვდა, თავმჯდომარე კი ისე იყო კონსერვატორის ნაჭუჭში ჩაჭედილი, ამის გაგონება არ სურდა:

— ბიჭო, ჯერ დაბადებულიც არ იყავი, მე რომ საქონელს ვწყემსავდი, ჩემზე მეტი რა უნდა გესწავლა იმ ინსტიტუტში, მიყურე შვილოსა და ისწავლე საქმე, თორემ ეგრე ქარაფშუტობით თავს შეირცხვენ მხოლოდ! საქმის წახდენას ვინ დაგანებებს, ათი თვალი და ათი ყური მაბია, — უთხრა ერთხელ გურამს მორიგი საკითხის განხილვის დროს.

— ძველი, მამაპაპური მეთოდით შორს ვეღარ წავალთ, საქონელიც დაკნინებულია, ჯიშობრივი გაუმჯობესება არ ხორციელდება, ჩვენი ძროხები თხებივით იწველებიან, ფერმის მექანიზაციაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, მექანიკური წველა არცერთ ბინაში არა გაქვს დანერგილი; მეცხვარეები ისევ დუქარდით პარსავენ ცხვარს; საჭიროა რადიკალური ზომების განხორციელება, თორემ ეგრე ძალიან ჩამოვრჩით.

— ვინ ჩამორჩა, ბიჭო, ჩვენა? სიზმარი ხომ არ გინახია! ელაპარაკეთ ეხლა ამას; ჩვენი ძროხები თხებივით იწველიანო, ჯიშობრივი გაუმჯობესებაო, მექანიზაციის დანერგვაო, აი, მაგან

იცის სწორედ ბარაქის გაქრობა. ძალიან კარგად მივდივართ შვილოსა, და ხელს ნუ გვიშლი! ჩვენი წინაპრები ამ გზაზე მიდიოდნენ, ჩვნც ეგრე უნდა ვიაროთ; მადლი უნდა რომ დაუკარგოს ჩვენ შრომას.

— მადლი ახლა აქვს დაკარგული, ხალხი წელში გაწყდა აუტანელი შრომით, შედეგი კი მცირეა; სად გაგონილა პირუტყვის ბინიდან ნაკელის ხელით გახვეტა, როცა ტრანსპორტიორის მოწყობა შეიძლება, არა სჯობია შვიდასლიტრიანის ნაცვლად ისეთი ძროხები ვიყოლიოთ, რომლებიც ორიათას ლიტრზე ნაკლებს არ მოიწველიან.

— მერე ბიჭო, იმათ მოვლა რომ უნდათ, არ იცი?

— ვიცი და იმიტომ მოვითხოვ მექანიკურ წველას, საკვების შესამზადებელი საამქროების მოწყობას, ხელოვნური დათესვლა ხომ აუცილებელია.

— გაიბლანდე შვილოსა, ფანტაზიებში და გინდა ჩვენც დაგვაბნიო. არა, ვერ მოგართვით! არ იმუშავებ როგორც წესი და რიგია, აგიკრამ გუდანაბადს ჩვენი კოლმეურნეობიდან, სანამ უბედურებას არ გადაგვკიდებ.

— მე როგორც წესია ისე ვიმუშავებ, ეს მავალია სწორედ და ვერავინ ამიკრძალავს საქმის სასიკეთო ღონისძიებების გატარებას, რასაკვირველია, რაც ჩემს ძალას არ აღემატება. თუ მხარს არ დამიჭერთ, რასაც შევძლებ, აუცილებლად ვეცდები.

— ბიჭო, ტაბიკების მტვრევას თავი დაანებე, თორემ მოგიგრეხამ კისერს. საქმეს მიხედე, ყბედობას მოეშვი!

— საქმის მიხედვა რომ მინდა, ამიტომ მოვითხოვ ყვოელივე ამას და სანამ ვიმუშავებ, ვეცდები ამ პრიმიტიულ მეცხოველეობას როგორმე დავაღწიოთ თავი.

— მე გაგაპრიმიტიულებ შენა! გამომიჩნდა ახლა ჭკუის მასწავლებელი; ბალღო, ხომ არაფერი მოგლანდებია?! გეუბნები, თავს მიხედე და იმ მწყემსებს დაუჯერე, ჩემ თავს აღარ ვამბობ, თორემ სოფელს ვინა ჩივის, რაიონში არ გაგაჩერებ!

— რაც სწორი და სასიკეთოა, იმას უნდა ემსახუროს ყველა, მეც ამას მოვითხოვ. ამისათვის კი არც რაიონიდან და არც სოფლიდან არ ასახლებენ ხალხს.

— კარგი, კარგი, მე მოგივლი შენ! — დაემუქრა სურენა და ამ კამათის შემდეგ მათი წინააღმდეგობა უფრო გაღრმავდა.

თავმჯდომარე ყოველივე სიახლის სასტიკი მტერი იყო, ვერაფრით შეგუებოდა ძველის, დრომოჭმულის მიტოვებას, გურამი კი მთელ ენერგიას პროგრესული მეთოდების დანერგვას ახმადა. ვერ გადაიყვანა თავმჯდომარემ იგი თავის რელსებზე. ამის გამო უფრო და უფრო გაბოროტდა და სახალხოდ ლანძღვა დაუწყო. გამგეობის სხდომაზე და საერთო კრებებზე მომენტს არ უშვებდა, რომ გურამის მისამართით ღვარძლი და მუქარა არ გადმოენთხია, თუმცა არც გურამი რჩებოდა ვალში. აქამდე მოხსნიდა და გააგდებდა კოლმეურნეობიდან, მაგრამ მთელი რაიონის ზოოვეტსამსახურის მუშაკები დიდად აფასებდნენ გურამს, ხშირად ისმენდნენ მის რჩევას რაიონში განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ; ხელმძღვანელობაც აფასებდა განათლებულ, ინიციატივიან და ენერგიულ მუშაკს, თათბირებზე აქებდნენ, კარგი ახალგაზრდა ზოოტექნიკოსი გყავს, მაგას მალე რაიონში წავიყვანთო, რამდენჯერმე მდივანმაც უთხრა და ამის გამო ველარ მოახერხა გურამის ერთი ხელის გაქნევით მოსპობა; ისე კი რაც შეეძლო, ცდა არ დააკლო. რაკი მას ვერაფერი მოუხერხა, მის ძმაზე მიიტანა იერიში. მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელად მუშაობდა, ბევრი ეცადა, უნდოდა რამეში გამოეჭირა, რომ საპროკურატურედ გაეხადა საქმე, მაგრამ ვერ შეძლო. გეგმები შესრულებული ჰქონდა, მაგრამ ნაკვეთები არ დაგიმუშავებიაო მოუმიზეზა და მოხსნა, ისე მოიძულა ბრიგადაშიც კი აღარ უშვებდა რიგით წევრად. მალე გურამის დედაც გაანთავისუფლა ვეტფერშლის მოვალეობისაგან და ახლა მის ნათესავებზე მიიტანა იერიში. გურამი კი ჩვეულებრივად წარბშეუხრელად განაგრძობდა თავის მიერ არჩეულ გზაზე პრინციპულად, მომთხოვნელად, ყოველივე პროგრესულის დანერგვისაკენ ლტოლვას.

მძიმე ხასიათი ჰქონდა სურენა ჭრელაშვილს, გული შესტკიოდა საქმისათვის და კოლმეურნეობისათვის, მაგრამ ყველაფერი თავისებურად ესმოდა და არავისი რჩევა არ სჭრიდა მასზე. თუკი ვინმე შეეკამათებოდა და თავის აზრის დაცვას დაიწყებდა,

რომელიც მას არ მოსწონდა, თავმჯდომარე მას მტრად მოეკიდებოდა და მის დაუნდობლობას საზღვარი არა ჰქონდა.

— რა ვქნათ, ჯემალ, წავიდეთ რაიონში? — დიდი ხნის დუმილის შემდეგ ამოიღო ხმა თავმჯდომარემ.

— როგორც იტყვით.

— წავიდეთ მაშინ, გურამს რაღაც მასალები ჩაუგდია ხელში და იქნებ როგორმე გავაჩუმოთ.

— რა მასალები?

— იმ შობელძაღლ საწყობის გამგეს ქერი წაუღია და მაგის ბიჭებს დაუჭერიათ. ეხლა ხომ იცი, მოგვდგება და ვინ იცის რა არ მოგვიგონოს.

— გურამი ისეთი ბიჭია, ტყუილს არაფერს მოიგონებს.

— ტყუილი არა მაგრამ, ცოტაოდენი ქერი ჩავყარეთ ხარჯების გასასტუმრებლად და შხამად ამოგვადენს. იქნება შენ უთხრა, შეგვეშვას, ხომ არ გერიდება?

— არა, რატომ უნდა მერიდებოდეს, მაგრამ იმისი ხასიათი რომ ვიცი, თვითონ როგორცა სჯერა და სწამს, მხოლოდ ისე იქცევა, უფრო სწორად, რაც კანონია იმას გააკეთებს.

— გააკეთებს, მაგრამ ჩვენც ხომ უნდა გაგვიწიოს პატარა ანგარიში.

— მე ვთხოვ და...

— წავიდეთ, ცდა ბედის მონახევრეაო, მაგრამ გურამი მე დამინდობს?! ჩემი სისხლი სწყურია.

ორივე ეზოში ჩავიდნენ.

— ნესტორიჩ, ცოტახანს გარაჟში გადავირბენ, — შეაგება მძღოლმა მანქანასთან მისულ თავმჯდომარეს.

— ბიჭო, რა წანწკარა ჩიტივით აგიტანა წერამ, გაგაგარაჟებ მე შენა! — შეუღრინა მძღოლს, წინა კარები გამოაღო და სავარძელში გაიჭიმა, — დაჯექი! — თვალით ანიშნა ჯემალს უკანა სავარძლისაკენ.

მძღოლი ხმის ამოუღებლად მოეწყო საჭესთან და სტარტერი ჩართო. ძრავმა რამდენჯერმე ამოიოხრა, ამოახველა და რიტმდარღვეულად ამუშავდა.

— მოკლედ, ეს კარბურატორი პირდაპირ...

— პირდაპირ მოგცემ მე შენა! — შეუღრინა თავმჯდომარემ, — სულ რაღაცა უნდა გქონდეს მოშლილი.

— რა ვქნა, ნესტორიჩ, ერთი წუთით ვერ ვიცლი, რომ ტექ-მოვლა ჩავუტარო. ეს ოხერი „პერპეტუბილი“ ხომ არ არის ეგრე ქარის ამოუღებლად იმუშაოს.

— პერპეტბილი რაღა ოხრობაა! — შუბლი შეიკრა თავმჯდომარემ.

— ყოფილა ეგეთი მანქანა, არაფერი არა სჭირდება თურმე, სულ დადის და დადის.

— ეგეთი მანქანა პაპაშენ ქიტას ედგა თავში, სულ დადიოდა და დადიოდა, კაპიკის საქმე არ გამოუვიდოდა ხელიდან; არც შინაურებისთვის ვარგოდა და არც გარეულებისთვის, ეგრეც წავიდა სულელურად, როგორც იცხოვრა.

— შენ რაც გინდა თქვი, ერთი ეგეთი მანქანა მაშოვნინა და მე ვიცი მემრე. ამბობენ, ძალიან ძვირი ღირსო.

— პერპეტუმობილე — ესეთი მანქანა არ არსებობს, ეს მხოლოდ ადამიანის უტოპიური ოცნებაა, — გაუცრუა მძღოლს იმედი ჯემალმა.

— ეგრე შვილოსა, რაღაც სისულელეებსა ხართ მოდებული და საქმე იმიტომ გიყვავით; როდემდე შეგყვებათ სურენა ჭრელაშვილი, ამასაც ვნახავთ, მერე რა გეშველებათ!

— რაღაცას მოვიფიქრებთ, — ჩაილაპარაკა მძღოლმა და მანქანა ადგილიდან დაძრა. ჯემალს ირონიულად გაეღიმა.

სურენა ჩვეულებრივად გაჭიმული იჯდა მძღოლის გვერდით, შუბლშეკრული გაჰყურებდა გზას. საუბრის დაწყება უნდოდა, ვერ მოეხერხებინა.

— ვითომ სეტყვამ ძაან გვაზარალა? — ისე თქვა უკან არ მოუხედია.

— ერთი ნაკვეთია, თხუთმეტი ჰექტარი იქნება ოცდაათი პროცენტით რომ დაზიანდა, დანარჩენი სათქმელად არა ღირს, — ჯემალმა წინ გადაიწია და სარგადაყლაპულივით მჯდარ თავმჯდომარეს პატაკი ჩააბარა.

— აქ სეტყვაო, იქ ქარიო, ეგრეა ჩვენი საქმე, შორიდან ლილახანობა რომ ჰგონიათ.

ვერ აეწყო საუბარი. სურენა ადრე ამასაც არ იტყოდა, თავს არ გაუყადრიდა ჯემალს სალაპარაკოდ, მაგრამ ეხლა აგერ მანქანაშიც კი ჩასვა და ერთად მიდიან რაიონის ცენტრში; სხვა დროს მინდორში რომ შეხვედროდა, არც გაუჩერებდა.

ერთმანეთზე გადაბმული სოფლები გაიარეს, ტყიან ფერდობზე დახვეული გზით მიუყვებოდნენ აღმართს. სურენას ისევ მიეძალნენ ძარღვების მწიწკნავი ფიქრები: „მაინც რათ გადაემტერე გურამს, რა დაგიშავა? ერთი მაინც გაიხსენე თუ რამე ცუდი გაუკეთებია შენთვის“, – შეუჩნდა იდუმალი ხმა. „გავიხსენებ. ეგ არ იყოს სოფლის ნახირის გაუქმებაზე წინააღმდეგობას რომ მიწევდა! ერთი სიტყვა არ შემარჩინა, რძითა და ხორცით ჯერ ვერ შევძლებთ კოლმეურნეების უზრუნველყოფას და ამ ღონისძიებით საერთო საქმეს ვავნებთო. რა გამოუვიდა მაგით, მაშინ რაიონიდანაც გამოლანძღეს და მეც სოფელში ერთი ძროხაც აღარ შევუნარჩუნე კოლწევრებს.“

„მერე შენ რა გამოგივიდა მაგით?! სოფლის ნახირის საძოვარი ძალათი გადახანი, სულ ქვა და ღორღი ამოყარე, ვერაფერში გამოიყენეთ, მერე ნარი ეცა შიგ და საძოვრადაც აღარ ივარგა; ცოტა ხანს რძის წერტიც გახსენი, ვითომ ხალხი კოლმეურნეობიდან უნდა მოგემარაგებინა, ერთ თვეში გეგმა გაგიჭირდა და გასაყიდი კი არა, მისი შოვნა აქეთ დაგჭირდა, მაგრამ ვიღას მიადგებოდი, ერთი კოჭლი დეკეულიც კი არ შეარჩინე ხალხს. რა მოიგე ამით? არაფერი! რამდენს გეხვეწებოდა გურამი, ჯერ ეს ღონისძიება ადრეა, მატერიალური ბაზა არა გვაქვს, პროდუქციის სიჭარბე თუ არ შევქმენით, ეს ნაჩქარევი ღონისძიება მხოლოდ შეგვარცხვენსო. ხომ ეგრეც მოხდა. ვინც თავი შეიკავა ძროხების ჩამორთმევისაგან, კარგად დაუჯდათ, შენ კი სოფელი დღესაც არ გილევს საყვედურებს ამის გამო. ეხლა ძლივს მოაგროვეს თითო-ოროლა სული მსხვილფეხა, მაგრამ იმ შენს მიერ გატიალებულ საძოვარს რაღა გამოაკეთებს?! გურამისთვის რომ დაგეჯერებინა, ცუდი იყო? ეხ, ჩემო სურენ, იმას შენთვის ყოველთვის კარგი უნდოდა, მაგრამ შენ უკულმა უგებდი; ვითომ საქმე გიყვარს, მაგრამ შენს გვერდით ჭკვიანსა და პირში მთქმელ კაცს ვერ იტან, უარესი ჭირი კი ისა გჭირს, რომ თუ

შენ ხუშტურებს არ დაემორჩილა, საშვილიშვილოდ გადაეკიდე-ბი და, თუ შეიძელ, საგვარეულოიანად ამოძირკვავ.

ცხენის ორთვალების ჩამორთმევა რომ აიკვიატე, ეგ რაღა იყო?! – ეეეხ!“ – ხელი აიქნია სურენამ, იდუმალ ხმას ამით შეებრძოლა, მაგრამ აბეზარი კოღოსავით მაინც უბზუოდა ყურ-ში. „გახსოვს, საწყალი ტიმოთე პაპა, თავისი ჯანი და ენერგია კოლექტივს შეალია, სანამ შეეძლო და მოძრაობდა მაინც არ ისვენებდა, თავისი ბრმა ცხენითა და ორთვალათი სულ ბრიგა-დაში იყო. არხის პირას ბალახი რად გათიბეო, კინაღამ სახრე დაამტვრიე თავზე, ბალახიც წაართვი და ცხენის ჩაბარებაც მოსთხოვე; გამოტყდი, გურამის პაპა რომ არა ყოფილიყო, ხომ არ წაართმევდი ბალახს? ხომ ყველა თიბავდა არხის პირას სა-კუთარი პირუტყვისათვის; ცხენებისა და ორთვალების ჩამორთ-მევასაც ხომ მაგიტომ დაუჭირე მხარი. რაიონში მხოლოდ ჩვენ სოფელში განხორციელდა ეგ სამარცხვინო ღონისძიება: ერთად შეყრილი ორთვალები მზე-წვიმაში დალპა და გაოხრდა, ცხენე-ბიც ერთავად მოისპო, ეხლა ერთი კონა ფიჩხის მოსატანად კო-ლექტივის კარზე დგანან, მანქანა გვათხოვეთო, რა ფუჭდებოდა საკუთარი ტრანსპორტი რომ ჰყავდათ? ახლა ზოგმა ისევ შეი-ძინა, მაგრამ შენ ხომ დარჩი სახეზე მურჩამოსმული. გახსოვს? საწყალი ტიმოთე პაპა რამდენს გეხვეწებოდა, ცხენი ბებერი და ბრმაა, ჩემთან დარჩეს, მე მოვუვლი, მაინც არაფრის თავი არა აქვსო; ვერ შეგასმინა ხვეწნა; ბოლოს გაჯიქდა და ჩაბარებაზე უარი გტკიცა. ისევ გურამმა დაიყოლია პაპა, თუმცა ამ საქმის წინააღმდეგი იყო; თვითონ გაუშვა, სადაც სხვა ცხენებიც გყავ-და დამწყვდეული. ტიმოთე მაინც უზიდავდა ზურგით ბალახს, ბრმაა, მშიერი მოკვდებაო. ბოლოს მაინც ვერ უშველა, საწყა-ლი სილოსის ცარიელ ორმოში ჩაიჩეხა. რა შეგემატა ამით? ან რა სარგებლობა მოუტანე საერთო საქმეს?! ღვარძლი და ბრმა ბატონკაცობა გამოქმედებდა, არც კი იცოდი რატომ აკეთებდი ამას; საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა შეგექმნა მაშინ, რო-დესაც ყველა რიგითი კოლმეურნე შენზე საღად აზროვნებდა. ადრე პატიოსნებით მაინც გამოირჩეოდი, აპა, პა, პა, პა, კოლ-მეურნეობიდან მარცვალს მუქთად არ შეირგებდი, ბოლო დროს

კი ეგ სიკეთეც გაგიხუნდა; ნელნელა შეაჩვიე ხელი ხალხის დოვლათს, გეტკბილა მუქთა ლუკმა, თანდათან მადა გაგიმხეცდა, ლუკმაც გაზარდე, თუმცა თავი ისევ ძველებურად გიჭირავს, თითქოს ბუზი არ აგფრენოდეს. ბევრი მოინდომე, კალოზე აუწონავი ქერი დაყარე და შენი ბედოვლათი საწყობის გამგის ხელით გაყიდვა დააპირე; ხომ წაიფორხილე პირველსავე ცდაზე! გურამმა რომ გამოგიგზავნოს კომისია და საწყობი გადაგიწონოს, ორას ტონაზე მეტი რომ გადამალე აუწონავ-აუზომავი, რას აპირებ თუ იცი! შენ აქამდისაც არ ადროვებდი, მეხივით დაეცემოდი თავზე“, — „ნუ გეშინია, არც ის დამრჩება ვალში“, — შეეპასუხა იდუმალ ხმას.

მაინც რა მოხდა? რამ შეაშფოთა დღემდე თავის ძალებში ურყევად დარწმუნებული სურენა?

გურამ კოჭლამაზაშვილი კოლმეურნეობიდან რაიონის სხვადასხვა რგოლში ამუშავეს, მერე კი სახალხო კონტროლის თავმჯდომარედ დააწინაურეს. რამდენიმე დღის წინ შემთხვევით წააწყდნენ სურენას საწყობის გამგეს, როცა მეზობელ სოფელში მანქანით ქერის გაყიდვას აპირებდა; მაშინვე გურამთან მიიყვანეს; ყველაფერი გაირკვა, რომ ქერი სურენას დავალებით უნდა გაეყიდა და რომ იმისივე დავალებით საწყობში ზედმეტი ქერი ჰქონდა, თან დადასტურდა, რომ ჯერ ერთი გრამიც არ გაეყიდათ. გურამმა ყვლაფერი დააწერინა საწყობის გამგეს და გაუშვა. ეს იცოდა სურენამ და ამიტომ იყო, რომ საშინელი წინათგრძნობა არ ასვენებდა, თანაც რა დანდობის იმედი უნდა ჰქონოდა გურამისგან...

მოსაცდელში სამი კაცი იჯდა კედელთან მიდგმულ სკამებზე, მდივანი ქალი რაღაცას ბეჭდავდა.

— ჯერ შენ შედი, — უჩურჩულა ჯემალს სურენამ, — მაინტერესებს, რას გეტყვის; ისე კი არაფრის იმედი არა მაქვს.

— გურამი გასულია, ათ წუთში მოვა, — გამოუცხადა მდივანმა ქალმა და მანქანაზე ბეჭდვა განაგრძო.

კედლის გასწვრივ მიდგმულ სკამებზე ჩამოსხდნენ.

დიდხანს არ დასჭირებიათ ლოდინი. გურამი შემოსვლისთანავე მათკენ გაემართა და გულთბილად მიესალმა:



— მობრძანდი, სურენ ნესტორიჩ, — მიიპატიჟა კაბინეტში. — ჯემალ, შენ საქმე გქონდა რამე?

— არა, ისე შემოვიარე, — ჯემალი მიხვდა, რომ ახლა უკვე აღარ მოხერხდებოდა სურენას დანაბარების გადაცემა.

— კარგი, ჩვენ პატარა საქმე გვაქვს და მერე შევხვდეთ. მოსაცდელში მსხდომთ მალე მიღებას შეპირდა და სურენას კაბინეტში შეუძღვა.

გურამმა უჯრიდან რაღაც ქაღალდები ამოიღო და გადარჩევა დაიწყო. სურენა სკამზე მოწიწებით ჩმოჯდა.

— ქერის მოსავალი როგორი გქონდათ, სურენ ნესტორიჩ, კარგი არა? — ისე თქვა ქაღალდების გადარჩევა არ შეუწყვეტია.

„გამძღარ კატას რომ თაგვი ჩაუვარდება ხელში, ისე მათამაშებს, მერე ცოტა გვერდებში ადგილი გამოუჩნდება და გადამსანსლავს“, — გაიფიქრა სურენამ და პასუხი მიაყოლა:

— არა უშავს, სხვა წლებივით არ იყო, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვართ.

— არა მგონია კმაყოფილი იყოთ, იმის შემდეგ რაც მოხდა, მაგრამ ალბათ ზოგიერთს გაკვეთილად გამოადგება, — ერთი ქაღალდი აიღო და ხმამაღლა წაიკითხა საწყობის გამგის მონათხრობი; ზუსტად ის ეწერა, რაც სურენამ დაავალა და როგორც სინამდვილეში იყო.

— რა ვქნა ახლა? — ძლივს ამოღერღა სურენამ და ცივმა ოფლმა მარტო შუბლზე კი არა, მთელ სხეულზე დაასხა.

— ვიცით, რომ პატიოსანი კაცი ხარ, თუ ბოლო დროს ნაბიჯების გამრუდება დაგეტყო, მაგის გამო ერთი ხელის აკვრით არ გაგწირავთ, შენვე გეძლევა საშუალება გაასწორო გამრუდებული კვალი, — გურამს ქაღალდი ორივე ხელში ეჭირა და ისე ლაპარაკობდა, თითქოს ეს ყველაფერი ქაღალდში წერიაო; მერე შუაზე გადახია, ნახევები ერთმანეთს დაადო და ახლა ისინი გადახია, ასე რამდენჯერმე გაიმეორა და ნაკუწები კუთხეში მიდგმულ ბადურაში ჩაყარა. — ალბათ იმ ქერს შემოსავალში აიღებთ და დღეიდანვე ზომებს მიიღებთ, რომ მსგავსი რამ კიდევ არ დაგემართოთ, — გურამი ფეხზე ადგა.

სურენამ ადგომა დააპირა, წინ წაცურდა, სკამი აუყირავდა და კინაღამ არ ჩაიკეცა.

გურამმა მოსაცდელამდე მიაცილა.

— ჯემალ, შემოდი.

— ახლა არა მცალია, სხვა დროს იყოს, — უთხრა ჯემალმა და სურენას გაყვა.

სურენას ხმა არ ამოუღია, ისე მივიდა და ჩაჯდა მანქანაში, მხოლოდ ახლა უკვე უკანა სავარძელზე მოეწყო; მთელი გზა ასე მდუმარედ იარეს.

— მე ბრიგადაში ხომ არ გამატარებთ? მაინტერესებს როგორ მიდის წამლობა, — თქვა ჯემალმა.

სურენას ხმა არ ამოუღია.

მძღოლმა მაინც გადაუხვია ბრიგადისაკენ, ჯემალი ბინასთან ჩამოსვა და უკან გამობრუნდა. სურენა მანქანის კუთხეში იყო მიყუჟული და თითქოს არც ესმოდა მის ირგვლივ რა ხდებოდა, არც ფიქრობდა, რაღაც არნახული განცდის გამო ამის უნარიც წართმეოდა...

შუაღამე გადავიდა, ის კი იჯდა თავის კაბინეტშლი და ფიქრის ბორბალს ატრიალებდა: „უყურე რა მიყო, კაცო, როგორ მომიკლა გული?! იქავე რომ დავეჭირე ამდენს არ ვიდარდებდი; რაც მაგ ლაწინაკმა ახლა დღე დამმართა; მე სულ იმასა ვცდილობდი, როგორ გამომეჭირა და გამესრისა, მაგან კი ნახე რა ქნა?! მე კიდევ მეგონა ჩემი სისხლი სწყურია მეთქი. ბოლო დროს ცოტა გაგიმრუდდა ნაბიჯიო, რა სწორი არ მითხრა! მე რომ ეგ ჩამვარდნოდა ხელში, ხომ გავწეწავდი. რათა ქნა, კაცო, ეგრე, რათ გამიხადა მთელი წუთისოფელი სანანებლად?! არა სჯობდა, ათჯერ იმაზე მეტი სიმკაცრით მომკიდებოდა? სულაც არ ვიდარდებდი, პირიქით, ნორმალურად ჩავთვლიდი ყველაფერს და არც გული მეტკინებოდა. ეხლა რა ვქნა, ეს რა ჭირი შემყარა! მე კიდევ რას არა ვფიქრობდი მაგაზე, სულ პატარა ხელის მოსაჭიდი რომ მქონოდა, ხომ წიწილასავით გავგლეჯავდი და ქარს გავატანდი მაგის ბუმბულს; ვახ, რა ნამუსში ჩამაგდო, კაცო!“ — გათენებამდე ებრძოდა თავის განცდებს სურენა.

მამლის ყივილი გახშირდა, ფანჯარაში მტრედისფერმა რიჟრაჟმა შემოიხედა, ის კი საკუთარ ფიქრებთან დავას არა სწყვეტდა: „ვითომ რაო, რატომა ქნა ასე, ჭკუა მასწავლა თუ რის თქმა უნდოდა ამით, მე რომ ვყოფილიყავი შენ ადგილზე, ფუტკარაანთ ზალას, არც თურმანას და ტიტიკოს და არც

სხვებს გავიმეტებდიო, ნაბიჯი გაუმრუდდათ? გავასწორებინებდი და მერე უფრო გაათკეცებული ენერგიით ვამუშავებდი საერთო საქმის სასარგებლოდო? მეტიჩარა! მაგის ჭკუის სწავლება მჭირდება სწორედ ჩემი გამოცდილების კაცს; უყურეთ, როგორ უნდა რომ დამიმტკიცოს, კაცის გაწირვა იოლი საქმე არ არისო. როგორ გამიბედა, ქაღალდი პირდაპირ ჩემ თვალწინ დახია, როგორ არ ეშინია, რომ წავიდე და სადაც ადგილია იქა ვთქვა. აბა, ეგ არის პატიოსანი კონტროლი? ბიჭო, დანაშაული ხელში ჰქონდა, ძმა რომ ძმაა, იმისი შველაც აღარ შეიძლებოდა, მაგან კიდევ, გეგონება წაკითხული გაზეთიაო, იგრე გაფხრიწა, კაცო! თუმცა წაკითხულ გაზეთსაც არ დახევს ნორმალური ადამიანი. რა გამოვედი ეხლა მე? ხომა ვარ მაგის დანაშაულის თანამონაწილე!.. დედას ვუტირებ!.. ეხლა ხო ჩემს ხელშია, სად წამივა, ვაცნობებ სადაც ადგილია და, მთელ ქვეყანას დავანახვებ მაგის კაიკაცობას; კონტროლი ჰქვია და ქვეყანას უბამს თვალებს, ნახოს რა დღე დავაწიო!“

სურენამ უჯრა გამოსწია, ერთი შეკვრა ქაღალდი ამოიღო, მაგიდასთან გვერდით დაიწყო და კალამი მოიმარჯვა. დიდხანს წერა.

გარეთ უკვე ხალხი ხმაურობდა. ღილაკს დააჭირა თითი, მდივანი შემოვიდა.

— უკვე მოხვედი?! — ჰკითხა გაკვირვებულმა.

— რამდენი ხანია აქა ვარ, თქვენ მოსული არც კი მეგონეთ.

— აჰა, ეს ქაღალდი ფოსტაში წაიღე და ამ მისამართით დაზღვეული გაგზავნე, — სურენამ დაწერილი ქაღალდი და მისამართი გადასცა მდივანს.

დიდხანს ივჯდა კიდევ ასე, კაბინეტში არავის იღებდა, აღარც ფიქრობდა, აღარც ეგონა რომ იყო ამ ქვეყანაზე; ბოლოს ისევ დააჭირა ღილაკს თითი და მდივანი გამოიძახა.

— საწყობის გამგე მოვიდეს!.. — უთხრა და ისევ გადაეშვა გაურკვეველ მდგომარეობაში.

— აუწონავ, აუზომავ ქერს ერთი გრამი არ მოაკლო, გაიგე! — შემოსვლისთანავე მიაძახა საწყობის გამპგეს.

— აუწონავ-აუზომავი, ლევი და ვირთხების შესაჭმელი არ-

ცერთი გრამი არა მაქვს, — მიიღო დინჯი პასუხი.

— აბა, მაშ რა უყავი ის?!

— ის დიდი ხანია შემოსავალში ავიღე და ჩემ სიცოცხლეში მსგავს შეცდომას აღარ გავიმეორებ, თუნდაც თვითონ ბელზებელი შემომიჩნდეს; ახლა ჩემი სინდისისა და ხალხის წინაშე პირნათლადა ვარ და სიკვდილამდე ამ ბედნიერებას არაფერზე გავცვლი.

— მაშ ის დაზღვეული წერილი ტყუილად წავიდა?! — ამოიგმინა სურენამ და სავარძელში მიესვენა. ისევ გამოაყარა ჭირის ოფლმა, ოღონდ, შეიძლება, ეს მისთვის საბოლოო იყო.

1971 წელი.

მეზღვაური

ჯერ ისევ ბნელოდა, მამლებმა კი გათენების საარი ჩააყიყლიყოვეს. ძილბურანში ვიყავი, ადგომა მინდოდა, მაგრამ ძილისა და ლოგინში ნებივრობის ცდუნებას ვერ ვძლევდი.

გუშინ ჩემი ტრაქტორი ზედ საქცევში გამიფუჭდა, გვერდითი გადაცემების საკისარები ჩაიშალა და მთელი დღე გვიანობამდე იმის გამოცვლას მოვუნდი. ის იყო ხვნა უნდა გაგვეგრძელებინა, რომ ჩემი ძმაკაცები ნუგზარი და ქიტესა მოგვადგნენ, ზედ თხრილის პირას გააჩერეს მანქანა.

— გეყოფათ, კაცო, ამდენი შრომა, ხომ იცი, მწყერის სეზონია, ხვალ კვირაა და გავინადიროთ. წლეულს ჯერ თოფი არ გაგვისვრია, მწყერი კი არ დაიცდის, ძმაო, იმასაც თავისი გეგმა აქვს, — ქიტესამ ხელების ქნევით ხმამაღლა, თითქმის ყვირილით, მოასწრო ამის თქმა.

— დღეს ადრე ავუშვით სამუშაოს ხელი, სახვალიოდ გამზადებაც მოვასწარით, ძაღლებიც მზადა გვყავს, უშენოდ კი რას წავიდოდით, ჰოდა აგერ, აქა ვართ, აიკარ გუდა-ნაბადი და გამოგვყევი, სახნავი იმდენია, წლის დამლევამდე გეყოფა, მწყერი კი არ დაგიცდის, მხარი აუბა ქიტესას ნუგზარმა.

მწყერზე ნადირობა ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იყო. ბიჭებმა ეს იცოდნენ და უჩემოდ ნადირობას ერიდებოდნენ, თუმცა, მოუცლელობის გამო ამ სიამოვნებას ძალიან ხშირად ვაკლდებოდი და ისინიც უჩემოდ ეზიარებოდნენ ხოლმე. მერე კი მწყრის ჩახოხბილის კვნეტის დროს კახურით შუბლახურებულები ჩემ გაუთავებელ საყვედურებს ღიმილით ისმენდნენ.

დამნაშავესავით გადავხედე ჩემ ცვლას, რომელიც ჩემსავით გვარიანად იყო დასვრილი კარტერის ნამუშევარი ზეთით, ახლა წყნარად იდგა და ჩვრით ბევჯითად იწმენდავდა ხელებს. სასწრაფო დავალება გვქონდა, ნაკვეთის მოხვნა უნდა მოგვესწრო

ორ დღეში და ის საოხრო ტრაქტორიც სწორედ ბედზე მაშინ გაგვიტყდა. მცვლელს სახეზე ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინა, ხელების წმენდა დაამთავრა, ჩვარი ყუთში ჩააგდო და ტრაქტორის მუხლუხს შეახტა.

— წადი, ძმაო, წადი, აქ ორნი მაინც ტყუილად ვცდებით, ტრაქტორი აღარ გვიმტყუნებს; ოღონდ ხვალ საღამოსთვის არ დაგავიწყდეს, რომ ნადირობა თუ არ მიყვარს, მწყრის ხორცსა და კაი ღვინოზე უარს არ ვიტყოდი, — კაბინაში შეძვრა და იქიდან დაგვიქნია ხელი.

— ხვალ საღამოს შენთანა ვართ, — მიაძახა ქიტესამ. მაგრამ ვეჭვობ, რომ ამ სიტყვებმა მიზანს მიაღწიეს, რადგან ტრაქტორმა ერთი მძლავრად ამოიხვნეშა და ხმაურით გაათრია მიწაში ჩარჩომდე ჩაძირული გუთანი...

ნუგზართან გვიანობამდე ვისხედით და მომავალი ნადირობის აღსანიშნავად ტკბილად ვირგებდით კახური ღვინის მადლს...

მანქანის გაბმული საყვირის ხმა გაისმა და ზედვე მოჰყვა კარებზე კაკუნი.

უცებ გამიფრინდა ლოგინში ნებივრობა, სასწრაფოდ წამოვხტი, გარეთ ნუგზარის ბურტყუნი ისმოდა:

— როდემდე უნდა იყო კუდით ასაყენებელი, აქამდი ნახევარი გზა გავლილი გვექნებოდა.

სასწრაფოდ ჩავიცვი და უკვე გამზადებულ თოფსა და ფალასკას დავტაცე ხელი. კარი ისე გავაღე, თითქოს დიდი ხნის ამდგარი ვიყავი და იმათღა ველოდებოდი.

— არ გამოგივა ეგ ნომერი, — დამცინავად ჩაიქირქილა ნუგზარმა, იქვე კუთხეში მიგდებულ სანადირო ჩანთას დასტაცა ხელი და წინ გამიძღვა, — წამო, პირი იქ გუბის წყლით დაიბანე, — ჩანთა მანქანის საბარგულში ჩააგდო და უკან ორი ძაღლის გვერდით მოეწყო. წინ დავჯექი, ძლივს მოვეწყეთ მე და მეწამულბანჯგვლიანი ირლანდიური სეტერი. ძაღლი ფეხებთან წამოწვა და თავი კალთში ჩამიდო, თან ისე შემომხედა, თითქოს მეკითხებოდა: უკმაყოფილო ხომ არა ხარო.

— ინებივრე, ინებივრე, — ჩავილაპარაკე ჩემთვის, — თუ ამასწინანდელი კურცხალივით მწყრის ჭამა არ დაიწყე, ალალი

იყოს ჩემი შევიწროება და შენი ნებივრობა, — თან თავზე ხელი გადავუსვი, ძაღლი სიამოვნებით გაიტრუნა.

— იმ კურცხალმა, ამას წინათ, სამი მამალი ხოხობი შეგვიჭამა, — სინანულით თქვა ქიტესამ, — არა და ის ოხერი რა მაგრად ეძებდა კაცო, ჩემი რომ ყოფილიყო, ხოხბებს ზედ დავაკლავდი, მაგრამ ეგერი ტიგრანასგან მყავდა ნათხოვი და უხერხული იყო.

— ეგრეა, ჩემო ძმაო, კარგად იმიტომ ეძებდა, რომ თავისთვის უნდოდა, შენ ეგრე არა ხარ, საკარმიდამო ნაკვეთში თავს იკლავ, კოლექტივში კი თოხი ბუქსირზე გაქვს გამობმული, რატო შენ არავინა გკლავს?! რას ერჩი ამ კურცხალს?! — სიცილით შეეხმიანა ნუგზარი.

— ვინ უნდა მამკლას, ტიტიკო ბრიგადირი იძახის, რაც გინდა ქენით, დედა გიტირეთ, ჩემი სამყოფი მაინც მოვაო, კოლექტივი კი მეცა ვარ და შენც, ვიღა მოგვკლავს?..

მანქანა ალაზნის ველზე გატკეპნილ მინდვრის გზაზე მიქროდა.

— ბიჭო, ეგრე ბრმად რომ მიდიხარ, დაბარებულივით, მწყერი დაბმული ხო არ გელოდება. აღარ იტყვი, რომელ ნაკვეთში აპირებ მისვლას? — ხმა ამოიღო ნუგზარმა.

— მალხაზაანთ თეფას გადაღმა, წაგრძელებული ნაწვერალი რომ არის, გუშინწინ ბუინა მწყერი იყო, იქ მინდა დროზე მივიდე, არავინ მიმსწროს, — საქმიანად თქვა ქიტესამ.

— რამდენი შენნაირი გზააბნეული დაეხეტება დუნიაზე, ცრუსა და მავნეს თოფი უჭირავს, როგორ ფიქრობ, იქ დაგვხვდება რამე? — იმედგაცრუებული შეეკითხა ნუგზარი.

— არ დაგვხვდება და ორი სხვა უკეთესი ადგილიც ვიცი, — იმედიანად დააწყნარა ქიტესამ.

— თუ უკეთესი იცი, პირდაპირ იქიდან დავიწყოთ, რაღა სხვის ნასუფრალზე ვიაროთ, კაცო, — არ ცხრებოდა ნუგზარი.

— ნუ გეშინია, აქ ყამირი არსად არ არის, ზოგი იგეთი დადის სანადიროდ, მარტო აფრთხობს მწყერს, ისინიც ერთი ნაკვეთიდან მეორეში გადაბარგდებიან ხოლმე, ჰოდა, ერთ-ერთ ნაკვეთში მაინც ვიპოვით ჩვენ საკბილოს, — დაჯერებულად ლა-

პარაკობდა ქიტესა და რბილ გზაზე ჟიგულს მიაქროლებდა.

— რა ვიცი, დიდი გულმოდგინებით დატენილი ვაზნების უკან წაღების მადაზე არა ვარ მე და...

მალხაზაენთ თეფას გავცდით, ბინაზე ისევ სინათლეები ენთოთ, თენდებოდა.

ქიტესამ წაგრძელებულ ნაკვეთის თავში გააჩერა მანქანა.

— აბა, ჩავიდეთ და წუხანდელ ნაბახუსევზე თითო არაყი გადავკრათ, მანამდე კარგად ინათებს და ნადირობას შევუდგეთ.

სასწრაფოდ ამოვალაგეთ წინა დღით მომზადებული დედალი, ცივი ხაშლამა, გუდის ყველი, სახრესავით მოქნილი შოთის პური, პამიდორი, მწნილი, ასე გასინჯეთ, ქიტესას მამა მთიდან ახლად ჩამოსულიყო და კალტიც გვქონდა.

ორ-ორი არაყი რომ დავლიეთ, ნუგზარმა ოცლიტრიანი ბოცა გადმოიღო და ჩაის ჭიქებით ჩაისფერი „ტიბაანი“ ჩამოგვირიგა.

კარგად შევყევით ქეიფს, თამადობა ქიტესამ იკისრა, მზე კავკასიონის ქედს ამოსცილდა, მაგრამ ჩვენ ისევ საფუძვლიანად ვისხედით თითქოს სანადიროდ კი არა, სუფთა ჰაერზე საქეიფოდ წამოვსულიყავით, თუმცა ქეიფიც არა გვქონდა გამორიცხული, მაგრამ მხოლოდ ნადირობის შემდეგ.

— ძალიან რომ დაცხება, ალაზანზე ჩავიდეთ საბანაოდ, გამოღმა ყურეში კარგი მორევი ვიცი, — ისე თქვა ნუგზარმა, თითქოს ნადირობას აღარ აპირებდა და საბანაოდ პირდაპირ სუფრიდან გეგმავდა წასვლას.

ქიტესამ ჭიქა ასწია:

— მოდით, ბიჭებო, მეზღვაურები ვადღეგრძელოთ მთელი თვეობით ზღვაში რომ არიან და მიწაზე ფეხი არ დაუდგამთ, იქ ძალიან ბევრი კარგი ამხანაგი დამრჩა. სუყველას გაუმარჯოს! — ქიტესამ ჭიქა ბოლომდის გამოცალა.

— რა მეზღვაურები აგიტყდა ამ შუა ალაზნის ველზე, — შევეპასუხე მე.

— კაცმა სამი წელიწადი მეზღვაურობაში გაატარა და მთელი სამხედრო სამსახურის ვადა იქ მოიხადა, რა გასაკვირია, რომ გახსენებოდა, — გამოესარჩლა ნუგზარი ქიტესას.

— ჰო, ეგ კი აღარ გამახსენდა, — ბოდიშის მოხდით ვთქვი

და მეზღვაურების სადღეგრძელო ბოლომდე დავლიე.

— ბიჭო, უბრალო მეზღვაური კი არ ვიყავი, სულ მოწინავეებში ვირიცხებოდი. ჯერ როგორც მიმიყვანეს, ღერძზე ვარჯიშით გამოვიჩინე თავი, „სოლნცე“ დავატრიალე, მემრე ჭიდაობაშიც გავაკარი ბევრი ზურგზე, ფეხბურთშიც გამოვიჩინე თავი. აი, სროლაში კი უბადლო ვიყავი, ფლოტში გამართულ შეჯიბრებაზე პირველი ადგილი დავიკავე, მოკლედ, უფროსები მაქებდნენ, ბიეჭბი — მოწიწებით მექცეოდნენ. ცურაობის დროს აუზის პირას წამოვწვებოდი ხოლმე და ვინც ცურაობა არ იცოდა, ბიჭებს თვალით ვანიშნებდი, ისინიც უჩუმრა მიეპარებოდნენ, თავში და ფეხებში ჩაავლებდნენ ხელს და აუზში ტყაპანს გააყრევინებდნენ ხოლმე: მაშინ უნდა გენახა იმათი ფართხალი, წყალსაც ბლომადა ყლაპავდნენ, მაგრამ რა გინდა, ბოლოს ცურვასა სწავლობდნენ: ეგეთი ბიჭი ვიყავ, ძმაო, მეზღვაურები ჩემ მზესა ფიცულობდნენ, — დაამთავრა ქიტესამ სიტყვა და ჭიქები ბოლომდე შეავსო.

მზე კარგად ასცდენოდა კავკასიონის ქედს და გვარიანად იკბინებოდა.

— აბა, ეხლა თითო ჭიქაც დავლიოთ და ნადირობას შევუდგეთ, ყველას გაგვიმარჯოს! იღბლიანი ნადირობა გვქონდეს! — ქიტესამ ჭიქა გამოცალა, ნარჩენი ბალახზე დაბერტყა და ადგა.

— დაჯექი ერთი, მამა გიცხონდა, რაღა დროს ნადრობაა, ამ ნაკვეთის ბოლოში იგრე გავალთ, ერთი მწყერიც არ შაგვხვდება, მოდი გავაგრძელოთ, სანამ მზეს ძალა არ მისცემია. მემრე კი ალაზნის პირას გადავინაცვლოთ, — ნუგზარს ქეიფის საღერღელი აშლოდა და ფეხით ამხელა მანდვრის გადავლა ეზარებოდა.

— ბიჭო, მწყრის გადაძახილი მაინც არ გესმის? ადე, ძაღლებმაც გაშალონ ფეხი, ეგენიც ჩვენსავით გაცულლუტდებიან და მწყერი წინაც რომ აუფრინდეთ, ყურებს აღარ გააპარტყუნებენ, — ქიტესამ გაშლილი პურ-მარილის ალაგება დაიწყო.

მე და ნუგზარმა საბოლოო ჭიქები გამოვცალეთ და ქიტესას ალაგებაში მივეხმარეთ.

— ვინც რომელ ძაღლთან ივჯდა, იმ ძაღლით ინადიროს, —

თქვა ნუგზარმა.

— აბა, ჩემი ძაღლი, მე როცა აქა ვარ, სხვასთან არ წავა, — თქვა ქიტესამ და თავის პოინტერს დაუძახა, — ციცკა, ციცკა! — ციცკა და კურცხალი მინდორში დარბოდნენ და თამაშობით იკლებდნენ იქაურობას.

ჩემთან რომ იჯდა, ხვადი ირლანდიური სეტერი, რაც ჩვენ პურსა ვჭამდით, იქვე ბალახზე იწვა და ერთხელ არ ამდგარა, ადამიანივით ჭკვიანი თვალებით გვიყურებდა და მზეს ეფიცხებოდა.

— საწყალი მახო, დაბერდა მაგრამ მაგაზე ჭკვიანი ძაღლი არ არის, ერთ მწყერს არ დაგიკარგავს, — მითხრა ქიტესამ და ვაზნების ფალასკა გაისწორა.

ნაკვეთში გავიშალენით. ნუგზარი შუაში მიდიოდა, მე და ქიტესა ნაპირ-ნაპირებში ვიდექით. იმათი ძაღლები წინ დარბოდნენ და ძურწამოდებულ ნაწვერალში ცხვირჩაყოფილები მწყერს ეძებდნენ.

ჩემმა მახომ სულ ხუთი მეტრის მოცილებით დაიწყო ჩემ წინ სიარული, არ ჩქარობდა. პირველი მწყერი რომ შენიშნა, გაჩერდა, შემომხედა, დაუდევრად მქონდა თოფი მარცხენა ხელზე გადადებული. ძაღლი არ განძრეულა, მე მიყურებდა. გავჩერდი. ძაღლს თვალებში რაღაც დაძაბული უკმაყოფილების მზერა ამოვიკითხე, გამიკვირდა, მერე უცებ მივხვდი, რას ითხოვდა ჩემგან, თოფი მოვიმარჯვე და სასროლად გავემზადე. მახო უცებ გადახტა, ფრრრ, მოულოდნელად ამოვარდა ბალახებიდან სიმსუქნით დამძიმებული მწყერი. ვესროლე, მახომ დინჯად მომაწოდა პირველი მწყერი. ნანადირევი გამოვართვი და თავზე ხელის გადასმა დავაპირე, მან არ მიიღო ეს ჩემი ქათინაური და გვერდზე მიდგა.

ნადირობა გაჩაღდა. იმდენი მწყერი ამოდიოდა, ძაღლებით ძებნა არც იყო საჭირო.

— ნაკვეთის ბოლოს დავითვლით ნანადირევს, — მივაძახე ნუგზარს და მახომაც მორიგი მწყერი დინჯად მომიტანა.

ნაკვეთის ბოლოში ნანადირევი დავთვალეთ.

ყველა ვაზნის დაწვა მოვასწარით.

ქიტესას ვაზნაზე ერთი მწყერი ერთვლებოდა.

მე ოთხი გავაცდინე, რაც მოვკალი, მახომ ერთიც არ დამიკარგა, უკლებლივ ჩამაბარა.

ნუგზარს ათ ვაზნაზე აკლდა მწყერი, თუმცა იფიცებოდა, სულ ერთი დავაცილეო.

— გავგზავნოთ მახო და იმ შენ დაკარგულ ყველა მწყერს მოგიძებნის, შენი ძაღლი კი კვალიფიკაციის ასამაღლებლად ორი კვირით მიამაგრე. თანაც ნუ გეშინია, ნამუსაუხდელს ჩაგაბარებს, მაგ ასაკიდან უკვე კარგა ხანია გამოვიდა, — გაიხუმრა ქიტესამ.

— გაბრაზებული ნუგზარი თავის ძაღლს გაუქანდა.

— ეს უპატრონო რეტიანივით დარბის, რამდენი მწყერი ამიფრინა გაუფრთხილებლად.

— მახოს მიამაგრე, მახოს, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, თორემ ბევრი დღე აღარ დარჩენია და ძაღლი უსწავლელი არ დაგრჩეს, — გამხიარულებულმა ქიტესამ ცარიელი ფალასკა მოიხსნა და მწყერებიან ჩანთასთან ერთად საბარგულში ჩადო. აჰა, ძმაო, აღარც ვაზნები მაქვს და აღარც თოფი მჭირდება. ნუგზარს გული უსკდებოდა. ერთსაც ვერ გავისვრიო. ჯერ შუადღეც არ არის, ამ ნაკვეთს მეორე მხრიდან ერთს კიდევ ავუვლიდით ვაზნები რომ იყოს, აფსუს! — დაიჩივლა ქიტესამ.

— კაცო, სუყველას ერთ დღეში ხომ არ გავწყვეტავთ, ზოგი მომავალ შაბათ-კვირისათვის შევინახოთ! — გავამხნევე მე.

— შეინახოთ, რა ბაბუაჩემის ნაკვეთი ხომ არ არის, იმდენი ბრაკონიერი დაეხეტება, ერთ კვირაში აქ ღლაპებსაც აღარ დაგიტოვებენ. მე კი მხოლოდ მსხვილებს ვარჩევდი. ეჰ, ვიღას ესმის ეხლა ნამდვილი ნადირობა, — ხელი ჩაიქნია ქიტესამ და მანქანისაკენ წავიდა.

— აბა ეხლა პირდაპირ გამოღმა ყურეში წავიდეთ, ცოტა გავგრილდეთ და მერე, ის ტრაქტორისტი რომ მივატოვეთ მარტოდ, იმასთან წავიპურმარილოთ, — ნუგზარს თავის ძაღლზე წყენა განელებოდა და ახლა სიამოვნებით მოკალათდა მის გვერდით.

მე კი მახოს მიმართ ისეთ მოწიწებას განვიცდიდი, თითქოს

ჩემს გვერდით დიდ სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებული ვეტერანი მჯდარიყოს, სიყვარულით ვეფერებოდი; მახო სიამოვნებით გატრუნულიყო და ჩემ მოფერებას აღარ უარობდა.

მანქანა გამოღმა ყურისაკენ მიქროდა.

— ეს ოხერი, ალაზანი ძალიან დიდია ყურესთან, მართლა ზღვასავით არის... რამდენჯერ გადამიცურია, მაგრამ ყოველთვის, როცა მივდივარ, მაინც რაღაც შიშის გრძნობა მეუფლება, კიდევ, კარგი, ქიტესა არის ჩვენთან, თუ გაჭირდა, მოგვეშველება, — ნუგზარს თავის ძაღლისთვის გადაედო ხელი და მოახლოვებულ ალაზნის ჭალას გაჰყურებდა.

ნუგზარის ნათქვამზე ქიტესა უსიამოვნოდ შეიშმუშნა.

— ნუ გეშინია, ქიტეს, მართალია მეზღვაურები არა ვართ, მაგრამ ალაზნის გარდიგარდმო გადაცურვაში შენი დახმარება არ დაგვჭირდება, — დავაიმედე ქიტესა, რადგან იმისი უსიამოვნო შეცბუნება ჩვენი ცურვის უცოდინრობით გამოწვეული მეგონა.

— იმდენი ცურვა კი ვიცით წყალში ჩვენს ჩასაგდებად კაცი არ დაგჭირდება, როგორმე თვითონ გადავხტებით, არადა ბებერი ვერხვის პირას რომ ბექობია, იქიდან თავდაყირა გადაშვებას რა სჯობია, — ალაზანს ვუახლოვდებოდით და ნუგზარსაც ბანაობის საღერღელი აეშალა.

ქიტესა წუხდა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებსო, ვერ გადაეწყვიტა, თავის თავს შინაგანად რაღაცაზე ედავებოდა. ამას ახლა ვამბობ, თორემ მაშინ მისი საქციელისათვის არავითარი ყურადღება არ მიმიქცევია.

მე და ნუგზარი უკვე საბანაოდ ვემზადებოდით.

ქიტესამ მანქანა მუხის ჩრდილში შეაგორა.

სამივენი გადმოვედით, ყველა კარები გავაღეთ, ორი ძაღლი სასწრაფოდ გადმოხტა და ხეებს შორის სირბილი დაიწყეს. საწყალი მახო ნელა ჩამოვიდა, იქვე მუხის ჩრდილში მოიკალათა და სიამოვნებით ჩათვლიმა.

სამივე გახდილი ვიყავით, ნუგზარი წინ მიდიოდა, მერე ქიტესა, — მე ჩამკეტი ვიყავი.

— აბა, მომყევით! — ნუგზარმა ბორცვზე დაჰკრა ფეხები და

მორევში თავდაყირა გადაეშვა.

— წავედით! — დავიძახე და მეც ბექობისაკენ გავქანდი.

ქიტესას ორი ნაბიჯიღა აკლდა ბექობამდე, გაქანებული რომ დამინახა, რაღაც შიშჩამდგარი გადგა განზე. მე ინსტინქტურად

გავუქანდი, ხელი ვტაცე და ცოტას გადარჩა, მორევში არ ჩავაგდე. ქიტესამ საზარლად დაიღრიალა, ხელიდან გამისხლტა და გაიქცა. მე დავედევნე. რომ გეკითხათ, რასა სჩადიხარო, ალბათ ვერ გიპასუხებდით. ისე აზარტს აყოლილი მივდევდი. ის იყო ქიტესას წამოვეწიე, რომ ის მაშინვე ჩაჯდა და ალაზნის პირას მდგარ ახალგაზრდა იფანს მოჰხვია ორივე ხელი.

— ეხლა კი დაგიჭირე, — სიცილით ვუთხარი და მისი წამოყენება ვცადე.

— გამანებე თავი! — საშინელი ხმით დაიღრიალა ქიტესამ.

მე უცაბედი ბავშვური აზარტიდან გამოვფხიზლდი, ქიტესას ღიმილით ვუთხარი:

— რა მოგივიდა, ბიჭო, წყლის შიში ხომ არ შეგეყარა?!

— წადი, შენ იბანავე, მე თუ მომინდა თვითონ ჩამოვალ, — ისე მიპასუხა ქიტესამ იფნისათვის ხელი არ გაუშვია. თვალებიდან კი შიში არ უქრებოდა.

— კარგი, რახან ეგრეა, რა გაეწყობა, — მე ბექობისაკენ გავეშურე, ზედ შევდექი და მორევის შუამდე მისულ ნუგზარს ხელი დავუქნიე.

— გადმოხტი, კარგი წყალია, — ამომძახა ნუგზარმა.

ცურვაში ისე გავერთეთ, ქიტესა აღარც გაგვხსენებია.

ნაპირზე რომ გამოვედით და წყალი შევიბერტყეთ, ნუგზარმა მაშინღა იკითხა: — ქიტესა რა იქნა, საბანაოდ რატომ არ ჩამოვიდა?

— რა ვიცი, რაღაც გუნებაზე არ ჩანდა, მორევში გადასახტომად წავეტანე და ყვირილით აიკლო ქვეყანა, იფნის ძირას ჩამჯდარი დავტოვე, — ვუპასუხე მე.

— წავიდეთ, ერთი ვნახოთ, რას აკეთებს.

მე და ნუგზარი რომ მივედით, ქიტესა ჩაცმული იჯდა მუხის ჩრდილში და პაპიროსს აბოლებდა, ჩვეულებრივი დამშვიდებული სახე ჰქონდა. საბოლოო ნაფაზი ღრმად ჩაისუნთქა, ნამწვი მოისროლა, ბოლი გამოუშვა, მერე მე დამაკვირდა და უცებ სიცილი აუტყდა.

— რა გაცინებს? — დაბნეული შევეკითხე.

— ბიჭო, ის მაცინებს, რომ წეღან დასახრჩობად მიმეტებდი,

მე კი მეგობრად მეთვლები, — ქიტესას ისევ აუვარდა სიცილი.

— რა?.. დახრჩობას გიპირებდი?.. — არეულად ვთქვი და გულში საზარელი ეჭვის ჭია შემიტოკდა.

— ჰო, ეგრე იყო, სწორედ, თავი რომ არ შემემაგრებინა და იმ გადარეულ მორევში ჩავვარდნილიყავი, ქვასავით ჩავიძირებოდი და მშვიდობით ქიტესავ, ეხლა უკვე ხელები მოფშვნეტილი გექნებოდათ, — ქიტესა იღიმებოდა, მე კი სულაც აღარ ვიყავი ხუმრობის გუნებაზე.

— ქიტეს, შენ რა, ცურვა არ იცი?! — შევეკითხე და გულში ისევ შეტოკდა ეჭვის ჭია.

— ცულივითა ვარ, სადაც ჩამაგდებენ, იქ დავიძირები. — ახლა უკვე სერიოზულად მიპასუხა ქიტესამ.

მე ფერი დავკარგე და იქვე მწვანე ბალახზე დავეშვი.

— მეზღვაური ვიყავიო, ჩემპიონიო, მაქებდნენო, ვინც ცურვა არ იცოდა, წყალში ვაყრევინებდიო, მე კიდევ აუზის პირას ვიწექიო, წელან შენ არ ამბობდი?! — გაკვირვება ვერ დაფარა ნუგზარმა.

მე კი ფერწასული ვიჯექი და ხმის ამოღების თავი აღარა მქონდა.

— ეგრე იყო სწორედ, ტყუილი არაფერი გამირევნია, თქვე დალოცვილებო, ბოლომდე გასვლა აღარ დამაცალეთ, ჰოდა ეხლა გავაგრძელებ: ბიჭები იგრე იყვნენ დარწმუნებული, რომ მე ყველა სპორტში მაგარი ვიყავი, ეჭვიც არავის შეჰპარვია იმაში, რომ შეიძლებოდა ცურვა არა მცოდნოდა, სხვებს ვინც წყალს ერიდებოდა, აუზში ძალით ჰყრიდნენ, მე კი იქვე თამამად გაწოლილს, საუკეთესო მოჭიდავეს, ფეხბურთელს, ფრენბურთელს, ტანმოვარჯიშეს ტყვიით სროლაში ფლოტის ჩემპიონს, რას იფიქრებდნენ, რომ ცურვა არ მეცოდინებოდა. ვიმე რომ დამკვირვებოდა, დაინახავდა, რომ წყალში ერთხელაც არ ჩავსულვარ. პირიქით, ჩემი ისეთი რწმენა ჰქონდათ, ვინმეს რომ ეკითხა, ყველაზე კარგი მოცურავე რომელიაო, ალბათ ერთხმად მე დამასახელებდნენ. ჰოდა, მეც ამხელა წარმატების მქონე კაცმა, ვიუკადრისე ცურვის უცოდინრობის გამჟღავნება, ვაივაგლახით ვათრიე თავი მთელი სამსახურის განმავლობაში და, აგერ, ჩემი ამპარტავნობის წყალობით, დავბრუნდი ცურვის უცოდინარი

მეზღვაური. ჩემ თანაფლოტელებს რომ უთხრათ, ქიტესამ ცურვა არ იცისო, სიცილით გაიგუდებიან. სწორედ ამ ამპარტავნობის ბრალი იყო დღეს რომ კინაღამ ჩემი მეგობრის ხელით ვეზიარე დახრჩობას...

ნუგზარი გაშტერებული იდგა და პირზე სულელური ღიმილი შეხმობოდა. მე კი მთელი სიცხადით დამეხატა თვალწინ ის საზარელი სურათი, რაც ქიტესას წყალში გადაგდებისას შეიძლება მოჰყოლოდა. მორევი იქ ღრმა და ძალზე ფართო იყო, ეტყობა მთაში წვიმა მოვიდა, ალაზანი ადიდებული და მღვრიე მოდიოდა, ნამდვილად ვერ გადავარჩენდით ამ სიმაღლიდან გადავარდნილ ქიტესას. გული გამიჩერდა და ცივმა ოფლმა დამასხა შუბლზე. ჩემი საქციელი დაახლოებით ისეთი იყო, კაცს რომ თოფს დაუმიზნებ, იცი, რომ ასპროცენტში ცარიელია, გინდა, დამიზნების ობიექტი შეაშინო, სასხლეტს მოზიდავ და თოფი არ გავარდება, მეორე დაცემინებაზე ჰაერში რომ მიმართავ ლულებს, მაშინ იგრიალებს. აი, სწორედ იმ თოფიანი კაცის განცდები მქონდა დაუფლებული და შეძრწუნებისაგან გონს ვერ მოვდიოდი.

— შენი ბედი, ქიტეს, რომ იმ მეზღვაურობამ მშვიდობიანად ჩაგიარა და შემთხვევით ზღვაში მარტო არ მოხვდი, თორემ აქამდის თევზებს დავიწყებული ექნებოდათ შენი მირთმეული სადილი; მაშინ გადარჩი, დღესაც ბეწვზე გადარჩი, შენმა მეგობრებმაც კი არ ვიცოდით, რომ ცურვაში ეგეთი ბედოვლათი იყავი. ორჯერ ბედმა არ გაგწირა, ეხლა ან გულზე უნდა ჩამოიკიდო განცხადება, ცურვა არ ვიციო, ან სასწრაფოდ უნდა ისწავლო ცურვა. თორემ მესამედ რა მოხდება ეშმაკმა იცის... — ლაპარაკობდა ნუგზარი და თან ტანსაცმელს იცვამდა.

მე კი გაოგნებული, გამოლენჩებული ვიჯექი მწვანე ბალახით დაფარულ მიწაზე და სულ აღარ მახსოვდა, რომ ჩაცმა იყო საჭირო...

საღამოს კი ჩემ ტრაქტორთან გაშლილ პურ-მარილზე ხმამაღალი მრავალჟამიერი შუაღამემდე არ შეწყვეტილა.

1961 წელი.

ბიკენტი

ნათლია არ ყავდა, ბებია ქალმა შეარქვაო ბიკენტი და კიდეც გაწირა ეს სახელი უკუღმართი ადამიანის სათრევად და დანარჩენთა საგინებლად.

სწავლა ეჯავრებოდა, მაგრამ ქლესა და მშიშარა, კუდის ქიცინით, ენატანიანობით, მასწავლებელთა ჩანთების თრევით, დედამისის ხვეწნით და მუდარით, მისგანვე მასწაველებელთა ანგარების მოქონვით ხერხდებოდა კლასიდან კლასში გადაბოტება. როგორც იყო დააღწია თავი სკოლას. ახლა მეძროხეობის ფერმას შეაფარა თავი და უმი რძის მოყვარული კუჭის აშლამდე იჭყირპებოდა.

მისი გაღრეცილი სიარულის დამნახველს ჩოქი კალია ახსენდებოდა. დიდ თავზე გაბერილი ცხვირი ისე უახლოვდებოდა ამოღუნულ ნიკაპს, თავისუფლად შეეძლო ცხვირით და ნიკაპით ქათმის კვერცხის დაჭერა. უკან შევარდნილი პირის ფონზე შიშის დროს კბილს კბილზე კი არა ცხვირს ნიკაპზე აცემინებდა. ჩავარდნილი მკერდი, გამხდარი და ამოკუზული მხრები, დამფრთხალი ვირთხის თვალები პირველად მნახველ ადამიანს რაღაც შეუცნობელ, უსიამოვნო ჟრჟოლას გვრიდა.

ყველაფერს იპარავდა, სჭირდებოდა თუ არა. გაფუჭებას, დამტვრევას დიდი მონდომებით აკეთებდა, რათა სხვებს ხელი შეშლოდათ და ამით სიამოვნებას ზიარებოდა. მის ნატარზე ყველგან სიმუხთლის და არაკაცობის კვალი რჩებოდა. კბენაც შეეძლო, ოღონდ უკნიდან, მიპარვით, თუ შეუტევდნენ, წუნკალი ძაღლის მსგავსად კუდამოძუებული გაიძურწებოდა, არადა გაქცეულს და დამფრთხალს უყეფდა კიდეც.

სოფელში მარტო მას ერქვა ბიკენტი. ეს სახელი ამოსვარა — უვიცობის, მუხთლობის და არაკაცობის ტალახში, ისე, როგორც ინდაურმა სახელი ინდაური. თავის დროზე ჭკვიანი



არსებისთვის რომ შეერქვათ, ინდაურობა საამაყო იქნებოდა. ამ სულიერმა კი სახელი ბიკენტი ისე გააინდაურა, რომ მის შემდეგ ველარავინ ბედავდა შვილებისთვის ბიკენტის შერქმევას.

მეძროხეობის ფერმა სოფლის ბოლოს იყო და მწყემსთა ნაკლებობა არ იგრძნობოდა. პირიქით, ქალები და გოგოები იხვეწებოდნენ, აქ მოგვაწყეთო სამუშაოდ. ბიკენტი თავის დედის, მარგოს ფერმის გამგე – დათებასთან რიგგარეშე გაარშიყების წყალობით მოხვდა ამ ფერმაში. ახლა ბიკენტი მეხბორედ მუშაობდა და საჯდომმსხვილ დედაკაცების უჩუმრა ზვერვით იღიზიანებდა ვნების ძარღვს. ერთხელ ამ მდგომარეობაში წაასწრო მწველავმა ახრასიამ და ძროხის დასაბმელი აპქურით აუჭრელა ზურგი.

ყველა ბოროტი და ბილწი აზრების სანაგვედ გადაქცეოდა ბიკენტის ვაჟკაცობაჩახშული სული. ყველაფერს იკადრებდა, რასაც სიბილწე და არაკაცობა შეარქვა ადამიანმა.

ერთხელ ფერმაში ვეტექიმი მივიდა. რამდენიმე ძროხა არ ხურდებოდა, ბუღას არ იკარებდნენ და ასე შთამომავლობის და რძის გარეშე კეცავდნენ წუთისოფელს. ვეტექიმმა ძროხების წონის მიხედვით რაღაც წამალი შეურია საჭმელში და შეაჭამა. რამდენიმე ხნის შემდეგ ძროხები ისე ახურდნენ, ბუღებს ზედ ახტებოდნენ. მოკლედ, ძროხები ხელოვნურად აახურეს და ბუნებრივად დააგრილეს.

– ეს რა მაგარი წამალი ყოფილა, არ გადარია ძროხები, ადამიანს რომ შეაჭამო რაღა მოუვა? – ჰკითხა ვეტექიმს ბრიგადირმა.

მორჩილი ბიკენტი შორიახლოს იდგა, თუ რაიმე დასჭირდებოდათ, დაუძახებდნენ, ისაც მზად იყო. თავი ისეთი მოკრძალებით ეჭირა, თითქოს მათი საუბრის მოსმენისაც ერიდებაო. ისე კი სპილოსავით ბრტყელი ყურებით ყველა ბგერას იჭერდა.

– ეს ბაბროვკაა ცხოველებში ხელოვნურ ახურებას იწვევს. წონის მიხედვით უნდა შეურჩიო დოზა, ახურება ნორმალურად რომ განვითარდეს. ღმერთმა ნუ ქნას, ზედმეტი პირუტყვს გადარევს. ასევე მოქმედებს ადამიანებზე. მოკლედ, ძალიან ფრთხილი მოპყრობაა საჭირო, – თქვა ვეტექიმმა და ჩანთა, რომელშიც ეს

წამალი ჰქონდა, იქვე ბოძზე დარჭობილ მსხვილ ლურსმანზე ჩამოჰკიდა.

ბიკენტის სიხარულისგან, თუ ამ წამლის მოპოვების სურვილისგან სახე დაეღმანჭა. მარჯვენა ხელით ხალათის კალთის ჭმუჭნა დაიწყო. მარცხენათი კი წყლის მილს ჩაბღაუჭებული ისეთი თვალით მისჩერებოდა ვეტექიმის ჩანთას, თითქოს გრაალი ყოფილიყოს. ერთი სურვილი ჰქონდა, მოეტაცა ეს ჩანთა, მაშინ ხომ მთელი სოფლის, თუნდაც მთელი ქვეყნის ქალებს დააქამანდებდა. მიიპარებოდა იმათ საჭმელთან, მოუყრიდა ამ ფხვნილს და მერე გენახათ ქალების გადარევა, ბიკნტის რომ დაუწყებდნენ დევნას; სიამოვნების ჟრუანტელმა დაუარა. ახლა ქალების დახარისხება დაიწყო, ვისი შეხურებით დატკბებოდა. პირველი ახრასია იყო, რომლის დიდი დუნდულები გონებას უბნელებდა. ხეზე მიყუდებული რომ დააშტერდებოდა, ასევე გამოლენჩებული რჩებოდა ახრასიას დიდი ხნის წინ მიფარების შემდეგაც ტუჩებიდან ნიკაპზე ჩამონადენ დორბლშეყინული. ახრასია გრძნობდა მანიაკი ბიჭის დაჟინებულ მზერას — მისი სხეულის ამ ნაწილზე, დროდადრო რაღაცას მოუშარებდა და ისეთ უთაქებდა თავში, ეს ჭკუანაღრძობი მეხბორე სახბორიდან ვეღარ ბედავდა გამოსვლას. არადა ახრასია ბიკენტის დედაზე ოთხი წლით უფროსი იყო, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა ცხოველური გრძნობის ტყვე ლენჩისათვის.

ბრიგადირი და ვეტექიმი საძროხის ბოლოში საუბრობდნენ, სადაც რამდენიმე ქეციანი ხმო დაემწყვდიათ.

— ბიჭო, ბიკენტავ! ბოძზე ჩანთა რომ კიდია, წამოიღე! — დაუძახა ბრიგადირმა. ამაზე კარგ მომენტს ვეღარ ნახავს, ახლა უნდა იგდოს ხელთ ის წამალი, მერე ამის საშუალება აღარ ექნება. შეიძლება ვეტექიმმა ისევ გადაიკიდოს მხარზე და თან წაიღოს. მაშინ ხომ დაემსხვრა ბიკენტის უცებ წამოჭიმული ბროლის კოშკები. ჩანთაში მარჯვენა ხელი ჩაყო, მარცხენა კი ლურსმანზე ჩამოკიდებულ ღვედისკენ წაიღო, იპოვა, კარგად დაიხსომა ის პატარა ქილა უცებ ამოიღო, დახედა, ის იყო; კანკალმა აიტანა. სულ რომ მოიპაროს, გაუგებენ, არც რაიმე აქვს, რომ ნაწილი მოამხოს და ქილა ჩანთაშივე ჩადგას. ასე

ველარაფერს გაუგებენ. არა, ამის დრო აღარ არის, ისედაც კარგა ხანს შეყოვნდა.

— რა მოგივიდა, შე გამჩენძაღლო, ეგეთი დაბდური როდემდე უნდა იყო! — დაუღრიალა მოთმინებადაკარგულმა ბრიგადირმა.

ბიკენტიმ ქილიანი ხელი ჯიბეში იკრა და ჩანთის ღვედზე მარცხენახელჩაბღუჯული გაიქცა.

— რა მკვდრის ფერი გადევს, შუ უნდილო, ათ მეტრზე გაიქცა და გული ამოვარდნაზე აქვს. შენი იმედი უნდა ჰქონდეს ჩვენს მეძროხეობას?! — ბრიგადირმა გაფითრებულ და აკანკალებულ ბიკენტის შუბლზე ჰკრა ხელის გული და ჩანთა გამოართვა.

— მანდ მკრეჭავი მუნის მალამოა, მამაწოდე, — ვეტექიმმა ხბოს ყურზე ხელი მოავლო და მალამოს მოლოდინში დაიჭირა, შუბლზე მუნს კალოსავით რომ მოეძოვა ბალანი.

ბიკენტი მობრუნდა და კარებისკენ გაემართა, თან მუხლები უკანკალებდა, არ დამიძახონ და კიდევ რამე არ დამავალონო.

— სად მიდიხარ, შე უჯიშო, მოდი, ხბოები დაგვიჭირე! — მიაძახა ბრიგადირმა. თითქოს დენმა დაარტყაო, ისე შეხტა, შიშისაგან გადმოკარკლული თვალებით მიიხედა ბრიგადირისაკენ, უცებ, — ვაი! — დაიძახა და კარებისკენ ძუნძულით წავიდა.

— არ მოკვდეს, ეგ შობელძაღლი, ერთიბეწოზე გაიქცა და მიცვალებულს დაემსგავსა. არაფრის თავი არა აქვს, ცარიელა ხერხემალია. თუ სადმე არაყი ნახა, ბოთლში ძვრება. თფუჰ, ეგეთი ფინთი არაფერი მინახავს! — ბრიგადირმა სათქმელი ჩაამთავრა და ვეტექიმთან მორიგი ხბო მიათრია.

— შენ რაღა მოგივიდა, მარგოს ხათრით მაინც უნდა შეიფერო, — ეშმაკური ღიმილით უთხრა ვეტექიმმა.

— დედაკაცებს დადევს უჩუმრა, საჯდომზე უყურებს და ჩამოდის დორბლი. თფუჰ, უკუღმა გავარდნილია, ეგ შობელძაღლი! — ბრიგადირმა ბიკენტის მიმართულებით გადააფურთხა.

საძროხედან ისე გავარდა, მარჯვენა ხელი ჯიბიდან არ ამოუღია. იქვე ნამჯის გრძელ ზვინთან მიირბინა, მიიხედ-მოიხედა, დარწმუნდა, რომ არავინ უყურებდა, ძაღლების მიერ მოწყობილ ბუნაგში შეძვრა და ქილა ნამჯაში ღრმად შემალა. ცოტახანს

შიგვე დარჩა. გული მკერდიდან ამოვარდნას ლამობდა, ხელები უკანკალებდა, ჩანა უხტოდა. გარეთ გამოძვრა, ზვინს მიეყუდა, ცოტათი დაწყნარდა. ახლა ბრიგადირთან უნდა მივიდე, თორე ნამდვილად ეჭვს აიღებენ, გაიფიქრა და საძროხისკენ ზლაზვნით წავიდა.

ვეტექიმი და ბრიგადირი ხბოების მკურნალობას ამთავრებდნენ.

— სად გარბოდი, კუჭი ეგეშალა? შე არსაითო, როცა დაგსაქმებენ, მაშინ გეშლება ყველაფერი! — შეუღრინა ბრიგადირმა.

— ჰო, კუჭი ემეშალა და გავიქეცი, აბა რა მექნა, — ბიკენტიმ გაიხარა, მდგომარეობიდან გამოსავალი რომ მიაჩეჩეს. ეს კი არა, რომ ეთქვათ, ჩაისვარეო, სიხარულით დაეთანხმებოდა, ჩავისთვარე და იმიტომ მივრბოდიო. სახეზე კი ისეთი ღიმილი მისწებებოდა, ყველას ფეხის ალოკვის მზადყოფნაზე რომ მეტყველებდა.

— ეს ბიჭი ან ძალიან დარეხვილია, ან რაფინირებული, ლოპრიანი არაკაცი, — თქვა ვეტექიმმა და ჩანთა მხარზე გადაიკიდა.

ბიკენტის ღიმილმა პირი ყურებამდე გაუჩაჩხა. „ჩანთა არ შეუმოწმებია, ის ქილა როდის დასჭირდება, ვინ იცის, ვერავინ ვერაფერს გამიგებს. წამალი ხახვივით შამრჩება“, გაიფიქრა და დაუოკებელი სიხარულისგან დაბნეულმა ვეტექიმს ხელი გაუწოდა:

— ნახვამდის, კარგად ბრძანდებოდეთ, — დააყოლა.

ვეტექიმი ჯერ გაკვირვებით დააშტერდა, მერე ინსტინქტი იყო თუ ჩვეულებრივი ადამიანური თვისების ჩურჩული, ხელი ჩამოართვა და ზიზღით დაემანჭა სახე. თითქოს ხელში ბაყაყი ჩაუდესო, უცებ გამოსტაცა და ზედ დაიხედა. ხელის გული და თითები სველი ჰქონდა. შეაჟრჟოლა, ხელი შარვალზე გაისვა, ამით რომ ვერ დაკმაყოფილდა, იქვე მდგარ ხბოს ზურგზე სცადა მისი გაწმენდა „ლოპრიანი არაკაცი“, გაახსენდა წეღანდელი ნათქვამი და კინაღამ გული აერია. ტანზე ეკალი დააყარა: — ეს რა ვნახე, კაცო! — ჩაილაპარაკა და განზე გაწეული მარჯვენა ხელით ისე წავიდა, თითქოს ძროხის უკანალზე დასვროდა. ბიკენტიმ ახლა ბრიგადირს გაუწოდა ხელი.

— წა, დაიკარგე აქედან. ახლა მე შამაწმინდე შენი ტურტლიანი ხელი! — ბრიგადირმა ხელი ჰკრა და ვეტექიმს გამოეკიდა.

ჩამოსართმევად ხელგაწვდილი, კმაყოფილი ღიმილით სახე-დაღრეჯილი ბიკენტი მზერით მიაცილებდა...

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ახლა საჭირო იყო მისი დანიშ-ნულებისამებრ გამოყენება ისე ზუსტად, რომ ობიექტი ბიკენტის შეხვეწოდა, შენს კაკანათში გამაყოფინეო თავი. შედგენილი ჰქონ-და სია, ვისთვის უნდა ეჭმევინა მაგიური წამალი: ჯერ ოცამდე დედაკაცი, ქალიშვილი და ბავშვი დაესვა სამიზნეზე. აქედან ზო-გი ისეთი ახლობელი იყო, ადამიანს სისხლი გაეყინებოდა ამის გაგებით. ლოპრიანი არაკაცი კი ყველაფრის მკადრებელი იყო. წარმოდგენილი ჰქონდა სიაში პირველი ახრასია როგორ დაეძგე-რებოდა ბიკენტის და წამალნაგემები შეეევედრებოდა გადარეული ვნების დაშოშმინებას. ახლა მთავარი იყო ისეთი მომენტი შეერ-ჩია, როცა მარტო ის და ახრასია დარჩებოდნენ ბინაში, თორე შეიძლებოდა მისი ნანადირევით სხვას ჩაეკოკლოზინებინა ყელი. ასეთი მომენტი კი თვეში ერთხელ თუ შეიძლებოდა მოეხელთე-ბინა, ან ესაც არა, ამიტომ ყურადღებით უნდა ყოფილიყო.

პენიცილინის პატარა შუშა იშოვა, ქილიდან წამალი შუშა-ში ჩაყარა და ძაფით კისერზე ჩამოიკიდა. ისეთი გრძელი იყო ძაფი, შუშა სიარულის დროს ჭიპთან გორავდა. საბაზო ქილას ადგილი უცვალა, თივის ზვინში მოწყობილი ძაღლების ბუნაგი-დან საცხოვრებელი სახლის უკანა კედელთან პატარა ორმოში ჩაფლა და ზედ ქვა დააფარა ქალების ვნებათა დაბომბვის საი-დუმლო არსენალს.

ახრასია ქვრივი იყო. ორი ბიჭი ჰყავდა, უმცროსი ბიკენტის ასაკისა იქნებოდა. ორივე ცხვარში იყვნენ მწყემსებად. ახრასია ხშირად ღამეც რჩებოდა ბინაში. თავის ძროხებს მოწველიდა, ბინას დაალაგებდა, მაწონს ჩაადედებდა, საჭმელს გაამზადებდა, მერე ოთახში ცოტას შეისვენებდა და სწორედ ამ დროს მაწვ-ნის ქილაში ჩაამტვრევდა პურს და გემრიელად შეექცეოდა. ახ-რასიას ეს თვისება იცოდა ბიკენტიმ, მაგრამ ვინ იცის ათამდე ქილიდან რომელს აირჩევდა. წამალნაგემი დედაკაცი კი რაღა ლორწოიან ბიკენტის დაეჭიდებოდა, როცა ბუღასავით მწყემ-სები იქნებოდნენ საძროხეში. მეტი სიფრთხილე იყო საჭირო, ყოვლის შემძლე წამალი მაშინ უნდა ეხმარა, როცა თვითონ და

ახრასია დარჩებოდნენ ბინაში.

მთელი თვე ბრიგადას არ მოსცილებია. დიდი მოთმინების მქონე მეთევზესავით ელოდა საჭირო მომენტს და აი ისიც: დილით ქალებმა ძროხები მოწველეს, მერე ბრიგადირის ნებართვაით სოფელში წავიდნენ. ბრიგადირი და ერთი მწყემსი ნამჯის მოსატანად მანქანას გაყვნენ. ერთმა მწყემსმა მშრალი საქონელი გარეკა შორს ვაკის საძოვრებზე. ტიმოთე კი მეწველ პირუტყვს იქვე რვაას მეტრში, არხის პირას აძოვებდა.

ბიკენტიმ ხბოები ბინის წინ ყორუღში შეყარა და ხრიხალი გადაკეტა. ახლა ბინა უნდა დაეხვეტა, მაგრამ რა დროს ეს იყო, ძლივს დაუდგა ნანატრი მომენტი. მთელი ტერიტორია დაზვერა და დაიმედებულმა ქალების ოთახში შეიხედა. ახრასიას თავისი საქმე მოეთავებინა და ახლა ქილაში პურჩამტვრეულ მაწონს ჭამდა. ბიკენტი ოთახში შევიდა და მაგიდასთან მდგარ გრძელ სკამზე ჩამოჯდა. ახრასიამ შეხედა და ზიზღით შეაკანკალა. გრძელ, სტაფილოსფერ, ცხვირზე ოფლის ხორხოშელა ეყარა, ნიკაპზეც ოფლი უბზინავდა. ძროხის უკანალივით ჩავარდნილ პირზე დუჟი ნაპოპებივით შეყვითლებოდა. იცოდა ახრასიამ მისი სველი ხელების და მყრალი ფეხების ამბავი, ლუკმა ვეღარ გადააცილა ყელს. ქილა მაგიდაზე დადგა და კოვზი შიგ ჩააყუდა.

— ვიღაცა იძახოდა, ახრასიაო, — თითქოს თავის თავს ესაუბრებაო, ჩაილაპარაკა.

— ვინ იძახოდა, რას მიედ-მოედები?! — ახრასიამ შეუბღვირა.

— რავი, ეზოში შემოსასვლელ კარებთან იდგა და... — იმავე ტონით ჩაილაპარაკა.

— თფუჰ! შენ ხომ სწორედ არ ამოგივა სული! — ახრასიამ მიაფურთხა, ქილას დაავლო ხელი და კარებისაკენ წავიდა.

„ვაიმე, ვიღუპები, ქილა თან მიაქვს!“ გაიფიქრა ბიკენტიმ და ნერვიულობისგან ჩანა აუთამაშდა.

ახრასია კარებიდან მობრუნდა, ქილა ისევ მაგიდაზე დადგა. ბიკენტის ცხვირიდან ერთი წვეთი ოფლი დაუგორდა, სხვებს დაეტაკა, შეიერთა და ძალამიცემული ზედა ტუჩიდან ნახევრად ღია პირში ჩაუძვრა. ახრასიამ შეხედა და ციებიანივით შეაკანკალა. — თფუჰ, ნეტა შენს გაჩენაში ღმერთი იყო?! — ჩაილაპა-

რაკა და გარეთ გავიდა.

ბიკენტი სწრაფად წამოხტა, ყოველი წამი ძვირფასი იყო, ახრასია შეიძლებოდა უცებ მობრუნებულიყო. ჭიპიდან პენიცილინის შუშა ამოათრია და მაწვნის ქილაში მოაპირქვავა. სწრაფად მოურია კოვზი და გარეთ გავარდა.

ახრასია უკან ქოთქოთით ბრუნდებოდა: — დასწყევლა ღმერთმა, ეგეთი ფინთი არაფერი მინახია, როგორც ეს დორბლიანი ბიჭია.

ოთახში რომ შედიოდა, მაშინ მოჰკრა თვალი ბიკენტის, ძუნძულით რომ მიეფარა საცხოვრებელი ბინის კუთხეს.

— ძაღლის კუდი არ გასწორდება, რამე მაიმუნობას ჩაიდენდა, იგრე გაიძურწა, — ლაპარაკით შევიდა ოთახში. — გამამასხარავა მაგ წვინტლიანმა და გაიპარა, დამაცადოს! — ლაპარაკობდა და თან ოთახს ათვალიერებდა.

მაწვნის ქილა აიღო და ჭამა გააგრძელა.

ბიკენტი კედელთან ვერ გაჩერდა, ახრასიამ აქ არ მომატანოსო. თივის ზვინთან დაიმალა და წამლის მოქმედებას დაელოდა. კარგა ხნის შემდეგ გაიგონა ახრასიას მოთქმაც: — რაღაცა მიგდო მაგ სატყვიემ! — ალმოდებული ახრასია საჩეხში დაბორიალობდა.

ბიკენტიმ იფიქრა, ახლა კი მოვიდა ჩემი დროო და საჩეხისკენ წავიდა იმის იმედით, რომ ახრასია ყელზე ჩამოეკიდებოდა და ანთებული სისხლი გაგრიგებას მოსთხოვდა.

ახრასია ადგილს ვერ პოულობდა, აპეურს ისე იქნევდა, თითქოს ხელში ღადარი უჭირავსო. ბიკენტი ეშმაკური ღიმილით და ჩანაფიქრის უდავო შესრულების იმედით მიუახლოვდა. ალმოდებული ახრასია რაღაც შეშლილივით დააკვირდა, მერე ზიზღით გააჟრჟოლა და აპეური ისე მაგრად გადაუჭირა ზურგზე, ბიჭი ტკივილისაგან დაიღრიჭა.

— აქაურობაზე თვალი გეჭიროს, შე არგასაზრდელო! მე ტიმოთესთან მივდივარ ძროხების გამორეკვაში მივეხმარები, — უთხრა და თავქვე სირბილით წავიდა.

ბიკენტი იქვე საჩეხის ფილაქანზე ჩაჯდა და პირზე დუჟმორეული აკვირდებოდა, როგორ შორდებოდა მისი საოცნებო ახ-

რასიას მოთამაშე დუნდულები.

საღამოთი ტიმოთემ და ახრასიამ მტრედებივით ღუღუნით მორეკეს ძროხა.

ახლა ტიმოთე მაწვნის შეჭამანდს შეექცეოდა. ახრასიამ კიდევ დაუმატა ახალი ულუფა და პურიც თვითონ ჩაუმტვრია. ამ წყვილს კუთხეში მიყუჟული ბიკენტი ოფლიანი ცხვირის წმენდით აკვირდებოდა და თან ბოღმით სკდებოდა. ახრასია ფერმკრთალი იყო, მაგრამ აღელვება და ნერვიულობა აღარ ეტყობოდა.

— დაუგრილებია, — თავისთვის ბუტბუტებდა ბიკენტი და უფრო იკუნტებოდა.

ახრასია მიხვდა ბიკენტის ოინებს, მაგრამ არავისთვის არ უთქვამს. ფრთხილად, შეუმჩნევლად აკვირდებოდა და ჯავრის ამოყრის მომენტს ელოდებოდა. ბიკენტის უფრო თბილად ექცეოდა. ისიც დარწმუნდა, ახრასიამ ვერაფერი გაიგოო და უფრო თამამი მოქმედებისთვის ემზადებოდა. ახლა იმ მომენტს ელოდა, რამდენიმე ქალი რომ დარჩებოდა ბინაში და მამაკაცები კი წასულები იქნებოდნენ. რომელიმე მაინც ისურვებდა მის ალერსს, ჩიტების გუნდისთვის ნასროლი საფანტი მონადირეს ხელმოცარულს არ დატოვებს. აღარც ამ ოინბაზობის გამჟღავნების ეშინოდა, რაკი ახრასიამ ვერ გაუგო, ვიღა მიუხვდებოდა.

კისერზე დაკიდებული პენიცილინის შუშა სავსე ჰქონდა, ახლა დამატებით მეორის ასავსებად მივიდა. მაწვნის ყველა ქილის შესანელებლად მარტო ერთი რას ეყოფოდა. ის იყო სახლის უკან ორმო ამოჩიჩქნა და ქილა ამოიღო, რომ ახრასია დაადგა თავზე და ვეტექიმის წამლიანი ქილა ხელიდან გამოსტაცა.

— რა არის ეს?! გეგონა მამაძაღლობა შეგრჩებოდა, შე გველის წიწილო! — უღრიალა და ისტერიკაში ჩავარდინლმა ისე გაბედულად ურტყა თავ-პირში აპეური, რომ ბიკენტი ჯერ აღრიალდა, მერე საძროხისაკენ გაექცა, ეგონა იქ თავს დამანებებსო. ახრასიამ ცემა-ტყეპით საძროხე და სახბორე შემოარბენინა.

— მიშველეთ, მამკლა! — აღრილებული ბიკენტი ეზოში მდგარ ბრიგადირისკენ გაიქცა და რამდენიმეჯერ მის გარშემო რბენაში ახრასიამ აპეური სახეში მაგრად უსართა.

— ეს ქალი ტყუილუბრალოდ არ გაგირისხდებოდა, ლოპრიანო, შენ ეგრე მოგიხდება, — უთხრა ბრიგადირმა გაშველების მაგიერ.

იმედდაკარგული ბიკენტი მთავარი შემოსასვლელსკენ გაიქცა ღრიალით. ახრასია ალაყაფის კარებთან წამოეწია, აპეური კიდევ ერთხელ გადაუჭირა და მერე ქვაც მიაყოლა.

— მოგატანო კიდე აქ, ძაღლებს შევაჭმევ შენ მურტალ ხორცს, შე უკუღმა დაგდებულო! — მიაძახა და უკან წყევლა-კრულვით გამობრუნდა.

ენაგადმოგდებული ბიკენტი დალურჯებული თავპირით ხევ-ხევ მირბოდა. სოფლის შარას მოერიდა, ვიწრო ორღობიდან შეიპარა სახლში და სათონეში მოკუნტული მიიყუჟა. რომ დამშვიდდა, ახლა მოისვა ჭიპზე ხელი, პენიცილინის შუშა იქ დახვდა, გაუხარდა. მართალია მთელი არსენალი დაკარგა, მაგრამ იმდენი კიდევ ხომ დარჩა, რომელიმე დედალს რომ დაობამდა.

საღამოთი მარგოს ზღაპრები მოუყვა, ქურდობას, ბოზობას, დასმენას და ზარმაცობას ვერ ვიტანდი და ცემით გამომაგდესო. ახლა მე ცოცხალი თავით იქ მიბრუნებელი აღარ ვარო. მარგოზე კარგად ვინ იცოდა, რა ჩიტი იყო მისი ტვინმრუდე შვილი. ისაც იცოდა, რომ ბიკენტი ტყუილს უყვებოდა, მაგრამ რა ექნა. მდუმარედ მოუსმინა, თავისთვის კი იფიქრა: „რაღაცას დააშავებდა და ეტყობა არ აპატიესო“, ხმამაღლა კი უთხრა: — რა ვქნათ, იყავი სახლში, მერე რაღაცას მოვიფიქრებთ.

ბიკენტი სახლშია, დასდევს ქათმებს, ღორებს, ძაღლებს, კატებს. თავის ტოლებში ვერ გადის, არ უყვარს საღი ადამიანების საზოგადოება, არც მათ ახატიათ გულზე ეს ლორწოიანი უკუღმართი.

მარგო ლაბორანტია, სასმელ წყალში ქლორს ურევს. თავისუფალი დრო ბევრი აქვს ჩაკუპატებულ-ჩამრგვალებულ ქვრივს. არც მამაკაცთა კურკურს იკლებს, ოღონდ ზომიერად, ცდილობს თვალში არავის მოხვდეს, მაგრამ სოფელში ყველამ იცის, ვინ რომელ სალოცავში ლოცულობს.

ზაფხულის არდადეგებზე მარგოს მეზობელ ქსენიას თავისი დის შვილი და მისი ამხანაგი სტუდენტი გოგო ესტუმრნენ.

უკვე ორი კვირაა სოფელში არიან, მათი კისკისი იკლებს იქაურობას.

ბიკენტიმ პენიცილინის შუშა ხელით მოისინჯა ისე, როგორც პოლიციელმა პისტოლეტი და ოპერაციის შესასრულებლად მეზობლის ეზოში განგებ გადაფრენილ მამლის მოსაყვანად გადავიდა.

— ჩვენი მამალი გადმოფრინდა და..., — სათქმელი ვეღარ დაამთავრა სასაცილო პოზაში გაჩერებულმა.

— იცნობდეთ, გოგოებო, ჩვენი მეზობელია, ბიკენტი, — წარუდგინა ქსენიამ გოგოებს.

ერთმა გოგომ ხელი გაუწოდა და ბიკენტის სახის დანახვაზე რაღაც გაკვირვება გამოეხატა სახეზე. — თამარი, — ამის თქმა მოასწრო ბიკენტის ხელის სიგრილით დამფრთხალმა, ხელი გამოსტაცა და ზიზღის ნაოჭები დაკეცა შუბლზე, თავის ამხანაგს ხელი დაუჭირა, არ ჩამოართმევინა.— ამას მარეხი ჰქვია, — უთხრა და ორივე გაბრუნდნენ. მერე სანამ ბიკენტი თავის მამალს დასდევდა, თამარი ხელებს იბანდა, თან მარეხს რაღაცას ეჩურჩულებოდა.

ბიკენტი კი ამ გოგოების დაქამანდების გეგმის შედგენას შეუდგა, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი მოიფიქრა ისეთი, მის სტრატეგიას რომ მოერგებოდა.

მარგო დილიდან პურის გამოცხობის სამზადისს შეუდგა. „ეს მომენტი ხელიდან არ უნდა გავუშვა“, — გაიფიქრა ბიკენტიმ და მოქმედებისთვის მოემზადა. მეზობლის ეზოში გოგოები კისკისებდნენ. ბიკენტი მარგოს პურის გამოცხობაში ეხმარებოდა, თანაც იმ გოგოების საკეკით კაკანათში შემოტყუების გეგმას ადგენდა.

მარგომ თონიდან ცხელცხელი პურები მოხადა და გასაგრილებლად ვარცლში ჩაამწკრია.

— დედი, მაიტა ი სტუმარი გოგოები დავპატიჟოთ, თონესთან პური ვაჭამოთ. შეიძლება არც კი უნახიათ, თონეში პური როგორა ცხვება, — უკვე მეორედ სთხოვა გაკვირვებულ მარგოს. თონესთან დაპატიჟება კი არა, მეზობლის ქათამს ქერის ერთ მარცვალს არ შეაჭმევდა საკუთარ ნაჭუჭში შემძვრალი ბიკენტი. მარგოს გაუხარდა, იქნება ესაც ეზიაროსო ადამიანურ

ყოფას.

— ძალიან კარგი იქნება, — დაეთანხმა შვილს. — აქავე, თონეზე გავშლი სახელდახელო სუფრას. — მარგო დაფაცურდა.

— ბიკენტიმ ორჯამიანი თასი აიღო და ბაღჩაში გაიქცა ლეღვის დასაკრეფად. ბურთა ლეღვით გაავსო. თავი კარგად მოუბა. ორი ყველაზე დიდი ლეღვი აარჩია, პატარაზე გაფცქვნა, ჩხირით უჩხვლიტა და თავისი ჯადოსნური შუშიდან შიგ წამალი ჩაყარა, კანი ისევ დააფარა და თავმობმულ ჯამში ზევიდან დადო. — ეს თამარას, ჩაილაპარაკა. ასევე გაამზადა მეორე ლეღვი თამარისათვის, ორი კი მარეხს. ოთხივე ლეღვი ისე დააწყო, რომ ლეღვის მსურველს პირველად ისინი აეღო.

მარგომ დიდი ხვეწნით და მჭერმეტყველების მოშველებით გოგოები თონესთან მოიყვანა. ახლა სახელდახელო პურობას თვითონ, ბიკენტი და ის ორი ქალიშვილი შემოსდგომოდნენ.

მარგომ ჭიქები შეავსო და თამადობაც თვითონ ითავა. თონესთან პურის ჭამის მადლი ადღეგრძელა. ჭიქა ბოლომდე დაცალა, ბიკენტიც აჰყვა. გოგოებმა კი მარგოს დიდი პატიჟის შემდეგ ტუჩები დაისველეს და ჭიქები დადგეს. ყველის მცირე ნაჭერი და პური ეჭირათ, ჩიტებივით კენკავდნენ, ბიკენტის შემყურე ამასაც დიდი დაძაბულობის შედეგად ახერხებდნენ.

— ლეღვი მიირთვით, — ბიკენტიმ რამდენიმეჯერ წაილუღლუღა. გოგოებმა ყურიც არ ათხოვეს.

მარგომ მეორე ჭიქით გოგოები ადღეგრძელა, ცარიელი ჭიქა თონის ფიცარზე დაარტყა და ლეღვს წაეპოტინა. ბიკენტის ელდა ეცა, სწორედ დროზე დააგდებინა თამარისთვის შენელებული ლეღვი.

— დააცადე, ჯერ გოგოებმა აიღონ, — შეშფოთებულმა რაღაც არაადამიანურ ხმაზე უთხრა და გოგოებს კიდევ სთხოვა, მიირთვითო.

გოგოებს ბიკენტის მოკრეფილი ლეღვის ჭამა კი არა, მის დანახვაზე პურის კენკაც კი უძნელდებოდათ.

მარგომ ბიკენტი ადღეგრძელა, ისე შეაქო, როგორც შეუძლია დედას თავისი უდღეური შვილი მშვენიერ ქალიშვილებს მოაწონოს. კიდევ გამოცალა ბოლომდე, კიდევ მოისურვა ლეღვის

აღება და ისევ ის სურათი განმეორდა.

მარგომ წასულების შესანდობარი დალია. ჭიქა ბოლომდე გამოცალა, საკმეველიც ააბოლა. კიდევ წაიღო ხელი ლეღვისკენ, კიდევ ეცადა ბიკენტი თავის საცდელს, მაგრამ მარგომ შეუბღვირა: — შენ რა ღმერთი გიწყრება, გოგოებს ლეღვი თუ უნდათ, ვერ აიღებენ?! — დატუქსა და თამარისათვის გამზადებული პირველი ლეღვი გაუფცქვნელად გაგზავნა თავის მოსწრებულ სტომაქში. მას თამარის მეორე და მარეხის ორი ლეღვიც მიაყოლა. გაოგნებული ბიკენტი მთვარეულივით იდგა და ჭიქებს უთქმელად აშრობდა.

კიდევ ოთხი სადღეგრძელო დაილია. გოგოები თავაზიანად გამოეთხოვნენ და დიდი თხოვნის მიუხედავად წავიდნენ. ისინი წავიდნენ, მაგრამ ცეცხლმოდებული მარგო ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა.

— ვიშ, ქა, ეს რა ღვინო დავლიე, ლამის ევენთო ქალი, — მოსთქვამდა და ვერ გაეგო ეზოში რისთვის დაბორიალობდა.

უცებ რაღაცა გაახსენდა, სამ პურს დაავლო ხელი და ალაყაფის კარებისკენ გაიქცა.

— დათებასთან მივდივარ, საჭმელი უნდა ჩავუტანო! — მიაძახა ბიკენტის და ალაყაფის კარები მიიხურა.

დათება დაქირავებული მუშა იყო, მარგო ვენახში ხშირად ამუშავებდა, მაგრამ ერთხელაც არ წაუღია მისთვის საგზალი. ბიკენტიმ იცოდა მხოლოდ, რა ბედის ვარსკვლავმა გაულიმა დათებას.

საღამოთი მარგო თვალებმოწკრიალებული და დამშვიდებული დაბრუნდა. მეორე დღეს კი დათებამ სახლში მოაკითხა.

— მარგოჯან, ბაღჩას დაგიბარამ, ფული არ მინდა, — უთხრა.

სამი დღე ბარამდა და ჩიჩქნიდა დათება ბაღჩას. სამი ღამე რჩებოდა მათთან და მარანში იძინებდა. სამი შუაღამე დგებოდა მარგო და გარიჟრაჟამდე დათებასთან რჩებოდა. სამი ღამე უთვალთვალებდა მათ კურკურს ბიკენტი და წყევლიდა თავის იღბალს. ბოლოს მარგომ დათება გააცილა და უთხრა, შენ აღარ მოხვიდე, თუ დამჭირდები, მე თვითონ მოგნახავო.

ერთხელ მარგოს თავისი მამიდაშვილი ესტუმრა და ღამე მასთან დარჩა. ჯერ ორნი ჩურჩულებდნენ, მერე ბიკენტიც მიიწვიეს

და საქმიანი საუბარი გაუბეს:

— გოგო არ დაიწუნება, ცოტა ბრტყელტერფაა და იხვივით დადის, პირველად რომ შეხედავ, ბადუდა გეგონება, მაგრამ ნურას უკაცრავად, ფარმაცევტია, ქალაქში ცხოვრობს, ამ სველ ბიკენტისაც ქვეყანაში გამოიყვანს, როგორი საქმეა, რას იტყვი, ბიკენტი? — შეეკითხა არამკითხე მაჭანკალი.

— ფარმაცევტია? — იმ მუშტარივით იკითხა ბიკენტიმ, საქონელი რომც გაასინჯონ, მის ავკარგს მაინც რომ ვერ გაიგებს.

— ჰო, ხომ გითხარი.

— წამლების საქმე ეცოდინება, არა?

— იცის, მაშ.

— ყველა წამლების დამზადება შეუძლია?

— იმის უცოდინარი წამალი არ არის.

— ამ წამალსაც? — ბიკენტიმ პენიცილინის შუშის ადგილზე დაიდო ხელი და უცებ სიტყვა ბაგეზე შეეყინა, ფერმა გადაჰკრა.

— მანდ რა წამალი გაქვს?

— ათასში ერთხელ მუცელი წამამტკივლებს ხოლმე და...

— მუცლის ტკივილის წამალიც იცის და ოფლიანობის საწინააღმდეგოც, — განაცხადა სტუმარმა.

გაიხარა ბიკენტიმ. მთავარია, რომ წამლების დამზადება იცის, თავის შეკვეთებზე ამუშავებს. გოგო კიდევ გინდა ბრტყელტერფა იყოს და გინდა ბადუდა, თავის ყოვლიშემძლე წამლის გამოლეულ მარაგის შევსების იმედით ფრთები შეესხა. იმ ბადუდა ფარმაცევტს, ალბათ, ნათესავები, ამხანაგები, დობილები ეყოლება და ბიკენტიც წამლის მაგიურ ძალას მათზე გამოსცდის.

პატარა პურმარილის შემდეგ ბიკენტი თავისი ყოვლისშემძლე პერსპექტივებით იმ გოგოს ჩაბარეს და ქალაქში გაამგზავრეს.

20 დეკემბერი 1997 წელი.

მჭედელი აქვსენტი

ის რაჭიდან გადმოსახლდა ქიზიყის სოფელში, აქაური ქალი შეირთო ცოლად, შექმნა ოჯახი; ალალსა და უსაყვედურო პურს ჭამდა.

ამ მხარეში გამოჩენილი მჭედელი იყო, გლეხები ამბობდნენ: რკინის კაცის გაკეთებაც კი შეუძლიაო. მის დიდრონ ხელებში სამჭედლო ურო სათამაშოს ჰგავდა.

ჯერ მზე არ ამოსულიყო, მაგრამ სამჭედლოში გახურებული მუშაობა იდგა. გლეხები ზოგი თოხს, ზოგი ბარს, ზოგიც სხვადასხვა იარაღს ამზადებდა.

— ჩქარა, კაცო, თორემ თუ მზემ შემასწრო ვენახში, მემრე რაღად მინდა, — ფუსფუსებდა ზაქარა, რომელსაც ცხენის ორთვალასათვის ერთი დაგვალული თვალი გამოეძრო და სალტის მოჭერას თხოულობდა.

— ახლა რომ გეჩქარება, შე დალოცვილო, კარგი მეურმე ესე გამოგვალავდა?! მაგრამ ფოდოშა ხარ, ჭკუა ვერ ისწავლე! — როგორც ყოველთვის, ბეჯითად აკრავდა თვალზე სალტეს. დარცხვენილი ზაქარა ნაცემი ძაღლივით იდგა.

— ეე, ზაქარ, შენსას რომ ეგრე უფრთხილდები, სხვისას რაღას უზამ?! — ხუმრობდნენ გლეხები და თან თავიანთ საქმეს აკეთებდნენ.

დილის შვიდ საათამდე ყველა თავის გზას დაადგებოდა, თუ რომელიმე ჩამორჩენილი ორთვალა ან ურემი გამოჩნდებოდა, მისი სიზარმაცე გახდებოდა შემდგომი ხუმრობის საგანი; მერე კი მოძრაობა მთლიანად წყდებოდა. მაშინ ისვენებდა მჭედელი აქვსენტი, უროს დამრტყმელი ბორია, ნალბანდი ფირანა, დურგალი კოტე. ნიორი, ხახვი, მწვანილი, პური, ჭიჭლით ღვინო და თუ ამ სუფრას ყველი, ხორცი ან ქათამი მოემატებოდა, მაშინ ხომ განსაკუთრებული დღე იყო. შენაყრდებოდნენ, თითო ჭიქა

კახურით დალოცვდნენ მშრომელი კაცის მარჯვენას და შემდეგ გრძელდებოდა მთელი დღის დაუღალავი შრომა.

დუქნებთან ხალხის თავშეყრის ადგილიც იყო და ყველა ახალი ამბავი იქ ვრცელდებოდა. ჩვენ ახალგაზრდებსაც ძალიან გვიყვარდა იქ ყოფნა.

ზაფხულის პაპანაქება სიცხე იდგა, არდადაგები გვქონდა და მოდებული ვიყავით მინდორ-ველებს, ჩვენი შეკრება დუქნებიდან იწყებოდა და დუქნებით მთავრდებოდა. სამჭედლოში ცივი წყლის მოტანა საპატიო საქმე იყო და მხოლოდ იმას ავალებდნენ, ვინც კარგად იქცეოდა, უფროსების გულისწყრომას არ იმსახურებდა.

ჩვენს შორის ფეხსაცმლიანი არც ერთი არ იყო, ცხელ ქვიშაზე და გავარვარებულ მიწაზე სიარულისაგან ისე გვქონდა გასქელებული ფეხის გულები, წვრილი ეკლებიც ვერას გვაკლებდა. ფეხბურთსაც ფეხშიშველები ვთამაშობდით, შედეგი არც თუ ისე ცუდი გვქონდა.

მახსოვს, ერთხელ მეზობელს ქალაქიდან ჩვენხელა ნათესავი ჩამოუვიდა, ისეთი ბუცები, ფორმა და ბურთი ჰქონდა, რომ კინაღამ ღმერთად მივიღეთ. გვეგნა, ბურთთან ერთად იყო დაბადებული, როგორ არ გაგვიკვირდებოდა, როცა ჩვენი ბალახით გატენილი, ტყვიასავით დამძიმებული ბურთის გარდა არაფერი გვენახა.

ქალაქელმა სტუმარმა ბურთის თამაში შესთავაზა ბიჭებს. ჩვენც დიდი მოწონებით დავეთანხმეთ, თანაც ვთხოვეთ: შენ ძალიან მაგარი თამაში გეცოდინება და ზოგჯერ ჩვენც მიგვიშვი ბურთთანო. მან ბურთს ბუციანი ფეხი დაადგა და ორ ნაწილად გაყოფა გვიბრძანა, თანაც დასძინა, რომ მის მოწინააღმდეგე გუნდში სამი მოთამაშით მეტის აყვანის უფლება შეეძლოთ, რათა მისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ.

ჩვენმა პირველმა თამაშმა სულ გაფანტა ფორმით შექმნილი შეხედულება. ჯერ მოკრძალებით ვექცეოდით, გამოპრანჭულ ქალაქელს, ისიც ისე იჭერდა თავს, თითქოს ჩვენ მის ირგვლივ ბუზები ვიყავით, მაგრამ ფეხბურთის აზარტმა მალე გააქრო მოკრძალება და პირველსავე დატაკებაზე ბუცებიანმა სამმაგი სალტო

გააკეთა. მერე ავირიეთ და მზისაგან გარუჯულმა ფუხშიშველა ფეხებმა ბუცები ბურთთან აღარ გააკარეს. მოპრანჭული ბიჭი დაბნეული დაბორიალობდა გახელებულ სოფლელებს შორის. ბოლოს გაბრაზებულმა და შერცხვენილმა წაგვართვა თავისი ბურთი და იძულებული გავხდით ჩვენი ბალახით გატენილი ბურთით გაგვეგრძელებინა თამაში. ის კი თავისი ქალაქური ბურთით და ფორმით ქვაზე იჯდა ჩვენი თამაშის დამთავრებამდე.

ჩვენს პროგრამაში ყოველდღე თუ არა, ორ დღეში ერთხელ მაინც ალაზნის არხში ბანაობა შედიოდა. ზოგჯერ არხი ისეთ ტალახიან ტალღებს მოაგორებდა, რომ ბანაობის შემდეგ სხეულზე ჭუჭყი ზოლებად გვრჩებოდა, მაგრამ პაპანაქება სიცხეში ყველაზე უკეთესი გამოსავალი მაინც ეს იყო. მერე კი გახურებულ მტვრიან გზაზე ფეხშიშველა ფეხებით მივატყაპუნებდით სოფლისაკენ.

საბანაოდ წასვლა რომ გაიგო, ქალაქელი სახლისაკენ გაიქცა და ისეთი მშვენიერი ზოლებიანი „მატროსკა“ ჩაეცვა, რომ ყველა ყბადაღებული მივჩერებოდით, რადგან ჩვენი დედების მიერ შეკერილი შავი, ფართე, მუხლამდე ტრუსების გარდა სხვა არაფერი გვეცვა, გულზე კი აუცილებლად, რეზინის ხისტარიანი შურდული გვეკიდა. ეს იყო ჩვენი აღკაზმულობა. ყბადაღებული მივჩერებოდით და, ისე ვიყავით გაოგნებული, ოღონდ კი რაიმე მოეყოლა, ყველაფერს დავიჯერებდით. მანაც მოგვიყვა, როგორ გაჰყვა მეზღვაურებს ზღვაზე, როგორ ბანაობდა ოკეანეში, როგორ გამოეკიდა დიდი თევზი და სხვა მრავალი, ჩვენ ვისხედით ყბადაღებულები და ოცნებაში წასულებს ყველაფერი გვჯეროდა, გვრცხვენოდა მისთვის ჩვენ ჭუჭყიან არხში ბანაობის შეთავაზებისა.

ბოლოს თავისი წინადადებით, მაინც წამოვიდა არხზე ყვინჩილასავით გაფხორილი „მეზღვაური“, ჩვენ კი გარშემოხვეული მივდევდით და სხვა უბნის ბიჭებს ნიშანს ვუგებდით ჩვენი ქალაქელი ფალავნით. შურით გასიებულნი ისინიც შორიახლოს მოგვყვებოდნენ მოკრძალებით. გზაში „მეზღვაური“ ცურვის ილეთებს გვასწავლიდა და ჩვენც ერთი სული გვქონდა, ახალი ილეთებით შევბმოდით არხის ტალღებს.

როგორც მივუახლოვდით ნაცნობ მორევს, მოვისრიალეთ ჩვე-

ნი შურდულები და ვინც როგორ მოვასწარით, გადავეშვით არხში. კარგად მოდიდებული მოდიოდა. ფსკერამდე ჩაყურყუმელაობაში დავიწყეთ შეჯიბრი, ზოგი არხი პირას მდგარი ჭერმის ხიდან, რომლის ერთი ტოტი არხს გადაჰყურებდა, ხტებოდა წყალში. ერთბაშად ყველას დაგვავიწყდა „ოკეანის მეზღვაური", როცა ბანაობით გული ვიჯერეთ, მაშინ მივაქციეთ ყურადღება, იგი არხის პირას იჯდა და გვაკვირდებოდა. გარს შემოვეხვიეთ, ერთი ოკეანის ცურვა გვაჩვენე, ვეხვეწებოდით. მან ჯერ მოიმიზეზა, წყალი ჭუჭყიანიაო, მერე ფორმა ახალია და არ მინდა დამესვაროსო, ბოლოს, როგორც იქნა, ეტყობა, მასაც დაეჯერა, რომ ოკეანეს გადასცურავდა, გაიხადა ტანთ და მთელი სოფლის ბიჭების შეძახილით აღფრთოვანებულმა, ცემენტის ბოგირის პარაპეტიდან ადიდებულ, ამღვრეულ არხში გუდურასავით მოადინა ტყაპანი. მოუქნელმა ნახტომმა ყველა გააშტერა. უცებ სიჩუმე ჩამოვარდა, გაურკვევლობის გრძნობა, რომელიც შემდეგ შიშში გადაიზარდა, ყველას დაეუფლა. წყლიდან ამოყურყუმელავდა აფართხალებული „მეზღვაური" და მისმა სასოწარკვეთილმა, წყლით გაგუდულმა ყვირილმა თავზარი დაგვცა. ის კი კვლავ წყალმა შთანთქა, ახლა კი გამოვეგეთ გაშტერებიდან და ვინც სად იყო, იქიდან ეცა წყალში. ზოგიც გაიქცა და ქვევით, ჩალიანებში უყელა მოტაცებულ მოცურავეს. რამდენიმეჯერ კიდევ ამოაგდო წყალმა და ჩალიანებში მოდარაჯე ბიჭებს მიეცა საშუალება ქოჩორზე ეტაცათ ხელი. ხმაურზე ნაკვეთებში მომუშავე გლეხებიც გამოცვივდნენ და პირდაპირ შეტოპეს არხში, როგორც იყო, გამოიყვანეს გონებადაკარგული და გაბერილი მოცურავე. კიდევ კარგი, ერთმა გამოცდილმა გლეხმა ჩაუტარა პირველი დახმარება. ასუნთქა, დააყირავა და ნაყლაპი წყალი ამოაღვრევინა. ბოლოს ძლივს გაახელინა თვალები, ჩვენ ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ, მაგრამ უფროსების საყვედურებსა და სილაქებს ბევრი ვერ გადავურჩით.

შეაბეს ვირის ორთვალა, ზედ დასვეს გაოგნებული, ჯერაც გონზე მთლად არ მოსული ბიჭი და სოფლისაკენ გავუდეგით გზას. გლეხი ვირს ფეხით მიჰყვებოდა, ორთვალაზე მისი მეუღლე იჯდა და ბიჭის თავი მკერდზე ჰქონდა მიყრდნობილი. იგი

თავს ვერ იმაგრებდა და ქალს ხელით ეჭირა. ორთვალას ჩვენი ფეხშიშველა ბრბო თავჩაღუნული მიჰყვებოდა. ერთს მოესწრო მეზღვაურის მაისური, ქუდი, ფეხსაცმელი და გრძელყელიანი წინდები მოეკრიფა, გულზე მიეკრა, სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს უნდა ეთქვა: ამას რა ვუყოო? მაგრამ მას ყურადღებას არავინ აქცევდა და ესევე მოუწია სოფლამდე სიარული.

არავის გვახსოვს, რამდენი დრო გავიდა ამ ამბის შემდეგ. სოფელში უკვე განგაში იყო ატეხილი, არხში ბიჭი დაიხრჩოო, თოფივით გავარდნილიყო ეს საზარელი ამბავი. თავქუდმოგლეჯით მორბოდა დიდი და პატარა. ყველა თავის შვილზე ფიქრობდა და ერთი წივილ-კივილით შემოეგებნენ ჩვენს წყნარ პროცესიას. როგორც კი ყველაფერი გაირკვა და გული საგულეს დაიგულეს. ჩვენ მოგვიბრუნდნენ. პირველი იმ ბიჭს მოხვდა, ტანსაცმელი რომ მოჰქონდა, მერე დანარჩენებსაც მოგვიწია. მან იქვე დაყარა ტანსაცმელი და მოკურცხლა, ჩვენც მის კვალს მივყევით, უკნიდან უფროსების წყევლა-კრულვა გვაცილებდა.

ეტყობა იმავე დღეს დაურეკეს ქალაქელი ბიჭის მშობლებს, მეორე დღეს დილით პრიალა „პობედა“ შემოსრიალდა სოფელში, კიდევ ერთი გნიასი ატყდა მისი ნათესავის ბინაზე. ჩვენ ღობესთან მივიყუჟენით და დიდი ინტერესით ვაკვირდებოდით: ღიპიანმა კაცმა და მოპრანჭულმა დედაკაცმა, როგორ გამოიყვანეს გაფითრებული „ოკეანის მეზღვაური“ სახლიდან, ჩასხდნენ მანქანაში, მტვერში და გამონაბოლქვ კვამლში მიიმალნენ.

ერთი კიდევ მოგვაწყევლა ბიჭის ნათესავმა, ქოქოლა მოგვაყარა, არ დაზრდა გვისურვა და თავის სახლში შევიდა.

ჩვენ აქვსენტის დუქანში სათითაოდ შევლაგდით და კედელთან მიდგმულ ხის გრძელ სკამზე მდუმარედ, ბუს მართვებივით ჩამოვსხედით. აქვსენტიმ ერთი შემოგვხედა და მუშაობა გააგრძელა. ჩვენ თავჩაქინდრულები ვისხედით, ყველას ჯავრი თუ ბოღმა ყელში მხლის გუნდასავით გაგვჩხეროდა, მართალი კაცის დატუქსვა თუ დარიგება გვწყუროდა, ერთი გაღიზიანებაღა გვინდოდა, რომ ეს ყოველგვარ გაჭირვებას გამოვლილი ბიჭები ბავშვებივით ავტირდებოდით.

— შეირცხვინეთ ხომ თავი?! — თქვა აქვსენტიქ ისე, რომ მუშაობისათვის თავი არ დაუნებებია:

— რატომ გადააგდეთ ის ქალაქელი ბიჭი წყალში, რამ გაგაბოროტად ასე?! შეგშურდათ, კარგად რომ ეცვა და თქვენზე კარგად რომ ცხოვრობს? — ხმას აუწია. — თქვენგან კაცი არ გამოვა! საიდან ჩაგიჯდათ სულში ეშმაკი? განა თქვენმა მამებმა იმიტომ შეაკლეს მტერს თავი, რომ კაცთმოძულეებად დაიზარდოთ? თქვენ რომ გაჭირვება გინახიათ, ზოგი წიგნშიც კი ვერ წაიკითხავს, ეს უნდა გეამაყებოდეთ! აი, ეგ, იმ ბიჭს და მისთანებს რომ გაეკეთებინათ, არ გამიკვირდებოდა იმიტომ, რომ ცხოვრება მამამისის მიერ მოტანილი შოკოლადი ჰგონია. თქვენ კი ქურაში გამოწრთობილ ფოლადივით ხართ, ჯერ დედის რძე არ შეგშრობიათ ტუჩებზე, იმდენი ცეცხლი და ვარამი გაქვთ ნახული, რომ თქვენ დანახვაზე გული მემდულრება. ყველაზე კარგად იცით სიცოცხლის ფასი და ყველაზე ძალიან უნდა უფრთხილდებოდეთ მას, აფსუს, რა იმედი გამიცრუეთ! — დაამთავრა თავისი გაკვეთილი აქვსენტიმ.

— ჩვენ არ გადაგვიგდია, პირიქით, თვითონ გადახტა, ჩვენთვის ნამდვილი ოკეანის ცურვა უნდა ესწავლებინა. რა ვიცოდით, რომ ცურვა არ იცოდა, თორემ რას გავუშვებდით, — თქვა ჩვენში ყველაზე უფროსმა ქიტესამ.

— როგორ, თქვენ არ გადააგდეთ? — სახე გაუნათდა აქვსენტის. — აბა, მომიყევით, როგორ მოხდა ყველაფერი.

ქიტესამ დაიწყო ამბის მოყოლა, მერე ყველა ჩავერიეთ, ერთმანეთს აღარ ვაცდიდით. ჯერ-ჯერით ილაპარაკეთო, გვაჩერებდა აქვსენტი, მოყოლა რომ მოვრჩით, მერე დავინახეთ, მთელი დუქანი ჩვენ შემოგვხვეოდა.

— უყურე, კაცო, მეც არ გამიკვირდა, ამას როგორ იზამდნენ-მეთქი, ქარაფშუტა ბიჭი ყოფილა, ყოყლოჩინა, თორემ, რომ ეთქვა, ცურვა არ ვიციო, ამ ზაფხულში ამათსავით ისწავლიდა ისიც, — ჩაილაპარაკა ნალბანდმა ფირანამ.

— ვაახ, კაცო! ბიჭი როგორ ბაქი-ბუქად გაუზრდიათ, ვაახ! —ხელს ხელზე არტყამდა ერთი გლეხი.

შემოხვეული ხალხი ვიშვიშით დაიშალა, ყველა თავის საქ-

მეს მიუბრუნდა, მაგრამ მომხდარ ამბავზე მსჯელობა არ შეუწყვეტიათ.

ასე მიდიოდა დღეები. სოფელმა თანდათან მოიხედა. ომიდან დაბრუნდნენ დაკოდილი, დასახიჩრებული და გამობრძმედილი კაცები. ნახევარზე მეტი არ ჩანდა, ზოგს დაღუპვის შავი დეპეშაც მიღებული ჰქონდა, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა. საწყალმა დედებმა და ბებიებმა ჯერ ომიდან დაბრუნებულები შეაჯერეს, ჩვენი ქმრები და შვილებისა ხომ არაფერი გაგიგიათო, იმედი რომ გადაუწყდათ, მერე აღარც ერთი მკითხავი აღარ დატოვეს, ისინიც ჰპირდებოდნენ, ცოტა ომში გაუჭირდათ, შეფერხდნენ, მაგრამ აუცილებლად დაბრუნდებიანო. კარგი იმედი იყო, რამდენიმე კვირას ყოფნიდათ საწყლებს, მერე კი ახალ მკითხავს მიაკითხებდნენ. ჩვენ ცრემლებს გვიმალავდნენ, მაგრამ ბოლოს გლოვამ იმატა, ხშირად გვესმოდა დედისა და ბებიის მწარე მოთქმა, დამძიმდა ხასიათი, ჩაიფერფლა იმედის ნაპერწკალი, დაიღვარა ცრემლების ზღვა უსაზღვრო მწუხარების ოკეანეში. ერთ კუთხეში მამის სურათი და მოწიწებით დაწყობილი ტანსაცმელი იყო ჩვენი უწმინდესი ადგილი.

პატიოსანი ძალიან ბევრი იყო სოფელში, მაგრამ არავის უკვირდა, არ უკვირდათ იმიტომ, რომ პატიოსნება აუცილებელი იყო და თუ ვინმე ამ ნიშანს დაკარგავდა, იგი თითით საჩვენებელი ხდებოდა. ამგვარები სოფელში თითზე ჩამოსათვლელები იყვნენ, მაგრამ მაინც იყვნენ.

აქვსენტი სხვებისაგან თავისი კაცთმოყვარეობით, ალალ-მართალი გულითა და აქედან გამომდინარე, კაცთათვის სწორი და ალალი დამრიგებლობით გამოირჩეოდა.

წინა დღეს საშინელი სიცხე დაიჭირა. ყველა. დიდი და პატარა ჩრდილს დაეძებდა და მზის გულზე გამოსვლის ეშინოდათ. ხრეშით დაფარულ გზებს, გახურებულ თონესავით ასდიოდა ალმური. ამ სიცხეს ველარც ჩვენი გარქოვანებული ფეხის გულები უძლებდა და იძულებული ვიყავით, სადმე ჩრდილი მოგვეძებნა, მაინც ყველაზე საპატიო ადგილი დუქანი იყო, თუმცა დიდი ხნით გაჩერების უფლებას არ გვაძლევდნენ.

— შვილებო, აქ ჯდომას კი არ გიშლით, მაგრამ მეშინია,

უქმად ყოფნას არ მიეჩვიოთ. თუ იცით, თქვენ მცონარა კაცი ყველაზე დიდი ტვირთი რომ არის სოფელში?! — გვეტყოდა ხოლმე აქვსენტი.

იმ დღესაც, ეტყობოდა, ძლიერ დაცხომას აპირებდა. როგორც სიცხემ იმძლავრა, რაღაც შინაგან ინსტინქტით გავწიე დუქნისაკენ. ვიფიქრე, ცივ წყალს მივუტან და ცოტა ხანს იმათთან გავჩერდები-მეთქი. დუქანში რომ შევედი, არ ვიცი, ვერ შემნიშნეს, თუ ყურადღება არ მომაქციეს, ჩემთვის არავის შემოუხედავს, მეც წყნარად ჩამოვჯექ, ხის გაშავებულ სკამზე და გავყუჩდი.

აქვსენტის რაღაც უხასიათობა ეტყობოდა და ეს განწყობილება, რატომღაც ყველას გადასდებოდა. თავჩაღუნული მუშაობდნენ, მე ჩავახველე და სკამზე თითები ავაკაკუნე. ერთი შემომხედა აქვსენტიმ, არაფერი უთქვამს, მუშაობა გააგრძელა. გვარიანად ჩამოცხა.

— რა მოგვიხდებოდა ერთი დოქი ცივი წყალი?! — თქვა დურგალმა კოტემ, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, შეპარვით გამომხედა და თავისი საქმე გააგრძელა.

მეც ამას ველოდებოდი, დავავლე დოქს ხელი, დარჩენილი წყალი იქვე გობში ჩავასხი, რომლეშიც რკინას აცივებდნენ და ოთხმილასაკენ მოვკურცხლე.

აქოშინებულმა მოვიტანე წყალი და პირდაპირ დურგალს მივაწოდე. ესევე დოქით მოიყუდა, აგაშენაო, მითხრა, ხალათიდან ჩამოღვრილი წყალი ჩამოიბერტყა და გააგრძელა:

— ეეეხ, ბალღო, ეს წყალი კარგი იყო, მაგრამ დაპირებული ცივი, ბურთა ლელვიც ყოფილიყო, აბა, მაშინ მოვინათლებოდით, — ესა თქვა, სახეზე ღიმილმა გადაურბინა, თვალი ჩამიკრა და საქმეს მიუბრუნდა. ამ სიტყვებმა დუქანში ტყვიასავით დამძიმებული დუმილი დაამსხვრია და ამდენი სიჩუმით შებოჭილ ენას აღვირი გაუხსნა. ფირანამ ნალს ხელი შეუშვა, წელში გაიმართა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— დილით ძალიან ადრე წასულა, ალბათ გაერთო და სულ თვითონ შეჭამა.

— ბიჭოს, ერთი გოდორი იქნებაო, ამბობდა, ეგ რა ჩაუდენია, კაცო?! — გაეხუმრა კოტე.

— შენ ეგ რა გიკვირს, მე ერთი კაცი ვიცი, ერთი ცხვარი შეჭამა, მერე ასი ხინკალი დააყოლა, ორი ჩაფი ღვინო დალია. ორმოცდაათი კვერცხი მიაყოლა და დესერტად ერთი გოგროხა ატამიც მიირთვა, მააშ, — დაასაბუთა ლეღის შეჭმის შესაძლებლობა ბორიამ.

— მაინც აქვსენტის უჯობნია.

— ვითომ რატომაო?!

— ვითომ იმიტომაო, რომ ეგ შენი ჩამოთვლილი ხარახურა, გოდორს ნახევრადაც ვერ გაავსებს, ჰოდა, თუ ეგრეა აქვსენტის ორი იმდენის შეჭმა შესძლებია. ზუსტად თუ გინდათ, ორი ცხვარი, სამასი ხინკალი, ორასი კვერცხი...

— მაიცა, მაიცა, კაცო, ეგ ორი ჩაფი ღვინო გოდორში არ ჩაასხა, თორემ გაუვა, ცოდოა, ალბათ კახური იქნება, რას გვარგებს მაგისი დაქცევა?!

— გვარგებს კი არა, დედის რძესავით შეგვერგება, აქვსენტის ლეღვივით.

მე ჩუმად ვიჯექი და ვერ გავერკვიე, რა შუაში იყო ლეღვი, ან რა შუაში იყო აქვსენტის მადა, როცა იგი ყველაზე ცოტას ჭამდა, ალბათ, მთელ სოფელში და ეს ყველამ იცოდა, მუცელღორები არც სხვები იყვნენ, მაგრამ დღეს რაღაც საღერღელი ჰქონდათ აშლილი და რამ გაუღვივათ ეს მადა, ვერ გამეგო.

ბოლოს საქმეში ისევ აქვსენტი ჩაერიან, ეტყობა, მეგობრების რეპლიკებმა ხასიათი გამოუკეთეს; ჩაქუჩი მიაყუდა, ხელები ფართუკზე შეიწმინდა, ცივი წყალი დაისხა ალუმინის ჭიქაში, დალია, დარჩენილი ნაწილი მიწის იატაკზე მოაქცია, ამოიხვნეშა და იქვე დაგდებულ სამორგვე ხეზე ჩამოჯდა.

— შევხაროთ მუხლი, მინდა ერთი გოდორი ლეღვის ამბავი თქვენც გაგინაწილოთ, — თქვა და დაელოდა სანამ დანარჩენებიც შეუშვებდნენ ხელს მუშაობას.

— აგაშენა ღმერთმა, ეგრე შე დალოცვილო, თორემ შენ რომ დაღონებული ხარ მუშაობის ლაზათი იკარგება, — თქვა დურგალმა და ყველანი აქვსენტის ახლოს ჩამოსხდნენ.

— გუშინ ხომ შეგპირდით, რომ ხვალ ლეღვს მოგიტანთ-მეთქი, — დაიწყო აქვსენტიმ, — ჰოდა, მომისმინეთ, რა უბედურება

შემემთხვა, — მსმენელებმა ყურები ცქვიტეს უბედური ამბის მოლოდინში, — დილას ადრე ჩემი მეუღლე და მე წავედით მეზობლის ვირის ორთვალათი ლეღვის დასაკრეფად. დალოცვილმა კარგი სხმა იცის, ერთი კვირა არ დაგვიკრეფია და იმედი მქონდა, კარგად იქნებოდა დამწიფებული. მივადექით ჭრიალა ორთვალათი ჩემს ლეღვს, ხმამაღლა ვლაპარკობთ მე და ჩემი დედაკაცი, არაფრისა არ გვერიდება. მივუახლოვდით, კაცო, დავაკვირდით და ვხედავთ, რომ ჩემს ლეღვზე ვიღაც ასულა და კრეფავს, — ჰაი, შე სასიკვდილევ! — დაიწყო ჩხუბი დედაკაცმა. მე დროზე მივაფარე პირზე ხელი და გავაჩუმე, თორემ შევრცხვებოდით, ქურდი გაიგებდა. მივიპარე მეზობლის ღობიდან და ქურდიც ვიცანი, ჩემი მომიჯნავე ტარუღაანთ ტიმოთე, ლეღვის ძირში სამი გოგროხა სავსე ჰქონდა, რომ ყოფილიყო ბავშვი, არ გამიკვირდებოდა, მაგრამ ეს ამხელა ოჯახის პატრონი ქურდობდა, გამიკვირდა, მაშ რა მექნა? დავიწვი კაცი სირცხვილით, მიწა რომ გამსკდომოდა, ის მერჩივნა, წამოვედი და მაშინ მივაქციე ყურადღება, რომ ორთვალის თვლები ჭრიალებდა, ოფლი დამასხა, კინაღამ გაგვცა იმ ოხერმა. ღვთის წყალობით, გადავრჩით, არაფერი გაუგია ქურდს. დედაკაცი ბევრს ჩხუბობდა, მაგრამ დავაწყნარე და არ გავუშვი, ახლაც გაბუტული მყავს. ასე გამოვედი, ძმებო, უპირო კაცი თქვენთან, ღმერთმა აპატიოს ტარუღაანთ ტიმოთეს, მაგრამ მე მერიდება, როგორ შევხედო იმ კაცს თვალებში, — დაამთავრა აქვსენტიმ და თავი ჩაღუნა. დანარჩენებიც დუმდნენ, მაგრამ აშკარა იყო, სულ სხვადასხვა აზრი ჰქონდათ მომხდარ ფაქტზე.

— ვააჰ, კაცოოო, — ვეღარ მოითმინა კოტემ, მარილიანი თოფი ვერ აჯახე საჯდომში მაგ შობელძაღლს, დედას ვუტირებ, აქ არ მოვა?! — დაირტყა ხელი გულზე და ბობოქრობით ადგა.

— ეგენი სულ მაგ საქმეზე უნდა იდგნენ, კაცო, — ამოიღო ხმა ფირანამ.

— ლეღვი რა არის, როგორ შეიძლება კაცს მისი ჭამა აუკრძალო, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ კაცს ხასიათი უფუჭდება ლეღვის ქურდობით და ღალატიანი ხდება

ცხოვრებაში, თორემ ალალი იყოს კაი კაცზე ჩემი ლეღვიც და ჩემი პურ-ღვინოც. — დაამთავრა საუბარი აქვსენტიმ და ქურას მიუბრუნდა.

დანარჩენები ჯერ ადგილზე დარჩნენ, თავჩაღუნულები, ხუმრობის ხასიათი აღარავისა ჰქონდა, ჯანღივით ჩაწვა მათ შეგნებაში ტარუღაანთ ტიმოთეს მიერ ჩადენილი სამარცხვინო საქციელი, კაცი ვერ გაიგებდა, რაზე ჯავრობდნენ ტიმოთეზე თუ აქვსენტის დიდსულოვნებაზე. — ეეხ, აქვსენტი, შე კაი კაცო, ერთი ორიოდე სახრე ვერ გადაუჭირე იმ შობელძაღლს და გული ვერ მოგვფხანე?! — წაიკითხავდა კაცი მათ მოქრუშულ სახეებზე.

აშკარა იყო, აქვსენტის საქციელს უწუნებდნენ და ყველა მზად იყო ტარუღაანთ ტიმოთეზე მოეფშვნიტათ ხელები.

მე ჩემთვის ვიჯექი კუთხეში და ვფიქრობდი, თვალის წინ წარმომიდგა, სად რა ხილი მომიპარავს და სირცხვილის სიწითლემ გადამიარა. დამნაშავესავით მიმოვიხედე, ჩემთვის არავის ეცალა. ფიქრი გავაგრძელე. გამახსენდა ჩემი მეგობარი დათა, ონავარი ბიჭი იყო, მისი კურთხევის გარეშე ბაღში ხილი არ მწიფდებოდა; ზეპირად იცოდა, ვის რა გემოს ხილი ედგა ბაღში. ერთი კარგი თვისება ჰქონდა, ტოტს არ მოტეხავდა, ფოთოლს არ ჩამოაგდებდა, მხოლოდ რამდენიმე ნაყოფს შეჭამდა, ჯიბეებში ჩაიწყობდა და უხმაუროდ გაეცლებოდა ბაღს. ასე, რომ თუ პატრონი ბაღში ხეზე არ მოატანდა, ვერ გაიგებდა, თუ მას ვინმემ მოპარა ხილი. დათას ჯიბით გამოტანილი მსხალი თუ ვაშლი მთელი დღის განმავლობაში შენახული ჰქონდა, სანამ ბიჭებს არ გვნახავდა და მეგობრულად არ გაგვინაწილებდა.

სწორედ ეს მოუხელთებელი ხილის ქურდი დათა ერთ დღეს დაიჭირა მეველემ, კიტრანა ქარუმამ, დაიჭირა მეთქი ვამბობ, თორე იმისი დაჭერა როგორ შეიძლებოდა, თუ არა შემთხვევა, რომლის გამოც დათა ამ ბოროტი კაცის ხელში მოხვდა.

დათა ვაშლზე რომ აიპარა, ძაღლის ყეფამ გააგებინა ქარუმას ადამიანის შემოპარვა. მან მაშინვე დაავლო თოფს ხელი, რომელიც სულ მარილით ჰქონდა გატენილი და ბაღში გაქანდა. დათა ხეზე ისე იყო შეხამებული და გაჩერებული, რომ ეშმაკიც

ვერ იპოვიდა. ქარუმა მიხვდა, რომ ბაღში გამოცდილი ხილის ქურდი იყო შემოპარული, ფეხზე შეყენებული თოფით ანგარიშმიუცემლად დარბოდა ხიდან ხესთან, უწმაწური გინებით იკლებდა იქაურობას. ამ გაუთავებელ სირბილში თვითონაც ვერ შენიშნა, როგორ მივიდა თავის მიერ დაგებულ მახესთან. იქ, სადაც ელოდებოდა ქურდის გადმოხტომას, ღრმა ორმო ამოეჭრა, ზედ კი ფიჩხი და ბალახი დაეყარა. ხის ტოტებში ყურებით გართული, მიადგა ორმოს და ორივე ფეხით შევარდა ფიჩხიან ბალახზე. უცებ გამოეცალა მიწა ფეხქვეშ და უწონობის მდგომარეობაში გადასულმა, რაღაც ველურად ამოიღრიალა. იმავე წუთში იგრიალა მისმა თოფმა და ჩაინთქა ორმოში.

დათა ყოველივე მომხდარის ერთადერთი მოწმე იყო, სასწრაფოდ ჩამოცოცდა ხიდან, მივიდა ორმოსთან და ჩასძახა, როგორა ხარ ქარუმა ძიაო, „–როგორ უნდა ვიყო ორმოშიო“, ამოსძახა ქარუმამ. „ნუ გეშინია, ეხლავე ამოგიყვანო“, გაიქცა ბაღის შემოსასვლელში მიყუდებული კიბე მიიტანა, ჩაუშვა ორმოში და ქარუმა მაღლა ამოიყვანა, მერე დამტვერილი ტანისამოსი გაუბერტყა, იქვე გვერდზე ჩამოჯდა მასთან და ხიდან სწრაფად ჩამოსვლის გამო გაყვლეფილი წვივის დათვალიერება დაიწყო.

კიტრანა ქარუმა გამოერკვა, დაწყნარდა, აზრები მოიკრიბა, ერთი გადახედა დათას და თავჩაღუნული ბიჭს ისეთი სთხლიშა სახეში, რომ ბურთივით სამჯერ გააგორა მიწაზე, გონს მოსვლა აღარ აცალა, წამოდგომას რომ ცდილობდა, წიხლი დაჰკრა გვერდებში, საწყალი დათა გულაღმა გაიშალა, მერე მოსდგა და წიხლით დაუწყო ცემა, ისე რომ გონდაკარგულ ბიჭს სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა, ალბათ, საწყალ დათას იმავე ორმოში ჩააგდებდა, რომლიდანაც დათამ ახლახან ამოიყვანა, რომ გლეხებს დათა ხელიდან არ გამოეგლიჯათ.

ერთი თვე იწვა დათა ლოგინში, ერთი თვე ვადექით თავზე ამხანაგები, ერთი თვე ვადებდით საწყალს გვერდებზე მრავალძარღვას და ვაწვენდით თხის ტყავში.

ბოლოს დათა ადგა ფეხზე, მასთან ვიყავით შეკრებილები, რომ მოირბინა ჩვენთან მიტომ და საზეიმოდ გამოგვიცხადა: დუქანში კიტრანა ქარუმაა და საღამომდი იქ დარჩება, რაღაცას აკეთებსო.

ახლა კი იჩინა თავი ერთი თვის განმავლობაში დაგუბებულმა ბოღმამ, გაარღვია ჯებირი და აბობოქრებულ სტიქიასავით დაიძრა სამაგიეროს გადახდის სურვილი.

— შვინდის ჯოხები უნდა გამოვთალოთ ყველამ, — თავისთვის ჩაილაპარაკა ერთმა.

— მე მოზრდილი საცალო მაქვს სახლში, — შეეხმიანა მეორე.

— საღამოობით საყდრის ხევზე რომ გადაივლის, მაშინ იქ კაცის ჭაჭანება არ არის, — თქვა მესამემ.

— მაინც რას აპირებთ? — გულუბრყვილოდ ვიკითხე.

— საყდრის ხევზე საცალოს ჩამოვაცვავთ თავზე და მერე შვინდის ჯოხებით დავალილავებთ, — იყო კოლექტიური პასუხი.

— მანამდე იქნება ძია აქვსენტი გვენახა, როგორც გავიგე, ძალიან გაულანძღია ქარუმა, — არ დავთმე პოზიცია.

— ჯერ დათასავით ისაც ერთი თვე ჩავაწვინოთ ლოგინში და მერე აქვსენტი ძია ვნახოთ, თორემ ხომ იცით, ის ყველა გეგმებს ჩაგვიშლის, — ამბობდა ჩვენში ყველაზე აგრესიული მიტო.

თათბირი გაგრძელდა. ბოლოს ყველაფერი დათამ გადაწყვიტა.

— წავიდეთ დუქანში, მე მინდა თვალებში ჩავხედო იმ წუწკს, თანაც ვაშლი ყველამ წამოიღეთ, მივუტანოთ და ცხვირწინ დავულაგოთ, — თქვა დათამ და გაჭირვებით გადადგა ნაბიჯი კარებისაკენ.

თათბირი დამთავრებული იყო. ყველა თავქუდმოგლეჯილი გავიქეცით სადაც ვაშლები გვეგულებოდა.

ნახევარი საათის შემდეგ ვაშლებით ჯიბე-უბე გატენილი რვა ფეხშიშველა შუბლშეკრული ბიჭი, რომელთაც წინ დასუსტებული, ფერმკრთალი დათა მიუძღოდა, დაიძრა დუქნისაკენ.

იმდენად უცნაურად მივდიოდით, რომ გამვლელი აუცილებლად მოგვაქცევდა ყურადღებას.

მდუმარედ მივდიოდით და გვერდზე ჩავლილთ ყურადღებასაც არ ვაქცევდით, გულზე ყველას ხის ტარიანი, რეზინის შურდული გვეკიდა, ქვის სროლაც სანაქებოდ ვიცოდით.

— ვიშ, ქა, რანაირად მიდიან ე ბიჭები, რაიმე უბედურება კი არ ჩაიდინონ?! — მოიჩივლა ერთმა დედაკაცმა, თავისი ბაღჩიდან

რომ გვაკვირდებოდა.

— ეგენი ნამდვილად ქარუმასთან მიდიან, იგეთი თავისნათქვამები არიან, არ შეარჩენენ დათას ცემას, — გამოეხმაურა დედაკაცი.

— ხალხო, რაღაც უბედურებას დაატრიალებენ ეგ ბიჭები, — მოიჩივლა მესამემ და ჭორი ისეთი ყოფით გავრცელდა, რომ სანამ ჩვენ დუქნებთან მივიდოდით, იქ ხალხს მუშაობისათვის გაენებებინა თავი და ჩვენს ლოდინში ჯგუფად ჩურჩულებდნენ.

მდუმარე პროცესია მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა სამჭედლოს, შეგროვილი ხალხის უკან იდგა აქვსენტი და თავისი მზრუნველი თვალებით ყურადღებით გვაკვირდებოდა. ორივე ხელში წინსაფარის კალთა ეჭირა და უხერხულად აწვალებდა.

ჩვენი მოახლოვებისთანავე ბრბო გაჩუმდა, ყველა ჩვენსკენ მოტრიალდა. იქვე იდგა ნალბანდი ფირანა მოზიდული შვილდივით იყო და ფხიზლად გვადევნებდა თვალს. დათამ მათ თვალი შეავლო, ქარუმა რომ ვერ დაინახა, პირდაპირ დუქანში შევიდა, ჩვენც მას მივყევით. დათას ინსტინქტი გამართლდა, დუქანში მარტო ქარუმა იყო. გარეთ გამოსვლა ვერ გაბედა, მარცხენა ხელით კუთხეში მიდგმულ კასრზე იყო დაყრდნობილი, მეორე ხელში ხელოსნის პატარა ცული ეჭირა, კაცის ფერი აღარ ედო, ქურდობაზე მიტანებულ და ამბრის კუთხეში მომწყვდეულ ვირთხასავით, შიშისაგან საბოლოო კბენისათვის იყო მომზადებული.

დათას მისი პოზისთვის არ მიუქცევია ყურადღება, პირდაპირ მივიდა სულ ახლოს და შეშინებულ თვალებში ჩახედა, ცოტა ხანს ასე გაჩერდა, მერე ჯიბიდან და უბიდან დაიწყო ვაშლების ამოლაგება და მის ფეხებთან ისე დაყარა, როგორც უყრის ხოლმე გაუმაძღარ, დაბმულ ღორს, ჭყივილით შეწუხებული პატრონი ძირნაყარ ვაშლს.

მორჩა თავის საქმეს დათა და გვერდზე მიდგა, ბიჭებმაც რიგრიგობით მიუყარეს ვაშლი ქვად ქცეულ ქარუმას. ამ უცნაურ სცენას სოფლის ბრბო გაოცებული, დადუმაბული უყურებდა.

ალბათ, ქარუმასათვის რომ ეკითხათ, საცალოს ჩამოცმას და შვინდის ჯოხებით დაბეგვას აირჩევდი თუ ამნაირ გაშავებასო, უყოყმანოდ პირველს აირჩევდა.

ჩვენ უკან გამოვბრუნდით, ფართე დარაბებიან კარებში გაჭედილმა ხალხმა გზა გვიტია, ისევე უხმოდ გავცილდით, იქაურობას, როგორც მოვედით და შევატოვეთ ნახულით გაბოროტებულ ბრბოს გასალანძღად და შესარცხვენად ჯერ კიდევ გონს მოუსვლელი კიტრანა ქარუმა.

დუქანში ფირანა შევიდა, ქარუმას კისერში ჩაავლო ხელი, დააჩოქა და დაბლა დაყრილი ვაშლი სულ უბეში ჩაუყარა, მერე კისერში ხელწავლებული გარეთ გამოიყვანა. ხალხი რომ დაირნახა, ქარუმამ გაიბრძოლა, კისრიდან ხელის გაშვეყა უნდოდა, მაგრამ მის მძლავრ ხელს ვერ გაეშვა.

კისერში ხელი უჯიკავა და მერე ისეთი პანღური ამოჰკრა, რომ მიწაზე პირქვე გაიშალა, უბეში ჩაყრილი ვაშლები ხალხის ფეხებთან მიმოიფანტა. ძლივს ადგა და ხალათის ბერტყვა დაიწყო.

— არ გვინდა, ხალხო, ეგეთი მეველე, აბა ვნახოთ, დაიკარგება რამე?! — დინჯად თქვა ფირანამ.

ხალხიც თითქოს ამას ელოდა, ყველამ ერთხმად დაიძახა: „მეველე არ გვინდაო“. იმ დღიდან სოფელში მეველე აღარ იყო და აღარც არაფერი იკარგებოდა.

კიტრანა ქარუმას მიწასთან ჭიდილი იმთავითვე ეზარექბოდა, როგორღაც სოფლის თავში ტყისმცველად მოეწყო და ახლა თავის ოინებს იქ აგრძელებდა.

აზრი შემიწყდა. ხელოსნები უხმოდ მუშაობდნენ. საიდანღაც კიტრანა ქარუმა გამოჩნდა, ცხენი გარეთ მიაბა და დუქანში შემოვიდა. გამარჯობათო, რიხიანად თქვა. ერთი უგემურად შეხედეს, გაგიმარჯოსო, უთხრეს და მუშაობა გააგრძელეს. ქარუმას რაღაცა საქმე ჰქონდა, მაგრამ ამათ სახეებს რომ შეხედა, თქმა ვერ გაბედა, ჩუმად ჩამოჯდა კუთხეში.

მეც ჩემმა ფიქრებმა გამიტყუა. არა მქონდა ნებიერი ბავშვობა და ყველა გახსენებაში მწარე ნაღველი იყო გარეული, არ ვიყავი აბეზარი, მაგრამ უსმარათლობას ვერ ვიტანდი, ამ მხრივ წყენა არავისთვის შემირჩენია, თუმცა ზოგჯერ ძალიან ძვირად დამჯდომია.

მეზობელ სოფელ არბოშიკში მყავდნენ დედის მშობლები. ძა-

ლიან მიყვარდა ბაბოსთან წასვლა, ის ხომ გემრიელ მჭადებს აცხობდა, ისიც კარგად იცოდა, რომ ყოველთვის მშიერი ვიყავი. მოფარებით ცრემლების მალვით შორიდან მიყურებდა, როგორ ხარბად მივირთმევდი გემრიელ ცხელ მჭადს.

ერთხელ დიდი გრიგალი ამოვარდა, ხეები ძირიანად დაგლიჯა, წამოვიდა კოკისპირული წვიმა, ხევები გაცოფებული წყლით გაივსო. ყველაფერი რომ მიწყნარდა, სოფელი ნაომარს დაემსგავსა. ხევის პირას ერთი დიდი კაკლის ხე ძირიანად იყო მოგლეჯილი, მის ადგილზე უზარმაზარი წყლით სავსე ორმო გაჩენილიყო. მეორე დღეს უბნის ბიჭები ამ ორმოს პირას შეგროვებულიყვნენ და გაკვირვებული ათვალიერებდნენ. მე რომ დამინახეს, ძალიან გაუხარდათ. ორმოდან მოცილებით ვიდექი, ქვევიდან გზაზე ერთი კაცი გამოჩნდა, ჩვენ რომ დაგვინახა ორმოსთან, უშვერი გინებით დაგვიწყო მუქარა, აქედან დაიკარგეთო. სამსართულიანი გინებით მოგვიახლოვდა, ბიჭები გაიქცნენ, მე ადგილიდან ფეხი არ მოვიცვალე, ერთი იმიტომ, რომ ამით მეგრძნობინებინა, გინება მე არ მეხება-მეთქი, მეორე კი იმიტომ, რომ თავმოყვარეობა შემელახა, და რატომღაც, მისი აღდგენა მომინდა.

კაცი მომიახლოვდა, მე არაფრად ჩავაგდე, ორმოდან მოცილებით ვიდექი და წინ ვიყურებოდი. მან ერთი უშვერად შემაგინა, მერე ისეთი წიხლი ამომკრა, რომ ჰაერში ამოვტრიალდი და მიწაზე პირქვე გავიშხლართე, მწარედ მტკიოდა ნაწიხლარი, ის გამარჯვებული ღიმილით მომჩერებოდა, ალბათ, ეგონა წამოვხტებოდი და გავიქცეოდი. წამოვდექი და გამწარებული მივახტი იმ კაცს სახეში. სულ ჩამოვკაწრე, ჩავებღაუჭე საყელოში, ძლივს მომიცილა, სახეში მკრა სილა და მიწაზე ბურთივით გამაგორა. კბილებიდან და ცხვირიდან სისხლი დამსკდა, თვალთ დამიბნელდა, ძლივს წამოვდექი და თან რიყის ქვა ავიყოლე, ჯიქურ შევუტიე და ქვა შიგ მკერდში დავაჯახე, მერე კიტელზე ჩავებღაუჭე და ვაჯანღჯარე, მას ხასიათი უკვე წამხდარი ჰქონდა, ეტყობა გამწარდა, არც ისე ჩანდა კეთილი სული, ორივე ხელი დამავლო, კიტელიდან ძლივს ამაგლიჯა, მაღლა ამწია და მიწაზე დამახეთქა. მეგონა მოვკვდი, ერთხანს გონს ვეღარ

მოვედი, მერე შევტოკდი, ხელზე დავიხედე, კიტელის ჯიბე მეჭირა ხელში, კვნესა არ დამცდენია, ძლივს ავიტანე დაჟეჟილი სხეულ, ფეხზე დავდექი. მთლად სისხლში და მტვერში ვიყავ მოსვრილი. კაცს შევხედე ის თვითდაჯერება აღარ ეტყობოდა, თვალებს აცეცებდა, თითქოს ამბობდა, მომეშველეთ, ეს ბიჭი მომაშორეთო. ცოტა ხანს ასე ვიდექით, ალბათ ძალა ვიგრძენი, კიტელის ჯიბე მოვისროლე, მოულოდნელად მივახტი იმ კაცს, ქოჩორში ჩავაფრინდი, რაც ძალა და ღონე მქონდა ლოყაში კბილები ჩავუჭირე ისე მაგრად, რომ სისხლი გამოვადინე. კაცმა დაიღრიალა, გამწარებული მწვდა გვერდებში, ძლიერად მომიჭირა, მაგრამ ვერ მომიცილა, მთელი ძალით ვექაჩებოდი თმას, მწარე ტკივილის მიუხედავად, გააფთრებული ლეკვივით ვიკბინებოდი. კაცმა ერთი მაგრად გაიბრძოლა, თავიდან მომიცილა, ამწია დამატრიალა და გაბედულად ხევის ქვებზე დამახეთქა, ცოტა ხნით გონი დავკარგე, მერე დედამიწა შეტორტმანდა და ისევ თავის ადგილას გაჩერდა.

ძლივს ავდექი, მუხლები მეღვენთებოდა, ორივე მუჭა იმ კაცის თმებით მქონდა სავსე, პირიდან სისხლი ჩამომდიოდა, მაგრამ ახლა ჩემსას მისი სისხლიც შერეოდა. ბუნტად, მაგრამ მაინც გავარჩიე, ბევრი ხალხი შეგროვილიყო, ხმა არ მესმოდა, ხელებს იქნევდნენ, შევტორტმანდი, ვიქცეოდი, თავი შევიმაგრე, ის კაცი მოვძებნე, სილუეტით გავარჩიე, რომ ის იყო, მისკენ გადავდგი ფეხი, წავიბორძიკე, მიწას ხელებით დავეყრდენი, ძლივს ავდექი, კვლავ მისკენ მინდოდა ფეხი გადამედგა, ვერ შევძელი. იმ კაცთან ვიღაცა მივიდა, კარგად დავაკვირდი, ნალბანდი ფირანა იყო, „ნეტა აქ რა უნდა-მეთქი“ – გავიფიქრე, ძლიერი და კუნთმაგარი იყო იგი, ავკაცობას არავის აპატიებდა. თავისი დაკოჟრილი სილა სთხლიშა ყურის ძირში იმ კაცს და მიწაზე გუდურასავით გააგორა. მერე გავიგე, ის კაცი სოფლის საბჭოს აღმასრულებელი ყოფილიყო და ხალხი ამბობდა: მარცხენა ყური დღესაც უწივისო.

ყველაფერი ნისლმა დაფარა, უცებ დავკარგე წონა, მე ანგელოზები დამესივნენ, მხრებში შემიჯდნენ და ცაში ამაფრინეს. ენა გამებერა პირში ვეღარ ეტეოდა, დაყვირება ვცადე, რაღაც

ხრიალის მსგავსი ამომხდა ყელიდან, გავიბრძოლე, ხელებზე და ფეხებზე მაჯლაჯუნები დამასხდნენ, ერთი მკერდზე დამაწვა და მახრჩობდა, კიდევ გავიბრძოლე და ყველანი გაქრნენ.

საწოლთან შეშფოთებული ბაბო მეჯდა, შუბლზე ტილოს მადებდა, რაღაცას ლოცულობდა. მაღალი სიცხე მქონდა, ბაბო ტიროდა, ვიღაცას სწყევლიდა. ეს ბალიშზე სულს ვერ დალევსო, ჩემზე წუწუნებდა, ღმერთს ეხვეწებოდა, უშველეო. საწოლთან ჩვენი უბნის ბიჭები ისხდნენ, ჩვენსას ვამბობ, თორემ, მე ხომ სხვა სოფლიდან ვიყავი. რადგან ამ სოფელშიც ხშირად მოვდიოდი, აქაც ჩვენ ბიჭად ვითვლებოდი. ზოგი ჩემზე კარგა უფროსი იყო, ზოგიც ჩემხელა, რამდენიმე ჩემზე უმცროსიც ერია. მეც რომ გავქცეულიყავი მათსავით, ანდა რომელიმეს რომ ყოფნოდა ვაჟკაცობა და ჩემს გვერდით დამდგარიყო, საქმე აქამდე არ მივიდოდა. მე პირველი არ ვიკადრე, მეორე იმათ ვერ გაბედეს და შედეგიც მომაკვდავი ვიწექი ლოგინში.

შესაღამოვდა. აგრილდა. ხელოსნები თავაუღებლად მუშაობდნენ. მე ფიქრებში ისე წავედი, რომ დუქანში შემოსული ხალხის ხმაურმა მომიყვანა გონს. ზოგი თავის ამბავს, ზოგი კი ყურმოკრულს და მოყოლილს ყვებოდა. ხელოსნები კი მუშაობდნენ და მათ საუბარს მხარს არ უბამდნენ. საიდანღაც ტარუღაანთ ტიმოთეც გამოჩნდა, განსაკუთრებით კარგ გუნებაზე იყო, ყველაზე მეტს ის ხუმრობდა.

— კაცო, დღეს განსაკუთრებით ჯანზე ვარ, ხარს რომ მოვავლო რქებში ხელი კისერს მოვტეხავ, — თქვა ტიმოთემ და უხერხულად გაიზმორა.

— შენ ეგ ჯანი ნუ გგონია, — შეეხმიანა ბორისა.

— აბა, მაშ რა არის? — ჰკითხა ტიმოთემ.

— რა არის და, ეტყობა, ბევრი ბურთა ლეღვი გექნება ნაჭამი, ფეხისადგილში გინდა გავლა, — უპასუხა ბორიამ.

— თუ ჩემს ღონეში ეჭვი გეპარება, გამოდი და დამეჭიდე, — თავი გამოიღო ტიმოთემ.

— რის იმედი გაქვს, შე ფუქსავატო, ჯანი ოფლში მოდის და შენი თოხლო კუნთები მარტო საქურდაოდ თუ გამოდგება, — შეედავა ბორია.

— რამდენი შენი მსგავსი დამიხეთქებია მიწაზე, თუ ჭკუით არ იქნები, ერთით მოიმატებს მათი რიცხვი, — გაიხუმრა ცოტა შეცბუნებულმა ტიმოთემ.

— დახეთქებაზე ნუ იქნება, თორემ, ისე დაგახეთქო, რო მაგ არმად შეჭმულ ლელვს, სხვაგან გასასვლელს, პირიდან ამოგანთხევინებ, — სიცხარე შეეპარა ბორიას.

— გაანებე თავი, ბიჭო, — შეეხმიანა კოტე, — მაგას შიგნეული არა აქვს, საყლაპავი მილი პირდაპირ უკანალთან აქვს მიერთებული.

— ისე რომელი ლელვის ჯიში გიყვარს, ტომეთე, იქნება გვითხრა? — შეეკითხა ბორია.

— კაცო, მაგას რაღა შეკითხვა უნდა, — თავი გამოიდო ლელვის ცნობით ტიმოთემ, — ბურთა ლელვს რა სჯობია.

— ჩემი ვირიც ეგრეა, ბურთა ლელვი უყვარს, ამას წინათ სავსე ვედროს მისდგომოდა და ძირამდე დაეყვანა, ბიჭო, შენი ნათესავი ხომ არ არის? — შეეკითხა ბორია.

— მეტი ნათესავი რად გინდა, ერთი დედის შვილები არიან, — კვერი დაუკრა ქიტესამ.

— რა უცბად გამომლანძღეთ, კაცო, მაშ მე ვირიშვილი ვარ? — გაბრაზდა ტიმოთე.

— არა, კაცო, არავის გაულანძღიხარ, პირიქით, ხოტბა შეგასხით, აი შენზე, ღორის შვილობა იყო ზედ გამოჭრილი, — შეასწორა ტიმოთეს წარმოშობა ბორიამ.

— ღორის შვილო და შენი დედაც... — აღრიალდა ტიმოთე და ბორიაზე გაიწია. ქიტესა ჩაუდგა შუაში, დანარჩენებმა ტიმოთე კარებისაკენ გაიყვანეს.

— ვაახხ! კაცო, რა დრო მოვიდა, კაცს თავისი მშობლების გახსენება რომ აღარ უნდა, რა გვეშველება?! — შეიცხადა ქიტესამ.

— მოკითხე შენც ღორს მშობლები, ღორმა სხვის ღობეში იცის მხოლოდ ძრომიალი, აი, დასავლეთში რომ იციან, ისეთი უღელი უნდა ედგას მაგას გასიებულ კისეზე, რომ შეჰყოფს ღობეში თავს და რომ გაიჭედება შიგ, უნდა მიადგე სახრით და ურტყა საჯდომზე, — დაასკვნა ბორამ.

— კაცო, რას გადამეკიდე, დღეს ხუთი გოგროხა ლეღვი გავ-ყიდე ბაზარში, მე სხვისი რად მინდა, იმდენი ლეღვი მიდგა.

— შენი ლეღვი ძირიანად რომ მოჭრა, ერთ გოგროხას ვერ გაავსებს, ეგ რა კარგი ხერხი გქონია, შე დალოცვილის შვილო, — შეეკითხა ქიტესა.

— ვიცი, მაშ არ ვიცი?! — კვერი დაუკრა ტიმოთემ.

— რატომ არ იცის, კაცო, იცის კი არა, ცოცხალი ეშმაკი უზის სულში,— თქვა ბორიამ.

— ეშმაკობაც საჭიროა აბა, მე ხუთი გოგროხა გავყიდე, უბე-დურმა წიწაკაანთ ქეთუამ კიდევ ნახევარი გოგროხაც ვერ გაყი-და, — დაიტრაბახა ტიმოთემ. — ისეთ ადგილას დავდექი, რომ ლეღვის მუშტარი მის ადგილამდე არ მივუშვი,ზოგს ძალათი ვაყიდინე. ის უბედური კი იდგა ჩუმად და უკან წამოსაღები გა-უხდა, ალბათ სულ გაუფუჭდება.

— ყოჩაღ, ბიჭო, აჯობე ქვრივოხერს? დედაშენმა უნდა დაიტ-რაბახოს, ვაჟკაცი გამიზრდიაო, — „შეაქო“ ბორისამ.

— მართლაც რომ გავუზრდივარ, ცივ ქვაზე რომ დამსვა, იქაც ვიცხოვრებ. აი, ასეთი ბიჭი ვარ მე, — აზარტში შევიდა ტიმოთე.

— ვახ, ცივზე რომ იცხოვრებს, ცხელზე რომ დასვან, მაშინ რაღას იზამს, — გაიხუმრა შემოსწრებულმა გლეხმა.

— რას იზამს და საჯდომს დაიწვავს, — უპასუხა მეორემ. დუქანში ხარხარი ატყდა. იცინოდა ტიმოთეც.

დავა და ქოთქოთი გრძელდებოდა. საუბრის თემამ ახლა სხვა საკითხზე გადაინაცვლა. სულ სხვა მიმართულების ხუმრობამ გაავსო დუქანი. მთელი დღის მუშაობით მოღლილი ხალხი ჯანსაღი სოფლური იუმორითა და საუბრით ირთობდა თავს. ტიმოთე ყველა საკითხზე აქტიურობდა და ყველაზე მეტს ის იცინოდა.

აქვსენტის გავხედე, მთელი ამ ხნის განმავლობაში თავჩა-ღუნული მუშაობდა, ზევით არ აუხედია. მხოლოდ ერთხელ შე-წუხდა ბორიასა და ტიმოთეს შორის დავის გამწვავების დროს, ხელი შეუშვა ჩაქუჩს და სიწითლემ აუარა სახეზე, ალბათ, იმან შეაშფოთა, ბიჭებს არ წამოსცდენოდათ მისი ლეღვის ქურ-

დობის შესახებ. როცა საშიშროებამ გაიარა, ისევ ისე შეუდგა მუშაობას საუბარში მონაწილეობა აღარ მიუღია.

დიდხანს ვიჯექი ჩემთვის, წყნარად, ხშირად ვეთიშებოდი სინამდვილეს და ღრმა ფიქრებში ვიძირებოდი.

დღეს აქვსენტის ხათრით არ მოეწყო ტიმოთესათვის საჯარო სამსჯავრო, სხვას თუ ამგვარი გაქილიკება წამლად ექცეოდადხოლმე, მისთვის ეს არაფერი გაკვეთილი იყო.

— ადექი, ბიჭო, დუქანი უნდა დავკეტოთ, — მხარზე ხელი დამადო ბორიამ.

ხმა არ ამომიღია. წელმოწყვეტილი ავდექი და ფეხშიშველა ფეხების ტყაპუნით სახლისაკენ წავედი. მივდიოდი ჩაფიქრებული და უკან მრჩებოდა მძიმე გაჭირვებაში ნაწრთობი ბავშვობა.

1956 წელი.

თოხლო მიხო

ავტოსატრანსპორტო კანტორის ფარეხის კარებთან მოწყობილ ჯიხურში ყარაული თვლემდა. შესასვლელში გაჭიმული ჯაჭვი რკინის ჩანგალზე წამოედო და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი რგოლში შერჩენოდა.

ტროტუარზე, რომელიც ფარეხის ქვითკირის ღობებს მიუყვებოდა, მსუბუქი მანქანები ისე იყო მიჭოჭყილი, რომ ადამიანი ვერ გაივლიდა. ივლისის ცხელი მზის მიერ გახურებულ მსუბუქ მანქანებს თონის ალმური ასდიოდათ, ჯიხურის საპირისპირო მხარეს დიდი ვერხვის ჩრდილში დასიცხული ცხვრებივით შეერგოთ თავი. ეს ყველაზე ხელსაყრელი ადგილი იყო; გვიან მოსულები მზის ქვეშ იხუხებოდნენ.

ავტობუსი ალაყაფის კარებს მიადგა და ჯაჭვთან შეჩერდა, თან სირენის მსგავსი საყვირი ყურისწამღებად, გაბმულად აჭყივილდა. გამოფხიზლებულმა ყარაულმა უკმაყოფილოდ ჩაიდუდუნა და გაბურძგნული თავი პატარა ფანჯარაში გაყო; ჯაჭვი დაუშვა. ავტობუსი ნელა შევიდა, მძღოლი ყარაულს რომ გაუსწორდა, გახსნილი კარებიდან სანახევროდ გადმოიხარა, ავტობუსი დაამუხრუჭა და ყარაულს დაუყვირა:

— ქიტავ, თუ ძილი გინდა, სახანძროში მოეწყე, იქ არავინ დაგიფრთხობს სიზმრებს!

— ნუ გეშინია, შენისთანა ვირგლები ყველგან არიან! — ქიტამ ჯიხურის კარი გამოაღო და გარეთ გამოვიდა. — რაღას უდგეხარ, მააშორე შენი ვაგონი, ჯაჭვი უნდა გავჭიმო! — მძღოლს შეუღრინა.

— გაჭიმე, თორემ სხვა გაჭიმავს, — მძღოლმა კარები მოიხურა.

— განა იმას იტყვი, ქიტას ერთ მანეთიანი დავუგდოო. შენი „ვოლგა“ ფარეხში გრილად რომ დგას, სხვების კი სიცხეში

იხარშებიან, ვისი დამსახურებაა, თუ იცი?!

— რა გიჭირს, რა, იჯექ ჯიხურში, ამთქნარე და კრიფე მანეთიანები, — მძღოლმა ყარაულს მანეთიანი ესროლა. — შენი ადგილი მომცა, როცა გამოვტვინდები! — მიაძახა და ავტობუსი ადგილიდან ღრიალით მოწყვიტა.

ყარაულმა მანეთიანი აიღო, შეუბერა, მტვერი მოაცილა და ჩაილაპარაკა:

— შე „თოხლო“ ტვინი ფულთან ერთად მოგივიდა, ეგრეა, ეგრე, ვისაც ყველაზე ბევრი ფული აქვს, ყველაზე ჭკვიანია. როცა გამოვტვინდებიო, ჰაი, დედასა, მჭადში ნახშირს ვერ არჩევდა, ახლა კიდევ... ეხ! — ხელი ჩაიქნია. — ნეტავ რა გიკვირს, ქიტავ, ამ აღმართ-დაღმართიან წუთისოფელში, — ჩაილაპარაკა და ჯიხურში შევიდა.

ავტობუსი სამრეცხაოსთან მიაყენა, კაბინიდან ნელა გადმოვიდა, რეზინის წინსაფრიან, წელზევით შიშველ ბიჭს მარცხენა ხელში სამმანეთიანი ჩაუდო.

— წყალი გადაავლე და მერე თავის ადგილას მიაყენე; გასაღები შიგ ჩავტოვე,— უთხრა, პასუხს აღარ დაელოდა, ისე წავიდა.

— არის „თოხლო“ ჯიგარო! — შესძახა ბიჭმა, მარჯვენა ხელი მაღლა აიქნია, რეზინის შლანგი რომ ეჭირა და ცხელ ასფალტს რწყავდა; წყლის წვეთები მძღოლს მოხვდა.

— ე, ვირო! რას წუწაობ, სხვა გასართობი ვერაფერი მოგიფიქრებია?! — ბიჭს გაუბრაზდა.

— გაგრილდი „თოხლო“-ჯან, ხომ ხედავ იგრე დაცხა, თავში ტვინს ადუღებს.

— შენ არც ყიამათში გაკლია ტვინის დუღილი, — ჩაიბუზღუნა და ფარდულში გაჩერებულ თავის მანქანისაკენ წავიდა.

რა ქნას, როგორ მოიქცეს, რომ ეს „თოხლო“ მოიცილოს? რაც უფრო გაბრაზდა, უარესი დაემართა, განგებ მოუმატეს თოხლოს ძახილს და იძულებული გახდა, ბედს შერიგებოდა, გულში კი ისარივით ხვდებოდა ყოველი თოხლოს მიმართვა. ერთხელ ცოლი კინაღამ მოკლა, რათა თქვი, მოხარშული კვერცხები თოხლოაო. ჩემი გაბრაზება გინდოდაო.

ყველაფერში დამნაშავე კი ის ბებერი მძღოლი „კიტრანა“ იყო. ნეტავ არ მისულიყო მასთან თანაშემწედ, მაგრამ ახლა რაღა ეშველებოდა, ხელისგულზე ერბოკვერცხი რომ მოგეწვა, მაინც უკმაყოფილო იყო; სულ ბუზღუნებდა და თოხლოს ეძახოდა, და აჰა, აკი შეატოვა მეტ სახელად კიდეც ამ თავმომწონეობის პერიოდში. ეხ, უჟმური იყო, თორემ რა დააკლდებოდა, დაეძახა „ელვა“, „ნაპერწკალა“, თუნდაც „მიმინო“, ან „მერცხალა“, რა უბედურებაა „თოხლო“ — იმ ოჯახდასაქცევს, რა ჯავრი სჭირდა ჩემი! — ხშირად წამოუძახია გაბრაზებულ გულზე.

ხალიჩებით მოფენილი არ იყო მიხო ტურიაშვილის გზა: მძღოლის თანაშემწეობიდან გარაჟში ყველაზე საუკეთესო ავტობუსის მძღოლობამდე. კაპიკს კაპიკზე ადებდა. იმდენ ფულს მოუყარა თავი, მსუბუქი ავტომობილი იყიდა. ხალტურაზე სიარულს მიჰყო ხელი და მანეთ-მანეთით შეგროვებული ფულით ავტობუსის მძღოლობის ყიდვა გადაწყვიტა; ეს უკვე სერიოზული განაცხადი იყო სამსახურებრივი სიმაღლეების დაბრყობის გზაზე. ავტობუსის მძღოლობა პრივილეგირებულად ითვლებოდა. საუკეთესო ავტობუსების მძღოლები თავისუფალ დროს მსუბუქი ავტომობილებით დასრიალებდნენ.

იყიდა „თოხლომ“ ავტობუსის მძღოლობა და მაშინ გაირკვა, რომ იგი მიხო ტურიაშვილი ყოფილა, ასე ეწერა საგზურის ფურცელში, აბა თოხლოს ხომ არ დაწერდნენ. მაგრამ მიხოთი მარტო დისპეტჩერი მიმართავდა, დანარჩენებმა არც კი იცოდნენ, რომ თოხლოს გარდა მას სხვა სახელი შეიძლება რქმეოდა.

ცხოვრების ჩარხი კი მიხო ტურიაშვილის სასიკეთოდ ბრუნავდა. ფულს ფული მიუმატა, უფროსებმა საიმედო კაცად მიიღეს. ახალი მანქანა იყიდა, მთელს საწარმოში მისთანა არავის არ ყავდა. ვისაც თავის ავტობუსში მოიხელთებდა, ყველას ფულს ართმევდა, ამ მხრივ არც თავის ცოლს ინდობდა. დღის ბოლოს ფულს გადათვლიდა, ცოტას კანტორის სალაროში შეიტანდა, თან იქაურობას წუწუნით აიკლებდა: საქმე გაფუჭდა, ავტობუსს ცარიელს დავარახრახებ, ჩემს თავს აღარა ვჩივი, გეგმა როგორ უნდა შევასრულოო. სამაგიეროდ უფროსებისთვის პატივისცემას არ იშურებდა და წილს არავის უკარგავდა. დრო

გადიოდა და მიხო ყველაზე გავლენიან კაცად იქცა.

მამისეული ერთოთახიანი უსაჩეხო სახლის ადგილზე უზარმაზარი სახლი წამოჭიმა. შეჯიბრი სიდიდეზე იყო, თორე მიხოს ამხელა სახლში არც ტუალეტი, სამზარეულო და აბაზანა არ ჰქონდა. თავს მისი ცოლშვილი ძველებურად ტაშტში იბანდა. თვითონ ამას არა კადრულობდა, ქალაქის აბანოში საკუთარ მექისესთან დადიოდა.

რა ბედნიერი იყო, როცა თავისი „ვოლგით“ ფანჯრიდან მარცხენახელგადმოყოფილი ნელი სვლით ჩაივლიდა სოფლის მთავარ შარაზე. ზოგი ვირის ორთვალას მიერეკებოდა, სხვა ფეხით მიჩანჩალებდა; აქა-იქ შეჯგუფებული კაცები დიდი მოკრძალებით და შურით მიაცილებდნენ. ეს იყო მიხოს ცხოვრებაში ყველაზე საამაყო მომენტი, შინაარსიც ის ჰქონდა, რომ მანქანიდან დანარჩენებისთვის გაბღენძილს გადაეხედა.

ღამის მუშა ახალგაზრდების სკოლიდან საშუალოს დამთავრების ატესტატი ისე აიღო, წიგნი არ გადაუშლია. სწავლა სავალდებულოაო და მანაც ივალდებულა ატესტატის აღება, ვისზე ნაკლები იყო. არაფერი არ უჭირდა, მაინც უკმაყოფილო იყო, რამდენმა მასავით წიგნისმოძულემ უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი იშოვა, თანამდებობაც გაიკრეს, ისეთი უბრალო კი არა ქაღალდებში რომ იქექებოდნენ, კუჭი კიდევ მშიერი ჰქონდათ. ნამდვილი თანამდებობა სჭირდებოდა, თავზე მამალ ბუზს რომ არ დაისვამდა და მაგარი ფული კეთდებოდა. სწორედ ახლა მისი დრო დამდგარიყო, საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად გამძვრალი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე ქვეყანას მექრთამეობის, ბევრის მოხვეჭის, მიწერების და ქაოსის განუკითხავ თვალთმაქცობისაკენ მიაჯირითებდა. მის მიერ დაგზავნილი რაიკომის მდივნები ქვასაც კი წვენს ადენდნენ, ჩქარობდნენ, რაც შეიძლება ბევრი მოეხვეჭათ, თითქოს მომავალ განუკითხავ ძარცვა-რბევას ყველაზე ხარბი მტაცებლის ალღოთი გრძნობდნენ თავიანთი ზნედაცემული წინამძღოლის გაუმაძღრობას აყოლილები.

ახლა ის კაცი ფასობდა, ვისაც ესმოდა, საიდან რის გამოდნობა შეიძლებოდა; რომელი კომბინაციიდან რამდენი დარ-

ჩებოდა. დიპლომი უბრალოდ ზედაპირზე ტივტივისთვის იყო საჭირო, თორე რომელ ინსტიტუტში ასწავლიდნენ, რაც მიხომ და მისთანებმა იცოდნენ. დიპლომიც იშოვნა, მაგრამ სარფიანი ადგილის შოვნასაც ხომ მიდგომ-მოდგომა სჭირდება. მონახა საქმის ჩამწყობი კაცი, სათანადო გასამრჯველოსაც შეჰპირდა და ახლა უკვე ფართო ასპარეზზე გასვლის პერსპექტივებით ფრთაშესხმულმა პირველად გაიკეთა სამადლოდ შეკვანძული ჰალსტუხი. ხვალ იმ კაცს უნდა შეხვდეს, რომელიც თანამდებობაზე აკურთხებს. ჰალსტუხს მიჩვევა ხომ უნდა. ჰოდა, მიხოც კორაკანაში ჩაგდებული ცხვარივით იტანს, რამეთუ იცის, რომ საკვებს ბარაქიანად დაუყრიან.

მძღოლებს მიხოს ჰალსტუხზე ეცინებათ, მაიმუნს სათვალე უფრო დაამშვენებდა, ვიდრე შენ ეს ტომარაზე მოსაჭერი თოკიო. იტანს ამ ხუმრობას, რა ვუყოთ, თოხლოსაც იტანს დიდი და ფრთებიანი მომავლის იმედით. ის კი სულ ახლოს არის. იმდენი ფული მოაგროვა, რომ თავისუფლად შეუძლოა იყიდოს ნავთობბაზის დირექტორობა. იცის, ამ ბოლო დროს ფულზე როგორ გადაირია ედუარდ შევარდნაძის ამქარი. რაიონშიც ხომ მისი წარმომადგენელი ზის, მანაც კარგად გაიგო ამ უკუღმართთა მიხვეულ-მოვხეული ოინბაზობის. რაიონის მთავარ ქირურგად გასვლაც არ გაუჭირდება, მაგრამ მარტო ადგილის ყიდვა ხომ არ არის... მიხოს დიდი ფულის შოვნის ჟინი აქვს, რამეთუ ამაში ხედავს ძალას, ჭკუას და ნატვრის თვალს, რომელსაც ამ ცხოვრებაში წინ არაფერი დაუდგება.

კაცი ყავს დაახლოვებული რაიონის წინამძღოლის მეორე სახესთან, იმ ნამდვილ სახესთან, რომელსაც მხოლოდ კულისებში, ბინდში, ბნელ, საიდუმლო თანამოაზრეებთან რომ აჩენს ხოლმე. პირველი სახე ნიღაბია, რომელსაც ოფიციალურად ატარებს, რითაც გულუბრყვილო ადამიანებს პატიოსნების მქადაგებლად ევლინება, ეს მიხოს სულაც არ ეხება, ის ხომ გაორებული ბღენძის მეორე სახეზე ფულით მლოცველი მრევლია.

ჰოდა, იშოვა კაცი და აამოქმედა თავისი ფული. წინდახედული და ალღოიანია. ის დღევანდელი დღით კი არ ცხოვრობს, წინ იყურება, შორს, იქ სადაც ჩვეულებრივი ფულისმონების

მზერა ვერ სწვდება. სიმონა გროსმაისტერია, სხვები უბრალო დილეტანტი მომხვეჭელები არიან თავის ცხვირს იქით ვერაფერს რომ ვერ ამჩნევენ. მიხომ კი ისეთ დროს გადაწყვიტა აგრონომის დიპლომის მონადირება, ხელების კანში წლების განმავლობაში ჩამკვდარ-ჩაკრული მანქანის ზეთი ჯერ კიდევ რომ არ ამოსცილებოდა; ერთუჯრედიანი პრიმიტივები კი დასცინოდნენ თოხლოს, იმათ სად შეეძლოთ დიდ ჩანაფიქრს ჩასვწდომოდნენ.

ახლა დიდი ნახტომის ზღურბლზე დგას ჰალსტუხწაჭერილი, სწავლული აგრონომის დიპლომით და დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგიით. კაცი ჰყავს რაიონში. ედუარდ ცეკას მდივნის სანდო პირი, სარფიანი თანამდებობები როგორც დახლზე ისე რომ უწყვია თავის საიდუმლო დუქანში. მიხოსაც ისე მოარგო პურპროდუქტების ბაზის დირექტორობა, როგორც თერძმა ახალუხი. დუქანში სხვა თანამდებობებიც იყო გამოტანილი: ზოგი ვაკანტური, ზოგი დაკავებული, მაგრამ ნდობადაკარგული მფლობელით; ყოველი სკამი კი აუქციონით იყიდებოდა, ჩუმი, ფარული, ბნელი, მცოცავი, მხოხავი აუქციონით, რომლის შესახებ შენიღბვა-შეფარების მიუხედავად ხმა მაინც ვრცელდებოდა მცოცავი, მხოხავი, ფარული, მოჩურჩულე გზებით. ყველამ იცოდა საქონლის ფასი, მაგრამ ყიდვა იმას შეეძლო, ვისაც ფული და დუქანთან მიდგომის საშუალება ჰქონდა. ის დრო აღარ იყო, ადამიანებს თავის ცოდნის, დამსახურების და პატიოსნების მიხედვით უანგაროდ რომ შეეძლოთ სამსახურში დაწინაურება. სულ სხვა მოხვეჭის და გაუმაძღრობის, უკანონობის, თვალთმაქცობის და ძალადობის ბაცილას მოეწამლა ეუდარდ შევარდნაძის მიერ შერყვნილი ცხოვრება. სიტყვა და საქმე ერთმანეთს დასცილებოდა და საქმე სიტყვის დასაცინი გამხდარიყო.

სიმონამ კულისებმიღმა მოწყობილი დუქნის ყველა მოთხოვნა დააპურა და ახლა ჰალსტუხწაჭერილი ყოველდღე ელოდა მთავარ მედუქნესთან გამოძახებას; შედეგიც უკვე წინასწარ იცოდა, რადგან საქონლის ღირებულება აუქციონის წესით წინასწარ გადახდილი ჰქონდა, მაგრამ გული მაინც ვერ დაამშვიდა, შიშობდა, სანამ საქონელს ხელში მოიგდება, სხვას უფრო მეტი არ შეეძლივნა და

ფული არ დაეკარგა, ან უფრო ნაკლები გასაქან-გამოსაქანიანი საქონელი არ შეეძლიათ პირველის სანაცვლოდ; რაც თავისუფლად შეიძლებოდა მომხდარიყო, ის არ იქნებოდა არც პირველი და არც უკანასკნელი. გადაგდებაც იყო მოსალოდნელი, კარგი ბიჭია და ხმა ამოიღოს, იმასაც დაკარგავდა, რაც ჰქონდა...

ფარდულში მისი „ვოლგა“ თვლემს. ახლა დაჯდება და ჰალსტუხწაჭერილი, გამოპრანჭული გაავჯირითებს და მაყურებლებს ამცნობს თავის ღორისკუჭა უშინაარსო, პირუტყვულ ინსტინქტებს აყოლილ უპირატესობას.

აკუმულიატორების საამქროს წინ გრძელ სკამზე ჩამომჯდარმა სამმა მძღოლმა ერთხმად მიაძახეს: — „თოხლოს“ სიცოცხლე! იგრე მოპრანჭულხარ, აღარაფერი გაკლია, ჯიგარო!

— არა, ერთიღა აკლია — კუბო. რა სომხის მკვდარივით მოპრანჭულა, — დაუმატეს.

— თქვე ვირიშვილებო და ჩანჩურებო, ცოცხალები მკვდრებში სწერიხართ! — მიხომ იწყინა კოლექტიური „თოხლო“, მაგრამ ხმას ვერ ამოიღებდა, სულ „თოხლო“, „თოხლოთი“ გააცილებდნენ.

— ვინც „იკარუსზე“ არა ზის ჩანჩურაა? — შებოლილი თევზივით გამხმარმა და გაშავებულმა მძღოლმა ხელმოცარული კაცის ტონით იკითხა.

— ჰო, ჩანჩურა „იკარუსზე“ ვერ დაჯდება, იმიტომ რომ იმისთვის „თოხლო“ მანქანებია გამოწერილი.

— შენი ვაჟკაცობაა „იკარუსზე“ რომ ზიხარ?

— აბა, შენი?

— ხვლიკის ფერი ფულების დამსახურებაა, შე ვაგლახო, და იცი კიდევ ვისი? იმ შენზე ათასჯერ ვაგლახ შევარდნაძეს მოუხადე მადლობა, საათივით აწყობილი ქვეყანა მექრთამეებით, მომხვეჭელებით, თვალთმაქცებით, მატყუარებით, ავაზაკებით და კიდევ ვინ მოსთვლის რანაირი არამზადებით რომ აავსო, — ღვარძლიანად შეამკო ხანში შესულმა, ჭაღარა, გამხდარმა მძღოლმა.

— შენც დაიმსახურე, გაიღე ფული და დაჯექი ახალ „იკარუსზე“, წინ ვინ გიდგას?!

— წინ სინდისი და ნამუსი მიდგას. მძღოლობა „ზის-5“-დან დავიწყე. პატიოსნად ვემსახურებოდი ქვეყანას, რომლის იმედიც მქონდა, რომ ბედნიერ მომავალში მაცხოვრებდა. კაპიკი არ მომიპარია და არ მიმითვისებია შენსავით. ვცხოვრობდი გამომუშავებულ ხელფასზე იმ იმედით, რომ მომავალში უფრო უკეთესად ვიცხოვრებდით. მართლაც ეგრე იყო. შენისთანა ძუძუმწოვარა როგორ შეძლებდა სხვების წინ გადამხტარიყო, როცა დამსახურებული მძღოლების რიგი იყო, და თავისი ფულების ფრიალით ყველასთვის პირში ჩაეფურთხებინა. ან დირექტორი როგორ გაბედავდა ამგვარ რამეს, მთელი ამხელა კოლექტივი აღებ-მიცემის ბალაგანად რომ აქცია.

— ჰაი დედასა, ადრე გვეგონა, მორჩა, მთა-ბარი გავასწორეთ და აღარაფერი გაჭირდებაო. ეგრე უნამუსოდ ქრთამების აღებას, თანამდებობების ყიდვა-გაყიდვას ვინ გაბედავდა, კაცო!

— ჩვენი იმედები სულ დაიმსხვრა, გვეუბნებიან, განვითარებულ სოციალიზმში ცხოვრობთო, ფაქტიურად კი კაპიტალიზმიც რომ არ იკადრებს ისეთი კაციჭამიობა იკიდებს ფეხს ედუარდ შევარდნაძის და მისი მსგავსების მიერ შერყვნილ სოციალისტურად მონათლულ ამ განუკითხაობაში.

— რა გენაღვლებათ, მოგძალიებიათ შური და ღვარძლი, ჰოდა, იფხანეთ ზურგები მაგ დაგრძელებული ენებით. კიდევ კარგი, ის თქვენი დახატული სოციალიზმი ბუტაფორიაღა რომ არის, თორემ რა ეშველებოდა ჩემისთანა შანსიან ბიჭს, ხომ ჩაკვდებოდა ამოდენა ენერგია, როგორ გავუსწრებდი თქვენი მსგავსების მიერ დაწყობილ რიგს, — დამცინავად თქვა მიხომ.

— პატიოსნების რიგს ვერ გაასწრებდი, ფულსაც ვერ მოპარავდი სახელმწიფოს, რომლითაც მოქრთამე ხელმძღვანელობა, ფეხებზე რომ ჰკიდიათ შენი მაქინაციები. ჰოდა, თქვენი მსგავსი ვირთხების მომრავლება ანგრევს კიდეც იმ თანასწორობის ქვეყანას, საწყალმა უფროსმა თაობამ რწმენით, იმედად რომ შექმნა ედუარდ შევარდნაძის მსგავსი ავაზაკების დასაცინად, — პათეტიკურად თქვა შებოლილი თევზივით გამომხმარმა ასაკოვანმა მძღოლმა.

— ეგრე ეგონათ სოფლის აშენება, რას იზამ, ყველას თავი-

სი კოჭლი ტვინი აწვალებს. იმ შევარდნაძეზე კიდევ ეგრე ნუ ლაპარაკობ, თორემ ცოტა შენი მსგავსები მოუყომარებია. ბიჭო, ის პატარიძე რომ იყო მთავრობაში და ძალიან ხტუნაობდა, თქვენც იძახოდით, პატიოსანი კაციაო, ვერ გამოუწერა იმსაიქიოს საგზური და მისი მსგავსი წვრილფეხობა კიდევ ციხეებში შერეკა. ჰოდა, თქვენც მოკეტეთ, თორე წვრილფეხობათაც არ ითვლებით. იგრე გაგსრესავენ იმის ნოტზე აწყობილი წვრილფეხა შევარდნაძეები რაიონებში რო სხედან, გაიგეთ?! — სიმონამ მკაცრად გააფრთხილა ბებერი მძღოლები.

— სწორეს ამბობს, ზაქარ, — ფეხზე ადგა მესამე მათგანი და შებოლილს მიმართა: — ბიჭო, ამათში ნადირია გაღვიძებული, მაშინ ჩვენ პატიოსნებისა და ხალხის ბედნიერებისთვის ვიღწვოდით, გვჯეროდა, ახლა მგლად და მომხვეჭელად ვეღარავინ გადაგვაკეთებს. ნადირი, ამათში ედუარდ შევარდნაძემ რომ გააღვიძა ფარაში შევარდნილი მგლებივით არიან, ყველაფერს დახრავენ, მოსპობენ, გამოძღებიან თვითონ, ქვეყანას და ხალხს კიმდევ განუკითხავ უბედურობას შეატოვებენ. ლაქლაქი და ტყუილის ყბედობა არ ეხერხებათ თუ რა, ყველაფერ ამას კიდევ დიდ ბედნიერებად მოალანდებენ მონობაში დასამკვიდრებლად გარეკილ ხალხს, თფუჰ, ამგვარ ხელმძღვანელს და მის არამზადათა ხროვას! — გამოაფურთხა, ხელი ჩაიქნია და წავიდა.

— შენ „თოხლო“ კი არა მთხლე უნდა გერქვას, შეინჯღრა სასიკეთოდ გათვლილი ცხოვრება და შენისთანებთან ერთად ამღვრევთ ხალხის კეთილდღეობის იმედს, — მეორე მძღოლმაც გადმოაფურთხა და წავიდა.

— ეგრეა, ძმაო, ყველა მშიერი იკბინება, — თავისი აზრი გაუზიარა მიხომ მარტო დარჩენილ მოხუც მძღოლს.

— ეეეხ! თქვენ ხელში რა ეშველება მომავალ თაობას, თორე მე ჩემი თოხლი ფეხზე მყავს გამობმული, — ხელი ჩაიქნია ჭაღარა მძღოლმა და წასასვლელად წამოდგა.

* * *

მოლოდინი დასრულდა. მიხო იმ დიდი კაცის კაბინეტის კარებთან დგას, რომელიც ახალ სარბიელზე გაუშვებს. ღელავს,

ყველაფერი წინასწარ გადაწყვეტილია და მაინც ღელავს. ორმაგი კარები მოწიწებით შეაღო. დიდი კაბინეტის თავში, სადაც გაპრიალებულ მაგიდასთან ტელეფონები ეწყო, კაცი იჯდა და ტელეფონით ვიღაცას უბრაზდებოდა.

— შეიძლება? — ხმის კანკალით იკითხა.

პასუხი ვერ მიიღო, კაბინეტის პატრონი ვიღაცას თავზე კაკალს ამტვრევდა.

— ვერ გააკეთებ? მაშინ ვინც გააკეთებს, ის მოვა შენს ადგილზე!.. რა, ეცდები? ეცდები კი არა, კისერს მოგტეხ! ნემსის ყუნწში გაგაძვრენ! ქუჩა-ქუჩა მათხოვრობით შეგასრულებინებ დავალებას! გაიგე? ჰო, ეგრე, სანამ დედმამის ძვლები მაღლა არ ამოგიყარე!..

მიხოს მუხლები მოეკვეთა. პირდაპირ კედელზე ედუარდ შევარდნაძის სურათი ეკიდა. მის დაბლა კი ის გაბრაზებული კაცი იჯდა, რომელიც იგივე შევარდნაძე იყო ოღონდ — პატარა. ოთხი ჭაღი თვალის მომჭრელად ბრჭყვიალებდა. კედლები მუხის გაპრიალებულ დაფებში იყო ჩამჯდარი. უზარმაზარი გრძელი ნოხი კაბინეტის პატრონის ფეხებიდან შემოსასვლელ კარამდე გრძელდებოდა. წიგნების თაროები, მოციმციმე ელექტრო საათი, კედელზე ჩამოკიდებული საათი, რომლის ზედა ნაწილზე უცხოური მსუბუქი მანქანა ორი ტანწერწეტა ნახევრადშიშველი ქალით იყო გაფორმებული.

წახდა მიხო, გულში მრავალსართულიანი გინება გაუგზავნა თავისი საქმის ჩამწყობს. „რა მიყო, კაცო! ეტყობა გამაცურა, ამ კაცს ჩემი ფული რად უნდა, მეფის ტოლა ჩანს. ვაიმე, რომ გამიგოს ფულით აწყობდა საქმესო, ხომ ძვალმანიანად გამაქრო! ეს რა მიყო, კაცო!“ — საქმის ჩამწყობის მისამართით გინება გააგზავნა და ფეხი უკან გადადგა. ის იყო კარებში უნდა გაუჩინარებულიყო, კაბინეტის პატრონის ხმა მოესმა:

— შენ მანდ რას გაჩერებულხარ?! — ყურმილი დადო და მიხოს მიუბრუნდა.

— პატივცემულო, წერილი მოგართვით დიმიტრი სოლომონოვიჩისაგან, — მიხომ ხმის კანკალით თქვა და პიჯაკის ჯიბეში ხელი ჩაიყო.

— მოიტა აქ!

ფეხის წვერებზე შემდგარი მიხო მიუახლოვდა და კონვერტი მაგიდაზე დაუდო.

— დაჯექი! — უთხრა ათასი ფიქრით დატვირთულმა, შუბლშეკრულმა თავმა.

წერილი უხმოდ წაიკითხა. ცოტა ხანს დუმდა, რაღაცაზე ფიქრობდა, მერე ლოცვასავით დუდუნით ერთხელ კიდევ გადაურბინა თვალით გარკვევით დაწერილ სტრიქონებს:

— ჰოოო! დიმიტრი ჩემი კარგი მეგობარია, მისი თხოვნის შეუსრულებლობა დანაშაულია! — თქვა და წერილს კიდევ გადაავლო თვალი:

... ამ ბარათის მომტანი ის ბიჭია, მე რომ გითხარი. აბა შენ იცი, მალე გნახავ. დიმიტრი

კაბინეტის მფლობელს სახეზე მრისხანება გაუქრა და ახლა ღიმილის თუ სიამოვნების მსგავსი მიმიკა შეჰყროდა.

— სად მუშაობ? — თავი აიღო და თბილად შეეკითხა.

მიხოს წელანდელი შიში და დაძაბულობა ერთბაშად გაუქრა; ახლა უკვე ლოცავდა თავის დიმიტრი სოლომონოვიჩს.

— ავტობუსის მძღოლად, — ისე მოწიწებით უპასუხა, კინაღამ ტუჩები მოიკვნიტა.

— განათლება?

— აგრონომის დიპლომი მაქვს, — ვერ გაბედა, ეთქვა, აგრონომი ვარო. „დიპლომი მაქვს“, ზედ მორგებული იყო მისი მდგომარეობისთვის.

— ჰოოო! ეს უკვე საქმეა! ისეთ ობიექტს ჩაგაბარებ, თუ ნიჭი გაქვს, აუცილებლად თავს გამოიჩენ; ოღონდ არ უნდა შეგვარცხვინო! — შუბლი ისევ შეიკრა.

მიხოს შიში ისევ მოეძალა, სიტყვის თქმა ვერ მოახერხა, მხოლოდ თავი დაიქნია.

— ახლა განყოფილების გამგესთან მიდი და რაც გთხოვონ, საბუთები დროზე წარმოადგინე! — უთხრა და ტელეფონს მიუბრუნდა.

მიხო კაბინეტიდან უხორცოსავით მსუბუქად გამოვიდა. მეორე კარები რომ გაიხურა, ღრმად ამოიქშინა, თითქოს მხრიდან დი-

დი ტვირთი მოიხსნა. ტალანში გავიდა, ახლა უკვე იღიმებოდა, „რა ტყუილად გისკდებოდა გული, ბიჭო მიხო, რა ძალა ჰქონია შენს ფულს, ეს ამოდენა ღმერთივით კაცი როგორ დამიტკბილა. მაინც რა გაუჭირდა ისეთი, ჩემგან ფული რომ აიღო?! ნეტა, რამდენი ექნება? ბიჭო, ყველას რომ ეგრე გამოართვას, რა ფული ექნება, აუუუ!“ ხელი შუბლზე მიირტყა. „სიტყვა კი როგორი აქვს, თითქოს ბუზი არ აფრენიაო, კინაღამ მეც არ დავიჯერე, არადა იმ სურათთან ერთად ფრთოსანი ანგელოზი ეგონება ვინც არ იცნობს. ის სურათში რომ იჯდა დიდი მომხვეჭავი იქნება, ეტყობა ჩვენი ყვნჩილასავით გაფხორილი თავკაცი იმას თავის წილს უგზავნის, აბა, იგრე ვინ შეარგებს ამდენ ფულს. ვაი შენს თავს, მიხო, ამიერიდან ნამდვილი ანგელოზის ანგელოზობაც აღარ ვიწამო მგონის!“

სამი დღის გასაუბრება, საბუთების მიტან-მოტანის, შეგროვების და გადაშინჯვის შემდეგ მიხო პურპროდუქტების ბაზის დირექტორად დაინიშნა.

* * *

დაბა თავდებოდა და რკინიგზის იქით პურპროდუქტების ბაზა იწყებოდა, რომელსაც მაღალი ბეტონის ღობე ჰქონდა შემორტყმული, შიგ ჩატანებული რკინის ალაყაფის კარებით, რომლის თავზე გადაჭიმულ თუნუქზე ლოზუნგი ეწერა: „პირველი განალეწი სახელმწიფოს!“ წლების სიმძიმეს საღებავი გაეხუნებინა და ალაგ-ალაგ აეცირცნა, მაგრამ ალღოიან კაცს ბოლომდე შინაარსის გამოცნობა არ გაუჭირდებოდა.

ალაყაფის კარების წინ დიდი ასფალტწაცხობილი მოედანი იყო, ზოგან ნაასფალტარიც აღარ ეტყობოდა, მაგრამ ჯერ კიდევ იმდენი შემორჩენოდა, რომ ამ მოედნისათვის თავისუფლად შეიძლებოდა ასფალტიანი ეწოდებინათ.

ალაყაფის კარების მოპირდაპირე მხარე ერთსართულიანი ადმინისტრაციული შენობა იდგა.

მიხო სამსახურში დილით ადრე გამოცხადდა. ადგილზე ცალთვალა ყარაულის და დამლაგებლის გარდა ჯერ არავინ იყო. თავისი „ვოლგა“ აკაციის ჩრდილში გააჩერა, ოთხსაფეხურიანი

ცემენტის კიბე აიარა, კაბინეტში ვიწრო ტალანით შევიდა და კარების გაღებისთანავე სახეზე ის მწარე ღიმილი დაებადა, რაც ეს ერთი თვეა სისტემატურად აკითხებდა კაბინეტში შესვლის დროს.

— ჰმ, დირექტორი! — ჩაილაპარაკა, — შემასყიდეს რა მეც თანამდებობა. არა სჯობდა ცოტა დამემატებინა და ნავთობბაზის დირეტორად გავსულიყავ. მე შენ გეტყვი, ლევი ბენზინის შემოტანა გამიჭირდებოდა თუ რა. რამე უნდა მოვუხერხო ამ ვირთხების მიერ გამოხრულ ბაზას.

პირველი თვე გულგატეხილობისა და დაბნეულობაში გაატარა, მაგრამ იმედივით თან დასდევდა კაბინეტის პატრონის ნათქვამი: „თუ ნიჭი გაქვს, აუცილებლად თავს გამოიჩენ“. გაახსენდებოდა და იწყებდა გზების ძებნას თავისი ნიჭის გამოსაჩენად.

ბევრი რამ გაიგო და ბოლოს დარწმუნდა, რომ ნავთობბაზაზე ნაკლებად არ შეიძლებოდა საქმეების მოკვარახჭინება. ახლა ფანჯარასთან იდგა და ალაყაფის თავზე მიკრულ ლოზუნგს მიშტერებოდა.

ტელეფონის ზარი აწკრიალდა. მიხომ ყურმილი აიღო.

— რა გინდა! — ჩასძახა.

— მეფრინველეობის ფაბრიკაა? — იკითხა ჩახლეჩილმა ხმამ.

— არა, სირაქლემების ინკუბატორია, — ყურმილი დადო.

კაბინეტში დამლაგებელი შევიდა.

— დავალაგო? — ჰკითხა.

— არეულია? — შეკითხვითვე უპასუხა.

— ტილოს მოვუსვამ-მეთქი.

— მოუსვი, მე გიშლი? — ისევ ფანჯრისკენ შეტრიალდა.

დამლაგებელმა კედლის გასწვრივ ჩამწკრივებული სკამები ერთმანეთზე დაალაგა. ერთი ბრახუნით გადმოუვარდა. მიხო მოტრიალდა. დამლაგებელს კაბა აეკეცა და ორივე მხარე წელზე მოჭერილ ხილაბანდში ჩაეტანებინა. სავსე ბარძაყები უჩანდა.

— ხომ არაფერი გეტკინა? — ჰკითხა.

დამლაგებელი წელში გაიმართა. კაბა განგებ უფრო მაღლა აიწია. — რა უნდა მტკენოდა, ამ ჯანის პატრონს, — უთხრა.

„არა უშავს ნაჭერია“, გაიფიქრა მიხომ და ტუჩები მოილოკა. დამლაკებელმა ეშმაკურად გაიღიმა. მიხო შიშველ ბარძაყებზე მუშტრის თვალით მისჩერებოდა.

თავისი მძღოლობის დროინდელი კახპები გაახსენდა, „რა უჭირს, იმათზე უკეთესია“, გაიფიქრა.

— ქმარი გყავს? — ჰკითხა.

— ქმარი რათ მინდა, ვისთანაც გავივლი ქმარი არ არის, — დამლაგებელი მიხოს მაგიდასთან მივიდა.

— რამდენი წლისა ხარ? — მიხო უკვე მთელი არსებით ეარშიყებოდა.

— წელი რათ გინდა, შენ ხილი იხილე, ნახე, როგორი გოგო ვარ, — დამლაგებელმა კაბა ბოლომდე აიწია და თავისი ხორციანი ბარკლების სიშიშვლე აჩვენა. ეს ქალი ცნობილი კახპა იყო, კაცებს გაფრენილებს რომ იჭერდა.

მიხომ მაგიდას შემოუარა და შიშველ ბარძაყზე ხელი აუსვა.

— მოიცა, მოიცა! — დამლაგებელი კარებისკენ გაიქცა და სასწრაფოდ გადაკეტა. მერე ისევ მასთან მივიდა, ხელი წაავლო და კედელთან მიდგმულ დივანთან მიიყვანა. მიხომ და დამლაგებელმა ამგვარად მრუშობის დილა იზეიმეს.

მოათავა დამლაგებელთან ოპერაცია და ისევ ფანჯარასთან მივიდა. დამლაგებელმა იატაკს ტილო სასწრაფოდ მიუსვ-მოუსვა. გასვლის დროს კარებთან მიდგმული საკიდელი წააქცია, მიხო მისკენ მიბრუნდა.

— კიდევ ხომ არ გინდა, უფროსო? — დამლაგებელმა ღრეჭით ჰკითხა.

— დაიკარგე აქედან! — მიხომ საანგარიშოს ხელი წამოავლო.

დამლაგებელი ოთახიდან ხარხარით გავიდა.

მიხო კაბინეტს ათვალიერებდა. კედელთან მიდგმული სკამები, ძველი დივანი და საკიდელი. თავის ზურგს უკან კედელზე ბრეჟნევის ხუთვარსკვლავიანი სურათი ეკიდა.

— რაღადროს ბრეჟნევია, — ხმამაღლა ჩაილაპარაკა.

ისევ ფანჯრისაკენ მიბრუნდა. მოედანზე ერთიმეორის მიყოლებით შემოსრიალდნენ საწყობის გამგეების მანქანები. ჩვეულებრივი სამუშაო დღე იწყებოდა.

ტალანში გავიდა. დამლაგებელი იატაკზე ტილოს დაასრიალებდა.

— ყველა თანამშრომელს გააგებინე, ჩემთან თათბირზე მო-

ვიდნენ, — ისე თქვა, თითქოს დამლაგებელს არ ეხებოდა. ისევ კაბინეტში შევიდა და ალაყაფის კარს მიაჩერდა.

მალე დამლაგებელმა მოედარნი გადაირბინა, ცალთვალა ყარაულს რაღაცა უთხრა და უკან გამობრუნდა. ფანჯარაში მიხოს მოჰკრა თვალი, დიდი მესაიდუმლესავით გაუღიმა და საარშიყოდ თვალი ჩაუკრა.

— თფუჰ! — მიხომ გადააფურთხა დამლაგებლის მისამართით და კაბინეტისკენ შეტრიალდა.

კარები გააღო და ქალის მშვენიერი ფიგურა გამოჩნდა.

— შეიძლება? — იკითხა და პასუხს ადგილზე დაელოდა.

— შემოდი! — ვიწრო კაბაში გამოჭედილი ქალი თეძოებიდან ათქვირებულ მკერდამდე დაათვალიერა.

ქალმა იგრძნო დაჟინექბული მზერა და ინსტინქტურად მარცხენა ხელი მკერდზე მიიფარა, ტანის რხევით კაბინეტი გადაჭრა და კედელთან მიდგმულ სკამზე ჩამოჯდა.

ახლა მის ერთმანეთზე მიწყობილ, გრძელ, შიშველ ფეხებს მისჩერებოდა. ქალმა ვიწრო, ისედაც დაჭიმული კაბა მუხლებისკენ ჩამოქაჩა.

— ჰო, შენ რაზე მუშაობ? — თავის დირექტორობის მანძილზე უკვე მერამდენედ შეეკითხა.

— მე ლაბორანტი ვარ, — ქალს გაეღიმა და დაუმატა, — ნელი კოჭლამაზაშვილი, — სახელი და გვარიც უთხრა, რამეთუ იცოდა, თავისი ჩვეულებისამებრ ამასაც შეეკითხებოდა.

— ჰოოო, თუმცა ვიცოდი. დიდი ხანია მუშაობ?

— მეოთხე წელია.

— ქმარი გყავს?

ქალი გაწითლდა, თავი დახარა.

— არა, ორი წელია გავეყარე, — დაბალ ხმაზე ჩაიდუდუნა.

— ეს ძალიან კარგია. სადა ცხოვრობ?

— აქვე დაბაში საკუთარი სახლი მაქვს.

— სახლში ვინა გყავს?

— არავინ, ზოგჯერ დედაჩემი ჩამომაკითხავს ხოლმე.

— კარგია, ეს ძალიან კარგია! — ხელი ხელს შემოჰკრა.

— რა არის კარგი? — ქალმა თვალებში შეხედა. ოდნავ შეშუ-

პებულ ქუთუთოებიანი, ცისფერი თვალებიდან ქალურ სინაზეს და სითბოს აფრქვევდა.

— კარგი ის არის... —რაღაც უნდა ეთქვა, რომ კარი გაიღო და მშვნიერი ქალიშვილი გამოჩნდა; შემოსვლის ნებართვა არ უთხოვია.

— გამარჯობათ! — მიხოს მიესალმა და სახეშეწითლებული ნელის გვერდით დაჯდა. მაღალი, ნაზი, ლამაზად გამოკვეთილი ქალური ღირსებით ხშირ, თაფლისფერ ჩამოშლილ თმას განგებ არხევდა, ლამაზ კისერზე ბღუჯა-ბღუჯად ეფინებოდა.

„რა კარგი ნაჭერია, კაცო!“ — გაიფიქრა, გოგოს კი უთხრა:

— შენ რაღაზე მუშაობ?

— მე ნელი დეიდას ვეხმარები.

— ნელი შენი დეიდაა?

— არა, ისე ვეძახი, ლაბორანტის თანაშემწე ვარ; მანქანიდან მარცვლის შინჯს ვიღებ ხოლმე.

— რა განათლება გაქვს?

— ორი წელია საშუალო დავამთავრე. ახლა უმაღლესში ჩასაბარებლად ვემზადები.

— რა გქვია?

— თინა. აქვე დაბაში ვცხოვრობ.

— საქმრო გყავს? — ამჩატებული მოარშიყის ღიმილით ჰკითხა.

— არა, — თინამ მორცხვად უპასუხა.

— ნუ გეშინია, ისეთი საქმრო გიშოვნო, დუნიაზე იმისთანა არ დადიოდეს! მოკლედ, სუყველას დაგაბინავებთ. ეგრე არ არის, ნელი? — ახლა მას გაუღიმა.

— ღმერთმა ქნას, მაგას რა სჯობია, — ქალმა პირმოთნედ დაუდასტურა.

სამივემ გაიცინეს.

საწყობის გამგეები, ბუღალტერი, დაცვის უფროსი ერთმანეთის მიყოლებით შელაგდნენ კაბინეტში. სკამების მიცურ-მოცურების ხმაური შეწყდა. ახლა ელოდებოდნენ მიხო რას იტყოდა. ის კი თავის კოლექტივს ათვალიერებდა. საწყობის გამგეები, მეწისქვილეები, დაცვის უფროსი, ბუღალტერი, ლაბორატორიის

გამგე ნელი და კოხტა გოგო თინა.

„თუ არ მივდექ-მოვდექი, ეგრე ქვეყანას როგორ უნდა დავეწიო“, გაიფიქრა და ხმამაღლა დაიწყო:

— მალე კოლმეურნეობები ხორბლის ჩაბარებას შეუდგებიან, როგორა ხართ მზად? — საწყობის გამგეებს გადახედა. ჯერ ვერ გარკვეულიყო, რომელს რა სახის პროდუქტი ებარა.

მაღალი, კარგად მოსწრებული ღიპის და ღაბაბის მფლობელი, თვალებჩაწითლებული კაცი ადგა, სანამ რამეს იტყოდა, თავისი თავი გააცნო, ალბათ მიხოს აბეზარი ჩვევის გამო, რამდენიმეჯერ რომ ჰკითხა ვინაობა:

— გლახო სულაშვილი. ახალი მოსავლის მისაღებად მზად კი ვართ, მაგრამ თავმჯდომარეები გვიბრიყვებენ, ნაგვიანობა და ტენიანობა ნაკლები დაგვიწერეთო; ჩვენ რაღა ვქნათ, პურის ჭამა ხომ გვინდა.

— არც ჩვენა ვართ უკბილო ბიჭები, პურის ჭამაც ვიცით და ყველა ძაღლის დაბმაც. ცოტა ხანში ლამფა მოანათონ, როგორ ხერხიანად ავაწყობ საქმეს, — მიხომ დაამშვიდა, როგორც თვითონ მიხვდა, ხერხიანი თანამშრომელი.

— აგაშენა ღმერთმა, თუ ეგრეა დღესვე რამდენიც გინდა მოიტანონ, მზადა ვარ, — გლახო კმაყოფილი დაჯდა.

— ნედლი რომ მოიტანონ, ნეტა რას აპირებ, ნაკლები გამოსავალი უნდა დავუწეროთ, ისინიც ცოდონი არ არიან, — შეეპასუხა საშუალო ასაკის საწყობის გამგე გიგო გზირიშვილი.

— აბა, მაშ რა ვქნათ, არ მივიღოთ? — შეეკითხა მიხო.

— გაწმინდონ, კონდიციაზე დაიყვანონ და ისე მოიტანონ.

— რაც უფრო გასაწმენდი და ტენიანი იქნება, ჩვენთვის კარგია, ზედმეტი პროცენტის ართმევაში აღარ შეგვედავებიან, — აუხსნა გლახომ.

— კარგი, კაცო, ხალხს უწვალია, მთლად ტყავს ხომ არ გავაძრობთ, ჩვენ კიდევ... — გიგოს, ეტყობა, სინდისის ძარღვის ფეთქვა მთლად არ დადუნებოდა.

— შენ რა სპეციალობა გაქვს? — ჰკითხა მიხომ, თუმცა კარგად იცოდა, რომ გიგო აგრონომი იყო.

— აგრონომი ვარ უმაღლესი განათლებით.

— ჰოდა, შე კაი კაცო, არ გირჩევნია მინდორში წახვიდე და იაგრონომო?! საწყობის გამგეობა რა შენი საქმეა. ამხელა განათლების მქონე კაცს საწყობის გამგეობა გეკადრება? — მაზოლზე დაადგა ფეხი.

მიხომ კარგად იცოდა, რომ გიგო და დანარჩენი საწყობის გამგეები უმაღლესი განათლეით იყვნენ. თვითონ გლახო ვეტექიმი იყო. მესამე — ზაური ზირაქიშვილი — „ხელადა“ ისტორიკოსი. ხელფასი ძალიან დაბალი ჰქონდათ, მაგრამ როცა კი შესთავაზეს სპეციალობით ორჯერ მეტი ხელფასიანი სამუშაო, კინაღამ ინფარქტი დაემართათ. ქვეყანა შეყარეს, კბილებით ჩაებღაუჭნენ დაბალხელფასიან ადგილს; ზოგ ინსტანციაში ფულის ძალაც მოსინჯეს და ახლა მშვიდობიანად საწყობისგამგეობდნენ.

— კაცო, აქა ბერდები და ჭკუა ვერ ისწავლე? მოიტანონ გაუწმენდავი. მეც ეგ არ მინდა?! იმდენს დავუკლებ, გავუნახევრებ ჩაბარებულს, — გლახომ ეშმაკურად გაიღიმა.

— შენ თუ სხვანაირი მუშაობა გინდა, წადი. აგრონომობა არ გაწყობს? საბჭოში აღმასრულებელი სჭირდებათ. ჩვენც დავისვენებთ და შენც; აბა, ეგრე თუ არ ვიმუშავებთ, როგორ უნდა ვიცხოვროთ?! — შენიშვნა მისცა მიხომ.

ახლა ჩუმად იჯდა და ფიქრობდა: „გლახო კარგი, საჩვენო კაცი ჩანს, აბა ცრუ პატიოსნები რად მინდა. გიგო ტურა ქურდია, მარტო თავისთვის კვნეტავს, ცოტა ჰყოფნია და ჰგონია, სხვას ამით თვალებს აუბამს; ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ორივე ქურდია. ჰოდა, ბარემ ისე იქურდოს, თვითონ აქლემის ქურდიც გაკვირდეს. მე არა მჭირდება ტურა და ვირთხა ქურდები. ისეთი ბიჭები უდა შემოვიკრიბო რესპუბლიკის, თუნდაც საკავშირო მასშტაბის კომბინაციაში რომ გამომყვებიან“.

— კიდევ ვინ არის მზად ახალი მოსავლის მისაღებად? — მიხომ საწყობის გამგეებს თვალი გადაავლო ისე, თითქოს ეუბნებოდა, ჩემებურად არ იმუშავებთ და მაშინ თქვენმა აჯობოსო.

— ნეტავ იყოს რამე და ჩვენც ეგ არ გვინდა! — ჩაილაპარაკა ზაური ზირაქიშვილმა.

თათბირის ჩატარების ხასიათი გაუფუჭდა, გიგო და მისთანები ფეხს ვერ აუწყობდნენ მის ფართო შემოქმედებით გაქანებას.

— მე თქვენი მიკვირს, დამლაგებელზე დაბალი ხელფასი გაქვთ და მაინც მაშველი რგოლივით ეჭიდებით საწყობის გამგეობას თუ მეწისქვლეობას. ხომ არ გგონიათ, ვინმე მთვარიდანაა მოფრენილი, ეჩოსავით რომ ეხვეტებით და ერთხელ არ იტყვით, კუჭი სხვასაც აქვსო, როგორ გგონიათ, შეგრჩებათ?! ერთი თვეა დირექტორი ვარ და ერთს არ გითქვამთ, რა ხვრელში უშვებთ ლევ ხორბალს. ამგვარი მუშაობა ჩვენთან არ გამოგივათ. ამიერიდან სულ სხვანაირი მუშაობა წავა და ვისაც ეჩოდ ყოფნა ურჩევნია, მიბრძანდეს აქედან! ახლა ყველა თავის ადგილს წავიდეს, იქ გამოგივლით, — მიხომ მაგიდას დაარტყა ხელი.

წამოიშალნენ და კარებთან გასასვლელად რიგი დააწყეს.

— გლახო, შენ დარჩი! — უბრძანა და სკამიდან ადგა.

ყველა რომ გავიდა, გლახომ კარები დახურა და კაბინეტში შემობრუნდა.

— უფროსო, კარგი ქენი, რომ ლაპარაკი აღარ გააგრძელე. აქ ყველასთან არ შეიძლება კაცური სიტყვის თქმა; გიგოს რომ უყურო შენცა და ჩვენც მშივრები დავრჩებთ.

— ცოტა ხანს დამაცადე, გიგოსთანებს სუყველას ცოცხს მოვაბამ; მე ჯიგრიანი ბიჭები მჭირდება.

— გვიმსახურე, უფროსო, არ შეგარცხვენთ! — გლახომ ერთგულად წამოიძახა.

— რაც საწყობში გაქვთ მარცვალი, ლობიო, მზესუმზირა, სიმინდი პირწმინდად გაყიდეთ, ნურაფრისა ნუ შეგეშინდებათ, ზევით და რაიონში ყველა დაბმული მყავს, ხმას არავინ ამოიღებს, მალე დიდი კომბინაციები უნდა დავიწყოთ, ეს რაც ახლა გითხარი მხოლოდ წუწაობაა. აბა, გლახო, საქმეს შეუდექი, არ შემარცხვინო, ეს შენი პირველი გამოცდა იქნება. ახლა ქალაქში მივდივარ, საკითხები უნდა შევათანხმო, რომ ჩამოვალ, ისეთი საქმეები დავატრიალო, სიზმარშიც ვერ ნახავთ.

— მიხეილ დავითიჩ, — მამის სახელი უკვე გაეგო საქმეში ჩახედულ გლახოს, — ბუღალტერთან რაღაც-რაღაცა საბუთების გაკეთება დაგვჭირდება და...

— შენ წადი, ბუღალტერი ყველაფერს გააკეთებს...

გამხდარი, პატარა ტანის სათვალეებიანი კაცი შევიდა კაბინეტში.

— გამარჯობათ, მიხეილ დავითიჩ, — მის სიტყვებს საზეიმო ელფერი ჰქონდა, თითქოს ულოცავდა დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნას.

— სპირიდონი გქვია, არა? — მიხო ბატონკაცურად შეეკითხა.

— დიახ, ბატონო.

— სპირიდონ, ჩვენ ერთად კაცურად უნდა ვიმუშაოთ, თუ კარგად მოიქცევი, იცოდე, კმაყოფილი დარჩები, — დამრიგებლური ტონით უთხრა.

— ეგრეც უნდა იყოს, მიხეილ დავითიჩ, — ბუღალტერი დაეთანხმა.

— მაშინ ჩათვალე, რომ შევთანხმდით. მე ორი დღე აქ არ ვიქნები. გლახოს რაც დასჭირდება, გაუკეთე; შენი წილი გექნება!

— დიდი მადლობა, მიხეილ დავითიჩ, მიმსახურე, თქვენისთანა გაგებულ კაცთან მუშაობა, საინტერესოა, — სპირიდონი გახარებული ლაპარაკობდა.

მიხო ადგა, მხარზე ხელი დაარტყა! — ყოჩაღ, სპირიდონ, კაი კაცობა დაგიფასდება, მალე ნახავ! — ბუღალტერი გააცილა და მერე ლაბორატორიაში შევიდა.

ნელი და თინა მაგიდასთან ფუსფუსებდნენ.

— აქა მშვიდობა! — მხიარული ღიმილით გადააბიჯა კარის ზღურბლს.

— მობრძანდით, ბატონო მიხეილ! — ნელი აფუსფუსდა. — ჩვენი პატარა ლაბორატორია დაათვალიერეთ.

— დათვალიერება შემდეგ იყოს, ახლა კი ცოტა ხანს ჩემთან შემოდი, — გაბრუნდა და ნელი უკან გაჰყვა.

კაბინეტში შევიდა, მაგიდას მიუჯდა და ხელში ფანქარი აათამაშა. ნელი მოშორებით კედელთან დაჯდა.

— მოდი, აქ, მაგიდასთან დაჯექი, — სთხოვა.

ქალი მაგიდასთან მივიდა.

— ნელი, როგორც შეგხედე, მაშინვე მივხვდი, რომ ვაჟკაცური ქალი ხარ, ამიტომ მთელი არსებით გენდობი და ჩემს ახლობელ ადამიანად გთვლი, — ქალს თვალებში შეხედა, ნელის სიამოვნებისაგან გააჟრჟოოლა. — ჰოდა, ერთი ამიხსენი ტენია-

ნობა, ნაგვიანობა, ელიტა, მძიმე ხორბალი და სხვა რაღაცეები მე აზრზე რომ არა ვარ, შენზე სანდო სხვა ვისგან გავიგებ ამას.

— ბატონო მიხეილ, მე მენდეთ და მალე ყველაფერი ისე გეცოდინებათ, რომ ვერავინ შეგაცდინოთ. ნაგვიანობის და ტენიანობის გაშინჯვას ლაბორატორიაში დაგასწრებთ. რაც მეტი იქნება, მით მეტი ხორბალი გვრჩება საწყობში და მერე...

— ჰო, გასაგებია.

— ელიტა და მძიმე ხორბალი კიდევ, — კაბინეტის კარი გაიღო და ბუღალტერმა შემოყო თავი.

— შეიძლება? — იკითხა.

ქალი გაჩუმდა.

— მოდი!

— მაპატიეთ, რამდენიმე საბუთზე საჩქაროდ ხელის მოწერაა საჭირო და...

ხელი მოაწერა.

ბუღალტერმა თავი დაუკრა და გავიდა.

— იმას ვამბობდი, — ნელიმ შეწყვეტილი საუბრის გაგრძელება დააპირა.

— კარგი, ზოგ საკითხებზე მემრე ვილაპარაკოთ.

— კი ბატონო, — ნელი ფეხზე ადგა.

— მოიცა, გოგო, რა გეჩქარება, დაჯექი, ვისაუბროთ.

— რა ვიცი, ხელი არ შევუშალო-მეთქი.

— ხელი შემიშალო კი არა, შენთან საუბარი მსიამოვნებს, თანაც თანამშრომლებს არ ვიცნობ, შენს დახასიათებას ვენდობი. მოკლედ, ერთად უნდა ვიმუშაოთ. ჩემი მარჯვენა ხელი უნდა იყო აქაც და იქაც, — ეშმაკურად ჩაუკრა თვალი. ქალს სიწითლემ გადაურბინა.

— სად იქაც? — შეშფოთებულმა იკითხა.

— აი, ძალიან რომ დავახლოვდებით, იქაც მაშინ გაიგებ. მშვენიერი ქალი ხარ, ნელი.

— მასე ნუ მელაპარაკები, ბატონო მიხეილ.

— არა, ცუდად არ გამიგო, რა დასაძრახია, მომწონხარ როგორც კარგი მუშაკი და როგორც ქალი.

ნელიმ თავი ჩაღუნა.

— გამიწყერი? სანამ შენს სახლში კარგ ქეიფს არ გადავიხდით, შერიგება არ მოხდება.

— შერიგა რა შუაშია, მე არ გებუტებით.

— ჰოდა, შენთან რომ მოვალ, მაშინ მომიყევი ბაზის საიდუმლოებებზე. მეც ჩემსას მოგიყვები.

— რა უნდა მომიყვე?

— თუნდაც ის, რომ ძალიან სასიამოვნო ქალი ხარ, — ქალს ჯიქურ შეხედა თვალებში.

— ესე როგორ იქნება, ბატონო მიხეილ, სამაგისო რა შემატყეთ, — საყვედურნარევი გაბუტული თვალებით შეხედა.

— არაფერი, პირიქით, მე და შენ მეგობრები უნდა ვიყოთ, კარგი?

— კი ბატონო, საწინააღმდეგო არაფერი არა მაქვს.

— რა ადგილას ცხოვრობ?

— სკოლისკენ ქუჩა რომ მიდის, იმის ბოლოში.

— კარგი მყუდრო ადგილია.

— მაგას რატომ ამბობთ?

— როცა გინდა მოვიდეს კაცი, ეჭვს არავინ აიღებს.

— კი მაგრამ რის ეჭვი უნდა აიღონ? — ნელი ძალიან კარგად ხვდებოდა მიხოს მიზნებს, თავს ისე იჭერდა, ვითომ მისი ნათქვამი აშფოთებდა.

— არაფერი, მაგრამ ხომ იცი ჭორიკნები ბლომად არიან.

— საჭორაო მე არაფერი მაქვს.

— კარგი, ამ დღეებში რომ გესტუმრო, ხომ არ გამომაგდებ?

— რათ გამოგაგდებ, მაგრამ ჩემთან რა გინდათ? მარტო ვცხოვრობ და უხერხულია!

— მე სწორედ ეგ მინდა, საუბარში ხელს არავინ შეგვიშლის. გაკვირვებული ნუ მიყურებ, მე მხოლოდ საქმეზე გელაპარაკები.

— ძალიან გთხოვთ, სახლში ნუ მოხვალთ.

— თუ მოვედი, ხომ არ გამომაგდებ, არა? — თვალებში ეშმაკურად ჩახედა. ქალმა თავი დაღუნა. — თუ მერე რამეს მოვიფიქრებთ, ვის რა ეკითხება...

* * *

ცხელოდა, გავარვარებული ჰაერი ხეთა ფოთლებს მდუღარესავით ხარშავდა. მინდვრის გზებზე მტვერი ადიოდა. ხორბლით დატვირთული მანქანების რიგი იდგა ბაზის კარებთან. თინა სინჯის აღებას ვეღარ ასწრებდა. დაცლილი მანქანები ისევ მინდვრისკენ მიქროდნენ, მორიგი ტვირთის მოსატანად.

მიხო ჭიპამდე ჩახსნილი პერანგით იჯდა კაბინეტში და გაღეღილი მკერდი მაგიდაზე დადგმულ ვენტილიატორისთვის მიეშვირნა. საქმის ვითარებაში გარკვეული, უფროსებთან წასასვლელად ემზადებოდა. სანდო კაცი იყო და ვისაც შეეძლო მისთვის ხელი შეეშალა ყველა ფულით დაბმული ჰყავდა.

კაბინეტში გლახო შევიდა.

— მიხეილ დავითიჩ, გამარჯვების კოლმეურნეობამ ძალიან ბევრი ლევი ხორბალი მოიტანა.

— მემრე.

— ნახევარს თხოულობენ.

— ერთი მესამედი წაღიონ, ჩვენ რომ გასაღება მუქთად არ გვიჯდება, შეახსენე. იმათ რა ენაღვლებათ, მოიტანენ და თავისუფლები არიან.

— მეც ეგრე ვუთხარი, ყველას ერთ მესამედზე მოველაპარაკები.

— კარგია. მალე ვაგონებით მოგვივა ხორბალი, შენ მარტო გასაღება მოახერხე; თამამად იმუშავე, ყველა ძაღლი დაბმული მყავს, მეზობელ რაიონში თუ მოგიწიოს გასვლა, მილიციელს გამოგაყოლებ. თუ ვინმე ხელს გიშლის, მალე წირვას გამოვუყვან.

— მაგაზე სხვა დროს, ახლა გავრბივარ, მელოდებიან, — გლახო კაბინეტიდან გავარდა.

მიხომ ყურმილი აიღო.

— მილიციის უფროსთან დარეკე, — სთხოვა კომუტატორის მორიგეს.

— გამარჯობა შენი, რამდენი ხანია ერთად პური აღარ გვიჭამია. ნაკრძალში მაგარი პურმარილი მაქვს მომზადებული, დოლგარმონიც იქნება... მაშინ წამოხვალ? ძალიან კარგი, ჩვენი

ბიჭები ყველანი წამოიყვანე. მეტს აღარ დაგირეკავ... გზა რად გინდა, პირველად ხომ არა ხარ. ამას წინათ რომ ვიყავით, ზუსტად იმ მუხის ძირში იქნება სუფრა გაშლილი... მე თქვენ რწმუნებულს წამოვიყვან, ის ხომ ჩემი მუშაკიც არის ხა, ხა, ხა, — მოკლედ გელოდებით, — ყურმილი დადო და სიამოვნებით ამოიხვნეშა. მერე გავიდა გარეთ, თავის „ვოლგაში“ ჩაჯდა და დაბაში გაისეირნა.

* * *

შუაღამე გადასული იყო. დაბას მკვდარივით ეძინა. მამლების კანტიკუნტი ყივილი და ძაღლების ყეფა აკრთობდა ძილში ჩაფლულ ღამეს.

ნელი კოჭლამაზაშვილის სახლთან „ვოლგა“ გაჩერდა და სამი წყვეტილი სიგნალის შემდეგ ისე დარჩა, თითქოს შიგ არავინ იჯდა.

დილისხალათშემოცმული ნელი აივანზე გამოვიდა. მანქანა დაინახა, იცნო, მარჯვენა ხელი ლოყაზე შემოიკრა, ცოტა ხნით გაირინდა, ირგვლივ სიჩუმე მეფობდა. კიბეზე ფლოსტების ფლარტუნით ჩაირბინა, ალაყაფის კარი გააღო და მანქანასთან მივიდა.

მიხოს ორივე ხელი საჭისთვის ჩაევლო, ზედ თავი დაედო და ეძინა. ნელიმ მხარზე ხელი დაადო და ნაზად შეანჯღვრია. მიხომ თავი ასწია: — ოხ, შენა ხარ? — თქვა.

— ამ შუაღამისას აქ რამ მოგიყვანა, ბატონო მიხეილ? — შეეკითხა გაკვირვებული ქალი.

— ნაკრძალში ვიქეიფეთ, მანქანის ტარება ველარ შევძელ და ვიფიქრე, ნელის შევაწუხებ-მეთქი.

— შემოიტათ მანქანა ეზოში, აქ ხომ არ იდგმები?! — ამ სტუმრობით ქალი დაბნეული იყო.

მანქანა ეზოში შეიტანა, ნელისთან არეული ნაბიჯებით მივიდა: — დიდ ბოდიშს გიხდი, რომ ასე გვიან შეგაწუხე, ჩემო ნელი, ვიცი, რომ ამ სითამამისთვის არ გამიწყრები, — მარჯვენა ხელი გადახვია. ნელიმ გასაშვებად გასწია, მაგრამ სანამ გაეშვებოდა მიხო დაიხარა და ლოყაზე აკოცა. — იგრე მიყვარხარ,

თავს ვერ ვიკავებ, რომ არ მოგეფერო. რა თქმა უნდა, მეგობრული გაგებით, — თქვა და კიდევ აკოცა.

ორივე კიბეზე ავიდნენ.

— ერთი ჭიქა ღვინო იქნება გქონდეს, მინდა ეს ოჯახი დაგილოცო, — მიხომ ღია კარებში შეალავჯა და მაგიდასთან დავჯდა.

ნელიმ სწრაფად გააწყო სუფრა. ორი შამპანურის ბოთლი დადგა, შეშფოთებული და დაბნეული მაგიდასთან ჩამოჯდა.

— კეთილი იყოს ჩემი ფეხი ამ ოჯახში, სულ ბედნიერებას და ჯანმრთელობას გისურვებ! — მიხომ ჭიქა ბოლომდე გამოცალა.

ნელიმ მადლობა უთხრა, ტუჩები ცოტაზე დაისველა და სავსე ჭიქა მაგიდაზე დადგა.

— თუ ჩემი ხათრი გაქვს, ეს ჭიქა ბოლომდე დამილიე! — მიხო ფეხზე წამოდგა, მაგიდას შემოუარა და სავსე ჭიქა ხელში მიაჩეჩა. ქალი უარობდა. მიხომ ჭიქიან ხელზე ხელი მოუჭირა, მარცხენა ხელი მხარზე მოხვია, მარჯვენათი ჭიქა პირთან მიუტანა და ბოლომდე დააცლევინა.

— შენი ჭირიმე, შენი, განა ტყუილად ვამბობ, რომ ვაჟკაცური ქალი ხარ! — მარცხენა ხელი მაგრად მოუჭირა მხარზე, მისკენ შებრუნდა და შამპანურშეუმშრალ ტუჩებში ვნებიანად აკოცა.

ნელი დაიბნა, გაირინდა, მერე უცებ გამოფხიზლდა და ხელიდან გაუსხლტა.

— რას გავს ეს! სირცხვილი არ არის?! — სერიოზულად გაუწყრა მიხოს ამ თავხედობისათვის.

— დიდი ბოდიში, ქალბატონო ნელი, მაპატიე, მართლაც ძალიან ცუდად მოვიქეცი; თუმცა ბოროტებით არ მომსვლია. რა ვქნა, შენმა ვაჟკაცურმა საქციელმა გონება ამირია? წავიდე?

— კარგი, შენს ადგილზე დაბრძანდი! — ნელი ახლა უკვე ბრძანების კილოთი ელაპარაკებოდა.

— კი ბატონო, — მიხომ თავისი და ნელის ჭიქები პირამდე შეავსო. — შენ ვაჟკაცურ ბუნებას გაუმარჯოს, ნელი, ნამდვილად როოომ იშვიიიათი ქალი ხაარ, შენი ჭირიმე! — ჭიქა ბოლომდე გამოცალა.

ნელის ჭიქა ჯერ არ აეწია. მიხომ გააფრთხილა:

— ეეეცოდე, თუ არ დალევ, წეღანდელივით დაგალევინებ! — მიხო მაგარი მთვრალის როლს თამაშობდა და ეჭვი არ იყო დაპირებულს შეასრულებდა.

— კარგი, დავლევ, შენ მანდ იყავი, — იმის შიშით, ძალათი არ დამალევინოსო, ნელიმ ჭიქა ბოლომდე გამოცალა. ასე გაგრძელდა, სანამ ორივე ბოთლი არ დაიცალა.

ნელის თავბრუ ესხმოდა, ფრთხილობდა ფეხი არ არეოდა.

— ეხლა დაიძინე, ბატონო მიხეილ, დროა, საძინებელ ოთახში ლოგინი გაშლილია, მობრძანდი.

— დიდი მადლობა, — მიხო დასაძინებლად რაცრაცით წავიდა. კარებს ასცდა და კედელს შეეჯახა. ნელი მივიდა, ხელი წაავლო და ოთახში შეიყვანა. ის იყო გამობრუნებას აპირებდა, მიხომ ხელი მოხვია წელზე და თავისკენ მიიზიდა.

— რას შვრები, გაგიჟდი?! — ქალმა შეიცხადა.

— სიგიჟეზე უარესი არ არის, როცა შენისთანა ქალის სურვილი მკლავს? — ორივე ხელი მაგრად მოხვია და მკერდში ჩაიკრა.

ნელიმ გაიბრძოლა, მაგრამ უფრო მაგარ მარწუხებში მოექცა.

— გამიშვი ხელი, გამიშვი! — ნელიმ ორივე ხელი მკერდზე მიაბჯინა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მიხომ ცალი ხელით უკან გადაწეული თავი დაუჭირა და ტუჩებზე დაეწაფა. ქალმა მთელი ძალით გაიბრძოლა, გაეშვა და სახეში სილა შემოჰკრა.

— შემოკვრა ეგრე არ უნდა, — მიხო გაბრზდა, ხელი აუტრიალა, მოიქნია და საწოლზე დააგდო.

— რას შვრები?! — ქალი აწივლდა.

მიხომ პირზე მარცხენა ხელი დააფარა, მარჯვენა ხელით დილის ხალათსა სწვდა და შემოახია. ამას აღარ დასჯერდა და პერანგი ზედ შემოაწეწა. მთლად ტიტვლად დაგდებულს ერთი სილაც შემოჰკრა და ხმა ჩააკმენტინა.

— კრინტი არ დასძრა! — უყვირა და ლოყებზე ხელი მოუჭირა. მერე თვითონაც გაიხადა და ალერსის საქმეს შეუდგა. შეშინებული ქალი წინააღმდეგობას აღარ უწევდა. მთელი ღამე არ მოისვენა. ნელიმ ორჯერ სცადა სხვა ოთახში გასვლა და ორჯერვე მწარე სილაქი იგემა. თუმცა ფხლაკუნობდა, წინა-

აღმდეგობის გაწევას ცდილობდა, მაგრამ ვერაფერმა უშველა, მიხოს ეს უფრო აღიზიანებდა, სურვილს უათკეცებდა, მთელი ღამე ალერსით გააბრუა. მართალია სასტიკი წინააღმდეგი იყო ამ ძალადობის, მაგრამ წლობით მამაკაცის ალერსს მოკლებული ქალი ბოლოს ბედს დამორჩილდა და, მიუხედავად ფიზიკური შეურაცხყოფისა, ალერსის ბურანში გაირინდა...

მეორე დღეს ნელი შუა დღის შემდეგ თვალებჩალურჯებული გამოცხადდა სამსახურში, წავიქეცი და ცუდად გავხდიო, თავი იმართლა დაგვიანების გამო.

მიხომ სხვების წინაშე შეიცხადა, ეს რა მოგსვლია, რატო სახლში არ დარჩი, დაგერეკა და ექიმს გამოგიგზავნიდითო. მერე თავის კაბინეტში გამოიძახა: — მხეცო! ნადირო! გაუთლელო! ეს რა ჩაიდინე! ქვეყნის შეყრისა მომერიდა, თორემ გაჩვენებდი სეირს მაგ თავხედობისათვის! — ნელიმ ბრაზობით დაიწყო.

— ჰოდა, რაზე გაჯიუტდი, შენც ხომ კარგად ისიამოვნე. რანი ხართ ეს ქალები. ჩემზე ძალიან შენ გინდოდა, თანაც ფეხებს ფშლეკავდი. ჰოდა, მე ეგეთ ქალთან ჭიდაობა უფრო მიტაცებს; ხომ კარგი იყო, — ახლა შედი ჩემს მოსასვენებელ ოთახში და გავიმეოროთ წუხანდელი ჭიდაობა.

— რას ამბობ, აღარა გრცხვენია?! ისევ ჩემთან მოხვიდე მირჩევნია.

— ჭიდაობას აღარ დაიწყებ?

— რა ვქნა, რაც არი არი, მხეცი ხარ და ხომ არ მეგეკვლევინები.

— ჭკვიანი ხარ. ამის შემდეგ იცოდე, როგორც გეტყვი, იგრე უნდა მოიქცე.

— კარგი, მე სახლში წავედი, ყველა სახსარი მტკივა.

— საღამოზე დამელოდე. ეგ სახსრები უნდა შეგიმოწმო. — მიხომ კმაყოფილი ღიმილით გააცილა.

* * *

პურპროდუქტების ბაზაში საქმიანობა დუღდა და გადმოდიოდა. მიხო ისეთ მაქინაციებს იგონებდა, რომ ამ საქმის უბადლო ოსტატებს, ბაზებში რომ იყვნენ მოკალათებული, არც კი დაე-

სიზმრებოდათ. ქვეყანა ის აღარ იყო, ადრე პატარა დარღვევებ-ზეც რომ რეაგირება კეთდებოდა. ახლა ედუარდ შევარდნაძის მაგია ყველაფერს სპობდა, რასაც კანონიერება, სამართალი და წესრიგი ერქვა, ოღონდ კომბინაციების და მოხვეჭის ნიჭი გქონოდა, სხვა არაფერი არ იყო საჭირო, თუნდაც სინდისი, ნამუსი და ზნეობა. პირიქით, სწორედ ამგვარი ჩამორეცხილი ადამიანები სჭირდებოდა შევარდნაძის ქვეყნის დამაქცევარ, ადამიანთა გამხრწნელ, ერის დამაკნინებელ ფაფხურს. ვინც მეტს მოიხვეჭდა საერთო საქმის საზიანოდ და თანამდებობის მფლობელ მექრთამე მომხვეჭელებსაც ლუკმას მიუგდებდა, მისთვის არავითარი ამქვეყნიური დაბრკოლება არ არსებობდა. ამგვარად ნელ-ნელა ისპობოდა საქმის მცოდნე, ქვეყნის და ხალხის ერთგულ ადამიანთა მცდელობა, რამეთუ მათ სამსახურებიდან ხსნიდნენ თუ დაჭერას და უფრო მკაცრ ანგარიშსწორებას გადაურჩნენ, ამაზეც დიდი მადლობელი უნდა ყოფილიყვნენ. იყო ხანა ადამიანში ადამიანობის დამცრობისა, ფესვებს იმაგრებდა სარეველა, რომელსაც ქვეყანაში სიკეთის ხსენება უნდა გაექრო. ახლა კი ადამიანები ამას დიდ უბედურების მომასწავებლად არ თვლიდნენ, როგორც გამოუცდელი მებაღე ნორჩ და უზნევარ ნარის ახლად აღმოცენებულ მცენარეში მის ეკლით და ღვარძლით დატვირთულ უბედურებას ვერ წარმოიდგენს და ამდენად მაცდურ ახლად აღმოცენებულ უბედურებაზე თოხის დარტყმა დაეზარება, რომელსაც შემდგომში გამრავლებულ და გამძლავრებულ ჭირს ათასი თოხიც ვეღარაფერს დააკლებს.

მიხოს ყველა პატივს სცემდა და ელაქუცებოდა კიდეც. მილიცია მის მანქანებს არ ერჩოდა. არც დანარჩენი სამსახურები უშლიდნენ ხელს. როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, ყველა ძაღლი დაბმული ჰყავდა. ამისთვის კი პატარა ტურა ქურდობა არ კმაროდა, ფართო კომბინაციები იყო საჭირო. დიდი ფულით კი ძაღლების კი არა, მგლების და აფთრების მოთვინიერებაც იოლი საქმე იყო. ბაზაში რესპუბლიკური მასშტაბის კომბინაციები დატრიალდა. იქ რაც ხდებოდა, ბუღალტერი და სხვა მუშაკებიც თავსა და ბოლოს ვეღარ უგებდნენ. ერთის იმედი ჰქონდათ, რომ მათთან შემოწმებაზე არავინ მივიდოდა. ბოლოს რა მოხდებოდა,

ამაზე არ ფიქრობდნენ. იქნებ, იმის იმედი ჰქონდათ, რომ ამდენ მომხვეჭელ და ქვეყნის მძარცველ მაღალი სკამის მფლობელთა ხელში, შევარდნაძემ ასე უხვად რომ მოაბნია მთელს საქართველოში, ისე აირეოდა საქმე, ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობდა. ჰოდა, აბა, მაშინ გენახათ მოხვეჭა-დატაცების ქაოსი. ამჯერად კი ყველაფერი სწორედ იქითკენ მიდიოდა და ხელის შემშლელი აღარავინ იყო, რამეთუ ყველგან მოხვეჭა და მექრთამეობა ისე გამძლავრებულიყო, ფულით თუნდაც ვირს გამოაცხობდი ოპერის მომღერლად. მედუქნეს კულტურის მინისტრად დასვამდი და მლიქვნელ აუდიტორიას მისი უბადლო ნიჭის საქებად ვაშას აღრიალებდი.

მიხოს უჯებირო კომბინაციათა ფანტაზია სულ შორს და შორს მიდიოდა, ამით სახელმწიფოს რამხელა ზარალი ადგებოდა, ამაზე არავინ ჩიოდა. ხელს როცა არავინ უშლის პარაზიტს, თუ მათ კამპანიას, შეიძლება დამანგრეველი ძალა შეიძინოს. მარტო მიხო ხომ არ იყო, უამრავი მკბენარი დასეოდა სხეულს, რომელსაც სახელმწიფო თუ ხალხის კეთილდღეობა ერქვა. სხვა შემთხვევაში მიხო საზოგადოებისთვის საშიში ელემენტი იქნებოდა მისი იზოლაციის აუცილებლობით, მაგრამ ახლა მათი დრო იყო და მიხოც თავის გაუმაძღარი ფანტაზიის ხუშტურებზე როკავდა.

საქართველოს ხელისუფლება, რომელსაც რაღაც, დღემდე არ არსებული, გამოუცნობი უბედურება ჩასდგომოდა სათავეში, ვყელაფერს სპობდა, რასაც ადამიანში ცხოველური ინსტინქტების შებოჭვა და ადამიანურობის აღზევება შეეძლო. მეოცე საუკუნის ჰეროსტრატე ამ პატარა ერის სხეულზე ფითრივით მოსჭიდებოდა და ყოველგვარი სიბინძურის კადრებით ცდილობდა თავისი კარიერისტული ამბიციების ხალხის გაუბედურების ხარჯზე დაპურებას. ვინმე ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე სატანის მიერ საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად აღზევებული ქართველთა კვნესად და უბედურებად, სატანური თვალთმაქცობით ართავდა ამ პატარა ერის ბედის ბორბალზე კვნესას, გოდებას და დაკნინებას. ყველაფერი კი ახლად იწყებოდა ზნეობაზე, სინდისზე, პატიოსნებაზე, სამშობლოს სიყვარულ-

ზე და ერთგულებაზე უზნეობით, უსინდისობით, ღალატით და უამრავი სიბინძურით ნადირობით. ხალხი კი ჯერ ვერ გრძნობდა რა საშინელი სენის მატარებელი პარაზიტი შემძვრალიყო მის ჯაენსაღ სხეულში, რომელიც მთელს ქვეყანაში თავის მსგავს დიდ-პატარა პარაზიტებს საფუარის მონდომებით ამრავლებდა.

მიხომ პურპროდუქტების ბაზა საკუთარ დუქნად აქცია, ყველა დაგეგმილი დიდი კომბინაცია, რომელიც ზევიდან მოდიოდა აუცილებლად მის ბაზაზე გადიოდა. მიხო იყო, რომელიც არავითარ სიყალბეს არ თაკილობდა, არც ყალბი ბალანსის წარდგენის ეშინოდა შემდგომში, რამეთუ შემოწმება თუ რევიზია მისთვის უცხო იყო.

ფულით გაამაყებულს ვერ წარმოედგინა, რომ არსებობდა სულიერი თუ ზნეობრივი კატეგორიები, რომელიც ბევრ ადამიანს შემორჩენოდა და მათ სათუთი მოპყრობა სჭირდებოდათ. წიგნის წაუკითხავად იშოვნა უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი. ფულით გახდა განათლებული კაცი; ფულის ყოველგვარი ილეთით შოვნა იყო მისი ცხოვრების მიზანი და ამ ფულით ყველას სინდისზე და პატიოსნებაზე ბატონობა. კაცობრიობის არსებობის სათავიდან დღემდე გავლილ გზაზე, მის ავ-კარგზე პირველი კლასის ბავშვის დონეზე გაყინული წარმოდგენა ჰქონდა. იყო ფული, იყო ქრთამი, იყო მექრთამე და მათგან აღვირაყრილი კომბინატორი, რომელსაც ყოველგვარი ადამიანური სიწმინდე ცხოველურ ინსტინქტებზე გადაეცვალა და თავისი ცხოველობით ბედნიერი იყო.

— გლახო და სპირიდონა მოვიდნენ ჩემთან! — დაავალა თინიკოს, რომელიც პირად მდივნად გაიხადა და თან მორიდებით ეფერებოდა.

მალე ორივე მის კაბინეტში ისხდნენ.

— გლახო, რვა ვაგონი ხორბლით დატვირთე, სპირიდონა საბუთებს გააფორმებს და ცენტრალურ ბაზაში გააგზავნი, — დაავალა.

— რას ამბობ, მიხეილ დავიდიჩ, გასაგზავნი ხორბალი სადა მაქვს, თექვსმეტი ვაგონი მაკლია, არ ვიცი, რით დავფარო, — გლახომ შეიცხადა.

— შენ რომ არ იცი, მე ვიცი. რვას ერთხელ გაგზავნი და რვას მეორედ. ბუღალტერი საბუთებს გააფორმებს, ვითომ დაიტვირთა, ადგილზე ჩახვალ და ცარიკელ ვაგონებს თავისი შეპირებული მაყუთით ჩააბარებ, გაიგე?

— ვახ, კაცო, ეს ნამდვილი საქმეა! — გლახომ გაიხარა.

— გახსოვს, რომ გეუბნებოდით: გააკეთეთ და მე ვიცი-მეთქი? ჰოდა, ნუ გეშინია, თამამად გაუშვი რეალიზაციაში. ოღონდ ისეთი საქმე არ დაგემართოთ, ამას წინათ რომ მოგივიდათ. იმდენი არ უნდა იცოდე, რომ აგზავნი, ჯერ ძაღლები უნდა დააბა. პატარა ლუკმა ყველას უნდა გადაუგდო, ვისაც კბენა შეუძლია, თორემ ძვალმანიანად შეგჭამენ და რაც გიშოვია, სულ ერთიანად ამოგაშხამებენ. ეგრეა, ძმაო, აბა, ჩემი ლამაზი თვალები კი არ მოსწონთ. ერთი დღე რომ დაუგვიანო მოსაკითხი, მეორე დღეს წესიერად აღარ გიყურებენ, მეც, ხომ ხედავთ, მაგათ ფეხქვეშ ვეგები; სამაგიეროდ ჩვენ უბატონოდ ხმას არავინა გვცემს, ეგრეა ცხოვრება მოწყობილი; თუ გაუგებ, ზედაპირზე იტივტივებ, თუ არადა ქვასავით ჩაიძირები, — დაამთავრა თავისი დამოძღვრა მიხომ.

გლახო და სპირიდონა ყბადაღებული შეჰყურებდნენ, ისე, როგორც ფანატიკოსი მორწმუნე მოძღვარის გალობას.

— შენ ისეთი მაგარი ხარ, არა მგონია რომელიმე კომბინაცია გაგვისკდეს, — შეაქო გლახომ.

— საქმე რომ არ გასკდეს, ჯერ წინასწარ ვისაც რა ეხება, ის უნდა დაამუშაო, ყოველ შემთხვევაში გაუთვალისწინებელი შემთხვევის გასაპოხად საჭირო მაყუთი გადანახული უნდა გქონდეს. ეგრეა, ვინც გჭირდება, უნდა მოეფერო, მოულაქუცო, მაყუთი აალოკო იმ დრომდე, სანამ გჭირდება, მერე თუ შესაძლებლობა შეგექმნა, თუნდაც ყველაფერი უკანვე ამოანთხევინე, თუ შემდეგში ის აღარაფერში არ გამოდგება. სხვა დანარჩენი წვრილფეხობა, უფულო განათლებულები თავი რაღაცა რომ ჰგონიათ, ფეხებზე დაიკიდე, დაამცირე, დააკნინე, ისინი არაფერს არ წარმოადგენენ. ხალხი კი ცხვრის ფარაა, როგორც გინდა ისე იხმარე, გამოიყენე, მუხლებზე ახოხიალე, ყმად და მონად გაიხადე, თუ რომელიმემ ხმა აიმაღლოს, გათელე, გას-

რისე. ასე ყმა და მონა არ მოაკლდება ფულიან კაცს. ახლა წადით და საქმეს შეუდექით, მე სხვა დიდი კომბინაციები მაქვს ჩაფიქრებული, — ამ იდეებით მოჯადოებული ორივე გარეთ გავიდნენ.

მიხო სკამზე იჯდა და ფიქრებში გაბლანდულიყო. კომბინაციებს თამამად და უშიშრად აკვარახჭინებდა. მაღალ ინსტანციებში როგორც სანდო და პირიან კაცს ისე იცნობდნენ. სახელმწიფო მექრთამეთა ყულაბაშიც თავისი წილი შეჰქონდა, სხვა მხრივ გარანტირებული იყო. ხელს არავინ ახლებდა, რამეთუ ხელისუფალთა უკუღმართ საქმეებს კარგად მოერგო. ფული ბევრი ჰქონდა და უზნეობას აყოლილს ყველა ქალი თავისი ეგონა. დაბაში უამრავი ქალი იყო ფულის გამო ბუზებივით რომ ესეოდნენ, მაგრამ მარტო ეს არ აკმაყოფილებდა, განსაკუთრებით იმათი ჟინი ჰქონდა, ვინც მის სურვილების დაკმაყოფილებაზე თავს იკავებდა ან სასტიკად ეწინააღმდეგებოდა.

თინა გამოიძახა. გოგო ოთახში შევიდა და კარებთან გაჩერდა.

— მოდი ჩემთან, — ბატონკაცურად უთხრა.

გოგო მაგიდას მიუახლოვდა.

— როგორა ხარ, რატომ არ მეტყვი? რამდენი ხანია გულითადად არ გვისაუბრია, — გაუღიმა.

— გმადლობთ, მიხეილ დავითიჩ, კარგადა ვარ, — გოგომ მოკრძალებით უპასუხა.

— ხომ არავინ გაბრაზებს? — შუბლი შეიკრა.

— არა, პირიქით.

— თუ ვინმემ გაწყენინოს, მაშინვე მითხარი. არ ვაპატიებ, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ!

გოგომ თავი დახარა.

— ხელფასი რამდენი გაქვს? — მზრუნველი კაცის ტონით ჰკითხა.

— ოთხმოცდათხუთმეტი მანეთი.

— ჰოოო, — ჩაფიქრდა. — სხვა არაფერი?

— არა.

— კარგი. ამის შემდეგ იცოდე, ხელფასის დამატებითი ანაზღაურება მე უნდა მოგცე. ეს პირველი იყოს, — ხელი ჯიბეში ჩაი-

ყო, ასმანეთიანი ამოიღო, ფეხზე ადგა, გოგოს მკერდზე მიკრული კაბა მარცხენგა ხელის ორი თითით გამოუწია და მარჯვენა ხელით შიშველი ძუძუების შუა ჩაუტარა, ფული შიგ შეატოვა, ხელი კი ნელ-ნელა ამოიღო.

გოგო დაიბნა, ყურებამდე გაწითლდა. შერცხვა, ეწყინა და ძლივს ამოალუღლუღა:

— ვაიმე, არ მინდა, მიხეილ დავითიჩ!

— ნუ გერიდება, ეს მარტო მე და შენ გვეცოდინება. ამის შემდეგ თუ რამე დაგჭირდეს, მე მითხარი, ყველაფერს შეგისრულებ! — თავის სკამს დაუბრუნდა.

გაოგნებული გოგო ისევ ისე იდგა.

— თუ სადმე კარგი საცმელი მოგეწონოს, აუცილებლად იყიდე, ფულის ჯავრი ნუ გექნება! — ცოტა ხანს დადუმდა, მერე დაუმატა. — შენ ჩემი ფერია და ნებიერი ხარ. მოკლედ ესე. აბა ახლა მშენებელი უნდა მოსულიყო, უთხარი შემოვიდეს!

დაბნეული თინა გარეთ გავიდა.

მალე მშენებელი და მიხო კაბინეტს საქმიანად ათვალიერებდნენ.

— აქ მისაღები ოთახი იქნება, მდივანს დავსვამ. ჩემს კაბინეტს კარგი რემონტი და დასასვენებელი ოთახი უნდა, — კარნახობდა მიხო და მშენებელი იწერდა.

—ფართობი არ გვეყოფა, ორი ოთახის მომამეტება დაგვჭირდება, — დაასკვნა ბოლოს და ბლოკნოტი დახურა.

— ძალიან კარგი, მოაშენეთ, ოღონდ დროზე. თუ არ გამაძაღლებთ და ყველოაფერს კარგად გააკეთებთ, რასაც მოითხოვთ, ჩემი ხელით მიიღებთ, გასაგებია?

— მესმის, მიხეილ დავითიჩ, ერთ თვეში ჩაგაბარებთ. ჩვენ ვიცით, ვის გაუჭიანუროთ საქმე; კაცური კაცები ერთმანეთს უგებენ.

— დაარტყი ხელი! — მის გაწვდილ მარჯვენას მშენებელმა თავისი ყოჩაღად დაურტყა...

მიხო ახალ კაბინეტში ზის. ძვირფასი ავეჯით და იატაკზე ნოხებით. ყველაზე დიდი ზრუნვა თავის დასასვენებელ ოთახს მოანდომა — დივანი, კრესლოები, საწოლი, მაგიდა, მაცივარი,

კარადები, სკამები, ძვირფასი ჭურჭელი, ვაზები, ყვავილები. მოკლედ ყველაფერი იყო მისი განცხრომისათვის. ყველაზე დაახლოვებულ პირებს აქ იღებდა, მისი წესრიგში მოყვანა კი თინას ევალებოდა. მიხო დროდადრო მკერდში ფულს უდებდა და თანდათან უფრო ღრმად. თინა წუხდა, არ მინდაო, ბრაზობდა, მაგრამ ის უფრო თამამად ჰკიდებდა ხელს ქალიშვილის მკვრივ ძუძუებს.

— თინა, — უთხრა ერთხელ, — ჩემს ოთახში შედი, მაგიდაზე ფული ყრია და შეაგროვე!

ათი წუთის შემდეგ ოთახში თვითონაც შევიდა.

— როგორაა საქმე? — იკითხა.

— შევაგროვე და დავთვალე, — მიიღო პასუხი.

— რამდენია?

— რვაასი მანეთი.

— ეგ სულ შენია, ჩემო თინიკო.

— არა, რას ამბობთ, მიხეილ დავითიჩ, არ მინდა! — გოგომ უკან დაიწია.

— ჰო, შენია! — ახლოს მივიდა, კაბა გამოუწია, ფული ჭიპამდე ჩაუჭყნა, ერთი ხელი კისერზე მოსდო, თავისკენ მიიზიდა, მეორე შიშველ მკერდზე მოუსვა. ტუჩებში აკოცა. კარგა ხანს ეფერებოდა შეშინებულ და გასაქცევად გამზადებულ გოგოს, მაგრად რომ ეჭირა და ვერ გაშვებოდა:

— წესრიგში მოიყვა თავი და ისე გამოდი! — უთხრა კედელზე მიყუდებულ, სატირლად გამზადებულ, გაფითრებულ გოგოს.

თინა თავის თავს ებრძოდა, სამსახურიდან გაქცევას აპირებდა, მაგრამ რა უნდა ექთვა, რისთვის წავედიო. სწორედ ამის საქვეყნოდ გამჟღავნება უჭირდა, არადა, მიხოს ბნელ ჩანაფიქრს ვერაფერს უპირისპირებდა.

ნელის პირველი ღამის შემდეგ თავისი სურვილისამებრ აკითხებდა, გვიან ღამით მიდიოდა. ქალი ეხვეწებოდა, შემეშვიო, ყოველ მისთვლაზე ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მაინც იმორჩილებდა. ბოლოს გაუხედნავი ცხენივით გაწრთვნა. გარდა რომანისა, საქმიანი ურთიერთობაც ჰქონდათ, მთელი ბაზის მუშაკებზე ფარული თვალყურის დევნა ეკისრებოდა ქალს.

* * *

რაც დრო გადიოდა, მიხო უფრო პოპულარული ხდებოდა. ისე ენდობოდნენ ზემდგომი კომბინატორები, რომ ყველა დიდ გაჩალიჩებას ავალებდნენ. ახლა მოსავლის აღებაზე სულაც აღარ იყო დამოკიდებული, ეს მისთვის წვრილმანი ცოდვილობა იყო. ვაგონებით მოსდიოდა სხვადასხვა სახის მარცვლეული. ზოგი უკანვე ბრუნდებოდა. ზოგს ადგილზე უძებნიდნენ გზას. მოკლედ, ბაზაში არნახული მუშაობა დუღდა. სავსე და ცარიელი ვაგონები ყველა მიმართულებით იგზავნებოდა, რომელსაც სანდო კაცები აცილებდნენ.

მთელი ბაზა საჭირო ჰანგზე ააწყო, მაგრამ კიდევ იყვნენ ისეთები, რომელთაც თავისი იდეები ვერაფრით მოაწონა, თუმცაღა ძალიან შეავიწროვა და ბევრი ოსტატურად ჩაფიქრებული ილეთით მოიცილა.

ახლა თანამოაზრეებთან ვიწრო თათბირი ჰქონდა. გლახო, სპირიდონა და ნელი მაგიდას შემოსხდომოდნენ, თვითონ რბილ სავარძელში გაჭიმულიყო.

— აბა, ჩამოკაკლეთ როგორაა საქმე, ხელი ხომ არაფერში გეშლებათ, — ნაბახუსევი ხმით ზარმაცად დაიწყო მიხომ.

— ყველაფერი კარგად მიდის თითქოს, მაგრამ დაცვის უფროსმა მოსე პეტრიაშვილმა შემიკლა ხელში, ვერაფერი კაცია; მოკლედ, მუშაობაში მაგრად გვიშლის ხელს. მეშინია, ერთ მშვენიერ დღეს არ ჩაგვიშვას. მაგას საწყობის გამგე გიგო გზირიშვილიც უჭერს მხარს, სულ ბუზღუნებს, ამას რასა შვრებით, არა გრცხვენიათ, ქვეყანას რატო აქცევთო. კიდევ არიან სხვა პატარ-პატარები, მაგრამ ამათ რომ კისერი მოეგრიხებათ, ისინი წკავწკავს შეეშვებიან. თუ არადა... — გლახომ ყველას გადახედა და მათ თვალებში თანაგრძნობა ამოიკითხა.

მიხო ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე გლახოს მიმართა:

— სანდო კაცი ნახე გიგოს საწყობიდან ორი-სამი ტომარა გაიტანოს, ბაზის ღობეზე რომ გადავა მაშინ დავიჭერთ. იმავე დროს ერთი მანქანა უსაბუთოდ გავიდეს ბაზიდან, მძღოლმა დაცვის უფროსმა გამიშვა და გიგომ გამატანაო უნდა თქვას;

ხომ იცი რომელ ბიჭებს უნდა დაავალო ეს.

— ეგეთები კი არიან, მაგრამ ვინ უნდა დაიჭიროს?

— არიან. შენ მარტო წინა დღეს გამაგებინე, მერე ნახავ, შეიხვეწებიან თუ არა ჩვენი განცხადებით გაგვიშვიო.

თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს გადახედეს და ჩანაფიქრი პირმოთნე ღიმილით მოუწონეს.

ნელის გარდა კაბინეტიდან ყველა გავიდა.

— ამაღამ არ მოხვალ ჩემთან? — ვნებამორეული ღიმილით შეეკითხა უკვე მოთვინიერებული, გახედნილი ფაშატივით დამორჩილებული ქალი.

— ვნახოთ, როგორ ხასიათზე ვიქნები.

— სხვებთან ხომ არ დაიწყე სიარული?

— მერე შენ რა, როდის შეგპირდი, რომ შენს გარდა სხვა ქალის გემოს აღარ გავსინჯავდი?! პირიქით, შენი იმედი მაქვს, რომ ჩვენს ქალაქში ყველა ქმრიან-უქმრო ლამაზმანის გამოჭერაში დამეხმარები.

— მე კი არ გიკრძალავ, მთლად ნუ მიმატოვებ, არც მე ვარ გადასაგდები ქალი.

— შენ გენაცვალე, ყველაფერი რომ ჩემებურად გაგაგებინე. რატომ უნდა გეწყინოს, მე თუ სხვებთანაც გავიარე; შენ ხომ არაფერს გაკლებ.

— კარგი, კარგი, ზედმეტად ნუ მაქებ, ხასიათს კიდევ აუცილებლად გაგისწორებ. განა ვერ ვხვდები, თინას როგორ ეკურკურები. ვატყობ, რომ თქვენს შორის ჯერ თუ არაფერი მომხდარა, აუცილებლად მოხდება. ძალიან ფრთხილი იყავი, ჩემსავით მარტოხელა ქვრივი კი არ არის, მშობლები ჰყავს, არ გაიგონ და ცუდი ამბავი არ მოჰყვეს მაგ საქმეს.

— ნუ გეშინია, თინას ჩემებურად დავაბამ. შენ კი თეკლე რომ არის ძალიან ლამაზი მასწავლებელი, იცნობ? ჰოდა, უნდა დამაჯახო.

— მე უკვე გადამაგდე?

— შენ შეუდარებელი ხარ, დროს გატარებას კი რა უჭირს.

— მაღარიჩი მაგარი იქნება. იცოდე, ხვალ საღამოსთვის ის ქალი როგორმე შენთან შეიტყუე.

— ძალა არ იხმარო, თავი არ მომჭრა. ის სულ სხვა ხასიათის ქვრივია, მე კი არა მგავს, — ქალი კაბინეტიდან გავიდა.

დაბაში თუ ლამაზი ქალი იყო მიხოს ყველა აღრიცხული ჰყავდა და ყველას თავის ხასად გახდომას უპირებდა. ფულიან უწიგნურს დაუსჯელობის გრძნობა ათავხედებდა...

ტელეფონის ყურმილი აიღო.

— ტასიკო ხარ?

— დიახ.

— წარმოგიდგენია, ყოველდღე გესაუბრები, სახეზე კი ვერ გიცნობ, — მიხო ცრუობდა. ტასიკო ამ პატარა ქალაქის ყველაზე ულამაზესი ქალი იყო, მაღალი, ძეწნასავით მოქნილი, ყველა ქალური ღირსების კავალერი. უაღრესად მოკრძალებული, თავდაჭერილი და მექალთანე მამაკაცთა მიუკარები და რისხვა.

— არა უშავს, მიხეილ დავითიჩ, ალბათ როდესმე სახეზეც გამიცნობ.

მიხოს გული მიეცა.

— როგორც ხმა გაქვს ლამაზი და მიმზიდველი, ალბათ გარეგნულადაც ისეთი იქნება, არა?

— ეგ კი აღარ გეკადრებოდათ, თუ მსგავს სიტყვებს კიდევ მეტყვით, ერთმანეთს ვაწყენინებთ.

— არა, ტასიკო, სულაც არ მინდა გაწყენინო, ახლოდან გამიცნობ და დარწმუნდები.

— რა გნებავთ? — ყურმილში ოფიციალური ტონი გაისმა.

— უბნის რწმუნებული ზაქრო ნავროზაშვილი დამაკავშირე. ტასიკო, გენაცვალე, არაფერი გეწყინოს, შენ რომ გამებუტო, პურს აღარ შევჭამ.

— კარგი, კარგი. ელაპარაკე ზაქრო ხაზზეა,— ტასიკომ ზაქროსთან შეაერთა და უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა: — ამხელა თანამდებობის კაცის ასე ამჩატება შეიძლება?

— ზაქროს გაუმარჯოს!

— გამარჯობა, მიხეილ დავითიჩ! რაში გაგახსენდი?

— მე შენ ყოველთვის მახსოვხარ, თუ ძმობაა ძმობა იყოს. საღამოს რვა საათისაკენ ჩემთან მოდი. მერე შენს უფროსებთან უნდა გაქეიფო. მოკლედ გელოდები. — ყურმილი დადო...

სამუშაო საათები დამთავრდა. კაბინეტში თინა შემოვიდა:

— ხომ არაფერია საჭირო მიხეილ დავითიჩ, სახლში უნდა წავიდე.

— რა გეჩქარება, გოგო, ცოტა ხანს მოიცადე, მე თვითონ წაგიყვან. ოთახში შედი და მაგიდა გააწყე, პატარა წავიპურმარილოთ.

თინა დასასვენებელ ოთახში უხალისოდ შევიდა. ოციოდე წუთის შემდეგ მიხო შეჰყვა. მაგიდა უკვე გაშლილი იყო.

— ერთი ბოთლი კონიაკიც გადმოიღე, — უთხრა მიხომ.

თინამ კონიაკის ბოთლი მაგიდაზე დადგა.

— დავსხდეთ, ძალიან მომშივდა, — თინას სკამი დაუდგა და ძალათი დასვა.

კონიაკი ორ ჭიქაში დაასხა, ერთი აიღო:

— შენ გაგიმარჯოს, თინა, ბედნიერებას გისურვებ! — ჭიქა გამოცალა. — აბა, ახლა სამადლობელი მოიხადე, — თინას ჭიქა მიაწოდა.

— არა, არა, მე ჯერ კონიაკი არ დამილევია, — გოგომ ხელები უკან წაიღო.

— ჰოდა, ერთხელ ხომ უნდა დალიო, თანაც დაგახსომდება, პირველი კონიაკი ვისთან დალიე, — ჭიქა ტუჩებთან მიუტანა, თავი ხელით დაუჭირა და თითქმის ძალათი დაალევინა.

გოგოს ხველა აუტყდა.

— არაფერია, არაფერი! — იმავე ჭიქაში „ბორჯომი“ ჩაუსხა და მიაწოდა. გოგო ცოტა მოსულიერდა.

— ახლა შეჭამე რამე, — შოკოლადი მიაწოდა და ჭიქები შეავსო.

— ვეღარ დავლევ, წეღან კინაღამ დავიხრჩე!

— მეორე ჭიქა უფრო გემრიელი მოგეჩვენება. შენს სილამაზეს და შენს აღნაგობას გაუმარჯოს! — ჭიქა გამოცალა და მასაც გამოაცლევინა.

მესამე ჭიქის შემდეგ გოგო უკვე მთვრალი იყო.

მიხო თინასთან მივიდა, ხელში სამი ასმანეთიანი ეჭირა, დაიხარა, ლოყაზე აკოცა, გოგო არ განძრეულა. ხელი მკერდში ფრთხილად ჩაუყო, ძუძუზე ძალუმად მოუჭირა და ფული შიგ

შეატოვა.

თინა დაბნეული იდგა. მიხოს თვალები ცოფიანივით არეოდა. ხელი მოხვია და ტუჩებში კოცნა დაუწყო. გოგო პასიურად ეწინააღმდეგებოდა, კონიაკისაგან თავბრუ ესხმოდა. მიხომ ხელში აიყვანა და დივანზე დააწვინა. თინამ გაიბრძოლა. მაგრამ გაცოფებული მიხო ყველაფერს აბრდღვნიდა. ამ ბრძოლაში გოგოს ტანისამოსი შემოაძარცვა. ახლა მთლად ტიტველი გოგო მთელი შესაძლებლობით იბრძოდა. ბოლოს მაინც დაიმორჩილა, გოგო თითქმის უგონოდ ეგდო და მიხო თავის დიდი ხნის სურვილს ისრულებდა...

ბინდდებოდა. თვალცრემლიანი თინა სოფლისაკენ გააქროლა. გოგოს ახალი ტანსაცმელი ეცვა, რომელიც მიხოს ამ მომენტისთვის საგანგებოდ შეეძინა.

— შენ არაფერზე იდარდო, ყველაფერი რიგზე იქნება. გათხოვებამდე დროს გაატარებ, მერე კი კარგი საქმროს შოვნა ჩემზე იყოს, — აწყნარებდა მიხო.

ცოტა ხანს ასეირნა და მთლად დამშვიდებული სახლში მიიყვანა.

— აბა, ნახვამდის, — საკოცნელად მიიწია, გოგომ ხელი ჰკრა და მანქანიდან გადავიდა.

ნახევარი საათის შემდეგ მიხომ უბნის რწმუნეებულ ზაქრო ნავროზაშვილი საქეიფოდ წაიყდვანა, სადაც მილიციის თავკაცები ჰყავდა დაპატიჟებული.

— ზაქრო, გაგაგებინებთ, როდის უნდა ჩაატაროთ ოპერაცია, — გააფრთხილა მილიციის თავკაცები მიხომ გამომშვიდობებისას, ზაქრო მანქანაში ჩაისვა და დანარჩენებს გამოემშვიდობა.

— მოკლედ, ტელეფონით დაგირეკავ და გეტყვი, როდის და რომელ საათზე მივდივარ თბილისში. თქვენ სწორედ იმ დროს დაელოდებით ბაზაში ქურდებს. ბიჭები გაფრთხილებულები არიან, როგორც საჭიროა, ისე ილაპარაკებენ.

* * *

მიხო ბაზაში გვიან მივიდა. დასასვენებელ ოთახში მაცივარი გახსნა და „ბორჯომის“ ბოთლი მოიყუდა. ოთახს დააკვირდა,

გუშინდელი ბრძოლის კვალი ეტყობოდა. კაბინეტში ბოთლიანად გავიდა და ოთახის კარი დაკეტა. სავარძელში ჩაეშვა, ნაბახუსევი თავი უბრუოდა, ბოთლიდან „ბორჯომს“ ნელ-ნელა ყლურწავდა. კარგა ხანს იყო ასე. მდივანი გამოიძახა. არავინ არ პასუხობდა. „ალბათ დღეს არ მოვა“, — გაიფიქრა.

ახლა საწყობში დარეკა, ვიღაცამ უპასუხა.

— შენ რომელი ხარ?

— მუშა.

— გლახო სად არის?

— ტერიტორიაზეა.

— დაუძახე!

— ეხლავე!..

მალე ყურმილში გლახოს ჩახლეჩილი ხმა გაისმა.

— გისმენ მიხეილ დავითიჩ!

— ის საქმე მოგვარებულია, წინასწარ მითხარი, რომ ვინც საჭიროა გავაფრთხილო.

— დღესვე შეიძლება საღამოს ოთხ საათზე.

— დღეს არა... არც ხვალ, კარგად აწონ-დაწონე და ზეგ საღამოს ხუთი საათისათვის ყველაფერი წესრიგში იყოს.

— გასაგებია.

ყურმილი დადო.

რაღაცაზე ჩაფიქრდა. გადაწყვიტა ტელეფონზე დარეკა:

— ტასიკო ხარ? გამარჯობა! ჩემზე ნაწყენი ხომ არა ხარ? ... არა? დიდი მადლობა. ტასიკო, თუ ოჯახისათვის ფქვილი, ხორბალი ან სხვა რამე დაგჭირდეს, არ მოგერიდოს, მუდამ შენს მეგობრად მიგულე... კარგი? ესე არა. აი, თამამად რამეს რომ დამავალებ, მაშინ დავრწმუნდები, რომ ნაწყენი არა ხარ... შევთანხმდით! ახლა ზაქრო რწმუნებული მალაპარაკე.

— ზაქრო ხარ? ... თავი ხომ არა გტკივა?.. არა უშავს ისევ ღვინო გამოგაკეთებს. იცი რა უნდა მეთქვა? ქალაქში ვიყავი და შენთან მოკითხვა დამაბარეს. თუ რამე გინდა, ზეგ საღამოს ხუთ საათზე მივდივარ და პასუხს წავიღებ... გასაგებია? ყოველ შემთხვევაში ზეგ საღამოს ხუთ საათზე, აბა ნახვამდის! — ყურმილი დადო. ბოთლში დარჩენილი ბორჯომი შესვა და სავარ-

ძელში მოხერხებულად მოეწყო.

ცოტა ხნის შემდეგ ნელის დაურეკა.

— ნელი, როგორა ხარ?

— კარგად, გენაცვალე, შენ რას შვრები?

— ცოტა თავი მტკივა.

— შემოვიდე?

— მოდი!..

მალე გამოპრანჭული ნელი მის კაბინეტში იჯდა.

— რატომ გტკივა თავი?

— ეტყობა გუშინ ღვინო მეტი მომივიდა.

— აბა, ამაღამ ვეღარ დალევ?

— ვერ დავლევ კი არა, ღვინოა ჩემი წამალი. დაპირებას ხომ არ ასრულებ?

— მაშ როგორ, თეკლე იქნება ჩემთან სტუმრად. პატარა პურმარილსაც ვამზადებ. ოღონდ იცოდე, ზედმეტი არ მოგივიდეს, თეკლე სულ სხვა ქალია.

— ნუ გეშინია, ეგ არ მოხდება.

— საღამოზე გელოდები, — ნელი ადგა, ნაზად აკოცა და კაბინეტიდან გავიდა.

მიხო გამოლენჩებული იჯდა. ტელეფონის ზარი აწკრიალდა.

— ალო, გისმენთ! — დუნედ თქვა.

— ზევიდან გირეკავენ, მიხეილ დავითიჩ.

— გისმენთ! — უცებ გამოფხიზლდა.

— როგორაა საქმე ბაზაში, გეგმას ხომ ასრულებ? — რაიონის პარტიული ბოსი ურეკავდა, ასე შიშით რომ შეაღო ადრე მისი კაბინეტის კარები.

მიხო ფეხზე წამოხტა, გაიჭიმა.

— ძალიან კარგად, მიდის საქმე, ტარიელ ტერენტიჩ, ყველაფერში გეგმებს ორმაგად ვასრულებთ, თუ საჭიროა მეტიც შეგვიძლია!

— ძალიან კარგი, ეგრე უნდა, ჩვენი ნდობა გაამართლე!

— არ შეგარცხვენთ, ტარიელ ტერენტიჩ!

— ახლა ყური დამიგდე: ნაკრძალში წყაროს თავში მუხა რომ დგას, იქ მაღალი სტუმარი გვეყოლება, შენი იქ ყოფნა საჭირო

არ არის, მაგრამ...

— გასაგებია, ყველაფერი მაღალ დონეზე იქნება.

— აბა, კარგად იყავი!

— გმადლობთ, ტარიელ ტერენტიჩ, კარგად ბრძანდებოდეთ.

ყურმილი დადო და სასწრაფოდ საწყობის გამგე ზაური ზირაქიშვილი გამოიძახა, პურმარილების ოსტატი რომ იყო და ამიტომ მეტ სახელად „ხელადა“ შეარქვეს, გარეგნობითაც ხელადას წააგავდა.

— ნაკრძალში უმაღლესი პურმარილი უნდა გააწყოთ დღის ორ საათამდე, — დაავალა.

— უფრო ადრეც შეიძლება. ისეთი თადარიგი მაქვს დაჭერილი, ხუთი მაგნაირი დავალებაც რომ იყოს, ორ საათში მზად იქნება, — მიიღო პასუხი.

ზირაქიშვილს პურმარილის მოწყობის არაჩვეულებრივი ნიჭი ჰქონდა, ამიტომ ეს საკითხი მას ევალებოდა, ისაც დიდი წარმატებით უძღვებოდა ამ საქმეს.

მიხო წასვლას აპრებდა. რაღაც ვერ ისვენებდა. გადაწყვიტა თინას დაურეკა.

— როგორა ხარ, გოგო? — ჰკითხა.

— რა შენი საქმეა, შე უხსენებელო! — გოგო ტიროდა.

— სამუშაოზე რატომ არ გამოცხადდი!

— მე თქვენთან აღარ ვმუშაობ, თუ მოველ თვალებს ჩამოგკაწრი!

— მოდი და ეცადე, მე კიდევ იმას ვეცდები, რაც იყო.

— აქ აღარ დარეკო! — გოგო ტიროდა.

მიხომ ყურმილი დადო და ნელი გამოიძახა.

— თინასთან ადი, უხასიათოდაა, დააწყნარე და როგორმე მოახერხე სამუშაოზე გამოვიდეს, — დაავალა.

— წაიწყმიტე უკვე თავი? შენ ქალი გენდობა თანაც ესეთი მარწყვივით გოგო?! — ნელიმ შეიცხადა.

— ეგრეა. დაარწმუნე, რომ წყნარად ყოფნა ურჩევნია. გამოცხადდეს და ზოგჯერ გამართოს, არ იზარალებს, შენც კი ამტვრევდი ტაბიკებს, მაგრამ ეხლა თვითონ მიძვრები ლოგინში, — ღრეჭით თქვა.

— რაღა მეთქმის, როცა შენი გაიტანე. კარგი, წავალ და ვეცდები, შენი წახდენილი საქმე მოვაგვარო.

— წახდენილი, თორე, თქვენ ჩემზე ძალიან გიხარიათ წახდენა საქმისა. მიდი, მიდი, მამა გიცხონდა, თავს იგრე იჭერთ, თითქოს უარზე იყოთ; სინამდვილეში კი დამშეულებივით იწევთ, — ქალი კარებამდე მიიყვანა და წარმატება უსურვა.

* * *

ახალი შებინდებული იყო, ნელის სახლის ალაყაფის კარებთან მიხოს მანქანამ რომ მიაყვირა. ნელიმ კარი გაუღო და მიიპატიჟა. აივანზე ორი ქალი გამოჩნდა.

— არა, მეჩქარება, რაღაც მინდოდა მეთხოვნა, ხვალ შეიძლება სამსახურში ვერ მოვიდე და... — ამას ისე ამბობდა, რომ აივანზე მდგომთ გაეგოთ.

— არა უშავს, მიხეილ დავითიჩ, ცოტა ხანს მობრძანდით, პატარა სუფრა გვაქვს; თუ გვიკადრებთ, გვეწვიეთ, — ნელი დაჟინებით ეპატიჟებოდა.

— კარგი, ცოტა ხნით მოვალ, — მანქანა ეზოში შეიტანა.

— გაიცანით ჩემი მეგობარი თეკლე მასწავლებელი და მისი ქალიშვილი — მაია. ჩვენი დირექტორი — მიხეილ ტურიაშვილი, — ერთმანეთს წარუდგინა ნელიმ.

თეკლე ხარაშვილი მართლაც ლამაზი ქალი იყო. საშუალო ტანის, მოხდენილი, მკვრივი, მკერდსავსე, წვრილი წელით და სრული ქალური ნაკვთებით. შავი თმა და დიდი ნაღვლიანი შავი თვალებით. ხშირ თმაში აქა-იქ გამორეული ჭაღარა კიდევ უფრო ამშვენებდა და სიმპატიურს ხდიდა. გოგო პირწავარდნილი დედა იყო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ის ნორჩი კოკორი იყო გასაშლელად გამზადებული.

მიხო ორივეს თავაზიანად მიესალმა და თავისი თავი წარუდგინა.

— ცოტახანს დაგტოვებთ. მაგიდას მივხედავ და მალე შემოგიერთდებით, — ნელი ოთახში შევიდა, მაიაც წაჰყვა.

თეკლემ მიხო მარტო არ დატოვა, თუმცა მასაც უნდოდა ნელის მიხმარებოდა.

— რა ბედნიერი დამთხვევაა, ქალბატონო თეკლე, თქვენც აქ რომ დამხვდით. რამდენიმეჯერ გნახეთ, გულში თქვენი თაყვანისმცემელი ვიყავი, გაცნობას კი აბა როგორ ვიფიქრებდი; მთელი ამ პატარა ქალაქის მშვენება ხართ, დღეიდან ვეცდები, რომ შენ მეგობრად მიმიღო, — მიხომ ქალს აშკარად აგრძნობინა, რომ მის მიმართ გულგრილი არ იყო.

— ტყუილად მამკობთ, ეს მე არ დამიმსახურებია.

— დაგიმსახურებია კი არა, მზად ვარ შენი ფეხის მტვერი ვიყო. თეკლე, შენთვის სულს არ დავზოგავ; რაც გინდა დამავალე, ოღონდ შენს მეგობრად მიმიღე, — მიხო შეტევაზე გადავიდა.

— როგორ გეკადრებათ ასეთი ლაპარაკი, ბატონო! — თეკლემ შეიცხადა.

— იქნებ ასე მარტო საუბარი აღარ მოგვიწიოს, მაგრამ იცოდე, რომ მე შენი ფარული თაყვანისმცემელი ვარ, — მიხომ ქალს თვალებში ჩახედა.

თეკლემ წარბები უკმაყოფილოდ შეყარა, სახეზე ალმურმა აუარა და განზე გაიხედა.

მალე ნელი გამოვიდა.

— რა გაბუტულებივით დგეხართ, უჩვენოთ მოიწყინეთ? სუფრასთან მობრძანდით! — ორივე ოთახში შეიპატიჟა.

სუფრის ხელმძღვანელობა ნელიმ იკისრა. ღვინოს გაბედულად სვამდა და სხვებსაც აძალებდა. სასმელმა უხერხული დაძაბულობა მოხსნა, საუბრის საღერღელი აეშალათ.

— როგორი დატვირთულები ვართ, რომ ერთმანეთის ნახვასაც კი ვერ ვახერხებთ; სამსახურის მერე ოჯახის საქმეები და ამხანაგებთან შეხვედრის დრო აღარა რჩება. კიედვ კარგი თეკლემ დღეს დრო გამონახა ჩვენთან შემოევლო, თორემ ვინ იცის, კიდევ როდის შევხვდებოდით ერთმანეთს. ამის შემდეგ ხშირად უნდა მოვინახულოთ ერთმანეთი, — ნელი გულაჩუყებული ლაპარაკობდა.

— მეც არ გამოგრჩეთ, თქვენს მეგობრად ჩამთვალეთ, — მხარს უბამდა მიხო.

თეკლემ და მისმა ქალიშვილმა მოილხინეს. მიხოსთან უხერხულობა გაუქრა და ახლა როგორც დიდი ხნის ნაცნობს ისე

ესაუბრებოდა.

უამრავი ქათინაურები და ერთმანეთის საქები სიტყვები დახარჯეს. ღვინომ თავისი გააკეთა, შექეიფიანდნენ.

— ახლა ჩვენ წავალთ, — თეკლემ მადლობა მოიხადა და ფეხზე ადგა.

— მე წაგიყვანთ, — მიხოც წამოდგა.

— მეც გამოგყვებით, გაგაცილებთ; მერე ხომ მომიყვან სახლამდე? — ნელი მიხოს შეეკითხა.

— სიამოვნებით. მიმსახურეთ...

თეკლეს სახლთან მიხო სწრაფად ჩამოხტა მანქანიდან, თეკლეს ხელი ჩამოართვა:

— ნახვამდის. იცოდე, შენ რომ დამივიწყო, მე მაინც შეგახსენებ თავს; არაფერში მომერიდო! — ვითომ მეგობრულად გადაეხვია, მკერდში ჩაიკრა და კარგა ხანგრძლივად გადაკოცნა. მაიას ხელი დაუქნია და სანამ სახლში არ შევიდნენ მანქანაში არ ჩაჯდა.

— ესეთი წუწკობა შეიძლება? აღარავისი მოგერიდა, ქალს ისე დაუწყე კოცნა, — ნელიმ უსაყვედურა.

— არა უშავს, წუთისოფლის სტუმრები ვართ, მოსწრებაზეა საქმე, — მიხომ მარჯვენა ხელი გადახვია, მიიზიდა და ტუჩებში აკოცა.

ასე გადახვეულებმა შეაგრიალეს მანქანა ნელის ეზოში.

* * *

საღამოს ექვსის ნახევარი იყო მიხო სამსახურში რომ მივიდა. მოედანზე ხალხი შეკრებილიყო, რაღაც საგანგაშო ხდებოდა. ერთმანეთს ყვირილით ელაპარაკებოდნენ, ხელებს იქნევდნენ; მიხოს გამოჩენისთანავე ყველა გაჩუმდა.

კაბინეტში მილიციის სპეკულიაციის და სახელმწიფო ქონების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსი, კიდევ მისი ორი თანამშრომელი და უბნის რწმუნებული ზაქრო დახვდნენ. იქვე იყვნენ ბაზის მუშა, ავტომობილის მძღოლი, ბუღალტერი სპირიდონა, დაცვის უფროსი, საწყობის გამგე და რამდენიმე თანამშრომელი. განყოფილების გამგე რაღაცას წერდა.

ყველა მიხოს მიაჩერდა.

— რაშია საქმე? — გაკვირვებულმა იკითხა.

— საქმე იმაშია, ამხანაგო ტურიაშვილო, რომ ბაზიდან სიმინდს და ხორბალს ყველა მიმართულებით იაპარაკენ, მანქანით პირდაპირ ალაყაფის კარებიდან, ტომრებით კიდევ ღობეზე გადახტომით. ამ საქმეში იმხილებიან ბაზის დაცვის უფროსი მოსე პეტრიაშვილი და საწყობის გამგე მიტო გზირიშვილი; ამათი დაკავება და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მოგვიწევს, — სასტიკად გაბრაზებულმა განყოფილების გამგემ შეჭმუხნული შუბლით შეხვდა მიხოს.

— ეს როგორ შეიძლება, პატივცემულებო, აქ რაღაც გაუგებრობაა! — შეშფოთებულმა შეკითხანარევი თვალებით შეხედა გაფითრებულ მოსეს და მიტოს; იმათაც მხრები აიჩეჩეს.

— არავითარი გაუგებრობა არ არის, აგერაა ქურდი, — კედელთან თავხედურად მდგარ მუშაზე და მძღოლზე მიუთითეს. — ჩამორთმეული სიმინდის ტომრებიც სახეზეა და ხორბლით დატვირთული მანქანაც. მოკლედ, ისღა დაგვრჩენია აქტი შევადგინოთ და ყველანი დავაპატიმროთ!

— ამას ნუ იზამთ, თქვენი ჭირიმე! — მიხო შეეხვეწათ.

— ნუ ვიზამთ კი არა, აქტზე ხელს მოვაწერთ და საჭირო მსვლელობას მივცემთ!

— მოიცათ, თქვე კაი ხალხო, საქმეში გავერკვა! — მიხომ ახლა უკვე კატეგორიულად მოითხოვა.

— აჰა, მოვიცადეთ, მაგით რა გამოვა?! — განყოფილების გამგემ კალამი მაგიდაზე დააგდო და ხელები გაშალა. მოსემ და მიტომ მიხოს საწყლად შეხედეს.

— აბა, ცოტა ხანს ჩემთან გამოდით! — ორივე ლაბორატორიის ოთახში გაიყვანა.

— რა მოხდა, თქვენ მაინც გამაგებინეთ, თქვე კაი დედმამის შვილებო, რომ მეც იგრე ვიმოქმედო! — საყვედურით მიმართა ორივეს.

— რა ვიცით, მაგ გათახსირებულს საწყობიდან სიმინდი მოუპარია, მძღოლს კიდევ სავსე მანქანა გაუტანია ბაზიდან, — ორივე იძახიან, საწყობის გამგემ მოგვცა და დაცვის უფროსმა

გაგვატარაო.

— ეს როგორ მოგივიდათ, რამ გაგარისკინათ ეგეთი რამე! — იწყინა მიხომ.

— ტყუილად ამბობენ, მიხეილ დავითიჩ, ეგრე არა ყოფილა! — ორივემ ერთად თქვეს.

— ყოფილა თუ არა, კაცები პირზე გადგებიან, ფაქტიც სახეზეა, ეხლა უმტკიცეთ მილიციას, რომ მართლები ხართ. მოკლედ, საქმე ძალიან ცუდად არის! — მიხომ ხელები მუხლებზე დაირტყა.

— აბა, რა ვქნათ, გვიშველე რამე, შენი ჭირიმე, მიხეილ დავითიჩ, შენი ავტორიტეტი გამოიყენე, — შეეხვეწნენ.

მიხო დაფიქრდა, კარგა ხანს ასე დარჩა, მერე უცებ გადაწყვიტა:

— მოვიფიქრე. ორივემ დაწერეთ განცხადება, რომ სამუშაოდან განთავისუფთლებას თხოულობთ, ოღონდ ათი დღით ადრინდელი თარიღით, მე განთავისუფლებაზე დავწერ ბრძანებას; ფაქტიურად დღეისთვის განთავისუფლებული იქნებით, მერე მაგათ აფხლაკუნონ ფეხები.

— შენი ჭირიმე! — ორივემ გაიხარეს, იქვე დასხდნენ განცხადებები დაწერეს.

— ახლა წადით და მშვიდად იყავით, დანარჩენს მე მოვაგვარებ. ხვალ დილით ჩემთან შემოიარეთ.

— დიდი მადლობა, მიხეილ დავითიჩ! — განცხადებები ჩააბარეს და ოთახიდან იმედიანად გავიდნენ.

მიხო კაბინეტში შევიდა. განყოფილების გამგე მაგიდასთან იჯდა და ფანქარს აკაკუნებდა. დანარჩენები ფეხზე იდნენ.

— სუყველა გარეთ გადით! ამ ბიჭებმა შენთან დაიცადონ! — ანიშნა „ქურდებზე“ სპირიდონას.

მერე განყოფილების გამგეს მიუბრუნდა და თვალი ჩაუკრა. კაბინეტის კარები რომ მიიხურეს სიხარულით თქვა: — პირიანი ხალხი ხართ. ყველაფერი რიგზეა, კაცმა როგორ არ უნდა დაგაფასოთ.

— ხომ ვიცით კაცურად პირობის შესრულება, მიხეილ დავითიჩ?! — განყოფილების გამგე წარმატებულად ჩატარებული

ოპერაციით ნასიამოვნები იღიმებოდა.

ხალხი დაიშალა.

— ახლა სუყველა ნაკრძალში წადით, ყველაფერი მზად არის, მეც მალე მოვალ; მარტო ზაქრო დამიტოვეთ, — მიხომ მილიციელები მანქანამდე მიაცილა.

კაბინეტში შებრუნდა. ორივე ქურდი თავისთან გამოიძახა და უყვირა: ეხლა გაპატიებთ, ვაი თქვენი ბრალი თუ მეორედ დაგიჭირეთ! — მისი ღრიალი მთელს ბაზაში ისმოდა. მერე დაუმატა: — ისე კი ბევრი ინერვიულეთ, ჩემს წილად ხვალ ბუღალტერი თითოეულს ათას მანეთს მოგცემთ. აბა, ჰე, შეაყოლეთ!— ისევ უყვირათ და კარებამდე მიაცილა.

მალე ზაქროს თავისი მანქანით ნაკრძალისკენ მიაქროლებდა.

* * *

დრო შეუმჩნევლად გადიოდა. მიხოს ცა და დედამიწა თავისი ეგონა. თბილისში ორსართულიანი ბინა იყიდა და ბრწყინვალედ მოაწყო; ცოლშვილი იქ გადაიყვანა. სოფელშიც უზარმაზარი სახლი ააშენა. მანქანებს ახლა უკვე ცხვირსახოცებივით იცვლიდა. არ იყო ამქვეყნიური განცხრომა, რაზედაც ხელი არ მიუწვდებოდა. ყველა რანგის ხელმძღვანელებთან, კარგად იყო ცნობილი და ანებივრებდნენ, რამეთუ უყურადღებოდ არავის ტოვებდა.

ქეიფს და ქალებს არ იკლებდა. ყველგან ჰყავდა ლამაზმანები; ვინც თვალში მიუვიდოდა, ყველანაირ შესაძლებლობას იყენებდა მიზნის მისაღწევად.

თეკლე ხარაშვილს რამდენიმეჯერ ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა ისე, რომ თვითონ არ შეხმიანებია. თეკლე უსაზღვროდ კმაყოფილი იყო. უნდოდა, სადმე შეხვედროდა და მადლობა მოეხადა. ნახვა რომ ვერ შეძლო, ერთ დღეს ტელეფონზე დაურეკა.

— გამარჯობათ, ბატონო მიხეილ, როგორა ბრძანდებით? — მოწიწებით მოიკითხა.

— კარგადა ვარ! — მშრალად უპასუხა, ვერ მიხვდა, ვინ ურეკავდა.

— ვერ მიცანით, არა? მე თეკლე ხარაშვილი ვარ, თქვენგან ძლიერ დავალებული. ვერ მოვახერხე რომ მენახეთ და იძულებული გავხდი ტელეფონით მეთქვა მადლობა იმ ყურადღებისათვის, რასაც თქვენ ჩემი ოჯახის მიმართ იჩენთ.

— რის მადლობა, თეკლეს ვენაცვალე! შენი გულისათვის ცეცხლში ჩავდგები თუ საჭირო გახდა. მეც მინდოდა თქვენთან შემოვლა, მაგრამ მეუხერხულა.

— როცა გნებავთ, მობრძანდით. ჩემი სახლის კარი თქვენთვის ღიაა. ოღონდ ხვალ თბილისში მივდივარ და ზეგაც იქ დავრჩები, სხვა დროს სიამოვნებით გიმასპინძლებთ.

— ქალაქში რაზე მიდიხარ?

— პატარა საქმე მაქვს.

— ხვალ რომელ საათზე წახვალ?

— ხვალ კი არა, დღეს საღამოს მივდივარ.

— მეც დღეს მივდივარ ქალაქში, მე წაგიყვან.

— რა ვიცი, როგორ შეგაწუხოთ, — თეკლეს აშკარად არ უნდოდა მასთან ერთად საღამოთი წასვლა, მაგრამ უარი ვერ ჰკადრა.

— რა შეწუხებაა, კარგი, საღამოს ექვსი საათის შემდეგ სახლში გამოგივლი. კარგად იყავი, — თეკლეს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, იქნებ როგორმე მასთან მგზავრობისათვის თავი დაეღწია, მაგრამ ისე მოკლედ მოჭრა, რომ ვეღარაფერი ჰკადრა საჩუქრებით დავალებულმა.

მიხომ ხელი ხელს შემოჰკრა და მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა.

თინასთან მომხდარი ამბის შემდეგ გოგო სიგიჟემდე იყო მისული და მიხოს სახელის ხსენებაც არ უნდოდა, მაგრამ ნელიმ სახლში მიაკითხა, იმდენი ეჩიჩინა, დაარიგა, დაარწმუნა, სამსახურში გამოიყვანა და ბედთან შეარიგა. მის შემდეგ მიხომ მთლიანად თავის ნებას დაუმორჩილა. საღამოობით დასასვენებელ ოთახში დიდხანს რჩებოდნენ ალერსის ტყვეობაში.

ბოლოს გადაწყვიტა, თინა გაეთხოვებინა, რათა მერე უფრო თამამად გაეგრძელებინა მასთან დაწყებული საქმე. ამისათვის კი ნელისთან მოლაპარაკება იყო საჭირო.

ტელეფონით გამოიძახა. ნელი მაშინვე მივიდა.

— რა გნებავს, ჩემო სიცოცხლევ? — ღიმილით უთხრა, უკან მიიხედა, ხომ არავინ შემომყვაო, ახლოს მივიდა და ნაზად აკოცა.

— ჩემო ნელი, შენთან მოსალაპარაკებელი მაქვს, როგორც ჩემი ყველა საიდუმლო საქმეთა მოზიარესთან,— ხელი მოხვია და კალთაში ჩაისვა.

— თურმე ვინა ვყოფივარ. შენ კი რაც ახალი ავეჯი მომივიდა ჩემთან არ მოსულხარ.

— ავეჯი მოგივიდა? — მიხოს გაუკვირდა.

— შე ეშმაკო, თავს როგორ იკატუნებ. შენმა გამოგზავნილმა კაცმა არ მომიტანა?! — ნელიმ გაიღიმა და თითი დაუქნია.

— ამ დღეებში შემოგივლი და ვნახავ.

— რატომ ამ საღამოს არა?

— სასწრაფოდ თბილისში გამომიძახეს, ალბათ, ორი დღე დავრჩები, როგორც ჩამოვალ, იმავე დღეს შენი სტუმარი ვიქრები. ახლა კი აი რაზე დაგიძახე, მოდი თინიკო გავათხოვოთ. შენ ეს საქმე არ გაგიჭირდება; ქორწილი და კაი მზითევი ჩემზე იყოს.

— წაიბილწე სული, შე უსინდისო! გოგოს აშკარად ეტყობა დაქალება, გამშვენიერდა, სულ გამოპრანჭული დადის, განა ვერ გატყობთ, საღამოობით მარტო რომ რჩებით და მერე შენი მანქანით სახლში მიგყას. რომ დაფეხმძიმდეს, რას აპირებ ქალიშვილი გოგოა.

— ჰოდა, მეც მაგიტომ მინდა, რომ პატრონს დროზე ჩაბარდეს. მერე კიდევ უნდა დაორსულდეს, აბა რა უნდა ქნას? შენ კი ისეთ საჩუქარს გიმზადებ, დედოფალი რომ ვერ დაიწუნებს.

— ერთი კარგი მშრომელი ბიჭი ვიცი, გოგოც ანგელოზივით არის, ვერაფრით დაიწუნებს, პირიქით, მეშინია, თინამ უარი არ თქვას. ოღონდ, ძალიან გთხოვ, ეგ წუწკობა შემდეგში მაინც მოიშალე.

— ოღონდ ბიჭი ცოტა ფარსაგი შეურჩიე, თინაზე ნუ ფიქრობ, მე დავითანხმებ; მერე შენს გარდა არავისთან გამვლელი არა ვარ.

— ისე რა გითხარი, მოურჯულებელი ხარ; მარტო იმასა

გთხოვ, დიდი ხნით ნუ დამივიწყებ ხოლმე.

— ეგრე იქნება, არ ინაღვლო, ზოგჯერ სხვებაც დავაყოლებ ხოლმე. რა ვქნა, კარგი ნაჭერი მიყვარს.

— შე ეშმაკო, — ნელიმ გაიცინა, მოეხვია და აკოცა, — იმედიანად იყავი, ჩემო ძვირფასო, მაგ საქმეს ორ კვირაში მოგიგვარებ. იქნება მაშინ მაინც მოეშვა მაგ გოგუშკას.

— აბა, ჰე! — საჯდომზე დაარტყა ხელი...

საღამოს თეკლეს გაუარა, ქალი უკვე გამზადებული დახვდა.

— მობრძანდით, ქალბატონო! — მანქანის წინა კარები გაუღო.

— უკან დავჯდები, — თეკლემ უკანა სავარძელში მოიკალათა.

— როგორც გენებოს. აბა წავედით! — მიხო საჭეს მიუჯდა და მანქანა გააქროლა.

ბინდი ჩამოწვა. გზის ორივე მხარეს აბიბინებული ყანები და ვენახები ერთმანეთს ენაცვლებოდა. ირგვლივ სიმშვიდე და უშფოთველობა სუფევდა. ამხელა მანძილი ისე გამოიარეს, ერთმანეთისათვის ხმა არ გაუციათ. თეკლე გარეთ იყურებოდა და ლამაზი ბუნების ცქერით ტკბებოდა. მიხო კი ვერაფერს ამჩნევდა. თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა, ქალი თავისი როგორ გაეხადა.

ცოტახანს კიდევ იარეს ასე, ბოლოს მიხომ მანქანა ნელი სვლით წაიყვანა თეკლესკენ მობრუნდა და უთხრა:

— წინ ხომ არ გადმოხვალ, ასე მოსაწყენია, შეიძლება ჩამომეძინოს კიდეც.

— კი ბატონო, გადმოვალ.

მანქანა გაჩერდა. მიხო გადმოვიდა და გრილი ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა.

თეკლემ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შეხედა, ღმერთო ჩემო, რა იდუმალებით მოცული სილამაზეა, — ჩაილაპარაკა.

— სილამაზე და სიამოვნებაა შენნაირი ლამაზმანის გვერდით ყოფნა, — მიხომ ფრთხილად წაავლო ხელი და ხელზე მოუჭირა.

თეკლემ გაიწია, მაგრამ გაშვება ვერ შეძლო. მიხომ მეორე ხელი წელზე მოსდო, მიიზიდა და ტუჩებში აკოცა. თეკლემ გაიბრძოლა, მაგრამ მაგრად იჭერდა და გაშმაგებით კოცნიდა. ქალი დიდხანს ფართხალებდა მის მკლავებში, ვერაფერს გახდა,

მიხომ სანამ გული არ იჯერა, არ გაანთავისუფლა.

— ეს რას ჰგავს?! მე გენდე, გამოგყევი, შენ კი რას კადრულობ! — გაბრაზებულმა თეკლემ ისევ უკანა კარები გამოსწია.

— მე ესე რომ დავკარგე ჭკუა, შენი სილამაზის ბრალია. ხოშიანი ქალი ხარ და არც მე ვარ გადასაგდები ულაყი, ჰოდა, რა გასაკვირია რომ შენზე მივიწიო.

— არ გეკადრება ასეთი საუბარი, მე ეს არ დამიმსახურებია.

— თავს ნუ იკატუნებ, ჩემზე ძალიან შენ გინდა, აი, ესენი პირდაპირ ყვირიან კაცი გვინდაო, — მკერდზე და დუნდულებზე მოსდო ხელები, — ძალათი წაიყვანა და მძღოლის გვერდით დასვა.

თეკლე გაძალიანდა, კარი გამოაღო და გადმოსვლა სცადა. მიხომ ხელი ჰკრა და უხეშად შეაგდო შიგ, თანაც კარები მიუჯახუნა.

— გადმოსვლა აღარ სცადო, თორემ გაჩვენებ რა გეკადრება! — დაემუქრა. მანქანა ადგილიდან დაძრა. ქალს მარჯვენა ხელი მოხვია და თავისკენ მიიზიდა.

— რას შვრები, არსად გადავცვივდეთ, ხომ მოგვეჭრა თავი?! — თეკლემ შეიცხადა.

— შენ მართალი ხარ, ძალიან დავიღალე, მინდორში გადავიდეთ, ცოტას შევისვენებ და მერე გავაგრძელოთ გზა.

— არავითარ შემთხვევაში, ეს არ შეიძლება! — თეკლე გაცხარდა.

— ის შეიძლება, რომ რამეს შევასკდეთ და დავიმტვრეთ? — თეკლეს ყურს აღარ უგდებდა, მთავარი გზიდან გადაუხვია და მინდორში გააქროლა მანქანა.

თეკლემ კარის გამოღება და გადახტომა სცადა. მიხომ კისერზე მოავლო მანჯვენა ხელი, ისე უხეშად და მტკივნეულად მოსწია, რომ ქალმა დაიკვნესა.

მთავარი გზიდან მოშორებით, მყუდრო ადგილზე გააჩერა მანქანა და გადმოვიდა. თეკლეს კარები გაუღო და გადმოსვლა სთხოვა.

— თავი გამანებე, მეშინია!

— ნუ გეშინია, მე აქ არა ვარ, — თეკლეს ხელი მოჰკიდა. ქალი გადმოსვლას არ აპირებდა, გაუძალიანდა. ორივე ხელი მოჰ-

კიდა და გადმოათრია, კოცნა დაუწყო. ქალი მთელი შესაძლებლობით ებრძოდა. ხელები მოხვია, ასწია და მოლზე დააწვინა. ჭიდილი და ძიძგილი ახლა დაწოლილებმა გააგრძელეს. ქალს კაბა შემოეხია, მაინც არ ნებდებოდა. მიხომ რამდენიმეჯერ გამეტებით უთავაზა მჯიღი. ქალი დაიღალა, მაგრამ განზრახულის შესრულების საშუალებას არ აძლევდა.

— დაგახრჩობ! — მიხომ ყელში მოუჭირა ხელები, ქალმა თვალები გადმოკარკლა.

„დამახრჩობს და აქ სამარცხვინოდ დამაგდებს“, — გაიფიქრა.

ქალი წინააღმდეგობას აღარ უწევდა, მიხო თავის ველურ ჟინს იკლავდა. მათ მაყურებელ ცაზე, რომელიღაც ანთებულმა ვარსკვლავმა ცა გახაზა და დაასრულა თავისი არსებობა;.

მიხომ მთელი ღამე არ მოისვენა და დამორჩილებული თეკლე ნადირის ხელში ჩავანდნილი ცხვარივით ჯიჯგნა.

გათენებისას მინდვრიდან გამოსულ მანქანაში თეკლე ნაჟეჟი და საცმელშემოხეული უკანა სავარძელზე მიწოლილიყო.

— სად გამოვჩნდე ასეთი, — ტირილით მოიჩივლა.

— ნუ გეშინია, კარგ ადგილას მიგიყვან, ახლიდან შეგმოსავ, რომ არაფერი შეგეტყობა, — მიხომ დაამშვიდა.

ქალაქში სამი დღე-ღამე ცალკე ბინაში ჰყავდა თეკლე. ახალი საცმელებით შემოსა. ნაჟეჟი ადგილები მოუშუშა. ალერსი არ მოუკლია, საჩუქრებით დატვირთა და უკან გამობრუნდნენ ისე, რომ თეკლეს თავისი ქალაქში წასვლის მიზანი აღარც კი გახსენებია.

* * *

მიხო კაბინეტში იჯდა, თავის ბედზე უსაზღვროდ კმაყოფილი იყო. ხელმძღვანელებში სანდო პირად მიღებული ახლა თვითონ ასრულებდა იმ „საპატიო“ მოვალეობას, პირველად რომ მიიყვანა ბაზის დირექტორად დასანიშნად დიდი სკამოსნის კაბინეტში.

კარები გააღო და დაბალი მუცელმოსწრებული, მელოტი კაცი შემოვიდა:

— მიხეილ დავითიჩს სიცოცხლე! —კარებიდანვე მისკენ მარჯ-

ვენა ხელგამოწვდილი წავიდა.

— რას შაუწუხებიხარ, ტარას, ამ დილაადრიან? — ღიმილით ჰკითხა.

— სათხოვარი მაქვს, ჩემო მიხეილ, ხომ იცი, მე პირიანი გადამხდელი ვარ, შენ კიდევ რაიონში ყველაზე შანსიანი, — ტარასამ მაგიდაზე მოკლე და სქელი თითები აათამაშა. — ერთ მაგარ ადგილზე ჩემი ახლობელის გაშვება მინდა, ტიტიკო ტიგრანიჩი შენ დაგიჯერებს, რასაც ითხოვს გადამხდელი ვარ.

— მე ვინა ვარ, კაცო, ერთი პატარა ბაზა მაბარია, — მიხომ ხელები გაშალა და ეშმაკურად გაიღიმა.

— შენი დაბინავებული ბიჭები კარგად ვიცი, არც ჩვენ შეგარცხვენთ, პირობა პირობაა.

— კარგი, მაგ საქმეს მოგიგვარებ, მაგრამ ჯერ ნიადაგი უნდა მოვსინჯო.

— რატო არ მეკითხები, სად მინდა იმ კაცის მოწყობა?

— შენ მიამიტი ხომ არ გგონივარ. მაგარი ადგილი ერთია თავისუფალი. შენც ისეთი ჩიტი მყავხარ, უბრალოზე შეიწუხებდი თავს, — ტარასას თვალებში შეხედა, ორივემ გადაიხარხარეს.

— მაგარი ხარ, შენ რომ ალღო გაქვს ნუ იტყვი! — ტარასამ ხელი ხელს შემოჰკრა და ადგა. ერთ კვირაში შემოგივლი, ეგ ადგილი რაც ღირს, ვიცი, თუ მეტი მოითხოვა მზადა ვარ! — ორივე ხელი ასწია და ასე უკან-უკან გავიდა.

— კაბინეტში ვიღაცამ შეიხედა.

— შემოდი, მირიან, შემოდი! — დაუძახა.

მაღალი, შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი შევიდა.

— გამარჯობა, ცოტა დამაგვიანდა, ჩემი საქმეები მივაწყნარე, ანგარიში გავასწორე და მთლად თავისუფალი გესტუმრე, — მოახსენა.

— მესტუმრე კი არა, აქ მალე მასპინძელი იქნები. დღესვე დაიწყებ საწყობის გადაბარებას. ოღონდ დეიდაშვილები რომა ვართ, წინასწარ ნუ იტყვი, მერე თავისით გაიგებენ.

მიხომ ბულალტერი გამოიძახა.

— გაიცანი საწყობის გამგის კანდიდატურაა, მირიან ხოსიტაშვილი, ძალიან კარგი და საიმედო ბიჭია.

— შენ რომ ამბობ, მიხეილ დავითიჩ, წყალი არ გაუვა. კარგი რომ არ იყოს, არ მოიყვანდი, — ბუღალტერმა მირიანს ღიმილით ჩამოართვა ხელი.

— ახლა წაიყვანე და საწყობის გადაბარება დაიწყეთ!

— გასაგებია, — სპირიდონა და მირიანი გავიდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ნელიმ დაურეკა:

— მიხეილ, როგორ არის შეპირებული მაღარიჩის საქმე?

— რომელი მაღარიჩი?

— აი, თინას საკითხზე...

— შემოდი რა ტელეფონით მელაპარაკები.

ნელი კაბინეტში მხიარულად შევიდა.

— შენსავით უპირო არ გეგონო, ორ დღეში შემოგივლიო და მთელი თვით დაიკარგე, მე კი თინიკოს საქმე თითქმის მოვაგვარე, ახლა შენი ჩარევა იქნება საჭირო.

— აბა მოყევი რაშია საქმე! — მიხო მოსასმენად მოემზადა.

— ერთი კარგი უცოლო ახალგაზრდა კოლმეურნეობის აგრონომი, შოთა ღვედაშვილი, ფუტკარივით მუშაა, დღე და ღამე მინდორშია. ქალებს ვერა ხვდება, თავისით რომ იფიქროს დაქორწინებაზე. არადა, ოჯახი ყოველმხრივ გამართული აქვთ. ახალგაზრდა დედმამა ჰყავს. მე ისეც მქონდა ეს საქმე აზრად, მისი დედა ჩემი კარგი მეგობარია. ჰოდა, ამ დღეებში იმათთან ვიყავი, ბიჭი წინააღმდეგი არ არის; მშობლებს გაუხარდათ, ახლა თინაზეა საქმე. მე სიტყვა გადავუკარ, მაგრამ მოსმენა არ უნდა. შენ უთხარი რამე. მთლად გადაგირევია გოგო. ჩემთან იმიტომ აღარ მოდიხარ, ქალაქშიც საეჭვოდ დაეთრევი, მოკლედ, სულ წახვედი ხელიდან. ჩემ კეთილ გულს რა ვუთხარი, თორემ ხმას არ უნდა გცემდე! — ამას ღიმილით ამბობდა.

— ეგრე როგორ შეიძლება, როგორც საქმით გავერთობი ხოლმე, მაშინვე მიბრაზდები; განა არ იცი, რა დღეშიც ვარ?

— ვიცი რა დღეშიც ხარ, ისიც ვიცი, თეკლეს რა დღე აყარე და ახლა მასთან უჩუმრა რომ დაძვრები. გარჩევა აღარა გაქვს სინდისზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია! — ნელი ახლა უკვე მართლა ბრაზობდა.

— ათასი ქალი რომ იყოს, შენ ჩემთვის უცვლელი და უბად-

ლო ხარ, — მიხო მოეფერა.

— კარგი, კარგი, გიცნობ რა შვილიც ბრძანდები! — ნელი მოლბა და გაუღიმა.

— ეხლა თინას მოველაპარაკები, ხვალიდან კი აქტიურად შეუდექი ქორწილის მოკვარახჭინებას, — ხელი მოხვია, კარებამდის მიაცილა და თინას დაუძახა.

გოგო მოწყენილი შევიდა კაბინეტში.

— რა გინდა? — ჰკითხა.

— ახალი ამბავი უნდა გახარო, ჩემო ანგელოზო!

— რა ამბავია?

— ერთი კარგი ბიჭი უნდა გაგირიგოთ. მოკლედ, დიდი ქორწილი გვექნება.

— შენ რა გაგიჟდი? რაც დამმართე, იმის შემდეგ ცოლად ვინ წამიყვანს!

— მაგისი ნუ გეშინია, ნელი ისე მოაწყობს, შენს ქალიშვილობაში ეჭვი არავის შეეპარება. ახლა მიდი და მოილაპარაკეთ. ქორწილი კი ისეთი უნდა გადაგიხადო, სოფელში დიდხანს არ დაავიწყდეთ.

თინა ადგა, ცრემლები მოიწმინდა:

— იცოდე, მერე მაინც შემეშვი, ახლოს აღარ გამეკარო და რაც დამმართე, დაივიწყე.

— ეგ არც იფიქრო. იმაზე კარგად მოგეფერები ვიდრე აქამდე იყო, — მხარზე ხელი გადასდო და ნელისთან მიიყვანა.

— აბა, შენ იცი, ნელი, საქმე დროზე მოაკვარახჭინე! — თვალი ჩაუკრა და გამობრუნდა...

ორი კვირის შემდეგ თინასი და შოთას გრანდიოზულ ქორწილზე ყველა ლაპარაკობდა. მიხოს აქებდნენ, რა კაცი ყოფილა, როგორ ყურადღებას აქცევს თავის მუშაკებსო.

* * *

მიხომ თეკლეს ბინაზე სიარულს მოუხშირა, ხშირად ღამე იქ რჩებოდა, იშვიათად ნელისაც გაუვლიდა ხოლმე, რომ მთლად არ გაბუტოდა. თინასთან სიყვარულობანა მთლად უმტკივნეულოდ მიდიოდა, გოგოს ახლა ქმარი ჰყავდა და დაფეხმძიმებისა

აღარ ეშინოდა.

ტასიკო იყო აუღებელი, ვერაფრით ვერ მიუდგა ამ ლამაზ გოგოს, რომელსაც ქმარი დაპატიმრებული ჰყავდა და ხანშიშესული დედამთილ-მამამთილთან ცხოვრობდა. უჭირდათ. პატიმარ ქმარსაც მოკითხება უნდოდა, ცდილობდა, როგორმე მიმაგრებაში გადაეყვანა და საწყალი წელში წყდებოდა. მიხო დროდადრო უგზავნიდა ფქვილს, საკეკს და ამას ვითომ ტასიკოს კარგი მომსახურების საპასუხოდ აკეთებდა.

არც თეკლეს მაიას მიმართ იყო გულგრილი, კოცნიდა და ეფერებოდა, როგორც კეთილისმსურველი ძია. ყოველი მოფერებისას ისე შეავლებდა ხელს ან აკოცებდა, რომ გოგოს სადღაც იდუმალ ძარღვს შეუტოკებდა.

ახლა მოწყენილი იჯდა კაბინეტში. გადაუღებლად წვიმდა და ამინდის უხასიათობა მასაც გადასდებოდა. ტელეფონის ზარი აწკრიალდა. თეკლე ურეკავდა. მასწავლებელთა დახელოვნების ერთთვიან კურსებზე თბილისში მივდივარო.

მიხოს თეკლე უკვე აღარ აინტერესებდა. მისთვის თბილისში წასასვლელად თავს აღარ შეიწუხებდა. საწყობის გამგე „ხელადა“ გამოიძახა.

— მანქანა გაამზადე, კარგი ხარჯი ჩააწყე, ერთ საათში თბილისში უნდა წახვიდე!— უბრძანა.

ერთ საათში თეკლეს სახლს მიადგა.

— მანქანა მზად არის, თეკლე, თბილისში ჩაგიყვანს და კარგად მოგაწყობს; პურმარილიც საკმარისად გექნება,— თან ფული ჩაუდო ჩანთაში.

— შენ არ წამოხვალ? —მოკრძალებით ჰკითხა თეკლემ.

— არა მცალია, შენი ჭირიმე, რევიზია მყავს და თავს ვერ დავანებებ; სანამ ჩამოხვალ მაიას ყურადღებას არ მოვაკლებ, გოგოზე არ ინერვიულო, — შეჰპირდა, გადაკოცნა და მანქანამდე მიაცილა.

— ერთი თვე მარტო როგორ უნდა იყო, გოგო, ხომ არ გეშინია? — მიხო მაიას მიუბრუნდა.

— რისა უნდა მეშინოდეს, თუ საჭიროა მამიდას ვთხოვ და ის დაწვება ჩვენთან.

— მამიდა რად გინდა, თუ ეგრეა ყოველღამე მე დავრჩები, — უშმაკურად ჩაუკრა თვალი.

— როცა დაგჭირდეთ, ჩვენი სახლის კარი თქვენთვის ღიაა.

— მოკლედ, არ შეგეშინდეს, ხშირად მოგაკითხებ.

— მე სულაც არ მეშინია, თქვენ მაგისათვის ნუ შეწუხდებით! იმდენი საქმე მაქვს, დრო არც კი მყოფნის; მალე გამოცდები უნდა ჩავაბარო და ვემზადები, — მაიამ გაკვირვებით შეხედა. გოგო თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა დაუსწრებლად მეორე კურსზე იყო.

— ყოჩაღი გოგო ხარ, მაგრამ მაინც უყურადღებოდ არ დაგტოვებ.

— როგორც გენებოთ, — მაიამ ბოდიში მოიხადა და სახლში შევიდა.

* * *

კარგად დაღამებული იყო, მაია ოთახში მოწყენილი იჯდა, მოულოდნელად კარი გაიღო და ორი უზარმაზარი კალათით ხელებდამძიმებული მიხო გამოჩნდა. ოთახში შევიდა და კალათები იატაკზე დააწყო.

— შენი ჭირიმე, მაია, მომეხმარე, სამზარეულოში შევიტანოთ.

კალათებში გულუხვად ეწყო ხიზილალა, თევზი, კონსერვები, შაშხი, ცივად მოხარშული ქათმები, შამპანური, კონიაკი, შოკოლადები და ბევრი რამ, რაც მიხოს ფანტაზია სწვდებოდა.

მაიას გაკვივრებისგან თვალები გაუფართოვდა, ერთი კალათი სამზარეულომდე ძლივს გაათრია. მეორე მიხომ წაიღო. სანამ მაია კალათებს გაანთავისუფლებდა, მიხო ოთახში გამოვიდა და სავარძელში მოშვებულად ჩაჯდა.

მაია ოთახში რომ დაბრუნდა, მიხო ადგა და მშვენიერი ჯინსის კაბა დაატოლა; ეს კაბა ყველა თავმომწონე გოგოს ოცნება იყო.

— რა კარგია! ვისია?

— შენია, გენაცვალე!

მაიამ სიხარულით კაბა მკერდში ჩაიკრა.

— ესაც შენია, — ახლა ნაზი პერანგი და მისი ამხანაგი მი-

აწოდა.

გოგო სიხარულით ცას ეწია.

— წადი, ეს ყველაფერი ჩაიცვი და გამოდი, ვნახოთ, როგორ გექნება.

— ახლავე! — გახარებული მაია თავის ოთახში შევარდა და მალე მშვენივრად მორგებული ჯინსის კაბით გამოვიდა.

მიხომ პირი დააღო. გოგოს ლამაზ, ძეწნის ტოტივით მოქნილ სხეულს კაბა მთელი სისრულით აჩენდა. სისხლი თავში აუვარდა.

— ისინიც ჩაიცვი?

— კი, — გოგომ მორცხვად უპასუხა.

— ხომ არ მაჩვენებ როგორა გაქვს?

— ვაიმე, არა, მცხვენია!

— კარგი, დასაძინებლად რომ დაწვები, მაშინ ვნახოთ.

— არა, არა, არც მაშინ!

— კარგი. თუ არ დაგეზარება ცოტა პური ვჭამოთ და მერე მე წავალ.

— სუფრას ახლავე გავშლი.

მალე უხვად გაშლილ სუფრაზე ერთი ბოთლი კონიაკი და ორი ბოთლი შამპანურიც იდგა...

საჭმელს წყნარად შეექცეოდნენ. მიხომ ორი ბოთლი შამპანურიდან მაიას ნახევარ ბოთლზე მეტი და ორი ჭიქა კონიაკიც დაალევინა.

— ეხლა მე წავედი, — თქვა და ფეხზე ადგა.

მაიამ არაფერი უთხრა, ისაც ფეხზე ადგა. ცოტა ხანს გაჩერდა და დაუმატა: — თურმე დარჩენაც შეიძლებოდა.

— დარჩით, საწოლს ახლავე გაგიმზადებთ.

— კარგი, დავრჩები, რახან ეგრე გინდა, — მიხო სკამზე ჩამოჯდა. მაია გაიქცა საწოლის გასაშლელად. შამპანური და კონიაკი კი ტვინში საამურად უღიტინებდა.

— მობრძანდით, თქვენი საწოლი მზად არის.

— მადლობა, — მიხო დასაძინებლად წავიდა.

მაიამ სარკის წინ დიდხანს იტრიალა. მშვენიერი კაბის ცქერით რომ დატკბა, გაიხადა და ახალ პერანგში ათვალიერებდა

თავის თავს. ამ ამბავში რომ იყო, უცებ მის ოთახში მიხო შე-
ვიდა.

— ვაიმე! — გოგომ შეჰყვირა და ლოგინში შეძვრა.

— აკი პერანგში ვერ დაგინახავდი, — სიცილით თქვა, საწოლ-
თან დაიჩოქა და მაიას თვალებში ჩახედა.

— რატომ არ წახვალ! — თქვა გოგომ.

— ეხლა გაკოცებ და, თუ გამაგდებ, წავალ.

მაიას პასუხს აღარ დაუცადა, მარჯვენა ხელი თავის ქვეშ
შეუცურა, მარცხენა საბანს ქვეშ შეუყო მკერდზე მოჰკიდა ხე-
ლი, მერე ქვევით ჩაასრიალა. სანამ მაია გონს მოვიდოდა, ტუ-
ჩებზე დააცხრა და დიდხანს კოცნიდა, თანაც მარცხენა ხელს
სხეულის ყველა ნაკვთზე დაატარებდა. მერე საბანი გადახადა
და შიგ შეუწვა.

გოგომ ჯერ წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ცოტა ხანში,
სასმელით გაბრუებული, მოძალადის ნებას დაჰყვა და როგორც
უდაბნოში მოხეტიალე, მოწყურებული ბედუინი წყალს, ისე
დაეწაფა მის საწოლში ხვნეშით და ბრდღვინვით შემძღვრალი
ვნება ქალიშვილის უმანკოებას.

მიხომ გოგო დაიმორჩილა და ორი თვე თავდავიწყებულ
ტრფობაში გაატარეს, გონს მაშინ მოვიდნენ, თეკლეს დეპეშა
რომ მიიღეს, ორ დღეში წამოსვლას ვაპირებო. მიხომ ისევ „ხე-
ლადა“ გაუგზავნა თეკლეს წამოსაყვანად.

* * *

ერთი თვე გავიდა, რაც დაცვის უფროსად მიხოს ცოლის
შორეული ნათესავი, უსახლკარო, ობოლი ბიჭი, რამაზი გულოშ-
ვილი დანიშნა. ახლაც კაბინეტში ჰყავდა და არიგებდა როგორ
უნდა ემუშავა. შავგვრემანი, საშუალო ტანის, მკვრივი ბიჭი ყუ-
რადღებით უსმენდა.

— ... სულ ადგილზე უნდა იყო. ბაზაში თითქმის ყველა სან-
დოა, ვინც არ ვარგოდნენ მოვაშორე, მაგრამ, ხომ იცი, სიფხიზ-
ლე მაინც საჭიროა, შენს გარეშე ლევი არ უნდა გავიდეს;
მალე შავი დედალივით გაკეთდები. ერთ კარგ ოჯახში მიგიყვან
ზედსიძედ და იცხოვრებ ბედნიერად, — დაამთავრა თავისი და-

მოძღვრა.

— მადლობის მეტი რა მეთქმის, — რამაზმა მოკრძალებით უთხრა.

— ეგრე, შენ და მირიანი ჩემი თვალი და ყური ხართ, თუ ვინმე აურევს, მაშინვე მოვუგრეხ კისერს.

რამაზი გავიდა.

მიხო კარგა ხანს წყნარად იჯდა და თავის ფიქრებში დაბორიალობდა. როგორ საუცხოოდ აეწყო მისი საქმე, საამისო მარიფათი და უნარი უწყობდა ხელს, მაგრამ მარტო მარიფათი და ჩალიჩის ნიჭი არაფერი იყო, თუ არსებული გარემოებაც არ შეუწყობდა ხელს. ამ სოციალისტურ ქვეყანაში, სადაც ძმობას, ერთობას და თანასწორობას ქადაგებდნენ თანდათან შეეპარა მომხვეჭელობის, მექრთამეობის, მიწერების და ათასი თვალთმაქცობის ბაცილა. რაც თანდათან ისეთ ინერციას იძენდა, რომ როგორც სხეულში შემძვრალი შავი ჭირი ამ სხეულს სამარის კარისკენ მიაქანებს, ისევე ეს საზოგადოებრივი მანკიერებები სოციალისტურ კეთილდღეობას ჯუნგლების განუკითხაობისკენ მიაჯირითებდა. ყოველივე კი ზემოდან იწყებოდა, ხელისუფლების სათავეში გამძვრალი კომუნისტი მედროვეები ისე იყვნენ მოხვეჭაზე გახარებულები, რომ ადამიანური სასიკეთო თვისებები მთლად გაჰქრობოდათ და ცხოველურ გაუმაძღრობის, დაუნდობლობის და კაცთმოძულების სირცხვილს ნაზიარებნი ქვეყანას იქით ექაჩებოდნენ, სადაც ძარცვა-რბევა, თვალთმაქცობა, მოხვეჭა და მუქთახორობა საამაყო იქნებოდა. ყოველივე ამის ორგანიზატორი კი იყო საქართველოს კომპარტიის თავკაცი ედუარდ შევარდნაძე. სწორედ მისი ძალისხმევით მომრავლდა მთელ ქვეყანაში მომხვეჭელ-მექრთამე-თვალთმაქცთა ხროვა, რომლებიც სხეულში შემძვრალ პარაზიტთა სიჩქარით მრავლდებოდნენ. ამგვარი პარაზიტები კი თანამდებობრივი საფეხურის ყველა კიბეზე იყვნენ, დაწყებული მინისტრებით, რაიკომის მდივნებით, მთელი ადმინისტრაციული ორგანოებით, მიხოთი და მისი საწყობის გამგეებით გათავებული. სწორედ მიხოს მსგავსი სარეველების ამინდი დამდგარიყო, სადაც უზნეობა, გარყვნილობა, უსირცხვილობა ზნეობრივ და სულიერ სისპეტაკეს აქრობ-

და. სისხლისმსმელი ტირანის მეუფება იდგა და პატიოსნება იტანჯებოდა.

მიხო ზეიმობდა მიუღწეველი აღარაფერი დარჩა. ვინც მოეწონა, ყველა დაიმორჩილა, ყველა თავისი ბილწი ალერსის ტყვედ აქცია. ახლა ტასიკო ჰყავდა მიზანში ამოღებული და რამდენადაც დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა, იმდენად უცხოველდებოდა მისი დაბრყობის ჟინი.

ტელეფონზე დარეკა.

— ტასიკო, გამარჯობა... ოჯახში როგორა ხართ... ფქვილი ან საკეკი რომ გაგითავდება, გამაგებინე და გამოგიგზავნი... რა შეწუხებაა, პირიქით, ვერა ხვდები, გოგო, რომ ჩემი უმაღლესი სიმპათია ხარ?.. საწყენად არ მითქვია. ვინ იცის, იქნებ, ერთხელ შენც მოხვიდე და თანაგრძნობა გამიწიო... კარგი, კარგი, ნუ ბრაზობ, აი, როცა გნახავ, დაგარწმუნებ, რომ შენი ჟინი მკლავს. ეხლა კი ზაქრო ნავროზაშვილი დამაკავშირე.

— ეს თავხედი ვინ არის?! — ტასიკომ ჩაილაპარაკა და უბნის რწმუნებულთან შეაერთა.

— ზაქრო, გამარჯობა! — შენთვის სასიამოვნო ამბავი მაქვს სათქმელი, საღამოზე კი კარგ პურმარილზე გეპატიჟები, — უთხრა. პასუხს აღარ დაელოდა და ყურმილი დადო.

ერთი საათიც არ იყო გასული, ზაქრომ მიხოს კაბინეტის კარი შეაღო! — ახლოდან გამარჯობა, ძმაო! — მისკენ ხელებგაშლილი წავიდა.

— რა გეჩქარებოდა, საღამომდე ვერ მოიცადე?! — ღიმილით უთხრა და ხელი გაუწოდა.

— შენ ისეთი რაღაც მითხარი, საღამომდე მოცდა გამიჭირდებოდა.

— ჰო, სამაღარიჩო საქმე გაქვს და მეც საღამოსთვის მაღარიჩი უკვენ მოვამზადე.

— რა არის თუ ძმა ხარ, მითხარ, ნუ გამათავე კაცი!

— სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსად რომ გითხრან, არ წახვალ?

— ეხ, მაგაზე უკვე წავიჩალიჩე, მაგრამ... — ზაქრომ ხელი ჩაიქნია.

— უმაღლესი განათლება ხომ გაქვს?

— დიპლომიც მაქვს და კურსებიც დავამთავრე.

— მაშინ დაარტყი ხელი.

— რა ხელი დავარტყა, შენ ხომ არ გაგიჟდი?!

— ის ხელი დაარტყი, რომ ზევით შენზე იყო ლაპარაკი, მე თავდებად დაგიდექი, სანდო ბიჭია და არ გვიღალატებს-მეთქი. ჰოდა, საქმე გადაწყდა. საღამოზე პურმარილი მაქვს, ისენი ყველა იქ იქნებიან; ხვალე კი გამოგიძახებენ.

ზაქრო წამოხტა: — ვახ, კაცი კი არა სასწაული ხარ, შენი ამაგის გადახდა როგორ უნდა შევძლო! საღამომდე ვერ მოვიცდი, წამოდი, თითო ბოთლი დავლიოთ!

მიხო ღიმილით ადგა.

მალე ორივე რესტორანში ტკბილად ჭუკჭუკებდნენ. ორი კვირის შემდეგ კი ზაქრო ახალ თანამდებობას ზეიმობდა.

* * *

მიხო ხარაშვილების ოჯახში სიარულს ჩვეულებრივად აგრძელებდა, როცა თეკლე სამსახურში იყო ქურდულად შეირბენდა და მაიას ალერსით ტკბებოდა. ძველებურად ღამით დარჩენას ერიდებოდა, ფრთხილობდა, თეკლეს არ გაეგო. ისე კი თეკლე რაღაცას ატყობდათ, მაგრამ ჯიუტად ცდილობდა ეს ეჭვი მოეცილებინა და საშინელ სიმართლედ არ ჰქცეოდა.

მიხოს კი თავისი გეგმები ჰქონდა. ნელ-ნელა შეაპარა და ბოლოს მაიას გათხოვებაზე საუბარი ჩამოუგდო.

— ძალიან კარგი ბიჭი მყავს შენთვის შერჩეული, მართალია ობოლია და სახლკარიც არა აქვს, მაგრამ კარგი ვაჟკაცი ბიჭია, სამსახურიც ისეთი აქვს, ყველაფერს შეიძენს.

— მერე შენ თავს დამანებებ?

— პირიქით, მაშინ უფრო კარგად შევხვდებით, საეჭვოც არაფერი იქნება, მე ხომ თქვენი ნათესავი ვიქნები.

— ის ბიჭი ვინ არის?

— ჩვენი დაცვის უფროსია რამაზი გულიაშვილი, ჩემი ცოლის ნათესავია.

— პირველი ღამის შემდეგ რომ აღარ მინდომოს, — მაიას

შერცხვა და გაწითლდა.

— შენ ნუ გეშინია, ისე მოვაწყობთ, რომ ეჭვიც არ შეეპაროს, მერე ყველაფერს აგიხსნი.

— კარგი, დედაჩემს მოელაპარაკე და საქმე თუ არ გართულდება, თანახმა ვარ.

მიხომ თეკლეც დაითანხმა და ერთი კვირის შემდეგ მირიანი, გლახო, სპირიდონა, ნელი თვითონ და სასიძო თეკლე ხარაშვილის სახლს მიადგნენ. ალაყაფის კარებს გასცდნენ თუ არა, მიხომ რამაზს ხელი წაავლო და თეკლეს გასაგონად უთხრა:

— აჰა, ძმაო, ეს მშვენიერი სახლ-კარი ჩაიბარე ლამაზი ქალიშვილით და სიკეთეში მოგახმაროს!

რამაზი ყურებამდე გაწითლდა.

სუფრასთან თავიდანვე დიდი ყანწი მოითხოვა, ფეხზე ადგა და ჯიქურ დაიწყო:

— რამაზ, მაია მოგწონს?

— მომწონს.

— მაია, შენ რას იტყვი?

გოგომ თავი ჩაღუა.

— აბა, რამაზ, აიკარ შენი გუდა-ნაბადი და გოგოს გვერდით მიუჯექ!

რამაზმა დავალება სიამოვნებით შეასრულა.

— მეგობრებო, მოდი ამ ყანწით ეს ორი მშვენიერი ახალგაზრდა ვადღეგრძელოთ; ბედნიერი ოჯახის შექმნა, გამრავლება და გახარება ვუსურვოთ!

მაიამ მიხოს წარბებქვეშიდან მრავალმნიშვნელოვნად შეხედა.

— ალავერდი თეკლესთანა ვარ. ეს ყანწი ყველასთვის სავალდებულოა! — პირამდე შეავსო, თეკლეს მიაჩეჩა და სანამ ბოლომდე არ გამოაცლევინა, არ მოეშვა. მერე თამადად გლახო აირჩია, თან გააფრთხილა, წვეთი არავის შეარჩინოო. თვითონ იცდენდა დიდ სასმისებს, მაგიდის მომსახურების საბაბით.

— სიძე ამაღამვე უნდა დავტოვოთ აქ, — მიხომ წინადადება წამოაყენა.— შენ რას იტყვი, რამაზ?

— აუუცლებლად დდავრჩები, — ენას ძლივს აგებდა გადამთვრალი სასიძო.

— ამაღამვე როგორ შეიძლება! — თეკლე ბრაზობდა, მაგრამ ისეთი მთვრალი იყო, სკამიდან ადგომას ვერ ახერხებდა.

მაია თავჩაღუნული იჯდა და ხმას არ იღებდა.

მიხომ გლახოს დიდი ყანწი ერთხელ კიდევ მიაწოდა: — აბა, ერთი მაგრად მიდღეგრძელე ნეფე დედოფალი!

გლახომ საცოდავი თვალით შეხედა ლიტრანახევრიან ყანწს, მაინც ჩამოართვა, გაუგებარი დუდუნის შემდეგ ყანწი მოიყუდა, დაცალა და გონდაკარგული სკამზე დაეშვა.

მისი ბედი რამაზმა ზუსტად გაიზიარა. ახლა მაგიდაზე თავდამხობილს ეძინა.

მიხომ თეკლეს ნახევარი ყანწი ძალათი ჩაასხა და მუხლმოკვეთილი ქალი საწოლამდე ძლივს მიათრია.

— ნელი, ამაღამ აქ დარჩი, მაიას მიეხმარე; მე ამ საცოდავებს დავაბინავებ და მალე მოვალ...

უგონოდ მთვრალი რამაზი მაიას ლოგინში ჩააწვინეს.

კარგა ხანს ისხდნენ მძიმე ბრძოლის შედეგად შეთხელებულ სუფრასთან მაია, ნელი და მიხო.

ნელიმ მაია საქორწილო სარეცელთან მიაცილა, ბედნიერება უსურვა; მიხომაც ეშმაკურად ჩაუკრა თვალი.

— ახლა წავალ, მაია, გენაცვალე, მიხო გამაცილებს; ხვალ კი აუცილებლად შემოგივლი, — უთხრა და საიდუმლო ოპერაციის ჩატარების შემდეგ ოთახიდან გავიდა.

მაიამ ნაღვლიანი თვალი გააყოლა და ღრმად ჩაძინებულ საქმროს გვერდით ფრთხილად მიუწვა...

ნელიმ მთელი ღამე მიხოსთან იცელქა. დაიმსახურა კიდეც მისი ესოდენი ალერსი თავისი მისადმი უსაზღვრო ერთგულებით...

დილით რამაზმა რომ გაიღვიძა, მაიას მის გვერდით მშვიდად ეძინა. რამაზი ფრთხილობდა, არ გაეღვიძებინა. საბანი გადაიხადა, ზეწარს მაიას ქალიშვილობის დადასტურება შემორჩენოდა. თავისი სიშიშვლის შერცხვა, საბანი სასწრაფოდ გადაიფარა და გაიტრუნა. ფიქრებში წავიდა; მისი მეხსიერება ბოლო ყანწის გამოცლისას წყდებოდა, მერე რა მოხდა, აღარ ახსენდებოდა. მაიას მხარეს სირცხვილისაგან ვერ გადაეხედა, ვინ იცის, მთვრალმა რა სისულელე ჩაიდინა. ბოლოს მორცხვობა დაძლია

და მაიასკენ ფრთხილად შეტრიალდა. წყლის ნიმფას მსგავსი გოგო მშვიდად სუნთქავდა და ათქვირებული მკერდი წყნარად ადი-ჩადიოდა.

რამაზმა თავქვეშ ამოიდო ხელები და ბედნიერ ოცნებას მიეცა.

* * *

ტასიკოს ქმარი, როინი ჩხუბისათვის სასჯელს იხდიდა. თვითონ დაბაში ულამაზესი ქალიშვილი სიყვარულით გაჰყვა ასევე გარეგნობით და ვაჟკაცობით დამშვენებულ ახალგაზრდას. როინი ვერ იტანდა ფულით გაზულუქებულ თავხედთა თვითნებობას და აღვირხასნილ პარპაშს. ამის გამო მასაც ვერ ეგუებოდნენ ამ ცხოვრების ნებიერნი. სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელთან, სადაც იგი მუშაობდა, კამათის შემდეგ, რასაც მისი გასილაქება მოჰყვა, როინს ციხის მონახულებად ექცა. მისი მართალი სიტყვით განაწყენებულმა რაიონის თავკაცებმა ბოროტი ხულიგნობის მუხლით თავიდან მოიშორეს.

გაუჭირდა ტასიკოს უვაჟკაცო ოჯახის რჩენა. მოხუცი დედამთილი და მამამთილი ხშირად ავადმყოფობდნენ. ციხეში ყურადღება სჭირდებოდა. ახლა მიმაგრებაში გამოყვანის შანსი გაჩნდა, მაგრამ კანონის დამცველთა მოსაქრთამი ფული არ ჰქონდა, არადა ამ მშვენიერ და პატიოსან ქალს ფულიანი მექალთანენი აწუხებდნენ, მაგრამ ტასიკო თავისი ქმრის და ოჯახის ერთგული, პატიოსანი მანდილოსანი ისეთ პასუხს აბარებდა მათ, რომ მეორედ ვეღარ ბედავდნენ მისთვის უკადრისის კადრებას.

სულ სხვა იყო მიხო, მასში ტასიკომ რატომღაც კეთილი ადამიანი შეიცნო და ამ უკიდურესი გაჭირვების ჟამს გადაწყვიტა მისგან ფული ესესხა.

მიხოს კაბინეტში ტელეფონის ზარი აწკრიალდა.

— გისმენთ! — უხეშად ჩასძახა ყურმილში.

— მიხეილ დავითიჩ, მაპატიეთ, რომ გაწუხებთ, ტასიკო ვარ, რაღაც საკითხზე მინდა დახმარება გთხოვოთ და როდის შეგიძლიათ მიმიღოთ?

— რა მოხდა, ტასიკოს ვენაცვალე, ისეთი რა უნდა გაგიჭირ-

დეს, რომ ვერ დაგეხმარო! მე ყოველთვის შენს სამსახურში მიგულე.

— თუმცა ტელეფონით თქმა უხერხულია, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობა მაქვს და... ჩემი მეუღლე დაპატიმრებულია, ფულს ვაგროვებ, იქნება როგორმე მიმაგრებაში გასვლა მოვუხერხო. ცოტაღა დარჩა, გამოვა და წელში გავსწორდებით ალბათ. ჰოდა, იძულებული გავხდი თქვენთვის მომემართა. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ უნდა მიჭირდეს, რომ თქვენი შეწუხება გავბედე; თუ დრო გაქვთ, ახლავე მოვალ.

მიხო ჩაფიქრდა, მერე საქმიანად უთხრა: — ტასიკო, გენაცვალე, სტუმრები მყავს, იმათ უნდა გავყვე; საღამოს შვიდ საათზე მკვდარი ვარ თუ ცოცხალი ჩემთან დაგელოდები.

ტასიცო ცოტა შეყოვნდა, საღამოთი მიპატიჟება რაღაც არ მოეწონა, მაგრამ მალე მოიცილა ეს ეჭვი და უპასუხა: — კარგი, მიხეილ დავითიჩ, აუცილებლად მოვალ.

მიხომ კმაყოფილებით შემოჰკრა ხელი ხელს.

— როგორც იყო მოვატანე ჩემს ხაფანგში. საღამოზე კი ვერაფრით გამიფრინდება, — ჩაილაპარაკა.

მთელი დღე თანამოაზრეებთან გაატარა. სამსახურში ექვს საათზე მივიდა და დამლაგებელიც კი არ გააჩერა, ყველა სახლებში გააგზავნა.

ტასიკომ მოკრძალებით შეაღო მისი კაბინეტის კარები.

— შეიძლება, მიხეილ დავითიჩ? — იკითხა.

— შეიძლება კი არა აქ შენთვის ვზივარ და გელოდები, — მიიღო პასუხი.

— მაპატიეთ, ძალიან დიდი გაჭირვება რომ არა ამ ნაბიჯს ვერ გადავდგამდი; ახლაც სირცხვილით ვიწვები, ამას რომ გიბედავთ.

მიხომ ქალის გულახდილი საუბარი თავისებურად გაიგო, იფიქრა, გადაწყვიტა ჩემთან კავშირის დაჭერაო და უფრო თამამი გახდა.

— ჩემო ტასიკო, მე მენდე და ნახავ, რა ბედნიერი იქნები.

ტასიკომ, თითქოს ნათქვამის შენიღბულ აზრს ვერ მიხვდაო, დაიწყო:

— მიხეილ დავითიჩ, ჩემი ქმარი გვინდა მიმაგრებაში გავიყვანოთ, რაც კი შეიძლებოდა გავყიდე, ზოგიც ვისესხე, ათასი მანეთი მაკლდება, იქნება მასესხო, როგორც ვიშოვი ჩაგაბარებ.

— ერთი ათასი კი არა, რამდენიც დაგჭირდეს წაიღე. აგერ იმ ოთახში შედი, მეც მოვალ და მოგცემ, — თავის დასასვენებელ ოთახზე არნიშნა.

ტასიკო შევიდა და მალე თვითონაც შეჰყვა. სეიფიდან ათასი მანეთი გამოიღო და მისცა.

— ტასიკო, გენაცვალე, ეს შენთვის მიჩუქნია; სხვა დროს თუ დაგჭირდეს, არ მოგერიდოს, ოღონდ სესხება არ გამაგონო. ჩვენ ამის შემდეგ ისეთი მეგობრები უნდა ვიყოთ, რომ ბევრი რამ განუყოფელი გვექნება.

— გმადლობთ, მიხეილ დავითიჩ, მაგრამ ისე არ მინდა, უსათუოდ დაგიბრუნებთ.

— მაგით კი მაწყენინებ. ჩემთან მეგობრობა არ გინდა?

— როგორ არა, სიკვდილამდე თქვენს სიკეთეს არ დავივიწყებ.

— რა კარგად თქვი, შენ გენაცვალე! — ხელები გაშალა და ტასიკო მკერდში ჩაიკრა.

ქალი დაიბნა, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწია, ეგონა, ისე უბრალოდ მეფერებაო. მაგრად რომ მიიკრა მკერდზე და ტუჩებში კოცნა დაუწყო, მაშინ კი ძალუმად გაიბრძოლა, მაგრამ ვერ გაეშვა. მიხომ მკერდში ჩაუყო ხელი და ძლიერად მოუსრისა, ამ ძიძგილში კაბა ჩაუხია და მკერდი გაუშიშვლა. ახლა ტასიკო კი არ ეწინააღმდეგებოა, ძუ ვეფხვივით იბრძოდა. არც მიხო თმობდა ძალადობას, ხელი დაავლო და დივანზე დააწვინა. ახლა დივანზე გაგრძელდა ჭიდილი. ტასიკოს კაბა ახადა და პერანგის ამხანაგი ზედ შეახია. ქალმა მარჯვენა ხელი გაინთავისუფლა და მთელი ძალით სახეში შემოჰკრა, მიხოს თვალებიდან ნაპერწკლების ძნა დასცვივდა. ინსტინქტურად ქალს ხელი უშვა და სახეზე მოისვა. ტასიკომ ამით ისარგებლა, დივანზე წამოჯდა, შიშველ მკერდზე კაბის მიფარება სცადა, მისი ნახევებით ვერ დაიფარა; გაბრაზებულმა მძლავრად შემოჰკრა სახეში, ცემა ეგრე არ უნდაო, გამწარებულმა მიხომ ისეთი შემოჰკრა, რომ გულწასული ქალი

დივანზე გაიშხლართა. მთლად გააშიშვლა და თავისი ჩანაფიქრის შესრულებას შეუდგა. ქალი გონზე მოვიდა, წამოწევა სცადა და კიდევ ერთხელ მაგარი მოხვდა. გონი არ დაუკარგავს, გაიბრძოლა. მიხომ ცხვირ-პირზე მაგრამ მოუჭირა ხელი, ქალი კინაღამ გაიგუდა. ნახევრად გონდაკარგული მაინც იბრძოდა და მიხოს ჩარტყმებზე სისხლჩაქცევები უმრავლდებოდა.

მორჩა თავის საქმეს, ადგა, ნაცემი და დაოსებული შიშველი ქალი ადგომას ვერ ახერხებდა. შეშუპებული თვალები ჩალურჯებოდა. დახეთქილი ტუჩებიდან სისხლი მოჟონავდა. ძლივს წამოდგა და თავისი შემოხეული ტანსაცმელის მორგება სცადა.

— ჯერ ნუ ჩქარობ, ერთხელ კიდევ უნდა გავიმეოროთ, — ხელი ჰკრა და დივანზე დააგდო.

— გარეწარო, უხსენებელო! — დახეთქილი ტუჩებით ძლივს შეძლო ამის თქმა.

— გარეწარს მოგცემ მე შენ! — სახეში ჰკრა ხელი და აფართხალებულ ქალს ფერდებში ისეთი მჯაღი უთავაზა, სუნთქვა შეეკრა. მხრებში მაგრად მოუჭირა ხელი და დივანზე გააკრა. ქალი როგორც შეეძლო ებრძოდა. მიხოც სიამოვნებით უგრეხავდა ხორცებს. ამ ყოფაში მეორედაც შეისრულა სურვილი. ახლა სავარძელში იჯდა და ბორჯომის წყალს ბოთლიდან ყლუპებით სვამდა. საშინლად ნაცემი ტასიკო შემოხეულ ტანსაცმელს სხეულზე იფარებდა.

— ხო კარგად ისიამოვნე, ლამაზო, ამის შემდეგ სადაც დაგიბარებ სირბილით გამოცხადდები, — ღიმილით უთხრა.

— სახლამდე მიმიყვანე, — ძლივს თქვა ტასიკომ.

— მიმსახურე, გენაცვალე! — მიხო წამოდგა, ტასიკოს დუნდულებზე წამოარტყა ხელი და კაბინეტში გავიდა.

მანქანა ტასიკოს სახლის ალაყაფის კარებთან გაჩერდა. ქალი ძლივს ჩამოვიდა მანქანიდან.

დაისვენე, ნაჟეჟი გვერდები მოიშუშე და ერთ კვირაში ნამდვილი თაფლობის ალერსი უნდა ჩაგიტარო! — მიაძახა მიხომ.

— დედას გიტირებ, თოხლო, მამაძაღლო, თუ ეს დაცინვა ჭირად არ გიქციო! — ძლივს თქვა ეს სიტყვები ქალმა და ეზოში შევიდა.

* * *

რამაზი ბედნიერი იყო, სამსახურში ხარაშვილების ბინიდან დადიოდა; სიდედრი და ცოლი თავზე ევლებოდნენ. თუმცა მიხოს თავხედური საქციელი არ მოსწონდა თავისი ცოლის და სიდედრის მიმართ, პირველ ხანებში ამას ყურადღებას არ აქცევდა, ისე იყო ბედნიერებით მთვრალი.

მიხო კი მაიასთან სიყვარულობანას აგრძელებდა. როცა რამაზი სამსახურში იყო, ის მაიას გაუვლიდა ხოლმე და მასთან მრუშობდა.

რამაზს თანდათან შეეპარა ეჭვის ჭია, რაც მიხოს მოურიდებელი საქციელით უფრო გაღვივდა. დარწმუნდა, რომ სამუშაო საათებში ხარაშვილებთან მიდიოდა, თუმცა მაიასთან კავშირი ვერაფრით წარმოედგინა, ის უფრო სიდედრზე ეჭვობდა.

ერთხელ დაუყარაულა და მიხო რომ წავიდა, ცოტა ხნის შემდეგ ისიც გაჰყვა. სახლში უჩუმრა შეიპარა; მანქანა ეზოში იდგა. ოთახში შევიდა, მოულოდნელად მიხოს და მაიას ტრფობის უმაღლეს სიამოვნების წუთზე თავს დაადგა.



ელდა ეცა, ამას ვერაფრით მოიფიქრებდა, გონს მოვიდა, მიხოს ხელი სტაცა, ფეხზე წამოაყენა, ყბაში მაგრად ამოჰკრა მუშტი. დარეტიანებული მიხო კედელს მიასკდა და იატაკზე ჩაიკეცა. რამაზი წაქცეულს ორი ხელით სწვდა, წამოაყენა და კედელზე თავი მაგრად მიარტყმევინა, მიხო იატაკზე დაეცა.

ამ სცენას მთლად შიშველი მაია საწოლზე წამომჯდარი უყურებდა. „ნამდვილად მოკლავს“, – გაიფიქრა. უცებ წამოხტა, კარებთან მიყუდებულ ჯოხს სწვდა და რამაზი მეორედ რომ დაიხარა, მიხოს კედელზე თავის მოსარტყმელად, კეფაში ჯოხი მთელი ძალით დაჰკრა. რამაზი წაიქცა და იატაკზე პირქვე გაიშხლართა.

მაიამ მიხოს წყალი მიასხა და მოასულიერა.

– სასწრაფოდ წადი! – უყვირა.

– ცოცხალი რომ გადარჩეს, ქვეყანას შეგვიყრის, – მიხომ წაისისინა, რამაზი ზურგზე გადააბრუნა, დაიჩოქა და ორივე ხელი ყელში წაუჭირა, სანამ არ დარწმუნდა, რომ დაახრჩო, ხელი აღარ გაუშვია.

მაია და მიხო მოწესრიგდნენ, ოთახი მიალაგეს, რამაზი საწოლზე დააწვინეს.

– რა ვქნათ? – იკითხა დაბნეულმა მაიამ.

– გულის ინფარქტი დაემართა, მე სასწრაფოდ გავიქცევი ექიმთან და ყველაფერს მოვაგვარებ, – მალე რაიონის ყველაზე გამოცდილი ექიმი მოიყვანა.

– ბატონო გიორგი, მხოლოდ ინფარქტით სიკვდილი და სხვა არაფერი. როგორც გითხარით, ეს სამი ათასი მანეთი აიღე, სამსაც დაკრძალვის შემდეგ მიიღებ, – შეჰპირდა.

ექიმმა რამაზი გასინჯა.

– ინფარქტს უცებ გაუთავებია საწყალი, – დაასკვნა და მიხოს მანქანით უკანვე გაბრუნდა.

„გულის ინფარქტით“ გარდაცვლილი რამაზი დიდი გლოვით და ზარით დაასაფლავეს.

ამ ამბის შემდეგ მიხომ მაია რამდენიმეჯერ მოინახულა, მაგრამ გოგო სრულ ჭკუაზე აღარ იყო. რამაზის აჩრდილი არ ასვენებდა. შიშები დასჩემდა, ჩამოხმა; რამაზის დაკრძალვიდან

ერთი წლის თავზე მის გზას დაადგა.

თეკლემ მწუხარებას ვეღარ დაუძლო, ლოგინად ჩავარდა და მეზობლების იმედად დარჩენილი ელოდა სიკვდილი სიმწრის დღეებს როდის შეუმოკლებდა.

* * *

მიხო ცოტა ხანს დაფრთხა, დაღვრემილი დადიოდა, მაგრამ მალე დაივიწყა, რაც მოხდა და ჩვეულებრივი აღვირახსნილი ცხოვრება გააგრძელა.

ტასიკო ორი კვირა ჩაწვა ლოგინში და გარეთ არ გამოსულა. დაუნდობლად ნაცემს მრავლად აჩნდა სისხლჩაქცევები. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ქალი ჯერ თავის მოკვლას აპირებდა, მერე ნელ-ნელა აიყვანა თავი ხელში, ამჯერად როინსაც ხომ სჭირდებოდა მისი დახმარება, ეს კი ღალატის ტოლფასად ჩაეთვლებოდა. დახეულ კაბას რომ ათვალიერებდა, ჯიბეში მიხოს მიერ მიცემული ათასი მანეთი ნახა. ჯიბეში რომ ჩაიდო, იმ საზარელი საღამოს შემდეგ, აღარც გახსენებია. ახლა ხელში უხსენებელივით ეჭირა. ხელი დაიქნია, ფული იატაკზე გაიფანტა. როგორ სჭიდებოდა, რამდენი ნერვიულობა გადაიტანა, რომ ფული ესესხა. ახლა ეს ფული იატაკზეა მიმობნეული და მისთვის ბინძური ნაგავია მხოლოდ. შეაგროვა, კონვერტში ჩადო, სამსახურში რომ გავიდა, ფოსტის დამლაგებელს მიხოსთან გაატანა. მიხომ კონვერტი გახსნა და ფულთან ჩადებულ ქაღალდზე წაიკითხა: „შენთვის სიკვდილი ჯილდოა, ნადირო, გალიაში უნდა იჯდე და საკუთარ გაუმაძღრობას გლოვობდე!“ — ეწერა.

ტასიკომ მოახერხა როინის მიმაგრებაში გაყვანა. ახლა ყოველ თვეში ერთხელ დაბაში მეუღლესთან მიდიოდა. ტასიკო მუშაობას ჩვეულებრივად აგრძელებდა, მიხოსაც ისევე ემსახურებოდა, როგორც ყველა სხვას. ტელეფონის კომუტატორზე მუშაობდა და თავის მოვალეობას ასრულებდა.

ერთხელ მორიგი დარეკვის შემდეგ მიხომ თავისი ჩვეული ციმნიზმით კიდევ შეახსენა რაც სურდა: — ტასიკო, როდის გავიმეოროთ ის, რაც ჩვენ უკვე წავივარჯიშეთ, ოღონდ ახლა

უფრო მაღალ დონეზე და შენი დალურჯების გარეშე.

— დედას გიტირებ, მიხო მამაძაღლო! ჩემი ხელით უნდა გამოგაჭრა ის, რითაც ესოდენ არცხვენ ადამიანობას! — პატიოსანი, ერთგული და პრინციპული ქალი იყო ტასიკო, ამას სამაგიეროს გადახდის დაუცხრომელი სურვილიც დაემატა; ვერ ისვენებდა, სანამ არ აზღვევინებდა რაც მას დამართა.

— კარგი, რადგან ეგრეა, იცოდე, დაგიჭერ და მაშინდელივით მალე კი არ გაგიშვებ, ისეთ დღეში ჩაგაგდებ, შენი ხელით იხდიდე, — კბილებში გამოსცრა მუქარა.

— ყველაფერს განანებ, ქვეყნის წურბელავ!— გაბრაზებულმა ტასიკომ ყურმილი დაუკიდა.

— ქალი კი არა, ალქაჯია. მეც სწორედ მაგნაირების გათახსირება მხიბლავს. იმიტომაა უფრო საინტერესო რაც მაგრად ვაწვალებ, — ჩაილაპარაკა მიხომ.

სხვადასხვა ახალ მანქანებში გამოპრანჭული მიხო გაბღენძილი დაქროდა დაბაში. უბრალო ხალხს არაფრად აგდებდა. ფეხქვეშ ეგებოდა მათ, ვინც სჭირდებოდა. პატივს სცემდნენ მაღალ პოსტებზე გაბღენძილი მედროვენი, ისაც გაყოყოჩებული ადამიანში ადამიანობას ედავებოდა.

მისი პურპროდუქტების ბაზა ქვეყნის მასშტაბის კომბინაციებში ბრუნავდა. ხალხმა იცოდა, რაში იყო ამ აღზევებული თავხედი კაცის ძალა, ისაც იცოდნენ ვისი მფარველობით ყოყოჩობდა და მისი ხმის გამცემი არავინ იყო...

ბაზის კოლექტივიც თავის მიზნებზე ააწყო, ყველა კომბინაციებზე და მოხვეჭაზე ფიქრობდა. თუ ვინმეს პატარა სინდისი შემორჩა და წესიერებისათვის გაჩუჩუნდა მოსე და მიტოსავით მოიცილა და ბაზაში რაც ცოდვები ხდებოდა სულ იმათ ბრალდებოდათ, დანარჩენები კი უცოდველობის ნიღაბს იქით რჩებოდნენ. ყველა მიხვდა, რომ თუ ხმას ამოიღებდნენ მთელი დანაშაული მათ დაბრალდებოდათ. ძლიერი იყო მიხო და ვინც წინ აღუდგებოდა, ცხენი შეკაზმული უნდა ჰყოლოდა. მაგრამ იმ ცხენით სად უნდა წასულიყო, როცა ყველგან განუკითხაობის ქაოსი ბრუნავდა. ამიტომ იყო, რომ მორჩილად ითმენდნენ ქვეყანაში აგორებულ გაუმაძღრობის და მოხვეჭის უბედურებას.

მიხოს საზოგადოების ყველა ფენა თავისებურად იცნობდა: უბრალო ხალხი — როგორც არმად ნაშოვნი ფულებით ყოველგვარ ზნეობრივ ზღვარგადაცილებულ კომბინატორს; ძლიერნი ამა ქვეყნისანი — როგორც სანდო კაცს; თავისი მსგავსი მომხვეჭელები — როგორც თამამი კომბინაციების უშიშარ, წარმატებულ შემომქმედს. დრო კი მიდიოდა და დაუსჯელობის გრძნობით განებივრებულ მიხოს ამქვეყნიური სიბინძურე თავის ჭაობში ითრევდა. ბაზის გათავხედებული თანამშრომლებიც მას ბაძავდნენ; მასშტაბებიც თავიანთი ჯიბის სისქის შესაბამისი ჰქონდათ...

— მიხეილ დავითიჩ, ხვალ ქეიფს ვაპირებთ, ზაქი უნდა დავკლათ, ცოტა ჩვენც ხომ უნდა დავისვენოთ, — მხიარულად უთხრეს გლახოს თამადობით ბაზის კარებთან შეგროვილმა პატარა მიხოებმა, თუმცა მათ ამგვარი ქეიფი არ აკლდათ; კვირა არ გავიდოდა, რომ დიდი მასშტაბის ღრეობა არ მოეწყოთ.

— თქვენ იცით, ზაქი ჯენდაგი არ იყოს, — გააფრთხილა მიხომ.

— ჯენდაგი კი არა ისეთი ზაქია, კანში ვეღარ ტეულა.

— არც რძალი ჰყავს ნაკლები, ბერწი ძროხასავით არის ათქვირებული, იმის დანახვაზე მთელი ბაზის კაცებს ნერწყვი ახრჩობთ; არადა ოცნებასავით მარტო სურვილია, ახლოს კი ვერავინ ეკარება.

— ვინ არის ესეთი ბედნიერი ზაქიც და რძალიც ერთმანეთზე უკეთესები რომ ჰყავს? — მიხომ ყურები ცქვიტა. ასეთი ქალი დაბაში თუ არსებობს როგორ გამომრჩაო.

— შაქრო ბაზერაშვილის რძალია, მისი ბიჭი როინი ჩხუბისთვის სამი წელი ზის; მგონი ახლა მიმაგრებაში გასულა. ტასიკო კი ისეთია ავ თვალს არ დაენახვება. იფ! — გლახომ ხელის გულზე იკოცა.

— ეგ რომელი ტასიკოა?

— არ შეიძლება არ იცნობდე, ფოსტაში კომუტატორზე მუშაობს.

— ჰოო, როგორ არ ვიცნობ, — მიხო ჩაფიქრდა, — მერე დაუმატა: — ზაქის ფული ჩემზე იყოს. მოურიგდით. რამდენიც გინდა გთხოვოთ, შეპირდით, ჩემთან მოვიდნენ და გადავუხდი? ახლა

სხვაგან მივდივარ და ვეცდები, პურმარილისათვის აქ ვიყო.

მიხო კაბინეტში შევიდა. პატარა ხანს კაბინეტს ათვალიერებდა, კალენდარი გადაფურცლა და რაღაც ჩაინიშნა. მერე ტელეფონის ყურმილი აიღო და დარეკა.

— ტასიკო ხარ? როგორ გიკითხო?

— რა გნებავთ?

— შენს მამამთილს გასაყიდი ზაქი ჰყოლია, ჩემი ბიჭები მოვლენ, რამდენიც უნდა შეაფასოს, შენ ჩამოდი და ფული ჩემგან წაიღე.

— მე რაღა მინდა, მამამთილი ვერ დაძრავს?

— ჩამოდი, საბაბი გექნება, თანაც ძველებურზე ეფექტურად ვიჭიდაოთ.

— შენ თუ ჭკუა არ გასწავლე, მამაძაღლობას არ შეეშვები!

— სანამ სუმთლად საჩემოში არ დაგიგულებ, ვერ მოვისვენებ, ჩემო კუპატო!

— დედა თუ არ გიტირო მე ტასიკო არ ვიყო! — საუბარი აღარ გააგრძელა და ყურმილი დადო. — გიჟია ეს თავხედი! — გაბრაზებულმა ჩაილაპარაკა და პატარა დანა, რომელსაც მიხოსთან მომხდარი ამბის შემდეგ სულ ჯიბეში ჰქონდა, ხელით მოსინჯა. — თუ შეგხვდი, კიდეც გამოგაჭრი, რითაც ესოდენ გამამწარე! — ჩაილაპარაკა და თავისი საქმიანობა გააგრძელა.

მიხოს ტასიკოს აგრესიულობა აღიზიანებდა და მისი დამორჩილების სურვილი უათკეცდებოდა. ჰოდა, ვინ იყო ის თავხედი გოგო, როცა ქალი აღარ დატოვა მოუთოკავი. ახლა ზაქის შესყიდვის ამბავს გამოიყენებდა ტასიკოსთან ალერსის ძალმომრეობის ჩასატარებლად.

ტასიკო სამსახურიდან ცუდ ხასიათზე დაბრუნდა, მიხოს გახსენებაზე ჯავრი კლავდა და სულ სამაგიეროს გადახდაზე ფიქრობდა. ყველაზე მძიმე კი ის იყო, არავინ ჰყავდა ისეთი, რომ თავისი მწუხარება გაეზიარებინა და თანაგრძნობა მიეღო; მარტო იყო თავის ჯავრთან და მარტო აპირებდა სამაგიეროს გადახდას.

როინი სახლში დახვდა, ძალიან გაიხარა საყვარელი მეუღლის მოსვლით, მაგრამ სახეზე შერჩენილი ნაღველი ვერ მოი-

შორა.

— ტასიკო, რაღაც ხასიათზე არა ხარ, რა მოხდა? — ჰკითხა როინმა.

— არაფერი, ისე, ცოტა თავი მტკივა და...

— არა, ეგ თავის ტკივილის გამო არ არის. მითხარი, რაშია საქმე, იქნება მე რამეში გამოვდგე.

ტასიკო ჩაფიქრდა.

— მითხარი, ტასიკო, თუ ჩემი ხათრი გაქვს, — როინი შეეხვეწა.

— ზაქი წაიყვანეს? — ტასიკომ მოულოდნელად იკითხა.

— პურპროდუქტების ბაზის მუშაკებს წაუყვანიათ კარგ ფასში, ოღონდ უთქვიათ, ფულის წასაღებად დირექტორთან მიდით, ის მოგცემთო.

— ის გათახსირებული! — ტასიკოს წამოსცდა.

— რაშია საქმე? — როინმა შუბლი შეკრა. — შენ რაღაცას მიმალავ. ახლავე მითხარ, რა მოხდა?

ქალი მიხვდა, რომ შეცდა, ახლა დამალვა აღარ შეიძლებოდა.

— დამირეკა და მითხრა ფულის წასაღებად შენ მოდიო.

— შენ რატომ, მამაჩემი ვერ მივა?

— გათახსირებული და ნაძირალაა, ფული აქვს და ჰგონია, ყველა ქალი მაგის ჭკუაზე უნდა დადიოდეს!

— დედას ვუტირებ! — როინი წამოხტა და ოთახიდან გავარდა.

ტასიკო გამოეკიდა, შეჩერება სცადა, მაგრამ მან ისეთი სიმძლავრით ჰკრა ხელი, ქალი აივნის სვეს მიასკდა...

როინი ბაზის ეზოში ჩქარი ნაბიჯით შევიდა.

კანტორის კარებთან მირიანი, გლახო და რამდენიმე მუშაკი ლაპარაკობდნენ.

— დირექტორი აქ არის? — ხმის კანკალით იკითხა.

— ხვალამდე არ იქნება, — ცივად უპასუხა გლახომ.

— ხომ არ იცით, ბაზერაშვილების ზაქი ვინ წამოიყვანა?

— მე, — გლახომ უპასუხა.

— ფული რატომ არ გადაიხადე?!

— მამაშენს გასაგებად ვუთხარ, ფულის ასაღებად დირექტორთან უნდა მივიდეს.

— დირექტორი ვინ ჩემი ფეხებია! ზაქი შენ წამოიყვანე და გამოუშვი რაც უნდა გადაგეხადა!

— შენ რა აწეული ლაპარაკობ, ხომ არავისში გეშლებით?!

— კარგად გიცნობ რა ვაჟბატონიც ხარ, ფული გამოუშვი!

— მე შენ არ გიცნობ, ზაქი მამაშენმა მომცა, ფულსაც ის მიიღებს; შეაყოლე აქედან სანამ გვიან არ არის!

— აი, როგორია შეყოლება, — როინმა გლახოს მუშტი ამოჰკრა და ამხელა ხორცის მასა მიწაზე გააგორა.

მირიანი და დანარჩენები მისცვივდნენ და მაგარი მუშტის კვრა მიიღეს.

დარეტიანებული გლახო წამოხტა და როინზე მიიწია, მაგარი დარტყმა მიიღო ცხვირპირში, იქავე ჩაიჩოქა და სისხლი გამოაფურთხა. როინი აზარტში შევიდა. დანარჩენებსაც დაერია და ყველას დაატყო თავისი მუშტის კვალი. ირგვლივ სუყველა შემოფრთხა.

— დედას გიტირებთ, ხვალვე თქვენი ხელით მოიტათ ფული, თორემ სიცოცხლეს გაგიმწარებთ! — დაემუქრათ და ჩქარი ნაბიჯით სახლისაკენ წავიდა.

მეორე დღეს შეზარხოშებულმა მიხომ თავისი გაწკრიალებული მანქანა ბაზის ეზოში შეასრიალა და ალაყაფის კარებთან შეკრებილ მუშაკებთან მიაყენა.

გლახოს ცხვირი და ტუჩები გასიებოდა, რამდენიმეს თვალები ჩაშავებოდა, მირიანს გახეთქილი წარბი შეშუპებოდა; ყველა ყურებჩამოყრილი იდგა.

— რაშია საქმე, რასა გევხართ; ჩხუბი ხომ არ მოგივიდათ? — იმათი მაყურებელი მიხო ღიმილს ვერ იკავებდა.

— ბაზერაშვილების გადარეული როინი მოგვივარდა, ფული დროზე რატო არ მოგვეცითო, ჩხუბი აგვიტეხა, — გლახომ გასიებული ტუჩები ძლივს დაიმორჩილა.

— დედას ვუტირებ, ახლა სად არის?! — მიხომ შუბლზე ნაოჭები დაკეცა.

შემთხვევით ჩამოსულა, მიმაგრებაშია, დღეს უკვე წავიდოდა.

„მითუმეტეს უფრო კარგია. მივალ, მიზეზი მაქვს, ტასიკოს თავისავე სახლში ჩავუტარებ ალერსის ცერემონიას“ — გაიფიქ-

რა და სიამოვნებისაგან გაელიმა. მანქანაში ჩაჯდა. — მოდი, ჩაჯექი, მირიან, აბა ვნახოთ, რა ვაჟკაცია, რიხით თქვა.

— არ გინდა, შეეშვი, თავს ნუ გაუყადრი, — მირიანი შეეპასუხა.

— დაჯექი, რომ გეუბნები!..

ავტომობილი ბაზერაშვილების ეზოს მიაყენეს. მიხომ დაარწმუნა თავი, რომ როინი სახლში არ იქნებოდა, ტასიკო კი ორშაბათობით ისვენებდა. მოხუცი დედამთილ-მამამთილი რა საკითხავია, ჰოდა, კარგი მომენტი იყო.

კიბეზე დაბარებულივით ავიდა და დაბალ ხმაზე დაიძახა: — ტასიკო!

აივანზე ტასიკო და როინი გამოვიდნენ.

— ვინ არის ეგ კაცი? — როინმა მეუღლეს ჰკითხა.

— ეგ არის ბაზის დირექტორი.

როინს უცებ ეცა სისხლი თავში.

— მოიცა ვაჟბატონო, შენთან ანგარიში მაქვს გასასწორებელი!

მიხო კიბით უკანვე ჩამოვიდა. როინი შუა ეზოში წამოეწია, მხარზე ხელი დაარტყა და მოაბრუნა.

— აბა, როგორ იბარებ ქალებს შენს კაბინეტში ზაქის ფულის წასაღებად?! გასუქდი არა, შენი დედა! — ყბაში მაგრად ამოჰკრა მუშტი.

მიხო დაბარბაცდა, არ წაქცეულა, მანქანისკენ ჩქარი ნაბიჯით წავიდა. როინმა გინებას სართულები მოუმატა, წამოეწია, ყბაში ორჯერ მაგარი შემოჰკრა და ღობის ძირას გააგორა.

ტასიკო ყვირილით ქმარს ეცა: — გაჩერდი, როინ, შენ გაჩერდი, მაგას მე მოვუვლი! — ჯიბეში ძალადობის შიშით გადანახული დანა მოსინჯა.

ამასობაში მიხო წამოდგა, მანქანასთან მიირბინა, კარები არ გაუღია, ჩქარობდა, ჩაწეული მინის მხრიდან გადაეყუდა და პატარა საბარგულში პისტოლეტს მისწვდა.

ეს ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, რომ გაოგნებული მირიანი ავტომობილის წინ იდგა და ვერ მოეფიქრებინა, რა ექნა.

ტასიკომ ქმარს ხელი უშვა და ავტომობილში თავშერგულ

მიხოსკენ გაიქცა. პატარა ბასრი დანა მიხოს დუნდულაში ჩაარ-ჭო, მერე გამოუსვა და ხორციან შარვლიანად გრძლად ჩაახია. მიხომ დაიღრიალა, ინსტიქტურად გამართვა სცადა, თავი მანქა-ნის სახურავს მიარტყა. ამასობაში ტასიკომ მეორე დუნდულაც წინას მსგავსად დაუმუშავა. სისხლი ღვარივით ჩამოსდიოდა და დახეული შარვლიდან სისხლიანი დუნდულები უჩანდა.

— უნდა გამოგაჭრა, რითაც წაბილწე პატიოსნება! — ამ ღრი-ალით გაცოფებულმა ტასიკომ, სანამ ფანჯრიდან გამოძვრებოდა ლაჯებს შუა შეუყარა დანა. კიდევ აპირებდა შეყრას, მაგრამ როინი და მირიანი მისცვივდნენ და გვერდზე გაათრიეს.

ტკივილისაგან გონებადანისლული და სახეშეშლილი მიხო ავტომობილიდან ძლივს გამოძვრა და ცოლ-ქმარს პისტოლეტი დაუმიზნა.

— რას სჩადიხარ, ნუ იზამ! — მირიანი წინ აეფარა.

ამ ხმაურზე მოგროვილმა მეზობლებმა ქვები დაუშინეს; ერთი მირიანს მოხვდა ზურგში.

— გაჩერდით, რას სჩადიხართ! — მირიანი ხალხისკენ შებ-რუნდა და ორივე ხელებაწეული მათ დაწყნარებას ცდილობდა. მიხომ მირიანს ზურგს ამოფარებულმა ცოლ-ქმარს პისტოლეტი დაუმიზნა, თავს ძლივს იმორჩილებდა, ტკილისა და სისუსტისა-გან ხელი უკანკალებდა. სასხლეტს მოსწია, სროლის ხმა გაის-მა. მირიანი ერთი შეტორტმანდა, მიხოსკენ მობრუნება სცადა, ვერ შეძლო, წაბარბაცდა და მიწაზე გაიშხლართა.

— მოკლა კაცი, მაგ წურბელამ! — მეზობლები აყვირდნენ. — ჩავქოლოთ! ცოცხალი არ წავიდეს ეგ უხსენებელი! — ქვები დაუშინეს.

მიხო ავტომობილში ძლივს შეძვრა, დაჭრილი ადგილები საშინლად სტკიოდა. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ავტომო-ბილი ადგილიდან დაძრა; ქვები სეტყვასავით ხტუნაობდნენ მის სახურავზე.

ავტომობილი ბაზის მოედანზე შეაგორა და მისუსტებულს გული წაუვიდა.

ქვებისგან დაჭეჭყილ და მინებჩამტვრეულ მანქანას თანამშ-რომლები შემოეხვივნენ; საჭეზე მიწოლილი, გულწასული მიხო

სისხლში ცურავდა.

გლახომ სასწრაფოდ თავის მანქანაში გადაიყვანა და ნელის სახლში გააქანა; მერე ქირურგის მოსაყვანად გაიქცა.

* * *

ბაზერაშვილების ეზოს შესასვლელთან მილიციელი იდგა, ხალხს შიგ არ უშვებდა.

ზაქრო ნავროზაშვილი რამდენიმე მუშაკის თანხლებით მოწმეებს კითხავდა, რაც კარგა ხანს გაგრძელდა, მერე საქაღალდე დახურა, ადგილზე მორიგეები დატოვა და წავიდა.

მიხო პირქვე იწვა. სისხლი ბევრი დაკარგა, ძალიან სუსტად იყო, საუბარი ეზარებოდა. ჭრილობები საშიში არ იყო, ოღონდ ერთი სათესლე ჯირკვალი ისე იყო დაზიანებული მისი დატოვება აღარ შეიძლებოდა, მაგრამ ქირურგმა ამჯერად დროებით დაუტოვა.

— ზაქრო მოვიდა, — ნელიმ ყურში ჩასჩურჩულა. მიხომ თვალები ძლივს აახილა, თავი მოღრიცა და ზაქროს გაჭირვებით შეხედა.

— როგორა ხარ? — ზაქრომ ჩურჩულით ჰკითხა;

— შენი მტერი იყოს, მე რომ ვარ, — ძლივს წაილუღლუღა.

— შენს საქმეზე მოვედი, მინდა მოგესაუბრო, სასწრაფოდ უნდა გავარკვიოთ ყველაფერი; შეგიძლია მომისმინო? — მიხოს ხმა არ ამოუღია, ზაქრომ გააგრძელა: — საქმე ძალიან ცუდად არის. ყველა ამბობს, მირიანი მიხომ მოკლაო პისტოლეტით. როინი იძახის, მიხო მე დავჭერიო დანით, ტასიკო კი არ აცლის მეო. მოწმეებიც ამბობენ, ტასიკომ შეურჭვაო დანა.

— ზაქრო, კარგად დამიგდე ყური და ზუსტად დაიხსომე! — ხმადაბლა, გაჭირვებით, მაგრამ ბრძანების კილოთი ლაპარაკობდა მიხო: — პისტოლეტი მირიანს ეჭირა, მთვრალი იყო, გაუვარდა და თავში მოხვდა. რაც შეეხება მიხოს, არავის არ დაუჭრია, არც იქ არა ყოფილა, არც ტასიკო და მისი ქმარი არაფერს შუაში არ არიან. უბრალოდ, მთვრალ მირიანს პისტოლეტი გაუვარდა და... გაიგე?

ზაქრო დუმდა.

— ახლა წადი, უფროსები ნახე და ჩემი ნათქვამი მოუყევი, — ალბათ, ჩემს სანახავადაც მოვლენ. შენ ესე დაიწყე. იმათ მე ყველაფერს ავუხსნი. რაც შეეხება გასამრჯელოს, ყველასათვის არნახული იქნება! — მიხომ მეტი ლაპარაკი აღარ ისურვა, გაჩუმდა და თვალები დახუჭა.

ზაქროს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ თვალებდახუჭულ მიხოს რომ შეხედა, გადაიფიქრა; ახლა რამის თქმას აზრი არ ჰქონდა...

საქმე ისე შეიკერა, მიხომ ზაქროს როგორც უკარნახა. მირიანი დიდი პატივით დაკრძალეს. მიხო კი ორი თვით სამკურნალოდ წავიდა, მაგრამ დაზიანებული სათესლე ჯირკვალის გადარჩენა ვერ მოხერხდა. ნუ გეშინია, ერთი ჯირკვალიც საკმარისია ნორმალური მუშაობისთვის, დააიმედეს ექიმებმა. ესთეტიკურ სილამაზისთვის კი მის ადგილზე პინგპონგის ბურთი ჩაუდეს.

* * *

ხანი გავიდა, წარსული ამბები დროთა სიმრავლემ გაახუნა. მომხვეჭელობის ბაცილამ ადრე ასე უცოდველი და ადვილად მოსასპობი რომ ეგონათ, სოციალიზმის ლოზუნგების ნიღაბს ამოფარებულმა სოციალიზმი დაანგრია და სახალხო ქონების დატაცება, მითვისება, მიტაცება საყოველთაო საქმედ იქცა. ახლა ყველაზე ხმამაღლა ისინი ატალახებდნენ იმ, უკვე დამხობილ ცხოვრებას, ყველაზე ცხიმიანი ძუძუ ვინც მოსწოვა სოციალიზმს. მაღალი პოსტის მფლობელი კომუნისტები, თანამდებობის პირები, სახალხო ქონების ფარულად მომხვეჭელ-მიმთვისებლები იმ დამალულ ნაძარცვს ახლა უკვე აშკარად აჩენდნენ და უფრო დიდ ლუკმას სტაცებდნენ ხალხს სოციალიზმის და კომუნისტობის ლანძვის აკომპანიმენტით. მათ თავიანთი ლიდერი ჰყავდათ ედუარდ შევარდნაძის სახით დაბადებიდან სინდის-ნამუსის ძარღვი რომ არ დაჰყოლია და დილით ნათქვამის საწინააღმდეგო აზრს საღამოთი ისე უსირცხვილოდ ამბობდა, თითქოს მთელი თავისი ცხოვრება ერთი რწმენის ერთგული ყოფილიყო. მსხვილ მტაცებლებს მიხოს მსგავსი მავნებლებიც

აჰყვნენ, რომლებიც სპორიდან გამოსული პარაზიებივით ხელსაყრელი ამინდის წყალობით მომრავლდნენ და გაუმაძღრობით ყველაზე ღორმუცელა პირუტყვი დაჩრდილეს.

მიხოს კომბინატორობა ახლა ბიზნესად, მომხვეჭელობა — ბიზნესმენობად, ბევრი ქონების დაგროვება და გაღატაკებული ხალხის მოტყუება, ცრუ დაპირებებით სახელმწიფო სადაზღვევებთან გაძრომა კაი კაცობად და ხალხისათვის თავდადებად მოინათლა. ქვეყანა უზნეობამ წალეკა, სადაც პატიოსანი კაცის კვნესა და ავაზაკთა ღრიანცელი ისმოდა.

მიხოს ბაზა აღარ ყოფნიდა, ბენზოგასამართი სადგურები, მაღაზიები, რამდენიმე რესტორანი, სასტუმროები, მიწები იმდენი იყიდა, რომ ჩამოთვლაც უჭირდა. შეაიარღებული დაცვა გაიჩინა და არასასურველ პირთა მოცილება, ადრე მრავალი სახის მაქინაციები რომ სჭირდებოდა, ახლა მთლად იოლი გადასაწყვეტი გახდა. დაქირავებული მკვლელები საქმეს უბრალოდ და იაფად აგვარებდნენ, გამკითხავიც არავინ იყო.

ბედის ნებიერი მიხო რაც სურდა აუხდენელს არ ტოვებდა, ფული იმდენი ჰქონდა ამ განუკითხაობის სამთავროში თუ მოისურვებდა, ციდან ვარსკვლავს მოწყვეტავდა. ჰოდა, ამგვარი ძალის და შესძლებლობების კაცს ბაზარაშვილების ჯავრი აქამდე ვერ მოენელებინა. ვერ მოიცალა თუ შესაფერის დროს ურჩევდა დავიწყებით კი რა დაავიწყებდა. როცა ბუტაფორიად ქცეული სათესლე ჯირკვალი და დახეული დუნდულები განკითხვის მოლოდინში მისი ცხოვრების ნაწილად ქცეულიყვნენ.

ამ განუკითხაობის ქარბორბალაში როინს მრავალ შეიარაღებულ ბანდფორმირებებში თუ ოფიციალურ სამთავრობო ყაჩაღებთან თანამშრომლობა შესთავაზეს, მაგრამ არცერთი მათგანი ახლოს არ გაიკარა, შრომა უყვარდა და მთელი დღე მიწას ეჭიდებოდა.

მიხომ მათი ოჯახის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით იცოდა, ანგარიშსწორებისათვის კი არ ჩქარობდა. ახლა მის ოფისში სამი მკვლელი იჯდა და დავალებას ისმენდნენ:

— როინის გაგორება ძნელი არ არის, მაგრამ უბრალოდ მარტო მოკვლა მაგისთვის ბაირამობა იქნება. ჩემთან მოიყვანეთ,

ეკლიანი ჯოხით უნდა ვცემო და ხის დანით გამოვჭრა ყელი. კარგად შევისწავლე მაგის მოძრაობა. საღამოთი თავის ვენახში დაიჭერთ და ბაზის ბოლო საწყობში მაათრევთ. დანარჩენს იქ მოიხილებთ!

— მიხეილ დავითიჩ, ეგ იოლი საქმეა, — სამივე ფეხზე წამოდგა წასასვლელად.

— მოიცათ, ჯერ არ დამიმთავრებია. როინის სახლთან დაელოდეთ, ოღონდ არ შეგნიშნოთ. სამუშაოდ რომ წავა ვენახში, დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ტასიკო გამოდის, მანქანაში ისე შეიტყუეთ, რომ არავინ დაგინახოთ. იმასაც ბოლო საწყობში მოიყვანთ. საღამოზე კი როინთან ერთად ჩვენი დამუშავების შემდეგ მიქელგაბრიელს გავატანთ!

— „კაროჩე“, ხვალ კარგი გართობა მოგვიწევს, — სამივე გამხიარულდა...

როინი დილით ადრე ადგა, ძველი ორკარიანი „კოლხოზნიკი“ გაამზადა, სამუშაო იარაღები ჩააწყო, ალაყაფის კარები გააღო, მანქანა გარეთ გაიტანა, ჩამოვიდა, ალაყაფის კარები დახურა.— საღამოთი გვიან დავბრუნდები! — ტასიკოს დაუძახა და მანქანაში ჩაჯდა.

— ან დაბრუნდები და ან არა, — დამცინავად ჩაილაპარაკეს მოშორებით „ჟიგულში“ მსხდარმა ვაჟბატონებმა.

— კიდევ ერთი საათი მოცდა მოგვიწევს. კარგი ადგილია, გარეთ არავინ არ ჩანს, თუ ასე გაგრძელდა, ტასიკოს აქავე ავიყვანთ, — დაასკვნეს და ლოდინი გააგრძელეს.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც აწყობდათ. ტასიკო გარეთ რომ გამოვიდა, ორღობეში ადამიანის ხსენება არ იყო.

— აბა, მიუყენე! — უთხრეს საჭესთან მჯდომს.

მანქანა ტასიკოს წამოეწია. იქიდან სასწრაფოდ ორი გადმოხტა, ტასიკოს პირზე ხელი მიაფარეს და მანქანაში ისე შეტენეს, რომ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო.

ახლა ბოლო საწყობში ტახტზე იჯდა, სამივე გამტაცებლები მის უკან იდგნენ, მიხო მის წინ სკამზე დაჯდა და დამცინავად შეხედა.

— ხომ მოგათრიე შენ შესაფერის ადგილზე, ალქაჯო! — წა-

ისისინა.

— გათახსირებულო, წურბეოლავ! გგონია შეგრჩება ავკაცობა?! ჩემი ქმარი დედას გიტირებს. ეტყობა რაც დაგმართე, არ გეყო! — ტასიკომ მიაფურთხა.

— გაატიტვლეთ და ტახტზე გულაღმა გააკარით. ჯერ მე უნდა გიხმარო, მერე ეს ბიჭები ჩამოგირიგებენ; ყველაფერი შენი თავხედი ქმრის თვალწინ მოხდება. მანამდე კი ეგრე ბოზად ეგდე! აბა, შეუდექით საქმეს, — უბრძანა ბიჭებს და ისინიც ქალს მიესივნენ.

— არ გაბედოთ, არამზადებო, ყაჩაღებო, გათახსირებულებო! — აწივლდა ტასიკო.

— უფრო ხმამაღლა იყვირე და მასიამოვნე, ალქაჯო! უფრო დიდი სიამოვნება კი წინ მელის, — სიცილით თქვა მიხომ.

ტასიკოს წივილსა და ჭიდილში ტანსაცმელი გახადეს, გააშიშვლეს და ტახტზე გულაღმა გააკრეს.

— აუ, რა მშვენიერია, ეს შობელძაღლი, მძინარე აფროდიტას არა ჰგავს! — აღფრთოვანებით თქვა ერთმა სამიდან და მშვენიერ მკერდზე ხელი მოუსვა.



— გაუშვი ხელი! — მიხომ უყვირა. — ჯერ მე უნდა ვეალერსო, მერე თქვენი ჯერიც დადგება; ახლა წადით და ამისი ქმარი მომითრიეთ აქ!

— აუჰ, ბიჭო, ეს რა მაგარი ქალი ყოფილა! — სამივე გაკვირვებული გავიდა გარეთ.

— ერთი სული მაქვს, მაგას როდი გადავეხვევი, — თქვა ერთმა.

— მოდი მიხოს შემდეგ პირველი ვინ იქნება, კენჭი ვყაროთ, — წინადადება წამოაყენეს და კენჭი ყარეს.

— ბიჭო, საღამომდე მოთმინება არ გინდა, ადრე მოვათრიოთ და მაგ მშვენიერი ქალით ადრე დავტკბებით.

— აბა, რა ვქნათ?

— ორ საათში როინს მივაკითხოთ ვენახში, მანამდე მიხო გაერთობა, ქმართან თანდასწრებით კიდევ ჩვენ დავაგრილებით, — კოლექტიურად გადაიხარხარეს.

მიხო ტასიკოსთან მივიდა და მკერდზე ხელი შეავლო. ტასიკოს ხმა არ ამოუღია. მიხო კი ჯერ მისი სხეულის დამუშავებით ერთობოდა. ტასიკოს ბოღმა ახრჩობდა და მის თავში ფიქრის ბორბალი ტრიალებდა. „როგორმე უნდა მოვთაფლო, იქნებ ამიშვას, მერე კი ჩემსას ვეცდები“, — დაასკვნა.

მიხო გვერდზე მოუჯდა და სანამ ძირითად საქმეს შეუდგებოდა, მისი სხეულის ყველა ნაკვთის დამუშავებით ტკბებოდა.

— უტვინო არა ვარ, მიხეილ დავითიჩ? შენისთანა მშვენიერი ვაჟკაცის ალერსზე უარს რომ ვამბობდი. რა კარგი მოფერება გცოდნია, რამდენი სიამოვნება დავკარგე, — ამბობდა ამას ტასიკო და მკერდში სიძულვილი უდუღდა. ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვის შედეგად ძლივს ახერხებდა ამას.

— ძლივს არ მოგიყვანე გონზე, მაგრამ რაღა დროს! — მიხომ ხელი ჩაიქნია.

— რა გული გაგტეხია, შენი ისეთი საყვარელი ვიქნები, რომ ყველას დაგავიწყებ. ოღონდ როინს შეეშვით, ხომ იცი, ეჭვიანია და ხელს შეგვიშვლის.

— ხელს ვეღარ შეგვიშლის, აქ მოათრევენ და გავასაღებთ.

— არ გინდა, მე ყველა სურვილს ისე შეგისრულებ, რომ ის

ვერაფერს გაიგებს.

— ჯერ მაგაზე საუბრის დრო არ არი, ახლა უნდა გიხმარო.

— ხელები მაინც ამიშვი, ძვირფასო, მინდა, რომ კარგად მოგეფერო.

— არა, ჯერ ფეხებს გაგიხსნი კარგად რომ ასწიო.

მიხომ ფეხები ახსნა და თავის საქმის შესრულებას აპირებდა.

ტასიკო თითქოს შემთხვევით შეფართხალდა და მუხლი ლაჯებს შუა დააჯახა. მიხომ საშინლად დაიღრიჯა. „ალბათ, მთელი კვირა ქალთან გაკარებას ვეღარ მოახერხებს თავისი ნაოპერაციებელი ორგანოებით“, — გაიფიქრა ტასიკომ, სულის სიღრმეში გაეღიმა. გარეგნულად კი ძალიან შეწუხდა.

— რა დაგემართათ მიხეილ დავითიჩ, ღმერთო ჩემო, ამიშვით, რომ მოგეფეროთ და გასიამოვნოთ, — თავისთვის კი ფიქრობდა, რამდენი შესძლებია ადამიანს უკიდურესი განსაცდელის ჟამს, თანაც თავის საყვარელი ადამიანის გადარჩენის სურვილსო.

— აი, შენი მოფერება! — გამწარებულმა მთელი ძალით შემოჰკრა სახეში.

— მცემე, ძვირფასო, მცემე, ოღონდ შენ ამით შვება იგრძნო, — სისხლის ფურთხებით თქვა ტასიკომ.

მიხომ მუშტი გვერდშიც უთავაზა. ტასიკო ტკივილისგან დაიღრიჯა.

— ცოტა შვება არ იგრძენი, ძვირფასო? — ტასიკომ ისე შეხედა, თითქოს ძალიან განიცდიდა მას უნებლიედ ტკივილი რომ მიაყენა.

მიხოს ხმა არ ამოუღია. დარწმუნებულმა, რომ ჩანაფიქრის განხორციელება აღარ შეეძლო, შარვლის ჩაცმა დაიწყო.

— ამხსენი ხელები, ჩავიცვამ, მოგეფერები და მერე როცა მოისურვებ და სადაც მოისურვებ, ჩემი ხელით გავიხდი. იქნებ ასე უფრო გესიამოვნოს, — მორჩილის ვნებიანი ღიმილით უთხრა ტასიკომ.

მიხო ჩაფიქრდა. „ავხსნი, ჩაიცვას, რამე არ მომეწონება და ცემით გავხეთქამ. ეგრე უფრო კარგად გავათახსირებ“, — გაიფიქრა და ტასიკოს ხელებიც ახსნა.

შიშველი ტასიკო ფეხზე ადგა. მიხო მოეხვია და კოცნა და-

უწყო.

— შენ რატომ არ მკოცნი? — ჰკითხა.

— როგორ არა, ჩემო ძვირფასო, ტასიკომ ხელები მოხვია და ლოყაზე ორჯერ აკოცა.

— ახლა ჩავიცვამ და როცა მეტყვი, გავიხდი, ვნებიანი ღიმილით უთხრა.

— ჩაიცვი! — უბრძანა.

ტასიკო იცვამდა თან კარებს აკვირდებოდა, შიგნიდან იყო გადარაზული. კაბის ჯიბეში ცნობილი დანა მოისინჯა, თან მიხოს ვნებიანად უღიმოდა.

მიხო კარებისკენ შეტრიალდა. ტასიკოში ამდენი ხნით შეყოვნებულმა სიძულვილის ვულკანმა ამოხეთქა, დანა გახსნა, კრაზანასავიც ეცა და სანამ რამეს მოასწრებდა ორჯერ ზედიზედ ჩაარჭო დუნდულებში. მიხომ საშინლად დაიღრიალა. ხელი მძლავდა მოიქნია და ტასიკოს ზურგში დაარტყა. ქალი პირქვე დაემხო. მიხომ წიხლის ამოკვრა დააპირა, მაგრამ საშინელი ტკივილისგან ეს ვერ შეძლო. ტასიკომ მუხლებზე წამოიწია და ახლა წინიდან ლავჯებს შუა ატაკა დანა. მიხო დაჭრილი დათვივით ღრიალებდა. კარებს გარედან აწვებოდნენ, მაგრამ შიგნიდან გადარაზულს ვერ აღებდნენ.

მიხომ ფეხზე დგომა ვეღარ შეძლო. ძველი ნაჭრილობევები ისედაც არ ასსვენებდნენ, ახლა კი სწორედ იმ ადგილებში შეუყარეს დანა. მუხლებზე დაეცა. კარებს გარედან რაღაც მძიმე საგანი დააჯახეს და შემოამტვრიეს. ტასიკო კარებთან იდგა. შემოცვევნილებს მისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ, დასისხლიანებულ მიხოს ეცნენ. ტასიკო ფრთხილად გაიპარა.

— დაიჭირეთ და ჩააძაღლეთ! — ღრიალებდა მიხო.

ტასიკო ღობესთან დაიჭირეს, გონის დაკარგვამდე სცემეს, მკვდარი ეგონათ, ასწიეს და ღობის გარეთ გადააგდეს. ტასიკო გვიან ღამე ცოცხლა-მკვდარი მიფორთხდა სახლში...

როინი ვენახში მუშაობდა. ბარით ორმო გათხარა, ვაზი უნდა გადაეწვინა. ბასრი ღილაკიანი დანით, რომელსაც მუდამ შარვლის უკანა ჯიბეში ინახავდა, რქა კარგად გაასუფთავა. ამ დროს მის მანქანას „ჟიგული მიადგა“. სამნი გადმოვიდნენ მანქა-

ნიდან. ორი მის მანქანაში შეძვრა და ყველაფერი გდმოაქოთეს. როინი გაკვირვებული უყურებდა. ერთი ვენახის თავში დადგა და როინი ხელის ქნევით თავისთან მიიხმო. მხარზე ბარგადადებული რომ მიადგათ, ერთმა პისტოლეტი იძრო და უყვირა:

— ჩაჯექ მანქანაში, შენი ოხერი დედა!

— არ ესროლო, ბიჭო, მიხომ ცოცხალი მომიყვათო! — მეორემ გააფრთხილა.

„მიხოს გამოგზავნილები არიან“, — განგაშის ზარივით დარეკა როინის თავში.

— შენი ოხერი დედაც! — როინმა ამის თქმასთან ერთად ბარი მთელი ძალით დაარტყა პისტოლეტიანს. მან გასროლა ვერ მოასწრო პირქვე გაიშოტა და აღარც გატოკებულა.

დანარჩენებმა ფეხებში ესროლეს. ორივე ფეხში დაჭრილი მუხლებზე დაეცა და ბარი ხელიდან გაუვარდა.

— შენი ჩათლახი დედა! — ერთი თავზე დაადგა და სახეში წიხლი ამოჰყრა. როინი გვერდზე გადაწვა. ხელი უკანა ჯიბისკენ წაიღო, ღილაკიანი დანა ამოიღო და, მეორედ რომ უპირებდა წიხლის დარტყმას, უცებ წამოიწია, მარცხენა ხელით ფეხში სწვდა და მარჯვენათი დანა მთელი ძალით მკერდში ჩასცა.

მესამე თავზე დაადგა და გაბრაზებულმა პისტოლეტის მთელი მჭიდით დაცხრილა.

ახლა დაბნეული იდგა და ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა. მერე უცებ მოვიდა აზრზე. ორივე ძმაკაცი ვაი-ვაგლახით „ჟიგულში“ შეათრია და სასწრაფოდ იქაურობას მოსცილდა. ტასიკო იატაკზე გონდაკარგული ეგდო, დედამთილის და მამამთილის ღრიალში, როინი სახლში რომ მოასვვენეს.

* * *

მიხოს კიდევ კარგა ხანი დასჭირდა მკურნალობა. ძველებური რიხი და უდარდელობა გაუქრა. სკამზე დიდხან ვეღარ ჯდებოდა. ტასიკოს შიში დასჩემდა. თუმცა ტასიკო მთლად დადნა, გაჭაღარავდა, სისკვდილოდ ცემის და როინის სიკვდილის შემდეგ, სიცოცხლის ნაპერწკალიც კი აღარ ღვიოდა მასში. გამუდმებით მოსთქვამდა. მომხდარის შესახებ არსად არ უთქვია.

როინის მკვლელობის გამოსაძიებლად თავი არავის გამოუდვია. ალბათ კოლონიაში რამე დააშავა და ანგარიში გაუსწორესო. ან მისთვის ვის ეცალა, როცა ადამიანების განუკითხავად კვლას სათვალავი არ ჰქონდა.

კარგა ხანი გავიდა. მომხდარი ამბები დღეთა სიმრავლემ და უბედურმა ცხოვრებამ გაახუნა. მიხომ ძველებურად აიდგა ფეხი. საქმეებს აკვარახჭინებდა. ფულს იხვეჭდა ოღონდ ტელეფონი შესძულდა, ეშინოდა, ტასიკოს ხმას არ გადაყროდა. ხშირად, როცა დაირეკებოდა, თინიკოს ეძახოდა, ყურმილი აიღეო. რომ გაიგებდა, ვინ რეკავდა, მერე ართმევდა ყურმილს. დროთა განმავლობაში ამ შიშმაც გაუარა.

ერთხელ გაბედა და დარეკა. გულისკანკალით ელოდა ტასიკოს ხმას. ყურმილი ეჭირა და დუმდა.

— გისმენთ.

—...

— გისმენთ, ბატონო.

არა, ეს ტასიკოს ხმა არ იყო.

— შენ რომელი ხარ? — ფრთხილად შეეკითხა.

— მე ლაურა ვარ.

— რომელი ლაურა?

— თანამშრომელი. უკვე მეხუთე თვეა ვმუშაობ.

მიხომ შვებით ამოისუნთქა. რა კარგია, ახლა თამამად დარეკავს. არშიყის ხასიათზე დადგა.

— ლაურა, გათხოვილი ხარ?

— არა.

— ალბათ, ძალიან ლამაზი, არა?

— ვერ გეტყვი.

— ხმა ძალიან ნაზი და მიმზიდველი გაქვს, ესეთი ხმა მხოლოდ იშვიათ ლამაზებს აქვთ.

— ნუ გამაწითლეთ, ბატონო მიხეილ.

— რა იცი, მე ვინა ვარ?

— ხშირად მინახიხართ. ლამაზი „მერსედესით“ რომ გაიქროლებთ ხოლმე. ისედაც მინახიხართ მაღალი, ცოტათი ჭაღარაშერეული, ცოტათი გასუქებული, თან ლამაზი.

— ჩემი სილამაზე პირველად გავიგე. გმადლობთ ლაურას ვენაცვალე.

— მეც გმადლობთ ასე რომ შემაქე.

— რამდენი წლისა ხარ, ლაურა?

— აბა შენ გამოიცანი.

— ოცდაააა ცხრისა.

— ახლა კი მაწყენინეთ. ნუთუ ასეთი დაბერებულის ხმა მაქვს? ოცდაორისა ვარ!

— გაგეხუმრე, თორე ჩვიდმეტი წლის გოგოს ხმა გაქვს.

ლაურამ გულიანად გადაიხარხარა.

— ალბათ, ახლა დავჯდებით თქვენს მერსედესზე და სადაც გინდათ გააქროლებთ, არა?

— შენც ხომ არ გინდა გაგაქროლო?

— მინდა, მაგრამ ვინ მაღირსებს მაგას.

— მე. თუნდაც დღესვე.

— ახლა არა მცალია. სამუშაოს ექვს საათზე ვამთავრებ. მერე კი სიამოვნებით.

— სად იქნები?

— ფოსტის წინ დაგელოდები.

— შეხვედრამდე.

— ნახვამდის.

მიხომ ყურმილი დადო და ძველებური ეშხით გაიზმორა.

— ესაც ესე, კარგი პატარა გოგო ჩანს, ვნახოთ, როგორ დაიჭერს თავს, — ხმამაღლა თქვა და ნაჭრილობევის დასასვენებლად ფეხზე ადგა.

ცოტა ხანში ტელეფონის ზარი აწკრიალდა. მიხომ ახლა უკვე თამამად აიღო ყურმილი.

— ცოცხალი ხარ, „თოხლო“? — ვიღაც ქალი თავხედურად ელაპარაკებოდა. პირველად გაიგო მძღოლობის დროინდელი მისი საძულველი მეტსახელი, უსიამოვნოდ გააჟრჟოლა.

— რომელი ხარ?

— ის ვარ, საჯდომის ტკენის დროს რომ გახსენდება, გამოჭრილ ჯირკვლებზე აღარაფერს ვამბობ. მთლად ვერ დაგასაჭურისე, შე უხსენებელო!

მიხოს ფერი დაეკარგა.

— რას გაჩუმდი, შეგიხორცდა დუნდულები? დედას გიტირებ, მალმალე უნდა გაგიახლო, სანამ ჯოჯოხეთის საგზურს მიიღებ, შე სატანის დაგდებულო!

— დადექ, ტასიკო, თორემ ცხარე ცრემლებით გატირებ, — მიხო დაემუქრა.

— ვერ გაძეხ რაც მადინე, არა?! ძილი არ გაიხშირო. ისეთ ადგილას დაგადგები თავზე, რომ არ მომელი. დუნდულების ჭრილობის სიმწარეს არ დაგავიწყებ, გარეწარო! ჩემი როინის, მირიანის, რამაზის, მაიას, თუნდაც საწყალი თეკლეს და ჩემი სული არ მოგასვენებს, შე მორიელო. კანონი შენს ბინძურ ფულეს ემსახურება და გგონია, როინის მოკვლას შეგარჩენ? მე ჯერ ცოცხალი ვარ, ეგრეც რომ არ იყოს, იმათი სულები არ მოგასვენებენ, შე წყეულო, ბოლოს მოგიღებს შენს მიერ მოსპობილი ადამიანების მოლანდება; განგების მკაცრ განაჩენს ვერ გაექცევი, ვერა!

მიხოს ყურმილი ხელში ეჭირა და ტასიკოს მდუმარედ უსმენდა. ხმა არ ამოუღია, ყურმილი წყნარად დადო და გარეთ გავიდა.

იმ დღეს პირველად შეუტია გულმა. ექიმებმა ინფარქტი დაუდგინეს.

* * *

მიხო ორი თვის შემდეგ გამოვიდა გარეთ. გვარიანად შეფერთხილიყო, მაგრამ ძველებურ ინტერესებს არ კარგავდა. ტერიტორიაზე გაიარა, მერე ოფისში დასასვენებლად შევიდა.

სავარძელში გადაწოლილი თვლემდა. ტელეფონის ზარი დაირეკა. ყურმილისაკენ ხელი წაიღო. უცებ აღება ვერ გადაწყვიტა. მოიცადა. ზარი არ ისვენებდა, კარგა ხანს რეკდა.

ბოლოს მოიკრიბა გამბედაობა და ყურმილი აიღო.

— გისმენთ.

— ბატონო მიხეილ, თქვენზე ძალიან ნაწყვენი ვარ.

— რომელი ხარ?

— ველარ მიცანი? ლაურა ვარ.

— ჰო, უცებ ვერ გიცანი.

— მაშინ რატომ მალოდინეთ. ასეთი მასხარად აგდება როგორ შეიძლება?!

— უცებ გამომივარდა საჩქარო საქმე. დღეს კი პირველად გამოვცხადდი.

— მე რამდენიმეჯერ დავრეკე და მითხრეს, ცუდადააო.

— ჰო, ისე, ცოტად.

— მაშ მანქანით ვეღარ გავისეირნებთ?

მიხო ცოტა ხანს გაჩუმდა. უარის თქმას აპირებდა, მაგრამ ჩვეულებას ვერ უღალატა.

— თუ გინდა დღეს საღამოს გავისეირნოთ.

— ოღონდ აღარ მომატყუო!

— არა. საღამოს შვიდ საათზე გამოგივლი.

— გასაგებია. ნახვამდის...

მაღალი, წაბლისფერთმებგაშლილი გოგო ელოდებოდა.

მიხომ მანქანის მთლად გაჩერება ვერ მოასწრო, გოგომ ნაზად დაუქნია ხელი, ჯერ ისევ მიმავალი მანქანის კარი გამოაღო და მოხდენილად ჩაჯდა შიგ.

გოგო ძალიან ლამაზი გამოდგა, მიხო ამგვარს ვერ წარმოიდგენდა; გაფართოებული თვალებით უყურებდა. თავს სუსტად გრძნობდა. იფიქრა, მანქანით გავასეირნებ, მერე სახლში მივიყვანო. მაგრამ მისმა მშვენიერებამ და გოგოს სითამამემ გეგმები სულ ჩაუშალა.

— მოგეწონეთ, ბატონო მიხეილ? — ლაურას ფეხი ფეხზე გადაედო და ისედაც მოკლე კაბა ზევით ასწეოდა; მშვენიერი გრძელი ფეხები მუხლის კარგა ზევით გაშიშვლებული უჩანდა. მარცხენა ხელი სავარძელზე გადაედო და გულამოღებული კაბიდან თეთრი მკერდი გადმოვარდნას ლამობდა.

— მომეწონე, აბა რა. ესეთი ანგელოზი აქ საიდან გაჩნდი?

— თბილისში ვსწავლობდი. ერთ ბიჭს გავყევი ცოლად, არ მომეწონა და თავი დავანებე; მერე სხვამ წამიყვანა, ახლა იმას აღარ მოვეწონე და თავი გამანება; მერე მე გავანებე სხვას თავი; ახლა მე გამცილდნენ. ბოლოს ჩვენებმა ვეღარ მოითმინეს და სოფელში წამომიყვანეს. ჩემს ნაქმრევებთან კი ფრედ ვარ,

რამდენსაც მე გავცილდი, იმდენი მე გამცილდა. რამდენი ხანია გხედავ გაპრიალებული მანქანით რომ გაიქროლებ ხოლმე; ბოლოს როგორც იყო გამოვიჭირე ეს სიმპათიური ბიძა.

ცოტა ხანს ჩუმად იარეს.

— დამსვით რა საჭესთან, ბატონო მიხეილ, მე ტარება კარგად ვიცი, — სთხოვა.

— მატყუებ.

— თუ არ გჯერა, ცოტა მიცურდი, ნახე, როგორ გავატარებ.

მიხო კარებისკენ მიცურდა, გოგო ზედ მიეკრა, საჭეს ხელები მოსჭიდა, მარცხენა ფეხი ფეხებზე გადაადო, მარჯვენა ფეხით აქსელერატორს დააწვა და მანქანა გააქროლა.

— მე საკუთარი „ჟიგული“ მყავდა, ქალაქში დავგრიალებდი; მშობლებმა წამართვეს.

მანქანა მინდორში მიქროდა.

— მოდი, შენ დაჯექი, — მიხო დარწუნდა, რომ კარგად დაჰყავდა.

მანქანიდან ჩამოვიდნენ. სანამ ლაურა დაჯდებოდა, მიხომ ხელი მოხვია, მკერდზე მიიკრა და აკოცა.

— ვაიმე, რას მიშვრები? — გოგო უფრო ეკვროდა.

მიხომ მკერდში ჩაუყო ხელი, ღილებიანი პერანგი გაუხსნა, ისედაც შიშველი მკერდი მთლად გაუშიშვლა.

— აი, თურმე რანაირი ყოფილხარ, — გოგო ჩურჩულებდა და მაგრად ეკვროდა. მიხოს აქტიურობას აღარ აცდიდა. ეხვეოდა და ჰკოცნიდა. ბოლოს მიხო როგორც იყო გაეშვა და მანქანაში ჩაჯდა.

ლაურამ მანქანა მინდორში გააქროლა, კარგა ხანს ივჯირითა; ბოლოს ერთ მწვანით დაფარულ გორაზე აიყვანა და გააჩერა. გრილ ნიავს მინდვრის ყვავილების სურნელი მოჰქონდა. მიხო გაშტერებული იჯდა, რაღაცაზე ფიქრობდა. „ნეტავ კი არაფერი მომთხოვოს“, — ნატრობდა.

— რა კარგი იყო, მიხეილ! — გოგომ მის მხარეს გადაიწია და ჩაეხუტა.

ცოტა ხნის შემდეგ მანქანიდან ჩამოვიდა, მიხოს კარები გაუ-

ღო და ბრძანების კილოთი უთხრა: — აბა, გადმოდი, ცარიელი ალერსი მომწყინდა! — მიხო წელმოწყვეტილი გადმოვიდა. გოგომ გააძრო ტანსაცმელი და მოჭარბებული გრძნობების დაწყნარებას შეუდგა. როგორც იქნა მორჩა ლაურა თავის საქმეს, მიხომ შვებით ამოისუნთქა. ადგა, ტანსაცმელი შეისწორა.

— ახლა წავედით, — თქვა და ნაბადივით გაშლილ მოლზე გაიარა.

— ამაზე კარგა ადგილას სად უნდა მიხვიდე, შე კაი კაცო! — ხვევნა და ალერსი დაუწყო. მერე წამოაწვინა და ზედ დააწვა.

მიხომ რამდენი წამოიწია წასასვლელად, გოგომ არ გაუშვა. ხვევნა და აღლერსით მოსვენება არ მისცა და გათენებამდე თავის ვნებების ხუშტურებზე აწვალა და ათრია.

უკვე ირიჟრაჟა. მიხო მანქანამდე ძლივს მივიდა, კარები გამოაღო და მძღოლის გვერდით სავარძელში მიესვენა.

— სად წაგიყვანო, ლამაზო! — ლაურა საჭესთან დაჯდა და მანქანა ადგილიდან მოწყვიტა.

— ჩემს სამსახურში მიმიყვანე, — ძლივს თქვა ამ გოგოს მიერ მთელი ღამე ნაჩეჩქვმა.

— არის, გენაცვალე! — ლაურამ სამხედრო წესით ხელი აუღო და მხიარული ღიღინით რადიო ჩართო.

ბაზაში არავინ იყო.

ლაურა კაბინეტში შეჰყვა.

— რა მშენიერია! — აღფრთოვანებულმა შესძახა.

მიხო დასასვენებელ ოთახში შევიდა, ლაურაც შეჰყვა.

— რა კარგი ხავერა გქონია, შე ძველო! საღამოობით შემოგივლი ხოლმე და გაგაუპატიურებ, — მიხოს მოეხვია სავარძელში ჩასვა და დიდხანს ეფერებოდა.

— მოდი, ახლა დივანზე დაგაწვენ, საკუთარ კაბინეტში როგორ გიხმარ ვნახოთ, — ლაურამ მხრებში ხელები მოხვია და წამოყენება დაუპირა.

„ნეტავ ახლა ვინმე გამოჩნდეს და მიშველოს!“ — მიხოს გული უკვნესოდა.

ეშველა. კაბინეტში ვიღაცა შევიდა.

— აბა, ნახე, ვინ არის, — ლაურა თავიდან ძლივს მოიცილა.

ისევ ჩაეშვა სავარძელში და გაირინდა.

სანამ ლაურა ოთახიდან გავიდოდა, კარი გაიღო და გლახო შემოვიდა.

— ბოდიში, მიხეილ დავითიჩ, მანქანა დავინახე და ვიფიქრე, ხომ არაფერი სჭირდება-მეთქი. — მოკრძალებით უთხრა.

— კარგია, რომ მოხვედი, — ძლივს შეატოკა ტუჩები მიხომ. — ლაურა სახლში წაიყვა და დროზე მოდი.

— კარგად იყავ, მიხეილ დავითიჩ, წადი, დაისვენე, ცოტა მომაგრდი, ჩემთან ჭიდაობას მაგარი მუხლი უნდა. თორე წუხანდელივით გაბურთავებ, — სიცილით უთხრა და გარეთ გასულ გლახოს ხტუნვა-ხტუნვით გაჰყვა.

გლახო უკვე საჭესთან იჯდა.

— აბა, გადმოდი! — უბრძანა ლაურამ. თვითონ მიუჯდა საჭეს და მანქანა ადგილიდან საბურავების წრიპინით გააქანა.

„სად მონახავს ხოლმე ამ სირინოზებს!“ — გაიფიქრა გლახომ და სავარძელს ჩაეჭიდა, რომ არ გადმოვარდნილიყო...

გლახო სახლში წამიყვა. რაღაც თავს კარგად ვერა ვგრძნობ, — მიხო გლახოს მხარზე დაეყრდნო და მანქანამდის ძლივს მივიდა, უკანა სავარძელზე გადაწვა.

იმ დღეს ინფარქტმა მეორედ მიაკითხა...

* * *

დიდი ხნის მკურნალობის შემდეგ ექიმებმა გავლის ნება მისცეს.

ახლა ფართო აივანზე სავარძელში ჩასვენებული სივრცეს მიშტერებოდა. ჩათვლიმა, თუ მოეჩვენა, თითქოს ცხადში ხდებოდა: კიბეზე მაია ამოდიოდა, უცინოდა. თვალები გაახილა, კიბეს დააკვირდა, იქ არავინ იყო.

ისევ ჩათვლიმა.

ახლა კიბეზე რამაზი ამოდიოდა. აივანზე მიხო დაინახა და მისკენ წავიდა, თან ყელზე ჰქონდა მოჭერილი ორივე ხელი. მერე თანდათან თვალები გაუფართოვდა, გაუდიდდა, ბუს დაემსგავსა, ფრთები შეატყლაშუნა და მკერდზე დააფრინდა. გულის ამოკორტნა სცადა; მიხომ მკერდზე ხელი დაიფარა. ბუმ ჩაუნის-

კარტა. მიხო შეხტა, თვალები გაახილა, შუბლზე ცივმა ოფლმა გამოჟონა.

ახლა უკვე თვალების დახუჭვისა ეშინოდა, თავს ძალას ატანდა, რომ არ ჩასძინებოდა; სივრცეს უაზროდ მისჩერებოდა.

სისუსტე მოერია. თვალები ნელ-ნელა დაეხუჭა. ახლა უკვე ეზოში იდგა. მისკენ ხელებგაშლილი მირიანი მორბოდა. არა, ეს როინი იყო, ხელები კი არა — უზარმაზარი ბრჭყალებიანი ურჩხული როინის თავით. მირიანიც ურჩხულს დაემსგავსა. ეცნენ მიხოს გული უნდა ამოეგლიჯათ. ეშველა, თვალები გაახილა, მოჩვენება გაქრა, გულის ტკივილი იგრძნო. უნდა ეყვირა, ენა არ დაემორჩილა. ისევ ჩათვლიმა. ვაიმე! — უნდა დაეყვირა. ტასიკო დაინახა სისხლიანი დანით ხელში. ტასიკო იცინოდა. — ის მეორე ჯირკვალიც უნდა გამოგაჭრა, მიხო არამზადავ, მერე ვნახოთ ქალებს როგორ გააწბილებ! — ამბობდა ტასიკო და უახლოვდებოდა.

— არ გინდა, ტასიკო, მე აღარაფრის თავი აღარა მაქვს, ლაურამ ისეთ დღეში ჩამაგდო, საქალეთი შამაძულა. წაიღე რა ეგ დანა დუნდულებზე ადგილი აღარა მაქვს, იგრე დამიხიე. ის ადგილიც აღარ მივარგა, ქალებთან აღარ ვვარგივარ, მეტი რაღა გინდა?! — მიხო ატირდა. ტასიკოს შეეცოდა.

— რა გინდოდა, მიხო, რად გადაირიე, ადამიანობა დაკარგე და პირუტყვად იქეცი. ვერ გაძეხი, ვერ ამოიყორე უძღები კუჭი. არადა, შე საცოდაო, ყველაფერი აქ დაგრჩება, მიწა კი ისევე შაგჭამს, როგორც შენგან დაღუპულ ადამიანებს. ზემოთ საფლავზე მარმარილოები რომ დაგაყარონ, მარტო მაღლა დარჩენილთა თვალებს გაახარებს, თორე იქ, საუფლოში ისეთივე ღიპლიკანა მიხო იქნები, როგორც დაიბადე. აქ მხოლოდ ავი თუ კარი მოგონება დაგრჩება ადამიანთა ხსოვნა გინებით, წყევლით თუ ლოცვა-კურთხევით რომ გაგიხსენებს. მეც დავიღალე, მიხო, ვაი რომ ადამიანი მეგონე და ამქვეყნად ჩემი ყოფნა ჯოჯოხეთად მიქციე. მივდივარ, როინთან, ჩემი ქმრობა უბედურებად რომ შეეცვალა. ეხ, მიხო, რაც იყო იყო, მიპატიებია ყველაფერი. დაე, იქ უფალმა განსაჯოს ჩვენი ამქვეყნიერი ცოდვილობა! — ტასიკოს ფრთები გამოება, მაღლა აფრინდა ნელ-ნელა სივრცე-

ში გაიხსნა.

— მაპატიე, ტასიკო! — მიხოს ცრემლი მოადგა, ხელის აწევა უნდოდა გამომშვიდობების ნიშნად. ვერ დაძრა. ადგომა უნდოდა, ვერ ადგა. ორი ფრთიანი არსება დაადგა თავზე.

— თავისით ვერ წამოვა, ძალიანაა ცოდვებით დამძიმებული. აბა, ამოვაძროთ ამ ბინძური სხეულისგან ეს დედამიწისეული ეგოისტობით დასვრილი სული და მივიყვანოთ უფლის სამსჯავროში, — უთხრეს ერთმანეთს და მიხო სხეულიდან გამოაძრეს.

სავარძელში კი მიხოს ლეში გაქვავებული მიშტერებოდა სივრცეს. მას ამქვეყნიური გაწამაწია დაემთავრებინა; მალე საფლავის ჭიის საბრძანებელში გადავიდოდა.

1999 წელი.

მიამიტი

რკინიგზის სადგურში

მოღრუბლული დილა საწვიმრად ემზადებოდა. მძიმე ღრუბელი მთელი ღამე სვენებ-სვენებით ალბობდა ისედაც განუწყვეტელი ნალექებით შეწუხებულ მიწისპირს. ახლა ცურდაცლილი და შეთხელებული ზღვის მხრიდან მაშველ ძალას ელოდებოდა, რომ თავისი ჭირვეულობა გაეგრძელებინა.

ნატანების რკინგზის სადგურში უჩვეულო გამოცოცხლება იყო. ბაქანთან სასულე ორკესტრი იცდიდა, სულ შვიდი კაცი. იქვე ოცდაათამდე მოზრდილი ასაკის კაცი და ქალი შექუჩებულიყო; ექვსი პიონერი ყვავილებით ხელში სადგურის შენობის კუთხეში შეყუჟულიყო. აშკარა იყო, ვიღაცას საზეიმოდ ელოდებოდნენ, მაგრამ წვიმას და უამინდობას თავისი დაღი დაესვა მათი მცდელობისათვის.

ღრუბელს მოსწყინდა ამდენი ხნის უმოქმედობა და ნელნელა ნისლის მაგვარი წვრილი წვეთებით გააგრძელა ღამით დაწყებული საქმე.

შეჯგუფებულ ხალხთან ორკესტრის მედოლე მივიდა. მაღალ, მსუქან კაცს წინ გაუჩერდა და შეწუხებულმა ჰკითხა: — რა ვქნათ?

— რასაც ჩვენ ვაკეთებთ, — მიიღო დინჯი პასუხი.

— მოვიცადოთ?

— აბა, მაშ რა!

— დოლი მისველდება.

— თავი რომ გისველდება, რატომ არ დარდობ?

— ხმა აღარ ექნება.

— რას, თავს?

— არა, დოლს.

— როგორც ექნება, ისე დაუკარი!



— დალბება და შეიძლება დაიხას კიდეც.

— კაცო, შენ რა შეგვაწუხე! სულ რაღაც სამჯერ მოგიწევს, ალბათ, ჯოხის შემოკვრა, ვინც მართლა მუსიკოსია, ის წყნარად დგას და იცდის.

— როგორ, მე მუსიკოსი არა ვარ?!

— ხარ, როგორ არა, დროგამოშვებით, ხუთჯერ ამოისუნთქავ და ერთხელ არტყავ ჯოხს, კლარნეტისტი კი ამოსუნთქავს თუ ჩაისუნთქავს, განუწყვეტლივ უკრავს.

— ეგრე არა? მაშინ დახვდნენ უჩემოდ, მე აღარ დავუკრავ!

— იწყინა მედოლემ.

— არ დაუკრავ და აგეკრძალება ქელეხებში სიარული! ხომ არ გგონია, შენ ნებაზე ისეირნო.

— ეგრეა წესი?

— ჰო, ეგრეა. წადი სხვებივით მოიცადე!

მედოლე ფრთამოტეხილი კაჭკაჭივით გაკავკივდა აქა-იქ გუბემობნეულ ბაქანზე.

— რაო, რა გითხრა? — ჰკითხეს მობუზულმა მუსიკოსებმა.

— წყნარად იყავით, თორემ ქელეხში აღარ გაგიშვებთო.

— გვაშინებს?

— ნუ შეშინდები თუ გინდა...

ბაქანს ელმავალმა მიაკივლა. მსუქანმა კაცმა მუსიკოსებს ხელით ანიშნა და მათაც ტუში დასცხეს. ეშელონი ნელი სვლით მიუახლოვდათ, სვლა გააგრძელა და პირველი ვაგონი შეგროვილი ხალხიდან კარგა მოშორებით გაჩერდა.

— უფროსები წინა ვაგონში იქნებიან, — თქვა მსუქანმა კაცმა და ძუნძულით გაემართა იქითკენ.

ორკესტრი ახლა უკვე „ჩემო ტკბილო მეგობაროს“ უკრავდა.

ვაგონის ფანჯრები ახალგაზრდები ერთიმეორის ჯიკაობით იყურებოდნენ.

— დროზე დაცალეთ ვაგონები! — ბუზღუნებდნენ მოუსვენარი სტუდენტებით შეწუხებული გამცილებლები.

ყველა თავისი ბარგით მიაწყდა გასასვლელს. შეიქმნა მიწოლ-მოწოლა, სტუდენტები სიცილითა და ოხუნჯობით ჩამოიფინნენ ბაქანზე.

ორკესტრის გარშემო ცნობისმოყვარეთა რკალი შეიკრა. ისინი უკვე „ჩემო ტკბილო მეგობარო“ მგონი, მეათედ უკრავდნენ.

— სხვა არაფერი იციან? — ჰკითხა ერთმა.

— შაბაშს თუ მისცემ, „დაისის“ შესავალს დაუკრავენ.

— არა, მე მარში მინდა „აიდადან“.

— ძია, საჭიდაოს ვერ დაუკრავთ? — საქმიანი შეკითხვა მისცა ერთმა ყველაზე წინ მდგომმა, გამხდარმა, ჩია, ქერათმიანმა ახალგაზრდამ.

მას ზუგჩანთა მხრებიდან მოეხსნა და ხელში ეჭირა, სველ

ბაქანზე დასადებად ვერ გაემეტებინა; არადა მისი სიმძიმისგან წელში იყო გადრეკილი.

— შენ ჭიდაობა გინდა ნამდვილად და გაგიფრინდება ისედაც ამოძრობაზე მყოფი სული, — მიუხვდა მედოლე დამცინავ შეკითხვას და ხურდა დაუბრუნა.

— მე მაინტერესებდა, დაკვრა იცოდით თუ არა, — ახალგაზრდამ იწყინა და უფრო მეტი ღვარძლი შეურია ნათქვამს.

— დააგდე, ბიძია, ტომარა დაბლა, სანამ მაგის წერა არ გამხდარხარ, შენ ცოდვას ნუ გვაყურებინებ, — სთხოვეს მუსიკოსებმა, სტუდენტები გამხიარულდნენ.

— ცოდვა კი არა, ამის იმედით ჩამოვედით, დღეში ტონა ჩაის კრეფს, — სიცილით გამოესარჩლა ვიღაცა.

— ვაი, ამის დაკრეფილი ჩაი ცოდვით დაილევა?! ძაღლების ნათრევ მელასა გავს, — სტუდენტები ახარხარდნენ.

— აფსუს, რა სახელს არცხვენ, ტარიელ, რა გკადრეს, ბიჭო, ძაღლების ნათრევი მელა- ხა, ხა, ხა!!!

ქერა სტუდენტმა, ტარიელი რომ უწოდეს, ვაი-ვაგლახით წამოიკიდა ზურგჩანთა და მუსიკოსებთან დავა გააგრძელა:

— ნეტავ, ვის ელოდებიან ამ გაქუცული ორკესტრით? ამის მაგიერ ერთი დანჯღერული პატეფონი მოეტანათ, არა სჯობდა!

— თქვენ რომ ჩაის მოკრეფავთ, ორკესრი კი არა, აქ კატა უნდა ეკანვლებინათ და თმაგაწეწილი ჭირისუფლები ეტირებინათ. ვაი, იმ ბუჩქებს, სადაც თქვენ გიპირებენ შერეკვას!

— რაც მუშები ვართ, ორკესტრიც ის დაგვახვედრეს. თქვენ შემთხვევით ქვაბების მკალავები ხომ არა ხართ? მუსიკა დიდყურასავით გესმით, ყროყინიც იცით? — ენა გაიტლიკა ტარიელმა.

— არ შეიძლება ასე, უფროსები არიან, არ ეკადრებათ! — გააფრთხილა მის გვერდით მდგომმა მაღალმა, შავგვრემანმა, გამხდარმა, მაგრამ მუხის ჯირკივით მკვრივმა სტუდენტმა.

— მოგცლია შენც ერთი, უფროსები კი არა, ვირები არიან! — შეედავა ქერა, მხრებამდე ძლივს რომ სწვდებოდა; მერე ისევ მუსიკოსებს მიუბრუნდა.

— ვირებო, უუუ! — პირზე ხელი საყვირივით მიიფარა და ხმამაღლა ჩასძახა; — ვირებო, დაიყროყინეთ ერთი!

— უყურეთ ამ ნაკელის ჭიას, რაებსა ბედავს! — გაბრაზდა მასავით ტანდალეული კაცი, ორი სპილენძის თეფში რომ ეჭირა და მარჯვენა სიბრტყით დაჰკრა თავში, თეფშმა ყრუდ გაიჟღრიალა.

— ცარიელი თავი ჰქონია, ხმაზე ეტყობა, — დაასკვნა მედოლემ.

— დარტყმა ესეთი არ უნდა! — გაბრაზდა ქერა და თეფშის დამრტყმელზე მიიწია,. მძიმე ზურგჩანთით წელგადრეკილმა ძლივს გადაადგა მისკენ ნაბიჯი.

— დაიკარგე, შე კაფანდარავ! ცარიელი ფახაფუხი ჩანხარ, გეტყობა. — ახლა მედოლემ დაჰკრა თავში ნაბდისთავიანი ჯოხი.

ქერა დაიბნა. სულ დაეკარგა სხვისი გამასხარავების სურვილი. ახლა მუსიკოსებიც და სტუდენტებიც გულიანად იცინოდნენ.

— რაღაც ლაყე თავი უჩანს, ხმა არა ჰქონდა, აბა, ერთი კიდევ სცადე, — წააქეზეს მედოლე.

მანაც მეორედ შემართა თავისი ჯოხი და ის იყო ჩვეული ტაქტით უნდა დაეშვა ქერა თავზე, რომ ვიღაცის მძლავრი ხელი სწვდა მაჯაში და ჰაერში გააშეშა.

— არ გინდა ბიძია, ისედაც მიხვდა თავის შეცდომას, — თავაზიანად უთხრა მაღალმა, შავგვრემანმა ბიჭმა და ხელი ძალად დააშვებინა დაბლა.

— უყურეთ ამ ლაწირაკს, რა გამიბედა! — გაბრაზდა მედოლე და თავისი განუყრელი ჯოხი ახლა მას მოუქნია, მაგრამ ისევ უტაცა ხელი.

— ჯიბგირები! ხულიგნები! — აყვირდა მედოლე. — ამათ უნდა მოკრიფონ ჩაი?! სახლებში შემოგვიცვივდებიან, სახლებში!

— დაწყნარდი, ბიძია, რაც გაწყენინეთ, იმაზე ბოდიშს გიხდით, მოუხადე ბოდიში, ტარიელ, — მაღალი ქერას მიუბრუნდა, მაგრამ ის უკვე გაპარულიყო.

ამ დროს მსუქანი კაცი და სტუდენტების ხელმძღვანელი მიუახლოვდნენ მათ.

— რა ჩოჩქოლია? — იკითხა ხელმძღვანელმა.

— ეს ხულიგნები ჩაის საკრეფად კი არა, რიყეზე ქვის სასროლად უნდა წამოგეყვანათ! — გამოიყენა მომენტი მედოლემ.

— რა ჩაიდინეს! რა მოხდა?!

— კინაღამ ინსტრუმენტები თავზე დაგვამტვრიეს, საჭიდაო დაუკარითო, კარგად ვერ უკრავთ, მეხაშეები ხართო.

რაც კი მოადგა პირზე, ან რაც სხვისგან ნათქვამი ახსოვდა, ყველაფერი ამოალაგა მედოლემ.

სტუდენტები მოსალოდნელი უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით, უფროსების გამოჩენისთანავე ნელა-ნელა დაიშალნენ.

— რომელი იყო, რომელი?! — გაბრაზდა ხელმძღვანელი.

— აი, ეს არის, — მედოლემ მაღალ, შავგვრემან ბიჭზე მიუთითა, რომელიც გვერდზე მიმდგარიყო და მათ საუბარს უსმენდა.

— შენი გვარი და სახელი! — ხელმძღვანელმა კალამი და ბლოკნოტი მოიმარჯვა.

— გიგა ძამიაშვილი, — დინჯად და უდანაშაულო ადამიანის უშფოთველობით უპასუხა მან.

— რომელი ჯგუფია?

— მექანიზაციის მეორე.

— სად არის ამათი ჯგუფხელი? — ხელმძღვანელმა სტუდენტებს მოავლო თვალი. — ამის ბრალი არ არის, პატივცემულო! — დაიძახეს შეჯგუფებულმა სტუდენტებმა.

— ჩუმად! — უყვირათ ხელმძღვანელმა. — ამას გავარკვევთ ჩვენ! ჯგუფხელი მომიძებნთ!

— მიხეილ! — ერთდროულად დაიძახა რამდენიმე ხმამ.

საფეთქლებთან ჭაღარაშერეული, ოცდათხუმეტამდე წლის მკვრივი ვაჟკაცი წარუდგა ხელმძღვანელს.

— ხვალ ეს ახალგაზრდა შტაბში გამოცხადდეს, სადგურის ბაქანზე ხულიგნობა რომ ჩაიდინა! — ხელმძღვანელმა გიგაზე ანიშნა.

— შეუძლებელია, გიგას ხულიგნობა ვინ გაიგონა! — გაუკვირდა ჯგუფხელს.

— ეგ არ იყო, არა! ვინც იხულიგნა, გაიპარა! — დაიძახა ვიღაცამ.

გიგამ მხრები აიჩეჩა.

— მოკლედ, ხვალ შტაბში მომიყვან ამ ახალგაზრდას! — დაავალა ხელმძღვანელმა და სხვებთან ერთად სადგურის მოედნისაკენ წავიდა.

მოედანზე სახელდახელო მიტინგის გამართვას აპირებდნენ.

სატვირთო გაზიკს ძარის სამივე გვერდი გადახსნილი ჰქონდა, უკნიდან ხის ყუთები მიედგათ საფეხურებად, ორატორები იქიდან ადიოდნენ ტრიბუნაზე. წვიმა აქამდე წვრილად რომ ცრიდა, ახლა წვეთების ზომას მოუმატა. აჩქარდნენ. პროგრამა შეკვეცეს.

მაღალი მსუქანი კაცი ლაითურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი აღმოჩნდა, სტუდენტებს კეთილი მობრძანება უსურვა და საუკთესო პირობების შექმნას შეჰპირდათ.

რამდენიმე მოკლესიტყვიანი გამოსვლის შემდეგ, მიტინგის დახურვას აპირებდნენ, რომ მანქანის ძარაზე ის ქერა სტუდენტი შეხტა, თავში მედოლის ჯოხი რომ დაიმსახურა, ხელმძღვანელს პირმოთნეთ გაუღიმა და მოწიწებით სიტყვის უფლება ითხოვა.

როცა ყველა, წვიმისაგან შეწუხებული, შვებად მოელოდა ამ ცერემონიის დამთავრებას, გადახსნილი ძარიდან საზეიმოდ გამოაცხადეს;

— სიტყვა ეძლევა მექანიზაციის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტს, ტარიელ სისაურს!

— რა უნდა თქვას, ტვინი აღარ დარჩა, თავში, დოლის ჯოხით გამოუბერტყეს! — დაიძახა ვიღაცამ.

— ალბათ მუსიკოსებს უჩივის საჯაროდ, — გაეპასუხა მეორე ხმა;

— ამხანაგებო! — აღამაჰმად-ხანის ხმაზე დაიწყო ორატორმა, — ჩვენ დიდი მისია გვაკისრია, გადაულებელმა წვიმებმა შეაფერხეს ჩაის კრეფა; გეგმების შესრულება საფრთხეშია. სწორედ ამ მძიმე სიტუაციაში სტუდენტებმა ავიღეთ პატრიოტული ინიციატივა: მოვეხმაროთ სახელოვან მეჩაიეებს გაჭივების ჟამს, ჩვენი სიტყვა და საქმე ერთია. თავსხმა წვიმაში თუ პაპანაქება სიცხეში, რიჟრაჟიდან შებინდებამდე მუხლსა და ხელს არ დავასვენებთ, რათა ერთი დუყიც არ გაუხეშდეს. პირადად მე ვალდებულებას ვიღებ, ყოველდღიურად ოცდათხუთმეტი-ორმოცდათხუთმეტი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოვკრიფო. ყველასა ვთხოვ, ვისთვისაც ესოდენ საპატიოა ატაროს

სტუდენტის სახელი, მომბაძოს მე და აიტაცოს ეს ინიციატივა. გაუმარჯოს სახენლოვან სტუდენტ ახალგაზრდობას!

სტუდენტების ხელმძღვანელი აღფრთოვანებით უკრავდა ტაშს, ლოყებზე ღაპაღუპით ჩამოსდიოდა წვეთები, ძნელი გასარკვევი იყო, ეს მოჭარბებული გრძნობების ცრემლები იყო თუ აზარტში შესული წვიმის ჭირვეულობის შედეგი. მთავარი იყო, რომ ამ წვეთებს ყველა ცრემლებად თვლიდა.

— მომცა სისაურის მსგავსი ასი სტუდენტი და ფოთოლს არ დავტოვებ ჩაის ბუჩქზე! — სლუკუნით თქვა და ენთუზიასტ სტუდენრტს სათუთად გადაუსვა ხელი წვიმისაგან გაჟიებულ, ღამე საწოლად გამოყენებულ პიჯაკზე.

— ეგ ვინა ყოფილა, კაცო, რაღაზე შემოგაკვდებოდა, ხომ დაგვრჩებოდა ჩა მოსაკრეფი! — საყვედურით უთხრეს დანარჩენმა მუსიკოსებმა მედოლეს.

— რაღაც საქმის კაცი არ უნდა ჩანდეს, ქაჩაჩებში ეტყობა, როგორც მეურმეებს, ისე ეყოლებათ მამლად წამოყვანილი, გათენებისას დააყივლებენ, ტვირთს კი ხარები გასწევენ, — დაასკვნა მედოლემ.

— ხარი ვიღაა მაგათში, ერთმანეთზე უარესი ქარაფშუტები ჩანან.

— ის ბიჭი მომეწონა, ხელი რომ დამიჭირა, როგორ თავაზიანად მელაპარაკა, ბოდიშიც მომიხადა სხვის მაგივრად, მე კიდევ ისე ვიყავი გაბრაზებული, ვეღარაფერი გავარჩიე და ახლა სირცხვილი მაწუხებს.

— მართალი ხარ განა! ის ბიჭი წყნარად იყო, ხელიც იმიტომ დაგიჭირა, ამდენი თავში რაკუნით, ისედაც ტუტრუცანა ამხანაგი სულ არ გამოალენჩონო, ალბათ.

— არა, არა, ის ბიჭი გასამტყუნარი არ იყო.

— გასამტყუნარი იყო თუ არა, ის გაბღენძილი ხელმძღვანელი შავ დღეს დააყრის.

— დააყრის და აქ არა ვარ! მივალ და ვეტყვი, რომ ის ქერაა ყველაფერში დამნაშავე და მისი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებისა არაფერი დაიჯერონ.

— როდის მიხვალ?

— ხვალვე, მაგას რა უნდა!

— ცოტა ხანს აცალე, შე კაცო, იქნება მართლა მაგდენის მოკრეფა შეიძლოს, პირი არ შეირცხვინო. დრო ბევრი გვაქვს, მთელი ორი თვე რჩებიან აქ, მაგათ უფროსის ნახვას ყოველთვის მოასწრებ, — დაარიგა მედოლე ორკესტრის ტრომბოლისტმა.

— კარგი, ბატონო, დავუცდი, მაგრამ რაცა ვთქვი, ეჭვი არ მეპარება რომ ზუსტად ასეა, აი ნახავთ!

— ვნახავთ, ვნახავთ! — დაუდასტურეს დანარჩენებმა. თავიანთი ინსტრუმენტებით მათზე გაპიროვნებული ავტობუსისაკენ ძუნძულით წავიდნენ.

უკვე მაგრად წვიმდა.

ინიციატორის ოინები

სტუდენტები სხვადასხვა შენობებში დააბინავეს, სადაც გამოიძებნა თავისუფალი ადგილი. მეორე ჯგუფიდან ათი კაცი მიტოვებულ ოროთახიან სახლში მოეწდყო. აივნიანი ბელეტაჟი პატარა ფერდობს გადაჰყურებდა, ყვითელთიხიანი ეზო ატალახებული იყო; ტუალეტამდე ფიცრები დაელაგებინათ, იგივე ფიცრები ზედ შუა ეზოში მოწყობილ ონკანთან გადიობდა ისე, რომ ეს ბილიკი ორივე ობიექტს ემსახურებოდა. ფერდობის დაბლა, ღელეში წყალი მიჩხრიალებდა, მოპირდაპირე მხარეს კი ვიღაცის ბეჯით ხელს ტაროებით დატვირთული, კაცზე მაღალი სიმინდის ყანა გაელაღებინა. სიმინდის ნაკვეთის თავში კარგად მოზრდილი ოდა სახლი იდგა, რომლის მარცხენა მხარეს რამდენიმე მსხლის ხე ნაყოფს დაემძიმებინა და ტოტები მოსატეხად დაეღუნა; მზრუნველ პატრონს ყველაზე საშიშ მდგომარეობაში მყოფი ტოტებისათვის ქვევიდან გრძელი ბამბუკის ჭოკები საყრდენად შეეყუდებინა.

წვიმა მიწას გაშრობის საშუალებას არ აძლევდა, სტუდენტების სადგომის ეზო ყვითელი ტალახით ყოველთვის მზად იყო გამვლელის ფეხებზე მისაწებებლად. ამიტომ ფეხის ბილიკი მათ ადიდებულ მდინარეზე გადებულ ხიდივით ემსახურებოდათ.

პირველ დღეს მოამზადეს ყველა ორგანიზაციული საკითხი

და მეორე დღეს დილიდანვე შეუდგნენ მუშაობას.

— რას გავს ეს! ერთი დღე ამოსუნთქვის საშუალება არ უნდა მოგვცენ?! — დილიდანვე აბუზღუნდა სისაური.

მოზრდილ ოთახში ექვსი სტუდენტი მოთავსდა. სისაური, გიგა ძამიაშვილი და ორი სტუდენტი მცირე ოთახში მოეწყვნენ. როგორც საპატიო ინიციატივის ავტორი და წამომწყები, ამ ჯგუფის ხელმძღვანელობა სისაურმა იუზურპატორა; არც არავინ შედავებია და მანაც თავისი შესაძლებლობა გამოამჟღავნა: გასაშლელი საწოლების და ლეიბის არჩევაში მარტო მისი წრიპინი ისმოდა. ყველაფერი როგორც სურდა თითქმის ისე მოაწყო, სხვებთან შედარებით მყუდრო საცხოვრებელიც იშოვა.

— დავიღალე ამდენი საქმის მოგვარებით, აღარ შემიძლია, მგონი პატარა სიცხეც მაქვს, — ტარიელმა თადარიგი შორიდანვე დაიჭირა, თავი პირსაწმენდით შეიკრა და საწოლზე კვნესით გადაწვა.

— რა დაგემართა, ექიმი ხომ არ მოგიყვანოთ? — შეწუხდა გიგა.

— არა, ჯერ არ დამჭირდება, ეტყობა, მაგრამ ფეხზე როგორც ვდგები, თავბრუ მესხმის.

— არ ადგე, უფროსებს ვეტყვი, რომ ავად არის მეთქი. დღეს ვნახოთ და თუ არ გამოკეთდი, საღამოზე ექიმს მოგიყვან.

— ჰო, ეგრე აჯობებს, — დაეთანხმა ავადმყოფი...

ბრიგადაში ხელმძღვანელმა ჩამოიარა და მაშინვე სისაური იკითხა:

— რას შვება ჩვენი ინიციატორი, ხომ ასრულებს დანაპირებს?

ჯგუფხელმა, მიხეილ კედელაშვილმა, მხრები აიჩეჩა, — რა ვიცი, დღეს არ გამოსულა, ბიჭებისათვის დაუბარებია, ავადა ვარო.

— როგორ თუ დაუბარებია, ექიმმა ვერ გასინჯა?

— ვნახოთ, საღამოზე როგორ იქნება და...

— რას ამბობ, კაცო, ეგ რომ ავად გახდეს, ხომ დავიღუპეთ!

— დიდი დანაკლისი არ იქნება.

— აბა, აბა, მიხეილ! შენ ეგ არ გეკადრება, ინიციატორს და

ენთუზიასტს მოფრთხილება უნდა.

— ინიციატორზე პრეტენზია არა მაქვს, მაგრამ ენთუზიასტისა რა მოგახსენოთ.

— ეგრეა, შეიძულეთ უკვე გაბედული გამოსვლისათვის?

— გაბედული გამოსვლისათვის არა, ყალბი მიეთ-მოეთი კი არავის უყვარს, მით უმეტეს სტუდენტებს.

— ვნახოთ, ვნახოთ, მალე დარწმუნედბი რომ ცდები.

— ღმერთმა ქნას.

— შენ ის მითხარი, ხულიგანი სტუდენტი, მუსიკოსებს რომ შეურაცხყოფა მიაყენა, რას შვრება?

— იმაზე წესიერი ახალგაზრდა ჯგუფში არა გვყავს, დილიდანვე თავაუღებლად მუშაობს.

— ალბათ ეშინია, არ დამსაჯონო, არა?

— ალალია და ვერ წარმოუდგენია, თუ დასჯიან. დაუწერელი ქაღალდივით სუფთა გული აქვს.

— შენ სულ საწინააღმდეგო წარმოდგენები გაქვს არსებულ სინამდვილეზე. კარგი, კარგი, საღამოზე კედლის გაზეთში უკვე იქნება მის ვაჟკაცობაზე აღწერილი, სხვასაც გამოადგება ჭკუის სასწავლებლად.

— არ გინადთ ამის გაკეთება, გული ეტკინება, იმას ცუდი არაფერი ჩაუდენია.

— აბა, მაშ ვინ აწყენინა მუსიკოსებს?

— მე ვიცი, რომ გიგა ძამიაშვილი არაფერ შუაშია, მუსიკოსებს ვინც აწყენინა, თვითონ იმათ უფრო უკეთ იციან.

— სწორედ მათ დაადეს ხელი ძამიაშვილს, მიხეილ, არ გიხდება უდისციპლინოებზე გამოსარჩლება, იცოდე.

— მე მხოლოდ იმას ვამბობ, რაც ჭეშმარიტებაა, გიგა წესიერი ახალგაზრდაა.

— კარგი, კარგი შენც მალე დარწმუნდები, რომ სცდებოდი, წინ საკმარისი დრო გვაქვს.

ხელმძღვანელმა ბრიგადების ჩამოვლა დაამთავრა და შტაბში დაბრუნდა.

შუადღისას სადილი მოიტანეს, სტუდენტები მაღალი ფიჭვების გვერდით მოწყობილ თავღია ფარდულში სადილობდნენ.

გიგა მაკარონის სუპს შეექცეოდა. დაღლილ ბიჭფებს ოხუნჯობის ხასიათი აღარა ჰქონდათ, მხოლოდ თეფშებზე მოხვედრისას კოვზების ხმა ისმოდა.

— დღეს ჩვენთან უფროსი იყო, — თითქოს თავის თავს ესაუბრებაო, ისე თქვა კედელაშვილმა.

— რა კაცია ეგ უფროსი?

— დოცენტია ძრავების კათედრაზე. უფროს კურსებზე გვექნება მაგასთან საქმე.

— რა გვარია?

— ხუციშვილი, კოტე ჰქვია.

— რა მინდაო?

— სისაურს მიხედეთ, ჩვენი იმედიაო.

— რა მიხედვა უნდა, ალბათ გორაობით გვერდები დაულურჯდა, საღამოზე საფენები დასჭირდება.

— ინიციატორია და ყველას ყურადღების ცენტრშია.

— ინიციატორი იქ არის, სადაც ყალბი ენის ლაქლაქია საჭირო, გაუგებენ რა შვილიც ბრძანდება, ყველა უსაქმური მხოლოდ დროებით იძენს მოჩვენებით იაფფასიან ავტორიტეტს; მალე ყველაფერი თავის სახელს მიიღებს.

— რატომ არა, ნახავენ რა სჭირს, ტყუილად რომ აიტკივა თავი.

— გაუგებენ და დღევანდელ სიმულიანტობასაც ძმარივით ამოადენენ ცხვირიდან.

— დღესვე გაიშიფრება.

— ახია მაგაზე, ჭკუას ისწავლის! ეს პირველი შემთხვევა ხომ არ არის. სულ მაიმუნობაზე უჭირავს თვალი, — სისაურის საქციელით უკმაყოფილო სტუდენტები გულს იფხანდნენ.

სადილი დამთავრდა. ყველამ თავისი კალათი აიღო და ჩაის ბუჩქებს მიაშურა.

— მიხეილ, რამდენი მაქვს მოკრეფილი? — ჰკითხა გიგამ ჯგუფხელს, რომელსაც შესრულებული სამუშაოს აღრიცხვა ევალა.

— ერთი დღის ნორმაზე ცოტა მეტი მოკრიფე უკვე

— რასაც საღამომდე მოვკრეფავ, სისაურს დაუწერე. ცოდოა,

იქნება მართლა გაუბრაზდეს ხელმძღვანელი. მეორე ნორმასაც შევასრულებ, ჩემთვის ეს არაფერია.

— ის ამის ღირსი არ არის, გიგა, მეორე ნორმას შეასრულებ და მოწინავეთა სიაში მოხვდები; ყოველდღე შეჯამდება შედეგები და მოწინავეს ჯილდოს გადასცემენ.

— არ მინდა, მიხეილ, ჯილდო, არც ხმაურიანი შექება. მე რაც მევალება შევასრულებ, რასაც ზედმეტს გავაკეთებ, ამხანაგს მივეხმარები, რა უჭირს სუსტი ბიჭია, ცოტას შევეშველები.

— ეხ, გიგა, ნეტავ ყველა შენი გულისა იყოს, მაგრამ ეგრე არ არის. რა ვიცი, ღირსი კი არის ამგვარი ყურადღებისა, რასაც შენ მაგის მიმართ იჩენ.

— გაიგებს, მიხეილ, გაიგებს და თუ რამე ეშლება, გამოასწორებს, აბა, მაშ რას იზამს.

— კარგი, ვნახოთ. მე არა მჯერა და დრო მოვა, შენც მიხვდები მაგის კაი კაცობას.

გიგამ დღის მეორე ნახევარში უფრო ენერგიულად იმუშავა და თითქმის ორ ნორმამდე ჩაის ფოთოლი ჩააბარა; შეპირების თანახმად ნამუშევარი მთლად სისაურის სახელზე გააფორმა. მიხეილი უკმაყოფილოდ აქნევდა თავს.

საღამოთი მეურნეობის სასადილოში ვახშმობდნენ. სასადილო დარბაზის შესასვლელამდე დიდი ოთახი იყო, რომელიც ახლა თვალსაჩინოების გამოფენის მოვალეობასაც ასრულებდა. კედელზე დიდი დაფა ჩამოეკიდათ, სადაც ჯგუფების მიხედვით ყოველდღიური მუშაობის შედეგები ჯამდებოდა. აქვე იყო მოწინავე და ჩამორჩენილი სტუდენტების გვარები აღნიშნული. დაფის გვერდით კი კარგად გაფორმებული სტუდენტური კედლის გაზეთი გამოეკრათ, პირველი ნომერი მაინც დიდი გულმოდგინებით იყო გაფორმებული: სულ მაღლა, გაზეთის მარცხენა მხარეს, სისაური ტარიელი იყო დახატული, მარჯვენა ხელი გაზეთის მოპირდაპირე მხარეს დახატულ ჩაის ბუჩქისაკენ გაეშვირა. იქავე მსხვილი ასოებით მისი ისტორიული სიტყვა მოეთავსებინათ. „ჩვენი სიამაყე — ტარიელ სისაური“, ასეთი წარწერა ჰქონდა ნახატს, რომლის ქვევით ინიციატორის ქება-დიდება დაუზოგავად იყო დაღვრილი. გაზეთის მარჯვენა მხარეს სათაურით „ვინ

გვარცხვენს ჩვენ“ მოთავსებული იყო წერილი, რომელშიც სადგურში მუსიკოსებთან მომხდარი ინციდენტი იყო გაშუქებული. მის დაბლა კი თვალებგადმოკარკლული გიგა ძამიაშვილს კაფანდარა მედოლისათვის ხელში ეტაცნა ხელი და შუაზე გაგლეჯას უპირებდა. შეშინებული ეშელონი თავში იშენდა ხელებს, ეს ვინ ჩამომიყვანიაო. სასულე ორკესტრის დანარჩენი წევრები თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ, საითაც კი მოესწროთ. — ერიდეთ. გზაზე თუ შეგხვდათ, დანდობა არ იცის, ძალა ერჩის, ჭკუა — არა, მექანიზაციის მეპორე კურსის სტუდენტს, გიგა ძამიაშვილს.

მიხეილ კედელაშვილის ჯგუფი სასადილოში ყველაზე ბოლოს მივიდა, კედლის გაზეთთან სტუდენტები შეკრებილიყვნენ და ხმამაღლა იცინოდნენ.

— აბა, ეს არის საქმე! ამის დამწერს რა ჭკუა უნდა მოეკითხოს! — იწყინა მიხეილმა, როგორც კი გაზეთს შეხედა.

— რომელია გიგა ძამიაშვილი? — ჩურჩულებდნენ ოთახში მყოფი სტუდენტები, ვინც გიგას არ იცნობდა.

კეთილი ღიმილი დასთამაშებდა, მაღალ, შავგვრემან, დიდთვალება ბიჭს. მის ალალ გამოხედვაში იმხელა გულუბრყვილობა და სათნოება გამოსჭვიოდა, რომ ვინც პირველად გაიცნო, გაკვირვებით წამოიძახა:

— ნუთუ ეს ყველაფერი მაგაზე წერია?!

— სირცხვილი არ არის! ჯერ იკითხონ მაგ დალოცვილებმა! გიგას ამით რა დააკლდება, ვინც მას იცნობს, კარგად იცის, რომ გიგასთანა წესიერი სტუდენტი ინსტიტუტში არ არის; ეგრე შეთითხნილი წერილებით თავს გაიმასხარავებენ მხოლოდ. ეხლავე უნდა ჩამოიხსნას! — ბრაზობდა მიხეილი.

გიგამ დინჯად დაათვალიერა კედლის გაზეთი, თვალში რაღაც სინანულის, თუ უკმაყოფილობის ნაპერწკალი გაუკრთა უცებ და მაშინვე გაქრა. ხმა არ ამოუღია, წყნარად შევიდა სასადილო დარბაზში და კუთხეში მდგარ თავისუფალ მაგიდასთან დაჯდა. ამხანაგებმა საჭმელი მოიტანეს და უსიტყვოთ შეუდგნენ ვახშმობას.

— ყველა რომ წავა, ჩამოვგლეჯავ მაგ გაზეთს და ჩვენ ტუა-

ლეტში ჩავუძახებ! – გადაწყვეტით თქვა თამაზ ბერიძემ, რომელიც სულ მცირე უსამართლობას ვერ იტანდა და მიუხედავად თავისი სუსტი აგებულობისა, სიმათლისათვის თუ გინდა დევს შეეჭიდებოდა.

– არაა საჭირო, თამაზ! მაშინვე მე დამაბრალებენ, თანაც რაღა აზრი აქვს, ყველამ უკვე ნახა. რა უჭირს, დრო გავა, ერთმანეთს უფრო კარგად გავიცნობთ, მიხვდებიან, რომ მე მაგის ჩამდენი არა ვარ, უფრო შერცხვებათ, – ნაძალადევი ღიმილით თქვა გიგამ; არ იტყობდა, მაგრამ ამ გაზეთმა მას გული ძლიერ ატკინა...

ტარიელ სისაურმა შუადღემდე ლოგინში ინებივრა, მერე შიმშილმა შეაწუხა, იფიქრა, არავინ შემხვდება, ყველა მინდორში იქნებაო, სასადილოში გავიდა. დარბაზი დაკეტილი დახვდა. მზარეულს შეეხვეწა, რამე მაჭამეო, მანაც ისე გამოაძღო, ძლივს სუნთქავდა. მზარეულთან საერთო ენა გამონახა, ძმობა შეჰფიცა, შენს მეგობრობას არ დავივიწყებო, ქებით თავიდან ფეხებამდე შეამკო და სავახშმოდ პატარა ქვაბით კატლეტი, ლანგეტი და მოხარშული ქათმის ხორცი გამოართვა. მზარეულმა ფული არაფრით არ აიღო, შენისთანა კარგ ბიჭს როგორ არ გამოვკვებავო, როცა გინდა მოდი, შენთვის გემრიელი საჭმელი ყოველთვის მექნება შენახულიო.

ტარიელმა ქვაბი სახლში მიიტანა. ცოტა ხანს წამოწვა, მარტო მოიწყინა, აივანზე გამოვიდა, ფერდობზე შეფენილ სიმინდის ყანას დააკვირდა, რაღაც იდეა დაებადა, ზურგჩანთას დაავლო ხელი და თავდაღმართზე დაეშვა.

გარეული ტახივით ტრიალებდა ტაროებით დატვირთულ, ორმეტრიან მცენარეთა შორის. ზურგჩანთა გაავსო და ხვნეშით მიიტანა სახლში. ბუხარში ცეცხლი დაანთო, ზედ ვედრით წყალი შემოდგა, ნაწილი სიმინდისა მოხარშა, ნაწილი ღადარში შეწვა; დანარჩენი ზურგჩანთით საწოლის ქვეშ შეინახა, მერე დაჯდა და მზარეულის მიერ გამოტანებულ საგზალთან ერთად მოულხინა. რაც დარჩა, ქვაბთან საწოლის ქვეშ შედგა. ისე გაძღა, ვეღარ სუნთქავდა; საწოლზე გადაწვა და ხვნეშ-ხვნეშით ჩაეძინა.

ოთახში შემოსული სტუდენტების ხმაურზე გაეღვიძა, სასწ-

რაფოდ აიღო პირსაწმენდი და თავი შეიკრა.

—დაგინახე, დაგინახეთ! სიმულიანტო! — მეორე ოთახიდან დაუძახა თამაზ ბერიძემ.

ტარიელს პასუხი არ გაუცია. ხმამაღლა კვნესას მოჰყვა.

გიგამ ძეხვი, პური და მოხარშული ძროხის ხორცი მოუტანა.

— კიდევ ცუდადა ხარ? — ჰკითხა.

— დღეს თავი ვერ ავწიე მაღლა, მისკდება, ისე მტკივა. — კვნესით უპასუხა ტარიელმა.

— ადექი, პური ჭამე, მე თავის ტვიკილის წამალს მოგიტან; ექიმსაც გავაფრთხილებ, რომ მოვიდეს.

— არა, ექიმი არ მინდა! — გველნაკბენივით წამოხტა ტარიელი. — მარტო წამალს დავლევ და მიშველის ალბათ.

— ექიმი რას დაგიშავებს, გაგსინჯოს, იქნებ რა გტკივა!

— მაგას სიზარმაცის მუცლის გვრემა აქვს! — არ ისვენებდა მეორე ოთახში თამაზ ბერიძე. — სახრე უნრდა გვერდებში, ხელად გაუვლის აფერისტობით შეძენილი ავადმყოფობა.

— კარგი, თამაზ, კარგი, შენც რომ გახდები ავად, მეც ეგრე ვიტყვი! — ტირილის ტონით უსაყვედურა ტარიელმა.

გიგას ცოდვით გული დაეწვა.

— ადექი, ჭამე და წამალს ეხლავე მოგიტან, ექიმთან კი, თუ არ გამოკეთდი, მაშინ წავალ.

— საჭმელი კი არა, ნერწყვის ჩაყლაპვა მიჭირს, — შესჩივლა ტარიელმა.

— სიცოცხლე გეზარება, სიცოცხლე, „ინიციატორო“! ენა კარგად გაქვს გატლეკილი. კედლის გაზეთში ისე დაუხატიხართ, ჩაის ბუჩქისაკენ ხელგაწვდილი, უცხომ რომ ნახოს, ეგონება, მარტო ამას არ ეყოფა მოსაკრეფად ამოდენა პლანტაციებიო, — ბუზღუნებდა თამაზი. დანარჩენი ბიჭებიც დამცინავად იღიმებოდნენ.

— ეხ. შემეძლოს! სულ ეგრე ცუდად ხომ არ ვიქნები! — ტარიელი პირქვე გადაბრუნდა და სლუკუნი დაიწყო.

— ერთი-ორი დღე ვუყუროთ და თუ კიდევ გააგრძელებს თავის მაიმუნობას, მერე მოვუწყოთ კონცერტი, — ასე ბჭობდნენ ბიჭები მეორე ოთახში.

„რაო, ორი დღე კიდევ ვაცადოთო!“ – ყური ცქვიტა ტარიელმა, „მერე კიდევ კონცერტს მოვუწყობთო“? გიგას ჩემთვის ორი ნორმა დაუწერია, ეს ძალიან კარგია! ორი დღე კიდევ წავიყალთაბანდებ და მერე ვნახოთ, მანამდე, ალბათ გიგა ყოველდღე ჩემ წილსაც იმუშავებს, რა უჭირს კარგი ვირია, აიტანს, მე კი ისე მოვისაწყლო თავი, იქნება მეხვეწებოდეს, ხელი არ გაატოკო, სულ მე ვიმუშავებო,“ – ესაუბრებოდა თავის თავს პირქვე დამხობილი ტარიელი და თან ჩუმად ხითხითებდა? დროგამოშვებით კი ხმამაღლა ამოიკვნესებდა ხოლმე, ისე რომ მეორე ოთახში ბიჭებს გაეგოთ.

კიდევ ორი დღე იავადმყოფა ტარიელმა. მზარეული და მოპირდაპირე ფერდობზე გალაღებული სიმინდის ყანა სიკეთეს არ აკლებდნენ; ყოველ საღამოს გიგა იმდენ საჭმელს უზიდავდა, მარტო ის ეყოფოდა. საწოლის ქვეშ დამალული ქვაბი და ზურგჩანთა რომ გავსებული ჰქონდა, ამას არავის არ ეუბნებოდა და არც არავინ უმოწმებდა. მუშაობით დაღლილი ბიჭები საწოლზე წამოწოლილები ცოტა ხანს წაისაუბრებდნენ, მერე კი გათენებამდე ფეხგაუნძრევლად ეძინათ. მთელი დღის ძილით ნაგვემი ტარიელი კი საწოლში შამფურივით ტრიალებდა.

– რას იზამ, ტარიელ, არც დღეს წამოხვალ სამუშაოდ? როდემდე უნდა იყო ქოსმენივით ბინაზე, ხომ დაიბწკვინე ბეწვი, რაღა გინდა; ახლა წამოდი, ცოტა ობი გაიყრევინე, სანამ მოთმინების ფიალაში კიდევ დარჩა პატარა ადგილი! – შეუტია მეოთხე დილას თამაზმა.

– რა გინდა, შენსას ვჭამ?

– ჩემსას კი არა, ამ კეთილ ბიჭს რომ წურბელასავით წუწნი, არა გრცხვენია?!

– შენ რა გინდა, გიგას ენა არა აქვს?

– შე მათხოვარო, ადამიანი ჰგონიხარ და მაგისი კეთილი გული ვერ ისვენებს, რომ არ მოგეხმაროს; ვერა ხვდება რა ვირიშვილი ხარ!

– აბა, აბა! – ტარიელმა თამაზისკენ მიიწია.

–დედას გიტირებ! სულ გამოგიბერტყავ რაც აფერისტობა გაქვს! – თამაზმაც გაიწია გასარტყმელად, მაგრამ ბიჭები შუა-

ში ჩაუდგნენ და გააშველეს.

გიგა პირისაბანიდან რომ მობრუნდა, ინციდენტი უკვე განეიტრალებული იყო.

— დღეიდან თუ არ ივლი სამუშაოდ, გაჩვენებ როგორი „ინიციატორი“ ხარ, შე ნამუსგარეცხილო! — არ ცხრებოდა თამაზი.

ტარიელი ბურტყუნ-ბურტყუნით ემზადებოდა სამუშაოზე წასასვლელად. გიგას დანახვაზე კვნესას მოუმატა, ტირილის ტონით შესჩივლა:

— მაგათაც ამხანაგები ჰქვიათ, რაღა! ავადმყოფს მაძალებენ, სამუშაოდ წამოდიო, შურთ ჩემი ყველაფერი!

— არა, ტარიელ, შენი არავის არაფერი არა შურს, ან რა უნდა შურდეთ? არაუშავს, წამოდი, მე მოგეხმარები, — ბოლო დროს გიგაც დარწმუნდა, რომ ტარიელი თვალთმაქცობდა, მაგრამ არ შეუტყვია; მის ნორმასაც ჩვეულებრივ კრეფავდა. ბიჭების ბობოქრობაზე გულუბრყვილოდ გაიღიმებდა ხოლმე. მოთმინებით აგრძელებდა ექსპერიმენტს, სიკეთე სიკეთისკენ მოაბრუნებდა თუ მის მოსარჯულებლად სხვა წამალი დასჭირდებოდა.

— არა უშავს, ფიზიკურად სუსტია და ეპატიება, მე რაღა მაკლდება, დავუკრეფავ, მაინც ხომ ვმუშაობ.

მთელი კვირა ტარიელი გიგას არ მოსცილებია, პლანტაციაში სულ უკან დასდევდა და კვნესით უკოდავდა გულს.

— წადი, ტარიელ, წამოწექი, დაისვენე, მე დავკრეფავ და შენ სავსე კალათი წაიღე ჩასაბარებლად, — ეუბნებოდა გიგა. ისაც კვნესა-კვნესით მონახავდა ძლიერ ჩაის ბუჩქს, რბილად დაწვებოდა და მარტო დარჩენილი დიდხანს ხითხითებდა, „ეს რა კარგი სახედარი ვიშოვეო“. გიგას კი იმედი ჰქონდა, რომ სიკეთით ტარიელში პატიოსანი ადამიანის გრძნეობას გააღვიძებდა.

ექიმთან

როცა ხელმძღვანელი შემოივლიდა ბრიგადაში, ტარიელი სულ უკან დასდევდა, სხვების მაგივრადაც სულ ის პასუხობდა. ერთხანს მასაც მოსწონდა ეს პირმოთნე სტუდენტი, რომელიც საუბარში ოსტატურად ურევდა მის ქებას. გიგა კი არასდროს არ შეხვედრია, პლანტაციიდან არ გამოდიოდა, დინჯად და თა-

ვაუღებლად მუშაობდა.

— კოტე მას, იქნება ერთი დღით დამითხოვო, ბოლო დროს ძალიან შემაწუხა ღვიძლმა, არა ვკისრულობდი, მაგრამ ხომ იცით, ამ დაავადებას ხუმრობა არ უყვარს, — უთხრა ტარიელმა ხელმძღვანელს მორიგი შემოვლის დროს.

მანაც დიდი თანაგრძნობით გაიზიარა ტარიელის მდგომარეობა, დაარიგა, თავს გაუფრთხილდიო და თან წერილიც გაატანა ექიმთან, სთხოვდა, გამოეკვლიათ და ეცნობებინათ ამ სტუდენტის მუშაობა შეიძლებოდა თუ არა.

საღამოს ტარიელმა ისევ მოუმატა კვნესას.

— ძალიან ცუდად ვარ, მახარაძეში ექიმთან უნდა წავიდე, შეიძლება საავადმყოფოში დამაწვინონ, ღვიძლი ისე მტკივა, — შეაბრალა თავი გიგას.

— ეგრე თუა მარტო როგორ წახვალ, გზაში ცუდად არ გახდე!

— აბა, მაშ ვინ გამომყვება.

— ხვალ ხელმძღვანელს დავეთხოვები და მე გამოგყვები.

— რა საჭიროა დათხოვნა, სანამ ხელმძღვანელსა ნახავ, კიდევაც ჩამოვალთ, რა მოხდება ერთი დღე უნებართვაოდ რომ გავაცდინოთ.

— შენც ერთი, ჯგუფხელი ჩვენსავით სტუდენტი არ არის!

მეორე დღეს გიგამ მაინც დააბარა ბიჭებს ჯგუფხელთან, ტარიელი ავად გახდა, მახარაძეში ექიმთან მივყვებიო; თვითონ კი დილაადრიან მახარაძეში მიმავალ სატვირთო ავტომანქანას გაჰყვნენ.

ექიმი ჭაღარა, ხანშიშესული კაცი იყო; ტარიელი გულმოდგინედ გასინჯა:

— რა გტკივა, ბიძია? — უკვე მერამდენედ ჰკითხა.

— ღვიძლი მტკივა, ხომ გითხარით, პირდაპირ მაგიჟებს.

— აბა, რა ადგილას გაქვთ ტკივილები, მაჩვენეთ!

ტარიელმა მარცხენა მხარეს დაიდო ხელი, სადაც ელენთაა.

— ადრეც გტკიოდათ?

— ბავშვობიდან გატანჯული ვარ.

— მაინც როგორი ტკივილები გაქვთ? მწვავე, თუ ისეთი,

გაძლება რომ შეიძლება? – ექიმს ირონიული ღიმილისმაგვარი გამომეტყველება არ სცილდებოდა სახიდან.

– გაძლება კი არა, პირდაპირ მაგიჟებს, აი, კბილი რომ გტკივათ, იმაზე უარესია.

– იქნება კბილი გტკივა და შენ ღვიძლი გგონია? – გაეცინა ექიმს. – აბა პირი გააღე!

ტარიელს არცერთი კბილი არ აკლდა, არც დაზიანებული ჰქონდა რომელიმე.

– ოოო! შენი კბილების საქმე ცუდად არის, ალბათ, ხშირადა გტკივა ხოლმე, არა?

– არა, კბილი ჯერ არ მტკივებია.

– მაშ რა იცი, როგორი ტკივილი იცის კბილმა?

ტარიელი ცოტა შეცბუნდა, მაგრამ თავი ხელში მალე აიყვანა.

– ჩვენს მეზობელსა სტკიოდა ერთხელ, მთელი ღამე არ დაგვაძინა, ისე ღრიალებდა.

– ღვიძლიც იმ შენ მეზობელს ხომ არა სტკიოდა?

– ისე ავადმყოფი კაცია, ყველაფერს უჩივის, – ვერ მიუხვდა ექიმის შეკითხვას ტარიელი.

– ერთხელ არა ჰკითხე, ღვიძლის ტკივილი როგორია, ან რა ადგილას მდებარეობს?

ტარიელი მიხვდა, რომ მისი ავადმყოფობისა არა სჯეროდათ.

– პატივცემულო ექიმო, იქნებ მომცეთ ცნობა, ერთი კვირით რომ დავისვენო მაინც, ძალიან დავიღალე, ისე, ფილტვებიც სუსტი მაქვს, ხშირად მახველებს; შეიძლება ჭლექიც გამიჩნდა, ვინ იცის, – ტარიელმა განგებ ხველა დაიწყო.

– ეგრე გეთქვა, შე კაი კაცო, მე ძალიან ვაფასებ პირდაპირ, ვაჟკაცურ ბიჭებს. მოკლედ, ჯანმრთელი ხარ, მაგრამ ცნობა გინდა, რომ არ გამუშაონ. შენ პირველი კი არა ხარ, ყველა შანსიანი ეგრე იქცევა. – ექიმი მაგიდას მიუჯდა და კალამი აიღო.

– ჰო, რა ვიცი, თქვენ რაღა გესწავლებათ, – დარცხვენით ჩაიღიმა ტარიელმა.

ამ დროს კარები გაიღო, გიგამ შემოყო თავი და ისევ მიიხურა.

— ვინ არის ეგ? — იკითხა ექიმმა.

— ჩემი თანაკურსელია, გიგა ძამიაშვილი.

— უთხარი, შემოვიდეს.

გიგა თავაზიანად შევიდა ექიმის კაბინეტში.

— შენ რაღა გტკივა, ბიჭო? — ჰკითხა ექიმმა.

— არაფერი.

— აბა, აქ რაზე მოხვედი?

— ამხანაგი გახდა ცუდად და წამოვყევი. ხომ არაფერია საშიში?

— როგორ არა, ძალიან საშიში დაავადება სჭირს, მკურნალობაა აუცილებელი, თორემ შემდეგში შეიძლება საზოგადოებისათვის საშიშიც კი გახდეს. შენ არ გინდა ცნობა?

— რა ცნობა?

— ერთი კვირით ჩაის კრეფიდან რომ განთავისუფლდე.

— მაგისათვის ვარ ჩამოსული და ჩემი მოსაკრეფი ამხანაგებს დავუტოვო? მე რაღა გავაკეთო, მუქთად ვიყო? ხომ დავიწვი სირცხვილით! რა შემატყვეთ პატივცემულო ექიმო, სამაგისო?! — იწყინა გიგამ.

— ჰოო, — ექიმმა მარჯვენა ხელით ნიკაპი მოისრისა, — ნამდვილად ბოდიშის მოხდა მეკუთვნის. ისე გავერთე, რომ ყველას ერთი საზომითა მივუდექი. დაბრძანდი, გენაცვალე, ეხლა შენ ამხანაგს განთავსიუფლების ცნობას დავუწერ და მერე რამდენიც უნდა იმდენი იზარმაცოს, კაცის შვილი აღარ ეტყვის, იმუშავეო. ამას არაფერი სტკივა, ცნობა სჭირდება, რომ თავი დააღწიოს მუშაობას. ეს ჩემთვის არაფერია, შენც იმიტომ გკადრე ის კითხვა, — ექიმმა წერა დაამთავრა, ქაღალდი დაკეცა, კონვერტში ჩადო, წამოდგა და ტარიელს გადასცა:

— აჰა, ბიძიკო, იქნება წამლად გამოგადგეს, — დააყოლა.

მერე გიგას გამოემშვიდობა, ხელი ჩამოართვა, თბილად გაუღიმა, — აბა, ნახვამდის ახალგაზრდა, ძალიან მომეწონე. საიდანა ხარ?

— კახეთიდან.

— მშობლები?

— დედა მყავს მარტო, მეურნეობაში მუშაობს.

— ხომ არაფერი გჭირდება?

— არა, რა უნდა მჭირდებოდეს.

— ისე გითხარი, ყოველშემთხვევაში. თუ რამე დაგჭირდეს, ექიმი სიმონ კალანდარიშვილი შენი მეგობარი ვარ; არაფრით არ მომერიდო, სიბერეზე ხომ არა მწუნობ, ბიჭო! — ჭაღარა ექიმმა გიგას მხარზე მოხვია ხელი და კაბინეტიდან გაიყვანა.

— არ დაგავიწყდეს, რაც გითხარი, გიგა! — ღვიძლი შვილივით თბილი მოფერებით გააცილა გიგა, ტარიელის არსებობა აღარც კი გახსენებია.

— ვინ იყო ის ახალგაზრდა, ექიმო, თქვენი ნათესავია? — ჰკითხა მოსაცდელში შემოსწრებულმა ექთანმა ქალმა.

— ჩემი დისშვილია, ვენაცვალე, გამახარა ძალიან!

— რაღაც არ გამიგონია, რომ თქვენ და გყავდათ.

— ყველა ჩემი დაა, ვინც კარგ შვილებსა ზრდის. ყველა კარგი ახალგაზრდაც ჩემი შვილია; ვინა თქვა, რომ სიმონი უშვილოაო! შემობრძანდეს ვისი რიგიც არის! — მიმართა კედელთან მიდგმულ სკამზე მსხდომ ავადმყოფებს და კაბინეტში შევიდა.

მახარაძიდან უკან ავტობუსით დაბრუნდნენ. გიგა უხასიათოდ იყო, ხმას არ იღებდა. ნახევარი გზა ისე გამოიარეს, ერთმანეთს არ დალაპარაკებიან. ბოლოს სიჩუმე ტარიელმა დაარღვია:

— რა გინდოდა, მოეცა შენთვისაც ცნობა, მთელი კვირა თავისუფალი იქნებოდი.

— ეხლა როგორ, თავისუფალი არა ვარ? ყალთაბანდობა რომ მდომებოდა, სულ არ წამოვიდოდი; ბიჭებს გავუხადო სათრევად ჩემი წილი?

— კაცო, ყველამ თავის თავს მოუაროს, იმათი რა ჯავრი გაქვს. ბიძაჩემი მოგცემდა ცნობას, შენთვისაც ვთხოვე, განა მარტო ჩემთვის ვიზრუნე?

— მე უფრო ვარ შრი-ლანკის თავდაცვის მინისტრი, ვიდრე ის ექიმი შენი ბიძაა. გახსოვდეს: ტანით პატარა დასაძრახი არ არის, სულით სიმცირე კი არც დიდს და არც პატარას არ ეკადრება! — გიგას ამის შემდეგ საუბრის სურვილი აღარ გამოუმჟღავნებია.

უკვე ბინდდებოდა. ბიჭები სახლში იყვნენ. ახალი ამბავი და-

ახვედრეს: — დეკანის მოადგილე ჩამოვიდა და უნებართვო გამცდენებს სასტიკად უპირებს დასჯასო.

მეორე დღეს, დილით კედელაშვილმა მიაკითხა გიგას და დეკანის მოადგილესთან თვითონ გაჰყვა.

— ტარიელიც წავიყვანოთ, ცოდოა, ერთი ორი სიტყვა წაახმარე, — სთხოვა გიგამ.

— მაგას ჩემი სიტყვის წახმარება არა სჭირდება! — ბრაზიანად თქვა მიხეილმა. — წავიდეთ, თუ მე არ ჩავერიე, ისეთი გაბრაზებულია, შეიძლება სულ გაგიშვას აქედან.

— ტარიელს რაღა ეშველება, მაგასაც წაეხმარე; ერთად ვიყავით და არაფრით არ დავუშვებ, ეგ დასაჯონ და მე გადავრჩე!

— წამოდი, წამოდი, დასახმარებელი შენა ხარ, მაგას არავინ დასჯის.

— არა, ეგრე არ მინდა, თუ ტარიელს დასჯიან, მეც უნდა დავისაჯო!

— კარგი, წამოდი და ეს ყველაფერი დეკანს უთხარი, — ირონიულად გაეღიმა მიხეილს.

— კარგი, ამ პირობით წამოვალ, ბოდიშს მოვუხდით ორივეს მაგიერ! — გადაწყვიტა გიგამ.

შტაბის ოთახში დეკანის მოადგილე და კოტე ხუციშვილი ისხდნენ. მიხეილმა შესვლის ნებართვა ითხოვა და გიგას შიგნით შეუძღვა.

— სად იყავ გუშინ, ახალგაზრდავ?! — შესავლის გარეშე დაიწყო დეკანის მოადგილემ.

— ბოდიშს ვიხდი, პატივცემულო, დავაშავე და ყოველგვარ სასჯელს ვიმსახურებ. — გიგას უნდოდა ეთქვა, ავადმყოფ ამხანაგს გავყევი ექიმთანო, მაგრამ შერცხვა ავადმყოფის ხსენება, — ამხანაგს გავყევი ექიმთან და... თუ მაპატიებთ, პირობას გაძლევთ, გუშინდელსაც და ყველა სხვა დღეების დავალებებს სამმაგად შევასრულებ და ამით გამოვისყიდი ჩემს დანაშაულს.

დეკანის მოადგილეს მოეწონა გიგას პასუხი, უცებ მოლბა და ჭექა-ქუხილის განწყობილება სადაროდ შეეცვალა.

— როგორი სტუდენტია? — ჰკითხა კოტე ხუციშვილს.

მიხეილმა აღარ დააცალა და თვითონ უპასუხა: — ჯგუფში

კი არა, ალბათ, მთელ კურსზე ამისთანა ბეჯითი და წესიერი სტუდენტი არ იქნება.

— თქვენც ამ აზრისა ხართ? — ისევ შეეკითხა კოტეს.

— ცოტა პირველად ჰქონდა გამოხდომები, მაგრამ მერე გამოსწორდა, კარგად წაიმუშავა.

— „პირველ გამოხდომებს“ დეკანის მოადგილემ ყური არ ათხოვა, თუ საერთოდ გამორჩა ყურადღებიდან, კმაყოფილებით მოისრისა ხელები.

— აბა, მაშ კარგი, გუშინდელი დღე მიპატიებია შენთვის, ოღონდ განმეორებას არ გაპატიებთ, იცოდე!

— ვეცდები თქვენი ნდობა გავამართლო, დიდი მადლობა, პატივცემულო!

— წადი ახლა და შეუდექი მუშაობას.

გიგა კარებთან შეყოყმანდა, რაღაცის თქმა უნდოდა, საკუთარი თავი და მორიდება რაღაცაზე დაობდნენ. ბოლოს გადაწყვიტა, უკანვე შებრუნდა და დეკანის მოადგილეს მიმართა:

— პატივცემულო, ჩემთან ერთად სტუდენტი ტარიელ სისაურიც იყო, ექიმთან იმას გავყევი, გთხოვთ, არც ის დასაჯოთ და პირობას გაძლევთ, მსგავსი ამბავი აღარ განმეორდება!

— ვის მაგიერ იძლევი პირობას, გიგა! იმან წინასწარ უზრუნველყო თავისი საქციელი, შენსავით მიამიტი კი არ არის! — ვეღარ მოითმინა მიხეილმა.

— ეგ რომელი სისაურია?

— მე დამეთხოვა, ძალიან წესიერი ბიჭია, დაუკითხავად ერთ ნაბიჯს არ გადადგამს. ეს კი სადგურიდან მოყოლებული ახალ-ახალ უხერხულობებს გვიქმნის! — აღარ შეიკავა თავი კოტემ.

— როგორ, ეს ახალგაზრდა სხვა დროსაც შეიმჩნეოდა უდისციპლინობაში? — დეკანის მოადგილეს ისევ დაეტყო სიმკაცრე. — მე მეგონია, თუ ასეა, სჯობს ეხლავე გავაგზავნოთ უკან და იქ, ინსტიტუტში ვიმსჯელოთ ამის შესახებ.

— უდისციპლინო კი არა, ამაზე წესიერი სტუდენტი არა გვყავს, თუ ნებას მომცემთ, გიგა გავიდეს გარეთ და ყველაფერს მოგახსენებთ, — მიხეილის ხმაში უკმაყოფილობა იგრძნობოდა.

— თქვენ არ იზიარებთ ბატონი კოტეს აზრს?

— ვიზიარებ კი არა, საწინააღმდეგოს დაგიმტკიცებთ თუ მომისმენთ.

— აბა გვითხარი, რაშია საქმე?

— გიგას დასწრება არ არის საჭირო ამ საუბარზე.

— ახალგაზრდა, თქვენ გარეთ მოიცადეთ! თუ საჭირო იქნება, დაგიძახებთ! — მკაცრად უთხრა დეკანის მოადგილემ.

მიხეილ კედელაშვილი ინსტიტუტში წარმოებიდან მოვიდა. წლების განმავლობაში მოწინავე მექანიზატორი იყო; მთავრობის ჯილდოებიც დაემსახურებინა. საქმიანი და პირდაპირი ვაჟკაცი ინსტიტუტში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. უყვარდა წესიერი სტუდენტები; სიმართლისათვის ხომ, თუ საჭირო იყო, რკინის ქალამნებს ჩაიცვამდა; პროფესორ-მასწავლებლებიც სათანადოდ აფასებდნენ მას.

— აბა, ახლა გვითხარი, რატომ არ ეთანხმები ბატონ კოტეს?! — დეკანის მოადგილემ მიხეილს მკაცრად მიმართა.

— მე ბატონ კოტეს ყოველთვის ვაფასებ და პატივს ვცემ, მაგრამ ერთ საკითხში პატარა გაუგებრობა მოხდა: სისაური ყალთაბანდი და ზარმაცი სტუდენტია, ოღონდ მეტიჩარაა და უფროსების წინ დროებით თავის გამოჩენას ახერხებს ხოლმე. ასე მოხდა აქაც, სადგურში აყალ-მაყალი მან ატეხა, გიგამ გააშველათ და ის მოხვდა ხულიგნების სიაში. სისაურმა მიტინგზე ინიციატივა აიღო ისე, როგორც ყველა მეტიჩარას სჩვევია ხოლმე და ამით დაამთავრა თავისი საქმე; ერთი დუყიც არ მოუკრეფია, რაც აქ არის.

— არა ხარ მართალი, მიხეილ, ყოველდღე თითქმის ორმაგად ასრულებს ნორმას! — შეედავა კოტე.

— ჰოდა, მეც მაგის თქმა მინდოდა, სწორედ, აი, ეს ახალგაზრდა, თქვენ რომ არ მოგწონთ, თავის ნორმასაც კრეფავს და მასაც უნაწილებს, ინიციატორია და არ შერცხვესო. იმას კი ნამუსი არა აქვს, ბოროტად იყენებს კეთილი ბიჭის ზრუნვას. ექიმთან წასვლაზეც იმან აიძულა, არც გააგებინა, თვითონ რომ დათხოვილი იყო; ამას კი ურჩია არ დასთხოვებოდნენ უფროსებს.

— კი მაგრამ, მიხეილ, მოკრეფილის აღრიცხვას ხომ შენ აკე-

თებ?! — გაიკვირვა კოტემ.

— მე რომ ვაკეთებ, იმიტომ ვამბობ, რომ სისაურს გრამიც არ მოუკრეფია, ამ ახალგაზრდას ყავს აყვანილი ბუქსირზე. რაც შეეხება იმას, თუ რატომ თავის დროზე არ აღვკვეთე ეს, მინდა გითხრათ, რომ მაინტერესებდა, როდემდის ეყოფოდა სისაურს უსინდისობა, გიგას კი კეთილი ადამიანის ბრმა კაცთმოყვარეობა, როგორც ხედავთ შევცდი: პირველს სინდისი სულ არ აღმოაჩნდა, მეორეს კი კეთილი ადამიანის უძირო კაცთმოყვარება არ ამოეწურა.

— შეხედე, კაცო, რა ყოფილა! — შუბლზე შემოიკრა ხელი კოტემ. — ადრე უნდა გეთქვა ეს ჩემთვის, მიხეილ.

— მე ამის თქმასაც არ ვაპირებდი, მაგრამ იძულებული გავხდი, ცოდოა ეს კეთილი ბიჭი, არ იცის, რომ სისაური დათხოვილი იყო და სულ იმას ცდილობს, როგორმე სასჯელიდან გადაარჩინოს.

— წარმოგიდგენია! რა დიდი ადამიანის ბუნება იმალება თურმე მაგ ბიჭში, — დეკანის მოადგილე ნერვიულად ისრესდა ნიკაპს. — მე საწყენი ხომ არაფერი მითქვია? — ბოდიშის მოხდის ტონით ჰკითხა მიხეილს.

— არა, ბატონო, თქვენ რაც უნდა გეთქვათ, იმან იცის, რომ იმსახურებს.

— აბა, ერთი სთხოვე, შემოვიდეს.

— გიგა, რა გინდა, რასა მთხოვ, რომ შეგისრულო? — თბილად ჰკითხა დეკანის მოადგილემ.

— სისაური არ დასაჯოთ, პატივცემულო.

— წარმოგიდგენია?! — დეკანის მოადგილემ ხელების სრესვით შეხედა ჯერ მიხეილს და მერე კოტეს.

— გიგა, სისაური წინა დღეს მე დამეთხოვა, ექიმთან უნდა წავიდეო ისე, რომ ამ საკითხში დასასჯელი არაფერი აქვს. რაც შეეხება იმას, რომ შენ გააცდინე დაუკითხავად, ეს არაფერია, რადგან შენი პატიოსანი სიტყვისა გვჯერა.

— სისაური თქვენ დათხოვილი გყავდათ?! — ერთ წამში გაკვირვებამ გადაურბინა გიგას, მალე ისევ აიყვანა თავი ხელში.

— ჰო, მე დავითხოვე, შენ რა, არ იცოდი, ამის შესახებ? თუ

სისაურმა გითხრა, დათხოვნა არ არის საჭიროო; ეს როგორი ამხანაგობაა! თვითონ დამეთხოვა, შენ კი არ გაგაფრთხილა. არ იცოდი, რომ სისაური დათხოვილი იყო?

გიგა ცოტა ხანს შეყოვნდა, უცებ ვერ უპასუხა.

— ჰო, არ იცოდი, არა?

— ვიცოდი, პატივცემულო, მაგრამ... ბოდიშს ვიხდი, მეორედ აღარ გავიმეორებ.

დეკანის მოადგილემ და კოტემ გაკვირვებით შეხედეს ერთმანეთს.

— წადი, გიგა, წადი! — დეკანის მოადგილემ ვეღარ შეიკავა გრძნობები, წამოდგა, გიგას ხელი ჩამოართვა, მერე მარცხენა ხელი გრუზა ქოჩორში შეუყო, აუჩეჩა, მაგრად მობღუჯა, თავისკენ მიიზიდა და შუბლზე აკოცა. — წადი, გიგა, წადი! — რაღაც თბილის, საალერსოს თქმა უნდოდა, მაგრამ საამისო სიტყვა ვერ მოძებნა. კარებამდის მიაცილა, მხარზე ხელი დაარტყა და კიდევ უთხრა: — წადი, გიგა, წადი! — ეს სიტყვები ყოველგვარ მოფერებაზე თბილად ჟღერდა.

მხილება

მზიანი დღე იყო. ლურჯ ცაზე ღრუბლის ერთი ნაგლეჯიც აღარ შერჩენილიყო. დარიანი ამინდი სიხარულისა და შრომის განწყობილებაზე აყენებდა ყველას. სტუდენტებიც მხიარულად შეფენოდნენ დილის ნამშეუშრობ ჩაის ბუჩქებს. გიგამ და მიხეილმა დროზე მიუსწრეს სამუშაოდ მიმავალ ავტობუსს.

მიხეილმა საზეიმოდ გამოაცხადა, რომ გიგას გუშინდელი გაცდენა აპატიეს იმ პირობით, რომ ჩაის კრეფაში შენზე წინ არავინ გაუშვაო.

— თუ ეგრეა, ყველა მივეხმარებით! — აყაყანდნენ ბიჭები.

— ამას არავისი მიხმარება არ უნდა, ზურგზე ნურავინ წამოეკიდება, თორემ მოწინავე არ არის ისედაც, — ორაზროვნად თქვა მიხეილმა და ყველაზე მაღალხმაზე მოყაყანე ტარიელს გადახედა.

არა, გიგა უკვე აღარ აპირებდა ტარიელისათვის დაეწერა მოკრეფილი ჩაი. ეს გადაწყვეტილება მაშინ მიიღო, ექიმიდან

რომ ბრუნდებოდნენ. მიხეილმა კი თავისი ამ სიტყვით გიგასაც აგრძნობინა, ტყუილად აღარ ეცადო, შენ მოკრეფილ ჩაის ტარიელს აღარ დავუწერო; თუმცა ეს საჭირო აღარ იყო.

შუადღემდე სდია ტარიელმა გიგას, ათას რამეზე მსახიობობდა და ყბედობდა.

— მაგ ლაპარაკს, ჩაის კრეფა გირჩევნია, — რამდენიმეჯერ შეახსენა გიგამ.

— ვაი, ცუდად ვარ, თავბრუ მეხვევა! — ბოლოს წუწუნს მოუმატა ტარიელმა.

— ჩემთან რად გინდა ეგ თვალთმაქცობა, ხომ ვიცი, რომ არაფერი გტკივა, სხვა კი არავინ გისმენს; გირჩევნია ჩაი მოკრიფო, თუ რაიმე გტკივა, მაშინვე მოგირჩება, — ურჩია გიგამ.

ასეთი ადვილი დასაყოლიებელი არ იყო ტარიელი. მზემ რომ ძალა მოიკრიბა, ტუნგოს ჩრდილში დროებით მოფარებული ჩაის ბუჩქი მოძებნა და განცხრომით გაიშოტა ზედ.

სადილისათვის გრამიც არ ჰქონდა მოკრეფილი. ტარიელმა ჩვეულებისამბერ მიხეილს ჟურნალი გაუსინჯა, ამ დროს გიგას მის სახელზე უკვე ერთი კალათი ჩაი ჰქონდა ხოლმე ჩაბარებული. „ალბათ შუადღის შემდეგ დამიკრეფავს“, დაიიმედა თავი და სტვენით დადო ჟურნალი.

ტარიელი ანგარიშში მოტყუვდა, საღამოს გრამი ჩაიც არ იყო მის სახელზე მოკრეფილი. იმ დღეს გიგამ ორნახევარი ნორმა მოკრიფა და პირველ ადგილზე გავიდა.

— როგორ არის საქმე, გასტროლიორობას აღარ უნდა შეეშვა? არა კრეფავ! — უსაყვედურა მიხეილმა ტარიელს.

— ავადა ვარ, კაცო, რატომ არ გჯერათ! დღემდე ხომ ორმაგად ვასრულებდა სტუდენტის დღიურ ნორმას.

— შენ არ ასრულებდი, გიგა გიწერდა. დღეს რომ აღარ მივეცი უფლება, ხომ გაირკვა, რა კაციც ხარ!

— რა გინდა, დამიწეროს. ისეთი რა მტრობა გაგახსენდება ჩემი, ეგრე რომ მექცევი!

— შენ რა მტრობა გაგახსენდება გიგასი, ეგრე რომ ექცევი, წურბელასავით წუწნი; დღეიდან იმედი არ გქონდეს, ერთი გრამიც რომ დაგიწეროს ვინმემ.

— არ დამიწერენ და არც მინდა, მე ჩაის კრეფისაგან განთავისუფლებული ვარ.

— ვინ გაგანთავისუფლა?

— ექიმმა.

— სიმულიანტობას რომ ვერ შეგატყობს, ექიმი კი არა, ვეტექიმი უნდა იყოს!

— ბიძაჩემია ექიმი, — ხმას დაუწია ტარიელმა, — შენც თუ გინდა, როცა იტყვი, მაშინ დავაწერინებ ცნობას.

— საწყალი ბიძაშენი! — თქვა მიხეილმა და მოსაუბრეს ზურგი შეაქცია.

ტარიელი მეორე დღესაც წავიდა პლანტაციაში, მაგრამ არაფერი არ გაუკეთებია, გუნებაში ეცინოდა, „ჯერ ვალაყბებ ამათ, რატომ არ მუშაობო, მერე კი, როცა საქმე საქმეზე მივა, ამ ჩემ ცნობას თვალებზე მივაფარებ“. ასე გაგრძელდა მესამე დღესაც და საღამოს სასადილოს კედლის გაზეთთან დიდი თავშეყრა იყო.

— ჩვენც გვანახვეთ! — ყვიროდნენ უკანა რიგებში დარჩენილები, წინ მდგომნი კი სიცილ-ხარხარით იკლებდნენ იქაურობას.

„ინიციატორის მხილება“ დიდი სათაურით იწყებოდა სპეციალური იუმორისტური ნომერი, რომელიც კედლის გაზეთის ჩარჩოში მოეთავსებინათ. „ტარიელ სისაურის სიტყვა და საქმე“ ეს წარწერა ამშვენებდა ნახატს, რომელსაც სისაურის თავი ედგა; გრძელი ენა მარჯვენა ზედა კუთხიდან, მარცხენა ქვედა კუთხეში დახატულ ჩაის ბუჩქებს სწვდებოდა, ხელები კი, უნდა ითქვას, საერთოდ არა ჰქონდა; ხელის მტევანი ზედ მხარზე მობმოდა და თითები საცოდავად გაეპარჭყა.

ენა სარეცხის თოკს უგავს,
ტრაბახია ცარიელი,
საქმეში ქარაფშუტაა,
დაპირებით ხვავრიელი;
ნეტავ ამ ნაცარქექიას
ვინ შეარქვა ტარიელი?!

ნახატის ბოლოში მიწერილი ლექსი მეორე დღეს ყველამ ზეპირად იცოდა. გართულდა ტარიელის მდგომარეობა და თავის საიმედო კოზირს მიმართა; საღამოთი შტაბში მაშინ მივიდა,



როცა ყველა ჯგუფის ხელმძღვანელები, მასწავლებლები და კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია იყო შეკრებილი. შორიდანვე ხმაური დაიწყო, რომ ყურადღება მიექცია:

— განა შეიძლება ჩემი ასე გამასხარავება? როცა თვითონ ექიმი მავალებს, არ იმუშაო, თორემ შეიძლება ძალიან ცუდად გახედო. ეს ცნობა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის დაწერილია, მე თუ არ მიჯერით, ამას მაინც დაუჯერეთ! — ტარიელმა კონვერტი ამოიღო ჯიბიდან და ყველას დასანახად მაღლა ასწია. — გთხოვთ კი არა, მოვითხოვ, ექიმის ცნობა წაიკითხოთ და კედლის გაზეთში დაწეროთ, რომ ის ყველაფერი ცილისწამება იყო! — ტარიელმა მარჯვენა ხელში მაღლა აწეული

კონვერტით პირდაპირ კოტეს მაგიდის წინ გაჩერდა და თავისი მხსნელი ექიმის ცნობა გადასცა.

— წაიკითხეთ პატივცემულო, და დარწმუნდებით, რომ მე არც თვალთმაქცი ვარ და არც ტუყილი დაპირებები ვიცი; უბრალოდ, ჯანმრთელობამ მიმტყუნა და რა ვქნა?!

კოტემ კონვერტი გახსნა, ექიმის წერილი ამოიღო და კითხვა დაიწყო, ყველა სულგანაბული უსმენდა.

ჯერ ღიმილი ათამაშდა მის სახეზე, მერე დაბალ ხმაზე დაიწყო სიცილი, კითხვა რომ დაამთავრა, მაშინ კი ახარხარდა.

— რა ეწერა ისეთი, ბატონო კოტე? — შემოეხვივნენ ცნობისმოყვარეები; კოტეს ხმის ამოღების თავი არ ჰქონდა, ქაღალდები მაგიდაზე დაყარა და სიცილისაგან მისუსტებულმა მუცელზე მოიჭირა ხელი.

— რა არის ისეთი, ბატონო კოტე! — დაინტერესდა ყველა.

— ხმამაღლა წაიკითხოს ვინმემ, — ძლივს მოახერხა ამის თქმა კოტემ და სიცილი გააგძელა.

ქაღალდი კედლის გაზეთის რედაქტორმა აიღო, ჯერ ხმადაბლა წაიკითხა და იმასაც აუტყდა სიცილი.

— წინასწარ ნუ კითხულობთ, თორემ ხმამაღლა ვეღარ წაგვიკითხია და ეგ არის! — დაიძახა ვიღაცამ.

ქაღალდი მიხეილ კედელაშვილმა აიღო, რომელიც იქვე იდგა და ხმამაღლა გამოაცხადა:

— სმენა იყოს და გაგონება! ვიწყებ კითხვას!

„პატივცემულ სტუდენტთა რაზმის ხელმძღვანელს, ამ წერილს გიგზავნით ექიმი სიმონ კალანდარიშვილი.

დღეს გავსინჯე თქვენი სტუდენტი, ტარელ სისაური. ძალიან მძიმე მდგომარეობაა, მეცოდება პირდაპირ, საწყალს ღვიძლი სტკივა და არ იცის, ღვიძლი სადა აქვს, ელენთაზე იდებს ხელს; ტკივილის სიმწარეს კბილის ტკივილისას ადარებს და თავის დღეში კბილი არ სტკივებია (შეგიძლიათ გაუსინჯოთ, იდეალური მდგომარეობა აქვს). თურმე მეზობლისაგან იცის, რომ კბილის ტკივილი ძნელი გასაძლებია. ბოლოს ფილტვების მდგომარეობაც გაიხსენა, მაგრამ მიუხედავად საუცხოო ფიზიკური ჯანმრთელობისა, მაინც ძალიან მძიმედ არის დაავადებული,

ამ დაავადებას ჰქვია პირველი ხარისხის სიმულიანტობა; ნამდვილად სჭირდება მკურნალობა: პირველ ეტაპზე, მე მგონია, საზოგადოებრივი გაკიცხვის ყველა ფორმა მოუხდება, თუ ამანაც ვერ უშველა, მაშინ ზემოქმედების ფორმების გაღრმავებას გირჩევთ.“ — ოთახში ისეთი ხარხარი ატყდა, რომ ექიმის ცნობის წაკითხვა შეუძლებელი გახდა. მიხეილი ცოტა ხანს გაჩუმდა; მსმენელები ერთიმეორეს აწყდებოდნენ. სისაური გამოლენჩებული იდგა და ვერ გამორკვეულიყო, რა ხდებოდა მის თავზე. სიცილი ცოტა შენელდა და მიხეილმაც გააგრძელა კითხვა:

„ამ ახალგაზრდას მეორე სტუდენტიც ახლდა თან, გიგა ძამიაშვილი, პირდაპირ აღფრთოვანებული ვარ მისით, რატომ? ამის დაწერა მე მგონია, არ არის საჭირო, რადგან ის თქვენ უფრო უკეთ გეცნობებათ; მე კი ნამდვილად მეამაყება, რომ ასეთი მომავალი თაობა გვეზრდება.

უმკურნალეთ სიმულიანტებს!

დიდი პატივისცემით, ექიმი სიმონ კალანდარიშვილი“.

აღარავინ იცინოდა.

— ნეტავ, რით მოაჯადოვა გიგამ ექიმი? — იკითხა ვიღაცამ.

— რითაც აჯადოვებს ალალი კაცი მასავით ალალ-მართალ ადამიანს! — საზეიმოდ გასცა პასუხი მიხეილმა; წერილი მაგიდაზე დადო და გარეთ გავიდა.

მეორე დღეს კედლის გაზეთს ტარიელის „ექიმის ცნობაც“ მიემატა. ხელნაწერის წაკითხვა რომ არ გასჭირებოდათ, მთელი ცნობა დიდი ასოებით გადაეწერათ და მის გვერდით მიემაგრებინათ წერილი „ტარიელ სისაურის მორიგი გმირობა“, რომელიც „ექიმის ცნობას“ კომენტარს უკეთებდა. — სიმულანტობის ცნობა თავისი ხელით მოიტანა, რადგან ეჭვი შეეპარა, შეიძლება ზოგს არ დაეჯეროსო. როგორ არ უნდა დავუჯეროთ, როცა ინიციატორს, ერთი გრამიც არ მოუკრეფია და თავის მართლებისათვის ცნობა მოაქვს, „ნუ გიკვირთ, სიმულიანტი ვარო“.

ექიმის რეკომენდაციით პირველი ციკლი მკურნალობისა დაიწყო, თუ ჩვენმა გაზეთმა ვერ უშველა, მაშინ რაც დაემართოს, თავის განუკურნებელ სენს დააბრალოს!“

რედკოლეგია.

ცრუ ინიციატორი მალე თითით საჩვენებელი გახდა. სისაურის დანახვაზე სხვა ჯგუფების სტუდენტები ერთმანეთს სიცილით ეუბნებოდნენ: — გმირი ნახეთ, გმირი, სიმულიანტობის ცნობა თავისი ხელით რომ მოიტანა.

სიმინდის ქურდები

მალე ისევ წვიმები დაიწყო. ახლა უფრო დაჟინებით უჟაჟუნებდა. ოთხი დღე ზედიზედ შეუძლებელი გახდა სამუშაოდ გასვლა. ბიჭები ოთახში გამოიკეტნენ. ახლა ფიცრის ბილიკზეც ჭირდა გავლა; ტალახმა ზედ გადაუარა. პირველი ხელფასი დაურიგდათ; სისაურმა გიგაზე მეტი მიიღო.

— ყოჩაღ, ტარიელ, მაგრად გიმუშავნია! — შეაქეს თანაკურსელებმა.

— აბა, ყბად რომ ამიღეს, არც ისეა საქმე! ვის შეხვდა ჩემდენი ხელფასი! — გაიბღინძა სისაური.

— მაღარიჩი, მაღარიჩი გეკუთვნის!

— სამაღარიჩო რა მაქვს, ჩემი შრომით მიმიღია!

— რის მაღარიჩი უნდა გადაიხადოს, გიგა რომ უბარებდა ის ფულია, თავისი ხომ არ არის; ეგ სულ გიგას უნდა ჩააბაროს! — ჩაერია საუბარში თამაზი.

— ჰოო! ჩვენც არ გაგვიკვირდა! გვეგონა, მწყერი ხეზე შეჯდაო. — ბიჭებმა საუბრის თემა ახლა სხვა საკითხზე გადაიტანეს, ტარიელი კი იქიდან გაიპარა, ეშინოდა, კიდევ არ მითხრან, ფული გიგას მიეციო.

წვიმა გადაბმულად ირჯებოდა. გარეთ გასვლა შეუძლებელი იყო, ბიჭები ოთახში გამოიკეტნენ. მოწყენისგან თავის დასაღწევად სისაურმა ჩანთიდან კარტი ამოიღო.

— „აჩკო“ ვის უნდა! — დაიძახა და თავის საწოლზე ბაღდადის მოლასავით ფეხმორთხმით დაჯდა.

— „აჩკო“ რად გინდა, „დურაკა“ ვითამაშოთ.

— ეგ რა ინტერესია.

— გასვლაზე იყოს, წაგებული დაარიგებს და გავა.

— რასა წუწკობ, ოც-ოცი კაპიკი ჩამოვიდეთ, უბრალოდ, ინტერესისათვის, — არ თმობდა პოზიციას ტარიელი.

— კარგი, ვითამაშოთ, — ბიჭებმა მოიფხიკეს ჯიბეები და ხურდა ფული მოიმარაგეს.

თამაშმა ყველა შეიყოლია. მალე ქაღალდის ფულზე გადავიდნენ. მთელი დღე ისე შემოადნათ ხელში, ვერ გაიგეს. მოგებულმა ფულმა კი თამაზისთან მოიყარა თავი.

— აბა, ვისი რამდენი იყო, — თამაზმა ფული მაგიდაზე დააქუჩა, — ყველამ თავისი აიღოს; მე ხომ ხედავთ ხელი არ მიხლია, — გამოაცხადა და გვერდზე მიდგა.

ფულის აღებას არავინ ჩქარობდა. გიგა თავის საწოლზე წამოწვა და წიგნის კითხვა დაიწყო; დანარჩენი ბიჭებიც ჯერ საუბრით ერთობოდნენ. მაგიდასთან პირველი ჯერ ტარიელი მივიდა. ფული მიითვალა და ჩუმად გაბრუნდა. ნელ-ნელა ყველამ აიღო თავისი წილი. მაგიდაზე ოცი მანეთი დარჩა.

— ვის არ აუღია? ვიღაცამ ნაკლები ხომ არ დაითვალა, ბიჭებო, ნახეთ, ფული ზედმეტი დარჩა! — გამოაცხადა თამაზმა.

— მე არ ამიღია, რაც დარჩა, ჩემია ალბათ, — უპასუხა გიგამ, ისე რომ წიგნიდან თავი არ აუღია.

— შენი რამდენი იყო?

— ორმოცდაათი მანეთი.

— ბიჭოს! აქ მხოლოდ ოცი მანეთია. აბა, ვინ შეირცხვინა თავი, ეხლავე გადმოაბრუნოს ჯიბეები! სანამ ჩხრეკა ჩაგვიტარებია! — გაცხარდა თამაზი.

რაც ფული აიღეს, ისევ მაგიდაზე დაახვავეს.

დაიწყეს დათვლა.

— ვისი რამდენი იყო, ზუსტად თქვას, სირცხვილი არავინ ჭამოს! — გამოაცხადა თამაზმა. ბოლოს როგორც იყო დათვალეს; ისევ ოცდაათი მანეთი დააკლდათ.

— ვახ, კაცო, ეს რა ხდება! რაღაცაში გვეშლება და ვერ გამიგია, — შუბლში შემოიკრა ხელი თამაზმა.

— ტარიელ, შენ რამდენი წააგე?— ჰკითხა ერთმა სტუდენტმა, რომელიც ეტყობა მის საქციელს აკვირდებოდა.

— რამდენიც წავაგე, ავიღე.

— რამდენი აიღო?

— რამდენიც წავაგე.

— მაიმუნობას თავი დაანებე და რამდენიც აიღე, მოიტა აქ! — უყვირა თამაზმა.

— შენ არ თქვი, რომ თავნზე ვარო?! — შეახსენა ისევ იმ სტუდენტმა, რამდენი აიღეო რომ ჰკითხა.

— ბიჭო, რას ჩამაცივდი, სამოცი მანეთი წავაგე, სამოცი! ეხლა გჯერათ?

— მოიტა აქ! — უყვირა თამაზმა.

— მარტო მე უნდა გამომართვა?

— ეგრე მინდა, დააბრუნე ახლავე რაც აიღე!

ტარიელი წამოხტა, კედელში ჩარჭობილ ლურსმანზე ჩამოკიდებულ პიჯაკს ეცა, უბის ჯიბიდან ფული ამოიღო და დათვლა დაუწყო. მერე უჩუმრა შარვლის ჯიბეში ჩაიყო ხელი და იქიდან ამოღებული ფული გადათვლილს დაამატა.

— აჰა, სამოცი მანეთია-მეთქი, არა გჯერა?! — ტარიელმა ფული მაგიდაზე დაყარა.

— ოცი მანეთი პიჯაკიდან ამოიღე, ორმოცი — შარვლის ჯიბიდან. იცოდე, პიჯაკში რომ ფული გქონდა, იმას თამაშში მონაწილეობა არ მიუღია! — შეედავა ისევ ის სტუდენტი.

თამაზმა ჯერ ოცი მანეთი გადათვალა, მერე ჯიბიდან ამოღებული ორმოცი მანეთიდან ათი მანეთი მიაყოლა.

— ეხლა მართლა თავნზე ხარ; ეს ოცდაათი მანეთი კი შენი არ არის! წაგძლია სულმა ამხანაგის ფულზე, შე უსინდისო! — ვეღარ მოითმინა თამაზმა და ტარიელს ფულები სახეში მიაყარა.

— უსინდისოს ხმა მესმის! ტყუილად მაბრალებ, გინდა, რომ ჩემი ფულები მიითვისო! — ეს ფული გიგას მოპარე და იმასვე ჩაბარდება! — თამაზმა ორმოცდაათი მანეთი დაკეცა და მაგიდაზე დადო. — აიღე, გიგა, შენი ფული, თორემ როგორც დროს იხელთებს ეს ვირთხა, ისევ გააქრობს!

— ვირთხაც ხარ და უარესიც! — გაცხარდა ტარიელი.

— შე მათხოვარო! ხომ არ გგონია, ვყელაფერი შეგრჩება! — თამაზმა ტარიელზე მიიწია. ბიჭები ჩაუდგნენ შუაში.

— არც ეგ ოცდაათი მანეთი მინდა არც სხვა, რაცა მაქვს, ისიც წაიღეთ და ჩამოირიგეთ, თუ არ შეგრცხვებათ! — აყვირდა

ტარიელი.

გიგა მაგიდასთან მივიდა, ორმოცდაათი მანეთი დაითვალა.

— ბიჭებო, ახლა გამახსენდა, თურმე ოცი მანეთი წამიგია, მე კი რატომღაც ორმოცდაათი მეგონა.

— აჰა, ეგაც მე ვარ! — გათამამდა ტარიელი.

— გამომართვი ეს ოცდაათი მანეთი და როგორც გინდა, ისე მოიხმარე! — გიგამ ფული საწოლზე დაუყარა და თვითონ ისევ თავის წიგნს მიუბრუნდა.

— ტარიელს სახის ერთი ნაკვთიც არ შეტოკებია, ისე დაითვალა ფული და ჯიბეში ჩაიდო.

— ძლივს არ დავაჯერე ეს ხალხი, რომ ჩემი ფულია! — დააყოლა და თან საწოლზე გადაწვა.

— ეხ, გიგა, სადაც შენი მსგავსი მიამიტები არიან, იქ ტარიელისთანა აფერისტები არ უნდა ბოგინობდნენ! — ნაწყენმა თამაზმა მაგიდას დაარტყა ხელი და აივანზე გავიდა.

სისაური ის ბიჭი არ გახლდათ სინდისის ქენჯნა რომ ეგრძნო. მას ის მითვისებული ფული ვითომ კანონიერად დაუბრუნდა, ყოველ შემთხვევაში თავი ასე დაარწმუნა; ამხანაგები რას ფიქრობდნენ, ამაზე სულაც არ ჯავრობდა.

მეორე დღეს ისევ მან წამოაყენა „აჩკოს“ თამაშის წინადადება, სხვებიც აყვნენ. ახლა კი ბედმა გაუღიმა ტარიელს, მოგებამ მასზე დაიბერტყა კალთა.

— მოდით, თუ გინდათ სიმინდის მოპარვაზე ვითამაშოთ, — ახალი წინადადება წამოაყენა, მოგებული ბანკიდან ფული მოხვეტა და დაუკეცავად ჩაიჭყუნა ჯიბეში.

— ეგ როგორ?

— როგორ და ვინც წააგოს, გაღმა ფერდობზე სიმინდის ყანა რომ არის შეიპაროს და ტაროები დაამტვრიოს; მოხარშული ძალიან გემრიელია.

— მერე, პატრონი?!

— ბიჭობაც ის არის, რომ პატრონიანი მოიპარო, თორემ უპატრონოს მოპარვა რად უნდა, მიხვალ და ღიღინით მოკრეფავ. რაც მე მაგ ყანაში ტარო მიმტვრევნია.

— როდის მოასწარი?

— სახლში რომ ვჩერდებოდი მაშინ.

— აკი ისე იყავი ავად, ფეხზე ვერ დგებოდი!

— რომ გამიჭირდა და მომშივდა, რას ვიზამდი, ჭამა ხომ მინდოდა!

— ბიჭო, რასაც შენ გიგა საჭმელს გიზიდავდა, არ გყოფნიდა?

— გაანებე თავი, მაგას სწორად ხომ არ ამოუვა სული, რაც მიწის ზევის არის ორი იმდენი დაბლა დადის.

— იმიტომაც არ მიუცია ღმერთს ყარამანის ფიგურა!

— რას იტყვით, ვითამაშოთ? — თავი აარიდა საქმის გართულებას ტარიელმა.

— გიგა რას იტყვი? — შეეკითხა თამაზი.

— მე მოპარვაზე თამაში არ შემიძლია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ვერ მოვიპარავ!

— მოპარვას გული უნდა, — ამაყად შენიშნა ტარიელმა.

— მე ნამდვლად სუსტი გული მაქს, მაგ მხრივ, უფრო სწორედ იმის გულიც არა მაქვს, ღობის გარეთ გადმოვარდნილი ნაყოფი ავიღო, — გულახდილად აღიარა გიგამ.

— არ გვინდა ძმაო, არა, ეს რაღაც ხათაბალას გადაგვყრის კიდევ, — თქვა რამდენიმემ ერთდოულად.

— კარგით, მაშინ მე წავალ და როგორ უბდურებას გადავეყრები, თქვენ ლამპა მოანათეთ! — ტარიელი ადგა და საწოლის ქვევიდან თავისი ზურგჩანთა გამოათრია; შიგ კიდევ ეყარა რამდენიმე გაყვითლებული სიმინდის ტარო.

— ნახეთ, თუ არა გვჯერათ, — ტაროები იატაკზე წამოყარა.

— გვჯერა, როგორ არა, შენგან მეტიც არის მოსალოდნელი! — ბიჭები სიცილით დაეთანხმნენ.

საღამოვდებოდა. წვიმამ გადაიღო.

ტარიელი ზურგჩანთა წამოკიდებული ფერდობზე სლიკინ-სლიკინით დაეშვა.

— წამოდი, მივყვეთ, ვნახოთ რას გააკეთებს, — თქვა ერთმა ცნობისმოყვარემ. მეორე თანამოაზრეც გამოუჩნდა და ორივე ტარიელის გზას დაადგა.

უკვე ბნელოდა, სიმინდის ტაროებით სავსე ზუგაჩანთით რომ

ღელის მხარეს გამორღვეული ღობიდან გამოძვრა ტარიელი.

— ყოჩაღ, შენ! — შეუქქეს ნამოქმედარი გაღმა დადარაჯებულმა ბიჭებმა. ტარიელი კიდევ უფრო გათამამდა.

— ეს რა არის, ეზოში მსხალი უდგას, თითებს ჩაიკვნეტთ, ისეთი დაშაქრულია; თქვენ შორიდან მიყურეთ, ნახეთ, რა მსხალი გამოვიტანო. ზურგჩანთიდან სიმინდი წამოყარა, მსუბუქად რომ ევლო, იქვე მწვანეზე დააქუჩა და ბიჭებს ანიშნა, მომყევითო.



სახლში სინათლე ენთო. მსხალი მისგან ოცდაათიოდე მეტრის მოშორებით იდგა. ბიჭები ღობეში გაძვრნენ და ეზო დაზვერეს. გარეთ არავინ არ ჩანდა. სახლიდან მამაკაცის ლაპარაკი ისმოდა.

— არ გვინდა, გაიგებენ და სირცხვილსა ვჭამთ, — თქვა ერთმა.

— არა, არ ღირს, წავიდეთ, გაგვიგებენ! — დაეთანხმა მეორე.

— იჰ, თქვენცა ხართ, რაღა! — თავი მოიმამაცა ტარიელმა, — აქ დარჩით, აბა ნახეთ, მოვიტან თუ არა მსხალს.

იმის შეგნებამ, რომ გულადი იყო, ბიჭებს კი ეშინოდათ, ტარიელს გამბედაობა მოუმატა და თამამად გაემართა მსხლისაკენ.

ზედ ასვლა ვერ მოახერხა, ხე სველი იყო და ფეხი ცურავდა. „მოდი შევაქანებ“, გაიფიქრა ტარიელმა. ხეს დაეკიდა, შერხევა დააპირა, მაგრამ სქელი მსხლის ხეს ვერაფერი დააკლო. ზურგჩანთა მოიხსნა, ძირში დადო და ვაივაგლახით შეაფოფხდა ყველაზე დაბალ ტოტს, კარგად მოეწყო და ფრთხილად შეარხია. რამდენიმე მწიფე მსხალი დაეცა მიწაზე, მაგრამ ტოტებში რაღაცეები შეფრთხიალდნენ. „რა უნდა იყოს ნეტავ?“ — გაიფიქრა ტარიელმა და მძლავრად შეარხია ტოტები, მსხალი ტყაპა-ტყუპით ჩამოცვივდა, ზედ ხეზე კი ქათმებმა კრიახით აიკლეს იქაურობა, რამდენიმე დაბლაც ჩამოფრინდა. განათებულ ფანჯარაში კაცის თავი გამოჩნდა და ისევ გაუჩინარდა.

ტარიელმა სასწრაფოდ იწყო დაბლა ჩამოფოფხება; ამ გაწამაწიაში ტოტებს ატოკებდა და ქათმებიც კრიახს არა წყვეტავდნენ. როგორც იყო ჩამოხტა, ზურგჩანთას დასწვდა, ახლა მსხლის აკრეფას კი არა, იმას ფიქრობდა, როგორმე გასცლოდა იქაურობას.

— აბა, გამიძეხ წინ, ყმაწვილო! — სახლის პატრონმა ორლულიანი თოფი მიაბჯინა ზურგში. ტარიელს შიშისაგან ფეხები მოეკვეთა, ადგომა ვეღარ შეძლო. სახლის პატრონმა მხარზე ხელი დასტაცა, წამოაყენა და კინწისკვრით გაიგდო წინ. ტარიელს ცალ ხელში ზურგჩანთა ეჭირა და ფეხების ფლარტუნით მიდიოდა. ბიჭებმა დაინახეს, როგორც შევიდნენ ორვიე ეზოში მდგარ სამზადში.

— რა იყო, კვირიკე, რა მოხდა? — ფანჯარაში გადმოიხედა შუახნის ქალმა.

— ქათმის ქურდი დავიჭირე! — სამზადიდან გამოეხმაურა ის კაცი, კვირიკდ რომ მოიხსენეს.

ბიჭები დარწმუნდნენ, რომ ტარიელი საფუძვლიანად გაება, თანაც არაფრის შველა არ შეეძლოთ, მათი გამოჩენა უფრო გაართულებდა საქმეს. ნახულით თავზარდაცემულები ღობეში უკანვე გაძვრნენ და ფერდობზე დაეშვნენ.

ბინაზე ამბავი რომ მიიტანეს, ჯერ ყველა შეშფოთდა.

— როგორ ეჭირა თავი ტარიელს, ალბათ სახელი არ შეარცხვინა, არა? — იკითხა თამაზმა.

— სახელი კი არა, ისე მილასლასებდა, არა მგონია შარვალი მშრალი ჰქონდეს.

ბიჭები გამხიარულდნენ.

— ეხლა რომ უთხრას იმ კვირიკემ, რაც მოკრიფე, შეჭამეო, რას იზამს ნეტავ? ის ზურგჩანთა გაავსო მაინც?

— არა, სიმინდი ცოტაღა ჰქონდა, მსხლის აკრეფა კი ველარ მოსაწრო.

— არა უშავს რა, მაგას გაუძლებს, მადა ცუდი არა აქვს, გააძღობს და გამოუშვებს კვირიკე ბატონი! რა მოხდა, მსხლის ქურდობისათვის ჩანგალზე ხომ არ ჩამოჰკიდებს, ხილია!

— არა, სახლში ცოლს დაუძახა, „ქათმის ქურდი დავიჭირეო“, ეტყობა, სხვა დროსაც მოუპარია ვიღაცას.

— რომელი ვიღაცა, „ინიციტორი“ არც მაგას მოერიდება, საწოლისქვეშ სულ ქვაბით ქათმის ხორცი ედგა.

— შენ რა იცი? — ჰკითხეს ცნობისმოყვარე სტუდენტს.

— დამაინტერესა, სულ რომ წუწუნებდა, არაფერი მიჭამიაო, ჩვენი მიამიტი გიგა კიდევ საჭმლით რომ ამარაგებდა, მაშინ შევნიშნე ქვაბი მაგის საწოლის ქვეშ, გავსინჯე; ქათმის ხორცით და კატლეტით იყო სავსე.

— როგორ ფიქრობ, კატლეტიც კვირიკემ გამოატანა? — ბიჭები ახარხარდნენ.

— თუ მაგდენი იცი, ისიც გეცოდინება, რომ მზარეული აქვსენტა ქოსმენივით ასუქებს ჩვენ „ინიციატორს“, სასადილოში

აღარა ჭამს პურს, სულ სამზარეულოში ზის.

— არა ჩვენი ტარიელი ქათამზე არ იყო დაპროგრამებული, ის სიმინდს იპარავდა მხოლოდ. მსხალი კი იმიტომ მოინდომა, რომ ჩვენთვის თავის მოხერხებულობა დაემტკიცებინა, მაგრამ ყველა დეტალი ვერ გაითვალისწინა ან რას მოიფიქრებდა, თუ კვირიკეს ქათმები ღამის გასათევად მსხლის ხეს არჩევდნენ საქათმის მაგივრად, — დაასკვნეს ბიჭებმა.

— როგორმე უნდა ვუშველოთ, — გადაწყვეტით თქვა გიგამ.

— როგორ ვუშველოთ, შტურმით ავიღოთ კვირიკეს ოდა სახლი?

— მოვიფიქროთ რამე, თორემ ხვალამდე თუ ასე დარჩა, ხელმძღვანელებს მოახსენებენ და შეიძლება ინსტიტუტიდანაც გარიცხონ.

— ღირსიც იქნება! — არ ცხრებოდა თამაზი. — მაგის გამოსწორებას და კაცად ქცევას იქნებ ასე უფრო ეშველოს!

— ჩვენ ცდა არ მოვაკლოთ რაც შეიძლება და თუ ვერ გადავარჩინეთ, გული მაინც არ დაგვწყდება.

— მაინც რა გაქვს მხედველობაში? მიხეილ კედელაშვილი წავიყვანოთ და ყველამ ერთად შეწყალება ვთხოვოთ კვირიკეს?

— არავინ არაა საჭირო, მე მარტო წავალ. თუ დამიჯერა, დამიჯერა, თუ არა და რა ვქნა!

— სად წახვალ მარტო, შენ ხომ არ გაგიჟდი?! კვირიკე არ იტყვის, ეგაც ტარიელთან იქნებოდა მოსაპარადო.

— თუ გაგება აქვს, არ უნდა ეგონოს! თუ არა და რა ვუყოთ მერე? მოკლედ, მე კვირიკესთან მივდივარ! — გიგა წამოდგა.

— მარტო მიდიხარ?

— არავინ არ მინდა, არც საჭირო არ არის ზედმეტი ვინმე! თუ გამგებია მეც გამიგებს, ალბათ.

— მეც მოვდივარ! — გადაწყვეტით თქვა თამაზმა და კარებისაკენ გაემართა.

— არ გინდა, თამაზ, თუ დასმენა აქვს გადაწყვეტილი, ისევ ორი დაგვასმინოს, სჯობია!

— არა უშავს რა, სადაც ორია, მესამე იქ იყოს. მე ტარიელზე სულაც არ ვწუხდები, ღირსიც არის, მაგრამ თუ გაჭირდა,

ვიცი, შენ დადებ იმის მაგიერ კუნძზე თავს. ამას კი არაფრით შევურიგდები! წამოვალ მეც. საჭიროების შემთხვევაში ვიტყვი მხოლოდ სიმართლეს.

— ჩვენც წამოვალთ! — წამოიშალნენ დანარჩენებიც.

— არა, ბიჭებო, ეგრე მხოლოდ გააფუჭებთ საქმეს. მე მენდეთ, დამიჯერეთ, ეგრე სჯობია! — შეეხვეწა გიგა. ისინი დაითანხმა, მაგრამ თამაზი ვერაფრით დაიყოლია.

კვირიკეს მთელი სახლი განათლებული იყო, ეზოშიც მოზრდილი ნათურა გამოეკიდათ.

ბიჭების დაძახილზე ქალმა უპასუხათ.

— არა სცალია, ბატონო, დაკავებულია!

— აუცილებელი საქმე გვაქვს, ცოტა ხანს მოიცალოს! — ბიჭები ჭიშკარში შევიდნენ.

თოფგადაკიდებული კვირიკე სამზადიდან გამოვიდა, თან ერთი კაციც გამოჰყვა.

შენ ამ ღლაპს მიმიხედე, მე ეხლავე მოვბრუნდები! — უბრძანა კვირიკემ.

კაცი უკანვე შებრუნდა.

— რა გინდათ ამ შუაღამისას! — კვირიკეს ჩხუბის განწყობილება ჰქონდა. თანაც არ ესიამოვნა ამ უცხო ბიჭების სტუმრობა; რატომღაც ინსტიქტმა თავის ტყვის თანამოაზრეებად გააცნო.

— სალაპარაკო გვაქვს, ბატონო კვირიკე, თქვენთან. თუ შეიძლება რამდენიმე წუთით შემოვალთ და მოგვისმინეთ, — სთხოვა გიგამ.

— მე თქვენ არ გიცნობთ! არც არაფერი მაქვს სალაპარაკო. გათენდეს და სადაც ადგილი არის, იქ შევხვდეთ!

— არ მეგონა, თუ ქართველი კაცი ესოდენ უგულოდ, აუგად მოექცეოდა სტუმარს; სუფრაზე მიპატიჟების ნაცვლად, თავის ეზოდან გაყრიდა! — დროზე შეუტოკა კვირიკეს თავმოყვარეობის ძარღვი თამაზმა.

— საიდან მიცნობთ მე? — ცოტა სირბილე დაეტყო მის ტონს.

— ყველაფერს გეტყვით, მიგვიპატიჟე ჯერ სახლში, შე კაი

კაცო, ტყუილად გიქებენ პურმარილს?! — ისევ შეუღიტინა თავ-მოყვარეობის ძარღვზე თამაზმა.

— გაგონილა, კაცს უცნობი ხალხი დაადგეს შუაღამეს თავზე და პურ-მარილზე მიპატიჟება დააძალონ! — ახლა უკვე მთლად მომბალი იყო კვირიკე.

— შენნაირ ვაჟკაცთან გაგონილა! სხვასთან არც მივიდოდით, იმდეი რომ არ გვქონოდა! — შეაქო თამაზმა.

— თუ ეგრე არის, ჩემი თავი გენაცვალოთ! კვირიკეს ოჯახ-ში სტუმრებისათვის ყოველთვის მოიძებნება პურ-მარილი! — ბიჭებს წინ გაუძღვა.

— აგაშენა ღმერთმა! კაცი ხარ კაცური! — მოუწონა საქციე-ლი თამაზმა.

— შემობრძანდით სახლში, ეხლავე ჩამოვასხავ ღვინოს, მეზო-ბელთან არ წავალ სასესხებლად.

— სახლში რა გვინდა, გვიანია, მოკრძალებული ხალხი ვართ, სამზადში შევიდეთ, ძალიან არ შეგაწუხებთ.

— სამზადში ერთი მწყერი მყავს დამწყვდეული, მეშინია არ გაფრინდეს.

— არ გაფრინდება, ჩვენც იმის სანახავად ვართ მოსული.

— მეც აკი მივხვდი გუმანით, თქვენც სტუდენტები ხართ?

— ის მწყერი ჩვენი თანაკურსელია.

— მაშინ მობრძანდით, ნახეთ თქვენი გმირი! — „იმისი თანამო-ნაწილეები ჩანან, აბა გაბედონ რამე!“ გაიფიქრა კვირიკემ, თოფი მხრიდან მოიხსნა და ბიჭებს მიჰყვა.

ტარიელი პირდაპირ მიწაზე იჯდა და მუჭით იზელდა მარჯ-ვენა ლოყაზე მოცხობილ ტალახს; ჭუჭყიან სახეზე ჩამონადენი ცრემლების ნაკვალევი ეტყობოდა.

თამაზმა და გიგამ ერთმანეთს შეხედეს, გაახსენდათ მისი ბა-ქიობა, რომ მოპარვისა არ ეშინოდა. ორივეს გაეღიმა, თამაზმა თავი ველარ შეიკავა და სიცილი აუტყდა.

— გაები ტრაბახ, კაკანათში? აკი არაფრისა არ გეშინოდა, რა ჩამოგზეთია თავპირი, შე უცხვირპირო! — ისევ გააგრძელა სიცილი.

— ცოდოა, არ გინდა, — სთხოვა გიგამ.

— რა ცოდოა, ნიძლავს რომ სდებდა, ისეთი მაგარი ვარ, თვითონ კვირიკეს სახლის წინ მსხალი რომ დგას, იმას მოვიპარავო, წააგო თუ არა! — თამაზი ხარხარებდა.

— წააგე ჯიგარო, სანაძლეო?! ამოყაჭე ეხლა, თორემ შენი ამბავი რომ ვიცი, ხვალ უარს გაახურებ. სანამ კვირიკე გვყავს მოწმედ, ვერ გადათქვამ! კვირიკე, ბატონო! — მიუბრუნდა გაშტერებულ ოჯახის უფროსს, — ხომ მსხლის ქურდობაზე დაიჭირეთ? არ დაფაროთ, ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, სანაძლეოს საკითხი წყდება.

— ჰო, მსხალზე იყო მაგრამ ქათმებიც ბუდობენ იქ.

— ჩვენ ქათმები სულაც არ გვაინტერესებს, ფაქტია, რომ მსხალზე იყო. ესე იგი ამ ვაჟბატონმა სანაძლეო წააგო! — თამაზმა ისარგებლა კვირიკეს დაბნეულობით და უფრო აქტიურად შევიდა როლში. — აბა, ამოყაჭე, ტრაბახ, წაგებული ფული, ეხლა ხომ ვეღარ გადათქვამ, ბატონი კვირიკეა მოწმე. — თამაზმა ჩაიმუხლა ტარიელთან და „აჩკოში“ მოგებული ფული მთლიანად ამოცალა ჯიბიდან.

— ჩვენ მოვიგეთ, ბატონო კვირიკე, აი სანაძლეოს ფულიც. წესის მიხედვით პურ-მარილი ჩვენ გვეკუთვნის! — თამაზმა მოჭმუჭნული ფულები იქავე მდგარ დაბალ მაგიდაზე დაყარა.

— ვერ გავიგე, რაშია საქმე?! — მობოდიშებით თქვა კვირიკემ და სახეზე დაბნეულობა გამოეხატა.

— მაშინ დაწვრილებით მოგიყვებით: ამ წვიმიან დღეებში სამუშაოდ ვეღარ გავედით, სულ ოთახში ვართ გამოკეტილი. წიგნის კითხვით და კარტის თამაშით ვირთობთ თავს. ბოლოს ესაც მოგვწყინდა. ამ საღამოს ჩვენმა ტარიელმა, რასაკვირველია, ტარიელის მხოლოდ სახელი აქვს, დაიჟინა, ჩემზე გულადი არავინ არისო. ბიჭებმა ეჭვის ქვეშ დააყენეს ამის ტარიელობა, მაშინ თქვა: ვის შეგიძლიათ, კვირიკეს სახლის წინ რომ მსხალია, იმის მოპარვა, როცა კვირიკე სახლშიაო. ყველამ უარი განაცხადა, ის ისეთი კაცია, ნამდვილად გაიგებსო. მაშინ ამან სანაძლეო მოითხოვა, ფულიც დავდეთ. თუ მსხალს მოიპარავდა ისე, რომ თქვენ არ გაგეგოთ, ეს ფული შერჩებოდა. რადგან ყველა ჩვენთაგანის იმედი გაამართლეთ და როგორც გვეგონა, ისეთი სიფხიზ-

ლით დახვდით ამ მამლაყინწას, მთელი კოლექტივის სახელით მადლობას გიხდით და გამარჯვებულთა პურ-მარილზე თამადად გიწვევთ! — თამაზმა თავისი სიტყვა საზეიმოდ დაამთავრა.

„ნეტავ რამ მოაფიქრებინა ეს ოინი“, გაიფიქრა გიგამ. „მე ნამდვილად ამას ვერ მოვახერხებდი, პირდაპირ მივიდოდი და გულახდილად ვთხოვდი პატიებას, ზოგჯერ ასეთი ეშმაკობა უფრო საჭიროა, ალბათ“.

კვირიკემ პირი გააღო, ცოტა ხანს ასე იდგა თვალებდაჭყეტილი, მერე თოფი კუთხეში მიაგდო და ახარხარდა; ფიცრის კედლებმა ბანი მისცეს.

— უყურე, კაცო, მე კიდევ რა მეგონა! საიდან იცოდით ჩემი სახელი ან როგორ გაიგეთ, რომ ჩემი შიშით ამ ეზოში ჩიტიც ვერ გადაფრინდება?! — სიცილით ჰკითხა თამაზს.

— თქვენ ყველა გიცნობთ, ბატონო კვირიკე! — არ დააყოვნა თამაზმა.

— შე კაცო, ვიღა არ გიცნობს, ჩაის პუნქტის გამგე კვირიკე აკერია ყველას პირზე, — არ გაუშვა ხელიდან ქათინაურის გამოყენების მომენტი მეზობელმა, რომელსაც მოსახმარებლად დაუძახა კვირიკეს ცოლმა.

„ახ, პუნქტის გამგე ყოფილა“, — გაიფიქრა თამაზმა. ახლა იოლი იყო ქების კოშკების აგება.

— ბატონო კვირიკე, არც ისე დიდი ხანი ვართ აქ, რომ ყველა გაგვეცნო, მაგრამ თქვენ სულ სხვა პიროვნება ბრძანდებით, ყველგან მხოლოდ თქვენი ვაჟკაცობის ამბავი გვესმის. თანაც ჩვენ ჩაის კრეფაზე ვმუშაობთ და განა შეიძლება, პუნქტის გამგე კვირიკე არა გვცნობოდა; ამიტომაც იყო, რომ ყველამ უარი ვთქვით მსხლის მოპარვაზე, ამან კი გამოიდო თავი და დამიკარგა სანაძლეო.

— აბა, კაცო, აბა, რა ვიცოდი, მე კიდევ ქათმის ქურდი მეგონა; მსხალი სულაც არ გამახსენდა. კარგად კი შევახურე, — ისევ ახარხარდა ქებით ნასიამოვნები კვირიკე. სამზადის კარები გამოაღო და მეუღლეს დაუძახე:

— ელპიტე, ქალო, გამოიხედე, საპატიო სტუმრები მეწვივნენ! აბა გამომაჩინე, შენი ჭირიმე, პურ-მარილი უნდა გავშალოთ!

კვირიკე ეზოში გავიდა, სახლის კუთხეში მიყუჟული ხუთივე ქათამი რომლებიც მსხლიდან ჩამოცვივნილიყვნენ, მეზობლის დახმარებით დაიჭირა და ყველას თავები წააცალა.

— ჩემს ცოლსაც ვეტყვი, თორემ მარტო ელპიტეს გაუჭირდება ამათი გაპუტვა-შემზადება, — შესთავაზა დახმარება მეზობელმა.

— შენი ჭირიმე, ფილიპე, მიყავი სიკეთე, სწორედ ეხლა მჭირდება დახმარება.

ამ ფაცაფუცში იყვნენ, რომ ქუჩაში ვიღაცამ დაიძახა:

— კვირიკე!

— ვინ არის ამ შუაღამისას, რომელი ხარ? — შეეხმიანა კვირიკე.

— ცოტა ხანს აქეთ მოდექი!

— არა მცალია, შენი ჭირიმე, შემოდი პირდაპირ, ნუ გეშინია, ძაღლი დაბმული მყავს.

შვიდი სტუდენტი ერთად შევიდა კვირიკეს ეზოში.

— უი, ეს რამდენი ხალხია! — შეიცხადა ელპიტემ.

— რაშია საქმე? — ხელებაკაპიწებული კვირიკე მიეგება მოსულებს.

სანამ იმათგან ვინმე ხმის ამოღებას მოასწრებდა, თამაზმა აუხსნა საქმის ვითარება:

— ჩვენი ბიჭები არიან, ბატონო კვირიკე, ვეღარ მოითმინეს და ყველა წამოსულა სანაძლეოს შედეგის გასაგებად.

— ჩაიჭრა, ბიეჭბო, თქვენი ტარიელი, სანაძლეო სუფთად წააგო, — სიცილით მოახსენათ კვირიკემ. — ეხლა ცოტახანს მოიცადეთ და სუფრაც მალე იქნება გაწყობილი.

ბიჭებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს. თამაზმა ტუჩებზე თითის მიდებით ანიშნათ, „ჩუმად იყავით, ზედმეტი არაფერი წამოგცდეთო“.

სუფრა დიდ ოთახში გააწყვეს, თამადად კვირიკე დაჯდა.

— ფილიპეს ვენაცვალე, სასმელი არ მოგვაკლო! დანარჩენს როგორმე გავუძლებ, — სთხოვა კვირიკემ მეზობელს და ორი ჭიქით მშვიდობის სადღეგრძელო შესთავაზა ბიჭებს.

ქეიფი გახურდა, ტარიელს სულ გაუქრა ნაჭამი შიშის კვა-

ლი, სამ ჭიქაში დაასხა ღვინო და სადღეგრძელო ითხოვა:

— არ ვიცი თამადა ნებას მომცემს თუ არა, მაგრამ მე მაინც რიგ გარეშე, მარტო მე, სხვები თუ არ ამყვებიან, ბატონი კვირიკეს სადღეგრძელო უნდა დავლიო.

— მოიცა, კაცო, რა დროს ეგ არის! — სიამოვნება შეზავებული უკმაყოფილება გამოთქვა კვირიკემ.

— არა, ბატონო კვირიკე, არა ხართ მართალი! — მისმა ტონმა კიდევ უფრო გაათამამა ტარიელი. — თქვენი სადღერძელო ყოველ მეორე ჭიქაზე უნდა ისმებოდეს; თქვენ ჩვეულებრივი ადამიანი არა ხართ; თქვენ განსაკუთრებული და ყველასგან განსხვავებული ზეადამიანური თვისებები გახასიათებთ. სადაც კი მივსულვართ, ყველგან თქვენი ქება გვესმის. პირდაპირ აღფრთოვანებული ვიყავი, რომ შემეძლოს, ალბათ, პოემას დავწერდი იმ დიდ საქმეებზე, რაც თქვენ ჩაგიდენიათ.

— გამდლობთ, ჩემო ტარიელ, გმადლობთ! — სიამოვნებისგან სახეგაბადრულმა კვირიკემ ჭიქა აიღო და მორცხვად დახარა თავი.

— მინდოდა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვახერხე ამ ზეადამიანის გაცნობა, განა მოიცლის კი ჩვენისთანა პატარა ხალხისათვის, როცა დიდ საქმეებს არის შეჭიდული? ჰოდა, მეც მოვიფიქრე გაცნობის ორიგინალური მეთოდი და, აი, სახეზეა მისი ვაჟკაცობისა და კაიკაცობის მაგალითი. დღეს ეს ზებუნებრივი ადამიანი ჩვენი მასპინძელია; ღმერთმა სულ გამარჯვებული გატაროთ, დიდო ადამიანო! — ტარიელს გული აუჩუყდა, მეტი თქმა ვეღარ შეძლო, სამივე ჭიქა ზალპით გამოცალა, მერე თავისი ადგილიდან გამოვიდა და გულაჩუყებული კვირიკე დიდხანს ლოშნა.

თამაზი ახლა უკვე აღარ ენაწყლიანობდა, წყნარად იჯდა და სხვებს უსმენდა; მან თავის როლი ბრწყინვალედ შეასრულა; სარბიელს ტარიელი იკავებდა მთელი თავისი პირმოთნეობის არსენალით.

— რა კარგი ბიჭი ყოფილა, კაცო, რატომ ადრე არ ვიცნობდი, ამიერიდან ჩვენ ძმები ვიქნებით, ჩემო ტარიელ, ძმები! — მოწყლიანებული თვალებით ამბობდა კვირიკე და მკერდში იხუ-

ტებდა ცოტა ხნის წინ თავისი მსხლის ქურდს.

— გაიცნობ და გაიგებ, რისი უნარი აქვს მაგ თხის ქეცს! — ჩაილაპარაკა თამაზმა და გიგას თვალი ჩაუკრა.

ტარიელი თავის სტიქიაში შევიდა. ტოლუმბაშის წოდებაც მიიღო და ამოუწურავი ლაქლაქის შესაძლებლობებს აღვირი ასხნა. გვიან მოსული ბიჭები საქმის ვითარებაში გარკვეულები არ იყვნენ, ეგონათ, რომ ეს ყველაფერი ტარიელის მოწყობილი იყო; ისინიც უქებდნენ მოხერხებას.

— ძვლის ტვინამდე აქვს გამჯდარი სიმუხთლე, რა მკურნალობა მოარჩენს მაგას! — ჩაილაპარაკა თამაზმა.

თავზე დაათენდათ. ამ დღესაც გადაუღებლად წვიმდა. შუადღისას დაიშალნენ. მხოლოდ მეათემ ვერ შეძლო სიარული, ღვინომ დაამძიმა და კვირიკემ თავისთან მოათავსა.

ბოიკოტი

განუწყვეტლივ წვიმდა. ჩაის კრეფა შეჩერდა. დუყებმა გადამწიფება იწყეს, ამინდი კი ჭირვეულობას აგრძელებდა. შეწუხდნენ სტუდენტთა რაზმის მესვეურები, აღებული კრეფის ვალდებულებას საფრთხე ემუქრებოდა.

— წვიმაში უნდა ვკრიფოთ, — წამოაყენა წინადადება ერთმა.

— ამის დაძალება არ ივარგებს, — შეფიქრიანდა კოტე.

— დაძალება რატომ, ვინც სურვილს გამოსთქვამს, არა მგონია, ჩვენ შორის ვინმე გამოჩნდეს ისეთი, რომ კოლექტივს გაემიჯნოს და ამ მძიმე პერიოდში მუშაობაზე უარი თქვას.

თუ ესე გჯერა, ვცადოთ, დათანხმდა კოტე წინადადების ავტორს.

მალე ყველას ჩამოუარეს და შტაბის გადაწყვეტილება გადასცეს.

— „ვისაც სურვილი არ აქვს, ნუ იმუშავებსო“, ჭკვიანები არიან, ხომ იცი, რომელი გიჟი იტყვის, უნდა წავიდე და წვიმაში ჩაი ვკრიფოო! — ცხარობდა ტარიელი.

— მე სიამოვნებით ვიმუშავებ, სხვაც არა იყოს, მომწყინდა ესე უქმად ჯდომა, — თქვა გიგამ.

თამაზმაც მხარი დაუჭირა; ზოგმა ტარიელის აზრი გაიზიარა.

— ესე არ გამოვა, ზოგი თუ წავა სამუშაოდ, ზოგი კი არა, ეგ ხომ იმას ნიშნავს, რომ ვინც არ წავალთ, დაგვიხსომებენ და მერე ჩვენზე მოიფშვნიტონ ხელები; თუ არ წავალთ, არცრერთი არ უნდა წავიდეს.

— ცუდი რა არის, მირონი ხომ არ ჩამოგვერეცხება, უფრო კარგია წვიმაში მუშაობა, ამდენი ხნის შინ ჯდომით რაც ობი მოგვეკიდა, გაგვცვივა, — არ თმობდა თავის პოზიციებს გიგა.

დავა დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს თითქმის ყველა თანახმა იყო, რომ ემუშავათ, მხოლოდ ტარიელი ცხარობდა:

— დამიჯერეთ, ხალხი არა ხართ? ერთი ორი დღე ნურავინ ნუ გავალთ, ნახავთ, სანახევროთ ფილტვების ანთებას რომ აიკიდებენ, მერე აღარც არავინ დაგვაძალებს მუშაობას, აღარც დაგვემუქრებიან, სამუშაოდ რატომ არ წახვედითო, პირიქით, მადლობელსაც დაგვრჩებიან, ყველა რომ ჯანმრთელად ვიქნებით.

ბოლოს უმრავლესობამ გადაწყვიტა, ორი დღე მოვითმინოთო; გიგა და თამაზიც დაემორჩილნენ საერთო აზრს.

მეორე დღეს, დილით, თვითონ კოტემ მიაკითხათ ავტობუსით. წვიმა წვრილად სცრიდა. ათივე სტუდენტი ავტობუსთან გავიდა.

— აბა, ბიჭებო, როგორი აზრისა ხართ, ვიმუშაოთ თუ არა? თითქმის ყველამ გამოთქვა თანხმობა; ვიცი, არც თქვენ შეირცხვენთ თავს! — საზეიმოდ მიმართათ ხელმძღვანელმა და ავტობუსისაკენ გასწია.

— ჩვენ წვიმაში არ ვიმუშავებთ! — წამოიყვირა ტარიელმა.

კოტე ელდანაკრავივით მობრუნდა; ამას არაფრით არ მოელოდა.

— რომელი იყო? — იკითხა.

ბიჭები თავჩაღუნულები იდგნენ.

კოტე ცოტა ხანს ჩაფიქრდა.

— კარგით, მაშინ ვისაც მუშაობა გინდათ, ადგილზე დარჩით, ვისაც არა ჩემგან მარჯვნივ გადმოდით, კოტემ ადგილისაკენ ხელი გაიშვირა.

იმ მხარეს პირველი გიგა იდგა თავჩაღუნული, კოტეს მიერ ნაჩვენები ადგილისაკენ წავიდა; თუმცა გულით უნდოდა სამუშა-

ოდ წასვლა, მაგრამ ბიჭების ერთობლივ გადაწყვეტილებას არ ღალატობდა. მას თამაზი მიჰყვა და მალე ცხრა სტუდენტი მის გვერდით იდგა.

— ასეც ვიცოდი! — წაილაპარაკა კოტემ. — ტარელი მაინც გაამართლებს პირველ შთაბეჭდილებას! წამოდი, ტარიელ, დაჯექი ავტობუსში, კიდევ მოიძებნებიან შენი მსგავსი ენთუზიასტები და იმათთან იმუშავე, — კოტე ავტობუსში ავიდა.

ტარიელმა ბიჭებს გადახედა, მერე მხრები აიჩეჩა, თითქოს ამბობდა, რა ჩემი ბრალია, თვითონ მავალებსო და ავტობუსისაკენ გასწია. კარებთან რომ მივიდა, თამაზმა ასვლა არ დააცადა, ხელი ჰკრა და თვითონ ავიდა პირველი.

— პატივცემულო კოტე, რაღაც გაუგებრობა მოხდა, ჩვენ დილიდანვე სამუშაოდ გამზადებულები ვართ. ისე გავიგეთ, რომ ვისაც მუშაობა გინდათ, მარჯვნივ გადადითო; გთხოვთ, ეს გაუგებრობა გვაპატიოთ! თუ არ გჯერათ, მუშაობაში გაჩვენებთ, ჩვენზე წინ არავის არ გავუშვებთ! — სხაპასხუპით მოახსენა.

— აბა, მაშ ის ვინ იყო, ჩვენ წვიმაში არ ვიმუშავებთო?

— მაგას თქვენ თვითონ მიხვდებით. ახლა კი ნება მოგვეცით ავტობუსლში ამოვიდეთ.

— მართალს ამბობს თქვენი ამხანაგი? — კოტემ ავტობუსის კარებთან შეჯგუფებულ ბიჭებს მიმართა.

— მართალს ამბობს, პატივცემულო, მართალს! ჩვენ თქვენი წინადადება სწორად ვერ გავიგეთ, თორემ დილიდანვე სამუშაო განწყობილებაზე ვართ! — ერთხმად უპასუხა ყველამ.

— აბა, მაშინ მე გასაგებად არ მითქვია, ალბათ, მაპატიებთ! — მოიბოდიშა თავისი ნათქვამის სისწორეში დაეჭვებულმა კოტემ.

ბიჭები ხმაურით შეცვივდნენ ავტობუსში.

ტარიელი წელმოწყვეტილი ავიდა. არავინ არ ისურვა მის გვერდით დაჯდომა; ნაპირა ადგილები დაიკავეს და თავიანთ რიგში გზა არ მისცეს. სულ მუჯლუგუნების ცემით მიაცილეს უკანა რიგამდე.

ყველა გაკვირვებული და აღშფოთებული იყო ტარიელის საქციელით. მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ მისი გაუტანლობის

ამბავი, ამას მაინც ვერ წარმოიდგენდნენ: თვითონ შეაგულიანა ყველა, არ ვიმუშაოთო, როცა საქმე საქმეზე მიდგა, სწორედ მაშინ ულალატა ყველას. ბევრი მუხთლობა აპატიეს, საყვედურობდნენ, მაგრამ მაინც გვერდით ყავდათ; ახლა კი ყველამ ერთად შეაქცა ზურგი.

პლანტაციაში წვიმა უფრო გაბმულად უშხაპუნებდა. ბიჭებმა საწვიმარი ხალათები ჩაიცვეს, რომელიც მათთვის უკვე მოემზადებინათ და ჩაის საკრეფად გავიდნენ. ტარიელი ყოყმანობდა, ისაც იმიტომ, რომ კოტემ ავტობუსი სხვების მოსაყვანად გააგზავნა, თვითონ კი ფარდულში დარჩა; აინტერესებდა, ბიჭების ეს უცნაური საქციელი რით იყო გამოწვეული.

— რას ყოყმანობ, ტარიელ, ვერ გადაგიწყვეტია მუშაობა? — ჰკითხა ფარდულში შეყოვნებულ „ინიციატორს“.

— როგორ არა, პატივცემულო, ბიჭები გამიწყრენ, რატომ შენც არ თქვი უარიო და მარტო მინდა ვიმუშაო, ვიცი, შარს არ დამილევენ.

— შენ წადი, იმუშავე, უბატონოდ ხმას ვერავინ გაგცემს! — დაამშვიდა კოტემ.

— მივდივარ და დაგიმტკიცებთ, როგორი მუშაობა ვიცი! — ტარიელს იმედი ჰქონდა, პლანტაციაში მეურნეობის რომელიმე მუშა ქალს გადაეყრებოდა, სავსე კალათს გამოართმევდა, შეიპირებდა, რომ რასაც მოკრეფდა, მისთვის მიეცა, ის კი ორმაგად გადაუხდიდა, რაც მეურნეობაში გამომუშავებით უნდა მიეღო; ამიტომ ერიდებოდა ბიჭებთან ერთად წასვლას, იცოდა, ისე იყვნენ გაბრაზებულები, ამის ნებას არ მისცემდნენ.

საწინააღმდეგო მხარეს წავიდა, ფერდობზე დაეშვა და სადაც მეურნეობის მუშები ეგულებოდა, ის ნაკვეთი მოძებნა. შეუსვენებლად წვიმდა. ნაკვეთში არავინ იყო; ყველა კუთხე-კუნჭული მოიარა, არ დაუტოვებია მუშების შესასვენებელი ფარდულები, მაგრამ ვერავინ ნახა.

შუადღე გადავიდა. ბიჭები ფარდულში სადილობდნენ. კოტე დილიდან მათთან იყო, მიხეილ კედელაშვილთან ერთად ანგარიშობდა ბიჭების ნამუშევარს, თითქმის ყველას მთელი დღის ნორმაზე მეტი მოეკრიფა. კოტეც და ბიჭებიც მხიარულ განწყო-

ბილებაზე იყვნენ.

— რაზე ვიგუდებოდით იმ დახუთულ ოთახებში, თავის დროზე დაგვეჯერებინა გიგასთვის?! — თქვა ერთმა.

— გიგას როგორ დაუჯერებდი, როცა შენ ტარიელს აყევი, არ ვიმუშაოთო.

— რა ვიცი, კაცო, იმას ისეთი თილისმა ლაპარაკი აქვს, ეშმაკს შეაცდენს; ეხლა კი გავიგე, რა შვილიც ბრძანდება!

— სად არის, ნეტავ?

— გაიპარებოდა, მაგის მუშაობა ვის უნახია, სულ უკუღმართობაზე უჭირავს თვალი.

კვირიკესთან წავიდოდა, იმას დაესესხება ჩაის.

— თამაზსა და გიგას არ ეხსნათ, მე ვიცოდი რა ჩაისაც მისცემდა კვირიკე! ახლა ლამის სულში ჩაისვას.

— ნუ გეშინია, მაგათ სიყვარულს დიდი გზა არ აქვს; ტარიელი სადმე მოსახვევში დაუდებს ფეხს.

ამ საუბარში იყვნენ ბიჭები, რომ ტალახში ამოზუნზლულ-ამოწუწული ტარიელი შევიდა ფარდულში.

— სად იყავ, ბიჭო, რას დამსგავსებიხარ! — გაიკვირვა კოტემ.

— სავსე კალათი მომქონდა, ფერდობზე ფეხი დამიცურდა, დავგორდი და რაც ჩაი მოვკრიფე, სულ დამეფანტა!

თამაზმა კალათაში ჩაიხედა.

— ისე როგორ დაფანტე, რომ ერთი დუყიც აღარ დარჩა შიგ?! — ჰკითხა.

— სულ ყირაყირა წავედი, კალათიც პირქვე დაეცა და...

— წამოდი, მაჩვენე ის ადგილი, დაფანტულ ჩაის მე ავკრეფავ.

— რა მე კი ვერ ავკრეფავდი, მაგრამ გატალახიანდა და...

— არა უშავს, ტალახიანს ავკრეფავ.

— მიდი, ტარიელ, აჩვენე ის ადგილი, ცოდოა ჩაის გადაყრა, — ურჩია კოტემ.

— ისე გაიფანტა, იქ რაღას იპოვის კაცი, ხელი ჩაიქნია ტარიელმა.

— ჰო, ხდება ხოლმე. ამგვარ შემთხვევაში დუყები ისევ ჩაის ბუჩქზე აფორთხდებიან და ყუნწზე მიებმებიან. ხომ ეგრეა, ტარიელ? — სიცილით ჩაერია ერთი სტუდენტი.

— უფრო ნაღდი ვარიანტია: წვიმაში გაიხსნებოდნენ, სადაც ეგ დაგორდა, ალბათ წყალი სულ ჩაის ფერი მიდის.

— ჰა, რას იზამ, გამოგვყვები თუ არა?! — არ მოეშვა თამაზი.

— რა უნდა გამოგყვე, თუ ეგრე გინდა, წადი და შენ თვითონ ნახე! ხომ ხედავ, რა დღეში ვარ! მგონი ფეხიც ვიღრძე, თუ მოტეხილი არ მაქვს, — ტარიელმა კოჭლობით გაიარა და კვნესით დაეშვა სკამზე.

— ფარდულისაკენ რომ მოდიოდი, რაღაც ვერ შეგატყეთ კოჭლობა!

— მაგას ტვინი აქვს ნაღრძობი! — ვეღარ მოითმინა მიხეილმა. — რაც აქ ჩამოვედით, ერთი გრამიც არ მოუკრეფია, რაღა ამ თავსხმაში გამოიდებდა თავს!

— არ შემიძლია, ღვი... — ღვიძლი მტკივაო, უნდა ექთვა, მაგრამ გაახსენდა ექიმის წერილი და ენაზე იკბინა; რა თქვას? ღვი... ღვი... ჰო, მოიფიქრა, — ღვინის სმა ხომ არ არის, ყველას შეეძლოს!

— შენი ღვინის სმის ჭირიმე! სადაც დალევ, სახლიკაცად შეეყრები მასპინძელს; რაც საქმეში ხარ თავქარქაშა, ღვინის სმაც ისეთი იცი! — ბიჭები ახარხარდნენ.

— მადლობის მაგიერია, არა? იმხელა პურმარილი რომ მოგიწყეთ!

— არა ყოფილიყვნენ თამაზი და გიგა, რა პურმარილს მოგიწყობდნენ, მაგასაც ნახავდი, შე სიმინდის ფილოქსერავ!

— ვაა, ეს რა გავიგე! სიმინდსაც ყოლია ფილოქსერა? მე მარტო ვაზისა ვიცოდი.

— ახლა გაიგე, ტარიელა სიმინდის ფილოქსერაა; მოიპარავს და მარტო შეჭამს.

— ვერ გამიგია, ბიჭებო, რა ქარაგმებით ლაპარაკობთ? — დაინტერესდა კოტე.

— თუ არ იტყვის, ვინ გვაძალებდა, სამუშაოდ არ წავიდეთო და წვიმაში არ ვიმუშავოთო; ავტობუსთან ვინ დაიძახა, რაც ცოდვები ჩაუდენია, ყველაფერს პირწმინდად წამოვულაგებთ! — ერთდროულად თქვა რამდენიმე სტუდენტმა.

— რას გადამეკიდეთ! ავადა ვარ ავად, არ შემიძლია, რატომ

არ გჯერათ ჩემი! — აყვირდა ტარიელი.

— შენ ნამდვილად ავადა ხარ, გტკივა კიდეც, ოღონდ ტვინი; ავადაც მაგ ტვინის გამო ხარ! — აყაყანდნენ სტუდენტები.

ამ დროს ავტომობილით ჩაის მეურნეობის აგრონომი მოვიდა, ძალიან მოიწონა სტუდენტების ნამუშევარი.

— ნამდვილად მისაბაძია თქვენი საქციელი. დღეს ჩვენმა მკრეფავებმა ვერ გაბედეს გამოსვლა; ნახეთ თურმე ამგვარ წვიმაშიც შეიძლება კრეფა. ხვალ თუნდა თავსხმა იყოს ისინიც გამოვლენ; სხვა თუ არა, შერცხვებათ თქვენი! — აგრონომის შექება კოტესაც ესიამოვნა.

— კარგი ბიჭები არიან, გვასახელებენ ნამდვილად, — დაუმატა კოტემ, ბიჭებს გამოეთხოვა და აგრონომთან ერთად წასასვლელად ადგა, — ჩემთვის უკვე ნათელია, სიზარმაცის დაავადება ვისა სჭირს; დანარჩენებმა თავი არ შეირცხვინოთ!

— დღის ბოლომდე ერთი ამდენს კიდევ მოვკრეფთ! — მიაძახეს შექებით გამხნევებულმა სტუდენტებმა. ყველამ გააცილა ხელმძღვანელი. დილანდელი სიზარმაცისა და უდისციპლინობის გაჩენილი უფსკრული მათსა და ხელმძღვანელს შორის უცებ გაქრა. ახლა, როცა ურთიერთ უნდობლობის ტვირთი ყველას მოხსნილი ჰქონდა, იმ ადამიანებად გრძნობდნენ თავს, რომელთა წინაშე დიდი პასუხისმგებლობაა; გაჭირვეულებულ ამინდში ჩაის მოკრეფა. თვითონ მეურნეობის მთავარმა აგრონომმა შეაქოთ, ჩვენი მუშები თქვენგან აიღებენ მაგალითსო; ხელმძღვანელიც კმაყოფილი დარჩა. თურმე რა ბედნიერება ყოფლა ურთიერთპატივისცემა და კეთილსინდისიერი შრომა.

სტუდენტები ფარდულში მიბრუნდნენ. ახლა დაიწყებოდა ტარიელის ხატზე გადაცემა; როგორ აპატიებდნენ იმას, რაც ჩაიდინა.

— ახლა ერთი სისაურსაც მივხედოთ! — თქვა რამდენიმე ხმამ.

— სად არის სისაური?

— ტარიელ! — ერთდროულად დაიძახა რამდენიმემ, მაგრამ ტარიელი არსად ჩანდა. სანამ ესენი აგრონომისა და კოტეს გაცილებაში იყვნენ, იმან დრო იხელთა და ქარსაფარის გაყოლებით სახლში გაიპარა...

სამზარეულოში ორნი ისხდნენ: აქვსენტი მზარეული და ტარიელი. პატარა მაგიდასთან, სადაც აქვსენტი შინაურებს ასადილებდა ხოლმე, სუფრა გაეშალათ; ტარიელის ზურგჩანთა იქვე, კუთხეში იყო მიგდებული.

— შემიძულეს, პროფესორის შვილი რათა ხარო, შურიანი ხალხია, თუ ეგრე გაგრძელდა, ჩავალ და მამაჩემი სადაც მინდა, იმ ინსტიტუტში გადამიყვანს.

— კაცო, თქვენი ხელმძღვანელები რაღას ამბობენ, მამაშენის ხათრი დაკარგეს?! — გაიკვირვა აქვსენტიმ.

— იმათ ჯერ უნდათ, რომ ვირებივით ამუშაონ და ამიტომაც მე არ მემხრობიან. ისე გავბრაზდი, ბარგი წამოვიღე და ახლა აღარ ვიცი, რა ვქნა; იმათთან აღარ ვიცხოვრებ, არც მეკადრება მამაჩემის შვილს! ვინც მე სიკეთე გამიწია, თუნდაც შენ, ჩემო აქვსენტ, ამაგს არ დავუკარგავ. შენ სხვა თუ არაფერი, შვილებს სადაც გინდა, იქ მოგიწყობ; ქალაქში ჩამოხვალ და სხვაგან რომ გაჩერდე, მეწყინება. თექვსმეტ ოთახიანი საკუთარი ბინა გვაქვს, სამ ოთახს სპეციალურად შენ დაგითქმობ, შვილებსაც არსად გავუშვებ, ჩვენთან იცხოვრონ, — ტარიელი აზარტში შევიდა და თავისი დაპირებებით აქვსენტის თავბრუ დაახვია.

— უყურე კაცო, განა შეიძლება ამგვარი კეთილი ბიჭის დაჩაგვრა?! ჭამე, ტარიელ, ჭამე, მოვიფიქრებთ რამეს.

— ბინა, კიდევ არაფერი, სადმე ვიშოვი, მაგრამ ამ სამუშაოს რა ვუყო, უსათუოდ გამრიცხავენ. მე მაგისა არ მეშინია, მამაჩემი უკეთეს ადგილას მომაწყობს, მაგრამ ხომ იცი, ჩემით ამაყობს და როგორ ვატკინო გული.

— აუცილებელია, რომ ჩაი კრიფო? სხვა სამუშაო ხომ არის, იქ გაგიშვან.

— სხვა სამუშაო რაღაა?

— მაგალითად, მწონავი, მანქანის გამცილებელი, რა ვიცი კიდევ რამდენი რამეა. ეს საქმე ყველაზე კარგად კვირიკემ იცის, უნდა ვთხოვო, იქნებ რაიმე გამოვიდეს.

— შენ გენაცვალე, აქვსენტ! შვილები სკოლას როდის ამთავრებენ?

— ბიჭი მემრის, გოგო კი სამი წლის შემდეგ.

— ჩათვალე, რომ ორივე იქ მოეწყობა, სადაც შენი სურვილია. მე სიტყვის უბრალოდ ქარს გატანება არ ვიცი, იცოდე, ამ ნათქვამს წყალი არ გაუვა.

— ღმერთმა გიშველოს! პირდაპირ ნატვრასავით არ მომევლინე! შენისთანა ბიჭი სანთლით საძებარი მყავდა; თუ შვილებს დამიბინავებ, წამლად დაგედები!

— შვილების სწავლის საკითხი გადაწყვეტილად ჩათვალე, სადაც ისურვებ, იქ მოეწყობიან! შენ ერთი ამ გასაჭირს გადამარჩინე როგორმე, ჩვენი პროფესორების დასმენით მამაჩემი არ მოვიმდურო და...

— დღესვე ვნახავ კვირიკეს, რამეს მოვახერხებ აუცილებლად.

ეს დღეც თავდება, რაღა დარჩა.

— ჰო, თუმცა უკვე საღამოა, — აქვსენტიმ თავის თანაშემწეს დაუბარა, აუცილებელ საქმეზე მივდივარ და შენ იცი, აქაურობას უჩემობა არ შეატყოო.

— აქ დამიცდე, — უთხრა ტარიელს და სამზარეულოს კედელთან მიყენებული თავის გახუნებული „მოსკვიჩი“ დაქოქა.

— მეც გამოგყვები, — შეეხვეწა ტარიელი, ეშინოდა, რომელიმე შტაბის წევრს არ შეხვედროდა.

— კარგი, წამოდი, აქვსენტიმ მანქანის კარი გაუღო.

კვირიკეს ძებნა დიდხანს არ დასჭირებიათ, ჩაის ფაბრიკაში შეხვდნენ.

— პროფესორის ბიჭია, პატარა დახმარება უნდა, რა ქნას, ჩაის კრეფა არ შეუძლია; იქნებ რამე ადგილი გამოუძებნო შენთან ისე, რომ თავისმა უფროსებმა მუშაობაში ჩაუთვალონ. ისეთი ბიჭია, ამაგს არ დაგიკარგავს; სხვა გინდა არა იყოს რა, უმაღლესში ჩაბარებაზე საზრუნავი აღარ ექნებათ შენ შვილებს, — შეაგულიანა აქვსენტიმ.

— მეც ვიცნობ, ძალიან კარგი ბიჭია, უნდა მოვიფიქროთ რამე, — კვირიკემ თავი მოიფხანა.

— მოდი, ასე გავაკეთებ: სტუდენტების მიერ მოკრეფილ ჩაის მისაღებად გავაფორმებ, ვითომ მე მეხმარება, მაგათ უფროსს

კი ცოტა წახმარებას შევპირდები და დავითანხმებ, იმათაც ხომ აქვთ დავალება რამდენი უნდა მოკრიფონ, გაუხარდებათ კიდევაც, — გამოძებნა გამოსავალი კვირიკემ.

— ვახ, შენ გენაცვალე! ამაზე უკეთესს ვერც მოძებნიდა კაცი; ოღონდ ერთი კია, იმათი საერთო საცხოვრებლიდან წემოსულა, ისეა ნაწყენი.

— არა უშავს, პუნქტთან ერთი პატარა, კარგად მოწყობილი ოთახი მაქვს, იქ იცხოვროს; აჰა გასაღები, ეხლავე დააბინავე, ხვალისათვის ყველაფერი რიგზე იქნება! — სჯეროდა კვირიკეს თავისი ძალისა და ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ რამე შეუშლიდა ხელს მისი ჩანაფიქრის განხორციელებას.

მართლაც, დიდი დაპირების შემდეგ, კოტე დაიყოლია, რომ ტარიელს მასთან ემუშავა.

ტარიელმაც მალე დაუმტკიცა ერთგულება, არაჩვეულებრივი ალღო გამოიჩინა ჩამბარებელთა მოტყუების საქმეში; ისე ატყუებდათ წონაში, წარბი არ შეუტოკდებოდა. კვირიკემ რაკი დაატყო, ამას დიდი საქმეების გაკეთება შეუძლიაო, თანაც არავისი რცხვენია და ერიდებაო, ყველასაგან ჩაის მიღება მას დაავალა; თვითონ კი შორიდან მაყურებლის როლი იკმარა.

ტარიელმა პირდაპირ სასწაულები მოახდინა, სავსე მანქანას თითქმის წონის ერთ მესამედს აკლებდა. პირველად კვირიკეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ მალე აზვავდა უკმაყოფილება; რამდენიმეჯერ რომ აპატიეს წონაში მოტყუება, გაბრაზებულმა ჩამბარებლებმა ერთ მშვენიერ დღეს სასწორზე მიუნაყეს თავი გათავხედებულ ნდობით აღჭურვილ პირს.

კვირიკე იძულებული გახდა ტარიელი მხოლოდ სტუდენტების მიერ მოკრეფილი ჩაის მიღებაზე დაესაქმებინა, მაგრამ არც აქ მოისვენა ტარიელმა: თავისი ამხანაგების სიძულვილმა და ყოველივეს გაუკულმართების ჩვევამ თავისი გაიტანა, ისე აკლებდა სტუდენტებს ჩაის, რომ ამ საქმეში დაოსტატებული კვირიკეც კი გააკვირვა: ეს ტენიანობაო, ეს უხარისხობაო, დამჭკნარიაო და ვინ იცის რა ხრიკები არ მოიგონა, რომ შეემცირებინა მათი შრომის შედეგი. ყოველდღე მცირდებოდა სტუდენტთა მიერ მოკრეფილი ჩაის რაოდენობა. პირველად რომ ეგონათ, ტარიელი

ჩვენს ინტერესებს იცავსო, ბოლოს დარწმუნდა კოტე, რომ მათ ინტერესებს ტარიელზე დიდი მტერი არ ჰავდა და გაცეცხლდა:

— ეხლავე მოაშორეთ ეგ პარაზიტი მაიდან, თორემ სადაც საჭიროა, იქ დავაყენებ საკითხს! გამოვიდეს და როგორც სხვები მუშაობენ, მოჰკიდოს საქმეს ხელი! — ბობოქრობდა იგი.

— იყოს ბატონო, რას აშავებს, მეც მეხმარება და თქვენც, — გამოესარჩლა კვირიკე.

— თქვენ რომ გეხმარებათ, ეჭვიც არ მეპარება, ჩვენ კი სტუდენტების ნაოფლარსა გვპარავს; არც კი რცხვენია, თვითონაც ხომ მათი ამხანაგია! სულ ერთია, დავაყენებ საკითხს მაგისი გარიცხვის შესახებ!

— როგორ, ბატონო, თქვენ მაგას იზამთ? ტარიელის პროფესორი მამის არ მოგერიდებათ?

— ვისი მამაა პროფესორი?

— ტარიელისა.

— მე ესეთი პროფესორი არ გამიგია. აბა, ერთი ბიჭებსა ვკითხო რა კაცია მაგისი მამა.

ბიჭები რად გინდა, მე გეტყვით — დამსახურებული პროფესორია სისაური, მთელი ქვეყანა იცნობს, — კვირიკეს დამცინავად გაეღიმა, თითქოს ამბობდა, შენ როგორი მასწავლებელი ხარ, სისაურს არ იცნობო.

— რა დარგშია, თუ იცით?

— არა, ეგ აღარ ვიცი. აი, ეგ კი აღარა ვკითხე.

— ვისა ჰკითხე?

— აქვსენტა მზარეულს, იმან ყველაფერი იცის; მაგათ ოჯახთან თურმე ძალიან ახლოს არის.

— რაღაც სიცრუის ფერი სცემს მაგ ამბავს, იმიტომ, რომ პროფესორი სისაური საერთოდ არ არის. მე მაინც დავაზუსტებ მაგის მამის ვინაობს და თვითონ მოგახსენებთ.

— ესე იქნება, ბატონო, ეგ ისეთი ბიჭია, ტყუილს არ იტყვის.

— ესე მეგონა მეც პირველად, ინიციატორადაც კი გამოვაცხადეთ, მერე დავრწმუნდი, რომ საშინელი უქნარა და მატყუარაა; გარდა ამისა, ამხანაგისა და მის ირგვლივ მყოფთა მოღალატეა.

— ნუ იტყვით მაგას, ბატონო, ცოდოა ბიჭი, ყველა ახლობელზე და მეგობარზე თავდადებულია.

— სულ მალე გაიგებთ, როგორიც არის, მე კი მაგის მამის ამბავს დაგიზსუტებთ, ოღონდ ეგ ჭირი ჩვენ საერთოდ მოგვაცილე.

— მალე კოტემ ბიჭებისაგან შეიტყო, რომ ტარიელის მამა ვაკეში ერთ-ერთი ატელიეს მკერავი იყო, დედა კი ტკბილ წყლებს ყიდიდა რომელიღაც საკონდიტრო მაღაზიაში; თვითონ ტარიელი კი თურმე ოთხი წელიწადი აბარებდა ინსტიტუტში, ბოლოს როგორც იყო, ვაი-ვაგლახით ჩაირიცხა, მაგრამ სწავლაში სულ კუდით სათრევი იყო; ეს ყველაფერი მეორე დღეს უკვე იცოდა კვირიკემ.

— გაიგე, კაცო, ვინა ყოფილა ეგ შენი პროფესორი? ღიმილით უთხრა აქვსენტის, სამზარეულოში სპეციალურად მისულმა.

— ვინ? — აქვსენტი რაღაც დიდებული ამბის მოსასმენად მოემზადა.

— ვინა და მკერავი, ვაკის ერთ-ერთ ატელიეში უმუშავნია. შენი ბავშვები ინსტიტუტში ჩასაბარებლად რომ წავლენ, იმასთან მიიყვანე და პროტექციით კარგად შეუკერავს, რაც დასჭირდებათ.

— არ გადამრიო! — პირი გააღო აქვსენტიმ.

— ჰოდა, თუ დაგცხეს და გული გაგიხურდეს, ან ტკბილი სასმელი მოგინდეს, კრემიანი ღვეზელი მიირთვი და გამაგრილებელ წყალს რომ დაგალევინებს, ტარიელის დედას მადლობა მოუხადე.

— ვააა!!! — გაიკვირვა აქვსენტიმ.

— ვა და ცეცხლი შენ! შე დოყლაპია! მეც შემომაჩეჩე ეგ აფერისტი!

— ვაიმე, კაცო, გუშინწინ რვაასი მანეთი მესესხა, ძალიან მჭირდებაო, მეც არ გამიკვირდა, ამდენი ფული რად უნდოდა!

— წადი, ეხლავე გამოართვი, თორემ შეიძლება მერე იმ ფულიდან რქები და ჩლიქებიღა დაგხვდეს.

— უყურე, კაცო, როგორ გამაცურა! მე კიდევ ყოველდღე შემწვარ-მოხარშულებზე ვაქეიფებდი; კაპიკი არ გადამიხდევინებია,

პირიქით, ხანდახან ვჩუქნიდი ხოლმე, იქნებ რამეში დამჭირდეს-მეთქი.

— ძალიან იაფად გინდოდა შენი ბედოვლათი შვილების უმაღლესში მოწყობა, მაგრამ გაგიფრინდა ოცნებები. რაც იყო, იყო, აჩქარდი, იქნება წვითა და დაგვით ნაშოვნ რვაას მანეთს როგორმე მიუსწრო, — დამცინავად უთხრა კვირიკემ და აქვსენტი თავის დაბნეულობამდე მისულ გაკვირვებას შეატოვა...

— ყეყეჩო! განა შეიძლება კაცი ეგრე შეცდეს?! — ხმამაღლა ჩაილაპარაკა ისევ აქვსენტისთან საუბრის შთაბეჭდილებაში მყოფმა კვირიკემ და თავის ოთახში შევიდა; მაშინვე ერთი სანდო კაცი შეყვა.

— კვირიკე, ერთი არასასიამოვნო ამბავი უნდა გითხრა და მომისმინე, შენი ჭირიმე!

— რა იყო, ტიტიკო, რა მოხდა?

— ეგ შენი სტუდენტი არ მომწონს, ძალიან უნამუსო ვიღაცაა!

— ვიცი ეგ მე.

— შენც იცი, რომ ყველა წონაზე კლიმენტის ზედმეტს უწერს?

— რااა! — თვალები დააჭყიტა კვირიკემ.

— ჰო, ეგრეა, ამ ბლო დროს რეისებს რომ მოუხშირა და სულ მაღალი წონები უწერია, ვერაფერს ხვდებოდი?! მარტო მაგან დაიცვა მაშინ ეგ შენი სტუდენტი, სხვებმა რომ კინიღამ დაახრჩეს; მას შემდეგ მხოლოდ ეგ სტუდენტი უწონის, რაც სხვებს დააკლო, კლიმენტის მოუმატა.

— რატომ ადრე არ მითხარი!

— მე მეგონა შენ იცოდი, ტკბილად ექცეოდი; ახლაც ისე გითხარი სასხვათაშორისოდ.

— ვიცი როგორი სასხვათაშორისო თქმაც იცი შენ, ეგრე ხდება და ჩემი წილი არ დამიკარგოთო, არა? დედას ვუტირებ მაგ ლაწირაკს, სადა გდია! — კვირიკემ საწოლის ქვეშ შეგდებულ ტარიელის გაბერილ ზურგჩანთას გადახედა.

— კლიმენტის გაყვა, მთელი დღე იმის მანქანპით დანავარდობს.

— იმ კლიმენტის ვუტირებ დედას! — კვირიკე სკამზე დაეშვა და

თავზე მოიჭირა ხელები. ტიტიკო უკან-უკან გავიდა ოთახიდან.

ვიღაცამ ტრახტარხით ზედ კარებთან მიაყენა მანქანა.

— მაყუჩი არ აქვს მაგ ოხერს, ეგრე ტრაქტორივით რომ აგრუხუნებს! სხვისი თუ არა, თავისი ყურები მაინც არ ეცოდება?! — ხმამაღლა თქვა გაბრაზებულმა კვირიკემ და ფეხზე ადგა.

კარებში მზარეულმა აქვსენტიმ შემოყო თავი.

— არ გამოჩენილა? — იკითხა.

— ვინა, შე დამთხვეულო?!

— ის სტუდენტი.

— ბიჭო, ისეთი რახრახით დადიხარ, კინაღამ მეც არ გავიქეცი და ის გაგიჩერდება!

— იმის ძებნაში ქვას გადავაჯექ და გასძვრა მაყუჩი.

— რატომ შენ დამთხვეულ თავს არ გადააჯექ, სანამ იმ ბედოვლათს გადამკიდებდი!

— რა ვქნა, ის რვაასი მანეთი დამეკარგება ნამდვილად!

— აგერ, საწოლის ქვეშ ზურგჩანთა გდია, იმისია, ნახე, იქნება შიგ იყოს, თუ არა და მოგჭამა ჭირი, შენ იმას ვეღარ დაეწიო!

აქვსენტიმ მაშინათვე გამოათრია და პირველად საგულდაგულოდ შეკრული პატარა ჯიბე გახსნა.

— აქ არის, ვიპოვე! — წამოიძახა გახარებულმა აქვსენტიმ და ზურგჩანთის ჯიბიდან ფულთან ერთად თორმეტფურცლიანი რვეულიც ამოიღო, მაშინვე გადაშალა. — აქ რაღაც ანგარიშებია, — თქვა და რვეულის ჯიბეში ჩაბრუნება დააპირა.

— მოიტა აქ, რა ანგარიშებია, ვნახოთ, — კვირიკემ რვეული გამოართვა და დათვალიერება დაიწყო. დავაკელი, ეწერა ერთი ცხრილის თავში, სადაც ჩამოწერილი იყო ავტომობილის ნომრები და იმათი გვარები ვინც ჩაი მოიტანა — ორასი, ასორმოცდაათი, ორმოცდაათი, — ხმამაღლა წაიკითხა, მერე კი მხოლოდ თვალი მიაყოლა; ბოლოს დაკლებაში თვითონ კვირიკესაც ეწერა კარგად მოზრდილი წონა. — უყურე შენ! — ამოიღრიალა.

— რა მოხდა? — დაინტერესდა აქვსენტი.

— მოიცა, მოიცა, — ყური არ ათხოვა კვირიკემ და რვეულის დათვალიერება გააგრძელა.

მოვუმატე, ეწერა ერთი სიის თავში. აქ კი კლიმენტის მანქანას ფაქტიური წონების გვერდით დამატებულები ჰქონდა მიწერილი; დამატებული დაკლებულს აბალანსებდა.

— ვიპოვე! — წამოიძახა კვირიკემ.

— რა იპოვე, კაცო, აღარ იტყვი?

— რაც მომპარა, ყველაფერი ზუსტად ვიპოვე, გრამი გრამში; დედას ვუტირებ კლიმენტის, ამას ავაფარებ თვალებზე! — რვეული ჰაერში ააფრიალა, — სულ კისრიდან ამოვაცლი, რაც მიითვისა!

— ტიტიკო! — კარები გააღო და იმ ამბის მომტანს დაუძახა, მერე მობრუნდა, ტარიელის ზურგჩანთა დაითრია და გარეთ მოისროლა.

— რა გინდოდა, კვირიკე?

— თავისი მათხოვრის ძონძები წაიღოს და დაიკარგოს აქედან, თორემ თუ ვტაცე ხელი, ისე ავხლეჩავ, მერე გაიგებენ, ტარიელი ეგ არის თუ მე.

— გიშველა ღმერთმა, ძლივს არ აგეხილა თვალები!

— კლიმენტის კიდევ უჩემოდ მანქანა არ აუწონო, სანამ არ მოვალ, იცადოს; აქა მაქვს მაგის ცოდვები, აი, აქ! — ტიტიკოს რვეული მიაფარა თვალებზე.

— ახლა ხომ მიხვდი, რომ ჩემზე სანდო კაცი დუნიაზე არ დადის! — გაიბღინძა ტიტიკო.

— შენმა თავის მზემ, ნუ გგონია ვერაფერს გიგებდე! — შეულრინა კვირიკემ...

ბიჭები სამუშაოდან რომ დაბრუნდნენ, ტარიელი აივანზე იჯდა.

— ვა, მშვიდობის მაძიებელს გავხსენებივართ! — ჯერჯერით შეეხმიანა ყველა.

ტარიელის საწოლს ქვეშ მისი ზურგჩანთა ყველაფერზე მეტყველებდა.

— ნაცარქექია ისევ ჩვენთან გადმობარგებულა! — მხიარულად აყიჟინდნენ.

— ეტყობა იქაც გაუგეს რა ჩიტიც არის.

— ყვავი სადაც წავა თავისი დასვრილი ბოლი თან წაჰყვებაო.

— ცოდოა ყვავი, ბიჭო, მაგ ბინძურს იმას ნუ ადარებთ.

— აბა, ერთი ახლა წამოყაჭე ჯიგარო, როგორ გვაკლებდი წონაში! — ერთი მივიდა, საყელოში ხელი მაგრად ჩაავლო და სკამიდან წამოაგდო.

— რატომ გეგონა, რომ ჩვენ ხელში აღარ ჩავარდებოდი, შე გამ-ყიდველო! — ვიღაცამ უკნიდან გაბედულად მაგრად წამოარტყა.

— ჯერჯერით, ბიჭებო, ჯერჯერით! თავიდან დავიწყოთ და რაც მუხთლობა ჩაუდენია, სათითაოდ შევახსენოთ. მერე ყვე-ლამ თითო მორტყმა არ დაიშუროს; რაც ღალატი და შხამი აქვს ჩაბუდებული, სულ სისხლად ვაფურთხებინოთ. ძველები არ გვინრდა, სადგურიდან დავიწყოთ: გიგა მოგეხმარა, შენ კი გაიპარე და, როცა იმას აბრალებდნენ ჩხუბისთავობას, აღარ გამოესარჩლე!

— მე ვთხოვე გამოსარჩლება?!

— ამის ტვინში არ შევიდა ეს ბრალდება! — ყველამ თითო უთაქოს!

— ეგრე ბოლომდე არ შეგყვება, დავითვალოთ და ბოლოს ავუყვავოთ თავპირი.

— კარგი, ეგრე იყოს.

— ვალდებულება რომ აიღე, თუ თავი არ გქონდა, ვინ გაძა-ლებდა! შენი მეტიჩრობით ჩვენ ორმაგად მეტის ზიდვა მოგვი-წია.

— გიგას შეეცოდე და შენს მაგიერ კრეფდა ჩაის, შე უდღეუ-რო! ის ფული ისე მიითვისე, მადლობაც კი არ გითქვია.

— პატიოსნად გასანაწილებელი ფული მოიპარე, მეგობრებში ნდობა შებღალე, ამხანაგის ფული მიითვისე; მერე ვისი, გიგასი, სულ შენზე რომ არის გადაფაფრებული.

მსხალი მოიპარე და...

— არ გვინდა ეგ, სხვა ვთქვათ.

— შენ გვაიძულე სამუშაოდ არ წავსულიყავით, ბოლოს კი ყველა თხებივით გაგვყიდე; ჩვენ ნაშრომ ჩაის გვპარავდი, შე შობელძაღლო! — ბიჭებმა ვეღარ მოითმინეს და ტარიელს თავზე სეტყვასავით წამოუშინეს სილაქები.

აზარტში შესული ბიჭები, ალბათ, ტვინის შერყევამდე ურ-

ტყამდნენ, გიგა რომ არ ჩარეულიყო. ანგარიშსწორების სურვილით ანთებულებს ტარიელი ხელიდან გამოსტაცათ, პატარა ოთახში შეაგდო და კარებში გაიხიდა.

— გიგა, ყველაზე მეტი შენ გიმუხთლა, რაზე ეფარები! გაიწი იქით, ერთი ძვალი და რბილი გავუერთიანოთ!

— თქვენი ჭირიმე, ბიჭებო, აპატიეთ! ხომ ხედავთ, მე არაფერს ვედავები, თქვენც გამოიჩინეთ სულგრძელობა, თუ ჩემი ხათრი გაქვთ! — ყველას სათითაოდ ეხვეწებოდა გიგა.

ბიჭებს თანდათან გაუნელდათ ტარიელის გალახვის სურვილი, ახლა აღარავინ იწევდა პატარა ოთახში; როგორც არ იყო შეურიგდნენ იმ აზრს, რომ ეს მცირე წამოთაქება ეკმარებინათ.

— ოხ, გიგას ასეთი საწყალი გული არ ჰქონდეს, დედას გიტირებდით, შე მათხოვარო! — მაინც ბუზღუნებდნენ.

— რას გადაყვა მაგ არამზადას, არ იცის, რომ როგორც მომენტი ექნება, არ დაინდობს?!

— ყველაზე ძალიან მაგასა კბენს და როგორ არ იცის. გახსოვთ? ექიმთან რომ წაიყვანა, დათხოვნა არ გინდაო, კინაღამ გააგდებინა დეკანის მოადგილეს.

— ეგ ამბავი სხვებთან შედარებით შოკოლადია წიწაკასთან; საწყენი ის არის, რომ არ იშლის ავკაცობას!

— მოიშლის, ბიჭებო, მოიშლის, როგორ იქნრება, რომ არ გამოსწორდეს!

— ეხ, გიგა, რომ არ ვიცოდეთ, რა ჯიგრიანი ბიჭი ხარ, შენი ადამიანობით ყველას რომ შეგვაყვარე თავი, თორემ უცხოს ძალიან მიამიტი ეგონებოდი, ან არ ვიცით, როგორ გკადროთ, სულელი; ბიჭო, კაცი ყოველ ფეხის ნაბიჯზე გღალატობს, შეეშვი მაგ შობელძაღლს, რაიმე ხიფათს არ გადაგკიდოს!

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, მე არაფერს არ დამიშავებს! ახლა ტარიელს ყველაზე ძალიან უჭირს, მხარში ამოვუდგეთ, მივეხმაროთ და ესაც შეიგნებს თავის შეცდომას; ხომ ასეა, ტარიელ?

— ჰო, შევიგნებ, მაშ რას ვიზამ! — საყვედურის ტონით ამოიდუდუნა მან.

— აგერ, შეიგნო! — გიგამ ბიჭების ყურადღება გაამახვილა

მის ნათქვამზე.

— კარგი, გიგა, შენი ხათრით ეპატიოს მაგ მათხოვარს ცოდვები, მაგრამ თუ არ მოიშლის, რაც დაემართოს, თავის თავს დააბრალოს! — ხელი ჩაიქნრიეს ბიჭებმა და ამით დაამთავრეს ტარიელის სამსჯავრო.

კოტეს ტარიელის სახელის გაგონებაც არ უნდოდა, ისე იყო გაბრაზებული ,,ეხლავე აიკრას გუდა-ნაბადი და დაიკარგოს აქედან! მაგის ინსტიტუტში ყოფნა არ ყოფნაზე კი ადგილზე ვიმსჯელებთო". მაგრამ აქაც თავისი გაიტანა გიგამ, იმდენი ეხვეწა მიხეილს, დაითანხმა და როგორც არ იყო შეაცვლევინეს გადაწყვეტილება.

— რა გინდათ, მე ვიქნები თავდები, რომ კეთილსინდისიერად იმუშავებს და აღარაფერს დააშავებსო.

მართლაც, პირველი დღიდანვე ტარიელი გვერდიდან აღარა სცილდებოდა გიგას; ჩაის კრეფაშიც ერთად იყვნენ, თუმცა ტარიელი მაინც ზარმაცობდა, მაგრამ ახლა მთელი დღე ბუჩქებთან ტრიალებდა, ვითომ ჩაის კრეფდა, ფაქტიურად შუადღემდე კალათს ძირს ვერ მოუმალავდა ხოლმე. გიგას ეცოდებოდა, თავისი კალათიდან გადაუვსებდა დანაკლისს და ბოლოს ორივე ერთად აბარებდა სავსე კალათებს.

— გეყოფა რა, გიგა, როდემდის უნდა ათრიო ეგ უსაქმური ბუქსირზე! — საყვედურობდა მიხეილი, — ვის დააჯერებ, რომ ნაცარქექია ტარიელი შენთან ერთად ავსებს კალათს; ადრინდელზე რომ ნაკლებს კრეფავ, მაგას სად წაუხვალ!

— არა უშავს, მიხეილ, ცოდოა, კიდევ რომ ჩავარდეს კოტეს ხელში, ალბათ, აღარ დაინდობს; როგორმე გავიტანოთ ესე და მერე, იქნებ, სულ გამოსწორდეს.

— ეხ, გიგა, რა სპეტაკი გული გაქვს, მაგრამ, ვაი, რომ ამ ცოდვილ წუთისოფელს ტარიელის მსგავსები საკმარისად ყავს და შენს სიკეთეს ვერ გაიგებენ. პირიქით, ბევრჯერ შეგივსებენ შხამით ფიალას! — სინანულით ჩაიქნია ხელი მიხეილმა და მას შემდეგ აღარ შედავებია, ტარიელს ნუ უწერ შენს მიერ შესრულებულ სამუშაოსო.

განგაში

ბოლო სამი დღე დარჩა და სტუდენტების შრომითი სემესტრი დამთავრდებოდა. შუადღემდე უნდა ემუშავათ და დარჩენილი დრო მოსამზადებლად უნდა გამოეყენებინათ. მეორე დღეს საღამოთი კი უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ. ტარიელი გიგას ერთი ფეხის ნაბიჯზე აღარა სცილდებოდა. ბიჭების გაქილიკებისაგან კარგი ფარი იყო, ამავე დროს მის ნამუშევარს უბოდიშოდ ითვისებდა.

გიგამ ამ დღეს ჩაის კრეფას გვიან დაანება თავი; სანამ თავისი და ტარიელის კალათები არ გაავსო, არ მოისვენა. როცა ფარდულთან მივიდნენ, ბიჭები აღარ დახვდნენ ადგილზე; ვეღარ მოეთმინათ და ფეხით წესულიყვნენ სახლში. მათ წასაყვანად მოსულ ავტომობილს მარტო გიგა და ტარიელი გაყვნენ.

— ბიჭებო, ერთგან მინდა გავიარო და თუ ცოტა გზა გაგიმრუდდეთ, არ გეწყინოთ, — მოიბოდიშა მძღოლმა და სულ სხვა მიმართულებით გააქროლა მანქანა.

— რას მივდევთ ბრმებივით ამ მძღოლს, სულაც ფეხით წავიდეთ, — თქვა გიგამ და მძღოლის კაბინაზე დააბრახუნა.

ფეხით გამობრუნდნენ უკან. გზაზე სამწვადე შეხვდათ.

— ბიჭოს, შეიძლება მწვადიც შეგვიწვან, მოდი ვისადილოთ, ძაღლივით მომშივდა, — სამწვადისაკენ გაიწია ტარიელმა.

— საერთო დარბაზში ერთ მაგიდას ორი კაცი შემოსჯდომოდა, ცალკე კუპედან კი დიდი ღრიანცელის ხმა ისმოდა.

— შენ დაჯექი, შეკვეთებს მე მივცემ, თავი გამოიდო ტარიელმა.

გიგა თავისუფალ მაგიდასთან დატოვა და თვიოთნ მებუფეტესთან მივიდა.

— რით შეგიძლია, გაგვახარო, ჯიგარო? — დარდიმანდულად ჰკითხა დახლზე ღიპმიბჯენილ მებუფეტეს.

— ყველაფერი გვაქვს კარგი ხალხისათვის.

— ჩვენზე კარგი არა მგონია, აქ მოვიდეს ვინმე!

— ბატონი ბრძანდებით.

— კარგი მაშინ, სუკის მწვადი ოთხი, ტაბაკა ორი, ღორის მუჟუჟი, ორი ბოთლი ღვინო, რა გაქვთ?

— რას ინებებთ?

— ქინძმარაულს.

— ეგ არ გვაქვს.

— მაშინ ორი ბოთლი კახური, მერე ვნახოთ. მწვანილი, ჯონჯოლი, მწნილი, ნადუღი და, რა ვიცი, შენ რაც მოგეწონება, ბლომად მოგვიტანე. აბა, ჯიგარო, არ შემარცხვინო; წარამარა ვინმე არ გეგონო, ჩემი წყენა ბევრს სიცოცხლის ფასად დაუჯდა, იცოდე! — უთხრა მებუფეტეს და ძველბიჭური მანერით გიგასკენ გასწია.

მებუფეტემ ბოლომდე მიაყოლა მზერა.

— ბიჭოს, ეს ვიღა ოხრები არიან, რაიმე ხათაბალას არ გადამკიდონ! — თავისთვის ჩაილაპარაკა და მაგიდის გასაწყობად დაფაცურდა.

— გიგა, ჯიბეში ფული გაქვს? — ჰკითხა ტარიელმა.

— ოცდახუთი მანეთი მაქვს, — გიგამ ჯიბეები ამოიბრუნა.

— მე ექვსი მანეთი მაქვს მხოლოდ. — ტარიელს ასი მანეთი ცალკე ჯიბეში ჰქონდა გადამალული, ის არ გამოუჩენია; იქნებ გიგას ფული ეყოფოდა და თვითონ რატომ უნდა დახარჯულიყო.

— არა უშავს, ოცდათერთმეტი მანეთი უნდა გვეყოს, შეკვეთა ბერი მივეცი, მაგრამ ისეთი ფახი მივიტანე, შეიძლება კაპიკიც არ გამოგვართვას.

— როგორ შეიძლება ესე, რამდენიც გვაქვს, შეკვეთაც იმის შესაბამისად მიეცი; თავი ხომ არ უნდა შევირცხვინოთ! ესაც საკმარისია, რომ კარგად ვისადილოთ.

— არა უშავს, შენ ეგ ფული მომეცი, მე ყველაფერს მოვაგვარებ! — ტარიელმა გიგას ოცდახუთი მანეთი ჯიბეში ჩაიდო და სკამზე გაიჭიმა.

მებუფეტემ სავსე სინი ჩამოცალა მათ მაგიდაზე.

— აბა, ჯიგარო, მწვადი და ტაბაკა დროზე, თორემ მე მოთმენა არ მიყვარს! — ბატონკაცურად შეუბღვირა ტარიელმა.

— ცოტა დაიგვიანებს, ბატონო, შამფურები ეხლა დააწყეს.

— სხვისი არვისი შეკვეთა არ გაქვთ?

— როგორ არა, ბიჭები არიან კუპეში, იმათი თითქმის მზად არის.

— ჰოდა იმას მოგვიტან ჩვენ!

— ეგ როგორ იქნება, კაცო?!

— გაიგებთ ვინა ვარ და გაგაციებთ შენც და იმ ბიჭებსაც; ახლა მიდი და საქმეს მიხედე! — ტარიელმა მებუფეტეს მსუბუქად უბიძგა ხელი. შეცბუნებული მებუფეტე მდუღარეგადასხმულივით წავიდა.

— რად გინდა, ტარიელ, ასეთები, სად გვეჩქარება, ჩვენი მწვადი როცა შეიწვება, მაშინ მოგვიტანოს; რით ვჯობივართ ჩვენ იმ ბიჭებს? დავუშვათ, დაგვითმეს კიდეც, განა გვეკადრება ეს?! — შეედავა გიგა.

— გვეკადრება რომელია! რატომ უნდა იფიქრონ, გოიმები არიანო, ჩვენი შიშით უნდა აკანკალებდეთ!

— რატომ უნდა აკანკალებდეთ? ჩვენ რითა ვართ იმათზე მეტი! ან თუნდაც რაიმე უპირატესობა გვქონდეს, ხომ უფრო მეტი თავაზიანობა გვმართებს.

— თავაზიანობამ დაღუპა ქვეყანა! თუ მაგრად არ დადექი, თავზე დაგავჯდებიან;

— წინასწარ რაზე ვფაფხურობთ, როცა არავინ ცდილობს თავზე დაგვავჯდეს; თუ ვინმემ ეგ კომფორტი მოინდომა, პასუხიც მაშინ ჩავაბაროთ; რაზე ვეცილებით იმ ბიჭებს თავის რიგში!

— შენ დამაცა, გიგა, ხელი არ შემიშალო, მე ისეთ პურმარილს გაჭმევ, სულ თითები ჩაიკვნიტო; თანაც ყმასავით უნდა მოვიმსახურო ეს ყეყეჩები.

პასუხს აღარ დალოდებია; სწორედ ამ დროს გადმოაწოდეს მებუფეტეს მწვადები და კუპედანაც ვიღაცა ბიჭი გამოვიდა მის წასაღებად.

ტარიელი წამოხტა და ბუფეტთან მივიდა:

— აბა, ჯიგარო, გვერდზე მიდექი! — ამ მწვადს ჩვენ წავიღებთ, შენ ცოტას მოიცდი! არაფერი გიჭირს! — ბიჭი ძალით მოაცილა დახლს და დაელოდა, სანამ მებუფეტე შამფურიდან წააძრობდა მწვადს და ზედ ხახვს დააყრიდა.

ბიჭმა გაკვირვებული მზერა მიაპყრო მებუფეტეს, თითქოს ეკითხებოდა, ვინ არისო? მებუფეტემ მხრები აიჩეჩა.

ბიჭი კუპეში შევიდა; ეტყობა, მომხდარი ამბავი მიიტანა, რომ ხუთი თავი ერთად გამოჩნდა კარებში.

— ვინ უნდა იყოს? ეტყობა, თავზეხელაღებული ვიღაცაა, არა ღირს მაგასთან შარის ატეხა! — ხელი ჩაიქნიეს.

— ერთი დამანახეთ, ვინ არის? იქნებ ვიცნობ კიდეც! — კვირიკემ ქათმის ბარკლის ძვალი თეფშზე დადო და აქამდე რომ თავაუღებლად ჭამდა, ხელების წმენდით წამოდგა.

— ვაი, შენ ჩემო თაო! ვის შეუშინებიხართ თუ იცით? ნამდვილი ნაცარქექიაა, სტუდენტები რომ მუშაობენ ჩვენთან, იმათში ყველაზე უვარგისი და აფერისტია, — გააცნო თანამესუფრეებს ტარიელი და ისევ სუფრას მიუბრუნდა.

ის იყო ტარიელმა მწვადით გავსებული თეფში აიღო, რომ ისევ ის ბიჭი ყვინჩილასავით დაადგა თავზე, უცერემონიოდ გამოსტაცა ხელიდან თეფში და თან ისეთი ძალით გაჰკრა გვერდი, დახლს მიახეთქა.

— დაგაყრევინებ წელებს, შე ნაბიჭვარო! — ტარიელმა ჯიბეში ჩაიყო ხელი, შესაშინებლად, თორემ შიგ ის გადამალული ასი მანეთი ედო მხოლოდ.

ბიჭმა ხელის ამოღება აღარ აცალა, თუმცა არც ტარიელს უცდია ეს. თეფში დახლზე დადო და ისეთი ძალით ამოჰკრა მუშტი ნიკაპში, რომ უკანგადაქანებული ტარიელი რაცრაცით წავიდა და გიგას გვერდით, იატაკზე მოდინა ზღართანი.

კუპედან ოთხნი გამოვიდნენ; კვირიკე კარებში გაჩერდა, სეირის საყურებლად.

ტარიელი წამოხტა.

— გავიქცეთ, გიგა! — დაიძახა და ის იყო, თავის ნათქვამი უნდა შეესრულებინა, ის ბიჭი ისევ მიეჭრა და მორიგი დარტყმიათვის აღმართა ხელი, რომ გიგა ჩაუდგათ შუაში და დასარტყმელად მოქნეულ მარჯვენაზე ხელი უტაცა. ბიჭმა გაიბრძოლა, ხელის გაშვება სცადა.

— რა გაქვს საჩხუბი, გაუგებრობა მოხდა, მოვუსმინოთ ერთმანეთს! — ამის თქმა მოასწრო გიგამ, რომ იმ ოთხიდან, ამ ბიჭის მოსაშველებლად კუპედან რომ გამოცვივდნენ, ერთმა გიგას ლოყაში მთელი ძალით გაარტყა სილა.

ამას კი აღარ მოელოდა, ბიჭს ხელი უშვა და სილაქის გამრტყმელს ისეთი ძალით დააჯახა მუშტი, რომ ამ უკანასკნელმა ორი მაგიდა მილეწ-მოლეწა და იატაკზე უგონოდ გაიშოტა. დაუზოგავი მუშტი-კრივი გაიმართა; მიყარ-მოყარეს მაგიდები და სკამები. ტარიელი კარებს მოფარებული იყურებოდა, მზად იყო, საშიშროების შემთხვევაში თავქუდმოგლეჯილი გაქცეულიყო, მაგრამ მისი თავი არავის ახსოვდა. გიგა სამს წარმატებით უმკლავდებოდა, ორი კი გათიშული ივჯდა იატაკზე; მათ შორის ერთი ის იყო, მაგრად რომ დაარტყა ტარიელს.

ერთმა, ტუჩი რომ გახეთქოდა და ნიკაპზე სისხლი სდიოდა, მებუფეტის დანას დაავლო ხელი და სანამ გიგას მოუქნევდა, ტარიელი უკვე მოსწყდა ადგილიდან. თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, ვიღაცას მანქანა გააჩერებინა და კავშირგაბმულობის შენობაში მიყვანა სთხოვა; მილიციაში დარეკა: ჩხუბია სამწვადეში, საჩქაროთ მიიღეთ ზომებიო.

— ვინა ჩხუბობს? რასა მაიმუნობ, ვიღაცა ხარ! — გაუბრაზდა მორიგე.

— სტუდენტია, გიგა ძამიაშვილი და ვიღაც ადგილობრივები.

— შენ თვითონ ვინა ხარ, რა გვარი ხარ?

— მეც სტუდენტი ვარ, მიხეილ კედელაშვილი.

— საიდან იცი, რომ ჩხუბია;

— გვერდით გავიარე, დიდი დანების ტრიალია; ალბათ უკვე ამოხოცეს ერთმანეთი, — ტარიელმა ყურმილი დაკიდა და დინჯად გამოვიდა ფოსტიდან.

„ნამდვილად მოკლავდა, ისე გაბედულად მოუქნრია დანა; მე კაცისშვილი ვერ მიცნობს. მაშინვე მიხეილ კედელაშვილს მოძებნიან, დიდი ძმაკაცობა აქვთ და გამოადგება ჭირისუფლად“. სახეზე ღიმილმა გადაუარა და არხეინად გაემართა შინისაკენ.

ბიჭები გამგზავრების სამზადისში იყვნენ. ტარიელის მისვლისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ, თავის საწოლზე ჩამოჯდა და ზურგჩანთა დაიდო წინ.

— ტარიელ, მოხვედი? გიგა რა იქნა? — ჰკითხა თამაზმა.

— რა ვიცი, ამბობენ სამწვადეში ჩხუბიაო, — თავაუღებლად უპასუხა ტარიელმა.

— სამწვადეში ჩხუბია, თუ ღორის ქელეხი, რა ჩემი საქმეა! მე გეკითხები, გიგა ხომ არ იცი, სად არის?

— ჰოდა, ამბობენ, გიგა ჩხუბობსო.

— შენ საკუთარ ჭკუაზე ხარ?! — ხმას აუწია თამაზმა. — გიგას სამწვადეში საჩხუბი რა ჰქონდა!

— რაო, რაო! — ბიჭებმა ყურები ცქვიტეს და ნელ-ნელა ტარიელს შემოეხვივნენ.

— ბიჭო, გაგვაგებინე წესიერად, რას ბლანდავ! გიგას ჩხუბი ვინ გაიგონა?!

— რა ვიცი, ამბობენ, დანა დაარტყეს, შეიძლება ცოცხალი აღარ არისო.

— ვის დაარტყესო, ვის?! — თამაზს ისტეიკები დაემართა, ტარიელს ორივე ხელით სწვდა საყელოში და ფეხზე წამოაგდო.

— ვიღაც ადგილობრივ ხულიგნებს ახირებია და იმათ კიდევ...

— ბიჭებო, რაღაც ცუდი ამბავია! ამ უკუღმართიდან სწორად ვერ გაიგებ ვერაფერს!

სად არის ის სამწვადე, არ იცი?

— მე საიდან მეცოდინება, იმას სამწვადესთან გაუვლია და...

— ვაიმე ბიჭებო, გიგას თავს რაღაც ამბავია! — თავში ხელი შემოიკრა თამაზმა.

— მოიცა, მოიცა! კარგად გავარკვიოთ, რაშია საქმე; თქვენ ხომ ერთად იყავით, ის საიდან მოხვდებოდა სამწვადეში?!

— რა ვიცი, ეგრე კი ყოფილა და...

— ბიჭებო, ეს რაღაცას მიჰქარავს თავისი ჩვეულებისამებრ; სასწრაფოდ უნდა წავიდეთ იმ სამწვადეში!

— ვაიმე, გიგავ, ბიჭო! — ხმამაღლა აღრიალდა თამაზი. — ხომ გითხარი, ეს ვერაგი ერთხელ დაგღუპავს-მეთქი! დედას გიტირებ! გაგვიძეხ იმ სამწვადეში, თორემ ჩემი ხელით გამოგღადრი ყელს! — გაცოფებული თამაზი ტარიელს მივარდა, ბიჭებმა ძლივს მოაცილეს.

— ვაიმე, რაღაც ცუდად არის საქმე! წავიდეთ დროზე იქნებ ვუშველოთ რამე! — ერთბაშად გადაწყვიტა ყველამ.

— ადექი, გაგვიძეხ, ტარიელ, თორემ გიგას რომ რამე დაემართოს, სიცოცხლის იმედი ნუ გექნება! — ბიჭებმა ტარიელი ძა-

ლით წამოაგდეს საწოლიდან და სირბილით გავიდნენ ქუჩაში.

— ერთი გაიქცეს და მიხეილ კედელაშვილს გააგებინოს, სამწვადეს მოძებნის, ქვეყანა იქნება შეყრილი, — ყვირილით თქვა თამაზმა და პირველსავე სატვირთო მანქანას შუაგზაზე წინ გადაუდგა; სანამ მძღოლი რამეს იტყოდა, ბიჭები უკვე კაბინის საფეხურზე შეუხტნენ, ზოგნი კი უკვე ძარაზე აძვრნენ; თამაზმა კაბინის კარი გამოაღო და შეშლილი სახით უყვირა მძღოლს:

— სასწრაფოდ სამწვადეში!!!

მძღოლმა ამდენი გადარეულსახიანი, ჯანღონით სავსე ბიჭი რომ დაინახა, სიტყვის შეუბრუნებლად დაძრა მანქანა.

— ჩქარა! ჩქარა! — ყვიროდა თამაზი და თავში იშენდა ხელებს.

მძღოლი მანქანას მიაქროლებდა, არ უკითხია, რომელ სამწვადეში, ან სად უნდა წასულიყო; ახლო-მახლო ერთი სამწვადე იცოდა და იქით აიღო გეზი.

— აი, ეგაც სამწვადე! — მძღოლმა მანქანა გზის პირას დაამუხრუჭა.

სამწვადის წინ მილიციის სამი მანქანა იდგა, იქვე რამდენიმე მილიციელი ტრიალებდა. ბიჭებს პირველი აღგზნება გაუქრათ, მანქანიდან წყნარად ჩამოვიდნენ.

— ვაიმე, ბიჭებო, რაღაც ძალიან ცუდად არის საქმე! — ხმის კანკალით თქვა თამაზმა. — ეს სამწვადეა, ტარიელ? — რაღაც ისეთი იმედით იკითხა, იქნებ ეს არ იყოსო.

სულ შვიდნი იყვნენ. ტარიელს არეულობით ესარგებლა და ადგილზე დარჩენილიყო.

— შეხედე, რა უკადრია! ეხ, გიგა, განა შეიძლება ძაღლის კუდის გასწორება?! რაზე გადაყევი მაგ... ოხ! აბა, რა ვთქვა, რა ეკუთვნის!.. — თამაზმა ცრემლები მოიწმინდა. — შევიდეთ, ბიჭებო, ვნახოთ, რა ხდება! — სამწვადისაკენ წავიდა და დანარჩენებიც მიყვნენ.

სასადილო დარბაზში ყველაფერი წესრიგში მოეჩვენათ; ორი მილიციელი იდგა მებუფეტესთან, კუპედან ხმამაღალი სიცილი ისმოდა. ამ დროს მილიციელები გამოეშვიდობნენ მებუფეტეს და გარეთ გავიდნენ.

თამაზი მივიდა მებუფეტესთან, დანარჩენები განზე გაჩერდნენ.

— შენი ჭირიმე, მითხარი, აქ რამე ამბავი მოხდა? — მოწყლიანებული თვალებით ჰკითხა.

— როგორ გითხრა, კიდეც მოხდა და კიდეც — არა.

— ეს როგორ გავიგოთ?

— როგორც გეუბნები, ისე გაიგე.

— მოიცა, თუ ძმა ხარ, ერთი ძალიან კარგი ამხანაგის ამბავი გვაწუხებს, სამასხროდ არა გვცალია!

ამ დროს კუპედან მილიციის ოფიცერი გამოვიდა, გამოთხოვების ნიშნად მებუფეტეს ხელი აუღო და კარებისაკენ გაემართა.

— რა ჰქვია იმ შენ ძალიან კარგ ამხანაგს?

— გიგა.

— მაღალი, შავგვრემანი, მხარბეჭიანი, გამხდარი სახე და დიდი კეთილი თვალები ხომ არა აქვს?

— ჰო, ეგ არის სწორედ.

— შედი, ეგემანდ, კუპეშია.

— ვაიმე, რა სჭირს?! — თამაზი დახლს მიეყრდნო.

— ნუ გეშინია, შედი, არაფერია საშიში! — მებუფეტემ გაიღიმა.

თამაზი მუხლების კანკალით მივიდა კუპესთან, კარი გააღო და სახტად დარჩა: კვირიკეს გიგასთვის გადაეხვია მარცხენა ხელი, მარჯვენაში ჭიქა ეჭირა და სადღეგრძელოს აიბობდა; მაგიდასთან კიდევ სხვა ხუთი ბიჭი იჯდა.

— გიგა, ბიჭო, ცოცხალი ხარ?! — თამაზი მისკენ გაიქცა, გადაეხვია და სიხარულისაგან აქვითინდა; მალე დანარჩენი ბიჭებიც შელაგდნენ კუპეში.

— დარბაზში გავშალოთ პურმარილი, დარბაზში! დღეს ვაჟკაცობის ზეიმია! — დაიძახა კვირიკემ და ჭიქა მაღლა ასწია; მალე მათ მიხეილ კედელაშვილი და ის სტუდენტი შეუერთდათ, მის დასაძახებლად რომ წავიდა.

გვიან ღამით დაბრუნდნენ სახლში. კიდევ კარგი ტარიელი იქ აღარ დაუხვდათ; ბიჭები როგორც გააცილა მაშინვე შეკრა თავისი ბარგი და ნატანების რკინიგზის სადგურში გაჰყვა პივრელსავე შემხვედრ მანქანას.

არავის არ ეძინებოდა, ერთ ოთახში შეკრებილიყვნენ და ერთმანეთს ნახულ განცდილის შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ.

— გიგა, თუ ძმა ხარ, მოგვიყევი ყველაფერი დაწვრილებით; აურზაურში მაინც ვერ გავიგე, რა მოხდა, — სთხოვა თამაზმა.

— მოგვიყევი, გიგა, მოგვიყევი! — ახმაურდნენ დანარჩენებიც.

— რა მოგიყვეთ, პატარა გაუგებრობას ჰქონდა ადგილი და ყველაფერი გამოსწორდა.

— ეგრე არა, დაწვრილებით მოგვიყევი, როგორც იყო, — ყველა ერთად შეუჩნდა.

გიგამ ამბის თხრობა იქიდან დაიწყო, ავტომობილს რომ გამოყვნენ. იმ დროს ტუჩგახეთქილმა ბიჭმა დანა რომ მოუქნია და ტარიელს ეგონა, უკვე მოკლაო, გიგამ გვერდზე გადახტომა მოასწრო; ჩხუბს კვირიკე კუპეს კარებში მდგარი უყურებდა. ყოველივე რაც მოხდა, სულ ერთ წუთში ჩაეტეოდა. კვირიკემ უცებ იცნო გიგა და საზარელი ხმით აყვირდა:

— დააგდე დანა! დააგდე, რომ გეუბნები!

ბიჭმა დანა მაშინვე დააგდო.

— ხელი არავინ გაატოკოს! — კვირიკე მოჩხუბრებთან ღრიალით მივარდა და გიგას ბიჭები ხელის კვრით ჩამოაცალა.

— გიგა, ბიჭო, შენ! — კვირიკემ ხელები გაშალა. გიგამ თავისი ალალი გულუბრყვილო, ბავშვური ღიმილით გაუღიმა; კვირიკე გიგას გადაეხვია. დანარჩენი ამბები სწრაფად განვითარდა: მოჩხუბრები მაშინვე შერიგდნენ, დარბაზი მოაწესრიგეს და მილიცია რომ მოვიდა, შვიდივე კუპეში ისხდნენ მაგიდასთან და ჩხუბის მთავარ წამომწყებს სიცილით იხსენებდნენ.

— რომელია გიგა ძამიაშვილი? ვიღაცა კედელაშვილმა დარეკა, სამწვადეში მოკლესო, — კუპეში შესვლისთანავე გამოაცხადა მილიციელმა.

— მოსაკლავი ვის რა სჭირდა, ბიჭო, ჩვენთვის სიყვარულით ვჭუკჭუკებთ, აი, გიგა ძამიაშვილი ეს არის, — კვირიკემ გიგას მხარზე ხელი დაარტყა; — ვერ არის ლომივით ვაჟკაცი, რა სჭირს სამაგისო!

— აბა, ვინ იყო ის მიხეილ კედელაშვილი, გიჟი?

— მიხეილ კედელაშვილი ჩვენი ჯგუფხელია, ის აქ სულაც

არ ყოფილა; ალბათ, დღის მეორე ნახევიდან შტაბშია.

— მაშ ვინ იყო ის არამზადა, თუ გავიგე, მოვუწყობ მე იმას საგანგაშოდ საქმეს!

— რა ვუყოთ, ხდება ხოლმე, — დაამშვიდა კვირიკემ.

— მერე რაც მოხდა, თქვენ თვითონა ხართ მონაწილე, — დაამთავრა ამბის თხრობა გიგამ და ნატკენ მარჯვენა ყურის ძირზე ხელი მოისვა.

— ამჯერად გადაურჩი ტარიელის ოინებს, მაგრამ, იცოდე, ეგ სიკეთეს არ დაგაყრის, თუ მიამიტობას არ მოიშლი! — გააფრთხილა თამაზმა და თავის საწოლს მიაშურა...

სტუდენტების გაცილება დიდი ზეიმით აღინიშნა, ამას თვით ბუნებაც უწყობდა ხელს; ლურჯ ცაზე ღრუბლის პატარა ნაგლეჯიც კი გამქრალიყო. მზე დილიდანვე განუყრელი მონაწილე იყო იმ სიხარულისა, რომელსაც დიდი და პატარა კლუბში და მის ეზოში მოწყობილ ზეიმზე მოეყვანა...

მეურნეობამ ჩაის კრეფის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულა. ამაში თავიანთი წვლილი სტუდენტებმაც შეიტანეს. ახლა მეურნეობის მშრომელები დიდი სიყვარულით აცილებდნენ ახალგაზრდებს, რომელთაც უნდობლობის ეჭვი თავდადებული შრომით გააქრეს. მათ ყველა პატივისცემითა და სიყვარულით იხსენებდა ისე, როგორც იხსენებს ლექტორი სტუდენტს, რომელმაც ყველა კითხვაზე უპასუხა და ფრიადი დაიმსახურა.

კლუბმა ხალხის სიმრავლე ვერ დაიტია, გარეთ, ღია ცის ქვეშ მოეწყო საზეიმო მიტინგი. პირველი ჯილდო კარგი მუშაობისათვის გიგა ძამიაშვილმა დაიმსახურა; ისე კი ჯილდოს გარეშე არც ერთი სტუდენტი არ დარჩენილა, ყველამ სასახელოდ იშრომა.

ორკესტრი ახლა მთელი შემადგენლობით გუგუნებდა, სტუდენტების გაცილება სახალხო ზეიმად გადაიქცა. ბედნიერი კაცის ღიმილი დასთამაშებდა სახეზე კოტე ხუციშვილს, მეურნეობის დირექტორთან ერთად ინაწილებდა საყოველთაო სიხარულს; ორივე დიდი ამალის თანხლებით სეირნობდა მოზეიმე ხალხს შორის და ირგვლივ გულთბილ მისალმებებებს აბნევდა. ცეკვავდა გალაღებული ახალგაზრდობა, მღეროდა ყველა, რად-

გან გულს ემღერებოდა.

— გამარჯობათ, ბატონო! — თავაზიანად მიესალმა ჩია ტანის კაცი კოტეს და ხელი გაუწოდა.

— ჩვენი ორკესტრის მედოლე, — გააცნო მეურნეობის დირექტორმა.

— ბატონო სტუდენტების ხელმძღვანელო, ჩვენ ერთხელ უკვე შევხვდით ერთმანეთს ამინდივით ავდრიანი იყო ჩვენი გაცნობა, თუმცა მაშინ მე ყველაზე წესიერ ბიჭს დავწამე ცილი.

— არა უშავს რა, მეც ვცდებოდი, მაგრამ თვალთმაქცობისა და იაფფასიანი ავტორიტეტის მაძიებლის ყოველი წარმატება დროებითია; ჭეშმარიტება ბოლოს ყველაფერს თავის სახელს არქმევს.

— მეც ეგ უნდა მეთქვა, ბატონო, ის მაშინდელი ინიციატორი იყო ყველაფერში დამნაშავე. სად არის ახლა?

— ადრე გაიქცა, ხალხში გამოჩენის პირი არ ჰქონდა.

— მაინც პატარა ნამუსი ჰქონია, ეს რომ შეიგნო.

— არა მგონია მას ეს ნამუსით მოსვლოდეს, უფრო ანგარიშსწორებას გაექცა, მაგრამ სად წავა! — დაიმუქრა სისაურის გახსენებით ხასიათგაფუჭებული კოტე.

გადამყიდველები

ლექციებზე სისაური ისე გამოცხადდა, თითქოს ბუზი არ აფრენოდეს. ბიჭებსაც გული განელებოდათ და მკაცრად აღარ შეუტიეს, თუმცა რეპლიკებს არ კლებდნენ.

კოტე ხუციშვილს სტუდენტთა საზაფხულო სამუშაოების სახელოვნად ჩატარებისთვის ინსტიტუტის დირექციამ მადლობა გამოუცხადა.

— დიდი ორგანიზაციული ნიჭი გამოიჩინა ჩვენმა კოტემ, — საზეიმო შეკრებაზე აღფრთოვანებული ლაპარაკობდა რექტორი. — მთელი სტუდენტი ახალგაზრდობა, როგორც ერთი ისე დარაზმა საერთო ვალდებულების შესასრულებლად; სულ უმნიშვნელო უდისციპლინობას და გაუგებრობას არა ჰქონდა ადგილი ამ პერიოდში ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის მხრივ,

პირიქით, თავიანთი სამაგალითო ყოფაქცევით ნამდვილად დიდად შეუწყეს ხელი სტუდენტის სახელის და ავტორიტეტის ამაღლებას; ასახელეს მშობლიური ინსტიტუტი. მე პირადად, აღფრთოვანებული ვარ, ყველას ერთად და ცალ-ცალკე გულში ვიკრავ! – გულაჩუყებულმა რექტორმა პრეზიდიუმში მჯდომ კოტეს ხელი ჩამოართვა და ყველას მაგიერ მას გადაეხვია. ამის შემდეგ კოტემ თავი შეიკავა სისაურის საქმის საჯაროდ განხილვაზე. „ხელში ჩამივარდება და მე მოვუვლი მაგას, რაც საქმეშია, სწავლაში უარესი იქნება, ალბათ, ისე კი მაგის გამო არ ღირს ამ დიდ წარმატებას რომ ჩრდილი მიადგეს“. ჯერჯერობით გადარჩა სისაური ყურის მწვავედ აწევას. ცხოვრება კი თავის კალაპოტში მიედინებოდა, მომხდარი ამბები განვლილი დღეებით იფარებოდა და დავიწყებაში იძირებოდ.

გიგა სტუდქალაქში ცხოვრობდა, სწავლაში ისეთივე ბეჯითი იყო როგორც შრომაში. თავისუფალ დროს ხშირად თავის გულის სწორ გოგონასთან, ანასთან ატარებდა, რომელიც მასავით სტუდენტი იყო; უანგარო, წმინდა და სხივნათელი სიყვარულით ეტრფოდნენ ერთმანეთს.

რაც სწავლა დაიწყეს, ტარიელი პირველად ერიდებოდა გიგას, არა, ეს სინდისის ქენჯნით კი არ მოსდიოდა, უფრო შიშის გრძნობა კარნახობდა განზე ყოფნას; ვინ იცის, ეს ცხვარივით უბოროტო და ხარივით ჯანიანი ბიჭი რა შურისძიებას გეგმავდა სამწვადეში მომხდარი ამბის გამო, თანაც მისი საქციელი ყველამ ისე იცოდა, როგორც იყო და მიხეილ კედელაშვილმა ამის გამო ორივე ლოყაზე ისეთი სილაქები გააწნა, რომ რამდენიმე დღე საჭმელს ნორმალურად ვეღარ ჭამდა. ერთიც ვნახოთ და გიგაც დადგეს კედელაშვილივთ ანგარიშსწორების ხასიათზე, მაშინ სილაქები ხომ აღარ ეყოფა, იმდენი ცოდვები აქვს ჩადენილი მის მიმართ; არა, სანამ ვყელაფერი გაირკვევოდა, მორიდება არჩია.

ალბათ, ადამიანის გამოცნობის უნარი გიგასნაირად ბევრ მის თანაკურსელს არ შეეძლო, მაგრამ მათთან ურთიერთობის სა-

კითხში მას თვისებური მიდგომა ჰქონდა: ტარიელის პიროვნება თავიდანვე ამოხსნა, რას წარმოადგენდა და რით სუნთქავდა, ამიტომ გადაწყვიტა, სიკეთისა და ადამიანობის ზემოქმედებით ნამდვილი ჯანმრთელი ყოფისაკენ მოებრუნებინა.

სამწვადეში მომხდარი ამბის შემდეგ საფუძვლიანად შეერყა თავისი საქციელის სისწორის რწმენა. ტარიელი, რომელიც შერცხვენილი იყო ამხანაგების წინაშე მუხთალი ხასიათის გამო, გიგამ შეიფარა, და გადაწყვიტა, პირადი მაგალითებით ჩაენერგა მისთვის სიყვარული და რწმენა იმისა, რაც ტარიელს არასდროს არ ჰყვარებია და უწამია. „არაფერი გამოვიდა“, — ფიქრობდა გიგა. — „ყოველ ჩემ სიკეთეზე გაუმჯობესებული მუხთალი უკუგება მივიღე. თანდათან უფრო გათავხედდა, რადგან არცერთხელ საკადრისი პასუხი არ მიიღო. ვიფიქრე, ამით მასში ის მიძინებული გრძნობა გამეღვიძებინა, რომელიც ყველა პატიოსანი და წესიერი ადამიანის საქმიანობას შარავანდედივით დასდევს თან. იქნება სულაც არა აქვს ამგვარი გრძნობა? მაშინ რაღა მიიძინებდა? მაგრამ განა შეიძლება უიმისოდ ადამიანის არსებობა?“ — საუბრობდა გიგა თავის თავთან და ტარიელ სისაურის პიროვნების ნორმალურ ადამიანად გადაქცევის იმედს მაინც არ კარგავდა. ყველასგან მოძულებულ ტარიელს ისევ მან გაუღიმა თბილად, რამდენიმეჯერ ლაბორატორიული სამუშაოც გაუკეთა და მალე ისევ ძველებური ურთიერთობა აღდგა მათ შორის.

გიგამ ერთ შაბათ დღეს თავისუფალი დრო გამონახა თავის დატვირთულ დღის რეჟიმში და მაშინვე ანასთან წავიდა; ორივე რუსთაველის პროსპექტს გაუყვნენ. ახალი ფილმი გადიოდა და კინოთეატრთან ბევრი ხალხი ტრიალებდა.

— თუ ბილეთები ვიშოვეთ, იქნებ კინოში შევსულიყავით, — ფილმის ნახვის სურვილი გამოთქვა ანამ.

— აბა ვეცადოთ, იქნებ გამოვიდეს რამე, — გიგა შეჯგუფებულ ბიჭებთან მივიდა, სადაც, ეტყობა, გადამყიდველები ბილეთებს ყიდდნენ.

— ბიჭოს, ეს ხომ ტარიელია! — გაუხარდა გიგას.

ისინი ორნი იყვნენ; ერთი მაღალი, მხრებში ამოხრილი, გრძელმკლავება ბიჭი, რომელსაც დიდი საჩეხიანი ქუდი ისე ჰქონდა თვალებზე ჩამოფხატული, რომ ძნელი იყო მისი გამხდარი, გრძელი სახის ნაკვთების გარჩევა, თანაც თავი სულ დაბლა ჰქონდა დახრილი; ტარიელის უკან იდგა და საეჭვო ხალხს ათვალიერებდა, თუ ვინმე ისეთი გამოჩნდებოდა, ტარიელს რაღაცას ჩასჩურჩულებდა და ისაც ხმამაღლა დაიწყებდა ახსნა-განმარტების მიცემას: — აღარა მაქვს, ხალხო, ორი ბილეთი მქონდა მხოლოდ, ჩემი ამხანაგი არ მოვიდა და გავყიდე, მარტო შესვლას რა აზრი ჰქონდა.

— ტარიელ! — ფრთხილად დაადო მხარზე ხელი გიგამ.

ტარიელმა გიგა შორიდანვე დაინახა ანასთან ერთად რომ ტრიალებდა ბილეთის მაძიებელთა შორის, ზურგი შეაქცია და ისე გააგრძელა თავისი საქმიანობა, ვითომ ვერ ვხედავო. მაგრამ გიგამ დაინახა და ახლა მის მძიმე ხელს მხარზე მსუბუქად გრძნობდა. ვითომ ვერ მიხვდა, ვინ ელაპარაკბოდა, მხრიდან ხელი უხეშად მოიცილა. „ეგ ისეთი მორცხვი და საცოდავია, ამის შემდეგ გაწითლდება და წავა, მე კი თუ ორშაბათს რამე მითხრა, იქით დავადებ ვალს, რატომ არ დამენახვე-მეთქი“. გაიფიქრა ტარიელმა და გუნებაში გაეღიმა კიდეც. ამ აზრის ჩამთავრება მოასწრო და გიგამ ორივე ხელი მაგრად მოსჭიდა მხრებში და თავისკენ კოჭურივით შეატრიალა: — შენ რა, ხალხს ვეღარ სცნობ?! — რისხვის ნაპერწკლები უღვიოდა თვალებში.

ტარიელს გააჟრჟოლა შიშით, მაშინვე ნაძალადევად გაიღიმა და დააყოლა:

— ვაიმე, გიგა, შენა ხარ, კაცო!

— გადამყიდველობა კარგია არა? მოიტა ორი ბილეთი!

ტარიელი შეყოყმანდა.

— არ გემის? მოიტა ორი ბილეთი-მეთქი!

— მე ბილეთი არა მაქვს, გიგა, აი, ამასა აქვს, ოღონდ ძვირად ყიდის, თუ გინდა, გამოვართმევ, — ტარიელმა იმ მაღალ

ბიჭზე მიუთითა.

— არ ვიცი მე, ორ ბილეთს მომიტან ახლავე, და კაპიკსაც ვერ მიიღებ! — გიგას სულში გადამყიდველის დარბევის სურვილმა გაიღვიძა.

— გიგა, შენი ჭირიმე, კინოს ნახვა არ მინდა! წამოდი, ისევ რუსთაველზე გავისეირნოთ, ნახე რა კარგი ამინდია, დარბაზში კი...

— ცოტა ხანს მოიცადე, ანა, გენაცვალე, ნურაფრისა ნუ გეშინია; თუ ვინმე ამხანაგი, ან ნაცნობი დაინახო უბილეთოდ, დამიცადონ, სუყველა ერთად შევალთ კინოში. — გიგამ ანა იქვე, დიდი ჭადრის ძირში გააჩერა, მის ხვეწნას ყური არ ათხოვა და ისევ ტარიელთან და იმ ახმახთან მივიდა.

ეტყობა ტარიელმა ამასობაში საქმის ვითარება გააცნო თანამოსაქმეს.

— ორი ბილეთი გინდა, ჯიგარო? ორმოცდაათი მანეთი გამოუშვი და წაიღე! — ცივად უთხრა ახმახმა და მარცხენა ხელის ორი თითით ჩამოფხატული ქუდი მაღლა აიწია.

— ვა, შენ კიროსა არა ხარ?! — ჰკითხა გაკვირვებულმა გიგამ და ერთი ამბავი გაახსენდა: ის და ანა რუსთაველის პროსპექტზე სეირნობდნენ. ტარიელი და კიროსა ბორჯომის წყლების მაღაზიის პირდაპირ გაზონთან იდგნენ და გამვლელ-გამოვლელს ათვალიერებდნენ.

— შეხედე, შეხედე იმ წყვილს, — ტარიელი კიროსას მოეფარა და მოსეირნე გიგაზე და ანაზე მიუთითა. — ჩემი თანაკურსელია, დიდი ლენჩი ვიღაცაა, ყმადა მყავს გამხდარი, როგორც ვირს, ისე ვხმარობ; მიდი რაღაცა მოიგონე, ცოტა თავი მოისაწყლე, რაც ფული აქვს, სულ დაცანცლავ, — გააქეზა კიროსა.

მალე შეწუხებულსახიანი კიროსა გიგას წინ იდგა:

— შენი ჭირიმე, კაცური კაცი ჩანხარ, დახმარების ხელი გამომიწოდე და ძმად გაგიხდები; რაღაც ისეთი მომენტი შემემთხვა, რომ თავი მომეჭრას ლამის.

— რა შემიძლია მე?

— კაცო, ჩემი საცოლე და მისი და კინოში დავპატიჟე, ვიღაცამ ჯიბიდან ბილეთებთან ერთად რაც ფული მქონდა, სულ ამომაცალა; ისინი ცოტა ხნით კინოთეატრის წინ დავტოვე, ერთ ამხანაგთან სასწრაფო საქმე მაქვს-მეთქი, ვიფიქრე, ვინმე კაცურ-კაცსა ვნახავ და ვესესხები-მეთქი, მაგრამ ეს რა უგულო ხალხი ყოფილა, დღემდე ამას როგორ წარმოვიდგენდი; არავინ არ გამიმართა ხელი. ახლა შენზე შევაჩერე საბოლოო არჩევანი, ვიფიქრე, ვაჟკაცი კაცი ჩანს, თანაც გოგოსთან არის და გამიგებს-მეთქი.

— რამდენი გინდა?

— სამნი ვართ, კინოთეატრში ნაყინი ან ღვეზელი თუ მოიტანეს...

— კარგი სულ ოცდათხუთმეტი მანეთი მაქვს, აჰა, ოცდაათი მანეთი შენ, მე მხოლოდ ხუთ მანეთსღა ვიტვებ, ალბათ, უნდა გეყოს.

კიროსამ ოცდაათი მანეთი გამოართვა და რაღაცაზე ყოყმანი დაიწყო.

— რა იყო, არ გყოფნის?

— ეგ ხუთი მანეთიც რომ დაგეთმო, ნამდვილად გამოვიდოდი მდგომარეობიდან.

გიგას რაღაც გულნატკენი კაცის ირონიულმა ღიმილმა სახეზე გადაურბინა.

— აჰა, ეს ხუთი მანეთიც, ღმერთმა მოგახმაროს! — ის ხუთი მანეთიც მისცა.

— შენი ჭირიმე კაცურო კაცო, ამ უბანში თუ რამე გაგიჭირდეს, კიროსას სახელი ახსენე მხოლოდ! — კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა აღფრთოვანებული კიროსა, მაგრამ გიგამ აღარ დააცადა.

— კარგად იყავი, — უთხრა, ანას ხელი გამოსდო და სეირნობა გააგრძელა.

— გიგა, ნუთუ ვერ შეატყე, რომ ვიღაც აფერისტი იყო; ფული რაზე მიეცი, შენთვის დაგრჩა რამე? — უსაყვედურა ანამ.

— ჩემთვის დავიტოვე ხუთი მანეთი, მაგრამ ხომ ნახე, არც ის შემარჩინა.

— როგორი მიამიტი ხარ, გიგა, ყველა შენსავით კეთილი და პატიოსანი ნუ გგონია, მე შევატყე, რომ ის აფერისტი იყო და შენ რა მოგივიდა?!

— მეც შევატყე.

— მერე, რად მიეცი?

— რა დაშავდა მაგით? ოცდათხუთმეტი მანეთი მაგას ვერ ააშენებს, ვერც მე დამაქცევს; იქნება როდისმე გაუსწორდეს მრუდე სული, მაშინ ეგ საქციელი და ოცდათხუთმეტი მანეთი ტინის ლოდივით დააწვება და რომ შეიმსუბუქოს განცდები ათ მაგდენს აჩუქებს მართლა გაჭირვებულ კაცს; ამ თვალსაზრისით ხომ ვარ მართალი?

— რა ვიცი, გიგა, არა მგონია, რომ ასეთი მეთოდით უშველო მაგას და მაგნაირ სხვას; არ ეყოფი შენ, დაიჩაგრები და ცოდო ხარ!

— მარტო მე ხომ არა ვარ, ჩემნაირი რამდენია.

— არა, გიგა, შენ განსაკუთრებული ხარ. გადახედე შენს ირგვლივ მყოფთ, ერთი თუ იქნება შენი მსგავსი, ვერ ნახავ; დაიჩაგრები, გიგა! — ანა მოიღუშა.

გიგას ძალიან კარგი თანაკურსელები და მეგობრები ყავდნენ, მაგრამ იმათ არავითარი დათმობა არ უყვარდათ, სიმუხთლისა და ვერაგობისათვის მაშინვე იცოდნენ პასუხის ჩაბარება; გიგა კი სულ სხვა იყო, იცოდა მან ეს და ანას აღარ შეედავა.

ამ ამბის შემდეგ კიროსა ორჯერ კიდევ შეხვდა გიგას და ყოველთვის ათ-ათი მანეთი გამოართვა.

„არა, ამის გამოსწორება კი არა, ეტყობა, იმ ფულებით კიდევ უფრო გავათავხედე მე“, — გაიფიქრა გიგამ.

— კიროსა რომ ვარ, მერე რა!

— მე ველარ მიცნობ?

— ქვეყნის ხალხი დადის რუსთაველზე, რომელ ერთს იცნობ!

— არც ჩემი ნაჩუქარი ფულები გახსოვს?

— ბიჭო, შენ რაებს მიედ-მოედები! აბა, შემომხედე, რა მჭირს მე სამაგისო! — კიროსა მთელი სიმაღლით გაიჭიმა და უბეში ჩაჭყუნული კინოს ბილეთების დასტა გამოუჩნდა.

გიგამ თვალის დახამხამებაში ისე ამოაცალა ბილეთები, რომ კიროსამ ხელის მიშველება ვერ მოასწრო.

— რას შვრები, ხომ არ გინდა აგქვე გამოგაცალო ჯიგარი! — ჯიბეზე იტაცა ხელი კიროსამ.

— მომყევი, ცოტა იქით მივდგეთ, რაცა ღირს, კაპიკს არ დაგაკლებ, — გიგა წავიდა, კიროსა უკან მიჰყვა, შორიახლოს ტარიელიც აედევნათ. ბილეთების შოვნის მსურველები ჯერ გამოეკიდნენ, მერე კი თანდათან ყველა ჩამოსცილდათ.

გიგამ მარჯვნივ გაუხვია, ქუჩა გადაჭრა და ქაშვეთის ეკლესიის ეზოში შევიდა.

— გამოუშვი ეხლავე თითო ბილეთზე ოცდახუთი მანეთი, თორემ!.. — კიროსა ხელი ისევ გაიკრა ჯიბეზე.

ტარიელი შესასვლელთან იდგა, კარგი პოზიცია აირჩია, გიგას უნდა ჰგონებოდა, ვითომ მის დასახმარებლად მოვიდა; კი-



როსა დაჩაგრავდა თუ გიგა, მოკლედ, ორივე შემთხვაევაში გამოსავალი უნდა ენახა.

ანა ეზოში შევიდა და ღობესთან გაჩერდა.

— ჰა, იძლევი თუ არა ფულს! — კბილებში გამოსცრა კიროსამ.

გიგა ბილეთებს თვლიდა.

— ოცდახუთია, თითოში ათ შაურს მიიღებ! კიდევ გაქვს?

— ვის აშაყირებ, შე ნაბიჭვარო! — კიროსამ გიგას ხელი მოუქნია და უმალ ისეთი დარტყმა მიიღო, იქავე ჩაიჩოქა. დაბნეული წამოხტა, მაგრამ სანამ რამეს მოიფიქრებდა, ზედიზედ ორი კიდევ მოხვდა და პირქვე დაეცა. გიგამ ქეჩოზე მოჰკიდა ხელი, წამოაყენა, თვალებში ჩახედა და დამცინავად უთხრა:

— ვერც ახლა მიცანი? მიამიტი გეგონე, არა? რატომ ვერ მიხვდი, შე მათხოვარო, რომ მალე სარგებლით მოვითხოვდი! კიდევ გაქვს ბილეთები?

— არა, კიროსა გახეთქილი ტუჩიდან სისხლი მოილოკა.

— მოდი აქ! — გიგამ შასასვლელში გაჩერებულ თავგზააბნეულ ტარიელს დაუძახა.

შეშინებულმა ტარიელმა ძლივს მიათრია ფეხები. გიგამ ჯიბეებში ხელი ჩაუყო და ბილეთები მასაც ამოაცალა.

— ჩემი არ არის, ამისია, გაყიდვაში ვეხმარებოდი, — თავი იმართლა ტარიელმა.

— მით უკეთესი, თხუთმეტია აქ. სულ ორმოცი ბილეთი, ე.ი. ოც მანეთს გიქვითავ; მოიტა დანარჩენი ოცდათხუთმეტი მანეთი! — მკაცრად მოსთხოვა კიროსას.

— ვა, ისევ მე უნდა მოგცე?! ეგ ერთი ბილეთი ოთდახუთი მანეთი მიღირს, იანგარიშე სად ურტყამს! ორი ბილეთი აიღე, დანარჩენის მაყუთი გამოუშვი.

— მე რომ ფული მოგეცი, თითო მანეთი ასი მანეთი მიღირდა, იანგარიშე სად ურტყამს! ჯერ ის ფული დამიბრუნე, მანეთში ასი მანეთი და მაშინ ბილეთში ოცდახუთ მანეთს გადაგიხდი.

— ვა, თავის დროზე გეთქვა, თუ ეგრე იყო!

— მე კაცი მეგონე, იმათ მუქთად ვაძლევ, არაკაცებისაგან

კი ეგრე ვითხოვ! გეთქვა, კაცი არა ვარო და მეც დაგიფასებდი ჩემს მანეთს ას მანეთად.

— რა ძალადობაა!

— ძალადობა არ არის, ოცდაათკაპიკიან ბილეთს ოცდახუთ მანეთად რომ ყიდი?! მოიტა ჩემი ოცდათხუმეტი მანეთი, სანამ მართლა ას მანეთად არ მიანგარიშია ყოველი მანეთი.

— მძარცვავ?

— შენ რაც გინდა, ის დაუძახე, გამოუშვი ფული! — გიგამ ხელი შემართა.

— კარგი, კარგი, შევხვდებით! — დაიმუქრა კიროსა და ოცდათხუთმეტი მანეთი მიუთვალა გიგას.

ამ სცენას ეკლესიის კიბიდან მღვდელი თავიდანვე უყურებდა, რომელიც ნელ-ნელა გაემართა მათკენ. კიროსა უკვე ქუჩაში იყო გასული, გიგას რომ მიუახლოვდა.

— რაშია საქმე, ყმაწვილო, რატომ ჩაიდინე ძალადობა ამ წმინდა ადგილზე?! — უსაყვედურა.

— მამაო, ერთხელ რომ გაგარტყამენ სილას და მეორეს მიუშვერ, მესამედ და ყველა მიშვერაზე რომ გაგარტყამენ, რა ჰქვია მაგას? ან უფალი რა რეკომენდაციას იძლევა ამაზე? — შეკითხვით უპასუხა გიგამ.

— ასეთი რამ სახარებაში არ სწერია.

— მაშინ მე გეტყვი: უნდა სწვდე საყელოში და ამტვრიო კბილები, რომ მიშვერილ ლოყაზე გარტყმის სურვილი სამუდამოდ დაეკარგოს! — გიგა გაბრუნდა, ღობესთან მდგარ ანას ხელი მოჰკიდა და ეკლესიის ეზოდან გავიდა.

— ნაცნობი არავინ შეგხვდა? — ჰკითხა ანას გიგამ.

— წირვაზე ხომ არ ვიყავი, შენი საქციელის მაყურებელს გული გამისკდა კინაღამ! — უსაყვედურა ანამ. — ძალათი ბილეთის წართმევა შეიძლება? გაქურდე კაცი, ფულიც წაართვი, გიგა, რას გავს ეს?! — ანა შეჩერდა და გიგას გაბრაზებული ავაზასავით მიაჩერდა.

— იმას ჩემი ვალი ჰქონდა.

— იმ სპეკულიანტს შენ საიდან იცნობ?

— არ გახსოვს, ოცდათხუთმეტი მანეთი რომ გვთხოვა? მაშინ შენ კიდეც გამიბრაზდი.

— ეგ ის აფერისტია?

— ჰო, მეც ის მიამიტი ვარ! — გიგამ ანას გაუღიმა.

რუსთაველის კინოთეატრის წინ ანას თავისი თანაკურსელი გოგოების მთელი ჯგუფი შეხვდა.

— ვაიმე, ანა, კოლექტიურად გვინდოდა ახალ ფილმს დავსწრებოდით, მაგრამ ბილეთები ვერ გვიშოვია; ისეთი ამბავია რომ!.. — მოიჩივლეს კოლექტიური დასწრების მსურველებმა.

— სწორედ თქვენთვის მქონდა ბილეთები აღებული, — გაიცინა ანამ და ამხანაგები კინოსეანსზე დაპატიჟა...

— ეგ არის, ბიჭო, ლენჩი, ყმად რომ ხმარობ?! — შეუღრინა ბრაზისაგან გულგასიებულმა კიროსამ ტარიელს და თავში გვარიანად წაუთაქა.

— რა ვიცი, მაშინ შენც ტრაბახობდი, სულ ჩემთვის ვამუშავებ, სადაც ვნახავ, გავღვერავო!

— შენ რაც გინდა თქვი, დღეს კი დაგვსვა მშრალზე მაგ შობელძაღლმა, როდისღა დაგვიდგება ასეთი მომენტი! — ხელი ჩაიქნია კიროსამ და ქუდჩამოფხატული რუსთაველის პროსპექტს გაუყვა. ტარიელი უკან მისდევდა და თან თავისთვის ბუტბუტებდა: — ნეტა რა ბუზმა უკბინა, ცხვარი რომ უცებ ჭინკად იქცაო.

დებილი, ბოთე, უნდილი, — რას არ უწოდებდა ხოლმე გიგას თავის თავთან საუბარში, ყოველი მორიგი სიკეთის შემდეგ, რითაც გიგა მას ესოდენ გულუხვად ჩუქნიდა.

— ისეთ დღეში ჩავაგდებ, დილა საღამოს ფეხები მბანოს. ხელზე ძაღლივით გამოვიბამდი თოკით ჩვენი სტუდენტები რომ არ მიშლიდნენ ხელს; მაგრამ მაინც კარგი მონაა, როგორც მინდა, ისე ვაცეკვებ, — ეთათბირებოდა ხოლმე ტარიელი თავის თავს.

ახლა, ამ ამბის შემდეგ სულ აერია დავთვრები; ისე წაარ-

თვა ბილეთები, შიშით ხმის ამოღებაც ვერ გაბედა. მარტო ის რად ღირს, მისი მსგავსი ბიჭების კერპი კიროსა ამ დღეში რომ ჩააგდო. „რამხელა მოგებას ველოდით, თუ რაიმე დამიცანცქ-ლია, ერთბაშად არ ამომაშხამა?! კარგი გიჟი ჩანს! არა ძმაო, ამიერიდან სათოფეზე აღარ მივეკარები, თორე თუ სიგიჟემ მოუ-არა, კატოკივით გადამივლის!“ – ამ ფიქრით მიჰყვებოდა ტარი-ელი ბოღმისგან გასიებულ კიროსას.

გიგა კინოფილმს უყურებდა, მაგრამ ფიქრებით სულ სხვაგან იყო. მუხთალ, ორპირ, ხელმრუდე და ქვეყნის სარეველა ადამია-ნებს ყველაზე უკეთ სცნობდა, სხვაზე კარგად შეეძლო მათთვის კისრის მოგრეხა, მაგრამ ყოველთვის ცდილობდა სიკეთით მათ სიკეთისკენ მობრუნებას; ახლა კი გულგატეხილს საბოლოოდ სჯეროდა, რომ მისმა მეთოდმა არ გაამართლა, ამის შეგნება ტარიელის და კიროსას მსგავსთა დარბევის სურვილს უათკა-ცებდა.

1961 წელი.

სარჩევი

დალოცვილია სიმართლე 3
უთქმელი ნიკა 5
არაკაცობის კაცობით მკურნალი 44
ძმა ძმისთვისაო 56
ცუბა 68
თებრო მოიტაცეს 97
დაღლარა და ყბაჩო 120
პირველი ნისია 135
იმედი 143
ტურა ქურდი 156
სამაგიეროს მოლოდინში 166
მეზღვაური 190
ბიკენტი 202
მჭედელი აქვსენტი 217
თოხლო მიხო 238
მიამიტი 336

Гиви Сомхишвили

ДОБРОТА В ГРЕШНОМ МИРЕ



სანამ ხარ მეტეორივით
ავნთე, სხვებიც გაათბე,
რად გინდა ისეთი ეოფა,
თუ სულს მათხოვრად დაათრევ.

კიევი ოთხიშვილი